როჟე მარტენ დიუ გარი
ROGER MARTIN DU GARD

ჟან ბარუა

რომანი

ფრანგულიდან თარგმნა
დალი იაშვილმა

JEAN BAROIS

Traduit en géorgien par

Dali Iachvili

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

ნობელის პრემიის ლაურეატები

საგამომცემლო პროექტის ავტორი

კახმეგ კუდავა

ISSN 1512-4568
ISBN 978-9941-446-70-2

© Editions Gallimard, Paris, 1913
© გამომცემლობა „ინტელექტი", 2014

რმგ და მისი რომანი „ჟან ბარუა“

როჟე მარტენ დიუ გარმა (1881-1958) ძალზე ადრეულ ასაკში იგრძნო, რომ წერა სურდა. ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ იგი შარტის უმაღლეს სკოლაში შევიდა, სადაც ისწავლებოდა შუა საუკუნეების ისტორია, არქივარიუსობა, წიგნის ისტორია, პალეოგრაფია, ჰუმანიტარული მეცნიერებები. სნავლის დამთავრებისას მშობლებისგან ნება ითხოვა, რომ თავისი სპეციალობით მუშაობის დაწყებამდე ლიტერატურულ სარბიელზე ეცადა ბედი. პირველი რომანი საზოგადოებამ საკმაოდ თბილად მიიღო და გამხნევებულმა **რმგ**-მ „ახალ ფართომასშტაბიან ნანარმოებს შეუტია“. ეს ნანარმოები **„ჟან ბარუა“** იყო, რომელზეც ავტორმა 1910 ნლის აპრილიდან 1913 ნლის მაისამდე იმუშავა.

ახალ რომანში **რმგ**-ს (ვიყენებთ შემოკლება **რმგ**-ს როჟე მარტენ დიუ გარისთვის ისე როგორც თვითონ სჩვეოდა) ორმაგი ამბიცია აქვს: აღწეროს „თავისი გმირის ტიპური ცხოვრება“ და დაამუშაოს „ყველა მთავარი პრობლემა, რასაც ეს ცხოვრება ნამოსნევს წინ“; მეორე მხრივ თხრობა სრულიად ახალი სახით ნარმოგვიდგინოს, ვიდრე ეს ტრადიციულ რომანებში იყო.

ბარუას ამბის თხრობისას **რმგ** სნავლობს „ამ თაობის მეტად თუ ნაკლებად მისტიკურ მემკვიდრეობასა და თანამედროვე მეცნიერებით გადატვირთულ პოზიტიურ განათლებას შორის“ არსებულ კონფლიქტს (**რმგ**-ს ციტატები აღებულია მისი წიგნიდან „ავტობიოგრაფიული მოგონებები და ლიტერატურა“, მიმოწერიდან და მისი გაზეთიდან). ბავშვობაში ჟან ბარუამ კათოლიკური განათლება მიიღო, მაგრამ ბიოლოგიის შესწავლის კვალდაკვალ მან „თავი დააღწია“ რელიგიას და თავისუფალ მოაზროვნეთა აქტივისტი გახდა; დრეიფუსის პროცესის დროს, მეგობრებთან ერთად, იგი დრეიფუსისტების ავანგარდშია. ეს მისი ცხოვრების კულმინაციური წერტილია. მოხუცობისას, იგი „დაეცა, დათმობაზე წავიდა“ და თავისი ბავშვობის რწმენას დაუბრუნდა. ევოლუცია მრუდე ხაზს მიუყვება.

რმგ ჯერ ფიქრობს რომანს „თავის დაღწევა" დაარქვას, იგი ამ სათაურს „ჟან ბარუად" მხოლოდ მოგვიანებით შეცვლის; თავისი გმირის დრამის სიმბოლურად გამოხატვისთვის. წიგნის პირველი გამოცემის გარეკანზე მიქელანჯელოს „ამბოხებული მონის" ფოტო დააბეჭდვინა, რომლის რეპროდუქციაც თავის მეგობარ აბატ ებერტთან ჰქონდა ნანახი: „ეს მონა, თავისი მტკივნეული სხეულის მატერიიდან გამოსვლას რომ ცდილობს", წარმოადგენს იმ ადამიანის „ამაო ძალისხმევას", ვინც თავის გათავისუფლება ვერ შეძლო.

რმგ იმ პრობლემების სერიოზულად გასაშუქებლად, რომელსაც რომანში უნდა შეეხოს, უამრავ დოკუმენტაციას აგროვებს; მაგალითად, მან „მთელი ექვსი თვე მოანდომა" დრეიფუსის საქმის მასალების შესწავლას. მისი წიგნი რისკის წინაშეა, რომ ცოტა ზედმეტად „იდეებით დატენილი" არ აღმოჩნდეს, მაგრამ მას მოსწონს „უხვად მოწოდება", განსაკუთრებით კი ძალას არ იშურებს „ერთდროულად გადატვირთული, შეკრული და ნათელი ნანარმოების შესაქმნელად". ამ მიზნით ის ადგენს დეტალურ გეგმას. ეს „მტკიცე არმატურა" მას თხრობის განონასწორების, დოკუმენტების სიჭარბის შენარჩუნების და ასევე თავისი ნარმოსახვის გარკვეულად შეზღუდვის საშუალებას აძლევს, რადგან ამბის, პერსონაჟებითა და პერიპეტიებით გაჯერებულ, პირველ ვერსიას „კალმის წვერს მინდობილი" წერს.

ეს თავისუფალი თხრობა, რომელიც შემდეგ უნდა გასხიპოს (შვიდას ორმოცდაათი გვერდია), ფიქციის განსხეულებაში ეხმარება; როგორც ანდრე ჟიდს უხსნის: „ობიექტური მწერალი იმას ნიშნავს, რომ მე თანამედროვე პროზაიკოსთა უმრავლესობისგან განსხვავებით, რომელთა ძირითად მასალას ინტიმური წყარო ნარმოადგენს, სანამ ჩემი მასალის შემოქმედების ნაწარმოებად ქცევას შევძლებდე, ის ჩემ გარეთ უნდა გავიტანო, უნდა განვიშორო, უნდა გამოვყო ჩემგან." რომანში განხილულ უამრავ სიუჟეტს შორის სამს – რელიგიის კრიტიკას, მატერიალისტური ფილოსოფიის გადმოცემას და დრეიფუსის პროცესს – უმეტესი ადგილი უკავია.

XIX საუკუნის ეკლესიის უდიდესი გასაჭირი ის გახლავთ, რომ უნდა გაუმკლავდეს რელიგიის რადიკალურ კრიტიკას საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მხრიდან. მაგალითად, როდესაც გეოლოგია მილიონი წლით განსაზღვრავს დედამიწის ასაკს, როგორღა ამტკიცონ,

რომ ის ოთხი ათასი წლის წინ შეიქმნა? ან როგორ უნდა დავიჯეროთ, რომ ცოცხალი არსებები არ შეცვლილან იმის შემდეგ, რაც არსებობენ, როდესაც ტრანსფორმიზმი ექსპერიმენტულად საწინააღმდეგოს ამტკიცებს? მეორე მხრივ, **რენანისა** და სხვა მეცნიერთა ნაშრომები, რომელნიც ქრისტიანული ეკლესიის სათავეებსა და მის განვითარებას, დოგმებსა და რწმენებს სწავლობს, ააშკარავებს ეკლესიის მიერ ისტორიის სწავლებისას დაშვებულ შეცდომებს. ეგზეგეტიკოსები, რომელნიც ბიბლიისა და სახარების კრიტიკული შესწავლით არიან დაკავებულნი, ბევრ შეუსაბამობას ცხადყოფენ. აქედან მოდის ახალგაზრდა ბარუას შეშფოთება: „მაშ, მთელი თანამედროვე ცოდნა რწმენასთან წინააღმდეგობაშია?!"

დიდი ხნის განმავლობაში კათოლიკური ეკლესია (პროტესტანტულისგან განსხვავებით) უარს ამბობდა კამათზე; პიუს IX-ის ანათემებმა ხელი ვერ შეუშალა მეცნიერების წინსვლას და მხოლოდ სხვაობა გაამძაფრა საეკლესიო დოქტრინასა და სამეცნიერო ნრეების კონცეფციას შორის. XIX საუკუნის ბოლოსთვის კათოლიკე ინტელექტუალებს, მღვდლებსა თუ საერო პირებს, მეტად საჭიროდ მიაჩნდათ თანამედროვე მეცნიერების ნაშრომთა ანგარიშის გაწევა: ეს ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელსაც საფრანგეთში მოდერნიზმი ეწოდება, ევროპის სხვა ქვეყნებში და შეერთებულ შტატებშიც არსებობს.

რმგ კარგად იცნობს ერთ-ერთ მოდერნისტთაგანს, **აბატ მარსელ ებერტს** (1851-1916). იგი მისი პროფესორი იყო კოლეჯში და შემდეგ მისი მეგობარი გახდა. მან შესთავაზა საზოგადოებას წმინდა წერილი პირდაპირი კი არა, სიმბოლური მნიშვნელობით განეხილათ. ესაა გადაწყვეტილება, რომელიც ჟან ბარუას აბატმა შერცმა გააცნო. მაგრამ 1907 ნელს პიუს X-მ უკუაგდო ყველა კომპრომისი და მოდერნისტები აიძულა დამორჩილებულიყვნენ. აბატმა ებერტმა ეკლესიის დატოვება არჩია, თუმცალა ძალიან იყო მას მიჯაჭვული. **რმგ** ძალზე დეტალურად მოგვითხრობს ამ კრიზისს, რომლის „ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილი მსხვერპლი" მისი მეგობარი შეიქნა და გასაგებია, რომ რომანს „ულრმესი პატივისცემის" ნიშნად მას უძღვნის.

რმგ თავის რომანში ნარმოგვიდგენს რელიგიის მეთოდურ, არგუმენტირებულ კრიტიკას, მაგრამ, ამავდროულად, დარწმუნებულია, რომ ზოგიერთი ადამიანისთვის რწმენა იმდენად ძლიერი სასიცოცხლო მოთხოვნილებაა, რომ არავითარ დასაბუთებულ მსჯელობას არ შეუძლია მისი შერყევა.

ბარუას ამის მნარე გამოცდილება თავისი ქალიშვილის – მარის – მაგალითზე აქვს, ვისზეც მისი ნაშრომების კითხვამ ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა, რადგან ის „თავის რწმენას ყოველგვარ მსჯელობაზე მაღლა აყენებს". ბარუას ისლა დარჩენია, თვითონ დააღწიოს თავი რელიგიას მეცნიერებების შესწავლის განმავლობაში. ზოგადად, გონი შესაძლოა რწმენაზე ძლიერი იყოს; ამის დამამტკიცებელი საბუთი არის ის, რომ ურწმუნოების პროგრესი სამეცნიერო ცოდნის ექსპანსიასთანაა დაკავშირებული, როგორც გვიხსნის ბარუა ტროკადეროში წაკითხულ მოხსენებაში.

ბარუა განსაზღვრავს თავის და თავისი მეგობრების ფილოსოფიას, როგორც „მეცნიერულ მატერიალიზმს", რადგან ის ეფუძნება მხოლოდ სამეცნიერო კვლევებს და შორსაა ყოველგვარი მეტაფიზიკისგან. სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებს უპირატესი როლი ენიჭებათ. აღსანიშნავია, რომ ბარუა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და ასოცირებული პროფესორია. ის თავის ანდერძში ამბობს: „ვფიქრობ, სიცოცხლის ყველა ფენომენი ჯერ კიდევ თუ არაა გაანალიზებული, ერთ დღეს აუცილებლად იქნება." – რაც შესაძლოა პასუხია **ბერგსონისთვის**, ვისთვისაც „აზროვნებას ახასიათებს სიცოცხლის ბუნებრივი გაუგებრობა". ამ ფილოსოფიის გადმოსაცემად **რმგ** უხვად დაესესხა (და აღნიშნა კიდეც) დიდი ბიოლოგის **ფელიქს ლე დანტეკის** (1869-1917) ნაშრომებს. მრავალი პუნქტით ეს ფილოსოფია უახლოვდება პოზიტივიზმს, თუმცა ძირეული განსხვავებაცაა. პოზიტივისტთა უმრავლესობა არ იყო ათეისტი, ისინი აგნოსტიკოსებად რჩებოდნენ, როგორც, მაგალითად, ლიტრე,[1] რომელსაც წარმოუდგენლად მიაჩნია ღმერთის არსებობის მტკიცება ან უარყოფა. XX საუკუნის დასაწყისში მატერიალიზმი, როგორც ეს აღნიშნულია რომანში, ჯერ კიდევ ნაკლებად იყო გავრცელებული.

სამაგიეროდ, **ლამარკისა** და **დარვინის** ევოლუციონიზმი კარგად იყო ფეხმოკიდებული სამეცნიერო წრეებში. ბარუა ერთ-ერთ თავის ლექციაში ნათლად გადმოგვცემს ტრანსფორმიზმის თეორიას, წარმოდგენილს როგორც „საბოლოოდ მიღებულ სამეცნიერო ჭეშმარიტებას", რომელიც „ძირეულად ცვლის თანამედროვე ფილოსოფიის საფუძვლებს" და, რომელიც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება სამყაროს შექმნის იდეას. ევოლუციის კანონები ასევე მიესადაგება იდეებს, მორალს, თვით ფილოსოფიას,

[1] ემილ მაქსიმილიან ლიტრე (1801-1881) ფრანგი ფილოსოფოსი და ლექსიკოგრაფი, განსაკუთრებით ცნობილია ფრანგული ენის ლექსიკონით.

რომელიც, მაშასადამე, არის „არსებითად ცვლადი, წარმავალი, კაცობრიობის აზროვნების განვითარებაზე მორგებული".

თავისი სიცოცხლის „მწუხრში" ბარუა ქრისტიანად მოექცა. ეს ინდივიდუალური მარცხია ავადმყოფობით იმ ზომამდე ლონემიხდილი ადამიანისა, როდესაც „მისი ინტელექტიდან აღარაფერი რჩება". მისი ცხოვრების „გარდატეხა" ასევე ემთხვევა მისი დროის ისტორიას, რომელიც იყო „მეცნიერების ისტორიის პათეტიკური მომენტი, უეჭველად მისი ყველაზე უფრო მძაფრი კონფლიქტის მომენტი რელიგიასთან მიმართებაში". ბარუას მოქცევა **აბატ ლევის**, რელიგიის გამარჯვებაა, მაგრამ ეს გამარჯვება ისეთ პირობებშია მიღწეული, რომ მას სრულიადაც ვერ ხდის დამაჯერებელს. **რმგ** ძალას და რუდუნებას არ იშურებს, რომ მოქცეულის გატანჯულ დასასრულს ლიუსის სიცოცხლის დასასრული დაუპირისპიროს, რომელიც „შეურყეველი რწმენით" და სრული გასხივოსნებით კვდება! ეს სამაგალითო სიკვდილი ძალიან ჰგავს მხატვარ **ეჟენი კარიერის** (1849-1906) სიკვდილს, რომელიც ასევე ათეისტი იყო.

დრეიფუსის პროცესი 1894 წლის 14 ოქტომბერს დაიწყო, როდესაც კაპიტანი ალფრედ დრეიფუსი დააკავეს გერმანიისათვის სამხედრო საიდუმლოებების მიწოდების ბრალდებით. სამხედრო საბჭოს მიერ დამნაშავედ მიჩნეულს ჩამოართვეს სამხედრო წოდება (1895 წლის 6 იანვარს) და გადაასახლეს გვინეაში. მხოლოდ 1906 წლის 20 ივლისს, უდანაშაულოდ ცნობის შემდეგ, ხელახლა აღადგინეს სამხედრო სამსახურში. როდესაც **რმგ** წერს თავის წიგნს, ოფიციალურად დრეიფუსის საქმე აღარ არსებობს, მაგრამ რეალურად პოლემიკა გრძელდება. თვითონ მხოლოდ მოგვიანებით – მას შემდეგ, რაც შეისწავლის – ინტერესდება დრეიფუსის საქმით და მონაწილეობას იღებს ჯერ კიდევ ცხარე კამათებში – მათ შორის თავის აშკარად ანტიდრეიფუსისტულ ოჯახთან!

დრეიფუსის პროცესი ერთ-ერთი გასაოცრად რთული საქმეა. თუ, თავიდან, საქმე მხოლოდ იურიდიული (სკანდალური) შეცდომის გამოსწორებას ეხებოდა, შემდგომი განვითარებისას ამ პროცესმა უკიდურესად მძიმე პრობლემები წამოჭრა, რომელიც ქვეყანაში არმიის როლს, სახელმწიფოსა და სამართლის, ეკლესიისა და რესპუბლიკის, მორალისა და პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულებას შეეხებოდა. **რმგ**-ს ნამდვილად ჰქონდა საფუძველი ეთქვა, რომ დრეიფუსის პროცესს „მისი ეპოქის გასა-

გებად უპირველესი მნიშვნელობა აქვს". პროცესის სრულად გადმოცემა შეუძლებელი იყო, რომელი ეპიზოდები შეარჩია მოსათხრობად?

პროცესის მისეული თხრობა 1896 წელს იწყება **ბერნარ ლაზარის** (1865-1903) ბროშურის გრძელი ციტატით, რომელიც გვიხსნის მთავარსარდლობის მაქინაციებსა და დრეიფუსის უდანაშაულობას. მაშ, „ჟან ბარუა" ისტორიული რომანი ხდება, სადაც მჭიდროდ არიან გადაჯაჭვულნი რეალური და გამოგონილი პერსონაჟები. ამგვარად, სენატორი ლიუსი ისევე მოქმედებს რომანში, როგორც რეალობაში სენატის ვიცე-პრეზიდენტი **შერერ-კეისტნერი**. „ქარიშხალში" რმგ აღწერს 1889-დან 1890 წლების დრეიფუსის საქმის ოთხ თვალსაჩინო ეპიზოდს. 1896 წლიდან 1897 წლამდე კამპანია სიმართლის დასადგენად საკმაოდ წინ წავიდა. გაცხადდა დამნაშავე – მეთაური ესტერჰაზი, რომელიც სამხედრო საბჭოს მიერ გასამართლდა, მსჯავრდადებულ იქნა და საქმის განხილვიდან სამი წუთის შემდეგ... გათავისუფლდა (1898 წლის 10 იანვარს)! უკიდურესად აღშფოთებული ზოლა გადაწყვეტს გამოაქვეყნოს სტატია „ბრალს ვდებ", რათა პროცესის პროვოცირება გამოიწვიოს და სიმართლეს ფარდა აეხადოს.[1] რმგ-ს ჰყოფნის გამბედაობა, ხელახლა წარმოგვიდგინოს ზოლას სასამართლო პროცესის სხდომის ანგარიში და თან მოკლე აღწერა დაურთოს. ის იურიდიულ კამათს ტრაგიკულ სცენად აქცევს, იარაღისა და მანტიის დაპირისპირების თანამედროვე ვერსიად. სასამართლო პროცესის დროს, დიდი მწერალი (მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მწერალი) თვითონვე უმართავს სასამართლო პროცესს სამხედრო შტაბის გენერლებს! ამგვარი სცენა წარმოუდგენელი იყო ერთი თვით ადრე. მას ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა, უცხოეთშიც.

ზოლა დასჯილია, მაგრამ ამდენი უსამართლობის შემხედვარე მრავალი ინტელექტუალი საბრძოლველად ისე ირაზმება, როგორც რომანში ბარუა და მისი მეგობრები. 1898 წლის აგვისტოში ანრის თვითმკვლელობამ, რომელიც ყალბი ფულის მოჭრაში იყო დადანაშაულებული, შეძრა საზოგადოებრივი აზრი. დრეიფუსი კვლავ გასამართლდა და კვლავ დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით მიესაჯა პატიმრობა! რესპუბლიკის პრეზიდენტმა შეიწყალა, გაათავისუფლეს, მაგრამ ურეაბილიტაციოდ. დრეიფუსისტები „დიდ გაუგებრობაში მოყვნენ", როგორც ლიუსმა თქვა 1900 წელს.

---

[1] სტატია გაზეთ „ორორში" 1898 წლის 13 იანვარს გამოქვეყნდა, ეს იყო საფრანგეთის პრეზიდენტის ფელიქს ფორისადმი მიმართული ღია ნერილი.

საქმე აქ არ დამთავრებულა. 1903 წელს, ჟორესმა, რომელიც 1898 წლიდან იბრძოდა, აიძულა მთავრობა ახალი გამოძიება დაენყო; 1906 წელს საკასაციო სასამართლომ დრეიფუსის რეაბილიტაცია მოახდინა. იგი ისევ ჩარიცხეს არმიაში და დაუბრუნეს სამხედრო ჩინი. **რმგ** არაფერს ამბობს იმ პოლიტიკურ ინიციატივებზე, რომელმაც უსამართლობის გამოსნორება შეძლო. ისიც მართალია, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსი დრეიფუსისტებს მხოლოდ ოპორტუნიზმის გამო შეუერთდა, „გამარჯვების მეორე დღეს, ამბობს ლიუსი, ისინი სიტუაციის ბატონ-პატრონნი შეიქნენ... ჩვენ ვიყავით დრეიფუსისტების მუშტი, ახლა კი ისინი გახდნენ დრეიფუსარების არმია".

ფრანგი მწერალი, ესსეისტი და პოეტი **პეგი** (1873-1914) ესსეში „ჩვენი ახალგაზრდობა" (1910) მისტიკას პოლიტიკოსებს უპირისპირებს, მაგრამ ეს ხშირად გამოყენებული ფორმულა, სულაც არ შეესაბამება სინამდვილეს. რომანის დრეიფუსისტები, როგორც მათი რეალური პროტოტიპები, არიან რაციონალისტები, რომლებიც იბრძვიან იმ ინტელექტუალური და მორალური ღირებულებების დასაცავად, რომლისთვისაც ადრეც უბრძოლიათ: „დღეს ჩვენი მონინააღმდეგე, ამბობს ბარუა, ჩვენი ოდინდელი მტერია". ანტიდრეიფუსარები მათ დაცინვით ინტელექტუალებად მოიხსენიებდნენ, მაგრამ დრეიფუსისტები თანხმდებოდნენ ცნობილნი ყოფილიყვნენ, როგორც სიმართლის უანგაროდ მაძიებელი განათლებული ადამიანები, რომელნიც რაციონალურ მეთოდს დრეიფუსის საქმის შესწავლას უსადაგებდნენ, და დარნმუნებულნი იყვნენ, რომ სიმართლეს, ჭეშმარიტებას იპოვიდნენ. „ჭეშმარიტების ძალა ჯიუტია, ამბობს ლიუსი, და ის მოვლენებს, საბოლოოდ, თავის კანონს უმორჩილებს". თვით ზოლაც ამბობს: „ჭეშმარიტება თუ დაიძრა, მას ვეღარაფერი შეაჩერებს". ინტელექტუალების დრეიფუსის საქმეში ჩართვის პრეტენზიამ სასტიკი რეაქცია გამოიწვია.

მაგალითად, ფრანგი ნაციონალისტების მეთაური **ბარესისთვის** (1862-1923) „არ არსებობს აბსოლუტური ჭეშმარიტება, არსებობს მხოლოდ ფრანგული ჭეშმარიტება", „ინტელექტუალები კი საზოგადოების მხრიდან ელიტის შექმნის ფატალური მცდელობის, ამაო ძალისხმევის ნაყარნუყარები არიან."

რმგ-მდე ბევრმა დიდმა ფრანგმა ავტორმა დაწერა ნაწარმოებები დრეიფუსის საქმეზე; ესენია **ემილ ზოლა, რომენ როლანი, ანატოლ**

ფრანსი, ბარესი, პრუსტი. მაგრამ ეს მწერლები იმდენი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ სიძულვილისა და მრისხანების გარემოში, რომ ეს მათ ნაწერებშიც აისახა. **რმგ**-მაც აირჩია ბრძოლის ველი, მაგრამ მოთოკა თავისი თავდასხმები ანტიდრეიფუსარების მისამართით, რაც დიდი დანაკლისია ამ ეპიზოდისათვის. მაგალითად, **რმგ** არაფერს ამბობს მორასელების სამარცხვინო ანტისემიტურ კამპანიაზე (მორასელები იყვნენ ფუნდამენტური ნაციონალისტები XX საუკუნის დასაწყისში, ხოლო ფრანგი ჟურნალისტი, ესსეისტი, საზოგადო მოღვაწე და პოეტი, საფრანგეთის აკადემიის ნევრი 1938 წლიდან, შარლ-მარი-ფოტიუს მორასი (1868-1952) ფუნდამენტური ნაციონალიზმის თეორეტიკოსი). იგი აგრეთვე ცდილობს შევიდეს სამხედრო მოსამართლეთა მდგომარეობაში. ამგვარი ქმედებით **რმგ**-ს სურდა „განეწმინდა" დრეიფუსის პროცესი და თავისი თხრობა იმგვარად ნარემართა, რომ ხაზი გაესვა იმ საკითხების მნიშვნელობაზე, რომელიც ინტელექტუალთა ჩარევამ დასვა. ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისთვის ბრძოლისას ისინი აღვიძებდნენ მოქალაქეთა სინდისს და „პოლიტიკის მორალიზაციის" დიდი ამბიცია ჰქონდათ. **ლევ ტოლსტოი** არ ცდებოდა, როდესაც ამბობდა: „დიდი ბედნიერებაა საფრანგეთისთვის, რომ ამგვარი პრობლემა დადგა მისი სინდისის წინაშე".

„ჟან ბარუას" დაწერამდე ათიოდე წლით ადრე, **რმგ**-მ რომანის ტრადიციული ფორმის შეცვლა გადაწყვიტა. მისი „დიდი იდეა" იყო რომანის ხელოვნების უპირატესობების (მისი ფართომასშტაბურობის, თავისუფლების, გამოხატვის საშუალებათა მრავალფეროვნების, ნიუანსობრივი სიმრავლის, რომელსაც რომანისტის პალიტრა გვთავაზობს) შეთანხმება დრამატული ხელოვნების პრივილეგიებთან (იმ წარმტაც შთაბეჭდილებასთან, რომელსაც მსახიობთა ყოფნა ბადებს). სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესაძლებელი უნდა გამხდარიყო მკითხველისთვის „მაყურებლის თვალთახედვის" გამომუშავება. ამ მიზნის მისაღწევად, თხრობას დიალოგიზირებული რომანის ფორმა უნდა მიეღო. ჟან ბარუაში, ტექსტი თავებად კი აღარაა განაწილებული, არამედ თანმიმდევრულ სცენებად, როგორც თეატრალურ პიესაში, თუმცა, მართალია, იმ განსხვავებით, რომ **რმგ**-მ დაუმატა – მრავალრიცხოვან დიდასკალიებზე ლაპარაკის გარეშე – აღწერები, სხვადასხვა მინიშნებები და შენიშვნები, რომლებიც აზუსტებენ მოქმედების გარემოებებს, პერსონაჟთა რეაქციებს და ა.შ. მართლაც ძნელი იყო წონასწორობის პოვნა დიალოგებსა და თხრობით თუ აღწერით პასაჟებს შორის ისე, რომ ყურადღება სცენიდან არ გადატანილიყო. **რმგ**-მ

ბევრად უკეთ შეძლო ამბის „მოკლედ და ცხადად“ გადმოცემა, რადგან დარწმუნებული გახლდათ, რომ **ბალზაკისა** თუ **ზოლას** გამონვლილვითი აღნერები აღარ შეესაბამებოდა XX საუკუნის მკითხველის მსოფლაღქმას. „ვოკიერების პანსიონის აღწერა, ამბობს **რმგ**, აუცილებელი იყო ბალზაკისდროინდელი მკითხველისათვის“, რაც საჭირო აღარაა „თანამედროვე საზოგადოებისთვის, რომელიც უფრო სწრაფად იგებს და აღიქვამს, ვიდრე წინანდელი მკითხველი, მისთვის ზუსტი და მოხერხებული მინიშნება საკმარისია, რადგან თანამედროვე თვალი განვითარდა, აღიზარდა“. „სწრაფი, ცვალებადი, აჩქარებული“ ცხოვრებით მცხოვრებ მკითხველზე მოსარგებად **რმგ**-მ „დაჩეხილი“, „კინემატოგრაფიული“ სტილი გამოიყენა. მისეული აღწერა „ესკიზი კი არა, სინთეზია“. ის ინყებს ნერას, შემდეგ კი გადახაზვას, შემჭიდროებას, შემოკლებას, ამოღებას და მხოლოდ მთავარსა და ძირითადს გამოკვეთს.

დიალოგიზირებული სცენების გვერდით, ნახავთ ნერილებს, დღიურებს (აბატ ლევის დღიური), რაც თხრობის ფორმის ცვლისა და მრავალფეროვნების საშუალებას იძლევა. უფრო გაბედულად წარმოგვიდგენს **რმგ** რეალურ „დოკუმენტებს“, ნაწყვეტებს ბ. ლაზარის ბროშურიდან და ზოლას პროცესიდან. ფიქციაში ტექსტი-დოკუმენტის ჩართვით იგი ცდილობს სინამდვილის ელფერი შესძინოს მონათხრობს. ეს სხვადასხვა ქმედება კითხვის პროცესის ცვალებადობის საშუალებას იძლევა, მათი მიზანი „ინტენსიური და მიმგვანებული მანერით ცხოვრების გაცოცხლებაა“.

ესაა **რმგ**-ს უმთავრესი საზრუნავი, და იგი მისი მუშაობის მეთოდში მჟღავნდება. მან დასამუშავებელი სიუჟეტის შესახებ უამრავი საბუთი შეკრიბა; ამას ის „სკამზე დანებებულ მუშაობას“ ეძახდა. მაგრამ „ქარზე ცხვირმიშვერილი“ მუშაობაც სჭირდებოდა. როგორც ყველა დიდი რომანისტი, **რმგ**-ც გატაცებული დამკვირვებელია... მის მეხსიერებაში სხვა, ცოცხალი ცხოვრებიდან აღებული, დოკუმენტები იყრის თავს, რომელიც თავისთავადი და უნიკალური პერსონაჟების შექმნაში ეხმარება.

„ჟან ბარუაში“ ის ცხოვრებას მოგვითხრობს, მთელ ცხოვრებას, თავისი გმირის ცხოვრების აღწერით. მისი მსოფლმხედველობა იმ რომანისტის მსოფლმხედველობაა, ვისთვისაც რომანი, უპირველეს ყოვლისა, რომანია, თუნდაც იდეური.

რომანი დასრულებისთანავე წასაკითხად **გასტონ გალიმარს** მისცა; **ანდრე ჟიდმა** და **ჟან შლუმბერგერმა** გადახედეს და „უყოყმანოდ" გადაწყვიტეს დაებეჭდათ. განზე თუ გადავდებთ ანტიდრეიფუსისტულ პრესას, რომელიც მხოლოდ მტრული შეიძლებოდა ყოფილიყო, კრიტიკამ რომანი კეთილგანწყობილად მიიღო, საზოგადოებამ კი, კიდევ უფრო კეთილგანწყობილად, 1913 წლის ნოემბრიდან 1914 წლის ივნისამდე წიგნი ხუთჯერ გამოიცა.

რმგ უფრო ტიბოს ოჯახის ავტორობითაა ცნობილი, მაგრამ ჟან ბარუასაც არ მოჰკლებია მრავალრიცხოვანი მკითხველი; განსაკუთრებით ახალგაზრდებშია პოპულარული, იმ თაობაში, რომლებიც წიგნისგან დახმარებას, თავიანთ პიროვნულ და მორალურ განმტკიცებას მოითხოვენ.

ანდრე დასპრი

P. S. **რმგ**-ს თხზულებათა სრული კრებული ორმოცდაათიან წლებში **ალბერ კამიუს** წინასიტყვაობით გამოიცა, პლეადის ბიბლიოთეკაში.

ლიტერატურის ნობელის პრემია როჟე მარტენ დიუ გარს 1937 წელს მიენიჭა.

ბატონ მარსელ ებერს

თქვენი რელიგიური გრძნობა ამ წიგნის ზოგიერთი ტენდენციების გამო მხოლოდ შეურაცხყოფილი დარჩება. ეს კარგად მესმის; და მით უფრო გმადლობთ, რომ დამთანხმდით ეს წიგნი თქვენთვის მომეძღვნა.

თქვენი სახელი ამ ფურცლების ზღურბლზე მხოლოდ ჩემი თქვენდამი უღრმესი პატივისცემისა და ცხოველი მიჯაჭვულობის მონმობაა, რაც, აგერ უკვე ოცი წელია, მაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს წიგნი მიიპყრობს ყველა იმ ადამიანის ყურადღებას, ვინც თქვენი აზროვნების კეთილშობილებასა და თქვენს მდიდარ კრიტიკულ მოღვაწეობას იცნობს, და ჩემზეც აირეკლება ის სერიოზული ყურადღება და ღრმა მოწიწება, რაიც თან ახლავს თქვენს მრავლისმეტყველ, თვითშეწირულ ცხოვრებას.

როჟე მარტენ დიუ გარი
1913 წლის ოქტომბერი

პირველი ნაწილი

სიცოცხლის გემო

I

1878 წელი, ბიუი-ლა-დამი (უაზი).

ქ-ნ ბარუას ოთახი.

მწუხრი. ფარდების უკან დარაბებისგან თეთრად და შავად დაღარული მთვარე. მისი შუქი იატაკზე გამოკვეთს კაბის ბოლოსა და კაცის ყელიან ფეხსაცმელს, რომელიც ჩუმად ტაქტის აყოლებით მოძრაობს. ორი სუნთქვა; ორი, ერთი მოლოდინით გაშეშებული, ადამიანი.

დროდადრო, მეზობელ ოთახში რკინის საწოლის ჭრიალი; ბავშვის ხმა, ყრუ, სიზმრისა თუ ბოდვის ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები. შეღებულ კარში ღამის ნათურის მოძრავი ანარეკლი.

ხანგრძლივი პაუზა.

ექიმი *(ხმადაბლა)*: ბრომი მოქმედებს, ღამე უფრო მშვიდი იქნება.

ქ-ნი ბარუა მძიმედ დგება და თითის წვერებზე, კარს უახლოვდება; კარის საგდულს დაყრდნობილი – უძრავი და ტკივილით აღვსილი სახე-ნიღაბი, ნახევრად დახრილი თვალები – დაჟინებით იყურება განათებულ ოთახში.

ქ-ნი ბარუა – მაღალი მოხუცი ქალი, დეფორმირებული მუცლით, მძიმე სიარულით. ღამის ნათურის უხეში ბრწყინვა დაუნდობლად იქექება მის განადგურებულ სახეზე. კანი ყვითელია, გადაჭიმული; ჩრდილი ხაზს უსვამს შეშუპებულ თვალებს, ჩამოკიდებულ ლოყებს, გაბერილ ტუჩებს, ღაბაბს. უდრეკი გულკეთილობა, ცოტა შეზღუდული; ჯიუტი ალერსიანობა; თავშეკავება.

რამდენიმე წუთი.

ქალბატონი ბარუა *(ხმადაბლა)*: სძინავს.

მზრუნველად ხურავს კარს, ანთებს ლამპას და ჯდება.

ექიმი *(ხელს პკიდებს დედას ხელზე და, ჩვეულების გამო, თითებს მისი პულსისკენ აპარებს)*: დედიკო, თქვენც, თქვენც გადაგქანცათ ამ მგზავრობამ.

ქ–ნი ბარუა თავს იქნევს.

ქალბატონი ბარუა *(ხმადაბლა)*: ვგრძნობ, ჩემზე გაბრაზებული ხარ, ფილიპ, ჟანი იქ რომ წავიყვანე.

ის არ პასუხობს.

ექიმი ბარუა – ორმოცდათექვსმეტი წლის, პატარა, მარდი, მხნე; ცოცხალი და ზუსტი მოქმედებები.

ბალანი უკვე გაჭაღარავებული. თხელი, წამახული, სახე, ცხვირის წვერი ჩაკვეთილი; ისარივით გატყორცნილი, ბოლოში გასანთლული, გაწკეპილი ულვაშები; წაწვეტებული წვერი; კეთილი და ეშმაკური ნახევარღიმილი უწვრილებს ტუჩებს; მოუსვენარი და გამჭოლი თვალი ბრწყინავს ორ ხანმოკლე ცეცხლად მონოკლის უკნიდან.

ქალბატონი ბარუა *(პაუზის შემდეგ)*: იცი, აქ, ყველამ მირჩია... და ჟანმაც გული გამიწვრილა, ჩამწერეო! წინათგრძნობა ჰქონდა, ჩემს პაწაწას, რომ ავადმყოფობისგან განკურნებული დაბრუნდებოდა. მთელი ამ მგზავრობის განმავლობაში სულ ბერნადეტის ამბავს იხსენებდა...

ექიმმა ლორნეტი მოიხსნა. ახლომხედველის მზერა, სინაზით სავსე. ქ-ნი ბარუა დადუმდა. მათი ფიქრები იკვეთება და ერთმანეთს ემთხვევა, მთელი წარსული თვალწინ ეშლებათ.

ქალბატონი ბარუა *(ცისკენ თვალაპყრობილი)*: დიახ, შენ ველარ გებულობ... ჩვენც ველარ ვუგებთ ერთმანეთს, მე და შენ, მე და ჩემი შვილი! აი, რად გაქციეს პარიზში, აი, რა გააკეთეს იმ ბავშვისგან, შენ რომ იყავი...

ექიმი: ჩემო საბრალო დედიკო, ნუ ვიკამათებთ... მე თქვენ არაფერს გსაყვედურობთ. არაფერს, იმის გარდა, რომ ძალზე გვიან შემატყობინეთ, უარის თქმას აზრი აღარ ჰქონდა... ჟანს არ შეეძლო ამგვარი მოგზაურობის ატანა, მატარებლით, ომნიბუსით, მესამე კლასით...

ქალბატონი ბარუა: შვილო, ხომ არ აჭარბებ? შენ ამ საღამოს ნახე სიცხიანი, მბოდვარე... მაგრამ არ გინახავს მთელი ამ ზამთრის განმავლობაში...

ექიმი *(მზრუნველი)*: არა, მთელი ზამთარი არ მინახავს.

ქალბატონი ბარუა *(გულმოცემული)*: იმ ბრონქიტის შემდეგ, მართალია, ძველებური იერი აღარ დაბრუნებია... უბრალო რამეზე წუწუნებდა, აქ... მაგრამ, გარწმუნებ, სულაც არ ჰქონდა ავადმყოფი ბავშვის სახე... ხშირად, საღამოობით, მხიარული იყო, ძალიან მხიარულიც...

ექიმმა მზრუნველად მოირგო ლორნეტი და დედამისისკენ გადაიხარა; მისი ხელი აიღო.

ექიმი: საღამოს ძალზე მხიარული... ჰო... *(თავი გაიქნია.)* რა მალე გავინყდებათ წარსული, დედიკო.

ქალბატონი ბარუა *(ჯიუტი)*: ამაზე, ჩემო შვილო, შენ იცი რასაც ვფიქრობ. მე არ მინდა დავიჯერო, რომ შენს საყვარელ ცოლს ჰქონდა... ის, რასაც შენ ფიქრობ. ის პარიზმა მოკლა, როგორც ათასი სხვა!

ექიმი თავს ხრის. ძლივს უსმენს. ლამპის შუქზე ხედავს ხელს, რომელსაც მექანიკურად ეფერება, მძიმე, ნაჯაფ, რბილ, ლაქებიან, დეფორმირებულთითებიან ხელს. თავის სიყმაწვილეში უეცრად მიბრუნებული ეხება ამ განვრილებულ, გასაწყვეტად გამზადებულ, საქორწინო ბეჭედს, რომელიც ახლა გასიებული სახსრების ტყვეობაშია მოქცეული, სიცოცხლის ბოლომდე... და უეცრად, ალბათ პირველად თავის ცხოვრებაში, გარდაუვალისგან თავისდაღწევის, ტირილის ლაჩრული სურვილით შეპყრობილს ბაგესთან მიაქვს ეს ძნელადღა საცნობი ხელი, რომელიც მაინც არც ერთ სხვა ხელში არ აერევა.

უხერხულობაში ჩავარდნილი ქ-ნი ბარუა ხელს უკან სწევს.

ქალბატონი ბარუა *(მკვახედ)*: და კიდევ, ჟანი სულ ჩვენ გვგავს... შენი ასლია, ხომ ხედავ! ყველა ამას ამბობს! ამ ბავშვს არაფერი სცხია დედამისის...

პაუზა.

ექიმი *(თავის თავს, მოლუშული)*: ისეთი დაკავებული ვიყავი, მთელი ზამთარი... *(ახსენდება, რომ პასუხი არ გაუცია დედისთვის. სიყვარულით მიუტრიალდება.)* ასეთ შემთხვევაში, ძნელია ჩემი პროფესია, დედა... ავადმყოფი შვილი, პარიზიდან რამდენიმე საათის სავალზე... და გითრევს დროის დინება, დრო გადის, საათი საათს მიჰყვება, ხარჯავ დროს, სხვებისთვის... ცისმარე დღეს, როდესაც ვიზიტზე ენერებიან, უნდა იფიქრო ამ განრიგის ფურცელზე, რომელსაც შეუვსებელს ვერ დატოვებ... ოჰ, რომ შემეძლოს ყველაფრის მიტოვება, აქ გადმოსვლა მასთან, თქვენთან ახლოს!... *(გულგანგმირული)* მაგრამ არ შემიძლია. ეს შეუძლებელია.

იხსნის პენსნეს, ამშრალებს, ცოტა ხანს ჩაფიქრდება, შემდეგ თავის ადგილზე აბრუნებს, თითქოს რაღაც მტკიცე გადაწყვეტილება მიიღოო. სიტყვები მოკლე, დაბეჯითებითი – პროფესიონალური ხდება.

ექიმი: უნდა გავაორმაგოთ ყურადღება, დღედაღამ, სენი ძირისძირობამდე უნდა ამოიძირკვოს...

ქალბატონ ბარუას ურწმუნო ეესტი წასცდება.

ექიმი ანაზდეულად ჩერდება და დედამისს სწრაფად ათვალიერებს. დაბნეულობის წამი: ისეთი, ოპერაციის დროს რომ აქვს ხოლმე, როცა დაუყოვნებლივ უნდა შეცვალოს სამოქმედო გეგმა. შემდეგ მზერა მახვილდება, ზუსტდება, ახალი გადაწყვეტილება.

ხანგრძლივი სიჩუმე.

II

რვა დღის შემდეგ, კვირა დილას.

ექიმი *(შედის ჟანის ოთახში)*: გამარჯობა, ჩემო პატარავ. როგორ ვართ, ამ დილას? ამ კარგ, მზიან ამინდში ფანჯარა დაკეტილია?

ის ბავშვის ხელს იღებს და თავის წინ დებს, დღის შუქზე.

ექიმი: ენა... კარგი... კარგად გეძინა ამ კვირაში? არც ისე? ისევ ხვანხვალებ ლოგინში? გეღვიძება, იმიტომ რომ ძალიან გცხელა? აჰ... *(ლოყაზე მოთათუნება)* გაიხადე, უნდა გაგსინჯო.

ჟანი – თორმეტი წლის ბიჭი, ფერმკრთალი. დახვეწილი ნაკვთები, უხასიათო. მზერა უფრო პიროვნულია, ალერსიანი, ჩაფიქრებული, უსიხარულო. უძლური ტორსი; თხელ მოლილისფრო კანზე ნეკნების ნაკვალევი ხაზგასმით მოჩანს.

ექიმი: ახლა, ვნახოთ... მიაყრდენი ზურგი კედელს, როგორც წინა ჯერზე; ხელები ჩამოუშვი... ნიკაპი ასწიე, პირი გააღე... ასე... *(იხსნის მონოკლს)* ღრმად ისუნთქე, თანაბრად... კიდევ...

უსმენს; ტკივილიანი სახე, მოხამხამე თვალები.

სამყაროსგან თავისი ახლომხედველობითა და დაძაბული ყურადღებით გათიშული მამის კაეშანი. ბავშვის უზრუნველო-

ბა, რომელიც ამთქნარებს და ცას გაჰყურებს.

ხანგრძლივი გასინჯვა.

ექიმი *(უბრალოდ)*: კარგი, ჩემო პატარავ, შეგიძლია ჩაიცვა... *(ძალზე ნაზი ღიმილი)* ახლა, აი, რას გთავაზობ: ჩავიდეთ ბაღში და მშვიდად ვისაუბროთ, მზის გულზე, სანამ შენი დიდედა წირვიდან მობრუნდება. რა?

ჟანი: დიდედა მარტო არ უნდა წასულიყო... *(მშვიდი.)* დღეს სულთმოფენობაა, მამა... მინდოდა...

ექიმი *(წყნარად.)*: არა, ჩემო პატარავ, ეს არ იქნებოდა გონივრული. სიარულისას ცხელა, ეკლესიაში კი ძალიან გრილა.

ჟანი: ისე ახლოა...

ექიმი: და კიდევ, სამ საათზე უნდა წავიდე მატარებლით. ამ საღამოს, პარიზში ავადმყოფი მყავს დაბარებული კონსულტაციაზე... მინდა ცოტა ხანი შენთან ერთად გავატარო, ხომ გესმის? *(ტონის შეცვლა)* სერიოზული სალაპარაკო მაქვს შენთან, ძალიან სერიოზული... *(დრო)* ჩავიდეთ!

ბარუების ძველი სახლი ქალაქის თავზეა. შენობა, ეზოს სიღრმეში, ზურგით სამრეკლოსა და ეკლესიასაა მიბჯენილი; ორი დაბალი, კრამიტით გადახურული ფრთა ქუჩისკენ მოემართება; ციხის კედელი მათ კრავს, რომელსაც ფართო ჭიშკარი კეტავს.

ამგვარად ჩაკეტილი სივრცე ნახევრად ეზო, ნახევრად ბაღია. დღეში რამდენჯერმე ზარების რეკვა პირამდე ავსებს ამ მუსიკალურ ჭას, ატორტმანებს, ლამისაა კედლები ჩამოაქციოს.

ექიმს ჟანი ვაზის ტალავრამდე მიჰყავს.

ექიმი *(ნაძალადევი მხიარულებით)*: მოდი, აქ დაჯექი... აქ კარგად მოვთავსდით...

ჟანი *(ლამისაა იტიროს, არც კი იცის, რატომ)*: დიახ, მამა.

ექიმი თავის საავადმყოფოსეული იერით, პენსნეიანი, სერიოზული და თვალარიდებული მზერით.

ექიმი *(მტკიცედ)*: აი, ორიოდე სიტყვით რა უნდა გითხრა, ჟან, შენ ავად ხარ...

პაუზა. ჟანი არ იძვრის.

ექიმი: შენ უფრო მძიმედ ხარ ავად, ვიდრე გგონია. *(კვლავ პაუზა. ექიმი თვალს არ აცილებს ბავშვს.)* მინდა ეს იცოდე, რადგან, თუ შენს

თავს აქტიურად არ მოუარე, შესაძლოა, მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდეს... ძალიან, ძალიან დამძიმდეს...

ჟანი *(ცრემლს იკავებს)*: მაშ, უკეთ არ ვარ?

ექიმი თავს აქნევს.

ჟანი: კი მაგრამ, რაც ლურდში მოხდა? *(ერთ წამს ჩაფიქრდება)* იქნებ ჯერ არ ჩანს შედეგი...

ექიმი: იქ რა მოხდა, მე არ ვიცი. მე მხოლოდ ამას გეუბნები: დღეს, შენ... ძალზე სერიოზულად ხარ დაავადებული.

ჟანი *(ნახევრად გაღიმებული)*: რა მჭირს?

ექიმი *(წარბებშეჭმუხნული)*: შენ გაქვს... *(ხანგრძლივი ყოყმანი)* მოიცა, აგიხსნა, მისმინე და შეეცადე გაიგო, რასაც გეტყვი... დედაშენი... *(იხსნის მონოკლს, წმენდს და შესაქერის ჟანს ახლომხედველისთვის დამახასიათებელი მზერით.)* დედიკოსი არაფერი გახსოვს?

ჟანი, უხერხულობაში ჩავარდნილი, თავს უარყოფის ნიშნად აქნევს.

ექიმი: დედაშენი, ახალგაზრდობაში, აქ ცხოვრობდა, სოფელში; თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ არ იყო ფიზიკურად ძლიერი. ჩვენი დაქორწინების შემდეგ, საჭირო გახდა ჩემ გამო პარიზში გადმოსულიყო საცხოვრებლად. შენმა დაბადებამ ძალიან გადაქანცა... *(ამოსუნთქვა)* ამ დროიდან დაიწყო ავადმყოფობა... *(დაჟინებული)* თავიდან ინფექციური ბრონპიტი... იცი რა არის?

ჟანი: ჩემსავით?

ექიმი: ...კარგად ვერ გამოჯანმრთელდა, მძიმე ღამეებს ატარებდა, ლოგინში ბორგავდა, სიცხიანი... *(ბავშვის რეაქცია)* სულ გრძნობდა ტკივილს ამ წერტილში... *(იხრება, გაბედულად.)* აი, აქ...

ჟანი *(დამფრთხალი)*: ჩემსავით?

ექიმი: როდესაც შევნიშნე, რომ ავად იყო, მინდოდა ემკურნალა. ვუთხარი ყველაფერი, რის თქმასაც დღეს შენ გიპირებ. საუბედუროდ, არაფერი გამიგონა... *(პაუზა. ყოყმანი სიტყვების არჩევისთვის, მაგრამ ძალზე მტკიცე ხმა.)* დედაშენი, ძალიან კარგი ქალი იყო, წყნარი, მოსიყვარულე, ერთგული... ძალიან მიყვარდა... ჩემზე ბევრად ახალგაზრდა იყო... ზედმეტად მორწმუნე... *(გადაღლილი)* ვერასდროს ვერავითარ გავლენას ვერ ვახდენდი მასზე... ყოველდღე მხედავდა, როგორ ვმკურნალობდი ხალხს, როგორ რჩევებს ვაძლევდი, მაგრამ მაინც არ სჯეროდა ჩემი... და კიდევ, ვერ ხედებოდა, რომ ავად იყო, თავს შეუძლოდ არ გრძნობდა. მე საავადმყოფოში დავიწყე მუშაო-

ბა, ძალიან დაკავებული ვიყავი. არ შემეძლო მისთვის სათანადოდ მედევნებინა თვალყური. მინდოდა აქ გადმომეყვანა, სუფთა ჰაერზე; უარი მითხრა... ხველება დაეწყო... იყო კონსულტაციები... უკვე ძალზე გვიანი იყო... *(პაუზა)* ჰოდა... ძალიან სწრაფად... ზაფხული... შემოდგომა, ზამთარი... გაზაფხულზე უკვე აქ აღარ იყო...

ჟანი ცრემლად იღვრება.

ექიმი ყურადღებით, ცივად შეპყურებს, გაუნძრეველად. ასე ელის ხოლმე ავადმყოფის სასთუმალთან ინექციის ეფექტს.

რამდენიმე წუთი.

ექიმი: ამას იმიტომ არ გიყვები, ჩემო პატარავ, რომ დაგზაფრო. ვცდილობ, როგორც კაცი კაცს, ისე გელაპარაკო, რადგან ეს აუცილებელია... შენ დედაშენისგან მემკვიდრეობით მიიღე ამ ავადმყოფობისადმი მიდრეკილება. მიდრეკილება, გესმის? მეტი არაფერი. ანუ, თუ აღმოჩნდებოდი გარკვეულ არასასურველ პირობებში, იმავე დაავადებას შეეძლო შენთვის ხელი დაერია.

და სწორედ ასეა საქმე. ამ შემოდგომიდან, ზოგადი სისუსტის ფონზე, რაც გადაუდებელია... სასწრაფოდ გადაუდებელი...

გულგახეთქილი ჟანი უეცრად სკამიდან ჩამოცურდა და მამამისის ფეხებთან დავარდა, რომელმაც მოუხერხებლად მიიხუტა.

ექიმი: ნუ გეშინია, ჩემო პატარავ, ნუ გეშინია! მე აქ ვარ.

ჟანი *(ქვითინით)*: ოჰ, არ მეშინია... მე უკვე მესიზმრა... რომ ცაში ვიყავი...

ექიმი უხეშად იშორებს და თავის წინ აყენებს.

ექიმი *(მძვინვარედ)*: საქმე სიკვდილი კი არაა, ჟან, არამედ სიცოცხლე. შენ შეგიძლია თავი დაიცვა, გადაირჩინო, ჰოდა, გადაირჩინე!

გაოგნებული ბიჭი წყვეტს ტირილს. შესცქერის მამას. უნდა, ნამდვილად უნდა მუხლებზე დაისვას, მოეხვიოს. მონოკლის ცივ ანარეკლს ეჯახება.

ახალი შეგრძნება, რიდი, ცოტაოდენი გამწარება; მაგრამ ინტელექტისა და ძალის აღმასვლა – აბსოლუტური ნდობა, რწმენა.

ექიმი: შენ არ იცი... ადამიანის სხეული ჩვენ ჰარმონიული, მოწესრიგებული გვეჩვენება, არა? კეთილი, ის კი მხოლოდ ბრძოლის დიდი ველია... აქ მილიარდი უჯრედი ერთმანეთს ეჯახება და ჭამს... აგიხსნი ამას. მილიონობით მავნე პატარა არსებები განუწყვეტლივ გვესხმიან

თავს, იერიშზე გადმოდიან, და, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ტუბერკულოზი, რომელიც უსაფრდება ამ ავადმყოფობისკენ მიდრეკილს, ისეთს, როგორიც შენ ხარ... მაშ, ეს ძალიან მარტივია: თუ ორგანიზმი ძლიერია, მას უკან ახევინებს, თუ დაბეჩავებულ-დასუსტებულია, დაპყრობის ნებას აძლევს...

(ჟანის მკლავს ხელს უჭერს და სიტყვებს გამოკვეთილად ამბობს) მოკლედ, არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება, ერთადერთი: უნდა მოძლიერდე, რაც შეიძლება ჩქარა, რომ დაამარცხო. გამოჯანმრთელება შენს ხელთაა, საკმარისია მოინდომო! შეები ამ საქმეს! ეს მხოლოდ ენერგიის და შეუპოვრობის საკითხია... გესმის?... არსებობა მთლიანად ბრძოლაა; სიცოცხლე გამარჯვებაა, რომელიც გრძელდება... აჰ, მალე შეამჩნევ ამას, თუ ნამდვილად მოინდომებ!

ბავშვი ინსტინქტურად კვლავ მიეკრო მამას.

ექიმი *(ხელს ხვევს)*: რომ შემეძლოს, ჩემო პატარავ, ჩემი ავადმყოფების, ჩემი კლინიკის, ჩემი საოპერაციო ოთახის მიტოვება და შენთვის თავის მოძღვნა, გიხსნიდი ამ განსაცდელისგან, თავს ვდებ... *(მხნედ)* კარგი, რაც მე არ შემიძლია, რისი გაკეთების უფლებაც მე არ მაქვს, შენ თვითონ, შეძლებ, ჩემი ხელმძღვანელობით. *(სახეში ჩაჰყურებს.)* გსურს?

ჟანი *(დიდი აღფრთოვანებით)*: ოჰ, მამა, გპირდები... ყველაფერს გავაკეთებ... დავიწყოთ...

პაუზა. ექიმი იღიმება.

ჟანი *(ჩაფიქრების შემდეგ, ხმადაბლა)*: აბატი ჟოზიე პარაკლისს გადამიხდის...

ექიმი *(ნაზად)*: თუ ასე გსურს, მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი. ამ წუთისთვის უფრო სასწრაფო ქმედებებია საჭირო.

ჟანი ერთი ნაბიჯით უკან იხევს.

ექიმი *(დინჯად)*: კარგად გამიგე, ჩემო პატარავ, და დამიჯერე, რასაც გეუბნები... გიმეორებ, შენმა საბრალო დედიკომ იმიტომ ვერ გაუძლო, იმიტომ გარდაიცვალა, რომ არ მენდო, ჩემი რწმენა არ ჰქონდა...

ბავშვი კვლავ უახლოვდება.

ექიმი: ხომ კარგად იცი, შენი წყენინება არ მინდოდა. აგრეთვე დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ბრძოლაში შენი ღვთისმოშიშობა დაგეხმარება. გაითვალისწინე, ერთი ანდაზაა: ღმერთო მიშველეო! – ხელი გაანძრიე და გიშველიო! ილოცე მთელი გულით, ჩემო პატარავ, მაგრამ

არასდროს დაივიწყო, რომ ყველაფერი მკურნალობას და ჰიგიენას უნდა ექვემდებარებოდეს, რომელსაც მე დაგინიშნავ – *(დამაჯერებელი მგზნებარებით)* თვით ლოცვაც, ხომ გესმის? ჟან, თუ გინდა, რომ გამოჯანმრთელდე, ეს მკურნალობა ბეჯითად უნდა ჩაიტარო, მე მარტო კეთილ ნებაზე ან უბრალოდ მიყოლაზე კი არ ვლაპარაკობ, ხომ კარგად გესმის, ძვირფასო?...

მთელი ძალით, სულთმოფენობის ყველა ზარმა ამცნო ამაღლება.

ექიმი იძულებული გახდა ხმისთვის აეწია, ეყვირა ამ მოგუგუნე, გამაყრუებელ ხმაურში.

ექიმი: ...არც მხოლოდ სიმამაცეზე, არამედ გატაცებით, დაჟინებით მოქმედებაზე, უდრეკ, უკანდაუხეველ გამძლეობაზე! დინების საწინააღმდეგოდ ცურვის გააფთრებულ სურვილზე, ძალთა დამორჩილებაზე, ავადმყოფობის, სიკვდილის განდევნასა და ძლევაზე! სიცოცხლის გაშმაგებულ, დაუძლეველ წყურვილზე!... სიცოცხლის, ჟან... ერთხელ და სამუდამოდ კარგად შეიგნე, რა არის ეს! გადარჩე, იყო ცოცხალი, კიდევ გიყვარდეს, რაც გიყვარს, დიდხანს უყურო ამ მზეს, შენი ძველი სახლის ტალავრიდან... კიდევ დიდხანს იყო დაყრუებული და გაბრუებული ამ ზართა გუგუნით... მიმოიხედე შენ გარშემო, ეს შუქი, ეს ხეები, ეს ცა, ეს სამრეკლო... *(ბავშვისთვის მხრებში ჩაუვლია ხელი და ანჯღრევს.)* იცოცხლე, ჟან!...

ახალი იმპულსით დამუხტული, გამოცოცხლებული, მთრთოლვარე ბავშვი წელში იმართება და ლოყებანთებული, თვალებაციმციმებული მამის წინ დგება.

ექიმი დიდხანს, სერიოზულად აკვირდება და თავისკენ იზიდავს.

ზარები დადუმდნენ. კიდევ ერთ წამს მათი ვიბრაცია გრიგალივით ტრიალებს ეზოში, სანამ სივრცეს შეუერთდება.

სიჩუმე.

ექიმი *(წონის სიტყვებს)*: სამი რამ: კვება, ჰაერი, დასვენება... კარგად უნდა დაიმახსოვრო ყველაფერი, რასაც ახლა გეტყვი...

III

ბიუიში, ქ-ნ პასკელენთან, ჟანის ნათლიასთან.

ოთახი. მწუხრი. ფანჯრებზე თოვლიანი ზამთრის დაისი.

ნაკვერჩხლებით განათებული ბუხრის წინ მდუმარე ადამიანთა ჯგუფი. ფეხზე მდგარი ქ-ნი პასკელენი იხრება ჟანისკენ, რომელიც გულამოსკვნით ტირის მის მხარზე თავმიდებული. პატარა სესილი, აქოშინებული, ტუჩებზე ცხვირსახოცს იფარებს, ჟანის მწუხარებას ვერ იზიარებს და თავისი დედის კალთას ეკრობა.

ხალიჩაზე ორი დაჭმუჭნული დეპეშა:

პასკელენი. ბიუი-ლა-დამი. უაზი.

დედა ძალზე დაუძლურდა პარიზში ჩამოსვლით. ოპერაცია დაგვიანებულია გაუთვალისწინებელ გართულებათა გამო. შეშფოთებული ვარ.

ბარუა

პასკელენი. ბიუი-ლა-დამი. უაზი.

დედა დღეს დილით, თერთმეტ საათზე გონზემოუსვლელად გარდაიცვალა ჯანმრთელობის სახლში. ჩარევა შეუძლებელი გახდა. უთხარით ჟანს დიდი სიფრთხილით, ეცადეთ ელდა არ ეცეს.

ბარუა

IV

სამი წლის შემდეგ.

ფილებით მოპირკეთებული სენაკი სამკვეთლოს უკან, მილეული დღის სუსტი შუქი, ორი სკამი, ორი დასაჩოქებელი სკამი. კედელზე, ქრისტე.

აბატი ჟოზიე – ახალგაზრდული სახე; მაღალი შუბლი, უკვე გამელოტებული; მოკლედშეჭრილი და ხვეული ქერა თმა. თვა-

ლები მხიარული და წმინდა. სიმშვიდე ერთდროულად უბრალო და აქტიური. ზედა ბაგე თხელი და სერიოზული; ქვედა ხორციანი, ცოტა გამომწვევად ირონიული, მაგრამ გულითადი. მზერაში, ღიმილში მხიარული გამოწვევა იმ კაცისა, ვისთვისაც ყველაფერი საბოლოოდ ცხადია, როგორც ამ, ისე იმ ქვეყნად და, ვინც თავს ჭეშმარიტების ერთადერთ მატარებლად უშფოთველად მიიჩნევს.

აბატი ჟოზიე მზრუნველად ხურავს კარს და ორივე ხელგაწვდილი ჟანისკენ ტრიალდება.

აბატი: კეთილი, ჩემო მეგობარო, ჟან, აბა, რა ხდება? *(ჟანის ხელს არ უშვებს.)* ჯერ დაჯექით.

ჟან ბარუა – თხუთმეტი წლის. მაღალი, მოქნილი, ახოვანი, ფართო გულმკერდი; კარგად გამოკვეთილი, ბრგე კისერი. მძლავრი თავი, ოთხკუთხა შუბლი, ყავისფერი უდრეკი და უხეში თმით შემოსაზღვრული. დახრილი, ოდნავ მოჭუტული ქუთუთოებიდან, რომლებიც გაფაციცებულ ყურადღებას გამოხატავს, ცოცხალი და პირდაპირი მზერა გამობრწყინდება, მამამისის გამჭოლი მზერა. სახის ქვედა ნაწილი ჯერ კიდევ ბავშვურია. პირი, ჩამოუყალიბებელი, მოძრავი, ყოველ წამს ცვალებადი; ნიკაპი, მრგვალი ჩანაღუბით მალავს ყბის სიმძიმეს.

მშვიდი და მედეგი ნება, შედეგი გაცხარებული ბრძოლისა. მკვდრეთით აღდგომისკენ სწრაფვის სამი მეთოდური შეუპოვრობის წელი, შიშისა და იმედის სამი წელი. სასწორზე შეგდებული სიცოცხლე!

მაგრამ ბრძოლა მოგებულია!

აბატი: მაშ, კარგი, გისმენთ.

ჟანი: ბატონო აბატო, ბევრი ვიფიქრე, სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდი. უკვე დიდი ხანია მსურდა თქვენთან პირისპირ შეხვედრა, მაგრამ გადავდებდი ხოლმე... აი... *(დრო)* დღეს მაქვს კითხვები, რომლებიც გონებას მიმღვრევს... უამრავი აზრი რელიგიის თაობაზე. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბოვეში დავიწყე გაკვეთილებზე სიარული... *(ყოყმანობს)* ვინმე მჭირდება, რომ მეკამათოს, რომ ამიხსნას...

აბატი ჟანს უყურებს.

აბატი: ამაზე იოლი რაა? მე თქვენს განკარგულებაში ვარ, შვილო ჩემო. რა საკითხები განუხებთ?

ჟანის სახე მოულოდნელ სერიოზულობას იძენს. თავს ოდნავ უკან გადააგდებს. კუნთების დაძაბულობა ეცემა ტუჩის კუთხეებს და ყავისფერ ღინღლს ჩრდილად ადგება. მზერა მგზნებარეა.

აბატი *(მომღიმარი)*: აბა?...

ჟანი: ბატონო აბატო, უპირველეს ყოვლისა... რას ნიშნავს ზუსტად თავისუფალი მოაზროვნეობა?

აბატი სწორდება და მსწრაფლად, უყოყმანოდ, პასუხობს კმაყოფილი ღიმილით. იგი ენერგიულად გადმოსცემს ძალზე თავისებურ შინაარსს, ოდნავ კრიჭაშეკრული, ზოგიერთ სიტყვაზე ხანგრძლივად ჩერდება და საგანგებოდ, გადაჭარბებული მონდომებით გამოჰყოფს.

აბატი: თავისუფალი მოაზროვნენი? უმეტეს შემთხვევაში, გულუბრყვილო ადამიანები არიან, რომელთაც ჰგონიათ, რომ თავისუფლად აზროვნება შეგვიძლია. თავისუფლად მოაზროვნენი! მხოლოდ გიჟები აზროვნებენ თავისუფლად. *(იცინის.)* ნუთუ თავისუფალი ვარ ვიფიქრო, რომ ხუთს მივუმატოთ ხუთი თერთმეტია? ან მამრობითი სქესის არტიკლი მდედრობითი სქესის არსებითი სახელის წინ დავწერო? ვნახოთ? არის წესები ყველგან, გრამატიკაში, მათემატიკაში... თავისუფალმოაზროვნეებს ჰგონიათ, რომ შეუძლიათ წესებს გვერდი აუქციონ; მაგრამ არც ერთ ცოცხალ არსებას არ ძალუძს განვითარება, თუ რაიმე მყარ წერტილზე არაა მიჯაჭვული! სიარულისთვის მყარი ნიადაგია საჭირო. აზროვნებისთვის სტაბილური პრინციპები, გადამონმებული ჭეშმარიტება, რომლის ერთადერთი მატარებელი და მცველი რელიგიაა.

ჟანი *(მოღუშული)*: ბატონო აბატო, მგონი, თავისუფალმოაზროვნეობისკენ ვარ მიდრეკილი...

აბატი *(იცინის)*: აჰ, ეშმაკმა დალახვროს! *(ალერსიანად)* არა, შვილო ჩემო, ნუ გეშინიათ. ამაზე, მე ვარ პასუხისმგებელი... საიდან გაგიჩნდათ ასეთი ეჭვი!

ჟანი: შევიცვალე. ადრე მშვიდი რელიგიური ცხოვრება მქონდა. თავში აზრადაც არ გამივლია დავფიქრებულიყავი, მეკამათა. ახლა ეს მემართება... ვცდილობ ყველაფრის ახსნა მოვძებნო, ვერ ვაღწევ სასურველ შედეგს... და რაღაც, აფორიაქებული ვარ...

აბატი *(ძალზე მშვიდად)*: კი მაგრამ, შვილო ჩემო, ეს სავსებით ნორმალურია. *(ჟანის მოძრაობა)* თქვენ იმ ასაკში ხართ, როდე-

საც ადამიანი ნამდვილად იწყებს ცხოვრებას, როდესაც აღმოაჩენს უამრავ რამეს, რაც ადრე არ იცოდა. როდესაც კაცურ ცხოვრებაში შედის თავისი ბავშვური რელიგიით; ერთი აღარ შეესაბამება მეორეს. *(ჟანს სახე თანდათან უნათდება.)* ეს არაფერია. საქმე ამ ძნელი სავალის სწრაფად გადავლაა, თქვენი რწმენა ბიჯგად შეუდგით თქვენს მყარ მოსაზრებებს და თქვენს ახალ მოთხოვნილებებს შეუსაბამეთ. მე დაგეხმარებით.

ჟანი *(ღიმილით)*: თქვენი მოსმენაც კი საკმარისია, ბატონო აბატო, რომ თავი კარგად ვიგრძნო. *(უფრო აღელვებული ტონით)* მეორე კითხვა. მაგალითად, ცოდვა, ჩვეულებრივი ცოდვა, ნამდვილად, სიღრმისეულად შეცნობილი, მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი, რომ არ უნდა ჩაიდინო... ლოცულობ, გადაწყვეტილებას იღებ: გგონია, შეგიძლია დარწმუნებული იყო... და შემდეგ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესი აღმოჩნდება ხოლმე!

აბატი: შვილო ჩემო, სწორედ ამიტომაა, რომ რწმენისთვის არაფერია იმაზე უფრო საშიში ვიდრე განმეორებადი, ხშირად ჩადენილი ცოდვა, თუნდაც მცირე, მისატევებელი. სწორედ ეს განმეორებადი რყევები უნდა ავაცილოთ რელიგიურ მგრძნობელობას ყველანაირი ძალისხმევით.

ჟანი: გეთანხმებით ბატონო აბატო... მაგრამ, მაინც რატომაა შესაძლებელი ჩემი დაცემა?

აბატი მხიარულად ჩაიქნევს ხელს, დაძაბულმზერიანი ჟანი ვერ ამჩნევს ამ მოძრაობას.

ჟანი: მიკვირს და ვერ გამიგია, რატომაა ეს ცდუნებები, რა საჭიროა ეს გამოცდები? როდესაც პატარა ხარ, სრულიად ბუნებრივად გეჩვენება, რომ არიან ბედნიერები, უბედურები, ჯანმრთელები, ავადმყოფები. ასეა და მორჩა... მაგრამ რომ ჩაფიქრდები, შეძრწუნდები ამდენი უსამართლობისგან, ამდენი ბოროტებისგან... და კიდევ თუ შეიძლება იმის მტკიცება, რომ უბედურება ყოველთვის დამსახურებული ღვთიური სასჯელია! ღმერთს, ეტყობა, საფუძვლიანი მიზეზი უნდა ჰქონოდა, რომ ასეთი ქვეყანა შეექმნა; არა, მართლა და მართლა...

აბატი *(მომღიმარი)*: ჯერ ერთი, ღმერთს არ შეუქმნია ასეთი ქვეყანა, როგორიც არის. ადამიანია პასუხისმგებელი იმაზე, რომ ვიტანჯებით იმ დროიდან მოყოლებული, რაც შემოქმედის პირველსავე ბრძანებას არ დაემორჩილა.

ჟანი *(მტკიცე)*: კი, მაგრამ ადამი სრულყოფილი რომ ყოფილიყო,

ვერ შეძლებდა დაუმორჩილებლობას... და კიდევ, სამყაროს შექმნისას, განა ღმერთმა არ შექმნა გველი?

აბატი დასერიოზულდა, ხელი ასწია, რომ მოკლედ მოეჭრა. მეგობრულად შეავლო თვალი ჟანს, თუმცა მის მზერაში თავისი უპირატესობის შეგრძნება მისდაუნებურად გამოსჭვიოდა.

აბატი: თქვენ კარგად იცით ჟან, რომ პირველი არ ხართ, ვინც განაცვიფრა ამ მოჩვენებითმა შეუსაბამობამ. ეს ბოროტის მიზანია. ის უკვე დიდი ხანია უარყოფილია ათასგვარი მტკიცებულებებით. კარგად მოიქეცით, ამაზე რომ დამელაპარაკეთ. რადგან ეს საკითხი გაწუხებთ, ამ თემაზე წასაკითხს ამოგირჩევთ, რომელიც საბოლოოდ გააქარწყლებს თქვენს ეჭვს და დაგამშვიდებთ.

ცოტა გულგატეხილი ჟანი გაჩუმდა.

აბატი: მე მაინც ვერ ვუარყოფ იმას, რაც კარგი და მართებულია თქვენს გულისწყრომაში: ადამიანის ტანჯვისა და უბედურების ხილვით არის შესაძლებელი ჩვენში გულმოწყალების ინსტინქტის გაძლიერება, და, ამ მიმართულებით, რამდენიც არ უნდა ვიაროთ, კიდევ მეტი გვრჩება გასავლელი. *(მის ხელს იღებს)* ჟან, ჯერჯერობით, თქვენ იმ ასაკში ხართ, როდესაც სამყაროს სიყვარულით აღვსილი, მთლად ცინცხალი გული იშლება და გარესამყაროს შეიცნობს, რომელიც შესაძლოა ძლიერ დაუნდობელი აღმოჩნდეს; ამიტომ უმჯობესია ვინმემ ცოტათი გაგაფრთხილოთ. გაფრთხილდით, მოერიდეთ, ნუ აჰყვებით გრძნობებს. ქვეყნად ბევრად ნაკლები ბოროტება არსებობს, ვიდრე ერთი შეხედვით გეჩვენებათ! დაფიქრდით ამაზე. თუ ბოროტება მეტია, ან თუნდაც კეთილის თანაბარია, მაშ, უწესრიგობა ყველგან უნდა იყოს! ჩვენ კი რას ვხედავთ? საპირისპიროს. არაჩვეულებრივ წესრიგს, რომელიც ჩიხში აქცევს და სძლევს ჩვენს კნინობასა და წვრილმანობას! ყოველდღე, მეცნიერთა ახალი თაობის კვლევები ღვთიური ჩანაფიქრის კიდევ უფრო დახვეწისა და გაღრმავების საშუალებას გვაძლევს. რაღა სახსენებელია ცოდვილთა პირადი დარდი და ვარამი ამდენი სიკეთისა და მადლის წინაშე? და კიდევ, ადამიანთა ჭრილობებს – რომელთაც, ვაგლახ, ვერ ვუარყოფ! რადგან ჩემი უფალი მათ სალბუნს ადებს და, თუ შესაძლებელია, კურნავს კიდეც – თავიანთი ფასი აქვთ, ერთ დღეს თქვენ თვითონ შეიცნობთ ამას, რადგან მხოლოდ ამ ტკივილით ძალუძს ადამიანს სიკეთისკენ სწრაფვა და სულის საცხონებელ გზაზე შედგომა. და რა მნიშვნელობა აქვს ეს ამ ცხოვრებაში მოხდება თუ იმ ცხოვრებაში?

ჟანი: მხოლოდ ადამიანები ხომ არ არიან... ცხოველები?

აბატი: ყველა ქმნილების ტანჯვა ღვთის ნებაა, შვილო ჩემო, როგორც არსებული მოცემულობა, წინაპირობა, როგორც თვით სიცოცხლის წინაპირობა: და ეს საკმარისი უნდა იყოს თქვენი ქედმაღლობის მოსათოკად, რომელიც ამბოხს ინყებს. სრულყოფილი არსის, დაუსაბამოდ კეთილის და ყოვლისშემძლეს არსებობა, რომელმაც არაფრისგან შექმნა ცა და მიწა, და რომელიც ყოველდღე ათასნაირი ნიშნით გვიმტკიცებს ჩვენდამი თავის მშობლიურ გრძნობას, არის ჩვენთვის საუკეთესო გარანტი ამ ქვეყნად ბოროტის აუცილებლობისა, რომელიც შექმნა ჩვენდა საკეთილდღეოდ. და, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მისი აზრი ჩვენი არასრულყოფილი გონებისთვის მიუწვდომელია, ქედი უნდა მოვიხაროთ და ვისურვოთ მასთან ერთად ეს ტანჯვა-წამება, რომელსაც ვერას ვუგებთ, მაგრამ რომელიც მას სურს... **Fiat voluntas tua...**[1]

ჟანი დუმს, ნარბშეჭმუხნული, ცდილობს შეგუებას.

მეზობელ სენაკში სეტყვასავით ხმები ჰყვებიან აქოშინებულ ფისგარმონიას.

აბატი: ჟან, მე თქვენში, ფიქრისაკენ, ცოტა არ იყოს, ზედმეტ მიდრეკილებას ვხედავ. *(მომღიმარი)* მე არ მსურს გონითი ჭვრეტის ღირსების დამდაბლება. მაგრამ, იცით, რაც უფრო დრო გადის, უფრო მჯერა, რომ ინტელექტს ნამდვილი ღირებულება მხოლოდ მაშინ აქვს, როდესაც ის მიზანმიმართულია მის გარეთ მყოფ სამიზნეზე, როდესაც ის ცდილობს პრაქტიკულად იყოს განხორციელებული. ინტელექტმა უნდა გამოაცოცხლოს ქმედება; უიმისოდ ქმედება ამაოა, მაგრამ ქმედების გარეშე ინტელექტი უნაყოფოა! შუქია, რომელიც ინვის ლამპრის გვერდით და არაფრისთვისაა მოსახმარი. *(ემოციით და გულისხმიერად)* თქვენ ჩემთან მოდიხართ, შვილო ჩემო, გზის, მიმართულების საძიებლად. კეთილი, მე ყოველთვის უფრო ქმედებისკენ გიბიძგებთ, ვიდრე ფილოსოფოსობისკენ! განავითარეთ თქვენი ინტელექტი, დაე, იყოს ასე; ეს უფლებაზე მეტია. ეს ვალდებულებაა. მაგრამ ამ განვითარების მიზანი ჰუმანური შედეგის მიღება უნდა იყოს. თუ უფალმა მოგანდოთ მცირე განძი, საშუალოზე უმეტესი ნიჭი, გამოაღებინეთ მას ნაყოფი; მაგრამ ისე, რომ ამით ადამიანთა დიდმა ოჯახმაც ისარგებლოს. ნუ დამარხავთ თქვენს ნიჭს. გამდიდრდით და სხვასაც გაუზიარეთ. იყავით ერთ-ერთი მათგანი, ვინც თავს სხვებს უძღვნის.

---

[1] იყავნ ნება შენი...

მე თქვენსავით ვიყავი; მეც მქონდა თეორიული მსჯელობისა და ვარაუდების დრო... ღმერთმა მალევე მომცა შესაძლებლობა შემეცნო ჩემი შეცდომა. სწორედ ქმედებაში, თვითშეწირვაში, თვითუარყოფაში ჰპოვებს ადამიანი ნამდვილ ჯილდოს, ფიზიკურ და მორალურ სიჯანსაღეს, ნამდვილ ბედნიერებას. მერწმუნეთ, ჩვენი ბედნიერება, რომელსაც ზოგჯერ ძალზე შორს ვეძებთ, სულ ახლოსაა ჩვენთან, ზოგიერთ ბუნებრივ გრძნობებში, როგორიცაა ძმობა, სხვა დანარჩენი არაფერია!

ერთ საღამოს გამომიარეთ ჩემს საქველმოქმედო დაწესებულებაში. მოგცემთ წიგნებს, რომელზეც გელაპარაკეთ. და შემდეგ... (სახე მხნეობითა და სიამაყით შეეცვალა) ცოტა ხანს დარჩით ჩვენთან ერთად და მალევე დაინახავთ, როგორი გულებია იქ, და რა სიამოვნებაა მათთვის გარჯა. *(დგება)* აბა, ჟან! მხოლოდ ესაა ჭეშმარიტი: გრძნობა, რომ ცოტაოდენ სიკეთეს თესავ შენ გარშემო... *(გულმკერდზე მხიარულად იტყაპუნებს ხელს)* ...იმ სითბოს გაზიარება, რომელიც ღმერთმა აქ ჩაგვიდო...

V

პასკელენების პატარა სალონი.

მოდიდან გადასული ავეჯით გამოტენილი გრძელი, ვიწრო ოთახი პირველ სართულზე.

სესილი, მარტო ალაგებს არეულ-დარეულ ოთახს, დედამისმა გასვლისას რომ დატოვა.

მალე ღამდება, ოქტომბერია.

ნაბიჯის ხმა ქვაფენილზე. სესილი მკვირცხლად მირბის ფანჯარასთან და იღიმება, ჟანი გადმოდის ქუჩაზე, იღლიაში ჩანთით. გოგონა მხიარულად მიხტის მის შესახვედრად.

სესილი პასკელენი – თექვსმეტი წლის. მაღალი და სუსტი. ულამაზო, მაგრამ ცინცხალი. კისრისა და კეფის ელეგანტური მოქნილობა. ვიწრო მხრები, თეთრი შალის პერელინის ქვეშ. პატარა, ბურთივით მრგვალი თავი; ნაბლისფერი, ბულულივით თმა. შავი, მრგვალი, ცოტა ამობურცული თვალები; შემაშ-

ფოთებელი ხიბლი, ძლივს შესამჩნევი ასიმეტრია მზერაში. პირი – ორი ხორციანი, სველი, ძალზე ნითელი, მოუსვენარი ბაგე, მოკლე და ბრწყინვალე კბილებზე გადაკრული, მხიარული ღიმილი, ზედაპირული. დროდადრო მსუბუქი ენის ჩლექა.

სესილი: დროზე არ მოხვედი! მოდი, რძე ალბათ გაგიცივდა.

ჟანის სამხარი ლანგარზეა გამზადებული. სესილი პირდაპირ უჯდება. თვალებგაბრწყინებული უყურებს, როგორ ახრამუნებს ჟანი კარაქიან პურს. ერთმანეთს ღიმილით შესცქერიან; ისე, უბრალოდ, სიამოვნებთ.

ჟანი: ახლა, საქმეს შევუდგეთ!

მაგიდაზე აპირქვავებს თავის ჩანთას.

სესილი ლამპას ანთებს, ფარდებს ხურავს, ცეცხლში კუნძს დებს და თავის დაბალ სკამს აბაჟურის ქვეშ დგამს.

სესილი: ამ საღამოს რა გვაქვს?

ჟანი: ბერძნულისთვის მზადება.

სალონი თბილია. ლამპის ღუღუნი, ცეცხლის ღუღუნი. ორის სუნთქვის რიტმი. ქსოვილის შრიალი, ფურცლების შრიალი.

ფურცლის გადაშლისას, ნემსში ძაფის გაყრისას მათი მზერა ერთმანეთს ხვდება.

ჟანი *(უცნაური ხმით)*: ნახე, ამ დილით რაღაც ვიპოვე... ესქილესთან... ის ელენეზე ლაპარაკობს, ამბობს: ზღვათა სიმშვიდესავით აუღელვებელი სული... კარგია, არა? *(ვაჟი მას უყურებს.)* ზღვათა სიმშვიდესავით აუღელვებელი სული...

სესილი არ პასუხობს; თავს ხრის; სულგანაბული... დახუჭობანას თამაშისას, როდესაც ხედავ მას, ვინც შენთან მოახლოებას ცდილობს ისე, რომ თვითონ ვერ გხედავს, თითქმის გეხება და გვერდით ჩაივლის...

ჟანი ისევ სამუშაოს შეუდგა.

ნახევარი საათის შემდეგ.

ქალის ქუსლების ბაკუნი შემოსასვლელის ფილაქანზე. ქ-ნი პასკელენის შემოჭრა.

ქ-ნი პასკელენი – პატარა შავგვრემანი ქალი, სახეზე მოყვითალო ფერი გადაჰკრავს, თმა კუნაპეტი შავი, შუბლზე ხვეული. ლამაზი თვალები, სესილისავით ოდნავ ასიმეტრული, ალერსიანი და მხიარული მზერა; მომღიმარი, ოდნავ მოკუმული ბაგე.

ლამაზი იყო და ეს ახსოვდა. მარდი, მოუსვენარი, ქაქანა. ხმა მკვეთრი, უხეში პიკარდული კილო. მუდამ მოძრავი, არც დროს ზოგავს და არც სიძნელეს ეპუება, ყველაფერს წყვეტს, მეთვალყურეობს, უძღვება და გარდაქმნის ქალაქის ყველა კათოლიკურ საქმეს.

ქალბატონი პასკელენი: ხომ ჭკვიანად ხართ, ბავშვებო? *(პასუხს არ უცდის)* სავარძელი აიღე, სესილი, ვერ ვიტან მაგ დაბალ სკამზე ორად მოკეცილს რომ გხედავ... *(მიდის შეშის ყუთთან.)* უჩემოდ, ცეცხლი ჩაგიქრებოდათ!

ჟანი *(სურს მიეხმაროს)*: მოიცათ, ნათლია!

ქალბატონი პასკელენი: არა, შენ ვერ იზამ.

არ ანებებს ჟანს, თვითონ დებს ღუმელში ორ ნაჭერ შეშას და ქვემოთ სწევს საჰაერო გამწოვს. სწორდება, იხსნის პალტოს, თან ლაპარაკობს, მიდის ფანჯარასთან, სწევს ფარდებს.

ქალბატონი პასკელენი: ოჰ, ბავშვებო, აღარ მეგონა, თუ ოდესმე დავბრუნდებოდი! მკვდარივით დაღლილი ვარ. არაფერი გამოდის, მთელი დღე მაბრაზებენ. აბატმა ჟოზიემ სულ გამაცოფა. ბ-ნი კიურე დაითანხმა, რომ ბიჭების კატეხიზმო ხუთშაბათს ათის ნახევარზე იყოს! სწორედ იმ დროს, როდესაც საქველმოქმედო საბჭო იკრიბება. სწორედ ასე ვუთხარი ბატონ კიურეს, მე ერთდროულად ქალაქის თავში და ბოლოში ვერ ვიქნები მეთქი!

ჟან, შეგიძლია გამწოვი ასნიო?... გმადლობ.

და კიდევ, იცი, შვიდის თხუთმეტი წუთია. თუ ხვალ ჩვენთან ერთად გინდა ეზიარო, ახლავე უნდა გაიქცე აღსარების სათქმელად; აბატი ეკლესიას ექვსის ნახევარზე ტოვებს... *(ჟანი დგება.)* ქუდი კარგად დაიხურე, ქარია ამ საღამოს...

მეორე დღეს, წირვაზე, შვიდ საათზე.

ზიარებისას.

ქ-ნი პასკელენი დგება და საკურთხევლისკენ მიდის. სესილი და ჟანი უკან მიჰყვებიან. გვერდიგვერდ, იატაკს თვალმიბჯენილნი, შებოჭილი ნაბიჯით მიაღწევენ წმინდა მაგიდას.

აბატი ჟოზიე მსახურებს. ის გუმბათისკენ ასწევს შენანირ სეფისკვერს.

აბატი ჟოზიე *(მომნანიებელი ხმით)*: Domine non sum dignus... Domine non sum dignus...[1]

სესილი და ჟანი დაჩოქილები არიან. მათი იდაყვები ერთმანეთს ეხება. გადასაფარებლის ქვეშ მათი გაყინული ხელები მეზობლად არიან. ერთი და იგივე ავადმყოფური და აღფრთოვანებული მშფოთვარება; ერთი და იგივე სწრაფვა დაუსაბამოსკენ.

მღვდელი უახლოვდებათ. ერთიმეორის მიყოლებით შუბლებს ცისკენ იწვდიან, მთრთოლვარე ბაგეებს აღებენ. შემდეგ მათი ქუთუთოები დაბლა იხრება, სიხარულით.

შერწყმა... ყოველგვარი ადამიანურისგან გათავისუფლებული ორი სული, ძალდაუტანებლად მაღლდება სიყვარულის უმაღლესი მწვერვალისკენ და შეუმჩნევლად ერწყმის ღმერთში ერთურთს.

[1] უფალო, არა ღირს ვართ...

სიმბოლისტური კომპრომისი

როდესაც ყმაწვილი ვიყავი, ყმაწვილივით ვმსჯელობდი
და ვფიქრობდი, მაგრამ კაცი რომ გავხდი,
განვიძარცვე ყოველივე იმისგან, რაც ბავშვური იყო.
პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ I, XI, II

I

ბატონ აბატ ჟოზიეს,
ბიუი-ლა-დამის (უაზი) პრესბიტერი.

პარიზი, 11 იანვარი.

ძვირფასო ბატონო აბატო,

მინდოდა თქვენი ჩემდამი ნდობა, რაც შეიძლებოდა, უკეთ გამემართლებინა. მაგრამ, ვაგლახ, ვერავითარ კარგ ახალ ამბავს, ასე რომ მოელით, ვერ გატყობინებთ ჩემი მორალისა და სულიერების თაობაზე. ეს პირველი ტრიმესტრი სულაც არ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი. მე ისევ სრულიად უცხოდ, ნიადაგიდან მოწყვეტილად ვგრძნობ თავს ამ პარიზში, სადაც ყველაფერი ახალი და უჩვეულოა ჩემთვის.

მაგრამ ახლა ჩემი ყოფა საბოლოოდ წესრიგშია მოყვანილი, სამედიცინო უმაღლესი სკოლის მოსამზადებელი კურსების გარდა, სორბონშიც ჩავეწერე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლიცენციანტის ხარისხის მოსაპოვებლად; ასე რომ, უკვე რამდენიმე კვირაა ლათინურ კვარტალში ვცხოვრობ. (ეს დეტალები ნუ შეგაშფოთებთ, ძვირფასო ბატონო აბატო; და ამის შესახებ გეტყვით, თქვენი ბოლო წერილის მზრუნველმა რჩევებმა ძალზე ამიჩუყა გული. არა, ნურაფერი დაგაეჭვებთ ამ საკითხთან დაკავშირებით; მე, ღვთის შეწევნით, საკმა-

ოდ წრფელი გული მაქვს და ცდუნებები, რომელზეც თქვენ ფიქრობთ, ჩემზე ვერ გაიმარჯვებს; და კიდევ, თქვენ გავინყდებათ ის ღრმა და წმინდა გრძნობა, ბიუიდან რომ გამომყვა, ის სანუკვარი მიზანი, რომელიც მთელი ჩემი ცხოვრებისა და ჩემი გადარჩენის ძირითადი აზრია.)

მეცნიერების შესნავლამ ძალზე გადატვირთა ჩემი დღის განრიგი; მაგრამ ის ავსებს მედიცინის შესწავლას და უფრო მეტად მაინტერესებს, ვიდრე ამის თქვენთვის თქმა შემიძლია. და კიდევ, უფრო მეტი გასართობი რა უნდა მეპოვა? მამაჩემი, როგორც ალბათ გაიგებდით, პროფესორად დაასახელეს; ამ ლექციებმა კიდევ მეტად გაურთულა ისედაც ძალიან დატვირთული განრიგი, სადაც ჩემი ადგილი აღარ რჩება.

თქვენ უთუოდ კმაყოფილი დარჩებით იმით, რომ ახალგაზრდა შვეიცარიელი მღვდელი, სახელად შერცი, გავიცანი, რომელიც მოწოდებულია თავის ქვეყანაში საბუნებისმეტყველო ისტორიის სწავლებისთვის და ახლა პარიზში სამეცნიერო ხარისხის მისაღებად იმყოფება. იგი ბიოლოგიითაა გატაცებული; ლაბორატორიაში ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვართ და მასთან თანამშრომლობა ჩემთვის ძალიან ფასეულია. ყველა მისი კვლევა უკიდურესად მიმზიდველია; ჯერ კიდევ არ ძალმიძს ჩემი გრძნობების გაანალიზება, მაგრამ ზოგიერთმა ლექციამ ნამდვილად აღმაფრთოვანა. ვფიქრობ, შეუძლებელია თავბრუ არ დაგეხვეს მეცნიერებასთან პირველი მიახლოებისას, როდესაც პირველად იწყებ იმ უდიდეს კანონთაგან ზოგიერთის გარჩევას, რომლებიც აწესრიგებენ სამყაროს კომპლექსურობას.

მე, თქვენს რჩევებზე დაყრდნობით, ბეჯითად ვცდილობ ამ წესრიგში გარკვევას და იქ ღვთის რწმენის განდიდებას, მაგრამ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მაკლია თქვენი გადამდები ოპტიმიზმი. იქნებ აბატ შერცთან დამეგობრება ამ მხრივ სასარგებლო იყოს ჩემთვის? მისი ბუნებრივი მხიარულება, მისი სამუშაოთი გატაცება, დასტურია ფესვმაგარი რწმენისა, რომელიც, შესაძლოა საყრდენად გამოადგეს და დაეხმაროს ჩემს გაუწონასწორებელ სულიერ განწყობას. – მე ეს ძალიან მსურს, რადგან, ამ ბოლო კვირების განმავლობაში მძიმე დეპრესიის წუთები განვიცადე...

კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, რომ ამ თემით თავი შეგაწყინეთ; გიმოწმებთ, ძვირფასო ბატონო აბატო, ჩემს თქვენდამი ღრმა პატივისცემასა და სიყვარულს.

ჟან ბარუა

ექიმ ბარუას სასადილო ოთახი.

სადილი ეს-ესაა დამთავრდა.

ექიმი *(დგება სუფრიდან)*: იმედი მაქვს, მაპატიებთ, ბატონო შერც. *(აბატი და ჟანი ფეხზე დგანან.)* ცხრა საათზე პასიში[1] უნდა ვიყო, კონსულტაციაზე... ვნუხვარ, რომ ვერ დავრჩები თქვენთან ერთად ამ საღამოს, ძალიან ბედნიერი ვარ თქვენი გაცნობით... მაშ, დროებით, ჩემო პატარავ. თქვენი ხელახლა ხილვის იმედით, ბატონო შერც... *(მომღიმარი)* და დამიჯერეთ, მე ისევ ჩემს აზრზე ვდგავარ: ჯერ მოქმედებაა საჭირო და მერე ფიქრი და განსჯა; დღევანდელი ახალგაზრდობა ბევრს ფიქრობს, და, რადგან არ მოქმედებს, ცუდად ფიქრობს...

ჟანის ოთახი.

აბატი დაბალ სავარძელში ზის, ფეხი ფეხზე გადადებული, იდაყვებით ეყრდნობა სახელურს, ხელები ნიკაპზე აქვს შემოდებული.

აბატი შერცი – ოცდათერთმეტი წლის. ბრტყელი და გრძელი სხეული, ანაფორაში გამოჭედილი. დაკუნთული მკლავები, ზომიერებით სავსე ჟესტებით. ძლიერი და ძვლიანი თავი. მოთეთრო სახისფერი. მაღალი შუბლი, რომელიც კიდევ უფრო მაღალი ჩანს შავი თმის, უკანგადავარცხნილი ნავსაყუდელით. სამართებლით წმინდად გაპარსული სახე კიდევ უფრო მეტად გლუვად მოჩანს არახშირი წარბებით. სწორხაზოვანი თაღედის ჩრდილში წყვილი, ზუსტი თვალი; შავ წამწამებქვეშ მონაცრისფრო-მომწვანო თვალის გუგები, გრძელი ცხვირი ზედა ყბას ორი მოძრავი ნაოჭით უკავშირდება. ტუჩები თხელი; ჟამიდან ჟამზე ფერმკრთალი და თითქოსდა გაქვავებული. თავაზიანი სიდარბაისლე. ლაპარაკი მძიმე, მოუქნელი, ცოტა დუდღუნა. გრძელი ფრაზები, ნაკლებ ხმარებული გამოთქმები, როგორც ჩანს ფრანგულად თარგმნის, რასაც ფიქრობს.

ჟანი საწერ მაგიდაზეა ჩამომჯდარი, ფეხებს იქნევს და ეწევა.

ჟანი: გმადლობთ, სასიამოვნო მოსასმენია. ძალიან მიყვარს მამაჩემი... *(მომღიმარი)* გჯერათ, ძალიან დიდხანს მეშინოდა მისი?

---

[1] სენის ძველი კომუნა, 1860 წლის 1 იანვარს მიუერთდა პარიზს.

შერცი: მართლა? შეუძლებელია!

ჟანი: მოსვენებას მიკარგავდა. სიმართლე რომ ვთქვა, სულ რამდენიმე თვეა, რაც კარგად გავიცანი, მას შემდეგ რაც მასთან ერთად ვცხოვრობ... ოჰ, მისი პროფესია ამაღლებს კაცს.

შერცი: მხოლოდ პროფესიის დამსახურება არ შეიძლება იყოს ამგვარი მორალური სიმდიდრის საფუძველი! მაშინ ყველა ექიმი...

ჟანი: ცხადია; ვაღიარებ, რომ მამაჩემის შემთხვევაში საქმე გვაქვს ბუნებრივ წინასწარ განწყობასთან. მინდოდა მეთქვა... მას არა აქვს რელიგიური საფუძველი.

შერცი *(უეცრად დაინტერესებული)*: აჰ?... ეჭვი კი შემეპარა.

ჟანი: დიახ... მამაჩემის ოჯახი მორწმუნე კათოლიკეთა წრეს ეკუთვნოდა, მასაც ღრმა რელიგიური აღზრდა აქვს მიღებული. მაგრამ, ვფიქრობ, უკვე დიდი ხანია, რაც იგი აღარ არის პრაქტიკოსი კათოლიკე.

შერცი: და აღარც სწამს?

ჟანი: ასე მგონია. არასდროს აუხსნია, არასდროს უსაუბრია ჩემთან ამაზე... არის რაღაც, არ ვიცი რა, რაც ამჟღავნებს ამას... ამასთანავე...

ჟანი გაჩუმდა, წამით ჩაფიქრდა და აბატს დააკვირდა; შემდეგ მაგიდიდან ჩამოხტა, ოთახი გადაჭრა თავში დაურწმუნებელი ნაბიჯით, სიგარეტს მოუკიდა და აბატის წინ ტყავის დივანზე დაეშვა.

შერცი: ამასთანავე?

ჟანი *(წამიერი ყოყმანის შემდეგ)*: მინდოდა მეთქვა, რომ მამაჩემის პროფესია, საბოლოოდ, ძალიან სახიფათოა რწმენისთვის...

შერცი, გაოცებული ჟესტი.

ჟანი: საავადმყოფოს გამო... წარმოიდგინეთ, რა აზრები შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, ვისაც მთელი თავისი ცხოვრება, ყოველდღე, დილიდან საღამომდე მხოლოდ ის ავალია, რომ დატანჯულ ავადმყოფებს დასცქეროდეს? რა აზრი უნდა ჰქონდეს ღმერთზე?

შერცი არ პასუხობს.

ჟანი: აღგაშფოთებთ ჩემი სიტყვები?

შერცი: არა, არანაირად. მაკვირვებთ. ეს ბოროტის ძველი წინააღმდეგობაა.

ჟანი: ის სახიფათოა!

შერცი *(ფლეგმატური)*: სახიფათოა.

ჟანი: და დღემდე, არასოდეს, ჩვენს თეოლოგებს, საბოლოოდ, არ უარყვიათ...

შერცი: არასოდეს.

ჟანი: აღიარებთ?

შერცი *(მომღიმარი)*: სხვაგვარად შემიძლია?

ჟანი სიჩუმეში რამდენჯერმე ქაჩავს პაპიროსს, შემდეგ აგდებს და აბატს პირდაპირ სახეში შეჰყურებს.

ჟანი: თქვენ პირველი მღვდელი ხართ, ვისგანაც ეს გავიგონე...

შერცი: და ვინმე სხვას გარკვეულად ჩამოუყალიბეთ კითხვა?

ჟანი: ოჰ, კი, როგორ არა!

შერცი: მერე?

ჟანი: ყველანაირ შესაძლებელ პასუხს მაძლევდნენ... რომ ვარ ძალიან მგრძნობიარე... რომ ვარ ამბოხებული ამპარტავანი... რომ ბოროტება სიკეთის წინაპირობაა... განსაცდელი აუცილებელია ადამიანის გასაუმჯობესებლად... რომ, პირველადი ცოდვის შემდეგ, ღმერთმა დაუშვა ბოროტი და რომ მასთან ერთად ჩვენც უნდა დავუშვათ...

შერცი *(მომღიმარი)*: მერე?

ჟანი *(მხრებს იჩეჩავს)*: სიტყვები... არგუმენტთა მოჩვენებითობა...

შერცი, მახვილი მზერა ჟანისკენ; შემდეგ მისი სახე გამომეტყველებას იცვლის, დინჯდება; ცდილობს თვალები არ ასწიოს.

ჟანი: საგანთა არსში სოფიზმს ეჯახებიან: სურთ სამყაროს წესრიგის აპოლოგიით დამიმტკიცონ ღმერთის სიკეთე და ყოვლისშემძლეობა; და, როგორც კი მოვინდომებ შევნიშნო, თუ რაოდენ არასრულყოფილია ეს წესრიგი, უფლებას მართმევენ განვსაჯო ეს სამყარო, სწორედ იმიტომ, რომ ის ღვთის შენამოქმედია... *(რამდენიმე ნაბიჯი; ხმას უწევს.)* ისე, როგორც არასდროს, ნებას არ მაძლევენ შევათანხმო ორი მტკიცებულება, ერთი მხრივ, ღმერთი არის ყველა სრულყოფილების ერთობლიობა; და მეორე მხრივ, რომ ეს არასრულყოფილი ქვეყანა მისი ქმნილებაა!

ის აბატის წინ ჩერდება და მისი მზერის დაჭერას ცდილობს, მაგრამ შერცი თავს აბრუნებს. სიჩუმე. ბოლოს და ბოლოს მათი თვალები ერთმანეთს გადაეყრება; ჟანის თვალებს შეშფოთების პირბადე აქვს გადაფარებული, ის შეკითხვას სვამს. აბატს აღარ შეუძლია თავის არიდება.

შერცი *(არც თუ დარწმუნებული ღიმილი)*: ამგვარად, თქვენც, ჩემო საბრალო მეგობარო, თქვენც შეწუხებული ყოფილხართ ამ დიდი პრობლემებით...

ჟანი *(მკვირცხლად)*: რა ვქნა? გარწმუნებთ, არ მსურდა ასე ვყოფილიყავი, როგორც ვარ!

ბოლთას სცემს ჯიბეებში ხელებჩანყობილი, თავს იქნევს, თითქოს შინაგან კამათს განაგრძობსო. მისი ენერგიული სახე კიდევ მეტად მკაცრდება, გულში დაგროვილი ემოცია შუბლს უჭმუხნის და ბაგესთან შეფიქრიანებულ და ჯიუტ ნაოჭს უჩენს.

ჟანი: ნახეთ, ჩემო კარგო, თქვენ ახლახან მამაჩემზე საუბრობდით... ერთი რამ ყოველთვის მაოცებდა, უხერხულობაში მაგდებდა, ბავშვობაშიც კი: ის, რომ რელიგიის სახელით შეეძლოთ გაეკიცხათ მისნაირი კაცი, მხოლოდ იმიტომ, რომ არ ეზიარებოდა და ფეხს არასდროს დგამდა ეკლესიაში! იქ, ბიუიში, მას ძალზე მკაცრად კიცხავდნენ...

შერცი: რადგან ვერ უგებდნენ.

ჟანი *(გაოგნებული)*: კი მაგრამ თქვენც, რადგან მღვდელი ხართ, თქვენც ვალდებული ხართ გაკიცხოთ?

შერცის თავშეკავებული მოძრაობა.

ჟანი *(გატაცებით)*: მე რაც შემეხება, ყოველთვის უარს ვამბობდი, ინსტინქტურად! მამაჩემისნაირი ცხოვრება უწყვეტი სწრაფვაა იმისკენ, რაც კი კეთილშობილი და დიადია ამქვეყნად. და ის შეუძლიათ დაგმონ, უნდა დაგმონ ღვთის სახელით? არა, არა... მისი ცხოვრების მსგავსი ცხოვრება, იცით, სულ სხვა რამაა... ის ბევრად მაღლაა... *(რამდენიმე ნაბიჯს დგამს და აბატს სევდიანად შეჰყურებს. კუშტი კილოთი ამბობს)* და კიდევ, საშინელებაა, ჩემო ძვირფასო, როდესაც ამაზე შეგნებულად დაფიქრდები. მამაჩემისნაირი კაცი და, მორწმუნე არაა... მისნაირ ადამიანებს არ სწამთ... მაგრამ ამით ისინი ველურებად ხომ არ იქცევიან? მათ იცოდნენ ჩვენი რელიგია, ეკლესიაშიც დადიოდნენ, დიდი გულმოდგინებით. და აი, ერთ დღეს, შეგნებულად, ნებაყოფლობით უარყვეს!... ჰა? ამბობ: „მე მწამს, მათ კი, მათ არ სწამთ... ვის მხარესაა სიმართლე?" და თავისდაუნებურად ამატებ: „სწორედ ეგაა საქმე, გააჩნია..." და ამ დღიდან, კარგავ მოსვენებას! ეს „გააჩნია..." აი, დაწყევლილი ზღურბლი, აი, ათეიზმის საწყისი ფორმულა!

შერცი *(დარბაისლურად)*: აჰ, ბოდიში... თქვენ აქ მთავარ გაუგებრობას მიადექით! ამგვარი ადამიანები ვერ ურიგდებიან ეკლესიის დღევანდელ კულტს... მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ძალა, რომელმაც ისინი დიადებად აქცია, ზუსტად იმავე ბუნებისაა, როგორისაც საუკეთესო მღვდლის ძალაა, საუკეთესოსი!

ჟანი: მაშ ქრისტიანად ყოფნის ორი ფორმა არსებობს?

შერცი *(უფრო შორს შეტოპა, ვიდრე სურდა)*: შესაძლებელია.

ჟანი: კი მაგრამ, საფუძვლიდანვე არ შეიძლება, მხოლოდ ერთი უნდა იყოს!

შერცი: უეჭველია... მაგრამ სხვაობას თუ გადავხედავთ, უფრო მოჩვენებითია, ვიდრე რეალური, სულ ერთნაირი მისწრაფებაა სიკეთისკენ და დაუსაბამო სამართლიანობისკენ...

ჟანი ყურადღებით აკვირდება, მდუმარედ. ხანგრძლივი პაუზა.

შერცი *(უხერხულობაში ჩავარდნილი)*: ნახეთ, თქვენი თამბაქოს სუნი მაცდუნებს; უნდა დავარღვიო ჩემი აკრძალვები... გმადლობთ... *(ყველაფრის საფასურად სურს საუბრის სხვა კალაპოტში გადაგდება.)* შესავალი კურსი მოგიტანეთ, თქვენ რომ მთხოვეთ...

ჟანი იღებს რვეულებს და უყურადღებოდ ფურცლავს.

რამდენიმე დღის შემდეგ.

საოჯახო პანსიონი, სენ-სუპლისის მოედანი. აბატის ოთახი.

შერცი *(სწრაფად დგება)*: აჰ! რა კარგია, რომ მოხვედით!...

ჟანი: სასაუბროდ შემოვიარე ლექციების დაწყებამდე.

აბატი ათავისუფლებს სავარძელს.

მომღიმარი ჟანი ოთახს შემოივლის. პატარა საწერი მაგიდა. დიდი მაგიდა ცდებისთვის; ფაიფურის სინჯარების მთელი არსენალი; მიკროსკოპი. კედლებზე ქრისტე, ბერნის პანორამული ხედი, მწყემსი კეთილის პორტრეტი, ანატომიის პლანშეტები.

ჟანი *(სიცილით)*: მიკვირს, როგორ შეგიძლიათ ამ გარემოში ცხოვრება!

შერცი: ეს ჩემი გოგირდმჟავაა...!

ჟანი: არა, გადატანითი მნიშვნელობით გელაპარაკებით. ხშირად ვეკითხები ჩემს თავს, როგორ შეუძლია მღვდელს ამ სამეცნიერო ატმოსფეროში ცხოვრება?

შერცი *(უახლოვდება)*: კი მაგრამ, რატომ არ უნდა შემეძლოს?

ჟანი: იმიტომ, რომ მღვდელი არა ვარ და მაინც მიჭირს და მიძნელდება აქ სუნთქვა.

ტანჯვის შემცველი ღიმილი.

ჟანი *(ჯდება)*: ეჰ, როგორ მინდა ერთ დღეს დიდხანს გესაუბროთ და დავცალო ჩემი გუდა...

შერცი *(მეოცნებე)*: ჰო.

ის თვალს ავლებს ოთახს, შემდეგ ჟანს უყურებს თვალებში და უეცრად დაჟინებით აცქერდება. შეყოვნდება, თვალებს ხრის

და რამდენიმე წამით ღრმად ჩაფიქრდება.

შერცი: ნამდვილად გსურთ?

მდუმარედ შესცქერიან ერთმანეთს, აღელვებულნი. წინასწარ გრძნობენ სრული გულის გადაშლის წუთებს, როდესაც მეგობრობით შემზადებული ორი ახალგაზრდა კაცის სული, უშუალოდ ჩაეკონება და ჩაწვდება ერთმანეთს.

შერცი *(ნაზად)*: აბა, მითხარით, რა ხდება?

ჟანი *(მინდობილი)*: ის ხდება, რომ საძაგელ მორალურ მდგომარეობაში ვარ...

შერცი: მორალურ?

ჟანი: უფრო, რელიგიურ.

შერცი: როდიდან?

ჟანი: უჰ, დიდი ხანია, უფრო დიდი ხანი, ვიდრე მეგონა! ალბათ უკვე წლებია, რაც იძულებული გავხდი ჩემი რწმენის შესანარჩუნებლად მებრძოლა ისე, რომ ვერც კი ვიაზრებდი.

შერცი *(მკვირცხლად)*: არა, რწმენის, არა! ბავშვის მიერ აღქმული რწმენისა. ეს ერთი და იგივე არაა!

ჟანი *(თავის ფიქრებში ჩაძირული)*: მართალი რომ ვთქვა, სულ რამდენიმე თვეა, რაც შევნიშნე... შესაძლოა, პარიზმა... პარიზის გარემომ! განსაკუთრებით, სორბონის ატმოსფერომ! ამ ლექციებმა, სადაც სამყაროს ყველა დიდ კანონზომიერებას აანალიზებენ და ღმერთის სახელს არც კი ახსენებენ...

შერცი: არ ახსენებენ, მაგრამ მუდმივად მასზე ლაპარაკობენ.

ჟანი *(გამწარებით)*: მასზე უფრო მკაფიოდ ლაპარაკს ვარ შეჩვეული.

შერცი *(გამამხნევებელი ღიმილით)*: მხოლოდ ურთიერთგაგებაა საჭირო. *(მოჭოჭმანე)* იქნებ შევძლო თქვენი დახმარება, ძვირფასო მეგობარო; მე ხელს ვჭიდებ იმ ცოტაოდენს, რაც თქვენი რელიგიური ცოდნის შესახებ ვიცი... რეალურად რა დონეზე ხართ?

ჟანი *(ნირწამხდარი)*: მე თვითონაც ვერ გამირკვევია, მაგრამ საქმე ცუდად მიდის, ძალიან ცუდად...

აბატი ჯდება, ფეხს ფეხზე იდებს, წინ იხრება, ნიკაპზე თითებშემოჭდობილი.

ჟანი: მე ურთიერთგამომრიცხავ მისწრაფებებში ვარ ჩაკარგული. საშინელი გაუწონასწორებლობა, მით უფრო მტკივნეულია, რომ ადრე ვიცოდი, რა იყო სულიერი სიმშვიდე, წმინდა, აუმღვრეველი რწმენა,

შინაგანი კეთილი ცეცხლი... გეფიცებით, არაფერი მომიმოქმედებია, ამ მდგომარეობაში აღმოსაჩენად, პირიქით. დიდხანს, ვუკრძალავდი ჩემს გონებას ამ საკითხებით დაინტერესებას, მაგრამ, ახლა, მეტი აღარ შემიძლია. ობიექტური რეალობა შემომჯარვია; თითქმის ყოველდღე, ახალს გადავეყრები ხოლმე! იძულებული ვიყავი შემემჩნია, ნებსით თუ უნებლიეთ, რომ კათოლიკური დოქტრინის მხოლოდ ერთი პუნქტი კი არ წამოჭრის დღეს უამრავ ურთიერთგამომრიცხავ საკითხს... *(ჯიბიდან ჟურნალს იღებს.)* შეხედეთ, იცნობთ ამას? ბრიუნუას სტატიაა: „გონისა და რწმენის კავშირები". *(შერცის უარყოფითი ჟესტი.)* ეს თვალში, არცთუ დიდი ხნის წინ, შემთხვევით მომხვდა. აქამდე აზრადაც არ მომდიოდა, თუ რა შეიძლება ყოფილიყო თანამედროვე ეგზეგეტიკა, ეჭვიც კი არ მქონდა, რომ ეს ისტორიულ კრიტიკაზე თავდასხმაა... რა აღმოჩენაა!

სწორედ აქედან გავიგე, პირველად, აი, ამგვარი ამბები, რომ სახარებები შეადგინეს 65-100 წელს ქრისტეს შემდეგ, და რომ, აქედან გამომდინარე, ეკლესია დაარსდა, არსებობდა და შეეძლო კიდეც არსებობა მათ გარეშე. სამოც წელზე მეტი ხნის შემდეგ ქრისტესგან! როგორც ახლა, ჩვენს დროში, წერილობითი წყაროების გარეშე, მხოლოდ მოგონებებსა და გაურკვეველ მოწმობებზე დაყრდნობით, რომ შეეცადონ ნაპოლეონის ქმედებებისა და სიტყვების ჩაწერას... აი, ესეც ფუნდამენტალური წიგნი, რომლის ნამდვილობა სათუო არ უნდა იყოს არც ერთი კათოლიკესთვის!

(გადაშლის გვერდს) რომ იესოს თავი ღმერთად არასდროს მიუჩნევია, არც წინასწარმეტყველად, არც რელიგიის დამაარსებლად, თუ არ ჩავთვლით სიცოცხლის ბოლო წლებს, როდესაც თავისი მოწაფეების მალემრწმენობით გაბრუებულმა თქვა, რომ ღმერთი იყო...

რომ ძალიან დიდხანს ყალიბდებოდა და ზუსტდებოდა დოგმა სამების შესახებ; და, რომ რამდენიმე საეკლესიო კრება გახდა საჭირო ქრისტეს ორბუნებოვნების დასადგენად, მისი ადამიანური და ღვთაებრივი ნილის განსასაზღვრად... მოკლედ, წლები დასჭირდა კამათს ამ დოგმის დასადგენად და ქრისტეს მიერ წარმოთქმულ სიტყვებთან როგორლაც მისაბმელად; მაშინ, როცა კატეხიზმოში ამ დოგმას, სამების შესახებ, პირველი გაკვეთილებიდანვე გვასწავლიან, როგორც ელემენტარულ, სრულიად მარტივ, თვით იესოს მიერ გაცხადებულ და იმდენად ნათელ ჭეშმარიტებას, რომელსაც არასდროს არც არავინ შეკამათებია.

(კიდევ ერთ გვერდს შლის.) და ეს! უმწიკვლობის კონცეფცია... თითქმის აგერ, გუშინ გამოგონილი! რომელმაც დასაბამი მხოლოდ XII საუკუნეში ჰპოვა ორი ინგლისელი ბერის მისტიკურ გონებაში! და, რომელიც მხოლოდ XIII საუკუნეში განიხილეს და ჩამოაყალიბეს!... დღეს ყველა კათოლიკე, წარბშეუხრელად აღიარებს, რომ იესოს დედა იყო „უცოდველად მიმადლებული". რატომ? უბრალოდ იმიტომ, რომ ერთმა ბერძენმა მთარგმნელმა შეცდომა დაუშვა და ბერძნული სიტყვა παρθένος, ქალწული – ქალიშვილი, იხმარა იმ ებრაული სიტყვის სათარგმნად, რომელიც ახალგაზრდა ქალს ნიშნავს!... გეღიმებათ? თქვენ ეს ყველაფერი იცოდით? *(გულგატეხილი)* მაშ, თქვენ კარგად ვერ გაიგებთ, თუ რა შეიძლება განვიცადო მსგავსი ლიტერატურის კითხვისას... გაითვალისწინეთ, რომ ჯერ ისიც კი არ ვიცი, ეს მართალია თუ არა. *(შერცი ანიშნებს, რომ მართალია.)* და ეს შეიძლებოდა დაბეჭდილიყო, მთელი სიგრძე სიგანით, ისეთი სერიოზული და წინდახედული მეცნიერის ხელმოწერით, როგორიც ბრიუნუაა, არა, ეს დაუჯერებელია! განსაკუთრებით სტატიის კილოა თავგზაამბნევი. ეს საბუთები აქ სასხვათაშორისოდაა მოყვანილი, თეზისის გასამყარებლად, უდისკუსიოდ, როგორც დღეს მიღებული უამრავი ჭეშმარიტება, ამდენი საბოლოოდ ფარდაახდილი ისტორიული მომენტი! უბრალოდ, შენიშვნაა, რათა მიუთითონ ჩემნაირ უმეცრებს, თუ სად შეიძლება თითოეული ამ მტკიცებულების დასაბუთების პოვნა! მე ამ სტატიის ამონარიდებს გთავაზობთ, რადგან ეს-ესაა ნავიკითხე. მაგრამ ყოველი მხრიდან, ყველა სფეროში, მე წინააღმდეგობას ვაწყდები!

მაშ, მთელი თანამედროვე ცოდნა აბსოლუტურ წინააღმდეგობაშია ჩვენს რწმენასთან?

შერცი *(ალერსიანად)*: მე მეგონა, რომ თქვენ მეგობრული კავშირი გქონდათ ბიუის აბატთან, განათლებულ მღვდელთან...

ჟანი: უჰ... ის აქტიური კაცია, წმინდა, რომელსაც არასდროს შეპარვია ეჭვი სერიოზულად, და, რომელიც სხვათა შორის, თუ ასეთი რამ შეემთხვეოდა, მსწრაფლვე დაამარცხებდა ამ ეჭვს ქმედებით. *(ღვარძლიანი ღიმილით)* თეოლოგიის წიგნები მათხოვა...

შერცი: მერე?

ჟანი *(მხრებს იჩეჩავს)*: მე იქ ვიპოვე კეთილსახიერი და სიტყვამრავალი არგუმენტები, ერთი შეხედვით შეუვალნი, მაგრამ რომელნიც უმცირესი დაფიქრებისას გაბერილი ტიკებივით სკდებიან. ამას მხოლოდ დარწმუნებულის დარწმუნება შეუძლია... შოკში გაგდებთ?

შერცი: არა, არანაირად. ძალიან კარგად მესმის თქვენი.

ჟანი: მართლა?

შერცი: უფრო კარგად, ვიდრე წარმოგიდგენიათ...

ჟანი გაკვირვების ჟესტს აკეთებს, შერცი ხელით შეაჩერებს.

შერცი: განაგრძეთ, თუ გნებავთ.

ჟანი: აი... სულ ესაა... ყოველ ჯერზე, როდესაც მინდა განვსაჯო, იმედით განვიმტკიცო ჩემი რწმენა, ან უბრალოდ ვცდილობ გავაანალიზო ჩემი შეშფოთება, ვგრძნობ, რომ კიდევ ერთ დარტყმას ვაყენებ ჩემს რწმენას... სწორედ რწმენის ძიებისას გერყევა რწმენა. ამის გამოცდილება მაქვს. იმდენი ვქენი, რომ ჩამომენგრევა...

შერცი *(ცოცხლად)*: არა, არა.

ჟანი: აჰ, გარწმუნებთ, რომ ყველაფერი გავაკეთე ამის თავიდან ასაცილებლად! *(სასონარკვეთით და ნაღვლიანად)* ალბათ, არსებობს ხალხი, ვისაც ურელიგიოდაც იოლად შეუძლია გასვლა? მე არ შემიძლია. მე ის მჭირდება, მჭირდება, როგორც ჭამა და ძილი. ურელიგიოდ, მე ვიქნებოდი... არ ვიცი... იმ ხესავით, რომლის ფესვებსაც ნიადაგი, საზრდო ექნებოდა გამოცლილი! ყველაფერი ერთბაშად ნავიდა... აჰ, ეს საშინელებაა, ჩემო ძვირფასო; მე თავს გულის სიღრმემდე კათოლიკედ ვგრძნობ! ეს კიდევ უფრო უკეთ მას შემდეგ შევიგრძენი, რაც ამდენი ვიბრძოლე. ყველაფერს, რასაც ვფიქრობ, ყველაფერი, რაც მინდა, ყველაფერს, რასაც ვაკეთებ, ჩემში კათოლიკური არსი საზღვრავს, რომელიც ჩემი ბუნების ნაწილია, და თუ ამ არსს დავკარგავ, მაშინ მთელი ჩემი ცხოვრება სამუდამოდ ურთიერთგამომრიცხავი აბსურდი იქნება.

შერცი: ეს მორალური კრიზისი უწყვეტია? თუ არის კიდევ დღეები, როდესაც თქვენ ღმერთთან მიახლოება შეგიძლიათ?

ჟანი *(საგონებელში ჩავარდნილი)*: არ ვიცი, როგორ გითხრათ... არსებითად, სინამდვილეში არ მაქვს შეგრძნება, რომ ღმერთს დავშორდი... მაშინაც კი თუ ეჭვი მეპარება... *(მომღიმარი)* ვერ გიხსნით...

აბატი ანიშნებს, რომ ძალიან კარგად ესმის.

ჟანი *(ჩაფიქრების შემდეგ)*: საბოლოოდ სადარდებელი ესაა, ყველაფერი კათოლიკურ რელიგიაში თავსდება: რწმენა, დოგმა, მორალი, ლოცვის შინაგანი ემოცია; ყველაფერი თავსდება... *(შერცი უარყოფით მოძრაობას აკეთებს, რომელსაც ჟანი ვერ ამჩნევს...)* და, თუ ნაწილს უკუაგდებ, მთელს კარგავ!

აბატი წამოდგება და ზურგზე ხელებდაწყობილი რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს.

შერცი: აჰ, ჩემო მეგობარო, ჩვენ ადამიანთა რელიგიური ცხოვრების ტრაგიკულ ხანაში ვცხოვრობთ.

ის ჟანის წინ ჩერდება და სერიოზულად, დაკვირვებით შესცქერის.

შერცი *(მოზომილი ხმით)*: ვნახოთ, დასკვნისთვის, ერთი მხრივ, თქვენი გონება, რომელიც შეურაცხყოფილია დოგმის პუნქტებით და უარს აცხადებს მათ მიღებაზე; და, მეორე მხრივ, თქვენი რელიგიური მგრძნობელობა, ძალიან სიცოცხლისუნარიანი, რომელმაც იგემა ღმერთი, თუ შემიძლია ასე ვთქვა, და, რომელსაც უიმისოდ ყოფნა აღარ შეუძლია.

ჟანი: სწორედ ასეა. თუ არ ჩავთვლით ინსტინქტურ შიშს, უდაოდ, ჩემს ბავშვობაში და ჩემს ატავიზმში რომ აქვს გადგმული ფესვები, რნმენის დაკარგვის უზარმაზარ შიშს.

შერცი: დიახ... მაშ ასე, ეს თითქმის იგივეა, რაც მე განვიცადე!

ჟანი: აჰ, როდის?

შერცი: როდესაც სემინარია დავტოვე.

ჟანი *(მოუთმენლად)*: და... ახლა?

შერცი *(ღიმილით უთითებს თავის ანაფორაზე)*: თქვენ ხედავთ...

ხელის გაქნევით იცილებს ჟანის კითხვას.

შერცი *(დინჯად)*: გსურთ მოგითხროთ ჩემი პირადი მაგალითი?

ჟანი მადლიერი ღიმილით შეჰყურებს.

აბატი მოხერხებულად ჯდება სავარძელში, სახე გადაჯვარედინებულ ხელებზე აქვს ჩამოყრდნობილი, თვალები მოჭუტული, მზერა შორეული.

შერცი: კურთხევამდე მე დიდად არ მისწავლია მეცნიერებანი, მაგრამ დიდი ხანია მაინტერესებდა და მიზიდავდა; და დავიწყე შესწავლა, მაშინვე მაკურთხეს მღვდლად. კარგად ვუწევ ანგარიშს, შორიდან, იმას, რაც მოხდა; და ეს ბევრს ემართება. *(პატივისცემით)* ეს სამეცნიერო დისციპლინაა! ამას იმწამსვე აღმოაჩენ; გატაცებით ემორჩილები; ის გიპყრობს; ახლებურად გინვრთნის გონებას. შემდეგ, უფრო მოგვიანებით, ერთ დღეს, როდესაც წარსულს მიუბრუნდები, ყველაფერი შეცვლილი გხვდება. ადრე ნაჩვევ საგნებს უყურებ და თითქოს პირველად ხედავ, მათ განსჯი... და ამ დღიდან, მორჩა და გათავდა, აღარ შეგიძლია არ განსაჯო! ასე არაა?... აი, მეცნიერული დისციპლინა!

ჟანი: დიახ, აღარ შეგიძლია არ დაინახო...

შერცი *(ღიმილით)*: მე არ ვიცოდი, უკან დასახევი გზა თუ მოჭრილი იყო, მეგონა უკან დაბრუნებას შევძლებდი. დავხურე ყველა წიგნი და ბრუგენის მონასტერში წავედი... *(ყოყმანობს)*

ჟანი: ჩაიკეტეთ?

შერცი: ჩავიკეტე. ხუთი თვე, შუა ზამთარში... ჯერ მამათა კონსულტაციები ვცადე; ბევრი მათგანი განათლებული იყო, მაგრამ ისინი ამტკიცებდნენ, მე კი ვმსჯელობდი და ვეკამათებოდი; მუდამ ერთსა და იმავე გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. ბოლოს ისინი იცინოდნენ და ამბობდნენ: „არაფერია შეუძლებელი ღვთისთვის". მაშ, რაღა უნდა მეპასუხა?

ერთმა მათგანმა ერთ დღეს მითხრა: „რაც მაკვირვებს, ისაა, რომ მსგავსი აზრების მქონემ არ დაკარგეთ რწმენა..." აჰ, მე ბევრი ვიფიქრე ამაზე. მართალი იყო, ჩემი რწმენა არ შესუსტებულა. ისევე, როგორც თქვენ თქვით ახლახან თქვენზე. მქონდა შინაგანი რწმენა – ასე ვთქვათ, მჯეროდა – რომ არაფერი შეცვლილა. შეუძლებელია სინდისის ქენჯნის განცდის მოთმენა. მე ვგრძნობდი, რომ რაღაცას ვიყავი დამორჩილებული, რაც ჩემს ნებაზე უფრო ძლიერი იყო და, ამავე დროს, ძალზე ამაღლებული, და ისე საპატივსაცემო...

და რა უნდა მექნა? შევეცადე შევგუებოდი.

ჟანი *(თავს აქნევს)*: სახიფათო გზა...

შერცი: იძულებული ვიყავი მელიარებინა, რომ ბრძოლა, ასეთი ცხადი სამეცნიერო არგუმენტების წინაშე, ამაო იყო, და ზოგიერთ მეცნიერ მღვდელთა მსგავსად უმოქმედობა ან სანახევროდ, მოჩვენებითად თავის მიძღვნა, არასაკმარისი. არა, ვაუკაცურად უკანდახევა, სიამაყე, რომ გულწრფელი ხარ, და ღმერთთან თანხმობა გულისა და გონების სიღრმეში. *(დრო)* ამგვარად, მე დავტოვე ბრუგენი, პარიზში დავბრუნდი და წიგნებისა და ფიქრის მეშვეობით ბეჯითად შევუდექი ყველა ამ საკითხის ღრმად შესწავლას. *(მხიარულად)* ეჰ! ჩემო მეგობარო, როდესაც უყურებ, მართლა რა უთანასწორობაა ორ არსებულ ბანაკს შორის! ერთ მხარეს ეკლესიის მონინააღმდეგენი – მხოლოდ ნამდვილ მეცნიერებს ვგულისხმობ, შრომა რომ აქვთ გაწეული ისეთებს, – მეორე მხარეს, კათოლიციზმის ჩვენი აპოლოგეტები, რომლებიც გოდებენ და ძველ, სრულიად უმაქნის არგუმენტებს აყლარუნებენ, და საბოლოოდ ანათემით იმუქრებიან! ვისკენ იხრება, თავისდაუნებურად, ნდობა? რომის პოზიცია მართლა გაუგებარია; სულ გამონვლილვით უნდა შეისწავლო, რომ დარწმუნდე! ის უტევს თანამედროვე მეცნიერებას და არ ით-

ვალისწინებს დღევანდელ მოვლენებს. არ ითვალისწინებს და უარყოფს უკანასკნელ ელემენტარულ მეთოდამდე; შეუძლებელია კამათი. თვით ამითაც, უნდა რა, რომ იყოს ძალიან მხარდაჭერილი, თავის თეზისს სრულიად დაუცველს ხდის. ორი წელი დამჭირდა ამ მრწამსისთვის რომ მიმელწია, მაგრამ არ ვნანობ. მუშაობის ამ წლების წყალობით, მე სამუდამოდ მოვიპოვე შინაგანი სიმშვიდე.

ჟანი: შინაგანი სიმშვიდე...

აბატი ნინ იხრება, თითქოს ჟანის მთელ ყურადღებას ითხოვს.

შერცი: ჩემო მეგობარო, მე მივაღწიე ამ კაპიტალურ განსხვავებას.

არის რელიგიურ გრძნობაში ორი ბუნებით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ელემენტი. პირველი: რელიგიური გრძნობა თავის სიწმინდეში, არის, თუ შეიძლება ასე ვთქვა, ღვთაებასთან დადებული ხელშეკრულება, და, ამავე დროს, პირადი და ინტიმური კავშირი, რომელიც მყარდება ღმერთსა და რელიგიურ სულთა შორის. კეთილი. – მეორე, ელემენტი, ვიტყოდი დოგმატური, თეორიული მტკიცებულებანი ღმერთის თაობაზე, და ურთიერთობანი – არა ყველაზე ინტიმური, არამედ კულტურული – ადამიანსა და ღმერთს შორის... გესმით ეს?

ჟანი: დიახ.

შერცი: კეთილი, დღევანდელი ჩემი რელიგიური მგრძნობელობისთვის ერთ-ერთი ამ ელემენტთაგანია ძირეული, პირველი, პირადი კავშირი ღმერთთან.

ჟანი: როგორ შეგიძლიათ თქვათ – დღევანდელი მგრძნობელობა? რელიგია მოდას არ ექვემდებარება!

შერცი: აჰ, ეს ფრჩხილებში ჩასმაა. რელიგია ან მოდას ექვემდებარება, ან კაცობრიობის მორალურ განვითარებას. ნახეთ, შუა საუკუნეებში, განა დიდი ძალა არ დახარჯეს? დღეს – არა, ეს ფაქტია. შეხედეთ კათოლიკეებს, იმათ, ვისაც მართლა აქვთ შინაგანი ცხოვრება, ბევრ მათგანს თეორიული რელიგიის თაობაზე სრულიად არაფერი გაეგებათ; ისე, რომ ეჭვიც კი არ ეპარებათ, დოგმა მათთვის მეორე ადგილზეა გადაწეული; და ვითომ აქ არაფერი.

ჰო, პირველ სიტყვას მივუბრუნდეთ... მე ვამბობ, თქვენთვის, ჩემთვის, ჩვენ თანამედროვეთაგან უმრავლესთათვის, პირველი ელემენტი, პერსონალური რწმენა ხელშეუხებელია. დოგმატურმა მორწმუნეობამ კი დაკარგა წონასწორობა. ჩვენ აქ ვერას გავაწყობთ. რომაული რელიგია ისეთი, როგორიც დღესაა დადგენილი, მიუღებელია კულტურის მქონე ბევრი გონებისთვის და გაღრმავებული ცოდნის მქონე ყველა გონებისთ-

ვის. ღმერთი, რომელსაც გვთავაზობენ, ძალზე მცირედითაა ადამიანური. დღეს, ერთსახოვანი ღმერთის, ღმერთი მონარქის, ყოვლისმპყრობელის, სამყაროს შემოქმედის რწმენა, რწმენა ცოდვისა და ჯოჯოხეთის... უჰ, არა, მეტისმეტია! ეს რელიგია ველარ ჯდება ჩვენს განზომილებაში! ის ველარ აკმაყოფილებს – როგორ ვთქვა... – ჩვენი სრულყოფის წყურვილს.

ადამიანთა რწმენა, როგორც ყოველივე, ემორჩილება ევოლუციას; ის მიაბიჯებს, მიდის ნაკლებ კარგიდან უკეთესისკენ. ასევე რელიგია, ყოველგვარი აუცილებლობით, უნდა იყოს ადაპტირებული დღევანდელ ინტელექტთან. რომი ცდება, წინააღმდეგობას რომ უწევს ამ ადაპტაციას.

ჟანი *(ცოცხლად)*: კი მაგრამ, თანამედროვე ეკლესიის დაძრახვისას, თქვენ რომ სჩადიხართ, დარწმუნებული ხართ, რომ ნამდვილად თქვენ ხართ მართალი?... არა? უბრალოდ, რომ თქვენ ხართ...

რწმენაში, თუნდაც იმის დაშვებით, რომ ის ღვთიური წარმოშობისაა, ძალიან ძლიერია ადამიანური ელემენტი. მხოლოდ ახლა იწყებენ ამის ანგარიშში ჩაგდებას. ამგვარად, ორთოდოქსებმა მხოლოდ სულ ცოტა ხნის წინ აღიარეს, რომ ბიბლიისა და სახარებების ზოგიერთ მონათხრობს გადატანითი მნიშვნელობა აქვს. მაგალითებს მოგიყვანთ: იესო ჩადის ქვესკნელში... ან, კიდევ, სატანას იესო მთაზე აჰყავს... ვერც ერთი სერიოზული თეოლოგი ველარ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ: „დიახ, ამ ჩასვლას ადგილი ჰქონდა მატერიალურად... დიახ, ეს მთა არსებობდა, მატერიალურად". ისინი დღეს აღიარებენ: „ეს გადატანითი მნიშვნელობითაა".

ასევე, ეს მანერა, აშკარად სიმბოლურის, კეთილსინდისიერად სიმბოლოდ სახელდებისა, აი, რა არის კარგი თქვენნაირი და ჩემნაირი ადამიანებისთვის. მაგრამ ეს უნდა გამოიყენებოდეს, ორთოდოქსებივით კი არა, ძალისძალად რომ იყენებენ და ისიც მხოლოდ მართლა ტლანქი ლეგენდებისთვის; უნდა გამოიყენებოდეს რელიგიის მიერ დამტკიცებულ ყველა მოვლენაზე, როგორც კი ეს მოვლენა მიუღებელი გახდება თანამედროვე აზროვნებისთვის. ამგვარად ხელთ გექნებათ ყველა სირთულის დაძლევის გადაწყვეტილება.

ხანგრძლივი სიჩუმე.

ჟანი ფიქრობს და თვალს არ აცილებს აბატის ენერგიულ სახეს.

შერცი: სხვათა შორის, დარწმუნებული უნდა იყოთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, რომ სულ ცოტა, რამდენიმე წლის შემდეგ ყველა

განათლებული თეოლოგი ამ დასკვნამდე მივა; და გაოცებული დარჩება, რომ XIX საუკუნის კათოლიკეები ასე ხანგრძლივად იღებდნენ და თანხმდებოდნენ ამ პოეტური ტექსტების პირდაპირი მნიშვნელობით გაგებას. ისინი იტყვიან: „ეს ხილვებია, მრავალი მნიშვნელობით სავსე ამბები, მაგრამ იდეალური, მახარებლებმა ისინი უკრიტიკოდ მიიღეს, ზუსტად ისე, როგორც ამას ძველი ხალხი შვრებოდა.

ჟანი: მაგრამ ფაქტი ფაქტია. დოგმები ან ჭეშმარიტია ან არაფერია.

შერცი: აჰ, ჭეშმარიტი და რეალური, ეს ორი... წინააღმდეგობა, რომელსაც თქვენ აწყდებით, ხშირია. მაგრამ თქვენ თქვით ჭეშმარიტება და ფიქრობდით ავთენტურობას. ეს ერთი და იგივე არაა. საჭიროა ჭეშმარიტების დანახვა, არა მხოლოდ თვით ფაქტში, არამედ ამ ფაქტის მორალურ მნიშვნელობაში... უნდა შევთანხმდეთ იმ ფუნდამენტალურ აზრში, რომ განსხეულების ან მკვდრეთით აღდგომისას მისტერია, თუნდაც ავთენტური, მოვლენებად, ისტორიულად ზუსტად რომ მივიჩნიოთ, არ არიან, არ უნდა ვაღიაროთ, რომ არიან, იმავე რიგის მოვლენები, როგორიცაა სედანის კაპიტულაცია[1] ან რესპუბლიკის გამოცხადება!

აბატი დგება, მაგიდას შემოუვლის და ჟანის სკამის წინ ჩერდება. ჟანი ჩაფიქრებული რჩება.

აბატი აღელვებულია. მისი სახის მოჩვენებითი სიმკაცრე გამქრალა და შინაგანი ცეცხლის ისეთ ძალას ამჟღავნებს, რომელზეც ჟანს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა.

შერცი *(ჯვარცმისკენ იშვერს ხელს)*: როდესაც იქ, ამ ჯვარცმის წინ, ვარ დაჩოქილი და როდესაც ჩემში გულის სიღრმიდან ტალღასავით ამოზვირთებულ სიყვარულს ვგრძნობ იესოს მიმართ და როდესაც ჩემი ბაგენი წარმოთქვამენ: ჩემო მაცხოვარო! – აჰ, გარწმუნებთ, ეს იმიტომ არ ხდება, რომ მე ცოდვათა მონანიების მისტიურ დოგმაზე ვფიქრობ, კატეხიზმოს შემსწავლელი ბავშვის მსგავსად!... არა... მე მიმაჩნია უდიდესად ის, რაც იესომ კაცობრიობისთვის გააკეთა. ყველაფერი, რაც მართლა კარგია დღევანდელ ადამიანში, ყველაფერი, რაც იმედს გვაძლევს, რომ გაიფურჩქნება ხვალინდელ ადამიანში, მისგან მოდის! და მე სრულიად დამშვიდებული შეგნებით ვემხობი, ჩვენი მაცხოვრის წინაშე, ვინც არის სიმბოლო შეწირვისა და უანგარობისა; განვერთხმები მიღებული ტკივილის წინაშე, რომელიც განწმენდს ადამიანს!

---

[1] 1870 წლის 1 სექტემბერი. საფრანგეთ-პრუსიის ომი დამთავრდა ფრანგების დამარცხებით. ნაპოლეონ III ტყვედ ჩაუვარდა გიიომ I-ს.

და დილით, როდესაც საკურთხეველზე ვეზიარები, რომელიც განმიახლებს ძალას და აღამაღლებს ჩემს სულს, ჩემი გრძნობა ისევე მძაფრია, როგორც ცხადია ჩემთვის ღმერთის რეალური არსებობა! მაგრამ მაინც, ევქარისტია მხოლოდ სიმბოლოა, ღმერთის ჩემს სულზე მუდმივი და მგრძნობიარე ზემოქმედების; და ჩემი სული მოუხმობს მას, ეს ქმედება, და ძიება, თითქმის გაუმაძღრობაა!

ჟანი ფიქრობს. რაც უფრო მატულობს აბატის აღელვება, მით უფრო მშვიდდება ჟანი და კამათი აღარ სჭირდება.

ჟანი: დავუშვათ, მაგრამ მაინც, უბრალო კათოლიკე, ვისაც მტკიცედ სნამს განსხეულებისა და ევქარისტიის მატერიალური ფაქტები, თავის ლოცვებსა და ზიარებებში ბევრად მეტ სულსა და გულს დებს, ვიდრე თქვენ შეძლებთ ოდესმე მთელი თქვენი შეზღუდვებითა და აკრძალვებით!

შერცი *(ცოცხლად)*: არა, მთავარი ჭეშმარიტების იმ ზომით გამომზეურებაა, რომ ის კარგი შეიქნას ყოველი ჩვენთაგანისთვის.

დავდგეთ პრაქტიკულ ნიადაგზე. ჩვენს გონებას არ შეუძლია დოგმის მიღება, ეს ფაქტია; საპირისპიროდ, სიმბოლო, რომელიც ჩვენ იქიდან გამოვყავით, აკმაყოფილებს ჩვენს გონს და ხელს უწყობს ჩვენს გაუმჯობესებას. მაშ, რატომღა დავბრკოლდეთ?

ჟანი: ნუთუ ეს არაა დოქტრინის დამცრობა, მას ტრადიციულ ფორმებისგან რომ განვძარცვავთ? ქრისტიანობა ყოველთვის იყო და რჩება დოქტრინად. წადით და ასწავლეთ ყველა ერს ... ამ დოქტრინის სრულად მიღება ქმნის ქრისტიანად ადამიანს.

შერცი: კი მაგრამ, სწორედ დოქტრინის სრულად შესანარჩუნებლადაა საჭირო დღეს ფორმის მოდიფიკაცია! ისტორია გვასწავლის, რომ დოგმას, საუკუნეთა განმავლობაში შეეძლო ტრანსფორმირება, ზრდა, ზოგადი ევოლუციისადმი დაქვემდებარება. ერთი სიტყვით, სიცოცხლე. ახლა, რატომ უნდა დავტოვოთ უძრავად, მუმიასავით, ტრადიციაში ჩაკეტილი? რადგან ჩვენ ვამტკიცებთ, რომ დღევანდელი რელიგია აღარ შეესაბამება თანამედროვე ცნობიერების მოთხოვნებს, რატომ არა გვაქვს უფლება, ჩვენი მხრივ რაიმე მივუმატოთ წინამორბედ თეოლოგთა შრომას?

სენ-სულპისის ზარი ოთხჯერ რეკავს.

აბატი დგება და ჟანს მხარზე ადებს ხელს, ის კი სადღაც იყურება.

შერცი: კიდევ ვისაუბრებთ ყოველივე ამაზე.

ჟანი *(თითქოს ოცნებიდან გამოფხიზლებული)*: აჰ, აღარ ვიცი, მე... მე ისე დიდხანს ვიყავი მიჩვეული, აბსოლუტური ღირებულება მიმენიჭებინა ტრადიციული ფორმებისთვის... არის, ამგვარად გაგებულ რელიგიაში, ერთობის ნაკლებობა, რაც ჩემში შოკს იწვევს!

შერცი *(იკრავს მოსასხამს)*: უთანასწორობა ყველგანაა. რატომაა, რომ ადამიანებს, ასე განსხვავებულებს ერთიმეორისგან, არა აქვთ ჭეშმარიტი ფორმულები, რომ ერთსა და იმავე ღმერთს სცენ თაყვანი? *(ღიმილით)*

უნდა წავიდე!

მოეშვით, ჩემო მეგობარო... და გაიხსენეთ წმინდა პავლეს აღიარება: „ჩვენ ახლა მხოლოდ სარკის მეშვეობით ვხედავთ, ენიგმატურად... Videmus unc per speculum, in aenigmate..."

ქუჩას დაუყვებიან.

სიჩუმის მრავალი წუთი, გვერდიგვერდ.

ჟანი *(მოულოდნელად)*: უნდა იყოს ლოგიკა, რატომ განაგრძეთ მსახურება, თუ დამტკიცებულია, რომ ამ მსახურებებს მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ?

შერცი თოფნაკრავივით ჩერდება, ნიკაპს საყელოდან სწევს, და ჟანს აკვირდება, თითქოს სურს გაიგოს ეხუმრება თუ არა. წამსვე ტანჯვის გამომეტყველება იხატება მის სახეზე.

შერცი: აჰ, ესე იგი, ვერ გამიგეთ?

რამდენიმე წამს გონს იკრებს.

შერცი *(წონის სიტყვებს)*: იმიტომ, რომ უგუნურება იქნებოდა იმ ცოცხალი წყაროს წყალზე უარის თქმა, რაც პრაქტიკულად განხორციელებული რელიგიაა!... რელიგიასთან ისე უნდა დაიჭირო თავი, თითქოს ის ნამდვილი იყოს ყველა წვრილმანებში, რადგან ის ჭეშმარიტია... სიღრმისეულად. შეხედეთ, მაგალითად, ჩვენს კათოლიკურ ლოცვას, კიდევ სად მოიპოვება მსგავსი აღმაფრენა?

ჟანი: კი მაგრამ, თქვენ აღარ გჭირდებათ რიტუალები!

შერცი: ასე ნუ გგონიათ! სწორედ რიტუალებით შემოდის ჩვენს ცხოვრებაში ღვთაებრივი. საჭიროა, რომ ყველა, შეუმჩნევლად, დაეთანხმოთ კულტის ფორმებს; მაგრამ თითოეულმა, თავისი გონებრივი განვითარების თანახმად უნდა გაიგოს, გაიაზროს ის და თავისი მოთხოვნების მიხედვით გამოიყენოს.

ჟანი: ეს პროტესტანტიზმზე გადასვლაა...

შერცი: არა და არა! შეხედეთ, პროტესტანტიზმი ინდივიდუალისტური, და საბოლოოდ, ანარქისტული რელიგიაა. ის რეალურად არ შეესაბამება ჩვენს ბუნებას. მაშინ, როდესაც კათოლიციზმი ორგანიზებული, სოციალური რელიგიაა... როგორ ვთქვა?... საზოგადოებრივი სულითაა გაჟღენთილი... და შეესაბამება ადამიანის ბუნებას!

ჟანი: მაშ, სრული თავისუფალი მოაზროვნეობა!

შერცი: არა, ჩემო მეგობარო. ჩვენ, კათოლიკეებს, არასდროს გვექნება უფლება ამ განხეთქილებისა.

ჟანი: უფლება?

შერცი *(მკაცრად)*: ჩვენ სხვებისგან გამოყოფის უფლება არ გვაქვს. როგორ მოიპოვა რელიგიამ ნელ-ნელა თავისი უდავო სოციალური სათნოებანი? ყველას ძალისხმევით. განზე დარჩენა არის ინდივიდუალისტივით ქმედება.

ჟანი: მაგრამ თქვენი განწყობა სწორედაც ინდივიდუალისტის განწყობაა!

შერცი *(შეხტება)*: სულაც არა! ყველას შეუძლია თავის განვითარების მიხედვით გაიგოს სიმბოლოები. დიახ; მაგრამ მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ მას, რაც სიმბოლოა ჩვენთვის, თავისი ექვივალენტი აქვს ყველაზე უფრო პოპულარულ გამოხატულებებში. ამგვარად, ვრჩებით სხვებთან გადაჯაჭვულნი. აი, ესაა კარგი ინდივიდუალიზმი...

ჟანი პასუხს არ სცემს.

შერცი: ჩემო მეგობარო, მაშ, დაფიქრდით იმაზე, თუ რა არის ეს რელიგია! დაფიქრდით, რომ უამრავი ადამიანისთვის იგი ერთადერთი ღია ფანჯარაა სულიერი ცხოვრებისკენ! რამდენი არიან ისინი, ვინც ვერასდროს გასცდება ხატს? და თქვენ გსურთ ცუდი საქციელი ჩაიდინოთ და მათ გაეთიშოთ, მაგრამ თითოეულ რელიგიურ გრძნობაში არის მარცვალი, რომელიც ერთია, როგორც ამოოხვრა, როგორც სულის სწრაფვა დაუსაბამოსკენ, ძალიან ძლიერი ან ნაკლებ ძლიერი... ჩვენ ყველანი მსგავსნი და თანასწორნი ვართ ღვთის წინაშე!

ჩემსავით მოიქეცით. მე არ ვუარყოფ, რომ დღევანდელ რელიგიაში არის არასახარბიელო მომენტები, მაგრამ მე მათ ყურადღებას არ ვაქცევ. Ora patrem tuum in abscondito...[1] მე ვფიქრობ, რომ ადამიანთა მიერ შექმნილ ყოველგვარ ორგანიზაციებს აქვთ ნაკლი. ვფიქრობ, რომ კათოლიციზმი, უმეტესად აღმატებულია სხვა კონფესიებზე,

[1] ჩუმად აღავლინე ლოცვა მამის მიმართ

რადგან იგი მართლაც, ტერმინის სრული მნიშვნელობით, ასოციაციაა. და მე ვთანხმდები მსახურებებსა და რიტუალებს, უპირველესად იმიტომ, რომ თავად ვიკრებ იქიდან ცხოველ ძალას, რომლის მსგავსსაც ვერსად სხვაგან ვერ ვპოვებდი, და კიდევ იმიტომ, რომ მათ გარეშე, კათოლიციზმი აღარ იქნებოდა ის რელიგიური სოლიდარობა, რომელიც ამდენ სულს სჭირდება...

აბატი ჩუმდება.

ისინი სტუდენტებით გადაჭედილ სორბონის დერეფნებს მიუყვებიან.

ჟანი ცდილობს ცოტა წესრიგში მოიყვანოს თავისი აზრები.

– ერთი ცხადია, დიახ, უნდა ეძიო... აქამდე ყველა ღონეს ვხმარობდი, რომ არ მეფიქრა; მეგონა, რომ ვერაფერს მივაღწევდი ფიქრით... ეს შეცდომაა. უკან დაბრუნება, ბავშვობისდროინდელი რელიგიური გრძნობებისკენ მიბრუნება შეუძლებელია, აი, ესაა არსებული რეალობა... პირიქით, წინსვლას უნდა ვეცადო, ახალ გზას უნდა დავადგე, რადგან შერცი...

მაგრამ დავრწმუნდი, რომ ყოველივე ამის დიდი არაფერი გამეგება... ეს დიდი გზაგასაყარია, ცოდნა... საჭიროა ეს დავამუშავო... დოგმები... მხოლოდ გარეგან მხარეს ჩავწვდი, კულტურულს. აბატი ყოველთვის სიღრმეებზე ლაპარაკობს, გარეგნულ ფორმებში ჩამალულ სიღრმისეულ შინაარსზე... აქამდე ფორმა მიფარავდა შინაარსს... ჩაღრმავება იმ წერტილამდე, სადაც დოგმის არსი და საღი აზრის მოთხოვნები ურთიერთს შეუთანხმდება. აი, ესაა წონასწორობის აღდგენის ერთადერთი შანსი, რომელიც მე დამრჩენია...

III

ბატონ აბატ შერცს,
ქიმია-ბიოლოგიის პროფესორს
კათოლიკურ ინსტიტუტში,
ბერნი (შვეიცარია).

პარიზი, აღდგომის ორშაბათი.

ძვირფასო მეგობარო,

მადლობას გიხდით იმ მზრუნველი ინტერესისთვის, მამაჩემის ჯანმრთელობის თაობაზე რომ გამოიჩინეთ. ის უკეთაა. იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის კონსულტაციის დღეებსა და ლექციებზე; მხოლოდ საავადმყოფოში მუშაობის დილის საათები დაიტოვა. ესეც მეტია მის მდგომარეობაში მყოფისათვის. მიუხედავად ამისა, მისი კოლეგები იმედოვნებენ, რომ ყურადღებიანი ზედამხედველობით, ავადმყოფობის განმეორების საშიშროება მხოლოდ მრავალი წლის შემდეგაა მოსალოდნელი.

ძალიან დამიგვიანდა თქვენთვის პასუხის გაცემა; მკაცრად ნუ განმსჯით; ისეთი დაკავებული ვიყავი ამ ზამთარს! თქვენი წერილები ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებდა; ისინი მაგონებდნენ ჩვენს ორი წლის წინანდელ ერთად გატარებულ საღამოებს, ჩვენს კამათსა და ხმამაღალ კითხვას! ვაგლახ, ძვირფასო მეგობარო, ყოველივე ეს ძალიან შორეულად მეჩვენება... არა, თქვენი კეთილისმყოფელი გავლენა კი არ დამიკარგავს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ვფიქრობ, რომ თქვენ სამუდამოდ დამამშვიდეთ, და მთელი ჩემი სიცოცხლე თქვენ უნდა გიმადლოდეთ, რომ მოვიპოვე რწმენა, ღრმად გააზრებული და მშვიდი, მყარი თავისი საფუძვლით და ფორმით მისაღები, ნამდვილი საყრდენი ჩემი ყოველდღიური ცხოვრებისა. მაგრამ მედიცინის შესწავლა ძალიან რთულია, ამოსასუნთქი დრო არ მრჩება სხვა, არასპეციალური, წიგნების გადასაშლელად!

სხვა საქმისთვის დრო კიდევ უფრო ცოტა მრჩება, რადგან ჯიუტად არ ვწყვეტ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლას; ეს გაცილებით უფრო მიტაცებს და მომწონს, ვიდრე მედიცინის შესწავლა და არ მინდა მხოლოდ ლიცენციანტის ელემენტარული დიპლომით დავკმაყოფილდე. ჩემი ხელმძღვანელი ძალიან მაქებებს ინტერნატურის კონკურსი გავიარო მომავალი წლიდან. მე კი მერჩია მთელი ჩემი ძა-

ლისხმევა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დამეხარჯა. სამედიცინო კარიერა ჩემთვის სრულიად გაკვალულია; საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პროფესორობა კი, რომელიც სრულად პასუხობს ჩემს გემოვნებას, ცოტა საორჭოფოა. არ ვიცი, რა გადავწყვიტო. თქვენ კარგად იცით, რომ ჩემს არჩევანზე მარტო ჩემი ცხოვრება არაა დამოკიდებული, არამედ სხვისიც... ეს საწუხარი, რომელსაც ვერავის ვუზიარებ, ხშირად მუქ ფერებში მიხატავს ჩემს მომავალს და სულიერ სიმშვიდეს მაკარგვინებს.

მიხარია, რომ, ბოლოს და ბოლოს, თქვენი საყვარელი საქმიანობით ხართ დაკავებული. მხოლოდ ისაა დასანანი, ასე იშვიათად რომ გაქვთ შვებულება. როდის ვნახავთ ერთმანეთს? ამაზე ფიქრისას ეგოისტური გრძნობებისთვის ვერ დამიღწევია თავი. ვიგონებ ყველაფერს, რასაც თქვენი მეგობრობა წარმოადგენდა ჩემთვის და რაც ჩემთვის შეუცვლელია.

ნახვამდის, ჩემო ძვირფასო მეგობარო. ველი თქვენგან კარგ, შინაარსიან პასუხს; გიდასტურებთ ჩემს ერთგულებას.

ჟან ბარუა

ბეჭედი

I

ნაშუადღევის მინურული, მაისი.

ჟანი შინ ბრუნდება, პატარა ბინაში, რომელშიც მას შემდეგ ცხოვრობს, რაც მამამისმა პარიზი დატოვა.

კარქვეშ ქ-ნ პასკელენის წერილი:

ბიუი-ლა-დამი, კვირა 15 მაისი.

ჩემო ძვირფასო ჟან,

არ ვიცი, რა მოგწერა მამაშენმა თავისი ჯანმრთელობის თაობაზე, მაგრამ მე საკმაოდ შეშფოთებული ვარ; არა მგონია, უკეთ იყოს...

ჟანი მხრებში იხრება. ახლა მოუნდა, რომ ეს წერილი საერთოდაც არ გაეხსნა.

გაზაფხულიდან მოყოლებული, განსაკუთრებით გასულ თვეში გადატანილი პატარა კრიზის შემდეგ, ჩვენ ის ძალიან შეცვლილი გვეჩვენება... კიდევ უფრო გახდა. მხნეობა, რომელიც ზამთარში ჰქონდა, სულ გაუქრა. სერიოზულად აღარ იცავს რეჟიმს; ამბობს, რომ მორჩენილია მისი საქმე, რომ აღარ გამოჯანმრთელდება. გულსაკლავია, ამ უზარმაზარ, მოგონებებით სავსე სახლში ერთი მოსამსახურის ანაბარად დარჩენილი, ადრე ასეთი აქტიური კაცის მთელი დღე უსაქმურად ყოფნის ცქერა. გვინდოდა ჩვენთან გადმოგვეყვანა, ბაღში ისეირნებდა, მაგრამ შინ დარჩენა სურს.

ჩემო ძვირფასო, ყოველივე ეს ძალიან სამწუხაროა. მინდა გულახდილად გითხრა ყველაფერი...

ჟანს ხელები უცახცახებს, თვალზე ბინდი ეკვრის.

...მგონი, ახლავეა გასათვალისწინებელი ის მომენტი, როდესაც მამაშენი ლოგინიდან ვეღარ წამოდგება, და სწორედ ამიტომ გწერ.

ვიცი, როგორ განიცდიდით ოჯახში რელიგიისადმი მის გულცივ დამოკიდებულებას; ჩვენ – მისი ყველაზე ძველი მეგობრების – ვალად

მიმაჩნია იმ სავალალო მდგომარეობის გამოსნორება, რომელშიც ის იმყოფება. მას შემდეგ, რაც მამაშენი ჩვენ გვერდითაა, შემთხვევას ხელიდან არ ვუშვებ, რომ ამ სერიოზულ თემაზე ვესაუბრო. მაგრამ შენი ძალისხმევაც უნდა მოგვახმარო და შენს წერილებში ფრთხილად შეეხო რელიგიურ საკითხს.

ხელს მოქანცულად ჩაიქნევს. ყრუ გაბოროტება.

ერთ გვერდს გამოტოვებს. მერე თვალები გადაანყდებიან წინადადებას:

სესილი კარგადაა...

– სესილი...

მზერა ბუხრისკენ, სადაც მისი ფოტოსურათი ედო. ახლა ის იქ აღარაა...

– ჰოო, დავმალე, რაც იუგეტმა დაინყო აქ მოსვლა... იუგეტი!... ექვსი საათი. ის არ იგვიანებს, სადაცაა მოვა...

მწვავე უხერხულობა მის ფიქრებში არეულ-დარეული სესილი და იუგეტი; ორივე სახელი ერთად მის ბაგეზე...

ნერვიულად ისვამს შუბლზე ხელს:

– ასე გაგრძელება აღარ შეიძლება... და, უეცრად, სრულიად აშკარა გრძნობა, რომ იუგეტთან ურთიერთობა დასრულებულია. ამდენ ხანსაც იმიტომ გაგრძელდა, რომ სერიოზულად არ ჩაფიქრებულა საკუთარ ქცევაზე...

სესილი კარგადაა, ამ ბოლო ხანს ცოტა გაიზარდა და დასუსტდა. კვირაში რამდენჯერმე მიდის მამაშენთან, ხელსაქმეც თან მიაქვს და ნაშუადღევებს მასთან ერთად ატარებს. ძალ-ღონეს არ იშურებს, როგორმე გაართოს და მარტოობა შეუმსუბუქოს...

ჟანს უკმაყოფილო მზერა უშეშდება.

თვალწინ დაუდგება ბუხართან გაწოლილი ექიმი; საღამოვდება; სესილი ფანჯარასთან ზის; მისი პატარა ამობურცული შუბლი ჯიუტადაა დახრილი ხელსაქმისკენ და შემპარავად წარმოთქვამს წინასწარ მომზადებულ სათქმელს...

ეს ხილვა აუტანელია ჟანისთვის.

– რატომ აიძულებენ სესილის ამ საქმეში ჩაერთოს?

დგება, რამდენჯერმე გაივლ-გამოივლის ოთახში; შემდეგ საწერი მაგიდისკენ მიემართება და გასაღებით ჩაკეტილ უჯრას აღებს.

სესილის ფოტოსურათი...

უახლოვდება ლამპას.

ძველი ფოტოა, სესილი გოთური სავარძლის საზურგეზეა დაყრდნობილი, ხელები გადაჯვარედინებული აქვს, თავი ოდნავ გვერდით გადახრილი, თვალები უცინის; ძველებური ვარცხნილობა აქვს, თმა კეფაზე აკრეფილი.

ხანგრძლივი მზერა. სინაზის მოზღვავება... არა, არაფერი შეცვლილა; მხოლოდ ისაა ამქვეყნად და არავინ და არაფერია ანგარიშგასანევი!

იუგეტი! საბრალო გეტი... გაელიმა იმის წარმოდგენისას თუ რა იოლად, თითქმის უმტკივნეულოდ, გადაიტანდა იუგეტი მის ნათქვამს. მორჩა, მომეშვი, მიუბრუნდი შენს ცხოვრებას, მე კი ჩემსას მივუბრუნდები... იმას მივუბრუნდები, ვისაც მუდამ გულით ვატარებდიო.

ნახევარი საათის შემდეგ.

მზის ქოლგის წვეტი აფხაჭუნებს კარზე.

იუგეტი, ღია ფერებში გამოწყობილი, დიდი ყვავილებით გადატვირთული ქუდით.

იუგეტი: გამარჯობა, ჩემო მგელო... კარგად ხარ?... ასე მესალმები?... ქუდი არ დამიზიანო...

ვაჟი მას უყურებს წარმოუდგენელი გულგრილობით... თითქმის უემოციოდ.

ქალი საწოლზე აგდებს ქოლგას და დინჯად იხდის ხელთათმანებს.

იუგეტი: ეს ყველაფერი არაა, ჩემო პატარავ... ვერ ვივახშმებ შენთან ერთად. სიმონი ვაშეტში დავტოვე თავის ახალ მეგობართან ერთად, იცი... იმ ვაჟმა სამი ადგილი შეუკვეთა ამ საღამოსთვის კლუნიში, და მანამდე ერთად უნდა ვივახშმოთ...

არ გაბრაზდი?...

ჟანი: არა, რას ამბობ...

ქალი მისკენ მოიწევს. დაბალი ლამპა ანათებს მისი კაბის გლუვ ჩაღრმავებებს. ზემოთ, ჩრდილში მისი შიშველი მკლავები და ოდნავ გახსნილი ბაგე, გრილი...

აჰ, ეს ანაზდეული სურვილი! ფერმკრთალი, აბრეშუმისებური კანის მწველი მოგონება...

... ვაჟი ეხვევა, სახეს მის თმაში აფლობს...

ფიქრობს: არა, შეუძლებელია ეს ასე დამთავრდეს... კიდევ ერთი ღამე და ხვალ, ხვალ კი...

ქალი თავს აღნევს მის მკლავებს, იცინის.

იუგეტი: გამიშვი, ხელს დავიბან...

ვაჟი უყურებს, როგორ მიდის ტუალეტის ბნელი კუთხისკენ, მზრუნველად იწევს სახელოებს და ბეჭდებს იქვე მდგარ საფერფლეზე უყოყმანოდ დებს.

ვაჟი უეცრად ღიზიანდება... ფიქრობს: ისე იქცევა, თითქოს შინ იყოს! აჰ, უნდა გავწყვიტო ურთიერთობა, უნდა მოვიშორო თავიდან! ახლავე!... ამ საღამოსვე!...

საბოლოო გადაწყვეტილება ამშვიდებს, აშორებს ქალს.

ვაჟი მშვიდად ამოიოხრებს. უყურებს ქალს, რომელიც ყურადღებით ითვალიერებს ფრჩხილებს სახემოჭმუხნული, დამახინჯებული.

მორჩა, დამთავრდა, უკანმოუბრუნებლად. რაღაც გატყდა, დაიმსხვრა...

იუგეტი: გამაცილებ ტრამვაიმდე?...

გადიან.

რენის ქუჩა. შვიდი საათი. მღელვარე ბრბო. გარეუბნის მცხოვრებნი მონპარნასის სადგურისკენ მიიჩქარიან.

ჟანი წინ მიდის, ხალხის ნაკადი რომ გაარღვიოს.

იუგეტი: აი, ჩემი ტრამვაიც... მაშ შევთანხმდით? თუ კლუნის გამოსასვლელთან არ მომაკითხავ, პირდაპირ დავბრუნდები... ნახვამდის, ჩემო მგელო... ფუი, აი, დაიძრა!

ქალი მირბის, ხალხს ხელს ჰკრავს...

ვაჟი თვალს აყოლებს მის შავ სილუეტს, რომელიც განათებულ პლატფორმაზე ახტება და კონდუქტორის მოხერხებულ მკლავებში ვარდება.

ჟანს მთელ სხეულში გააკანკალა.

ტრამვაი მიდის სინათლეებით დაბრნკენილ ღამეში.

ჟანი დგას კაფეს ტერასის წინ. აბსენტის მომჟავო სუნი. ხალხი მიდი-მოდის. გაზეთების გამყიდველები გაჰკივიან საღამოს გამოშვებათა სახელებს.

ბიუიში.

სესილი მარტოა ექიმის სახლში. უძრავი, რაღაცის მომლოდინე, მხრით შეღებული ფანჯრის მიყრდნობილი...

ჟანი და ქ-ნი პასკელენი გამოჩნდნენ ჭიშკარში.

– აი, ისინიც...

ინსტინქტურად უკან იხევს, სუნთქვა ეკვრის, მზერა დაძაბული აქვს, ბაგეზე ნაზი ღიმილი დასთამაშებს...

ჟანი ჩქარა მოდის... არ შეცვლილა... ცოცხალ მზერას ავლებს სახლს და ექიმის ოთახის დახურულ დარაბებს ეჯახება.

სესილი გარბის მის შესახვედრად.

კიბის თავზე შედგება, მოაჯირს ეყრდნობა, ხელებჩამოშვებული, გაყინული; დახურულ კარს მიღმა ესმის ვაჟის ჩქარი ნაბიჯების ხმა, სადაცაა შემოვა!

ვაჟი კარს აღებს და ჩერდება, მთლად ფერწასული. მისი თვალები არავითარ სიხარულს არ გამოხატავენ, შეშფოთებით სვამენ კითხვას.

სესილი: ზემოთაა... სძინავს...

ჟანი *(შეშფოთებას იოკებს)*: ზემოთაა? სძინავს?

მზერა ურბილდება, სიყვარული ერევა. ვაჟი უწვდის თავის მწველ ხელებს. ხანგრძლივი მზერა, ბოლოს და ბოლოს, უკიდურესად ნაზი, სათქმელით სავსე, სადაც სესილის მომღიმარი მზერა ჩადნება.

ქალბატონი პასკელენი *(აღებს სალონის კარს)*: აქ შედი, სანამ სძინავს...

ჟანი გაიფიქრებს: სახელს აღარ ამბობენ... და ამას ისე გაიფიქრებს, თითქოს ფიქრობდეს: მამაჩემი მალე მოკვდება...

ქალბატონი პასკელენი: დაჯექი, რას უდგახარ. სალონი გავაღებინე; აქ ვართ ხოლმე, რომ ხმაურმა არ შეაწუხოს... ნუხელ შენი საბრალო ბებიის ოთახში დავიძინე, უფრო ახლოს რომ ვყოფილიყავი... *(ქალი არ ჯდება. ნაზი თვალის შევლება)* დარჩით აქ, ბავშვებო, მე ავალ. როგორც კი მამაშენი გაიღვიძებს, მაშინვე ჩამოვალ და გეტყვი.

(კარიდან მოკრძალებულად) სესილი კმაყოფილია შენი ნახვით!

მარტონი.

უხერხული დუმილის წამი.

სესილი ფეხზეა, თავდახრილი, ერთი ხელით ერთფეხიან პატარა მრგვალ მაგიდას ეყრდნობა, მეორეთი კი კორსაჟში ჩარჩენილ ნემსს აწვალებს.

ჟანი უახლოვდება და მის ხელს იღებს.

ჟანი: ძვირად გვიჯდება ჩვენი შეხვედრის ბედნიერება.

სესილი ცრემლით დანამულ სახეს ასწევს და აცახცახებულ თითს მის ბაგეზე ადებს.

ნუ ილაპარაკებს! არავითარ სიტყვას არ შეუძლია იმის თქმა...

უხერხულობა ზღუდავს მათ ალერსს; ხომ არ მოტყუვდნენ, განა მეტ სიხარულს არ მოელოდნენ ერთმანეთისგან...

ჟანს დივანისკენ მიჰყავს სესილი. ქალი ჯდება, გამართული, სუნთქვა უჭირს... ვაჟი მის ხელს იღებს და აღარ ინძრევა.

სიჩუმე. ტკივილიანი და ტკბილი წამები...

ჟანი ფიქრობს: ზემოთ დადიან... ნეტავ, როგორაა? ძალიან შეიცვალა?...

წარმოიდგენს ექიმის სახეს; მისი მძიმე და მახვილი მზერა, პირი მკაცრი, მოკუმული, კოცნისასაც კი; ღიმილი გაბედული და ვაჟკაცური, შეფარული სიკეთით სავსე.

უყურებს დარბაზის ავეჯს. მოგონებები ერთმანეთს მოჰყვება: – ეს დაბალი სავარძელი... ბებია, ერთ საღამოს... ბებია გარდაიცვალა! – და მალე მე ვიტყვი: მამაჩემი ამ ოთახში ცხოვრობდა, ამ სახლში ცხოვრობდა, ცოცხალი იყო... და შემდეგ, მოგვიანებით, იტყვიან: ჟანი აქ ცხოვრობდა...

აურეოლებს.

დაავიწყდა ეს თბილი, ახლობელი, მიმნდობი არსება... სრულიად მასზე მინდობილი, უეცრად გული ეწურება. ბაგესთან მიაქვს ეს სუსტი, ტენიანი, მორჩილი ხელი, რომელიც ხელში უჭირავს. კოცნის... ჯერ მოკრძალებით, თავშეკავებულად; შემდეგ მზარდი ემოციით, თავაშვებულად, მოუთოკავი ვნებით, სულსწრაფად... გულზე ეშვება.

სესილი თავს უკან აგდებს. გაბრუებული შუბლით ჟანის მხარს ეხუტება.

ვაჟის ბაგეები მის დახუჭულ ქუთუთოებზე... დიდხანს, დიდხანს... ლოცვასავით...

ნაბიჯები, კარის ხმაური. სესილი თვალს ახელს და ვაჟს შორდება.

ქალბატონი პასკელენი *(ბუნებრივი ხმით)*: ჟან... მამაშენმა გაიღვიძა.

ექიმის ოთახი.

ქ-ნი პასკელენი ფრთხილად აღებს კარს და ქრება.

ჟანი ზღურბლთან ყოყმანობს. საშინელი შფოთვის წამი.

მარტო შედის.

წამსვე გულს მოეშვება. მამამისის ღიმილი. ავადმყოფი წამოწეულია ბალიშებიდან, ხელები ჩამოყრილი აქვს. არაა ძალიან შეცვლილი. მოკლე, ხშირი სუნთქვა. უყურებს, როგორ უახლოვდება ჟანი და ისევ უღიმის.

ექიმი *(ძალიან ხმადაბლა, ჩახრინწული ხმით)*: ძალიან დავიღალე, ხედავ... ძალიან, ძალიან დავიღალე...

ხელს უწვდის. საკოცნელად დახრილი ჟანი თავის ხელს აგებებს. ავადმყოფი ხელს ჩაავლებს და უეცრად სიკვდილის შიშით დამახინჯებული სახით ჟინიანად მიიზიდავს ამ ხელს და თავის შვილს გულში ჩაიკრავს.

ექიმი *(გულგამგმირავი ქვითინი)*: ჩემო პატარავ!

მას ხელისგულებით უჭირავს კაცის სახე და მხოლოდ ადრინდელ სახეს ხედავს, ბავშვობისდროინდელ სახეს. ხელებს ციებცხელებიანად უცაცუნებს, თავისი დახეთქილი ტუჩებით კოცნის და ხან მარჯვენა ხან მარცხენა უხეშწვერებიან ლოყაზე იკრავს.

ექიმი *(არაქათგამოცლილი ეცემა ბალიშზე, ამოიოხრებს)*: ოჰ...

ჟანს ანიშნებს, რომ არ გაინძრეს, რომ არავის დაუძახოს; ეს არაფერია, გაივლისო... და შეშდება, უკან თავგადაგდებული, მშვიდად თვალდახუჭული, პირი ოდნავ აქვს გაღებული, ცდილობს აჯობოს გულისცემას.

ჟანი, გაქვავებული, დაჟინებით უმზერს მამას. გაოგნებას გამოჰყავს მწუხარებიდან:

– რამ შეცვალა ასე? სიგამხდრემ? არა, სხვა რამემ... რამ?..

ავადმყოფს ღაწვები უვარდისფრდება; თვალს ახელს. ამჩნევს ჟანს, შუბლი ეჭმუხნება, პირი ეკუმება. შემდეგ ნაკვთები ეშვება, უილაჯოდ ქვითინებს.

ექიმი: ჩემო პატარა... ჩემო პატარა...

ეს ცრემლები, ეს ნაზი ბუტბუტი... ენითაუწერელი უხერხულობა იპყრობს ჟანს, ნუთუ აღარაფერი დარჩა მამამისისგან?

რამდენიმე წუთი გადის.

ეს რამდენიმე წუთი საკმარისია, რომ ჟანის დარდი გააქარწყლოს, სიცოცხლე უფრო მძლავრია, ვიდრე სიკვდილი. თავისდაუნებურად, ამ სანოლთან მდგარი, უეცრად სესილიზე იწყებს ფიქრს, მისი მოსვლა, მათი თვალების შეჯახება... სურვილი იპყრობს, ყოვლისმომცველი, მაგრამ ჯერ არამინიერი... სწრაფვა, თვითონაც არ იცის, სულთა როგორი გადაჯაჭვისთვის, როგორი სრული და ურთიერთდამთხვეული გადაკვეთისთვის მთელ არსებაში... მაგრამ, ტუჩებზე შერჩენილი აქვს მისი ქუთუთოების ატლასისებური სითბო. სიცოცხლის უეცარი წყურვილი წამოაყელყელავებს და მოუთმენლად აჯახებს ამ სანოლს, რომელიც მის აღმაფრენას წინ ეღობება... შემდეგ უეცრად მოდის გონს და სინითლე დაჰკრავს სახეზე!

ექიმი ინმენდს ცრემლით დალტობილ ლოყებს; მისი ნაზი და გულუბრყვილო მზერა არ შორდება ჟანის სახეს.

ექიმი: მითხარი... ჩამოგიყვანეს, არა?... კი, კი, ვიცი... ვინ? ექიმმა?... არა?... შენმა ნათლიამ?

ჟანი თავს უარის ნიშნად იქნევს.

ექიმი *(უეცარი და ულმობელი სერიოზულობა)*: ძალიან კარგი ქნეს. ეს დიდხანს ვეღარ გაგრძელდება... გელოდი.

გარდაუვალის შეცნობით აღელვებული ჟანი, სანოლზე მიტოვებული ხელისკენ იხრება და კოცნის.

შეწუხებული ექიმი ხელს ითავისუფლებს და იდაყვებზე წამოიწევს. რაღაც მნიშვნელოვანი აქვს სათქმელი, რომლის გადადებაც არ შეუძლია...

ექიმი: გელოდი. მისმინე, ჩემო პატარა... ბევრს ვერაფერს გიტოვებ...

ჟანი მაშინვე ვერ ხვდება, რას ეუბნება მამა. შემდეგ გაოცებული გაიმართება.

ავადმყოფი ანიშნებს, რომ დაიღალა და ნუ შეაწყვეტინებს.

ექიმი *(მცირე შესვენებით, თვალდახუჭული, თითქოს დაზეპირებულს ამბობსო)*: შენთვის მეტის დატოვება შემეძლო. ვერ მოვახერხე... რაც არ უნდა იყოს, ლუკმა პური გექნება... და კიდევ პატივსაცემი სახელი, ესეც რაღაცაა...

ახლა, მისმინე! სესილი და შენ, ასეა ხომ?

ჟანი შეკრთება. ექიმი ძალიან ნაზად უყურებს.

ექიმი: ყველაფერი მომიყვა, ცუგრუმელამ. გაგაბედნიერებს. კმაყოფილი ვარ... შენ, შეეცადე, რომ ისიც ბედნიერი იყოს, ცოტათი... ეს უფრო ძნელია. ნახავ... ქალები, ცდილობ გაუგო, ეს კი შეუძლებელია. ერთ რამეს უნდა შეეგუო: ისინი სხვანი არიან... და ეს უკვე ძალიან ძნელია!... თავს ვსაყვედურობ, მე, დედაშენის გამო... *(ხანგრძლივი სიჩუმე)*

ახლა, შენი ჯანმრთელობა. შენ იყავი... დიახ... და შენ სამხედრო სამსახური არ გაგივლია. მაგრამ ეს გადაჭარბებული სიფრთხილის გამო მოხდა. შენ გამოჯანმრთელდი, გესმის? – მე ველაპარაკე შენს ნათლიას, სრულიად გულწრფელად... მაგრამ მაინც, ჩემო პატარავ, ხანდახან უნდა იფიქრო ჯანმრთელობაზე, არ გადაიღალო, განსაკუთრებით უფრო მოგვიანებით, ორმოცს რომ მიუკაკუნებ... ეს ყოველთვის იქნება შენი სუსტი წერტილი. მპირდები?... *(პაუზა, მშვიდი ღიმილი.)* გახსოვდეს ეს! სულ ესაა.

ის ბალიშებში ჩაეშვა და მკლავები კმაყოფილი ამოოხვრით გაჭიმა. მაგრამ, მალე, ისევ რაღაცამ შეაშფოთა.

ექიმი *(თვალს კვლავ ახელს)*: ძალიან კეთილია ჩემ მიმართ, ნათლიაშენი, იცი... ბევრი, ძალიან ბევრი გააკეთა ჩემთვის... გეტყვის.

მაგრამ მაინც, ვერ უძლებს სიამოვნების ცდუნებას, რომ თვითონ არ ახაროს.

ღიმილი, ჯერ თითქოს ტანჯული, ნელ-ნელა იფურჩქნება და თვალები უნათდება, შუბლი, მთელი სახე მიამიტი გულუბრყვილოდ უსხივოსნდება. ანიშნებს, უფრო ახლოს მოიწიე, რაღაცის თქმა მინდაო.

ჟანი საწოლისკენ იხრება. ექიმი სახეზე ხელს ჰკიდებს და თავის პირთან მიაქვს.

ექიმი: ჟან... ნათლიაშენმა არაფერი გითხრა? *(საზეიმოდ)* აღსარება ვთქვი, გუშინ.

ცოტათი უკან სწევს სახეს, რომ ჟანის ნაკვთებზე ამოიკითხოს ის ემოცია, რაც ამ აღიარებას უნდა გამოეწვია. შემდეგ კვლავ მიიზიდავს.

ექიმი: დღეს უნდა ვზიარებულიყავი... მაგრამ როდესაც მითხრეს, რომ ჩამოდიოდი, დაგელოდე... ხვალ, შენთან ერთად... თქვენთან ერთად...

ჟანი სწორდება; თავს ძალას ატანს, მხიარულად ულიმის და თვალს არიდებს. ბუნდოვანი, გაუაზრებელი, მტანჯველი

იმედგაცრუება...

ექიმი *(შორეული, ცოტა შიშნარევი მზერით)*: იცი, ჩემო პატარავ, შეიძლება ითქვას... *(თავს იქნევს.)* ეს საშინელი, ამოუცნობი რამაა...

მეორე დღეს.

ექიმის ოთახი. სადა და მნიშვნელოვანი.

მსახურება დასრულებულია.

ქ-ნი პასკელენი, ემოციებისგან დაძაბული, თავის ადგილზე დებს კომოდს, რომელიც საკურთხევლად იყო გამოყენებული.

ავადმყოფი ლოგინშია წამომჯდარი, ბალიშებს ეყრდნობა. დღის შუქი მთელი ძალით შემოდის ფანჯრებიდან და სახეზე ანათებს, თვალებს უბრწყინებს. თავი დახრილი, თმა აწეწილია; გრძელი წვერი, ჩაცვენილი ლოყები. უსათვალო, მოხამხამე და ცენტრდაკარგული, ჩაფიქრებული და ბავშვურად აღფრთოვანებული თვალები.

სესილი და ჟანი საწოლს უახლოვდებიან.

ამ დილით თავიანთი სიყვარული აღარ ტანჯავთ; ის მათი განუყოფელი ნაწილი გამხდარა, მთლიანად და საბოლოოდ მოუცავს ისინი. თავდაჯერებულობა დაუფლებიათ, რომ ეყვარებათ ერთმანეთი აწ და მარადის.

გუშინდლიდან მოყოლებული ავადმყოფის მდგომარეობაში აუხსნელი და უცილობელი ცვლილება, გასაოცარი სიმშვიდე, მოსვენება. უკეთესობის ნიშანი, რომელიც მათ გულს უხეთქავს!

შორეული მზერა, რომელსაც მდუმარედ აკვირდებიან, მათ გადაუვლის და ჩერდება; მაგრამ ვერ გრძნობენ, რომ ის მათ აღიქვამს, ის მათ მიღმა იყურება, გადაღმა, გადაღმა...

შემდეგ მოსიყვარულე, მაგრამ ნაძალადევი ღიმილი გარდაუვალ განშორებას აღიბეჭდავს.

ექიმი *(უტემბრო, მაგრამ მაინც გარკვეული ხმით)*: აი, აქ ხართ ორივე, აქ... კარგია... კარგია... მომეცით ხელები.

ღიმილი ეყინება სახეზე. თითქოს როლს თამაშობდეს, იაზრებდეს ამას და დასრულებას ჩქარობდეს.

ის ეფერება ორივეს ხელს და თავის ხელებში იქცევს.

ქ-ნი პასკელენი ჩერდება საწოლის ფერხთით, დარდისგან შეწუხებული იერით.

ექიმი *(ქ-ნ პასკელენს)*: ძალიან კარგია... არა? ჩვენი პატარები...

აცრემლებული სესილი დედას მხარზე ეყრდნობა, ქ-ნი პასკელენი ხელს ხვევს და თავისკენ იზიდავს ჟანს. სამივენი ჩახვეულები დგანან.

მომაკვდავის თვალები უაზროდ მიდი-მოდის, მზერა გადაუვლის სესილის, მერე ქ-ნ პასკელენს, და უეცრად კატეგორიული მტრობით ჟანზე ჩერდება, ღვარძლიანი შუქი გამოკრთება... შემდეგ გულისშემძვრელი ვედრება და ნამსვე იფანტება.

ჟანი ხვდება, რას ნიშნავს:: შენ ცოცხალი ხარ, შენ...!

უსაზღვრო სიბრალული... მისცემდა ამ სიცოცხლეს... გამოეყოფა ჯგუფს და სიყვარულით იხრება ფერმკრთალი სახისკენ.

მაგრამ ექიმი არ იძვრის. მისმა სახემ სიმშვიდე, განურჩევლობა ხელახლა შეიძინა. მოგვიანებით თითქოს გრძნობს ჟანის კოცნას და მისი ტუჩები, ძალიძალით გაღიმებას ცდილობენ, თვალები კი ველარ გამოხატავენ ადამიანურ გრძნობას.

ჟანი სესილისკენ მობრუნდება და ხელებს შლის.

III

ბატონ ჟან ბარუას,
ბიუი-ლა-დამი (უაზი).

ბერნი 25 ივნისი.

ჩემო ძვირფასო მეგობარო!

ჩემგან თქვენი ღრმა მწუხარების გაზიარება აბსოლუტურად ბუნებრივი და ჩვეულებრივი იყო და, რაღა თქმა უნდა, არ იმსახურებდა ასეთ სამადლობელ და გულითად წერილს. მთელი გულით გიხდით მადლობას. განსაკუთრებით შეძრული ვარ თქვენი ჩემდამი გამომჟღავნებული ნდობით მნიშვნელოვან საკითხზე, რომლის მოზიარეც გამხადეთ და ბედნიერი ვარ, რომ ჩემი აზრის პირდაპირ გამოხატვა შემიძლია.

არა, ნამდვილად არ მიმაჩნია, რომ შეხედულებათა სხვადასხვაობა თქვენსა და ამ ახალგაზრდა ასულს შორის დაბრკოლებად უნდა შეგექმნეთ. თქვენ ყოყმანი დაიწყეთ მისი რწმენის ცოტა ელემენტარული ხასიათისა და იმ ძალიან მნიშვნელოვანი ადგილით, რასაც

ეკლესიურობა იჭერს მის ცხოვრებაში.

მე თქვენი არ მესმის. რელიგიური გრძნობა ერთია. რა საჭიროა მისი ვარიაციების გაანალიზება? არის სიმაღლე, რომლისკენაც მიისწრაფვის ყველა სული; იქ ისინი ურთიერთს ხვდებიან და ერწყმიან, მიუხედავად იმისა, თუ რა იყო მათი სანყისი წერტილი.

თქვენ ფიქრობთ, მას რომ სცოდნოდა თქვენი დღევანდელი რელიგიური კონცეფცია, გადათქვამდა თავის სიტყვას. მეც ვვარაუდობ, რომ შესაძლოა, ასე მომხდარიყო. მაგრამ ეს იქნებოდა შეცდომა და სხვა არაფერი.

ჩემი აზრით, ძალიან საზიანო იქნებოდა მისი გაფრთხილება. ის ვერ გაიგებს, რა სახის განსხვავებას ხედავთ მითიურ რწმენასა და რელიგიური გრძნობის ადამიანურ და მორალურ საფუძველს შორის. ის ამას გულუბრყვილობის გამო მკრეხელობად ჩაგითვლიდათ. ამ წინდაუხედავი გულწრფელობით, რაც დღეს ნამდვილად არაა აუცილებელი, კატასტროფას გამოიწვევთ. თქვენი განათლებით და აზროვნებით თქვენ ამაღლდით რწმენის ინსტინქტურ საჭიროებაზე, და ამიტომ სწორედ თქვენ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება, მთელი შეგნებით უნდა აიღოთ პასუხისმგებლობა თქვენს ბედნიერებაზე.

ტყუილად გეშინიათ! თქვენ გავიწყდებათ, თუ რა დიდი მსგავსებაა თქვენ შორის! ერთი და იგივე მემკვიდრეობა. ერთი და იგივე აღზრდა. მეტიც, თქვენ ბუნებით, შინაგანი ტემპერამენტით იმდენად რელიგიური ადამიანი ხართ, რომ არ გაგიჭირდებათ, ძალდაუტანებლად მისდიოთ და სიმპათიით დადებითად შეაფასოთ თქვენი მომავალი მეუღლის სულიერი მდგომარეობა. ისიც განვითარების გზას დაადგება. არა, თქვენ შორის განხეთქილება კი არ გაიზრდება, არამედ, პირიქით, შემცირდება.

ამაში ეჭვი არ მეპარება, განსაკუთრებით თქვენი მონათხრობის საფუძველზე, თქვენ ერთად ეზიარეთ თქვენი დიდებული მომაკვდავი მამის საწოლთან. როდესაც დაიჩოქეთ სესილის გვერდით, თითოეულ თქვენგანს გულის სიღრმეში სხვადასხვა რამის რწმენა გქონდათ, მას მკვდრეთით აღმსდგარი ქრისტეს სხეულისა, თქვენ კი ადამიანთა ზეადამიანური სიყვარულის სიმბოლოსი. თქვენი გრძნობები ისე ამაღლებული იყო, რომ უეცარმა აღმაფრენამ აღავსო თქვენი გულები, აღგამაღლათ, წარგიტაცათ, თქვენი სულები ერთურთს შეერწყა და აღარ იყო მიჯნა თქვენს სულებს შორის! სწორედ ამგვარი იქნება თქვენი მომავალი ერთობლივი ცხოვრება.

მაპატიეთ, ძვირფასო მეგობარო, ეს წერილი მაინცადამაინც არაა დალაგებული. ფრანგულად წერა ხშირად არ მინევს.

უკვე წლებია, თქვენ მიზიარებთ თქვენს იმედებს, თქვენი გრძნობა ერთგულებისა და ღირსების გამოცდებს აბარებს; დაუშვებელია, რომ გადაჭარბებულმა კეთილსინდისიერებამ გაანადგუროს ის ბედნიერება, რომელსაც თქვენ, ორივე, იმსახურებთ.

თქვენი ერთგული და მოყვარული მეგობარი

ჰერმან შერცი

ჯაჭვი

ქორწინება მხოლოდ იმ კაცისთვისაა სახიფათო,
ვისაც აზრები გააჩნია.
ჰერზოგი[1]

I

ბატონ აბატ შერცს,
ქიმია-ბიოლოგიის პროფესორს
კათოლიკურ ინსტიტუტში,

ბერნი (შვეიცარია)

ძვირფასო მეგობარო,

ცამდე მართალი ხართ, ასე ხანგრძლივ დუმილს რომ მსაყვედურობთ. თქვენი წერილი მარწმუნებს, რომ თქვენი ჩემდამი სიყვარული არ შერყეულა და ეს უმთავრესია ჩემთვის.

უპირველესად მადლობას გიხდით ჩემი მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესებისთვის. უკვე ორი წელია, ეს ჩემი შეშფოთების საგანია. უბედურ შემთხვევას უფრო მძიმე შედეგები მოჰყვა, ვიდრე წარმოვიდგენდი, როდესაც ამის შესახებ გწერდით. ყველანაირი სახის აშლილობა გამოიწვია. თვრამეტთვიანი მკურნალობის შემდეგ მისი ჯანმრთელობა ისევეა შერყეული, რომ შესაძლოა, იძულებულნი გავხდეთ სამუდამოდ ვთქვათ უარი ბავშვის ყოლის იმედზე.

მისთვის ეს სასტიკი გამოცდაა და მის მორალურ მდგომარეობაზე უმძიმეს გავლენას ახდენს.

---

[1] ედუარდ ჰერზოგი (1841-1924) შვეიცარიელი თეოლოგი და ლიტერატორი.

არ გეგონოთ, რომ ჩემი წერილების იშვიათად მოწერის გამამართლებელ საბუთს ვეძებდე ამ პირადი მოუცლელობით. ბევრჯერ მინდოდა მომეწერა; არ მოგწერეთ, რადგან ისე დაშორებულად ვგრძნობდი თავს იმ რელიგიური შეხედულებებისგან, რომელთაც ადრე ვიზიარებდით, რომ არ ვიცოდი, როგორ მეცნობებინა თქვენთვის. და მაინც ვალდებული ვარ სიმართლე შეგატყობინოთ; ჩვენ, ერთიც და მეორეც, ხომ შევძლებთ ჩვენი მეგობრობა აზრთა განსხვავების მიუხედავად შევინარჩუნოთ, არა?

ჩემს რელიგიურ ცხოვრებაში სამი დიდი ეტაპი მქონდა:

თხუთმეტი წლისამ, პირველად შევიცანი, რომ ამ გამოცხადებებზე დაფუძნებულ რელიგიაში ყველაფერი არ იყო ნათელი; შევიგნე, რომ ეჭვი არაა ცოდვილი ფიქრი, რომელსაც თავის გაქნევით გაფანტავ, არამედ მედეგი, ჭეშმარიტებასავით აკვიატებული, დაჟინებული აზრია; რწმენაში ძალიან ღრმად ჩარჩენილი ისრის წვეტია, რომელიც მას წვეთ-წვეთობით ცლის სისხლისგან.

შემდეგ, ოცი წლისამ, თქვენ გაგიცანით და წყალწაღებულივით ჩავეჭიდე კათოლიციზმის თქვენეულ შემრიგებლურ ინტერპრეტაციას. გახსოვთ, ძვირფასო მეგობარო, როგორი თრთოლვით ჩავავლე ხელი ამ თქვენგან გამოწვდილ ჭოკს? თქვენ უნდა გიმადლოდეთ რამდენიმე მართლა უშფოთველ, ნათელ წელიწადს. ჩემმა ქორწინებამ, თავიდან, მხოლოდ განამტკიცა თქვენი ნაღვაწი; ჩემი ცოლის ურყევი რწმენის შემხედვარე, ბუნებრივია, პატივისცემას გამოვხატავდი რელიგიური გრძნობების ნებისმიერი გამოხატულების მიმართ; თქვენმა სიმბოლისტურმა კონცეფციამ შემომთავაზა საბედნიერო კომპრომისი, რომელიც ორთოდოქსულ რელიგიასთან ჩემ შესაგუებლად იყო საჭირო, რომლის დოგმატური მტკიცებულებების უარყოფასაც არა და არ წყვეტდა ჩემი გონება.

მაგრამ ეს სიმშვიდე მხოლოდ და მხოლოდ მოჩვენებითი იყო. წინააღმდეგობა ქვეცნობიერად იზრდებოდა ჩემში.

რამ მიბიძგა ყველაფერი სათუოდ გამეხადა? ნათლად არ ვიცი.

ჩვენგან არჩეული პოზიცია არ შეიძლება მტკიცე ყოფილიყო. ეს სიმბოლისტური ნიადაგი ძალზე არამყარი აღმოჩნდა; მასზე მხოლოდ დროებით შეჩერება იყო შესაძლებელი. თუ კათოლიკურ ტრადიციებს ყველაფერს მოაცილებ, რაც აღარ აკმაყოფილებს თანამედროვე აზროვნების მოთხოვნილებებს, მაშინ მისგან აღარაფერი რჩება. იმ დღეს, როდესაც უშვებ, რომ შესაძლოა უკუაგდო დოგმათა სიტყვა-სიტყვი-

თი გაგება, – და როგორ არ უნდა დაუშვა ეს უკუგდება, თუ ფიქრი და აზროვნება გინდა? – მაშინვე ინტერპრეტაციის დამოუკიდებლობის, თავისუფალი ჭვრეტის, მთლიანად თავისუფალი აზროვნების ლეგიტიმაციას ახდენ.

უეჭველია, ეს თქვენც ჩემსავით იგრძენით. ვერ ვიჯერებ, რომ თქვენ კიდევ ჰპოვებთ სულიერ სიმშვიდეს ამ მყიფე ორაზროვნებაში. ეს მხოლოდ სიტყვების თამაშია. ეს გამოსავლის ძიებაა... ძალიან მყიფეა თქვენეული კავშირი აწმყოსა და წარსულს შორის! როგორ შეიძლება გათავისუფლების შუა გზაზე შეჩერება? კათოლიკური რელიგიის შენარჩუნების სურვილი გარკვეული სოციალური ჯგუფის გრძნობითი თუ მორალური ღირებულებებისთვის ფოლკლორისტის და არა მორწმუნის საქმეა. მე არ ვუარყოფ ქრისტიანობის ისტორიულ მნიშვნელობას, მაგრამ დღეს გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ შეუძლებელია მისი დოგმებიდან რაიმე სასიცოცხლოსა და მნიშვნელოვანის მოპოვება, ყოველ შემთხვევაში იმათთვის, ვისთვისაც თავისუფალი აზროვნება და მსჯელობა წარმოადგენს მთავარ ღირებულებას.

ამგვარად, მე მალევე შევამჩნიე, რომ ეს ბავშვობისდროინდელი რწმენა, რომელიც ძალიან დიდხანს მიმაჩნდა ცხოვრების აუცილებელ საფუძვლად და ჩარჩოდ, ნელ-ნელა ჩემთვის უცხო გახდა. და ჩემს სულიერ განვითარებაზე თქვენი კეთილი ზემოქმედების გავლენით საშუალება მომეცით სულიერი განადგურების გარეშე მიმელწია რელიგიის საბოლოო უარყოფამდე. თქვენი წყალობითაა, რომ, ბოლოს და ბოლოს, შემიძლია გულგრილად ვუყურო ამ მკვდარ დოგმებს, რომელთაც ასე ვნირავდი ჩემს საკუთარ სიცოცხლეს!

ასევე ანგარიშგასანევია ის არაპირდაპირი გავლენა, რომელიც ვენცესლაში ჩემი მუშაობის დაწყებას შეეძლო გამოენვია ჩემი მრწამსის გადახედვისთვის. შეიძლება ეს პარადოქსულად ჩანდეს, რადგან კოლეჯს საეკლესიო მოღვაწეები ხელმძღვანელობენ; მაგრამ პროფესორები უნივერსიტეტდამთავრებული ხალხია, სწავლის პროცესი იქ საკმაოდ თავისუფალია, კურსი კი, რომელსაც მე ვატარებ, არავითარ კონტროლს არ ექვემდებარება.

მე ვესწრაფვოდი ამ კათედრის დაკავებას, და ზუსტად ვერ წარმომედგინა, თუ რა სიძნელეებს შევეჯახებოდი. მე საერთოდ არ მქონდა საჯაროდ გამოსვლის ჩვევა. მაგრამ პირველი გაკვეთილებიდანვე

ვიგრძენი, როგორი ყურადღებით, თრთოლვით მისმენდნენ ჩემი მოსწავლეები; ეს გრძნობა უტყუარია...

აი, უკვე მეორე წელია, რაც მათი ცნობისმოყვარეობა არ იკლებს. მათ მთელ ჩემს დროს ვუთმობ, და შემიძლია ვთქვა, ყველაფერ საუკეთესოს, რაც კი ჩემშია. ჩემს გაკვეთილებში ყველაფერს ვიყენებ, რასაც ჩემი ყოველდღიური სამეცნიერო კვლევა-ძიებიდან და განსჯიდან ვსწავლობ. მსურს, რომ მათ, ვინც ჩემს კურსს ესწრება და ვისაც ჩემთან ხანმოკლე ურთიერთობა აქვს, მეტი გადავცე და გავატანო, ვიდრე რაღაც კონკრეტული ცოდნაა; ვოცნებობ მათი სულიერი დონის ამაღლებას, მათი პიროვნებების ეგზალტირებას, ამ ჩემთვის შემოთავაზებულ სულებზე სამარადჟამოდ კვალის დამჩნევას: და მართლაც, ვფიქრობ, მივაღწევ შედეგს, რომელიც ჩემს ძალისხმევას გაამართლებს.

ეს კურსი სულაც არაა ის, რაც თქვენ გეგონათ, როდესაც მეკითხებოდით, მრჩებოდა თუ არა დრო ჩემთვის სასიამოვნო სამუშაოს შესასრულებლად. მასში არაფერია პროფესიული ტვირთისა. ის ჩემი ცხოვრების უდიდესი სიხარული, ჩემი შემოქმედების ნაყოფი, ყველა ჩემი წუხილის ნუგეშია. (და თუმცა არ მსურს ჩემს იდუმალ იარაზე ხაზგასმით გელაპარაკოთ, რომელიც ჩემმა სულიერმა თავისუფლებამ გააჩინა ჩემს ცოლქმრულ ცხოვრებაში, მაინც ადვილად მიმიხვდებით, რომ სადარდებელი და საწუხარი ბევრი მაქვს.)

აი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, რა არის ჩემი ყოფა-ცხოვრება. თქვენ თქვენ სადამდე მიხვედით? ვიმედოვნებ, ძალიან არ შეგაწუხეთ, მთელი ჩემი ამჟამინდელი ფიქრები რომ გადმოგიშალეთ.

სხვათა შორის, მე მხოლოდ წმინდა ლუკას ის ნაწყვეტი განვახორციელე პრაქტიკულად, რომელიც თქვენ ძალიან კარგად იცით:

არავინ ასხამს ახალ ღვინოს ძველ ტიკში; სხვაგვარად ახალი ღვინო გახეთქავს ძველ ტიკს...

ახალი ღვინო ახალ ტიკში უნდა ჩაისხას; და ერთიც და მეორეც გადარჩება.

დიდი სიყვარულით გართმევთ ხელს.

ჟან ბარუა

ბატონ ჟან ბარუას,
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პროფესორს
ვენცესლას კოლეჯში

პარიზი.

ძვირფასო მეგობარო,

ვერ აღგიწერთ, როგორი ენითაუწერელი გაოცება და მტკივნეული გრძნობა გამოინვია ჩემში თქვენმა წერილმა. მეჩვენება, რომ ბევრი უნდა გეტანჯათ, სანამ ასეთი გახდებოდით.

მაგრამ კიდევ მაქვს იმედი თქვენი საღი აზრისა და იმედს ვიტოვებ, რომ ერთ მშვენიერ დღეს დაუბრუნდებით ნაკლებად კატეგორიულ კონცეფციებს. მართალია, მას ვინც, თქვენსავით და ჩემსავით, აღარაა შეპყრობილი სრული რწმენით, ორი გზაღა აქვს დარჩენილი, ან მორალური ანარქია, წესებისა და ნორმების სრული არქონა; ან რელიგიის სიმბოლისტური ინტერპრეტაცია, რომელიც ერთმანეთს უსადაგებს ტრადიციასა და მეცნიერების თანამედროვე განვითარებას და კათოლიკური სისტემის ღირსეული პატივისცემის შენარჩუნების საშუალებას იძლევა. ჩვენი რელიგია შეადგენს ერთ მთლიანობას, რომელსაც შეგვიძლია დავუკავშიროთ ჩვენი პირადი მისწრაფებები, აგრეთვე ის ერთადერთია, რომელიც მორალურ ვალდებულებებს ობიექტურ საფუძველს აძლევს. კათოლიციზმის თვინიერ არ არსებობს არც მეცნიერება, არც ფილოსოფიური დაჯგუფება, რომელიც დამაკმაყოფილებელ საფუძველს მისცემდა თითოეული ადამიანის ვალდებულებას.

რატომ უნდა შეათამაშო მხრები და ყოველგვარი ავტორიტეტისგან თავის დაღწევა მოინდომო?

მეც თქვენსავით უარს ვამბობ ვიყო ავტომატური მორწმუნე; მაგრამ განა ამის გამო მთელი კათოლიციზმი უნდა ვუარყოთ? თქვენმა კეთილშობილმა რენანმა დაწერა: „შეინარჩუნეთ ქრისტიანობისგან ყველაფერი, რაც შეიძლება პრაქტიკულად გამოიყენოთ, ზებუნებრივის რწმენის გარეშე“.

თქვენი წერილის კითხვისას, ვინანე, რომ თქვენი მეგობარი აბატი ჟოზიე მისიონერადაა წასული. ის თქვენ ძალიან დაგაკლდათ. ვიცი, რომ ის მკაცრი ორთოდოქსია; მაგრამ ის შეამჩნევდა კრიზისს, რომელმაც შეგარყიათ, და გული შთააგონებდა, როგორ დაგხმარებოდათ.

მეც გიწვდით ხელს, ჩემო ძვირფასო მეგობარო, როგორც ერთხელ უკვე გამოგიწოდეთ, მთელი გულით და სულით. იმედი მაქვს, რომ არ უკუაგდებთ, ამ სურვილით ვამთავრებ წერილს, გიდასტურებთ თავდადებული მეგობრობისა და ერთგულების გრძნობებს.

ჰერმან შერცი

P.S. – თქვენ არასრულად წაგიკითხავთ სახარება, რადგან უმთავრესი შემდეგი სტრიქონებია:

„და არავინ, ვინც ძველ ღვინოს სვამს, წამსვე ახალს არ მოითხოვს, რადგან იტყვის: ძველი უმჯობესიაო“.

ბატონ აბატ შერცს,
ქიმია-ბიოლოგიის პროფესორს
კათოლიკურ ინსტიტუტში,

ბერნი (შვეიცარია)

ძვირფასო მეგობარო,

თქვენ ჩემი გათავისუფლება პატარა ბიჭის ქმედებად მიიჩნიეთ, რომელიც სკოლაში დასჯის წინააღმდეგ ამბოხდა... თუმცა, მართალია, რომ ჩემი ქორწინების შემდეგ, ხშირად ვიტანჯებოდი ორთოდოქსული რელიგიის დაჟინებულ მოთხოვნებთან შეჯახებისას, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ მხოლოდ პირადი გრძნობების გამო არ გადამიწყვეტია ჩემში შემორჩენილი კათოლიკობის ნაშთების საბოლოო უარყოფა.

თქვენ თავს იტყუებთ, როდესაც ცდილობთ თქვენთვის ხელსაყრელად განმარტოთ რელიგია, რომელიც თავისთავად ნათლადაა ფორმულირებული, და რომელიც ყოველგვარი შესაძლები ორაზროვნების თვინიერ, წინასწარვე უარყოფს და გმობს ისეთ ინტერპრეტაციას, როგორიც თქვენია. რადგან ეკლესიამ თავისი სამწყსოდან – სადაც თქვენ ისევ გგონიათ თქვენი ადგილი – აბსოლუტურად ლოგიკურად, შეურიგებელი წინდახედულობით გააძევა ნახევრად მორწმუნენი, როგორებიც ჩვენ ვიყავით – და როგორიც თქვენ ჯერ კიდევ ხართ...

თქვენი წერილის თავდაჯერებული კილო ნებას მაძლევს შეგახსენოთ 1870 წლის ვატიკანის საეკლესიო კრების Dei Filius-ის დადგენილების ზოგიერთი პარაგრაფი, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მეჩვენა და ეს-ესაა გადმოვწერე თქვენ საყურადღებოდ:

„თუ ვინმე სრულად და ყველა ნაწილით არ იღებს წმინდა წერილის წიგნებს, როგორც წმინდასა და კანონიკურს, ისეთი რიგითი ჩამონათვალით, როგორც ეს ოცდაათთა წმინდა კრებამ დაადგინა, ან უარყოფს, რომ ეს წიგნები არაა ღვთივშთაგონებული, წყეულიმც იყოს!

თუ ვინმე ამბობს, რომ სასწაულები არ არსებობს, და აქედან გამომდინარე, თვით წმინდა წერილში მოხსენიებული სასწაულები, უნდა განიხილებოდეს, როგორც მითები და არაკები, ან, რომ სასწაულების რეალურად აღსრულება ძნელად სარწმუნოა, ქრისტიანული რელიგიის მათგან წარმოშობის დაბეჯითებითი მტკიცება კი შეუძლებელი, წყეულიმც იყოს!

თუ ვინმე ამბობს, რომ შესაძლოა და ხანდახან საჭიროცაა, მეცნიერების პროგრესის კვალდაკვალ, ეკლესიის მიერ შემოთავაზებულ დოგმებს მიენიჭოს სხვა მნიშვნელობა თვინიერ იმისა, რასაც გულისხმობდა ან გულისხმობს ეკლესია, წყეულიმც იყოს!"

დაბოლოს ეს კრისტალური გამჭვირვალობის ტექსტი:

„რამეთუ რწმენის დოქტრინა ღვთისგან გადმოგვეცა, ის ფილოსოფიური გამონაგონის მსგავსად არ ექვემდებარება დახვეწას ადამიანთა გონის მიერ, იგი გადმოეცა ქრისტეს მეუღლეს, როგორც ღვთიური განძი, რათა ერთგულად იყოს შენახული და ურყევად ნასწავლები. აგრეთვე, ყოველთვის უნდა დაიმახსოვრონ წმინდა დოგმების მნიშვნელობა იმგვარად, როგორც ეს წმინდა დედა ეკლესიამ განსაზღვრა ერთხელ და სამარადჟამოდ, და არასდროს უნდა გადაუხვიონ მათგან, ვითომდა აღმატებული, სამეცნიერო ცოდნის სახელით ან პრეტექსტით".

მაშ ასე, ჩემო მეგობარო, ეკლესია ხელ-ფეხს გვიკრავს.

რატომღა ჩავებღაუჭოთ, მხოლოდ ჩვენი მხრიდან გამოხატული ნაზი გრძნობით აღვსილნი, ამ ბებერ ძიძას, ხელს რომ გვკრავს და ჩვენი მისკენ სწრაფვა დანაშაულად რომ მიაჩნია?

კიდევ ერთხელ დაფიქრდით ამ ყოველივეზე. ადრე თუ გვიან, დარწმუნებული ვარ, თქვენც ჩემსავით იფიქრებთ. თქვენც შეამჩნევთ, რომ მხოლოდ ნახევარი გზა გაიარეთ სინათლისკენ და ერთი ნახტომით დანარჩენსაც გაივლით.

მე თქვენ გარეთ გელოდებით, სუფთა ჰაერზე, სადაც თავისუფლად სუნთქვა შეიძლება.

გჯეროდეთ, ძვირფასო მეგობარო, ჩემი თქვენდამი ერთგულებისა.

ჟან ბარუა

II

საძინებელი ოთახი განთიადისას.

ჟანი თვალს ახელს და თვალმოჭუტული გასცქერის ფარდების შუალედებიდან შემოჭრილ სინათლეს.

ჟანი *(მთქნარებით)*: კი მაგრამ, რომელი საათია?

სესილი *(მკაფიო ხმით)*: შვიდის ნახევარი.

ჟანი: არც ისე გვიანაა... ცუდად გეძინა?

სესილი: არა, ძვირფასო.

ვაჟი ინდიფერენტული ღიმილით პასუხობს და საწოლის შუაგულისკენ გადაგორდება.

სესილი: შაბათია... ამ დილას ლექციები არ გაქვს?

ჟანი: არა.

სესილი *(ნაზი)*: ძვირფასო... რაღაც უნდა გთხოვო...

ჟანი: რა?

დუმილი. ქალი მის გვერდით წვება, მის მხარზე დებს თავს და გაიტრუნება.

სესილი: მისმინე.

ჟანი: ჰო, რა იყო?

სესილი: მითხარი... არ გამიბრაზდები? გულს არ მატკენ?

ჟანი იდაყვებზე წამოიწევს და შეშფოთებული აკვირდება. ის იცნობს სინაზით შეფარულ ამ ჯიუტ მზერას.

ჟანი: კიდევ რა მოიგონე?

სესილი: აჰ, თუ ასე იწყებ...

ჟანი: მიდი, თქვი, ვნახოთ... რა ხდება?

ქალს არ უყვარს, როდესაც დაძაბულია. მისი ღიმილი მწარეა. ერთი წამით ჩაფიქრდება და გადაწყვეტს.

სესილი: ამაზე უარს ვერ მეტყვი...

ჟანი: რაზე?

სესილი: ...შენ იცი, რომ ახლა მე ცხრადღიან მარხვასა და ლოცვას ვასრულებ...

ჟანი *(დაღვრემილი სახით)*: არა.

სესილი *(დაბნეული)*: არ იცოდი?

ჟანი: როდის მითხარი?

სესილი: თვითონ უნდა შეგემჩნია...

დუმილი.

ჟანი *(ცივად)*: ცხრადღიანი... რისთვის?... ბავშვი რომ გვეყოლოს?... *(პაუზა)* აქამდეც მიხვედი!

სესილი მის მკერდზე ეცემა, სნრაფი, თითქმის აგრესიული კოცნით უკუმავს პირს.

სესილი *(პირდაპირ პირში ჩასძახის, უეცარი ძალადობით)*: ძვირფასო, ჩემო ძვირფასო, ნურაფერს მეტყვი, მომეშვი... იცი, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ლოცვა შეისმინება... მაგრამ საჭიროა, რომ შენც... დიდს არაფერს გთხოვ: ნოტრ-დამ-დე-ვიქტუარში წამომყევი ამ საღამოს... უბრალოდ წამომყევი, მხოლოდ ერთხელ, მეცხრე დღეა...

ქალი აინევა, ხელს არ უშვებს და აკვირდება, ჟანი კი მწუხარედ იქნევს თავს.

ჟანი *(წყნარად)*: შენ კარგად იცი...

სესილი *(პირზე თავის მწველ ხელს ადებს)*: გაჩუმდი... გაჩუმდი...

ჟანი: ...რომ ეს შეუძლებელია.

სესილი *(მდგომარეობიდან გამოსული)*: გაჩუმდი, ბოლოს და ბოლოს! არაფერი მითხრა... *(ეხუტება, ისე რომ არ უყურებს.)* ამაზე ვერ მეტყვი უარს... ბავშვი, დაფიქრდი, ძვირფასო, ჩვენ შორის, ჩვენი,... ბავშვი!... მხოლოდ წამომყევი; არაფერი გააკეთო, არაფერი თქვა; ეს ხომ დიდი არაფერია!

გაჩუმდი, არაფერი მითხრა. შეპირებული ხარ!

ჟანი *(ცივად)*: არა, ამას ვერ ვიზამ.

სიჩუმე.

უეცრად სესილი აქვითინდება.

ჟანი *(გამწარებული)*: ოჰ, ნუ ტირი, მაგით ვერაფერს შეცვლი...

სესილი ცდილობს ცრემლის შეკავებას.

ჟანი *(მაჯებში ჰკიდებს ხელს)*: ე. ი. არ გესმის არა, რა გინდა გამაკეთებინო? მაშ იმდენად ხარ დაბრმავებული, რომ ვერ ხედავ შენი შემოთავაზების სიმახინჯეს?

სესილი *(სლუკუნით)*: რა მოგივა, რომ წამომყვე?... გეხვეწები...

ჟანი: მოდი, სესილი, ერთი წამით ჩაფიქრდი. შენ ხომ კარგად იცი, რომ მე არ მჯერა მაგ ლოცვებისა და მაგ სანთლების ეფექტურობის? მაშ? გინდა ვითვალთმაქცო?

სესილი *(ცრემლებით)*: რა მოგივა?... გეხვეწები...

ჟანი: როგორ იფიქრე, რომ დაგთანხმდებოდი... ესე იგი, შენ ვერ

ხვდები, რომ როდესაც მსგავს რამეებს მთხოვ, იმ მძიმე დისკუსიების შემდეგ, რომელიც გვქონდა, შენ ორივეს გვამცირებ?

სესილი *(ისევ ქვითინებს)*: გეხვეწები, გემუდარები...

ჟანი *(უხეშად)*: არა.

სესილი დაბნეული ახედავს.

დუმილი.

ჟანი *(მოღუშული)*: ოცჯერ მაინც აგიხსენი... ჩემში რაც კია წმინდა-თაწმინდა, სწორედ ეს გულწრფელი ეჭვია... რწმენის ყველა აქტისთვის იმდენად დიდი მნიშვნელობის მინიჭებაა, რომ აღარ შემიძლია მათში თვალთმაქცურად, ან სხვისი ხათრით მონაწილეობის მიღება... შენ არაფერი, არაფერი გაგეგება იმისა, რასაც განვიცდი!

სესილი *(ცოცხლად)*: მაგრამ, ამ დროს არავინ შეგხვდება...

ჟანი უცბად ვერ ხვდება.

გაოცებული, ხანგრძლივი მზერა, შემდეგ დიდი მწუხარება.

ჟანი: შენ მიძებნი ამგვარ გამოსავალს?

ისინი ერთმანეთის გვერდით წვანან, ერთმანეთის სითბოს გრძნობენ, მაგრამ ერთმანეთის მიმართ ჩაკეტილნი და მტრულნი არიან.

ჟანი *(ცდილობს დააჯეროს)*: მოდი, ერთი წამით ჩაფიქრდი... მე ხელს არ გიშლი ამ ცხრადღიან ლოცვაში, მაგრამ კატეგორიულად ვამბობ უარს მასში მონაწილეობის მიღებაზე... ეს ჩემი უმცირესი უფლებაა...

სესილი *(ფიცხი და ჯიუტი)*: შენ სულ შენს უფლებებზე ლაპარაკობ, შენს ვალდებულებებზეც ილაპარაკე! სხვათა შორის, აზრი არა აქვს შენთვის რამის ახსნას. ვერ გაიგებ... მაგრამ საჭიროა, აბსოლუტურად საჭიროა, რომ ამ საღამოს ჩემთან ერთად წამოხვიდე; უამისოდ ყველაფერი წყალში ჩამეყრება!

ჟანი: კი, მაგრამ სისულელეა ჩემი იქ წაყვანა! ჩემი იქ ყოფნა მხოლოდ სხეულებრივ! ვის მოტყუებას ცდილობ?

სესილი *(მომუდარე)*: ჟან, გაფიცებ, წამოდი ჩემთან ერთად!

ჟანი *(წამოხტება საწოლიდან)*: არა, არა და არა! მე არ ვეწინააღმდეგები შენს რწმენას, მაგრამ ნება მომეცი თავისუფლად ვიმოქმედო ჩემი რწმენისა და შეხედულებების მიხედვით!

სესილი *(ყვირის)*: აჰ, ეს ერთი და იგივე არაა!

ჟანი ტრიალდება საწოლისკენ, სადაც სესილი თავდავიწყებით ქვითინებს.

ჟანი (ღრმა მწუხარებით): ეს არაა ერთი და იგივე... აი, რა არის ყველა უბედურების მიზეზი! შენ არასდროს დათანხმდები იმის პატივისცემას, რასაც ვერ გებულობ... *(ხელს სწევს.)* აჰ, ჩემო საბრალო ბავშვო, შეგიძლია ჯეროვნად დამაფასო და სამართლიანად მომექცე, სიტყვა არასდროს მითქვამს შენი რწმენის შესარყევად! მაგრამ, ღმერთო, არის წუთები, როდესაც მთელი ჩემი სულით და გულით მინდა ერთ დღეს შეიცნო ეჭვის სიმწარე, – ზუსტად იმდენად, რომ დაკარგო ეს შენი თავის ურყევობის რწმენა და შენი უბიწოების სიმაღლიდან სხვისი ჭკუის დარიგების მოთხოვნილება!

სარკეში თვალს მოჰკრავს საკუთარ თავს, გაბურძგნულს, ფეხშიშველს, ანათემას რომ უგზავნის აწეწილ სანოლს... ერთნაირად გაღიზიანებული თავის თავსა და სესილიზე გარბის ოთახიდან და კარს აჯახუნებს.

ჟანი მარტო თავის კაბინეტში.

წინ მიმობნეული ჩანაწერები უდევს. მთელ გვერდს თვალაუწევლად წერს, შემდეგ დებს კალამს გაჯავრებული. მცდელობის მიუხედავად, ვერ მუშაობს, თავს ძალას მექანიკურად, ტყუილუბრალოდ ატანს, მისი სიბეჯითე ამაოდ იკარგება სიცარიელეში.

ფიქრობს:

– სისულელეა... არაფრის გაკეთება არ შემიძლია ამ დილას... და ყველაფერი, ამ ცხრადღიანი ლოცვის გამოა...

გასწევს ფურცლებს და ერთ წამს ჩაფიქრებული რჩება.

– ძალიან დიდი სისულელე იქნება... მთელი მომავალი ასეთ მომენტებზეა დამოკიდებული. საჭიროა მოქმედების თავისუფლება მქონდეს, ეს მინიმალურია! დღეს ამას დავთმობ, ხვალ იმას... არა!

დგება, ანერვიულებული, გულზე ხელგადაჯვარედინებული რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს ფანჯრისკენ, სადაც მკვეთრად შეჩერდება, თვალი ხეტიალობს წვიმიან ცაში.

– არა, რა წარმოუდგენია, რას მოელის ამ თავის ცხრადღიანი ლოცვით? მუდამ ეგონა და ჰგონია, რომ ლოცვით პირდაპირ გავლენას ახდენს ღმერთის ნებაზე... რა ბავშვობაა! მას მართლა აბატ ჟოზიეს ველურების შესაფერისი რწმენა აქვს! არა, ეს ჩაწერა ცხრადღიან ლოცვაზე, თითქოს აბონიმენტი ეყიდოს...

ეს რიცხვი – ცხრა... ალბათ უშვილო ქალების სპეციალური ფორმულარიც არსებობს, საგარანტიოდ!...არაჩვეულებრივია!

მხრებს იჩეჩავს, მიდის წიგნის კარადისკენ და ფეხზე მდგარი, შემინულ კარზე მიყრდნობილი, თითქოს წიგნის ასარჩევად ყოვნდება.

– ლოიალური დამოკიდებულების ქონა საკუთარ თავთან. ქალებს არაფერი ესმით ამ გრძნობისა! რა მოგივა, გეხვეწები, გემუდარები!... და ღირსება... ღირსეულად სიცოცხლე, შენი თავის პატივისცემა...

იღებს შემთხვევით რომელიღაც წიგნს და თავის სავარძელს უბრუნდება.

საუზმის დრო.

ჟანი მარტო ჯდება მაგიდასთან.

ფიქრობს. თავის ოთახში დარჩება, გაბუტული. იმედი აქვს, რომ ეს კომედია ჩემზე იმოქმედებს!... *(შენუხებული)* როდის დამთავრდება ეს ყველაფერი?!

მაგრამ სესილი შემოდის.

ჟანი აიხედავს კარის ხმაურზე და ხედავს საბრალო, ტანჯვით განადგურებულ, ტყვიისფერ, გამხდარ, ცრემლით გადახნულ სახეს.

ყველანაირი ღვარძლი ქრება. უეცარი თანაგრძნობა, როგორც სრულიად უპასუხისმგებლო ბავშვის მიერ ჩადენილი შეცდომის წინაშე. უსაზღვრო შებრალება, რომელიც ღრმა სიყვარულიდან და სინაზიდან ინსტინქტურად ამოიფრქვევა... თითქმის მკვდრეთით აღდგომა, მაგრამ ისე მოწყენილი, ისე უფერული მკვდრეთით აღდგომა ძველი სიყვარულისა.

აბსოლუტურად ბუნებრივად ჯდება თავის ადგილზე, მკვდრისფერი.

სადილი.

სესილი ცდილობს შეეხოს კერძებს. ხანგრძლივი დუმილი. მოსამსახურე ქალთან ერთი ორი სიტყვა თავისტკივილზე.

ჟანი ჩუმად აკვირდება, დახრილი შუბლის სუფთა და ჯიუტი მრუდი. შესიებული, მშრალი და წითელი ქუთუთოები; დასიებული ტუჩები, პირი ღია, ტკივილით დამახინჯებული...

ჟანი სიმწრით ფიქრობს: როგორ ვაწამებ?... სამართლიანად

თუ უსამართლოდ, ამას არა აქვს მნიშვნელობა!... ის იტანჯება ჩემგან და ეს საზიზღრობაა! არ ღირს გარჯა, რომ რამე შევაგ-ნებინო, ვერაფერს მივაღწევ, მხოლოდ ტკივილს მივაყენებ. სჯობს დავმორჩილდე, ვიდრე არაფრის გამო ოდიოზურად ვანამო!

ბოლოს და ბოლოს, რას მთხოვს? იმაზე მეტს არა, რასაც ხშირად ვაკეთებდი ამ ზაფხულს, კვირაობით მესაზე რომ დავყვებოდი... მით უარესი მისთვის, თუ ამ იძულებითი ნაბიჯის სისულელეს, სიმახინჯეს ვერ ხედავს...

მოდი, აღარ გავუჯიუტდები...

და უეცრად, მარტოოდენ ამ შინაგანი გადაწყვეტილებით, მოსვენებას, მხიარულ შემსუბუქებას გრძნობს. ის დიდი სია-მოვნებით აგემოვნებს ეგოიზმიდან თავდაღწევას, იმას, რომ ორთაგან უკეთესია, რომ ისაა, ვისაც ესმის, ვინც პატიობს, ვინც უთმობს.

ნაზად უყურებს. სესილი მორჩილად ჭამს, თვალაუწევლად.

– ლამაზია, თავისი ცრემლებით... საშინელებაა, ატირო ქალი! მამაჩემი ამბობდა: „ქალები სხვები არიან და ეს ხშირად გვავიწყდებაო". მართალი იყო; აი, რა შედეგს იღებ, როდესაც მათ ტოლივით და სნორივით მოექცევი, ამაო ტანჯვა-წვალე-ბას... დიახ, მამა მართალი იყო. ყურადღება არ უნდა მიაქციო იმას, რაც მათგან გვყოფს და შეეცადო აღმოაჩინო ის, რამაც შესაძლოა მათთან დაგვაახლოვოს...

დიახ, დიახ. მაგრამ, ეს რომ შესაძლო გახდეს, უნდა... კიდევ უნდა გვიყვარდეთ ერთმანეთი...

ჟანი დგება მაგიდიდან. სესილი ყოვნდება, სუფრაზე თვალ-მიშტერებული, ინდიფერენტული.

ჟანი ფიქრობს: თავის ოთახში გაიქცევა... გავედევნები, ვეტყვი, რომ ძალიან მინდა გავყვე.

მაგრამ სესილი, ჩვეულებისამებრ, ჟანის კაბინეტისკენ მიემართება, სადაც ყავა მოაქვთ. ფეხზე მდგარი რჩება სინთან, ხელებჩამოყრილი.

ჟანი მისკენ მიდის.

თავს ძალას ატანს; ფეხქვეშ გათელა, ცოტათი თავისი სინდისი, ცოტათი თავმოყვარეობა, ცოტათი მომავალი. ეს ცოტ-ცოტაობა აუფასურებს იმ სიხარულს, რომელიც ქალისთ-

ვის მიაქვს. ქალი ჩაეხუტება მის მხარს შენელებული ქვითინით, და მისი თვალების გამოშუქება იქნება ვაჟისთვის მადლობის გადახდა.

ვაჟი იხრება, წელზე ხელს ხვევს. ქალი წინააღმდეგობას არ უწევს.

ჟანი *(მთრთოლვარე ხმით)*: მისმინე... კარგი. ამ საღამოს, სადაც გინდა იქ წამოგყვები, ოღონდ აღარ იტირო!..

სესილი თავს ითავისუფლებს მისი მკლავებიდან და უხეშად კრავს ხელს.

სესილი: აჰ, ვგრძნობ, რომ ჩემი მტერი იქნები, სამუდამოდ.

ვაჟი გაოგნებული შესცქერის.

სესილი *(ჭედავს სიტყვებს)*: ვიცი, რომ ერთ დღეს უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, ერთ წელიწადში, ორ წელიწადში, ათ წელიწადში... არ ვიცი... მაგრამ ერთ დღეს აუცილებლად უნდა დავშორდეთ! და მე შემძულდები! *(ტირილი უტყდება)*. უკვე მეზიზღები...

უაზროდ იწვდის ხელს წინ, თითქოს უნდა დაეცესო და მაგიდის კიდეს ეყრდნობა.

ჟანი *(მწარედ)*: კარგია... ვფიქრობდი შენთვის მესიამოვნებინა.

ქალი თავს სწევს, თითქოს კოშმარიდან ფხიზლდებაო, სახე ურბილდება. ჟანის მკლავს ებღაუჭება.

სესილი *(ბუტბუტით)*: აჰ, დიახ, ამ საღამოს? მართლა? გმადლობ... *(იხრება და ნაჩქარევად ხელს უკოცნის ვაჟს.)* გმადლობ, ჩემო ძვირფასო.

და მოტეხილი, ტუჩებზე ცხვირსახოცაფარებული, ოთახს ნელა ტოვებს; კართან მისული ცდილობს გაულიმოს ჟანს.

ჟანი გალენჩებული უმზერს ამ მოხურულ კარს. შემდეგ თავს გაიქნევს, მხრებს გაშლის, მიდის ფანჯრისკენ, სწრაფად აღებს და მიუხედავად წვიმისა, თავს გარეთ გაჰყოფს უჰაერო ორმოდან თავდაღწეულივით.

ნოტრ-დამ-დე-ვიქტუარი, საღამოს რვა საათი.

აკლდამა. სანთლებით აგიზგიზებული ცხაურები, მაგრამ ეკლესიაში მაინც ბნელა.

იქ საღამოხანს პარიზის ყველა კუთხიდან მოდიან იმედგადაწურულნი, უილაჯონი, მტკიცედ სჯერათ, რომ ყოველივე ჩაშლილი და ჩავლილია უკვე, მაგრამ მაინც მოდიან, თავი

რომ გვერდიგვერდ დაისამარონ სანთლის კვამლით შესქელებულ ჩრდილში.

სესილი დაჩოქილი, ჟანი ფეხზე მდგომი, ერთიც და მეორეც მოხრილი გარდაუვალის სიმძიმით.

იმავე საღამოს.

ჟანი სამუშაო მაგიდასთან ზის. დრო გაპყავს, მარტო ყოფნა სურს.

კარი იღება. სესილი უხმაუროდ შემოდის, ფეხშიშველი.

სესილი: არ მოდიხარ დასაწოლად? *(გულუბრყვილოდ)* მებუტები?

სესილი თავაზიანად იღიმება, დასჯილის იერით.

ამდენი შეუგნებლობით განიარაღებული ჟანი თავს ვეღარ იკავებს და იღიმება.

სესილი პენუარშია. ცრემლის არავითარი კვალი. ღამის ვარცხნილობა აახალგაზრდავებს, კეფაზე დიდი შავი პეპლით დამაგრებული გაშლილი თმა. ამ საღამოს თხუთმეტი წლისაა, ბიუიელი კაფანდარა საცოლე.

ბავშვივით ახტება და ჟანის მუხლებზე ჩამოსკუპდება.

სესილი: არ მინდა მარტო დაძინება, ასეთი დღის შემდეგ. მინდა მითხრა, რომ ყველაფერი დავინყებულია... რომ ყველაფერი დამთავრდა...

ჟანი დაღალა სიტყვებმა. პასუხს არ სცემს, მშვიდად კოცნის მოალერსე, მიშვერილ შუბლს. ამ საღამოს, როგორც არასდროს, თავს ისე ბებრად გრძნობს.

სესილი: იქ ძალიან ცივა. დაგელოდები. განაგრძე, ძვირფასო, ხელი არ უნდა შეგიშალო მუშაობაში. დავრჩები შენს მუხლებზე, არ გავინძრევი.

ქალი ეხუტება მთლიანად მინდობილი. ჟანი გრძნობს, როგორ უდნება შემოხვეული ხელი მისი დრეკადი და თბილი წელის ნაკეცში.

ატლასის ქოშები ძვრება; ჟანი მუჭში იქცევს პატარა, სუსტ ტერფებს.

სესილი: ხედავ, გავიყინე...

ქალი იცინის, კისკისებს გამომწვევად. შემდეგ თავს უკან გადაიგდებს კისკისის შეუწყვეტლად.

.....

ახლა მათი თვალები ერთმანეთს ხვდება. უეცარი შოკი. სესილის დახრილი ქუთუთოებიდან ჟანი გამარჯვებული სიხარულის პაწაწინა სხივს ეჯახება.

უეცარი ფიქრი:

– აჰ... მეცხრე საღამო... საჭირო იყო, რომ...

არავითარი გაღიზიანება; ვაჟს ისევ მიხუტებული ჰყავს მთელი სხეულით.

ეს წუთია, ცოლის მზერაში დაინახა ადამიანური სისულელე მთელი სიგრძე-სიგანით და ახლა ისე შორს გრძნობს თავს სესილისგან, ისე შორს!...

ქალები სხვანი არიან!...

III

რამდენიმე ფურცელი ნაჩქარევი და ნერვული ხელწერით, ჟანის საწერი მაგიდის უჯრის სიღრმეში:

ქალები – დაბლა მდგომი არსებები. გამოსწორება შეუძლებელია.

მათი მგრძნობელობა მათშივე ბუდობს, როგორც ჭია ხილში. და ის ყველაფერს უტევს, რაც აჩლუნგებს მათ აზროვნებას და ასახიჩრებს მათ სულსა და გულს.

ქალებს უყვართ იდუმალება, ეს მათი ინსტინქტია. შენინააღმდეგებას აზრი არა აქვს. კიდევ, მათ უყვართ მდაბლად.

თუ ღამით ქურდების ეშინიათ, ღამის ნათურაა მათი უსაფრთხოების გარანტი. სირაქლემას პოზა, მათი ბუნებრივი პოზაა. რწმენა სიმშვიდისთვის სჭირდებათ, რათა იმის იქით აღარაფერი ჰქონდეთ საძებნი *(ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ ვინმეს შეიძლება ჰქონდეს „გადამოწმების" სურვილი...).*

მხოლოდ მაშინ უნდა დაქორწინდე, როდესაც მტკიცედ ადგახარ შენს გზას და დარწმუნებული ხარ, რომ ეს ქორწინება გეზს არ შეგაცვლევინებს. ქორწინების შემდეგ გეზის შეცვლა,

ორი ცხოვრების არევაა ერთის სასარგებლოდ; ეს კი უფსკრულის გაჩენაა ორ ადამიანს შორის, რომელთაც ყველაფერი ავალდებულებთ, ერთად რომ დარჩნენ შეკავშირებულნი, უფსკრული, რომელიც მაშინაც არ ივსება, როდესაც ბედნიერება იღუპება.

IV

მომდევნო წელი.
ბიუიში, აღდგომის ორშაბათი.

ქალბატონი პასკელენის პატარა სალონი. შუადღე.

ჟანი და სესილი ეს-ესაა ჩამოვიდნენ რამდენიმე დღით.

მათთან საუზმეზე მოსულია ორი თვის წინ მადაგასკარიდან დაბრუნებული აბატი ჟოზიე.

ქალბატონი პასკელენი: მოდით... მოდით გათბით! ისეთ კარგი ამინდი იყო ამ დილას!

ცა უეცრად იღრუბლება, სეტყვა ტყვიასავით აახმაურებს ფანჯრებს.

აბატი ჟოზიე *(ფანჯარასთან)*: გაზაფხულის წვიმაა, დიდხანს არ გასტანს... *(ჟანს)* ეს ჩემი დიდი მეგობარი, როგორ შეცვლილა ამ ხუთ წელიწადში!

ჟანი: თქვენც ძლივს გიცანით! გამხდარხართ, გაყვითლებულხართ...

აბატი *(იცინის)*: გმადლობთ!

ქალბატონი პასკელენი: უჰ, ახლა რა უჭირს, ერთი თვეა ცოტა მოფერიანდა... მოკვდებოდა იმ აფროამერიკელებში, მონსენიორის განკარგულებით რომ არ გამომეხმო იქიდან.

აბატი *(ჟანს)*: მართალია, ჩემო ძვირფასო, კინაღამ დავრჩი იქ. და შემდეგ ქ–ნი პასკელენის მიერ გაფრთხილებულ ღმერთმა თქვა: „კი მაგრამ ეს კაცი კიდევ შეიძლება რამე სასიკეთოსთვის გამოდგეს... კიდევ ივარგებს მსახურებისთვის!" და აი, აქ ვარ...

ჟანი *(სერიოზული)*: ახლა საქმე მოკეთებაა.

აბატი: ოჰ, სწორედაც... მოვკეთდი, მეჩეჩიდან გამომიყვანეს... *(მუცელზე ხელს იტყაპუნებს.)* კარკასი კი მაგარი იყო! იცი, გუშინწინ

ფეხით სენ-სირამდე წავედი. ფეხები ჯერ კიდევ ღონიერი მაქვს. დღეს ბომონამდე ვაპირებ წასვლას, ბატონ კიურესთან... ხედავთ, სიფრთხილეც აღარაა საჭირო.

(დიდხანს უყურებს ჟანს ლაპარაკისას.) როგორ შეიცვალა!

ჟანი: ამდენად?

აბატი: ახლა, ეს ულვაში! და კიდევ, არ ვიცი, რაღაც ახალი, რაღაც განსხვავებული... მზერა... არა, მთელი ფიზიონომია...

ქალბატონი პასკელენი *(სესილი გვერდზე გაჰყავს)*: შენ, შენ როგორ ხარ?!

სესილი: არა მიშავს.

ქალბატონი პასკელენი: ახალი ისევ არაფერია?

სესილი *(თვალზე ცრემლმომდგარი)*: არა.

პაუზა.

ქალბატონი პასკელენი *(უფრო ხმადაბლა; ჟანს გახედავს, რომელიც აბატს ესაუბრება)*: და... ის?...

სესილი უიმედოდ ჩაიქნევს ხელს. ღრმა ამოოხვრა.

საუზმის შემდეგ.

აბატი ჟოზიე *(ფანჯარას უახლოვდება)*: აი, გამოიდარა, უნდა გავიქცე. ბომონის პრესბიტერამდე მივდივარ.

ჟან, ცოტაზე ხომ არ გამაცილებთ?

ჟანი: დიდი სიამოვნებით.

> გრილ ნიავს აუშრია გამდნარი სეტყვის კაკლები. უზარმაზარი და ნათელი, ოდნავ მოცისფრო-თეთრი, დაბანილი ცა გადმოწოლილა ქალაქზე. ქუჩები სუფთაა, აპრილის მზე ამხიარულებს ფასადებს. თეთრი წვიმისგან გალაქული დარაბები ბზინავენ.
>
> აღდგომის ორშაბათი, დასვენების დღე. ოჯახები სასეირნოდ გამოსულან.

ჟანი: სასაფლაოთი მოვჭრათ გზა?

აბატი: დიახ... *(ჟანს ხელკავს უკეთებს)* სასიამოვნო იყო თქვენთან საუზმე. ვშიშობდი ერთ-ერთი თქვენი წერილის შემდეგ... და კიდევ, თქვენი სიდედრის გადაკრული ნათქვამის მიხედვით... *(მისთვის ჩვეული ხაზგასმა ზოგიერთ სიტყვაზე)* მაგრამ ვხედავ, რომ თქვენ ბედნიერები ხართ, ერთიც და მეორეც, ისე, როგორც ამას იმსახურებთ...

ჟანი თითქმის მხიარულად შესცქერის; აბატი ამ ღიმილს თანხმობად იღებს.

რამდენიმე მდუმარე ნაბიჯი.

ჟანი *(მშრალი ჩაცინებით)*: ბედნიერება? არა, არა და არა. ეს სულაც არაა ბედნიერება!

აბატი შედგება, სახტად დარჩენილი.

აბატი: ხუმრობთ?

ჟანი *(მწარე ღიმილით)*: სახუმაროდ რომ მქონდეს საქმე...

აბატი *(გაოგნებული, ცოტა შეშინებულიც)*: ჟან...

ჟანი *(მხრებს იჩეჩავს)*: ისეთი სულელურია, ეს ჩვენი ამბავი!

აბატი: ჟან, მაშინებთ.

ჟანი: რა გითხრათ? ეს ჩიხია...

აბატი: ჩიხი?... კი მაგრამ, ერთმანეთი ხომ მაინც გიყვართ?

ჟანი *(მოღუშული)*: არ ვიცი, არაფერი არ ვიცი.

გზა ვიწროვდება. აბატი წინ მიდის, პასუხგაუცემლად. ჯვარცმის წინ პირჯვარს იწერს.

სასაფლაოს ირიბად ჰკვეთენ ბალახგადავლილი ბილიკით.

დაბალი კარი შუა მინდორში გადის. დიდი გზა; ერთ მხარეს ტელეგრაფის ბოძებია ჩარიგებული, სანამ თვალი გაგიწვდება, ერთმანეთისგან თანაბრად ლითონის სიმებით გამოყოფილი. ბრწყინვალე, ახალგაზრდა მზე თავის სხივებში აბანავებს მდელოებს, ნამჯის ღეროებს, წვიმისგან ჩამუქებულ ნახნავებს. ვერცხლისფერი სამანებით დაჭრილი საძოვრები უაზს წვდება, რომლის ნაპირებიც ჯერ კიდევ დატბორილია. ქარს მოფარებული წყალი უძრავ ცას ბაც-ნაცრისფრად ირეკლავს; ნიკაპამდე წყალში ჩაძირული ძენწები მსხვილ, შავ, გაბურძგნულ თავებს მაღლა სწევენ.

აბატი პეიზაჟის საყურებლად შეჩერებულ ჟანს უახლოვდება. მათი მზერა ერთმანეთს ხვდება. აბატის მზერა შეშფოთებული და საყვედურით სავსეა.

ჟანი: კარგად ვიცი, შევცდი. ოცდაორი წლისამ მოვინდომე სულელური ოცნების განხორციელება, თექვსმეტისას რომ მქონდა... ამას არაფრის კარგის მოტანა არ შეეძლო.

აბატი: პირიქით, ეს ბავშვობისდროინდელი მეგობრობა...

ჟანი *(გამწარებული აწყვეტინებს)*: ნება მიბოძეთ, ნება მიბოძეთ... მე კარგად ვიცნობ საკითხს, გარწმუნებთ, მე მქონდა სიამოვნება ღრმად შემესწავლა!

აბატი ჩუმდება და უხმოდ განაგრძობს გზას. კაცის ეს მტკიცედ ნათქვამი აბნევს.

ჟანი გამოიცნობს მისი გაოცების მიზეზს და ბოროტად ნეტარებს. სუფთა ჰაერი, მზე, გასეირნება ცოტათი აბრუებს. ლაპარაკის გუნებაზე დგება.

ჟანი: იცით, თექვსმეტი წლისას სიყვარულზე გიჟურად მისტერიული აზრი გაქვს! შენი ოცნება ისე შორეულია, ისე არაცხოვრებისეული, რომ რეალურ ცხოვრებაში მისი დაკმაყოფილება არაფერს ძალუძს. მაშინ ნაოცნებარს აკონიწებ და წარმოსახვით ქმნი არარსებულ არსებას! ეს თავისთავად ხდება, პირველივე შემხვედრს ირჩევ, მას, ვინც ახლოსაა... სულაც არ იწუხებ თავს იმის ძიებით, თუ როგორია მისი ნამდვილი ხასიათი! არა... მას კერპივით ახვევ შენი წარმოსახვის ჩაკეტილ ნრეში, ამკობ ყველანაირი სიკეთით, რაც გინდა რომ შენს რჩეულს ჰქონდეს, – შემდეგ იჩოქებ მის წინაშე, თაყვანს სცემ, თვალზე ხილაბანდაკრული... *(იცინის)*

აბატი: ჩემო საბრალო ჟან, რაებს მიყვებით?...

ჟანი: ინტოქსიკაცია არის ნელი და სარწმუნო... დრო გადის, ხილაბანდი არ ვარდება. და, ერთ მშვენიერ დღეს, მადლიერი იმით, რომ ცოტა თუ დიდხანს იგი განასახიერებდა შენს სასიყვარულო სულთქმას. უყოყმანოდ, ღიმილიანი, ქორწინდები ქალიშვილზე, რომელიც არსებითად უცხოა შენთვის...

ჩერდება და მღვდელს პირდაპირ სახეში შეჰყურებს.

ჟანი: შენი ცხოვრების ანგაჟირება... იცით რას ნიშნავს ეს?

აბატი თავს ხრის.

ჟანი: ...როდესაც ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდები იმის წინაშე, ვინც ამოირჩიე და ვისი სიყვარულიც ნამდვილად გსურს, ამჯერად რეალობაში, ყოველდღიურ რეალობაში, აღმოაჩენ, რომ არაფერი გქონია საერთო მასთან... უცნობია, უცხოა! შესაძლოა მტერიც... ჰოდა, ესაა ჩიხი!

აბატი: უცნობი, უცხო... გეყოფათ! აბა, რას მეუბნებით?! თქვენ ერთად, ერთმანეთთან ისე ახლოს იზრდებოდით!

ჟანი *(სიმწრით)*: დიახ, და ჩვენ ერთმანეთს ნაკლებად ვიცნობთ, ვიდრე გარიგებით დაქორწინებულთა უმრავლესობა. რადგან, იმ შემთხვევაში, დანიშვნიდან ქორწინებამდე დროს გამალებით იყენებენ ურთიერთგასაცნობად, ცდილობენ გაუგონ ერთმანეთს. ყოველთვის ასეა... ჩვენ კი ამაზე არც გვიფიქრია. გვეგონა, რომ ეს უკვე დიდი ხნის გაკეთებული გვქონდა.

აბატი: მაგრამ, თავიდან, თქვენს პირველ წერილებში...

ჟანი: თავიდან? მე ძალზე სწრაფად შევნიშნე, რომ ძალიან განსხვავებულნი ვიყავით, მაგრამ არც კი შევშფოთებულვარ, ვაღიარებ...

აბატი: ...?

ჟანი: თქვენ რომ იცოდეთ, როგორი აღტაცებული და დაბრმავებული ხარ ამ მომენტში! მეც მთელი გულით მინდოდა მქონოდა ის ბედნიერება, რომლის მოსაპოვებლადაც ყველა ამაოდ დარბის; მწამდა და ველოდი, რომ ამისრულდებოდა ასე ნანატრი და ნალოლიავები ოცნება და ცხოვრება წყალობას მოიღებდა ჩემს გამოსარჩევად! მე წინასწარვე მქონდა გადაწყვეტილი, რომ ყველაფერი არაჩვეულებრივად იქნებოდა.

ქორწინების პირველ ხანებში, კაცის როლი იმდენად ადვილია! ისე თავისუფლად ახდენს გავლენას თავის ცოლზე! მაგრამ უნდა იჩქაროს! ყველაზე გულუბრყვილო ქალსაც კი აქვს არაჩვეულებრივი გრძნობა, რომელიც მსწრაფლ არწმუნებს თავის ძლევამოსილებაში, და მალევე აპყრობინებს მთელ იმპერიას, რომელიც ვითომდა ხელიდან ჰქონდა გაშვებული... პირველი თვეები ძალიან მაცდურია. ცოლი ყველაფერს გაუთვითცნობიერებლად იმახსოვრებს და იმეორებს. ის გიწვდის ერთგულ სარკეს... ღმერთო ჩემო, შიგ სიამოვნებით იყურები... იმ დღემდე, როდესაც აღმოაჩენ, რომ რასაც გთავაზობს მხოლოდ ანარეკლია – შენი საკუთარი სახის ანარეკლი... თან ისეთი ფერმკრთალი, ისეთი მყიფე, უკვე ისე წაშლილი...

აბატი: ხომ გიყვარდათ?

ჟანი: არა მგონია... სიყვარული მიყვარდა.

აბატი: მას უყვარდით, თავდავიწყებით!

ჟანი არ პასუხობს.

აბატი: მას უყვარდით და ისევ უყვარხართ! ამის დასტური ახლახანს მქონდა, მის ღიმილში, მის მზერაში...

ჟანი: არა. მოგეჩვენათ, ჩვენ შორის მოჩვენებითი სითბო დაიჭირეთ... *(დაღლილად)* დროებითი ზავია, უსიტყვოდ დადებული აქ ჩამოსასვლელად, მეტი აღარაფერი.

აბატი: მას უყვარდით, ჟან, ეს კარგად ვიცი!

ჟანი: კი, კი ვუყვარდი... *(მხრების აჩეჩვა)* ...თავისებურად... პატარა ნებადართული ალი, რომელსაც წლების განმავლობაში სულს უბერავდა, მარტოობაში, დედამისისა და... თავისი მოძღვრის ნებართვით... პატარა, ძალზე პოეტური სიყვარული, „მარიამის თვისა“...[1]

---

[1] მაისის თვე, კათოლიკურ ლიტურგიაში მიძღვნილია ღვთისმშობლისადმი.

აბატი: ჟან!

ჟანი: მაცადეთ, გულახდილად გესაუბრებით. ამ სიყვარულს არ ვუარყოფ, მაგრამ მას არ შეუძლია სასნაულის მოხდენა: არადა საჭიროა სასნაული, რომ ჩვენი, ორის, ფიქრი ერთმანეთს დაემთხვეს, რათა ჩვენი, ორის, ცხოვრება ერთ ცხოვრებად იქცეს!

აბატი: მაგრამ ის ისე ახალგაზრდა იყო!

ჟანი *(ნერვული სიცილით)*: აჰ, ეგ მართალია: ის ისე ახალგაზრდა იყო! *(რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს და აცახცახებული ბრუნდება.)* მისი მჯეროდა! ვფიქრობდი: „ყველაფერი, რაც მასში არ მომწონს, დროებითია-მეთქი"... რა შეცდომაა!... სესილის მართლა თექვსმეტი წლის გოგოს ტვინი ჰქონდა, რომელსაც უნდა ცხოვრება განსაჯოს, და რომლის მთელი ცხოვრებისეული გამოცდილება, მთელი საყრდენი წერტილი არის ის მცირეოდენი ცოდნა, რისი აკენკვაც, კვირაობით, ბეჯითობით კატეხიზმოდან შესძლო...

აბატი: ჟან!

ჟანი *(მტრული გაცხოველებით)*: რაც ვერ გავითვალისწინე, ისაა, რომ ეს ემბრიონული მდგომარეობა მისთვის საბოლოო იყო, და რომ მან უკვე მიაღწია თავისი განვითარების საბოლოო წერტილს!

აი, ესაა ჭეშმარიტება!

ჟანი გაჩერდა, საბრძოლველად შემართული, ფეხებგალაჯული, აცახცახებული ბიუსტით, უკანთავგადაწეული, მძიმე მზერით, ხელები გულ-მკერდამდე აწეული, თითები გაშლილი, თითქოს კომპაქტურ ბლოკს წონისო.

ჟანი: ძალიან ამაყი იყო თავის პაწაწა კეთილგონიერებით! ეშმაკმა დალახვროს! ის მან უმწიკვლო წყაროებიდან ამოხაპა. ქადაგებებიდან, კარგ პროვინციელ ხალხთან ურთიერთობებიდან და კიდევ ქრისტიანი ახალგაზრდა გოგონებისთვის განკუთვნილი წიგნუკებიდან, იმ ჭკუისდამრიგებლური ბროშურებიდან, რაშიც არაფერია იმ რეალობას მიახლოებულიც კი, რომელშიც მათ უნდა იცხოვრონ!

აბატი ნაბიჯს გადადგამს და ჟანს მკლავზე ჰკიდებს ხელს. სახეში შეჰყურებს.

აბატი: ჟან, ჟან...თქვენ ასე არ ილაპარაკებდით, ასე საშინლად რომ არ შეცვლილიყავით...

(ხმას უდაბლებს)

დარწმუნებული ვარ, ეკლესიაში აღარ დადიხართ!

დუმილი.

ჟანი (ნაზი, მაგრამ მტკიცე ხმით): არა.

აბატი (გულისტკივილით): აჰ, ახლა ყველაფერი მესმის!

გზა ალმართში მიდის; ბომონის სამრეკლო ჩნდება.

აბატი ნაბიჯს უჩქარებს, თითქოს მარტო ყოფნა უნდაო.

ერთი მეორეს მიჰყვება. პლატოზე ადიან. შორიდან მქროლავი მსუბუქი ქარი ხვდებათ. გზის პირას ქარისგან დაჭიმული ტელეგრაფის ხაზები მღერიან.

პატარა სოფლის სახლები მინდორშია მიმოფანტული. ეკლესია ასიოდე მეტრშია, პრესბიტერის წვეტიანი ნაძვებით დაცული.

ჟანი აბატს წინ უშვებს, თვითონ ქვის გროვაზე ჯდება.

ზურგი მზეზე უთბება. ქარი სახეზე გრილად ულამუნებს. ფეხებთან გამხმარი ფოთლები ტრიალებენ აბრეშუმისებური შრიალით.

მის წინ ველია.

მოგრძო ჩრდილები გრძელდება. ფოთოლშემოძარცვული თელების კენწეროების, ალვის ხეების დამცავი ზოლის იქით ბრწყინავს ცისფერსახურავიანი თეთრი ფასადები. თითქმის არავინაა. ურიკა მიიწევს უჩინარ შარაზე, ისმის ბორბლების ჭრიალი ნაურმალ ტალახში. შორს, გორაკზე ნაცრისფერ და წითურ ცხენს კვალი გაჰყავთ და უხმაუროდ აყენებენ ყავისფერი ბამბისებური ფიფქების ნისლს. დარჩენილი გუბურა ლაპლაპებს ვარჯებს შორის. დაცარიელებული ბუდეები კვანძებივით აყრია ტოტების გორგლებს. გუთნისდედებმა გაიტანეს კვალი მინდვრის ბოლომდე. ნელი მოძრაობით ბრუნდებიან და მოდიან; ისინი ჟანისკენ ამოდიან და ნაცრისფერი ცხენი ფარავს მთელ საპალნეს და ისე ჩანს, თითქოს მარტო მოდიოდეს.

ქარი ჩადგა. ურიკის ჭრიალი შეწყდა. ხმელი ფოთლები ისვენებენ.

სიჩუმე.

აბატი ბრუნდება, თავდახრილი.

ჟანი დგება და ეგებება. მღვდელი ხელს უწვდის; თვალები ცრემლით აქვს სავსე.

სიტყვის უთქმელად ჩაუყვებიან ფერდობს. აბატი მიაბიჯებს თავდახრილი, პირდაპირ იყურება.

ჟანი *(ნაზად)*: ჩემო ძვირფასო აბატო, გული გატკინეთ, მაგრამ ადრე თუ გვიან, უნდა გაგეგოთ...

აბატი მოწყენილად, უარყოფის ნიშნად იქნევს ხელს.

ჟანი: ვიცი მორწმუნეთა ჩვეული საყვედური: „თქვენ თავიდან მოიშორეთ რელიგია, რომელიც ხელს გიშლიდათ სიამოვნებაში". ჩემ შემთხვევაში ეს არაა მართებული. მე წლების განმავლობაში ვიბრძოდი; თქვენ ამის მოწმე ხართ. საჭირო იყო... ახლა, ყველაფერი მორჩა. მე ისევ მოვიპოვე წონასწორობა და სულიერი სიმშვიდე.

აბატი თავს ჟანისკენ ატრიალებს და უნებური დაჟინებით უყურებს, თითქოს ცდილობს შეიცნოს ის ახალი კაცი, მასში რომ შობილა.

აბატი *(უიმედოდ)*: ნუთუ ეს თქვენ ხართ? მე ხომ ისეთი კეთილგონიერი, ისეთ კარგ გზაზე მდგარი დაგტოვეთ!...

ჟანი: ამის გამო ნუ შემიზიზღებთ. გწამს თუ არ გწამს, არსებითად ეს არაა მნიშვნელოვანი. მთავარია, როგორ გწამს ან როგორ არ გწამს...

აბატი: კი, მაგრამ როგორ, ეს როგორ მოხდა?

ჟანი: მიჭირს ახსნა. მე მქონდა რწმენა, ეს უეჭველია; ახლა ველარც კი წარმომიდგენია ეს მდგომარეობა. ნაკადივით მომდინარე იდეები, სრულიად ბუნებრივად, გიბიძგებენ ერთი და იგივე მიმართულებით... და კიდევ, ეს ადამიანის ბუნებაზეცაა დამოკიდებული... ზოგიერთი ადამიანი სხვაზე მეტადაა მიდრეკილი სრულიად გამზადებული ფორმულის მიღებისკენ; როგორც კიბო-განდეგილი, პირველივე ცარიელ ნიუარაში რომ ძვრება, რომელსაც გადააწყდება, მოირგებს და შეეგუება. სხვა კი, პირიქით, საჭიროებს თვითონვე შემოიქსოვოს თავისი ჯავშანი...

აბატი *(მოღუშული)*: თქვენ სწავლამ დაგღუპათ... მეცნიერული ამპარტავნების სანამლავმა! აჰ, რამდენი სხვაც!... მატერიალისტური სამყაროს შესწავლაში ჩაფლულნი, იმ დონემდე ბრმავდებიან, რომ ზებუნებრივს ივიწყებენ და მალე რწმენასაც კარგავენ.

ჟანი: შესაძლებელია. როდესაც ყოველდღიურად იყენებ სამეცნიერო მეთოდებს და ათასჯერ მაინც გამოსცდი, თუ რამდენად უტყუარნი არიან ჭეშმარიტების ძიებისთვის, როგორ არ უნდა მიუსადაგო ისინი რელიგიურ პრობლემებს?!

(მოწყენით) განა ჩემი ბრალია, თუ რწმენა ვერ უმკლავდება სერიოზულ კრიტიკულ განხილვას?

აბატი *(ცოცხლად)*: აჰ, მხოლოდ თავისი ცოდნითღა შეუძლიათ გაგება! კრიტიკული განხილვა, გონი! განა გონის დახმარებით არ შეძლეს თეოლოგებმა ღვთისა და გამოცხადების არსებობის დადგენა?

ჟანი *(ხმადაბლა)*: სწორედ გონითვეა იოლი მისი დამხობა...

აბატი: მაგრამ მე, როდესაც მიმტკიცებენ, რომ ჩემს გონებას არ შეუძლია, მარტოოდენ თვითონ, მთელი არსით შეიცნოს დოგმების საიდუმლოება, ან იმას, თუ როგორ ნყვეტს ქრისტიანული რელიგია ჩვენი ბედისწერის პრობლემებს, ამაში, პირიქით, უცილობელ მოწმობას ვხედავ ზეადამიანური ძალისას, რომელმაც ნათელი მოგვფინა და ჭეშმარიტება განგვიცხადა!

ჟანი დუმს.

აბატი *(სარგებლობს ამ დუმილით)*: და კიდეე, შეგიძლიათ მითხრათ თუნდაც ერთი უტყუარი სამეცნიერო ჭეშმარიტება, რომელიც ნამდვილ წინააღმდეგობაში მოდის ჩვენს დოგმებთან?

განა თქვენმა მეცნიერებამ დაგიმტკიცათ, რომ არ არის ღმერთი?

ჟანი *(გადაწყვეტს უპასუხოს)*: სავსებით არა.

აბატი: აჰ!

ჟანი: მეცნიერება იმის მტკიცებით კმაყოფილდება, რომ სამყაროში ყველაფერი ისე ხდება, თითქოს ეგ თქვენი პირადი ღმერთი არც კი არსებულიყოს.

აბატი: მაგრამ, ჩემო საბრალო მეგობარო, მხოლოდ ბუნების კანონების შესწავლას ჩაციებული მეცნიერება არის ყველაზე ცხადი დასტური ღმერთის არსებობისა, როდესაც დანახვა შეგიძლია!

ჟანი *(მოწყენით და მტკიცედ)*: ოჰ, უკაცრავად, უკაცრავად... სიტყვებს ნუ გამოვეკიდებით. იმის საფუძველზე, რომ მე მწამს წესრიგი და კანონები, იმას ნუ დავასკვნით, რომ მე მწამს ღმერთი. ეს ძალიან ხშირად გამოყენებული ოინია! არა, არა. ჩვენ, ერთიც და მეორეც, დარწმუნებულები ვართ, რომ სამყარო კანონებს ემორჩილება, მაგრამ ჩემი თვალსაზრისი სრულადაა დაყრდნობილი ექსპერიმენტზე და სულაც არაა თავსებადი კათოლიკური რელიგიის მონაცემებთან, სადაც ღმერთი უმაღლეს არსადაა განხილული, რომელსაც პერსონალური ქმედებანი და განსაზღვრული თვისებები გააჩნია! ნუ ავურევთ ერთმანეთში სხვადასხვა ცნებებს. სხვაგვარად რელიგია დღემდე იქნებოდა მეცნიერება, როგორც ის ოდესღაც, ადამიანთა აზროვნების გარიჟრაჟზე იყო. *(ნახევრად გაღიმებული)* მაგრამ ასეთ შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე...

აბატი *(ცეცხლით)*: მაშ, როდესაც გულნრფელად თქვენ თქვენს გონებას ქრისტიანობას უპირისპირებთ...

ჟანი *(ცოცხლად)*: ჩემო ძვირფასო აბატო, ჩვენ ასე განთიადამდე ვიკამათებთ და ერთმანეთს ვერ დავარწმუნებთ.

(მომღიმარი) კარგად ვიცი ამ უსასრულო პოლემიკის უშედეგობა... მორწმუნესა და ათეისტს შორის ისეთი უფსკრულია, რომ მთელი სიცოცხლე იბრძოლებენ და ერთმანეთს ვერას გაუგებენ. მე ხშირად ავუკრივარ კედელზე გამოცდილ და კარგად შეიარაღებულ თეოლოგებს. უმრავლეს შემთხვევაში, ვაღიარებ, დიდს ვერაფერს ვპასუხობდი. მაგრამ ეს სულაც ვერ არყევდა ჩემს თვალსაზრისს. ვიცოდი დარწმუნებით, რომ არსებობდა პასუხი, და საკმარისი იქნებოდა ბედნიერი შემთხვევა, იდეების კარგი ასოციაცია, ან ჩაფიქრების ერთი საღამო მის საპოვნელად. არგუმენტები? მათ ყოველთვის იპოვი ყველაფრის დასამტკიცებლად, თუ ცოტა თავს შეინუხებ მოსაძებნად...

აბატი უღონოდ, საბოლოოდ ჩაიქნევს ხელს.

ჟანი სიყვარულით იღიმება, მიუახლოვდება და ხელს მკლავზე ჰკიდებს.

ჟანი: ხედავთ, ლოგიკური მიზეზების გამო არ ქრისტიანდებიან. აი, ამ მტკიცე რწმენამდე მივედი. ლოგიკური არგუმენტები მხოლოდ ჩვენი თვალსაზრისის გასამყარებლადაა საკმარისი, ეს თვალსაზრისი, როგორც ეს ხანდახან გვეჩვენება, სილოგიზმებსა და მსჯელობებზე კი არაა დამოკიდებული, არამედ ბუნებრივ განწყობაზე, უფრო მეტად ძლიერზე, ვიდრე ნებისმიერი დიალექტიკაა.

მწამს, რომ ვიბადებით რწმენისადმი ან ეჭვისადმი წინასწარგანწყობილნი; და არანაირ მსჯელობებს დიდი არაფერი შეუძლიათ არც მის სასარგებლოდ და არც საწინააღმდეგოდ...

აბატი არ პასუხობს. უეცრად აგრილდა. მალე მოსაღამოვდა. მზე მხოლოდღა მოფორთოხლისფრო ზოლია იისფერ ნისლში ჰორიზონტზე გაწოლილი.

მათ წინ იშლება ახლადამოწვერილი ჯეჯილი, ერთგვაროვანი მწვანე, ძლივს აბუმბლული, ამომავალი ნისლიდან; და ამ აბრეშუმივით საფარზე ერთმანეთში არეულა ვარდისფერი ანარეკლი მომაკვდავი დღისა და მთვარის რძისფერი ნათება.

ისინი ნაბიჯს უჩქარებენ.

ყვავები კორიანტელივით წამოიშლებიან თივის ზვინებიდან და მოშორებით შავ ვაშლის ხეებს ატყდებიან თავს.

ხანგრძლივი დუმილი.

აბატი: და... თქვენს ცოლს, რა ხვედრს უმზადებთ?

ჟანი *(უბრალოდ)*: ჩემს ცოლს? აგერ უკვე სამი წელია, მეტი თუ არა, იმას ვფიქრობ, რაც ამ საღამოს გითხარით... და მერე რა?

არავითარი აზრი არა აქვს რამის შეცვლას...

აბატი თავს იქნევს, მიუნდობელი.

ურთიერთობის განყვეტა

I

ვენცესლას კოლეჯში.

დილის რვა საათი, გაკვეთილის დრო.

ჟანი აჩქარებულად ადის კათედრაზე და ქაღალდებს შლის.

მოსწავლე *(უახლოვდება)*: უკაცრავად, ბატონო... ბატონ დირექტორს ჩემი რვეული ხომ არ გადმოუცია თქვენთვის?

ჟანი: არა, რატომ უნდა გადმოეცა? რა ხდება?

მოსწავლე: ბატონმა დირექტორმა მთხოვა მეჩვენებინა ჩემი ჩანაწერები, წუხელ საღამოს... დღეს დილით უნდა დაებრუნებინა.

ჟანი: რა ჩანაწერები? ჩემი ლექციის ჩანაწერები?

მოსწავლე: დიახ, ბატონო.

ჟანი *(მიუთითებს თავის ადგილზე დაბრუნდეს)*: ჩემთვის არაფერი მოუტანიათ.

მერხებზე მოუსვენარი დულილი ღვინდება. რამდენიმე წუთია საჭირო, რომ თითოეულის ინდივიდუალობამ იკლოს და თითოეულმა ყურადღება მოიკრიფოს. თავები წამოიწევიან და იხრებიან. შემდეგ წესრიგი მყარდება. რაღაც პარაზიტული ფიქრი კიდევ მიმოქრის აქა-იქ, ზედაპირზე, მაგრამ სიჩუმე დგება, მასა მოსმენისთვის მზადაა.

ჟანი თავს სწევს და ორმოცდაათიოდე თანამოაზრის მისკენ მიმართულ მზერას ეჯახება. ის ელურსმნება კათედრას ამ დამიზნებული ყურადღების სხივთა ბადით. უსიტყვო შეკითხვა-გამონვევა გულისცემას უჩქარებს და შთაგონებას უღვიძებს.

ჟანი: ბატონებო, დღეს მე თქვენ ისეთ დაძაბულ ყურადღებას გთხოვთ, როგორიც არასდროს მომითხოვია.

ღრმად ამოისუნთქავს, კლასს დამპყრობლის მზერას მოავლებს და განაგრძობს:

წინა ლექციაზე ჩვენ დავამთავრეთ გაკვეთილების ციკლი, რომელიც სახეობათა წარმოშობას მივუძღვენი. ვიცი, რომ თქვენ გაიგეთ ამ უმთავრესი პრობლების მნიშვნელობა. მაგრამ არ მსურს ჩვენი კურსის ამ თავის დახურვა ისე, რომ თვალი არ გადავავლოთ, მოკლედ არ გავიმეოროთ ის პუნქტები, რომლებიც მე მეჩვენება...

კარი იღება, მთელი კლასი ფეხზეა. დირექტორი შემოდის. ჟანი დგება, გაოცებული.

ბ-ნი აბატი მირიელი, ვენცესლას კოლეჯის დირექტორი:

სამოც წელს გადაცილებული მღვდელი. მაღალი, თავისუფლად მოძრავი, მიუხედავად ასაკისა და ზორბა აღნაგობისა.

დახვეწილი სახე, ცოტა არ იყოს ნასუქი. შუბლი უნაოჭო და ჭორფლიანი. ქუთუთოებს შორის, რომლებიც ჩქარ-ჩქარა იწევა და იხრება, მკრთალი მზერა, გამაფრთხილებელი და შეუბრალებელი სიფხიზლე. წვრილ ბაგეზე ბავშვის ღიმილი, შესაძლოა ყალბი, მაგრამ დიდად მომხიბვლელი.

დირექტორი *(ახალგაზრდებს)*: დაბრძანდით, ბავშვებო!

გთხოვთ მომიტევოთ, ბატონო ბარუა. მე ერთ-ერთი თქვენი მოსწავლისთვის ამ რვეულის დაბრუნება დამავიწყდა... *(კეთილი კაცის ღიმილი)* და გეფიცებით, რახან შემოვედი, სურვილმა შემიპყრო, ისე არ წავიდე უკან, რომ ამ ჩემი ვიზიტით რამე სარგებელი არ ვნახო... ნებას დამრთავთ ცოტა მოვისმინო თქვენი დღევანდელი გაკვეთილი? – ... არა, არა, ნუ შეწუხდებით. *(ის ნიშანში იღებს ცარიელ უკანა მერხს.)* ძალიან კარგად ვიქნები აქ... *(ჯდება)* გთხოვთ, ჩემი დასწრება ნურაფერს შეცვლის თქვენს ჩვეულ რიტმში...

ჟანი ჯერ წითლდება, მერე ფითრდება.

არ ეპარება დირექტორის შემოსვლის საეჭვოობა. ერთი წამი ებრძვის ცდუნებას, ოდნავ შეარბილოს მომზადებული გაკვეთილი. შემდეგ ყოჩაღად ოდნავ მოცახცახე, მაგრამ გამომწვევი ხმით განაგრძობს ლექციას.

ჟანი *(მიბრუნდება დირექტორისკენ)*: მე ვაპირებდი, ბატონო დირექტორო, რამდენიმე გაკვეთილის მოკლედ გამეორებას, რომელიც სახეობათა წარმოშობის შესწავლას ეხებოდა. *(აბატი თავს ხრის თანხმობის ნიშნად)*

(მოსწავლეებს): მე თქვენ აგიხსენით, თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლამარკსა და შემდეგ დარვინს სახეობათა წარმოშობის შესწავლაში, რომელიც მეცნიერებად მათ შემდეგ ჩამოყალიბდა მათ ნაშრომებზე დაყრდნობით, განსაკუთრებით, ლამარკის ნააზრევზე დაყრდნობით; და მე მგონი, თქვენ დარწმუნდით, რომ მისი ევოლუციის თეორია ან, უფრო ზუსტად, ტრანსფორმიზმი, – უფრო ზოგადი და ნაკლებ საკამათო აღმოჩენა, ვიდრე ბუნებრივი გადარჩევის თეორია – უნდა განიხილებოდეს, როგორც საბოლოოდ მიღებული სამეცნიერო ჭეშმარიტება.

დირექტორს ესვრის მზერას.

აბატი უსმენს უდრტვინველად, თვალდახრილი, თეთრი ხელები წინ უწყვია.

ჟანი: ჩვენ ვნახეთ, მართლაც, რომ ლამარკამდე მეცნიერება ვერ ხსნიდა სიცოცხლის ვერც ერთ ფენომენს. უნდა გვევარაუდა, რომ დღეს არსებული ყველა სახეობა თანმიმდევრობით შეიქმნა და თითოეულს თავიდანვე ჰქონდა ის თვისებები, რაც დღეს აქვთ. ლამარკმა მართლაც იპოვა არიანდეს ძაფი სამყაროს ლაბირინთიდან გამოსასვლელად.

მე დიდხანს ვავითარებდი თქვენ წინაშე მოსაზრებებს, რომელმაც დღეს უნდა დაგარწმუნოთ არსებათა იმ უწყვეტი ხაზის არსებობაში, რომელიც ჩვენ გვაკავშირებს უნივერსალურ მატერიის პირველად ფორმებთან. დედამიწაზე სიცოცხლე პირველადი მონერიდან, რომელიც ძლივს გაირჩევა ორგანული გარემოს მოლეკულებისგან, რომლისგანაც ის წარმოიქმნა, – ამ უფორმო გროვიდან, – ჩვენს უჯრედებს ინფორმაცია მოეწოდათ წინაპრისგან, რომელთან შედარებითაც სიცოცხლის დღეს ცნობილი ყველაზე მარტივი გამოხატულებანიც კი უსაშველოდ კომპლექსურნი არიან, – ადამიანის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ურთულესი მექანიზმების ჩათვლით, ათასნლეულების მიღმა ლამარკის აზროვნებამ აღმოაჩინა და დააფიქსირა არსებათა კიბე და მათი უწყვეტი განვითარება.

შემდეგ – და ეს დღეს განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს – გაგაფრთხილეთ იმ კრიზისის შესახებ, რომელიც ვითომდა ტრანსფორმიზმს განეცადოს, სახეობათა მოულოდნელი ცვალებადობის აღმოჩენის შემდეგ. თქვენ გახსოვთ, რომ სახეობათა განვითარებაში უძრაობის ინტერვალებს, შესაძლოა უეცარი მუტაცია მოჰყვეს, რაც თაობათა ცვლის განმავლობაში ერთი მიმართულებით აკუმუ-

ლირებული ძალით აიხსნება. მე თვალნათლივ დაგანახეთ, რომ თუ კეთილსინდისიერად მივუდგებით საკითხს, სახეობათა უეცარი ცვლა ყველა პუნქტით ეთანხმება ლამარკის დოქტრინას.

პაუზა.

დირექტორის შემოსვლიდანვე ჟანმა იგრძნო, რომ კლასი ხელიდან გაუსხლტდა. მისი სიტყვა უექოოდ რჩება, მოფლაშულ ბადეზე მიხეთქებული ბურთივით უკან რომ ვეღარ ბრუნდება; და თვითონაც ამ სიცარიელეზე დაყრდნობილი, ნელ-ნელა ჰკარგავს წონასწორობას.

მაშინ, უარს ამბობს განვლილი გაკვეთილების მოკლედ გამეორებაზე და გაბედულად ცვლის თემას.

ჟანი: ვფიქრობ, განვლილი მასალის ეს მოკლე მიმოხილვა საკმარგებლო იყო, მაგრამ ჩვენი დღევანდელი გაკვეთილის მიზანი სხვაა.

პირველი სიტყვებიდანვე მისმა თავდაჯერებულმა კილომ ისევ დაიჭირა ჩაშლილი თვლები. უეცრად ბადე ხელახლა დაიჭიმა და ახმაურდა მისი ჩოგნით ელასტიურად ნასროლი სიტყვებით.

ჟანი: მე განსაკუთრებით მინდა მეხსიერებაში ჩაგიბეჭდოთ, და თანაც ისე, რომ არასოდეს დაგავიწყდეთ ტრანსფორმიზმის ფუნდამენტალური როლი, მისი ძირითადი მნიშვნელობა თანამედროვე ინტელექტუალების აღზრდისთვის; რატომ არის ის, გარკვეულწილად, მთავარი კვანძი მთელი ბიოლოგიური მეცნიერებისა. როგორ უნდა ამოიცნოთ ისე, რომ არ გადახვიდეთ სკრუპულოზური მეცნიერების ჭეშმარიტების საზღვრებს, რომ დედამიწაზე სიცოცხლის კანონების ამ ახლებურმა განხილვამ მთლიანად შეცვალა თანამედროვე ფილოსოფიის საფუძვლები, და განაახლა, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, უმეტესი კონცეფციები ადამიანის აზროვნებისა.

ჟანის სიტყვები ისევ ელექტრომუხტივით მოედო კლასს, ისევ დამყარდა დინების უწყვეტი გაცვლა. ის გრძნობს, როგორ იტალღება და ცახცახებს მის ნებაზე აუდიტორია.

დირექტორი თვალებს ასწევს. ჟანი ხვდება მზერას, რომელიც არაფერს გამოხატავს.

ჟანი: იმ დღიდან, რაც ყოველივე არსებულის უწყვეტი მოძრაობის შესახებ შევიტყვეთ, უკვე აღარ შეგვიძლია სიცოცხლის, როგორც მოძრაობის შემქმნელი პირველწყაროს აღქმა, რომელიც თითქოსდა სულს უდგამს უძრავ მატერიას. მძიმე შეცდომა, რომლის სიმძიმეც

გვაწევს მხრებზე, და რომელმაც, აზროვნების საწყისიდანვე, გააყალ-ბა ყოველგვარი დაკვირვება ცოცხალ ფენომენებზე! – სიცოცხლე არაა ფენომენი, რომლის საწყისიც შეიძლება განსაზღვრო, რადგან ესაა ფენომენი, რომელიც უწყვეტად მიედინება. რაც იმას ნიშნავს, რომ, სამყარო არის, ყოველთვის იყო და არ შეიძლება, რომ აღარ იყოს; არ შეიძლება ის შექმნილი ყოფილიყო. უძრავი მატერია არ არსებობს.

იმ დღიდან, როდესაც გავიგეთ, რომ არც ერთი ცოცხალი არსება, თავისი განვითარების არც ერთ მომენტში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჰგავდეს თავის თავს, ჩვენ კატეგორიულად ვუარყავით ყვე-ლა დასაბუთება, რომელიც წინ სწევდა ინდივიდუალისტურ ილუზიებს თავისუფალი ნების თაობაზე და უკვე აღარ შეგვიძლია წარმოვიდგი-ნოთ არსება, რომელიც აბსოლუტური თავისუფლებით დატკბება.

იმ დღიდან, როდესაც გავიგეთ, რომ ჩვენი განსჯისა და აზროვნების უნარი მხოლოდ საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი წინაპართა გამოცდილების ნაყოფია, რომელიც ჩვენი კონტროლის გარეშე გად-მოგვეცემა მრავალრიცხოვანი კანონების და უცნაური მემკვიდრეო-ბის მიერ, ჩვენ აღარ შეგვიძლია ძველებურად ვენდოთ ძველი მეტა-ფიზიკისა და ძველი მორალის აბსოლუტურ ცნებებს.

რადგან ტრანსფორმიზმის კანონები მიესადაგება ყველაფერს, ადამიანის შემეცნების ევოლუციასაც. სწორედ ამიტომ ლე დანტეკს, თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე ფრთხილსა და და-მოუკიდებელ მოაზროვნეს, შეეძლო განეცხადებინა: „თვითდაჯერე-ბული ტრანსფორმისტისთვის, კითხვათა უმრავლესობა, რომელიც ბუნებრივად ჩნდება ადამიანის გონებაში, იცვლის აზრს. ზოგიერთს კი საერთოდაც ეკარგება აზრი“.

> დირექტორი სწრაფად წამოდგება, მიუხედავად თავისი ახოვანებისა. კათედრისკენ მკაცრი სახით იხედება, თვალები ნახევრად მოხუჭული აქვს.

დირექტორი: ძალიან საინტერესოა, ბატონო ბარუა... თქვენ მგზნე-ბარედ კითხულობთ ლექციას, რაც მას ცოცხალსა და საინტერესოს ხდის... *(ღრძო ღიმილი)* სხათა შორის, ამაზე უნდა დავილაპარაკოთ...

(მოსწავლეებს მამაშვილური კეთილგანწყობით)

ყოველივე ამისგან, ჩემო ბავშვებო, უნდა დაიმახსოვროთ – წინ მსურს გადავუსწრო დასკვნას, რომელსაც ბატონი ბარუა უეჭველად იტყვის ლექციის ბოლოს – მხოლოდ ერთი რამ, უზენაესის ჩანაფიქრი უნაკლოდ ჰარმონიულია... ჩვენი საბრალო გონება მხოლოდ ხელის ცე-

ცებით უახლოვდება ამ დიდ კანონებს, მაგრამ ვერ წვდება მის არსს... და მორჩილების გამოხატვა შემოქმედის სასნაულების წინაშე მით მეტად აუცილებელია, რამდენადაც ვცხოვრობთ საუკუნეში, როდესაც სამეცნიერო აღმოჩენათა პროგრესი გვაცდუნებს და ძალიან გვაკარგვინებს ჩვენი უბადრუკობის და ჩვენი ცოდნის რელატიურობის შეგრძნებას... (თავშეკავებულად უკრავს თავს.) გტოვებთ, ბატონო ბარუა... ნახვამდის...

კარი მიიხურა თუ არა, მღელვარე ტალღამ გადაუარა კლასს.

ფეხზე მდგარი ჟანი უყურებს მოსწავლეთა გამოცოცხლებულ მზერას, თვალთა გამონაშუქი კვლავ ქსოვს ბადეს.

მდუმარე და მგზნებარე ერთობა, რომელსაც ვერავითარი ადმინისტრაციული საყვედური ვერ დაარღვევს.

ჟანი *(უბრალოდ)*: ვაგრძელებ...

II

ბიუიში, ქ-ნ პასკელენთან, ზაფხულის არდადეგების დროს.

სესილი თავის ოთახშია, ფეხზეა, პერანგში, ფანჯარასთან.

გაუაზრებელი მოძრაობით ეფერება თავის დეფორმირებულ, ამობურცულ მუცელს. ადრე ცოცხალი ნაკვთები, ახლა გულგრილობითაა შეფუთული, ფეხმძიმე ქალის შორეული მზერა.

დილის ცხრა საათი. კრიალა ცა, საიდანაც ყვითელი მზის სხივები თაფლივით ღვრება.

კარზე აკაკუნებენ და იმწამსვე აღებენ.

სესილი *(ბავშვივით წითლდება)*: შენ ხარ, დედა?...

ქალბატონი პასკელენი: ჰო, მე ვარ!

დედის კილოთი შეშინებული სესილი წარბებს აზიდავს.

ქალბატონი პასკელენი: აპა, შეხედე! *(თეთრ ბროშურას აფრიალებს ხელში, ლორნეტს იჭერს და დამარცვლით ამბობს)* თავისუფალმოაზროვნეთა კონგრესის ბიულეტენი!... ბატონ ბარუას, ქალბატონ პასკელენთან! ბიუი-ლა-დამი, უაზი... *(დრო)* სად არის?

სესილი: ჟანი? არ ვიცი.

ქალბატონი პასკელენი: ჯერ არ გინახავს?

სესილი: არა.

ქალბატონი პასკელენი: თავის ოთახში აღარაა.

სესილი: სასეირნოდ იქნება.

ქალბატონი პასკელენი: მაშ, არა მარტო თქვენ თქვენი ოთახები გაქვთ, მოსასალმებლადაც აღარ შემოდის გასეირნებამდე?

სესილი ჯდება; ბედს დამორჩილებული და დაღლილი ჟესტი.

ქალბატონი პასკელენი *(ბროშურას სესილის მუხლებზე აგდებს)*: კეთილი, ეს შენ გადაეცი, თუ გინდა... და ჩემგან უთხარი, რომ სხვა მისამართზე გამოაგზავნინოს და არა ჩემსაზე...

დანარჩენს რაც შეეხება, მე ვერ გამიგია, რა ხდება...

(მაღლა სწევს გახსნილ კონვერტს.) ამ დილით მივიღე აბატ მირიელის ორიოდე სიტყვა...

სესილი: ჟანის დირექტორის?

ქალბატონი პასკელენი: ახლა ის ბოვეს სააბატოშია არდადეგებზე, თავის ძმასთან, და მოხარული იქნებოდა, თუ ამ დღეებში იქ შევხვდები. სურს პირადად გამესაუბროს...

სესილი *(შეწუხებული)*: რისი თქმა უნდა უნდოდეს შენთვის?

ქალბატონი პასკელენი *(მოღუშული)*: ეჰ, რა ვიცი, ჩემო საბრალო ბავშვო. ამ ნაშუადღევს წავალ, მინდა გავიგო, რა ხდება.

უეცრად იხრება თავისი ქალიშვილისკენ და გამომხმარი ტუჩებით, ამოოხვრით, რომელიც ქვითინსაც წააგავს, კოცნის. შემდეგ სწორდება, განრისხებულ, დაღვრემილ სახეს მაღლა სწევს და ოთახს ქუსლების ბაკუნით ტოვებს.

ორი საათის შემდეგ.

სესილი იცვამს.

ჟანი *(შემოდის)*: გამარჯობა.

სესილი: დედა ნახე?

ჟანი: არა, ადრე წავედი.

სესილი *(ბიულეტენზე მიუთითებს)*: დედამ ამოიტანა ეს შენთვის.

ჟანს სახე გამოუცოცხლდება.

ჟანი: ჰო, ვიცი... ველოდი... გმადლობ.

ხსნის შეკვრას, ჯდება საწოლზე და გვერდებს ინტერესით ფურცლავს.

სესილი არ აცილებს გაოცებულ და მტრულ მზერას.

ჟანი გრძნობს მის უხმო შეკითხვას და თავს არ არიდებს პასუხს.

ჟანი: კონგრესის პროგრამაა, რომელიც წელს, დეკემბერში, ლონდონში გაიმართება...

სესილი *(თავდაცვითი ტონით)*: და შენ რაში გეხება?

ჟანი *(გადაჭრით)*: მაინტერესებს. *(სესილის მოძრაობა)* და კიდევ, მთხოვენ რეპორტაჟი გავაკეთო ჟურნალისთვის.

სესილი: გთხოვენ? ვინ გთხოვს?

ჟანი *(უხეში)*: ბრეილ-ზეჟერი.

სესილი: ეგრეც ვიცოდი!

ჟანი *(გაყინული)*: ოჰ, გთხოვ, სესილი...

სიჩუმე.

ჟანი ისევ შეუდგება ბიულეტინის ფურცვლას.

სესილი *(უიმედოდ)*: არ მინდა, რომ ამით იყო დაკავებული.

ჟანი კითხვას არ წყვეტს და ბოროტად ილიმება.

ჟანი: რაო, რა თქვი? შენ არ გინდა?...

ჯიბეში იდებს ბროშურას და სესილისკენ მიდის.

ჟანი *(ულვარძლოდ)*: მისმინე, ჩემო პატარავ, მომეშვი რა მაგ რაღაცებით...

ეს კონგრესი ათ წელინადში ერთხელ იმართება...

(ის ბოლთას სცემს და სესილის არც კი უყურებს.)

ეს საერთაშორისო მოძრაობაა, რომლის რეზონანსს შენ ვერც კი წარმოიდგენ. მეტიც, ნლევანდელ პროგრამაში ჩაწერილი მასალები პირადად მე ძალიან მაინტერესებს. ზეჟერმა შემომთავაზა აქტიური მონაწილეობა მივიღო, როგორც იდეათა ინტერნაციონალური ჟურნალის სპეციალურმა კორესპონდენტმა; ეს ჟურნალი საფრანგეთში ამ მოძრაობის ორგანოა. ლამის დავთანხმდი... *(სესილის მოძრაობა)* ...და მერე უარი ვთქვი ვენცესლაში ლექციების გამო. მაგრამ უმცირესი, რაც მსურს გავაკეთო, უკანასკნელ სესიაზე დასწრება – რომელიც, ზუსტად, საახალწლო არდადეგებს ემთხვევა – და კიდევ ფრანგული სექციისთვის კონგრესის დასკვნების რეპორტაჟის გამოქვეყნებაა.

ეს გადაწყვეტილია და ნულარ მივუბრუნდებით.

სესილი არაფერს პასუხობს.

ჟანი რამდენიმე ნაბიჯს დგამს და გადაწყვეტს, ბოლოს და ბოლოს, შეხედოს.

სესილი დაკლული ცხოველივით ჩაიკეცება. გადმოკარკლულ თვალებში შიში აქვს ჩამდგარი, და სადაცაა გული წაუვა.

ჟანი მივარდება, წამოაყენებს და საწოლზე ანვენს.

უეცარი სიბრალული, მწვავე, ყოვლისმომცველი.

ჟანი *(კუშტი მორჩილებით)*: შევთანხმდით, კარგი... დამშვიდდი... კარგი, არ წავალ, შევთანხმდით...

სესილი ცოტა ხანს გაუნძრევლადაა, თვალდახუჭული.

შემდეგ შეხედავს, უბრალოდ გაულიმებს და მის ხელს იღებს.

ჟანი გაეცლება. ფანჯარას უახლოვდება. აჰ, ორიდან სესილი უფრო ძლიერია! ამ ნამდვილი ტანჯვით, რომელიც ხრავს და რომელსაც დაუმალავად გადმოფენს – ის უძლეველია!

ჟანი ნათლად ხედავს, თუ რამდენს დააკარგვინებს ეს უარის თქმა. ხელიდან ეცლება უნიკალური შესაძლებლობა მოისმინოს, თუ როგორ განაზოგადებენ, უარყოფენ, დაიცავენ, საჯაროდ გამოწვლილვით განიხილავენ იმ იდეების წინააღმდეგობებს, რომლებზე დაყრდნობითაც, აგერ უკვე ხუთი წელია, უკუნ სიბნელეში ბრმად ცდილობს შეიქმნას თავისი სასიცოცხლო ფილოსოფიური დოქტრინა...

უზარმაზარი ზიზღის, თითქმის გულისრევის შეგრძნება...

სესილი ებრალება, მაგრამ თავის თავიც ებრალება!

ჟანი *(შემოუბრუნებლად ყრუ და სასტიკი ხმით)*: იცი... აი, ამიტომ ვიქნები მთელი ცხოვრება მაჩანჩალა და ხელმოცარული! და ეს შენი ბრალიც კი არაა. შენ სხვაგვარად არ შეგიძლია... შენ არ გინდა გაიგო და ვერც ვერასდროს გაიგებ ჩემი ცხოვრების მიზანს და მისწრაფებას! შენთვის ისინი ყოველთვის უსარგებლო ახირებები ან კიდევ, რაც უფრო უარესია, დანაშაულებრივი, სამარცხვინონი იქნებიან... ესაა შენი ბუნება და ესაა შენი ნამდვილი სახე!

გარემო, რომელიც ჩემ გარშემო შექმენი, მახრჩობს!... მთელი ჩემი ძალ-ღონე, მთელი ჩემი ენერგია ამ გარემოსთან ბრძოლაში მეხარჯება... ერთადერთი ბედნიერება, რაც შეგიძლია შემომთავაზო, მცირეოდენი სიყვარულია, რომელიც შეგიძლია მომცე და მას მხოლოდ ჩემი ჩაძირვა, ჩემი შენამდე დამცრობა შეუძლია! აი, სიმართლე, შემაძრწუნებელი სიმართლე... იმის გამო, რომ აქ ხარ, ჩემ გვერდით, ჩემი ცხოვრება დაღუპულია, და რაღა ვქნა?!... რაც არ უნდა ვქნა, აქ იქნები, ჩემს ცხოვრებაში, ყოველთვის! შენ დაამსხვრევ ჩემს მისწრაფებებს ერთი მეორის მიყოლებით ისე, რომ ეჭვიც არ შეგეპარება, რომ

ამას სჩადიხარ, არასდროს გაგინათდება გონება იმის შესაგნებად, თუ რა ხარ!... მთელი ცხოვრება შენს პაწაწინა ნუხილებზე ისლუკუნებ...

(აფეთქდება) და მე, შენ გამო, დაღუპული ვარ – საბოლოოდ დაღუპული!

სესილი არც კი განძრეულა... არაფერია მის მზერაში გარდა გაოცებული ტკივილისა...

ჟანი მხრებს იჩეჩავს და პირგამშრალი, მხრებდამძიმებული ტოვებს ოთახს.

III

ბატონ აბატ მირიელს,
ვენცესლას კოლეჯის დირექტორს,

პარიზი.

17 აგვისტო.

ბატონო დირექტორო,

უპირველესად ნება მიბოძეთ გაოცება გამოვხატო იმის გამო, რომ მესამე პირი მოძებნეთ ჩემთვის, ჩემი სწავლების მეთოდის შესახებ თქვენი აზრის შესატყობინებლად. ზედმეტად რომ არ გავუსვა ხაზი თქვენს ქცევას, რომელსაც, მეტი რომ აღარა ვთქვა, თავაზიანი არ ეთქმის, მსურს თქვენთან ერთად დაუყოვნებლივ განვიხილო თქვენ მიერ ჩემ მიმართ გამოთქმული კრიტიკა. მე გზიდან გადაცდომის რისკი არ მელის; თქვენ გიზრუნიათ თქვენი პრეტენზია მოკლე ბარათით ჩამოგეყალიბებინათ, რომელიც მე გადმომცეს, და რომელიც, თუ სწორად გავიგე, აშკარა ულტიმატუმით მთავრდება.

აი, უკვე მეოთხე ნელია, რაც ჩვიდმეტი-თვრამეტი ნლის ახალგაზრდებისთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სწავლება მომანდეთ. მე არ მსურდა მხოლოდ პრაქტიკული კურსით შემოვსაზღვრულიყავი, რადგან, მიმაჩნია, რომ მასწავლებელს მეტი ვალდებულება აკისრია, ვიდრე გამოცდებისთვის მოსწავლეთა ბეჯითად მომზადება. ესაა მოსწავლეთა ზოგადი განათლების ხარისხობრივად უფრო მაღალ ეტაპზე აყვანა და მათი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი პიროვნებებისთვის შემოქმედებითი ბიძგის მიცემა.

მე სულაც არ ვუარყოფ იმას, რომ ვცდილობდი ჩემი ლექციები გარკვეული გეზით ნამეყვანა.

მე, აბსოლუტურად შეგნებულად, მრავალგზის ავერიდე იმ დადგენილ საზღვრებს, რომელიც კათოლიკურ დაწესებულებებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გარშემო აღუმართავთ. ვფიქრობ, რომ არ არსებობს აზროვნებისთვის უფრო მეტი დაბრკოლება, ვიდრე მისი მისწრაფებებისთვის ზღვარის დადგენაა; და რაც მეტი იქნება გარბენი, შედეგად მით მეტ და სწრაფ განვითარებას მივიღებთ.

თქვენმა საყვედურმა საშუალება მომცა შემენიშნა, რომ კეთილსინდისიერი კაცი ვერ დათანხმდება და არც იტვირთებს წინასწარ დადგენილი ზოგიერთი წესის მიხედვით ასწავლოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ერთ დღეს ის თავს კითხვას დაუსვამს, და ამ დღეს, მთელი მისი ინტელექტუალური ცხოვრება თვითგამოხატვას შეეცდება, თუ ღირსების ნატამალი გააჩნია, შეუძლია კი მსმენელებს სხვა რამ აცნობოს თვინიერ საკუთარი განსჯის და გამოცდილების შედეგისა? გვინდა თუ არა, სიცოცხლის ფენომენების მეცნიერულ ანალიზს პირდაპირ მივყავართ ფილოსოფიასთან. მეტიც, ჩემი აზრით, ეს ერთდადერთი ფილოსოფიაა, რომელიც სათვალავშია.

ამ საკითხების მთელი სიგრძე-სიგანით შესასწავლად, ისეთით, როგორიც მათ შეეფერება, აზროვნების და გამოხატვის ისეთი თავისუფლებაა საჭირო, რომელიც სულაც არ შეესაბამება – და ამაში გეთანხმებით – თქვენი დაწესებულების სულს. მზად ვარ ვაღიარო, რომ, ამ თვალსაზრისით, ბევრად გადავაჭარბე ჩემთვის მონდობილ მანდატს.

მაგრამ, რადგან არ შემიძლია ჩემი კურსის სულისკვეთების შეცვლა, რადგან დაბეჯითებით მსურს ჩემს მოსწავლეებს ისეთი წარვუდგე, როგორიც ვარ, – თავისუფალი ადამიანი, რომელიც მიმართავს თავისუფალ მოაზროვნეებს – მე სხვა გზა აღარ დამრჩენია, გარდა სამსახურიდან გადადგომისა.

ბატონო დირექტორო, გიდასტურებთ ჩემს ღრმა პატივისცემას.

ჟან ბარუა

ხუთი საათი. ბაღში.

ქ–ნი პასკელენი და სესილი ტილოს ქოლგის ჩრდილქვეშ, კიბესთან ახლოს, შემოღობილ ბაკის მიჯნაზე, გვერდიგვერდ სკამებზე მსხდარნი კერავენ და ხმადაბლა საუბრობენ, ტუჩებს ოდნავ ამოძრავებენ.

ჟანი კიბის ბაქანზე ჩნდება, დაკეცილი წერილი უჭირავს ხელში. მიახლოებისას, თითქოს მტრულ ზონას კვეთავსო, მდუმარება ხვდება.

ჟანი: მინდა აბატ მირიელისადმი მიწერილი ჩემი პასუხის საქმის კურსში ჩაგაყენოთ. ჩემი გადადგომის მოთხოვნას ვუგზავნი.

მისი ხმაში ისეთი თვითდაჯერება მოისმის, რომ ქალებს გააკანკალებთ.

მაგრამ ქ–ნი პასკელენი, უფრო ბრძოლისუნარიანი, ჯერ მალავს თავის შეშფოთებას.

ქალბატონი პასკელენი: შენი გადადგომის? ხუმრობ?

სესილი ხელსაქმეს მუხლებზე იგდებს. გლუვ და ამობურცულ შუბლს მაღლა სწევს, როგორც ჯავშანს.

გუშინდლიდან უიმედოდაა გაშტერებული. ვენცესლას დირექტორის წერილმა შეაგნებინა მთელი სიმართლე; მას ნაკლებად აწუხებს მაკომპრომეტირებელი მდგომარეობა, მხოლოდ სულის მარადიულ ცხონებაზე ფიქრობს, ჟანი ათეისტია!..

ჟანი: გაოცებულნი ჩანხართ. არ მესმის, რას მოელოდით? ულტიმატუმი...

ქალბატონი პასკელენი *(გაცხოველებით)*: ოჰ, ულტიმატუმის საკითხი სულაც არ დასმულა. ყველაფერს დრამატიზებას უკეთებ!

აბატ მირიელს ძალიან ატკინა გული იმან, რაც შენ გაბედე და შენს მოსწავლეებს უთხარი; მაგრამ სულაც არ უფიქრია შენი სამსახურიდან დათხოვნა. ის ამას არ მოინდომებს... თუნდაც ჩემდამი პატივისცემის გამო. ის მხოლოდ დაბეჯითებით მოითხოვს, რომ შენი კურსი სხვაგვარად წარმართო. *(მომღიმარი)* აღიარე, რომ მან უკეთ იცის, რა უნდა გააკეთო, რადგან ის შენი დირექტორია...

ჟანი თვალს აცილებს, პასუხის გაუცემლად.

ქ-ნ პასკელენს სურს, ეს დუმილი თავის სახეიროდ გამოიყენოს და მოჩვენებითი გულთბილობით ცდილობს კამათის შემსუბუქებას.

ქალბატონი პასკელენი: მოდი, ვნახოთ, სისულელეებს მოეშვი. თავში აგივარდა რაღაც. თვითონ დირექტორს ამ ინციდენტისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია; მზადაა დაივიწყოს. *(მისი ნაძალადევი ღიმილი საბრალო სანახავია.)* მოდი ნუ გაჯიუტდები... დახიე ეგ წერილი, და სხვა მისწერე...

ჟანი *(დაქანცული)*: ნულარ ვიკამათებთ. გადაწყვეტილება მიღებული მაქვს.

ქალბატონი პასკელენი *(მძვინვარედ)*: შენ ამას არ იზამ! არა, სესილი?

ჟანი: უკვე ვქენი.

ქალბატონი პასკელენი: არა. გიკრძალავ მაგ წერილის გაგზავნას.

ჟანი *(მოთმინებას კარგავს)*: კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, თქვენ რომ მოგთხოვოთ ვინმემ, ან ერთს ან მეორეს, თქვენი რელიგიური შეხედულებების უარყოფა სამუშაოს შესანარჩუნებლად, რას უპასუხებდით?!

ქალბატონი პასკელენი *(გააფთრებული)*: თითქოს ეს ერთი და იგივე იყოს!

ჟანი: დიახ, ვიცი. ეს არაა ერთი და იგივე. მაშ ასე, თქვენ ცდებით. ეს იმდენად ერთი და იგივეა, რომ ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი! უფრო ადრეც უნდა მივმხედარიყავი, რომ ამ მღვდლების კოლეჯში არ იყო ჩემი ადგილი და თვითონვე დროულად უნდა წამოვსულიყავი. ვნანობ, რომ ასე დიდხანს ვიბრმავებდი თავს.

ქალბატონი პასკელენი საგონებელშია ჩავარდნილი. ჟანის სახე, შეკრული წარბები, ნებისყოფიანი პირი, მას აშინებს. ის თოკავს თავის გაბრაზებას.

ქალბატონი პასკელენი: ჟან, გევედრები... ეს თანამდებობა რომ დაკარგო, მერე რა უნდა ქნა?

ჟანი: ოჰ, ნუ გეშინიათ; არც სამომავლო გეგმები მაკლია და არც ჩემი ენერგიის დახარჯვის საშუალება.

ქალბატონი პასკელენი: კარგი გეგმებიც იქნება! მაგ გეგმებით მთლიანად ჩაიძირები შენს ცუდ იდეებში!

ჟანი *(შემთხვევას იყენებს)*: რასაკვირველია! ახლა მე თავისუფალი ვარ *(მაღლა სწევს წერილს)*, მე აღარ მოვუხრი ქედს არავითარ კონფესიებს, აღარ წავალ კომპრომისზე, რომელთაც აქამდე ვთანხმდებოდი. ჩემი თავის მრცხვენია! ეს გარდამავალი საფეხური იყო, მაგრამ უკვე გავლილია.

თავმოყვარეობაშელახული სესილი გაიმართა.

სესილი: ახლა, როდესაც შენ თავისუფალი ხარ, ჟან, მე, მე რა უნდა ვქნა?

ჟანი *(შემცბარი)*: შენ? შენ რა შუაში ხარ?

ერთმანეთს თვალს თვალში უყრიან, მზერაში წარსული სინაზის ნატამალიც კი აღარ ჩანს.

სესილი: შენ მომატყუე! მე მოვტყუვდი შენი წარსულით, შენი სიტყვებით, შენი ქცევით! ეს ნუ დაგავიწყდება!

ქალბატონი პასკელენი *(შუაში უხტებათ)*: შენ გგონია, მას შეუძლია დაუშვას, რომ მისი ქმარი ათეისტი, ჩვენი რელიგიის მტერი იყოს?! ეს აღმაშფოთებელია! განა ასე აღიზარდე?!

ჟანი *(მხოლოდ სესილის პასუხობს, ნაღვლიანი და მოღუშული კილოთი)*: რაც არის, არის. შენ იტანჯები? მეც...

არ შემიძლია ჩემი აზრების განვითარებას, ცოცხლად ყოფნას შევუშალო ხელი... მე კი არ უნდა ნარვმართო ისინი, მათ უნდა წარმართონ ჩემი ცხოვრება!

სესილი (მკაცრად): არა, თუ შენი ცხოვრების ნაწილი ვიქნები, არა!

ქალბატონი პასკელენი *(გულმოცემული თავისი ქალიშვილის გაუგონარი წინააღმდეგობით)*: არა! უჯობს მიგატოვოს, ვიდრე... არა, სესილი?

სესილი სუნთქვაშეკრული ერთ წამს ყოყმანობს, შემდეგ უეცრად თანხმობის ნიშნად იქნევს თავს.

ჟანი ჩასაფრებული უცდიდა მის პასუხს. ის მხრებს იჩეჩავს.

ხანმოკლე დუმილი.

ქ–ნი პასკელენი ახალი გრძნობით შეჰყურებს სესილის. მისი დედობრივი სულის ბნელ სილრმეში ხანმოკლე გამონათებაა, იმედი, რომელიც მისდაუნებურად წარმოათქმევინებს სიტყვებს.

ქალბატონი პასკელენი: ბოლოს და ბოლოს, დიდი სისულელეა ეს ყველაფერი! მოხვედი და მონამლე ჩვენი ცხოვრება შენი იდეებით... შენი იდეები! ყველას აქვს თავისი იდეები! მარტო შენ კი არ გაქვს, ყველას მაგივრად! *(უკანასკნელ კოზირს ათამაშებს.)* თუ შენ უარს არ იტყვი მაგ წერილზე, თუ არ გადაწყვეტ ძველებურად იცხოვრო, ძველებურ ყოფას დაუბრუნდე, სესილი არ დაბრუნდება შენთან ერთად პარიზში!

ჟანი: გესმის, სესილი?

სესილი ხელ-ფეხშეკრულია თავისი ნათქვამით.

სესილი: დედა მართალია.

ჟანი: თუ სამსახურიდან გათავისუფლება მოვითხოვე, ჩემთან ერთად პარიზში არ დაბრუნდები?

სესილი: არა.

ჟანი *(ცივად, თავის სიდედრს)*: ხედავთ თქვენს მშვენიერ ნაღვაწს?

იღებს სკამს, უახლოვდება სესილის, დგამს და ცხენივით გადააჯდება.

ჟანი: მისმინე, სესილი, და მოეშვი სისულელეებს... გეფიცები, არ ვხუმრობ. *(ხანგრძლივი ამოსუნთქვა)* შემეძლო ახალი დათმობები შემომეთავაზებინა ჩვენი ერთობლივი ცხოვრების გადასარჩენად, მაგრამ არა. მინდა განვაგრძო ლოიალურად მოქცევა. მე შენთვის მაქსიმალური მსხვერპლი გავიღე, რისი გაღებაც კი შემეძლო; შეუძლებელია ამ გზის იმავე გეზით გაგრძელება მთელი ჩემი ღირსების, მორალური სიწმინდის დაუკარგავად! შენს თხოვნას თუ დავთანხმდი, მთელი ცხოვრება ავბედითი კომედია ვითამაშო, გამოვჩნდე ეკლესიაში, პასიურად დავესწრო რიტუალებს, მუდმივად ვითვალთმაქცო, თითქოს ვინონებ რელიგიას, რომლის წესის მიყოლაც, პრაქტიკულად განხორციელება მე აღარ შემიძლია. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგო, რომ არის აქ რაღაც, რაც სცილდება პერსონალურ ურთიერთობებს ჩვენ შორის. პატიოსან, წესიერ კაცს არ შეუძლია მთელი თავისი ცხოვრება თავისი აზრების საწინააღმდეგო მოქმედებაში იყოს ჩართული. თუნდაც სიყვარულის გამო... შენ ვერ წარმომიდგენ პრეტენზიას, რომ მორალურად მდგრადი ვარ, თუნდაც გტანჯავდეს ჩემი პატიოსნება!

პაუზა.

გინდა ჩემთან ერთად ოქტომბერში პარიზში წამოსვლა, როგორც შეთანხმებული იყო?

სესილი (უიმედოდ გაჯიუტებული): არა.

ჟანი *(ხელით იშორებს ქ-ნ პასკელენს)*: სესილი, კარგად მომისმინე! *(დრო)* თუ უარს მეუბნები პარიზში ჩემთან ერთად დაბრუნებაზე, თუ შეგნებულად წყვეტ ერთადერთ კავშირს, რომლის შენარჩუნებაც მე კიდევ მსურს, მაშინ, აღარაფერი დამაკავებს... და მე ზამთარს ლონდონში გავატარებ, იმ კონგრესზე, რომელზეც გელაპარაკე.

ქალბატონი პასკელენი *(იფეთქებს)*: მისი მოკვლა გინდა! იმ მდგომარეობაში, რომელშიც ისაა...

სესილი წამოხტება და დედასთან მიდის.

სესილი *(ქვითინით)*: ყველაფერი ნაფიქრი მაქვს. მირჩევნია სულ დაგკარგო, ვიდრე წარმართთან ვიცხოვრო!

ჟანი დგება.

შეჰყურებს ორივეს და უეცრად თვალში მათი საოცარი მსგავსება ეცემა... ამობურცული შუბლი, შავი და მრგვალი თვალები, რომელიც ემოციისგან გაელმებული ეჩვენება და განაწყენებული მზერა, რომელიც კამათისას ქურდივით გაურბის...

ჟანი *(მოწყენით)*: შენ გინდოდა ეს სესილი... შენ გინდოდა...

ამ საღამომდე იფიქრე. თუ მარტო გამიშვებ, ყოველგვარ სინდისის ქენჯნას მომხსნი. სრულ თავისუფლებას დამიბრუნებ.

ფოსტაში მივდივარ, წერილის გასაგზავნად.

ბატონ ბრეილ-ზეჟერს,

იდეების საერთაშორისო ჟურნალის დირექტორს,
სენ-ჟერმენის ბულვარის 78.

პარიზი.

2 აგვისტო.

ძვირფასო მეგობარო,

დიდი ცვლილებები მოხდა ამ დღეებში ჩემს ცხოვრებაში. დავტოვე ვენცესლას პროფესორის თანამდებობა და ყოველმხრივ ბევრად უფრო თავისუფალი აღმოვჩნდი, ვიდრე წარმომედგინა. შემიძლია ჩემს ნებაზე დავგეგმო ზამთარი და დიდი ხნით წავიდე ლონდონში. დიდი სიამოვნებით დავთანხმდებოდი ადგილს, რომელიც შენ თავიდან კონგრესში მონაწილეობისთვის შემომთავაზე, თუ კიდევ თავისუფალია.

უაზში აღარ დავრჩები არდადეგების დასრულებამდე, როგორც ადრე შეგატყობინე. ამ საღამოს პარიზს ვბრუნდები.

ამ კვირაში ერთ დილას მოიცლი ჩემთვის, რომ შევხვდეთ?

მარად შენი

ჟან ბარუა

IV

ლონდონში.

სასტუმროს ოთახი.

საღამო. ელექტრო ჭაღი ულმობელ შუქს ღვრის. ჩამოწეული ფარდები ახშობს ქუჩის ხმაურს.

ბრეილ-ზეჟერი საწოლზე განოლილა, მისი მზერა კონცენტრირებულია ორმოცდაათიოდე წლის, პატარა მაგიდასთან მჯდარ ქალზე, რომელიც დღის სესიის სტენოგრაფიულ ჩანაწერს კითხულობს.

ჟანი მიდი-მოდის, გულხელდაკრეფილი – დაძაბული.

სტენოგრაფისტი *(კითხულობს)*: ... როგორც ერთმა შვეიცარიელმა, რომანტიკოსმა ვინემ დაწერა: „საზოგადოება იხვეწება სწორედ რევოლუციიდან რევოლუციამდე, რათა ცივილიზაცია გამყარდეს, რათა სამართლიანობამ იზეიმოს... პრესის თავისუფლება, ინდუსტრიის თავისუფლება, ვაჭრობის თავისუფლება, განათლების თავისუფლება, – ყველა ეს თავისუფლებანი ზაფხულის უხვ წვიმასავით მოდიან ქარიშხლის ფრთებით"!

ჟანი *(აწყვეტინებს)*: ...აქ აპლოდისმენტები; განსაკუთრებით შვედების, დანიელების, რუსების. მაშინ, პრეზიდენტმა სიტყვა ითხოვა და დებატები შეაჯამა...

ზეჟერი წარბებშეყრილი, ფრაზის თითოეულ სიტყვას კვერს უკრავს.

ჟანი: ...მან თქვა, რომ შენ ჰეპატიტის უეცარი შეტევით ლოგინს მიეჯაჭვე; შემდეგ მან წაიკითხა სიტყვა, სადაც შენ მე დამასახელე ხვალისთვის შენ მაგივრად სიტყვით გამომსვლელად, და წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

ზეჟერი: ვოლდშმუტმა მოგაწოდა ზუსტი ციფრები?

ჟანი: დიახ, და გავაფრთხილე ბაკერსტონი, რომ ვერ დავესწრები რეფორმების კომისიას.

ზეჟერი კვერს უკრავს.

ბრეილ-ზეჟერი – ოცდაათი წლის. დაბადებული ნანსიში, მშობლები ლოტარინგიელი. მაგრამ სახე იაპონური, რომელსაც უფრო უსვამს ხაზს მისი ღვიძლის დაავადება. ყვითელი ფერი, ყვრიმალებში გაფართოებული სახე, აზიდული წარბები, თხელი, ჩამოყრილი ულვაშები, წვეტიანი ნიკაპი. წარბები წინ წამოწეული. ჩაცვენილ თვალებში შავი, გადიდებული გუგების ციებ-ცხელებიანი ბრწყინვა. მწველი, მკაცრი, მახვილი მზერა კონტრასტს ქმნის სახის რბილ ნაკვთებთან. ხმა მონოტონური, უტემბრო, პირველი გაგონებისას სასიამოვნო – მაგრამ საოცარი სიმკაცრის.

ზეჟერი: ქალბატონო დავიდ, მოძებნეთ ჩანაწერები, რომლის სტენოგრაფირებაც ამ დღეებში გააკეთეთ... მწვანე დოსიე: რელიგიური პრობლემები საფრანგეთში. – გმადლობთ.

ჟანი: გირჩევნია შენი თანდასწრებით ვუკარნახო, როგორც ამ დილას?

ზეჟერი: კი, ასე აჯობებს.

ჟანი: მე მეორე და მესამე ნაწილი მოვამზადე, მაგრამ გადავაადგილე შენი გეგმის რიგი. აგიხსნი...

ბრეილ-ზეჟერი წამოიწევა ნატანჯი მიმიკით.

ჟანი: გტკივა?

ზეჟერი: ხანდახან...

სიჩუმის რამდენიმე წუთი.

ჟანი *(ჯიბიდან იღებს ფურცლებს)*: მეორე ნაწილზე ვიყავით: რწმენის საყოველთაო შერყევის მიზეზები.

იპოვეთ, ქალბატონო დავიდ?

(ზეჟერს) პირველი მიზეზი: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სწავლების ფართოდ გავრცელება ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში. იმისდა მიხედვით, როგორ ძლევს ადამიანი უმეცრებას, რომლითაც საუკუნეთა განმავლობაში ჩამოაყალიბა თავისი რწმენა ღმერთის შესახებ, ეს ღვთიური სფერო განუხრელად მცირდება...

ზეჟერი: შენ შეგიძლია მოკლედ შეახსენო...

ჟანი: ჩაინიშნეთ, ქალბატონო!

ზეჟერი: ...ზოგიერთი სამეცნიერო მონაცემებით, რომელიც ახლავე გვაძლევს ნებას თვალსაჩინოდ ვამტკიცოთ, მათი ღმერთის უძლურება მოვლენათა გარდაუვალ დინებაზე და, ამაზე დაფუძნებით, სასწაულთა შეუძლებლობა, ლოცვათა არაეფექტურობა, და ა. შ...

ჟანი: თუ ეგრე გინდა.

მეორე მიზეზი: „ისტორიული ნაშრომები"...

ზეჟერი: სწრაფად გაიარე...

ჟანი: არა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტია. აუცილებლად მიმაჩნია იმ დიდი ნაბიჯების შეხსენება, რომელიც მაშინ გადაიდგა, როდესაც ტექსტით ხელში შეძლეს რელიგიური ლეგენდების წარმოშობის შესწავლა და იმის ჩვენება, რომ მათ შექმნაში ადამიანის ფანტაზიაა უპირატესი, რომ ძალიან მარტივი მოვლენები ხალხურმა გულუბრყვილობამ სასწაულებრივ საფარველში გაახვია.

რათა შემდეგ ეს კითხვა დავსვა: როგორღა შეიძლება კიდევ სწამდეთ, მრავალსაუკუნოვან რელიგიათა შესწავლისას აღმოჩენილი ყველა გულუბრყვილობისა და შეუთავსებლობის შემდეგ, რისგანაც, ბოლოს და ბოლოს, თავისუფლდება ადამიანთა საბრალო გონება?

ზეჟერი: კარგი.

ჟანი: შემდეგ მომდევნო საფეხურზე გადავალ, სამეცნიერო პროგრესის ნაყოფს მხოლოდ განვითარებულ გონებამდე მიღწევა შეუძლია; საკმარისი არაა რელიგიის შერყევა, რომელსაც ამდენი ფესვი აქვს გამჯდარი ფრანგთა გულებში.

და შემდეგ მივადგები... *(აკაკუნებენ)* ... ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებს...

(მიდის კარის გასაღებად.) რა ხდება?

ხმა: „ტაიმსს"... სურს მიიღოს ცნობა ბ-ნი ბრეილ-ზეჟერის ჯანმრთელობის და... ხვალინდელი სიტყვით გამოსვლის შესახებ.

ჟანი: მიმართეთ 29-ე ნომერში, ბ-ნ ვოლდშმუტს, მდივან-თანაშემწეს. *(ბრუნდება საწოლისკენ.)* სად ვიყავი? ჰო, მესამე მიზეზი, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორი. ინდუსტრიის საოცარ განვითარებას სოფლებიდან გამოჰყავს ათასობით ახალგაზრდა, რომლებიც ამგვარად უხეშად წყვეტენ ტრადიციულ ოჯახურ კავშირებს...

ზეჟერი: ხაზი გაუსვი; ეს მნიშვნელოვანია, თუ დავფიქრდებით ქარხანათა მნიშვნელოვან რიცხვზე, რომლებიც ცივილიზებულ ქვეყნებში ფუნქციონირებენ – რაოდენობაზე, რომელიც კიდევ ფატალურად გაიზრდება, არნახული მასშტაბით.

ის ფურცლავს თავის საქაღალდეს, ხევს ერთ ფურცელს და იცვლის პოზიციას ტკივილით მოკრუნჩხული.

ზეჟერი *(კითხულობს)*: ინდუსტრიალური მუშა, ფუნქციონალურად არის რაციონალისტი. გადასროლილი მოქმედების დიდ ცენტრში, სადაც მეტაფიზიკურ სპეკულაციებს აღარ აქვთ ადგილი; მანქანათა შუაგულში მცხოვრები, რომელთა ქშინვა განადიდებს შრომის, გონების, მათემატიკის ტრიუმფს ბუნებაზე... *(უწვდის ფურცელს)* ნახე, იქნებ გამოგადგეს...

განაგრძე!

ჟანი: აი, აქ მინდა დავხატო სურათი, რომელზეც გელაპარაკე. ფრანგი ერი დღეს გაყოფილია ორ ძალიან განსხვავებულ ბანაკად, ერთ მხარეს ურწმუნონი; მეორე მხარეს მორწმუნენი.

ურწმუნოები, მოიცავენ ზემოთ ნახსენებ მთელ პროლეტარიატს და ყველა ინტელექტუალს. რიცხობრივად უდავო უმრავლესობას. შემდეგ...

ზეჟერი: ურწმუნოებს მიამატე ნახევრად განათლებულებიც, ჰო-

მეები[1]; აქ რამე დაამატე მათ გასამართლებლად... მართლია, ეს საბრალოები მრავალ მიზეზს იძლევიან თავის მასხრად ასაგდებად, რადგან ვერ შეძლეს ნამდვილი ცოდნით გაემყარებინათ თავიანთი ინსტინქტური ეჭვები, მაგრამ კეთილგონიერებითა და ჯანსაღი მორალური წონასწორობით წუნდაუდებლად მიილტვიან იმ ცხადი პასუხისკენ, რასაც მეცნიერება იძლევა მათთვის ამაღელვებელ და ძნელად გასაგებ კითხვებზე.

ჟანი: მართლია, ზუსტია.

რაც შეეხება მორწმუნეებს, ისინი ბუნებრივად ივსებიან ორი კონსერვატული კლასიდან: გლეხებიდან და ბურჟუებიდან. გლეხები ქალაქებიდან ძალიან შორს ცხოვრობენ, უცვლელ გარემოში, სადაც ტრადიციები სამარადისოდაა განმტკიცებული. ბურჟუები სისტემატურად ყოველგვარი განვითარების წინააღმდეგნი არიან. ისინი დაინტერესებულნი არიან დამყარებული წესრიგის სრული შენარჩუნებით, და განსაკუთრებით არიან მიჯაჭვულნი კათოლიკურ ეკლესიას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ლაგმავდა მემკვიდრეობის გარეშე დარჩენილთა მადას; მეტიც, ისინი მიჩვეულნი არიან ცხოვრება მზამზარეული ფორმულებით ახსნან, და მათი კეთილდღეობა იქნება შერყეული, თუ იქ ეჭვი შეიპარება...

მაგრამ ამ ორ ბანაკს შორის მერყეობს მოყოყმანეთა საკმაოდ დიდი რაოდენობა, ორად გახლეჩილნი არიან თავისი ლოგიკის მოთხოვნებსა და...

(აკაკუნებენ. მოუთმენლად) მობრძანდით!

მსახური: Here is mail, Sir[2]...

ჟანი: აქ დადეთ, გეთაყვა.

მსახური დებს წერილს და გადის.

ჟანი *(ისევ ბოლთის ცემას მოჰყვება)*: ...მოყოყმანენი... ორად გახლეჩილები თავიანთ ლოგიკასა და რაღაც მისტიკურ მოთხოვნილებას შორის, რომელიც შთამომავლობით გადმოეცათ. სწორედ ისინი აძლევენ თანამედროვე საფრანგეთის რელიგიურ კრიზისს ბუნდოვან... და მტკივნეულ ხასიათს... ბუნდოვანს და ავადმყოფურს...

მისი მზერა უეცრად მაგიდაზე დახვავებულ გაზეთებსა და წერილებს მოხვდა. ქ–ნი პასკელენის ხელწერა იცნო.

---

[1] ჰომე – „მადამ ბოვარის" პერსონაჟი. საშუალო უფერული ადამიანის სიმბოლო.

[2] აქ ფოსტაა, ბატონო.

ჟანი: ნებას დამრთავ?...

ხსნის ნერილს:

ბიუი-ლა-დამი, 14 იანვარი.

ჩემო ძვირფასო ჟან,

გუშინ სესილიმ გოგონა გააჩინა...

ის ჩერდება. თვალები უჭრელდება; წარსული ეცემა სახეში...

მთხოვა შემეტყობინებინა. დამავალა გადმომეცა, რომ თუ შენი ქალიშვილის ნახვა გსურს, შეგიძლია ჩამოხვიდე. ვამატებ, რომ ჩემი სახლის კარი შენთვის ყოველთვის ღიაა, როგორც წარსულში იყო. შეიძლება უკვე მიხვდი კიდეც, რომ მცდარ გზას დაადექი, და ფიქრობ მცირედად მაინც გამოასწორო ის ტკივილი, რაც ჩვენ, სესილისა და მე, მოგვაყენე. ჩვენ ისევ იმ სულიერ განწყობაზე დაგხვდებით, როგორც დაგვტოვე, მზადმყოფნი ყოველივე დავივიწყოთ, როგორც კი აღიარებ შენს გზიდან გადაცდომას.

ქ-ნი პასკელენი

ზეჟერი: უსიამოვნებებია?

ჟანი: არა, არა...

მაშ, განვაგრძობ, სად ვიყავი?... *(ხმა ღალატობს. მთელი ძალით იკრებს ნებისყოფას.)* შეგიძლიათ, გადამიკითხოთ, ქალბატონო?

ქალბატონი დავიდი: ... მოყოყმანენი... ორად გახლეჩილები თავიანთ ლოგიკასა და რაღაც მისტიკურ მოთხოვნილებას შორის, რომელიც შთამომავლობით გადმოეცათ. სწორედ ისინი აძლევენ თანამედროვე საფრანგეთის რელიგიურ კრიზისს ბუნდოვან... და მტკივნეულ ხასიათს... ბუნდოვანს და ავადმყოფურს...

მაგრამ ჩემოდნის კუთხეზე ჩამომჯდარ ჟანს მხოლოდ გაურკვეველი ზუზუნი ესმის.

V

ბიუი-ლა-დამის სადგური.

ჟანი მატარებლიდან ჩამოდის.

მოჯაყჯაყებულ მინებიან ომნიბუსში მარტო მჯდარი ნელა ადის ქალაქისკენ. იყურება გულშეკუმშული. ქუჩები. ნაცნობი ფირნიშები. არაფერი შეცვლილა. ქალაქი ამოიზრდება ამ რამდენიმე თვის არყოფნით შესქელებული ღრუბლიდან. ის ღრმა ბავშვობისდროინდელ მოგონებასავით წამოიჭრება...

შემცივნებული ჟანი სქელ, სამოგზაურო პალტოს იკრავს, რომელსაც ზღვის გადმოკვეთისას აკრული მარილიანი სუნი შემორჩენია.

სახლი დაკეტილია.

მოსამსახურე, რომელსაც არ იცნობს, ოდნავ აღებს კარს და ის ქურდივით შეიპარება.

კიბეზე შეჩერდება, სახელურს ხელს ჩასჭიდებს, ახალშობილის ყვირილი შიგ გულში ეცემა.

დაძაბული ადის მეორე სართულზე.

კარი იღება.

ქალბატონი პასკელენი: აჰ, შენ ხარ?... შემოდი.

სესილი წევს. ბავშვი არაა ოთახში. დიდი ცეცხლი გუგუნებს ბუხარში. ქ-ნი პასკელენი ხურავს კარს. ჟანი საწოლისკენ მიდის.

ჟანი: გამარჯობა, სესილი.

სესილი დარცხვენილი ღიმილით პასუხობს. ჟანი იხრება და შუბლზე ეამბორება.

ჟანი: პატარა... კარგადაა?

სესილი: დიახ.

ჟანი: და... შენ?

ქ-ნი პასკელენი დგას. ჟანი გრძნობს მისკენ მიმართული მისი მზერის სიმძიმეს.

ჟანი: როდის... ?

სესილი: ორშაბათ საღამოს.

ჟანი *(თითებზე ითვლის)*: უკვე ექვსი დღეა. *(დრო)* წერილი ხუთშაბათს მივიღე. იქ საჭირო ვიყავი... როგორც კი შევძელი, წამოვედი...

სიჩუმე.

ჟანი: ძალიან გაწვალდი?

სესილი: ოჰ, კი...

კვლავ სიჩუმე.

ქალბატონი პასკელენი *(უეცრად)*: ისადილებ აქ ამ საღამოს?

ჟანი: კი... როგორ არა... ვფიქრობდი...

ქალბატონი პასკელენი *(კმაყოფილების შეუმჩნეველი ნიუანსი)*: დარჩები რამდენიმე დღე?

ჟანი: თუ ისურვებთ...

ქალბატონი პასკელენი: კეთილი.

გადის განკარგულებების გასაცემად.

მარტონი რჩებიან. ნაღვლიანი უხერხულობა.

მათი მზერა ერთმანეთს ხვდება. სესილი ცრემლად იღვრება. ჟანი ისევ იხრება და ნაზად, სევდიანად კოცნის.

ჟანი *(ხმადაბლა)*: იმდენ ხანს დავრჩები, რამდენ ხანსაც მოინდომებ... სანამ ფეხზე დადგები... და მერე...

შეყოვნდება. თვითონაც არ იცის, რა უნდა შესთავაზოს.

სიჩუმე.

სესილი *(ძალზე ხმადაბლა, უიმედოდ)*: შენი შვილის ნახვა და ჩაკონებაც არ გითხოვია!

ქ-ნი პასკელენი ბრუნდება ჩვილით ხელში.

ქალბატონი პასკელენი *(სესილის)*: დრო გადაგვავიწყდა, ყოველივე ამის გადამკიდე!

ბავშვისკენ მიმავალ ჟანს „ყოველივე ამის" შიგ სახეში ეცემა.

იცის, რომ უნდა დაიხაროს და თავის შვილს ეამბოროს. არ შეუძლია... სანახევროდ მორცხვობის გამო სიდედრის წინაშე; სანახევროდ რაღაც ფიზიკური, დაუძლეველი ზიზღის გამო.

მოჩვენებითი ძალდაუტანებლობით, თითით ეფერება რბილ ლოყას, სველ გულსაფარში ჩაფლულ წითელ ნიკაპს.

ჟანი: ძალიან საყვარელია...

ჟანი უკან იხევს.

კითხვა გულს უწვრილებს, სახელი, რომელსაც დაარქმევენ მის შვილს. არც კი გაუფიქრია, რომ ლეგალური დეკლარაცია უკვე გაკეთებული აქვთ.

ჟანი: რას ვარქმევთ?

ქალბატონი პასკელენი *(კატეგორიული ტონით)*: მარი ჰქვია.

ჟანი (თითქოს ძნელად დასამახსოვრებელი სახელი უნდა დაიმახსოვროსო): მარი...

უყურებს ამ გაბერილ მკერდს, რომელსაც არ იცნობს და რომელსაც ერთი ციდა დაკრუნჩხული თითები დაპატრონებია. უყურებს ამ პაწაწინა ხორციელ არსებას, რომელიც ჩქარობს სიცოცხლეს დახარბებული. უყურებს სესილის და მის ახალ სახეს, ფერმკრთალს, ცოტა მოსუქებულს, გაახალგაზრდავებულს, მის ადრინდელ სახეს...

თითზე ამჩნევს ბეჭედს... ისინი დანინდულები არიან; ჟანი პარიზიდან ჩამოდის, ჯიბეში კოლოფით; სესილის მარტო მოიხელთებს; და მთელი არსებით მის წინაშე მუხლმოდრეკილი უკეთებს ბეჭედს, საქორწინო ბეჭედს, ჯაჭვს...

მთელი გავლილი ახალგაზრდობა, სიყვარული...

აჰ, ბედნიერების მიცემისა და მიღების ეს გულწრფელი და გიჟური სურვილი, მას რომ ჰქონდა!...

ის სწევს სუდარას. აწუხებს ორი შეყვარებულის – სესილისა და ჟანის – ნეშტს. თავს სხვა ადამიანად გრძნობს. სესილიც... ორივენი ასე განსხვავებულნი არიან!

და რა უნდა ქნა?

VI

ოცი დღის შემდეგ.

სესილის ოთახი.

სესილი: ... მე არ დაგთანხმდები.

ჟანი: სესილი!

სესილი: არა!

ჟანი: შენ დედაშენის გავლენის ქვეშ ხარ. დავბრუნდეთ პარიზში, მარტონი, რაც შეიძლება სწრაფად, და დარწმუნებული ვარ...

სესილი: მე ნათლობამდე არ წამოვალ.

ჟანი: კარგი.

სესილი: და შენ დაესწრები ნათლობას!

სიჩუმე.

ჟანი: გითხარი, არა-მეთქი.

სესილი: მაშინ, შეგიძლია მარტო წახვიდე.

კვლავ სიჩუმე.

სესილი ფანჯარას უახლოვდება, ფარდას სწევს და უძრავად დგას, ზურგშებრუნებული, შუშაზე შუბლმიყრდნობილი.

ჟანი *(დაღლილი)*: მისმინე... ყოველდღე ვკამათობთ... მუნჯი სცენები, შეურაცხმყოფელი გადაკრული სიტყვები, ცრემლთა ღვრა... მეტი აღარ შემიძლია... ახლა კიდევ ერთი სცენა, რისთვისაა ეს საჭირო?

სესილი არ იძვრის.

ჟანი *(ცდილობს სიმშვიდე შეინარჩუნოს)*: თავიდან უნდა ავიცილოთ გამოუსწორებელი... გიმეორებ, მე მზად ვარ ხელახლა დავიწყოთ ერთობლივი ცხოვრება, ძველებური ცხოვრება. მზად ვარ ბევრ დათმობაზე წავიდე.

სესილი *(მობრუნდება)*: იტყუები. შენ ყველაფერზე უარს აცხადებ.

ჟანი *(მონყენით)*: როგორ ყვირი, სესილი...

ისევ პაუზა.

ჟანი: ძალიან კარგად იცი, რომ პირიქითაა, მზად ვარ დათმობებზე წავიდე, რომ იმ მდგომარეობიდან გამოვიდეთ, სადაც ახლა ვართ. და აი ამის დამამტკიცებელი საბუთი, მე რომ მარტო და თავისუფალი ვიყო, მთლიანად ავაცილებდი თავიდან ჩვენს პატარას რელიგიურ გავლენას; ისე აღვზრდიდი, რომ ის არასდროს აღმოჩნდებოდა ისეთ სინდისის ქენჯნაში, მე რომ გამოვიარე...

სესილი *(აკანკალებული)*: გაჩუმდი, შიშის ზარს მცემ!

ჟანი: გეუბნები, ამას ვიზამდი, მარტო რომ ვყოფილიყავი-მეთქი.

მაგრამ ჩვენ ორნი ვართ და ეს ჩვენი შვილია; შენ იგივე უფლება გაქვს მასზე, რაც მე და ეს არ მავიწყდება. მე შენ არ გზღუდავ მას გადასცე ის რწმენა, რომელიც შენ თვითონ გაქვს. მხოლოდ უარს ვამბობ ამაში პირმოთნულად დაგეხმარო. ეს მე ჩემს ლეგიტიმურ უფლებად და მეტადაც მეჩვენება...

სესილი *(მძვინვარე)*: არა, არა და არა! ეს ჩემი ქალიშვილია, შენ არავითარი, არავითარი უფლება არა გაქვს მასზე! მე შენს არანაირ უფლებას არ ვცნობ! შენ ახლა ყველაფერი დაკარგე; ვითომ ხეიბარი, ან საგიჟეთში მყოფი მამა ჰყავდეს...

ჟანი *(საქციელწამხდარი)*: სესილი... ნუთუ მართლა ასე შორს ვართ, ასე უსაშველოდ შორს ვართ ერთმანეთისგან?

სესილი: აჰ, დიახ, შორს ვართ! და მე დავიღალე ბრძოლით... მთელი ჩვენი ცხოვრება იგივე იქნება... დღეს ნათლობა; ხვალ კატეხიზმო; ზეგ პირველი ზიარება... ყოველდღე, ყოველ წუთს მომიწევს მისი შენგან

დაცვა... შენი მაგალითისგან, შენი ცხოვრების სკანდალისგან დაცვა... არა, არა, მე მხოლოდ ერთი მოვალეობაღა მაქვს: გადავარჩინო ჩემი შვილი, შენგან გადავარჩინო!

ჟანი: კი მაგრამ, რა გინდა?

სესილი მისკენ მიინევს, არეული სახით.

სესილი: მე რა მინდა?! ოჰ, მინდა, რომ ეს ყველაფერი შეწყდეს, შეწყდეს, ღმერთო ჩემო! მე შენ არ გთხოვ ისეთი გახდე, ადრე რომ იყავი, არც ვიცი, თუ კიდევ ხარ ამის შემძლე, არა მგონია... მაგრამ უმცირესი, რაც მსურს, ისაა, რომ სახალხოდ არ აცხადებდე იმ საშინელ იდეებს, შენ რომ მოგდის თავში. მინდა დაესწრო შენი შვილის ნათლობას! მინდა, რომ დამპირდე...

ბარბაცით რამდენიმე ნაბიჯს დგამს და თავის სალოცავ სკამზე ემხობა, მკლავებში სახეჩარგული.

სესილი *(ქვითინით)*: ...მინდა ისეთი ქმარი მყავდეს, რომლისაც არ შემრცხვება... ისეთი ქმარი, როგორიც ყველა ქალს ჰყავს... რომ ბოლოს და ბოლოს ისეთი ოჯახი გვქონდეს, როგორიც სხვებს აქვთ...

ჟანი: მე ჩემთვის მხოლოდ ისეთსავე თავისუფლებას მოვითხოვ, როგორსაც შენ გაძლევ.

სესილი *(წამოდგება, მდგომარეობიდან სრულიად გამოსული)*: არასოდეს, არასოდეს!

ჟანი *(დუმილის შემდეგ)*: მაშ?

სესილი არ პასუხობს.

ჟანი: ჩემთან დაქორწინებისას შენ გინდოდა ცხოვრების მეტი ტვირთი გეზიდა, ვიდრე შეგეძლო!

სესილი: მომატყუე! შემაცდინე! ჩემი სასაყვედურო არაფერი გაქვს. მე ისეთივე ვარ, როგორიც ამომირჩიე...

ჟანი *(მხრებს იჩეჩავს; თითქმის ხმადაბლა)*: განა ვინმე ოდესმე შეიძლება იყოს დარწმუნებული თავის მომავალი ფიქრების მდინარებაში და მარადიული პასუხისმგებლობა იტვირთოს ამ სფეროში?...

სესილი *(უსმენს შეძრწუნებული)*: განდგომილი!

ჟანი სიტყვის უთქმელად აკვირდება. ზომავს მათ შორის გაჩენილ უფსკრულს.

გაივლ-გამოივლის ოთახში და სესილის წინ ჩერდება.

ჟანი *(გადაწყვეტილი აქვს ყველაფერი დაამთავროს)*: მაშ?

სესილი ჩუმდება, შუბლზე ხელებშემოჭერილი.

ჟანი *(ყინულოვანი)*: მაშ?

სესილი *(ჭექს)*: გაეთრიე! გაეთრიე!

სიჩუმე.

ჟანი *(პირქუში ხმით)*: ოჰ, სესილი, ნუ მცდი...

სესილი *(ქვითინით)*: გაეთრიე!

ჟანი: რა? გავეთრიო?... გავშორდეთ?

სესილი წყვეტს ტირილს, იშორებს ხელებს სახიდან და შიშით შესცქერის.

ჟანი *(ჯიბეში ხელებჩაწყობილი, ბოროტი ღიმილით)*: შენ გგონია საკმარისია იყვირო: გაეთრიე!.. და ყველაფერი მორჩება? ეჭვიც არ გაქვს, ქალმა თავის ნებაზე რომ იცხოვროს და შვილიც შეინარჩუნოს, პროცესი რომაა საჭირო... სასამართლო?...

ის ლაპარაკობს... და უეცრად გრძნობს მისდაუნებურად, როგორ ამოეზრდება სულში, მიუხედავად იმ სიტყვებისა, რომელთაც წარმოთქვამს, ახალი გრძნობა სიმთვრალისა, ზღვარგადასული წადილი სულ ახლოს მყოფი თავისუფლებისა, გაშმაგებული ნდომა კიდევ სიცოცხლისა!

ლაპარაკობს... მაგრამ შორს, მის წინ, შორს ხედავს კაშკაშა შუქს... ხედავს და თვალს ვეღარ აშორებს...

VII

12 თებერვალი.

ძვირფასო ბატონო ბარუა,

მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მეძლევა გაცნობოთ, რომ ყველა მოთხოვნა, რომელთა დაცვაც თქვენ მთხოვეთ, მიღებულია ბოლო საუბრის დროს ქალბატონ ბარუასა და ქალბატონ პასკელენის მიერ, ოღონდაც თავიდან აეცილებინათ განქორწინების სასამართლო პროცესი; მიღწეული შეთანხმებიდან გამომდინარე, მოგახსენებთ შემდეგს:

1. თქვენ კვლავ მიიღებთ სრულ დამოუკიდებლობას. ქალბატონ ბარუას არ სურს პარიზში ცხოვრება, და დამკვიდრდება ბიუიში თავის დედასთან.

2. ქალბატონი ბარუა აღზრდის თავის ქალიშვილს თავისი შეხედუ-

ლებების მიხედვით, თქვენგან სრულიად დამოუკიდებლად, მაგრამ შეასრულებს მოთხოვნილ პირობას: თქვენ მისი თქვენთან ნაყვანის უფლება მოგეცემათ, სრული ერთი წლით, როდესაც ამ უკანასკნელს თვრამეტი წელი შეუსრულდება.

3. ქალბატონი ბარუა დათანხმდა, არ თქვას უარი თქვენგან 12 000 ფრანკის ყოველწლიური რენტის მიღებაზე, რომელსაც თქვენ ასე დაბეჯითებით მოითხოვდით. მაგრამ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არაფერი დახარჯოს ამ თანხიდან არც თავის თავზე და არც თავისი ქალიშვილის მოვლაზე, არამედ შეაგროვოს შვილის სახელზე.

ამ უკანასკნელმა მუხლმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ქალბატონმა ბარუამ ამაზე ხელი მხოლოდ პროცესის თავიდან აცილების შიშით – და ჩემი ოფიციალური დასტურით, რომ ეს იყო თქვენი აუცილებელი პირობა – მოაწერა ხელი. ქალბატონებს სურდათ თავი შეეკავებინათ ამ პირობაზე თანხმობისგან, რათა საქმის კურსში ჩამეყენებინეთ, თუ ზუსტად რამდენით იკლებდა თქვენი წლიური შემოსავალი (დაახლოებით 5000 ფრანკით). მე იძულებული გავხდი, დრო უქმად რომ აღარ დაგვეკარგა, მათთვის მეთქვა, რომ მე უკვე მიგაქცევინეთ ყურადღება ამ პუნქტზე, და რომ თქვენ მაინც არ ისურვეთ თქვენი გადაწყვეტილების შეცვლა.

ქალბატონი ბარუას მოთხოვნით, გადავეცი ყველა ზემოთჩამოთვლილი ვალდებულებების ამონაწერი.

ვფიქრობ, ამგვარად თქვენი სურვილი და თქვენ მიერ ჩემდამი მონდობილი მისია პირნათლად შევასრულე. მიგულეთ თქვენს განკარგულებაში, მიიღეთ ჩემი თავმდაბალი სალამი.

მუჟენი
ნოტარიუსი ბიუი-ლა-დამში

მეორე ნაწილი

„მთესველი“

I

ბატონ ლ. ბრეილ-ზეჟერს,
ოტელ დე პინი,
არკაშონი.

პარიზი, 20 მაისი 1895.

ძვირფასო მეგობარო,

დაგვიანებით გიხდი მადლობას თანაგრძნობისთვის, რომელიც ჩემი ცხოვრების ცოტა ხნის წინანდელი მოვლენების მიმდინარეობისას გამოამეღავნე. სულ მოუცლელი ვიყავი, უნდა გამეწყვიტა ათასი კავშირი, ათასი ძაფი, რომელიც მაჯაჭვავდა გარე ცხოვრებასა და ჩემს წარსულს; წარმოუდგენლად დიდი ყოფილა ამ ძაფთა მედეგობა და მოუხელთებელი სიმრავლე. მე ამ უკანასკნელ ბრძოლას მთელი ორი თვე შევწირე, შიგ ჩავაქსოვე უკიდურესი გაშმაგება და სიმტკიცე, ყველა ჯაჭვი გავწყვიტე და აი, თავისუფალი ვარ!

შენ ვერ წარმოიდგენ, რას განვიცდი გამარჯვების ამ ყიჟინის დაცემისას, შენ, რომლის ჯიუტი ცხოვრებაც არასდროს ყოფილა შებორკილი.

თავისუფალი ვარ!

თავისუფლებას ჯერ კიდევ ახალგაზრდობის გაფურჩქვნისას მივაღწიე, ორწლიანი მონობის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც ბუნდოვნად და მოთმინებით ვნატრობდი ამ თავისუფლებას. ბოლოს ის მომეცა შეუზღუდავად, ის ჩემია, გულში ვიხუტებ, ვნებიანად ვეზიარები და სამარადისოდ შევედულაბები!

მე სოროში ჩავძვერი, იატაკქვეშეთში წავედი, მარტო, ისე, რომ მისამართიც არავისთვის დამიტოვებია. კვირების განმავლობაში,

ერთი ძველი ლანდიც კი არ დამინახავს წარსულისა, არც რაიმე ამბავი გამიგია წარსული რომ მოეგონებინოს!

და ერთბაშად ყველაფერი შემოიჭრა ჩემში... ჯადოსნურმა გაზაფხულმა აავსო ჩემი ოთახი, შემომახვია მზე, განმიახლა სიცოცხლის ძალა, მშვენიერების შეგრძნება! არასდროს მსგავსი არაფერი განმიცდია...

ნუ მომწერ, ძვირფასო მეგობარო, მაცალე დავთვრე მარტოობით შემოდგომამდე. მაგრამ ეჭვი ნუ შეგეპარება ჩემს ერთგულ მეგობრობაში.

ჟან ბარუა

II

ნოემბერი.

ჟაკობის ქუჩა: ძველი სახლი, ვიწრო კარი.

– ბ-ნი ბარუა?

– მეოთხეზე. დაინახავთ მის აბრას.

მორყეული კიბე, ძუნწად განათებული. მეოთხეზე სამი ერთნაირი კარი, ერთადერთი ჩალის ჭილოფი.

არბარუ სიბნელეში შესცქერის კარის ჩარჩოებს; მისი განმგმირავი მზერა ამოიკითხავს:

ჟან ბარუა
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
ვენცესლას კოლეჯის პროფესორი.
მალეზერბის ბულვარი, 80

(ბოლო ორი ხაზი ფანქრითაა გადახაზული.)

რეკავენ.

ბარუა: შენ პირველი ხარ! შემოდი...

ჟან ბარუა – ოცდაათი წლის. ბრგე, ახალგაზრდული სისავსე. ერთ წელიწადზე ნაკლებია, რაც შესახედაობა შეეცვალა,

შეწუხებული იერი გაქრა; ახლა ის მოწმენდილ ცასავით ბრწყინავს. ენერგია და მხიარულება თავისუფლად გადმოსჩქეფს მისგან. თავისუფალია, თავის რწმენა და მომავლის ძლიერი იმედი აქვს.

ნათელი და ცივი ოთახი. კედელზე ნაძვის თაროებია წიგნებით სავსე. გაზის ნათურის მკვახე შუქი და ტკაცუნი მრგვალ მინაში. მოწნული სავარძლები.

ბუხარზე მულაჟი, მიქელანჯელოს „ამბოხებული მონა", მისი ტანჯული სხეული გამოდის მატერიიდან მეამბოხე მხრებით.

სილრმეში დაბალი კარი შეღებულია პატარა ოთახში, სადაც ტანსაცმელი ჰკიდია.

არბარუ: ჯერ არ ვყოფილვარ შენთან.

ბარუა: ექვსი თვის განმავლობაში დათვივით ვცხოვრობდი...

არბარუ დამანჭული ღიმილით აკვირდება წრიულად განლაგებულ სკამებს.

არბარუ – ღვარძლიანი ქონდრისკაცი. უასაკო სახე, გასაოცარი სიმახინჯისა, მაგრამ სატანური ინტელექტის. ვიწრო სახე, ყვრიმალებთან გაგანიერებული, შემდეგ სამართებელივით გაწვრილებული მეჩხერი წითური მოკლე წვერის წვეტამდე. ყურები ფავნის ყურებივით დაცქვეტილი. თვალების და პირის ჭრილი თითქოს უხეშადაა ამოკვეთილი საჭრეთლით საძერწ ცვილზე. მზერა მახვილი, დაჟინებული, უალერსო. ბიბლიოთეკარია არსენალში. ბეჯითი მშრომელი. ჯერ შუა საუკუნეების სამართალს სწავლობდა, შემდეგ საფრანგეთის რევოლუციის ისტორიას მიუძღვნა თავი.

არბარუ: მარტო მინდოდა შენი ნახვა... არ გიფიქრია, რომ უკეთესი იქნებოდა წინასწარ ერთად დაგვეზუსტებინა ის თემები, ამ საღამოს რომ უნდა განვიხილოთ სხვებთან ერთად?

ბარუა *(ჩაფიქრების შემდეგ)*: არა, პირიქით.

არბარუ *(რომლის სახეც ჯერ იკუმშება, შემდეგ კი ზამბარასავით იშლება)*: აჰ, მაგრამ მაინც...

ბარუა: კრება, როგორიც ამ საღამოს გვექნება, არსით, მოსამზადებელია. მის პრაქტიკულ ეფექტურობას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა.

არბარუ: მაშ, რას აქვს მნიშვნელობა?

ბარუა: ჩემი აზრით, არსებითი მნიშვნელობა აქვს აქ შეკრებილ ადამიანთა შორის დღეიდან უშუალო ურთიერთობის დამყარებას... როგორ ვთქვა? მთავარია ამ შეკრებით ჩვენი, საერთო, მისწრაფება გამოიკვეთოს.

არბარუ: ეს არაა ჩვენს სურვილზე დამოკიდებული.

ბარუა *(ცოცხლად)*: არა; მაგრამ ჩვენ მეტი შესაძლებლობა გვაქვს შევქმნათ ის ატმოსფერო, სადაც ჩვენი ურთიერთობები თავისუფლად, ძალდაუტანებლად დამყარდება; მივენდოთ ჩვენს იმპულსებს წინასწარ მოფიქრებული ორიენტირების გარეშე. *(დამარწმუნებელი ღიმილი)* ნება მომეცი, ასე გავაკეთო...

ბარუა დინჯად ლაპარაკობს, ისე ამთავრებს ფრაზას, როგორც საჯარო გამოსვლებს შეჩვეული კაცი. ხმას არ უწევს, მაგრამ ტონის სიმტკიცე იპყრობს ყურადღებას.

არბარუ *(მხრებს იჩეჩავს)*: ეგზალტირებული ყბედობები... თითოეული თავის იდეას განავითარებს... თითოეული, რიგ-რიგობით, სხვებს ლექციას წაუკითხავს და თავის აზრს თავს მოახვევს... და ამასობაში ღამის ორი საათიც გახდება! დაკარგული საღამო, წყალში ჩაყრილი დრო...

ბარუა ხელით ანიშნებს, გაჩერდიო, რაც ნიშნავს და თუნდაც ასე იყოს...

შემდეგ, პასუხის გაუცემლად, სწრაფი მოძრაობით, რომელიც მისთვის ჩვეული გამხდარა, უკიდებს სიგარეტს. მისი სერიოზული, მაგრამ მეოცნებე მზერა, ერთი წამით, მიჰყვება პირველ ამონაბოლქვს ოთახის კამკამა ჰაერში.

არბარუ: ენევი?

ბარუა: ჰო.

დრო.

არბარუ: ჰო, ჰო, ეგრე იყოს... მე მერჩივნა, წინასწარ გადაგვენაწილებინა შრომა, განგვესაზღვრა, ვინ რას გააკეთებდა... ვფიქრობ, ჟურნალის დაარსება მოითხოვს უფრო მეტ...

ზარია.

ბარუა *(დგება)*: მიდი, თქვი... მეტ მეთოდურობას?

მიდის გასაღებად.

მარტოდ დარჩენილი არბარუ თავის თავს ესაუბრება, თან იჯღანება.

ხრინწიანი ხმა *(დერეფანში)*: ჩემო ძვირფასო... განსაცვიფრებელია! ლამენეში, შემთხვევით... უკეთესს ვერაფერს იპოვით!...

კრესტეი დ'ალიზი ზურგით ჩნდება, ჟესტიკულაციით ლაპარაკობს. შემოსასვლელად ქუსლებზე ტრიალდება, გაზის უხეში შუქი სახეში ურტყამს და თვალებს აახამხამებინებს.

ფრანსუა კრესტეი დ'ალიზი – ოცდარვა წლის. მოყვანილი ტანი, გამხდარი კისრით გაგრძელებული, რომელიც ამაყად ატარებს პატარა, ამობურცულქალიან თავს. მოკლე, სამკუთხედი სახე. მრუდე სახის ნაკვთები. ფართო, ნაოჭებით დაფარული შუბლი; თვალები მწველი და ნაზი; ცხვირი გამომწვევი; ქვემოთ ჩამოშვებული, მუქი ყავისფერი ულვაში ფარავს ამპარტავან პირს, ნერვულ ღიმილსა და იმედგაცრუებას.

ხმამაღალი ლაპარაკი, კავალერიის ოფიცრის თამამი ელეგანტურობა; მოძრაობა ატაცებული, ზომაგადასული.

არმიაში სამსახური მიატოვა, ეჭვით შეპყრობილმა, თავის აღზრდასა და თავისი აზროვნების გათავისუფლების უცილობელ საჭიროებას შორის ორად გაგლეჯილმა. თავისიანები მიატოვა, გაწყვიტა კავშირი ალიზების ოჯახის კათოლიკურ და როიალისტურ ტრადიციებთან.

ახლადთავდახსნილის მწარე ღვარძლი.

ის არბარუსკენ მიიწევს, მარდი და მოქნილი თავს მდაბლად ხრის და ორივე ხელს გულთბილად უწვდის.

კრესტეი: გაიგონეთ, არბარუ? ახლახანს ეს ვიპოვე „მორწმუნის სიტყვებში".

ისე, რომ ბარუას არ ყოფნას ყურადღებას არ აქცევს, რომელიც ხელახლა გადის ზარის ხმაზე კარის გასაღებად, ხელს თავისი ბასკური პიჯაკის ჯიბეში იყოფს და იქიდან კარგა დაფლეთილი ტომი ამოაქვს.

კრესტეი *(ფეხზე მდგარი ზეპირად ამბობს)*: „მიაპყარით ყურნი თქვენნი! და მითხარით საიდან მოდის ეს არეული, ბუნდოვანი, უცნაური ხმაური, რომელიც ყველა მხრიდან მოისმის!"

ბრეილ-ზეჟერი, ვოლდშმუტი, როლი და ბარუა, რომლებიც ეს-ესაა შემოვიდნენ, ჩერდებიან, კედელს მიკრულნი, გაოცებულნი და მომღიმარნი.

კრესტეი *(განაგრძობს ისე, რომ მათ ვერ ხედავს)*:

„დაადეთ ხელი მიწას და მითხარით, რატომ ძრწის იგი?

რაღაც, რაც ჩვენი გონისთვის მიუწვდომელი, შეიძრა დედამიწაზე.

განა ყოველი ჩვენგანი არ მოელის? განა არის გული, რომელიც აჩქარებულად არ ძგერს?

(პათეტიკური, ხელაწეული.) ძეო კაცისაო! ადი მაღლობებზე და განაცხადე, რასაც ხედავ!"

ის შეამჩნევს ახალმოსულებს და მათ ისეთ გაბრწყინებულ მზერას მიანათებს, რომ აელექტროებს.

კრესტეი: წინადადება შემომაქვს ეს სიტყვები ამოვტვიფროთ ჩვენი ჟურნალის სახელის ქვეშ! ეს იქნება ყველაზე მშვენიერი და ყველაზე ლაკონური მანიფესტი!

ბარუა *(ოთახის სიღრმიდან, მთრთოლვარე)*: მიღებულია!

ღიმილით შესცქერიან ერთურთს. ამ საღამოს, აქ, ირონიის დრო არაა.

გულღიაობის რამდენიმე წუთი. ერთბაშად ინგრევა შეუვალი ტიხრები, შედულაბებისთვის მოსულთ პირველი ემოცია აერთიანებთ. ზეჟერი ჯგუფის შუაგულში გამოდის. მისი აღმოსავლური სახე კიდევ უფრო ყვითელია, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

მოკრძალებული შესახედაობა, მოყოყმანე ღიმილი, საძრაობა შებოჭილი და სწრაფი; მაგრამ, თვალის ბუდეებში, მოყავისფრო-მოწითალო ქუთუთოებს ქვეშ, რომელთაც ისე ჭუტავს, თითქოს მშვილდ-ისარი უნდა სტყორცნოსო, შავი, მოძრავი, ცხელებიანი, ულმობელი გუგები.

ზეჟერი: აბა, დავსხდეთ! ცოტა წესის და რიგის მიხედვით მოვიქცეთ... ვინ გვაკლია?

ბარუა: პორტალი.

თავაზიანი ღიმილი.

ზეჟერი *(შეუწყნარებლად)*: არ დაველოდებით.

ის ბარუას საწერ მაგიდასთან მოთავსდა, თითქოს თავმჯდომარეობსო.

არბარუ მის გვერდით დაჯდა, შენიშვნების ჩაწერა სურს.

უფრო თავისუფლად რომ იქნიოს, ხელები კრესტეი ბიბლიოთეკაზეა მიყრდნობილი; მაღალი შუბლი, ხელებგადაჯვარედინებული, გადამდგარი ოფიცერივით გამოწკეპილი.

როლი, ტიპოგრაფი, ლერწმის საკარძელში მოკალათებულა. უყურებს, უსმენს. თითებით მექანიკურად იწვალებს პარიზელი

ახალგაზრდა მუშებისთვის სახასიათო ულვაშს.

ჩუმ, მხრებჩამოყრილ ვოლდშმუტს განზე უჭირავს თავი, ბუხრის კუთხესთანაა მიკუნჭული, ისეთი პატარა, რომ გეგონება, ზისო.

ბარუა სკამს უნვდის. თვითონ ოთახის შუაგულში თავსდება სკამზე ცხენივით გადამჯდარი.

ბარუა (ხსნის კოლოფს საწერ მაგიდაზე): აი, სიგარეტები... დავიწყოთ? *(ღიმილი)* თქვენი მოსვლისას მე და არბარუ, შემდეგზე ვკამათობდით. ჩვენი პირველი კრება უბრალოდ თავისუფალი, მეგობრული ურთიერთობის დამყარება იყოს... *(სიტყვას არბარუს გადასცემს)*. თუ...

არბარუ: ...თუ პირველი საქმიანი, სამუშაო შეხვედრა, წინასწარ გაწერილი გეგმით?

ბარუა: მე მგონი, კარგი მიმართულება ეს-ესაა მოგვცა კრესტეიმ.

კრესტეი: ლამენემ...

ბარუა: ჩვენ მარტოოდენ სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება არ გვსურს; ეს ძალიან მცირედი იქნებოდა. ჩვენ, უპირველესად, გვინდა ჩვენი ტემპერამენტების თანხვედრა, არა? ამისთვის უშუალობაა საჭირო. *(გულითადად)* აი, ჩვენ ატაცებულნი ვართ ერთი სურვილით, ერთი და იგივე მისწრაფება წარგვმართავს: თითოეულმა საერთო საქმეს ჩვენი წილი ცეცხლი მივუტანოთ...

ერთი წამით ყოყმანობს, შემდეგ კვლავ განაგრძობს:

გავაგრძელებ, რადგან ნამდვილი სიტყვით გამოსვლა წამოვიწყე... საიდან წამოვიდა ამ დაჯგუფების შექმნის პირველი იდეა? *(ბრეილ-ზეუერისკენ ტრიალდება.)*

ზეუერი *(ცოცხლად)*: შენგან.

ბარუა *(ღიმილით)*: არა, ეს ორივემ ერთად მოვიფიქრეთ...

მაგრამ მე ამის თქმა მინდოდა: იდეა ჰაერში ტრიალებდა. ის პასუხობს ცალკეულ მოთხოვნილებათა მთელ სერიას, რომელიც ერთი და იგივეა ყველა ჩვენთაგანისთვის. ჩვენ, ყველანი, ვგრძნობთ, რომ რაღაც გვაქვს სათქმელი, რომ რაღაც როლი გვაქვს შესასრულებელი.

კრესტეი *(მოღუშული)*: დიახ, დადგა დრო, როდესაც ჩვენს ინტელექტუალურ ცხოვრებას სოციალური ეღერადობა უნდა მიეცეს!

არც ერთი ღიმილი.

ბარუა: მაგრამ, როგორც კი ვცდილობთ ჩვენი აზრის გამოხატვას, საზოგადოების ჩვენი ძალისხმევის მოწმედ გახდომას, მაშინვე უბრალო დამწყებებივით ვეჯახებით ჩამოყალიბებულ ჯგუფებს,

ლიტერატურულ ფუნქციონერთა აგლომერაციებს, რომელთაც ფიქრის და ნერის მონოპოლია შეუქმნიათ, დაპატრონებიან აზრის გამოხატვის ყველაზე უმცირეს საშუალებებსაც კი, და ცოცხალი თავით არ თმობენ! ასე არაა?

ზეჟერი: ერთადერთი გამოსავალი ჩვენი, საკუთარი პროპაგანდის ორგანოს შექმნაა.

არბარუ: ეს ეკონომიკური რიგის პრობლემაა. შენი პროდუქციის გასაღების შესაძლებლობა ისე, რომ აქეთ-იქით სიარულში დრო უქმად არ დახარჯო...

ბარუა: ...რომელიც ჩაფლავდება...

კრესტეი: ...და მოჩვენებითი ძმაბიჭობა, რომელიც გაუფასურდება!

ბარუა *(დარბაისლურად)*: ჩვენ ოცი წლის ბიჭები აღარ ვართ, ოცდაათს გადავცილდით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. გულმოდგინება ჩვენ რომ დღეს ვიჩენთ, ჯერ კონსოლიდაციისთვის, შემდეგ კი ჩვენი იდეების გავრცელებისა და დაცვისთვის, არაა ახალგაზრდული ენერგიის მოზღვავება, რომელიც დუღს და გადმოდის. ეს ნამდვილი ცეცხლია, ჩვენი მსოფლმხედველობის არსია, ჩვენი ცხოვრების არჩევანია ერთხელ და საბოლოოდ მტკიცედ გადაწყვეტილი.

ყველამ სერიოზულად მოიწონა.

კრესტეი *(ხელს ფართოდ გაშლის)*: რა საოცარი გრძნობა უნდა იყოს, პერიოდულად რომ გკითხულობენ, მოგყვებიან, თვალს ადევნებენ შენს ნააზრევს, გეკამათებიან!

ზეჟერი *(ინსტინქტურად დასკვნას აკეთებს)*: მოქმედების დროა!

არბარუ *(მაკიაველური ღიმილით)*: მხოლოდ ყოველივე ამის პრაქტიკულად განხორციელებაა საკმაოდ ძნელი...

ბარუა *(იღებს გამოწვევას)*: არა. პრაქტიკულად, ჩვენი პროექტი განხორციელებადია. *(სიჩუმე)* ჩვენ გვაქვს კაპიტალი...

ზეჟერი *(წყნარი და მკაფიო ხმით)*: შენ გაქვს...

ბარუა: ჩვენ გვაქვს კაპიტალი – მართალია, საკმაოდ მოკრძალებული, მაგრამ მაინც საკმარისად მიმაჩნია – ჩვენი მეგობარი როლის უანგარობის გამო... *(როლი უხერხულად შეინძრევა)* ან, თუ ასე გირჩევნია, ბეჭდვის კოლექტივისტური საზოგადოების უანგარობის წყალობით, რომელსაც ის ხელმძღვანელობს. მეტიც, ჟურნალთან ჩვენი თანამშრომლობა ანაზღაურების გარეშე იქნება. საბოლოოდ, ჩვენ დასაფარი გვექნება მხოლოდ შემცირებული ხარჯები, პირველადი მასალები და მუშახელი. მოკლედ, თავს გავართმევთ და იმ დროსაც მოვესწრებით,

როცა მზის ქვეშ ადგილს მოვიპოვებთ. შემდეგ, საჭირო გახდება მისი დაცვა; მაგრამ ჩვენ უკეთ ვიქნებით აღჭურვილი საბრძოლველად.

ზეჟერი: მაშ, თავიდანვე, წელსვე მნიშვნელოვანია მთელი ჩვენი ნიჭისა და ენერგიის გამომჟღავნება.

ბარუა: ზუსტად ასეა. ჩვენი ხასიათის განსხვავებულობა, მიუხედავად ჩვენი საერთო ტენდენციებისა, რომელიც ერთი და იგივე გვაქვს... *(ზარის ხმა. ის დგება.)* ... იმ მრავალფეროვნების გარანტიას გვაძლევს, რომელიც აუცილებელია ჟურნალის შედგენისთვის.

გადის.

ზეჟერი *(მშრალად, თითქოს ვერდიქტიაო)*: ჩვენ უნდა მივაღწიოთ წარმატებას!

კრესტეი *(ენთუზიასტი)*: წარმატება ჩვენს გაქანებაზე, ჩვენს რწმენაზეა დამოკიდებული!...

არბარუ: უმჯობესია თქვა: ჩვენი ძალისხმევის სიმტკიცეზე-თქო.

ზეჟერი *(თავს ჯიუტად იქნევს)*: რწმენას არასდროს მოუხდენია ნამდვილი, არა მოჩვენებითი სასწაულები. ნებისყოფას კი დიახაც მოუხდენია, და ახდენს ყოველ ჯერზე, როდესაც მძლავრადაა განმტკიცებული.

ბოლოს და ბოლოს, შემოდის პორტალი, ბარუა უბიძგებს. პირში სიგარა აქვს, გულკეთილად იღიმება.

პორტალი: აი, მეც მოვედი... *(ხელს ართმევს დამხვდურებს.)* უკვე დაიწყეთ? შეუძლებელია! რა, უბანში სადილობთ, ექვს საათზე, როგორც ბალზაკთანაა?...

პიერ პორტალი – ელზასელი ჯენელი, ქერა, პირმსუქანი; ქაშანური ცისფერი თვალები, „კარგი ბუნების" თვალები. ფოჩისებური, აბრეშუმივით ულვაშები, ვარაყმოცლილი ვერცხლისფერი, ოდნავ ავაჟკაცებს მის ყმაწვილურ ღიმილს. ყველა ქალის საყვარელი მეგობარი. ღია სახისფერის, ცოტა გაცვეთილი; მზერა თბილი, დაჟინებული, ხანდახან ფარული, მგრძნობიარე ალის გაკვესებით. რალაცნაირი სიმძიმე, სიარულში, ჟესტებში, ხმაში, ხუმრობაში. კეთილგონიერებაზე, ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებზე დაფუძნებული ზომიერი შეხედულებების გულმხურვალე მომხრე, ყოველგვარი ძალადობისა და ძალდატანების მოწინააღმდეგე.

იუსტიციის სასახლეში ფოკე-ტალონის მდივანი, უანგარო და ენერგიული პოლიტიკური ადვოკატი, ორჯერ იყო მინისტრი.

ბარუა *(სტუმრებს წარუდგენს)*: პორტალი... ჩვენი მეგობარი როლი...

როლი მოუხეშავი მოძრაობით ესალმება.

მას შემდეგ, რაც დაჯდა, ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს. რიგრიგობით უყურებს იმათ, ვინც ლაპარაკობს. პოზა, გამომეტყველება ამჟღავნებს საშუალო ინტელექტის უკიდურეს დაძაბვას; ცდილობს გაიგოს დედააზრი და ჩაეჭიდოს.

ბარუა *(მეგობრული გულთბილობით)*: მაშ ასე, როლ, რას ფიქრობთ ჩვენს პროექტზე?

ის ერთბაშად ფითრდება, თითქოს შეურაცხყოფა მიაყენესო. შემდეგ ნითლდება, ჩამოდგამს გადაჯვარედინებულ ფეხს და წინ გადმოიხრება სალაპარაკოდ. მაგრამ არაფერს ამბობს... და, უეცრად, გადაწყვეტს ილაპარაკოს.

როლი: ატელიეში გვინახავს ჟურნალები, ყოველ წელს, ახალ-ახალი! მაგრამ თქვენნაირი ჯერ არაფერი.

კრესტეი: მით უკეთესი.

როლი *(გაუბედავი)*: სხვადასხვა გასართობი ჟურნალებია, რომლებიც არანაირი პრობლებით სერიოზულად არ არიან დაკავებულები... *(გაურკვეველი ტონით)* დილეტანტურები... აკლია ჟურნალი, რომელიც დიდი სოციალური ძვრების საქმის კურსში იქნება... *(პაუზა, შემდეგ უხეში ჟესტი)* ბოლოს და ბოლოს, ხალხი, რომელთაც ესმით, რა მზადდება...

კრესტეი აღელვებული წინ დგამს ნაბიჯს და მაღალფარდოვნად შესძახებს.

კრესტეი: „რაღაც, რაც ჩვენ არ ვუწყით, იძვრის ქვეყნიერებაზე!"

ბარუა: „ძეო კაცისაო, ადი სიმაღლეებზე...!"

კრესტეი, ბარუა, როლი *(ერთხმად)*: „... და გვამცნე, რასაც ხედავ!"

ერთმანეთს უყურებენ. კაცური ღირსების ოდნავშესამჩნევი ღიმილი ნიღბავს გულისამაჩუყებელ გულწრფელობას.

ზეჟერი *(დინჯად, წესრიგისკენ მომწოდებელი კილოთი)*: საჭიროა, რომ ჩვენი ჟურნალი ექვს თვეზე უფრო ნაკლებ ვადაში გახდეს ყველა განცალკევებული დაჯგუფების შემაკავშირებელი, რომელნიც დაკავებულნი არიან პოზიტიური ფილოსოფიით ან სოციოლოგიით...

არბარუ *(ენევა და ირიბად თავგადახრილი, თვალებმოჭუტული იჭყანება)*: ...პრაქტიკული სოციოლოგიით.

ბარუა: რა თქმა უნდა.

პორტალი: ასეთი დაჯგუფებები ბევრად მეტია, ვიდრე წარმოგვიდგენია...

ზეჟერი: საქმე მათ კონსოლიდაციას ეხება.

პორტალი: სოციალური ლიგების, მორალური კავშირების, სახალხო უნივერსიტეტების ყველა ორგანიზატორი...

კრესტეი: ეკლესიის გარეთ დარჩენილი ყველა მორწმუნე...

ვოლდშმუტი *(მშვიდად)*: ... პაციფისტები...

ბარუა: ერთი სიტყვით, ყველა კეთილშობილი ადამიანი. აი, ჩვენი კლიენტურა. *(ენთება)* მართლა დიდი როლი გვაქვს შესასრულებელი. იმ ძალების კოორდინაცია, რომლებიც ხშირად ამაოდ იკარგებიან და მათი ერთი მიმართულებით მიშვება. მშვენიერი პროგრამაა!

ზეჟერი: ჩვენ ეს მხოლოდ ჩვენი ნააზრევის გავრცელებით უნდა განვახორციელოთ.

ბარუა: და აბსოლუტური რწმენის პირადი მაგალითით.

პორტალი *(მომღიმარი)*: ოო, ეს ხანდახან სახიფათოა...

ბარუა: აჰ, არა! მე მჯერა, რომ გულწრფელობა გადამდებია... ყველა პრობლემის ღიად განხილვა.

ამგვარად, ჩემი მხრივ, ვეთანხმები რეაქციონერებს იმაში, რომ მორალურ კრიზისს განვიცდით. კეთილი, მე გადავწყვიტე ეს ახლავე ვაღიარო. მზად ვარ შევიგნო, რომ მორალი შეირყა. ეს ფაქტია. მე მასებს რელიგიური რწმენის ზოგად ანემიას მივაწერ – ჩვენს თავს კი იმ აბსტრაქტული პრინციპების დისკრედიტაციას, რომელთაც უწინ ჩვენი მეტაფიზიკის პროფესორები თვითნებურად გვთავაზობდნენ, როგორც აქსიომას. *(ზეჟერს)* იცი, რას ვამბობდით იმ დღეს...

პორტალი: მაგრამ ამ აღიარებას არა აქვს ფასი, თუ ნამალს არ შემოგვთავაზებთ.

ბარუა: ეს, ეს სხვა საკითხია... მაგრამ მაინც, რაღაც შემამსუბუქებელის შემოთავაზება უკვე შესაძლებელია.

ზეჟერი: მაგაზე უკეთესი ესაა: ამ წუთიდანვე შესაძლოა ვაჩვენოთ, რომ არაა შეუძლებელი პოზიტიური მორალის მიმართულების დასახვა.

პორტალი: რაზე დაყრდნობილის?

ზეჟერი: ერთი მხრივ, მეცნიერების დღევანდელ მონაცემებზე, და, მეორე მხრივ, უკვე უდავოდ დადგენილი სიცოცხლის ზოგიერთ კანონზე დაყრდნობით...

პორტალი: ჯერ კიდევ საკმაოდ ბუნდოვანი, სიცხადეს მოკლებუ-

ლი კანონებია და მათი მისადაგება რთულ ეთიკურ საკითხებთან არც თუ ისე იოლია!

ზეუერი *(არ უყვარს, რომ ეწინააღმდეგებიან)*: უკაცრავად, ჩემო კარგო, არც ისე ბუნდოვანნი არიან. ჩვენ მათ დავაზუსტებთ, დავაჯგუფებთ; ჯერ, ინდივიდის შენარჩუნება და განვითარება; შემდგომ, ინდივიდის ადაპტაცია კოლექტიურ არსებობასთან, რაც მისთვის ძირეულია.

არბარუ *(მოწონებით)*: ორმაგი ვალდებულება, რომელზეც უნდა დავთანხმდეთ...

ზეუერი: ...ამ ორ პოლუსს შორის მერყევი ადამიანი, ამ მიმოსვლისას რომ პოულობს მორალურ წონასწორობას.

ბარუა: დიახ, უთუოდ მანდაა მორალისა და მომავლის კავშირი, გაერთიანება...

კრესტეი წინ წამოდგება, ქედმაღალი შუბლი, ხელები აღმართული აქვს. გულღია, ბუნებრივი და მომხიბვლელი მოძრაობა.

კრესტეი: ოჰ, მეგობრებო, თქვენ რომ გისმენთ ასე მოლაპარაკეებს, როგორც ამ საღამოს, ვფიქრობ, ნეტავ შევძლებთ კი გავაგებინოთ არა მარტოდენ ის, რა გვინდა, არამედ, და განსაკუთრებით, ის, რანი ვართ... *(პორტალი იღიმება)* ... დიახ, მშვენივრად შევძლებთ, თუ კარგად წარვუდგენთ და დავუმტკიცებთ ჩვენი მისწრაფებების მორალურ ფასეულობებს, ჩვენ, რამდენიმე თვეში, გარდაუვლად მოვიზიდავთ ყველა მარტოსულ მაძიებელს... ყველას, ვისაც რაღაც აქვს აქ! *(და ხელს გაძვალტყავებულ გულმკერდზე ირტყამს.)*

ბარუა *(რომლის შინაგანი ცეცხლი ძალიან კარგად მეღავნდება საორატორო ხელოვნებაში)*: და ჩვენ ამას მივაღწევთ თითოეული ადამიანის ღირსების გამოღვიძებით! ხელი უნდა შევუწყოთ რამდენიმე ფრანგული სიტყვის მნიშვნელობის სრულად აღდგენას, როგორიცაა პირდაპირობა და პატიოსნება, რომელიც რომანტიკული აქსესუარების ჟურნალებს მივუტოვეთ გასაუფერულებლად! ყველა სფეროში უნდა განვამტკიცოთ თავისუფალი აზროვნების უფლებები!

თავშეკავებული და თან აღფრთოვანებული მზერა და ღიმილი. საყოველთაო აღტაცება. შემდეგ განმუხტვა.

ბარუა ცივი ლუდით ავსებს ჭიქებს; ფერმენტირებული სიმწარე სიგარეტის კვამლს ერთვის.

პორტალი *(დებს თავის ჭიქას. კარგი განწყობით)*: და სახელი?

ბარუა: კი მაგრამ, გადანყვეტილია; ჩვენ მივემხრეთ კრესტეის შემოთავაზებას: „მთესველი“.

(ღიმილით იყურება კრესტეისკენ.) თუმცა ხატება არ ახალია...

კრესტეი: გმადლობ.

ბარუა: მაგრამ მარტივია და კარგად პასუხობს ჩვენს მიზანს.

ზეჟერი: ბარუამ არ გაგაცნოთ აზრი, რომელიც პირველი ნომრისთვის აქვს?

ბარუა: ჯერ არა. გეგმა, რომელიც, ვაღიარებ, გულით და სულით მინდა განხორციელდეს და ვიმედოვნებ, თქვენც, ყველანი, ბრეილ-ზეჟერივით გაიზიარებთ, ასეთია: მსურს ჩვენი პირველი ფურცლები მივუძღვნათ ერთ-ერთი ჩვენზე უფროსი ადამიანის ქების შესხმას...

მრავალი ხმა: ვისას? ლიუსისას?

ბარუა: დიახ, ლიუსისას.

კრესტეი: აჰ, შესანიშნავია!

ბარუა: მოითმინეთ. მე ამაში ბევრ სასიკეთოს ვხედავ. ჯერ ერთი, ამ ნიშანდობლივი არჩევანით მოხდება ჩვენი მსოფლმხედველობის გაცხადება და იმის ხაზგასმა, თუ თანამედროვეთაგან ძალდაუტანებლად ვის ვუნვდით ხელს. შემდეგ, ამავე ქმედებით ჩვენ ვამტკიცებთ, რომ არ ვართ არც უძლური უტოპისტების მიმდევარნი და არც ჯიუტი დამანგრეველნი, რომ ჩვენ გვერდით ცხოვრობს ადამიანი, ამ იდეალების ცოცხალი განსხეულებული მაგალითი.

პორტალი: თქვენი მესმის, მაგრამ ხომ არ გვექნება ისეთი იერი, რომ ჩვენი დებიუტისთვის სახელგანთქმული პატრონის მფარველობა გვეყიდოს?

კრესტეი *(ცოცხლად)*: ლიუსის პიროვნება ყოველგვარ ეჭვზე მაღლა დგას...

ბარუა: მისმინე პორტალ, თუ მოძველებული სიტყვები ახლახან, რომ ვახსენე – პირდაპირობა, პატიოსნება, პიროვნული ღირსება – ვინმეს შეიძლება მიეწეროს, ეს ნამდვილად ლიუსია! და კიდევ, საქმე სულაც არ ეხება მისთვის იმის თხოვნას, რომ შესავალი სიტყვა დანეროს მკითხველისთვის ან ხელი მოაწეროს საქვეყნოდ საჩვენებლად. საქმე მისდამი უშუალო და კოლექტიური პატივისცემის გამოხატვას ეხება. იმასაც კი გთავაზობთ, რომ წინასწარ არ გავაფრთხილოთ.

პორტალი: ეს სხვა საქმეა.

ბარუა: არც ერთი ჩვენგანი მას პირადად არ იცნობს. ვიცნობთ მხოლოდ მისი წიგნებით, მისი ქმედებით, საჯარო ცხოვრებით. მეტიც, ის მარტოსულია. არც ერთ ფილოსოფიურ მიმდინარეობას არ ეკუთვნის; პოლიტიკაში, სენატში, არც ერთ დაჯგუფებას არ შეუერთდა.

მაშ, პატივისცემა, რომელიც მისდამი გვინდა გამოვხატოთ, მხოლოდ მას შეეხება, როგორც კერძო ადამიანს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ, ყველა, მას უნდა ვუმადლოდეთ მნიშვნელოვანნილად ჩვენს მორალურ განვითარებას. ვიფიქრე, რომ იმ დროს, როდესაც, ჩვენი მხრივ, ჩვენც ვერთვებით ბრძოლაში, მისდამი მადლიერება უნდა გამოვხატოთ. მეთანხმებით, კრესტეი?

კრესტეი *(ულიმის მოგონებას)*: სრულიად... და მსურს გაგიზიაროთ ერთი დეტალი ჩემი ცხოვრებიდან... სწორედ ლიუსი თავმჯდომარეობდა, შემთხვევით, ჯილდოების განაწილებას, რიტორიკის კურსის დასრულებისას. თორმეტიოდე წლის წინ იყო ეს; ის მაშინ აირჩიეს... აღარ მახსოვს, რად...

ბარუა: ალბათ, კოლეჟ დე ფრანსის დირექტორის მოადგილედ.

კრესტეი: ახლაც ვხედავ ესტრადაზე, მხცოვან პროფესორთა შორის, ძალიან ახალგაზრდას, ასე ათი-თხუთმეტი წლით იქნებოდა ჩვენზე უფროსი... არ დამავიწყდება ერთდროულად მგზნებარე და სიდარბაისლით მოცული სახე. საუბარი უშუალოდ დაიწყო, ხმის აუწევლად, მაგრამ არაჩვეულებრივი ავტორიტეტით. რამდენიმე წუთში მან შეძლო მოკლედ წარმოედგინა ადამიანის, სამყაროს ცხოვრების ნათელი ხედვა; და თემა ისე საბედნიეროდ ემთხვეოდა ჩემს იმდროინდელ ინტერესებს, რომ მასში ვპოვე, მტკიცედ ვარ დარწმუნებული, ჩემი ცხოვრების ორიენტირი.

ორი თვის შემდეგ, ფილოსოფიის ფაკულტეტზე შევედი, წინასწარ შემზადებული საუნივერსიტეტო სპირიტუალიზმის წინააღმდეგ.

ზეჟერი *(ჩაიცინებს)*: ანუ ის, ვისაც კულანგეონი უწოდებს: „განდიდების მანიით შეპყრობილ სახეობას...“

კრესტეი: მე გადავრჩი...

სიჩუმე.

ბარუა: მაშ, შევთანხმდით. ჩვენი პირველი გამოშვება დაიწყება მარკ-ელი ლიუსისადმი მიძღვნილი სტატიით, რომელიც ხელმოწერილი იქნება ასე: „მთესველი“.

არბარუ *(როლს)*: იანვრისთვის პირველი ნომერი გვექნება?

როლი: ხუთ კვირაში? ჰმ... თქვენი სტატიები ათისთვის უნდა მქონდეს.

ბარუა: ეგ არაა შეუძლებელი... ყველა ჩვენგანს რაღაც უკვე უეჭველად ექნება მზად. *(მიუბრუნდება ზეჟერს.)* არა?

ზეჟერი: მე... ჯერ არ დამიწერია, მაგრამ ყველა მასალა ხელთ მაქვს.

პორტალი: რის თაობაზე?

ზეჟერი მიშტერებია პორტალს; ყოყმანობს პასუხის გაცემას. ცივი მზერით მოივლის ცნობისმოყვარე ყურადღებიან სახეებს. და გადაწყვეტს გახსნას ბაგე.

ზეჟერი: აი.

მისი ნელი, უინტონაციო ხმა, რბილი მოსჩანს, თუ ფინალურ ულერადობას არ ჩავთვლით, ბასრს, გულცივს, როგორც გილიოტინის დანას ვარდნისას.

ზეჟერი: მგონი, საჭიროა, რომ პირველი ნომრისთვის ჩვენი სტატიები გაბედულად ტენდენციურები იყოს, რათა მკაფიოდ დაადასტურონ ჩვენი აზროვნების მიმართულება...

მზერას გადაავლებს მსმენელებს, რათა დარწმუნდეს ყველას თანხმობაში.

ზეჟერი: პირადად მე ვაპირებ წარმოვადგინო სტატია, რომელიც გარკვეულწილად მოამზადებს შემდგომ სტატიებს. მე დავკმაყოფილდები შემდეგი ზოგადი იდეის განვითარებით: რომ – ჩვენი ერთადერთი ლოგიკური საწყისი წერტილი ადამიანის შესწავლისას არის მისი სასიცოცხლო გარემო, სადაც ის ვითარდება – თანამედროვე ფილოსოფია, ერთადერთი მეცნიერება, რომელსაც ძალუძს ფილოსოფიის სფეროს განახლება, უნდა იყოს ბიოლოგიურ მეცნიერებაზე დაფუძნებული, უნდა შეესაბამებოდეს ჩვენს ცოდნას და ადამიანის ადგილსა და როლს ბუნებაში; ამას გარდა, ამ ფილოსოფიის უპირატესობა ისაა, რომ ის არის ღია ციკლი, რადგან სპონტანურად გამომდინარეობს მეცნიერებათა თანამედროვე მდგომარეობიდან; კვებავს რა თავის მსჯელობებს მხოლოდ შემოწმებადი ფაქტებით, ის უცილობლად ვითარდება მეცნიერული პროგრესით, და მზადაა მასთან ერთად გაიაროს ტრანსფორმაცია.

პორტალი: აი, წამსვე ვინ ჩამოაშორებს ჩვენს ჟურნალს ათიდან ცხრა მეტაფიზიკოსს...

ზეჟერი *(უკმეხი)*: სწორედ ეგ გვჭირდება.

არბარუ *(შემთხვევას ხელიდან არ უშვებს)*: კარგი იქნებოდა, დღესვე თითოეულ ჩვენგანს რომ შესძლებოდა თავისი პროექტების მონახაზის მოცემა... ჩვენი პირველი გამოშვება თითქმის შედგენილი იქნებოდა ამ საღამოსვე. შენ რას ფიქრობ, ბარუა?

ბარუა *(ერთ წამით შეფიქრიანებული)*: კი, რა თქმა უნდა.

არბარუ *(სპონტანურად)*: მე ოცდაათიოდე გვერდი მაქვს მე-12

საუკუნის კომუნების მოძრაობასა და მის ანალოგიაზე ამ ბოლო ორმოცდაათი წლის სოციალურ არეულობებზე.

და თქვენ, კრესტეი?

> კრესტეი ეს-ესაა ბუხარზე მიეყრდნო, ცოტა პრეტენზიულ პოზაში; მაგრამ, როგორც კი ლაპარაკს იწყებს, მისი მგზნებარე ხმა, სხივიანი მზერა, მოუთოკავი მოძრაობები იტაცებს ყურადღებას.

კრესტეი: მსურს ხელახლა შევეხო საკითხს ხელოვნება ხელოვნებისათვის... იცით, ტოლსტოის ამასწინანდელი მანიფესტის შესახებ. ვაჩვენო, რომ ის ზოგადად ცუდადაა დასმული; ხელოვანისთვის უპირველესად მოვითხოვო უფლება – ვალდებულება – რომ სხვა ალარაფრით დაკავდეს, როდესაც მშვენიერებას ქმნის, რადგან სწორედ ამქვეყნიური საზრუნავისგან გათავისუფლებული ემოციაა, რომელიც ქმნის. მაგრამ მე შევეცდები ერთმანეთთან შევათავსო ერთიც და მეორეც, იმის დამოწმებით, რომ ცვალებადი ესთეტიკის შედეგი უცილობლად სასარგებლოა მშვენიერებისთვის. ხელოვანი მუშაობისას ნინასწარ არ უნდა ჭვრეტდეს, თუ რა შედეგი მოჰყვება სოციალურ ასპექტში მის ნაღვაწს.

ზეჟერი *(ძალიან ყურადღებიანი)*: მეცნიერზე მეტად არა.

კრესტეი: მეცნიერზე მეტად არა. მათ მისაღნევი აქვთ, ერთს მშვენიერება, მეორეს ჭეშმარიტება, ერთი და იმავე მიზნის ორი მხარე. მასები უნდა მოერგონ მერე... *(ქედმაღლურად)* ... უნდა მოარგონ თავიანთი პაწაწინა სოციალური კომბინაციები.

ზეჟერი: აბსოლუტურად სწორია.

ბარუა *(კრესტეის)*: მეგონა, ლამენეს ციტატის განმარტებას იკისრებდით.

კრესტეი *(მომღიმარი)*: არა, თქვენთვის დამითმია.

ბარუა *(მხიარულად)*: ყაბულს ვარ. მასზე ვფიქრობდი, თქვენ რომ გისმენდით. ვფიქრობ, იქიდან რამე გამოდნება: ჩვენება, თუ რატომ ჩავწერეთ ის ეპიგრაფად, და რით გამოხატავს ასე კარგად ჩვენს მისწრაფებას.

კრესტეი: კარგი იქნება პირველ ნომერში დაბეჭდვა.

ბარუა *(რომლის მზერაც ცოცხლდება)*: მართლა?

პორტალი: რომელი ციტატა?

არბარუ *(ჯუჯღუნა)*: თქვენ ხომ დააგვიანეთ.

პორტალი: განგვიმარტეთ თქვენი აზრი, ბარუა.

ზეჟერი: ჰო, აგვიხსენი.

ბარუა *(გადმოცემისას ულიმის თავის აზრს)*: მე სიტყვა-სიტყვით გავიმეორებ ტექსტს:

„რაღაც, რაც ჩვენ არ ვუნყით, იძვრის სამყაროში...

რაა ეს თრთოლა, ადამიანის აზროვნების მარადიული მოძრაობა, პროგრესი... – თქვენ ხედავთ განვითარებას... – დაუსაბამო ქმნილების წარმოშობა, რომელიც თავს უყრის თითოეული ჩვენგანის ძალისხმევას, თითოეული ჩვენგანის ემოციას... და ეს მოძრაობა თავის თავში იდუმალად ატარებს ყველა გადაწყვეტილებას, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, ყველა ხვალინდელ სიმართლეს, რომელნიც ჯერ დაფარულია ჩვენი გონებრივი ნვდომისთვის, მაგრამ რომელთაც, ერთ დღესაც იქნება და ერთი მეორეს მიყოლებით, – ისე, როგორც მწიფე ხილი ცვივა ხიდან, – ფარდა აეხდება ადამიანთა კითხვით მიპყრობილი მზერის წინაშე!"

კრესტეი: დიახ, ჰიმნი პროგრესს!

ბარუა *(გამხნევებული, ბოლომდე აგრძელებს თავის იმპროვიზაციას)*: და კიდევ ამას ვიტყოდი: ისინი აქ არიან, ჩვენს შორის, ვისაც განჭვრეტის ნიჭი აქვთ, ვინც უკვე გამოარჩევენ იმას, რასაც სხვანი ჯერ ვერ ამჩნევენ. სწორედ მათ მოუხმობს ლამენე:

„ძეო კაცისაო, ადი სიმაღლეებზე და გვამცნე რას ხედავ!"

და სწრაფად დავხატავ მომავლის ჩვენეული ხედვის სურათს... გვამცნე, რასაც ხედავ...

მე ვხედავ, ფულის ყოვლისშემძლეობის შემზარავ გავრცელებას; ყველა პროტესტი, ყველაზე ლეგიტიმურიც კი, გათელილია და დამორჩილებულია მის ტირანიას...

ვხედავ, წაბარბაცებას შრომისმოყვარე მასებისას, რომელთა მზარდი შფოთვა ცუდადაა გადაფარული პოლიტიკური პარტიების პარადით, რომლებიც აქამდე იპყრობენ საზოგადოების ყურადღებას...

ვხედავ, უხეშ, უკულტურო, ილუზიებით მთვრალ, უსაფრთხოებასა და მატერიალურ კეთილდღეობაზე დახარბებულ, თავისი მდგომარეობით დაბრმავებულ ადამიანთა უმრავლესობის სისტემატურ შეტევას უმცირესობის წინააღმდეგ; დადგენილი წესების ძალით ჯერ კიდევ ძლიერად რომ გრძნობენ თავს და რომელთა შედარებითი სტაბილურობაც, ფაქტობრივად, მხოლოდ კაპიტალისტურ რეჟიმზეა დაყრდნობილი. მაშასადამე, საყოველთაო იერიში კაპიტალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ, ესე იგი მთელი თანამედროვე მსოფლიოს სოციალუ-

რი მოწყობის წინააღმდეგ, – რადგან დღეს ასეთი წყობილებაა ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში; მრისხანე იერიში, რომლის მსგავსიც ჯერ არ მოსწრებია კაცობრიობის ისტორიას, და რომელიც შეუძლებელია გამარჯვებით არ დაგვირგვინდეს, რადგან იგია ახალი ძალა, თვით ადამიანთა სასიცოცხლო ნვენიდან ამომჩქეფარე, თანამედროვე ნახტომი დაღლილი, ატროფირებული, ადიდაში გატარებული მსოფლიოს წინააღმდეგ!

როლი *(უეცრად, თითქოს ყელში რაღაც უჭერსო)*: ბრავო!

საყოველთაო ღიმილი.

ბარუა ადგა, თავისი სიტყვების რიტმითა და ხმოვანებით გაბრუებული, მეტისმეტად აღგზნებული მეგობართა მზერით, რომელნიც ვარსკვლავად მიიჩნევენ, ფეხები გალაჯული, გულმკერდი წინ გამოწეული, ნიკაპი მაღლაანეული, მისი მამაკაცური სახე დაძაბულობისგან ცახცახებს, მხიარული გამოწვევა თვალებში, თრთოლა...

ორატორული თრობა, რომელიც თვეებია, აკლია.

ბარუა: ბოლოს, ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, საჭიროა ცალკეულ ადამიანებს გადავავლოთ მზერა.

რას განიცდის თითოეული ჩვენგანი? სულიერ დაბნეულობას და დაურწმუნებლობას. მატერიალურმა კეთილდღეობამ უზომოდ განავითარა ჩვენი სისუსტე, რომელიც აქამდე ჯერ არასდროს არ გაფურჩქნულა ასეთი გამხრწნელი ძალით. ფარული შიში გამოუცნობის წინაშე აძრწოლებს განათლებულ ადამიანთა უმრავლესობას. თითოეული მათგანი შინაგან ბრძოლაშია ჩართული. ყველა ცოცხალი სული აღმსდგარია, შეგნებულად თუ შეუგნებლად, მითოლოგიური გადმონაშთების მბრძანებლობის წინააღმდეგ... ბრძოლა მრავალგვარია, მეტ-ნაკლებად ფარული, მაგრამ უნივერსალური, რაც სოციალური წონასწორობის დარღვევებს გასაგებს ხდის... ბრძოლა განსაკუთრებით შემანუხებელია, რადგან ის ყველა სფეროს მოედო და ინდივიდუალური შეგნების საგრძნობ დაცემას მიაღწია, საბოლოოდ კი სასიცოცხლო ენერგიის შემაშფოთებელ დანაკლისს!...

(ჩერდება, სწრაფად მოავლებს თვალს გაბრწყინებულ სახეებს და იღიმება.) აი, სულ ესაა.

ინტენსიური ცხოვრების ერთი წამი... და უეცრად, ყოველად უმიზეზოდ მისი ენთუზიაზმი ქრება, წყდება დაჭიმული ძაფივით. ჯდება, მომღიმარი, უხერხულობაში მყოფი, ქანცგაწყვეტილი.

რამდენიმე მდუმარე წამი.

ხსნის ლუდის ბოთლს, ავსებს ჭიქებს და ერთბაშად ცლის თავისას. შემდეგ პორტალისკენ ტრიალდება.

ბარუა *(ძალდატანებული ხალისით)*: და პორტალ, თქვენ იფიქრეთ ჩვენზე?

პორტალი *(სიცილით)*: გამოგიტყდებით, არა! გააკეთეთ თქვენი პირველი ნომერი უჩემოდ. მეორე ნომრიდან ვითანამშრომლებ.

კრესტეი: მოღალატე...

პორტალი: ხმა! ჩემი თემა არაა მომწიფებული, მაგრამ მაინც მაქვს ერთი... *(ღიმილი)* არ გჯერათ ჩემი? აი, ჩემი იდეა... მაინცდამაინც სტატიის კი არა, აი რისი დაწერა მინდა, ჩანახატების, ჩანაწერების იმ ტიპებზე, რომელთაც ყოველდღე ვხედავ, მათზე, ვისაც კარგად ვიცნობ, სასახლეზე, დეპუტატებზე, საზოგადოებაში გამოსულ ხალხზე... მოკლედ... საშუალოებზე.

კრესტეი: ნმინდათა წმინდა და მოუშორებელ საშუალოებზე!

პორტალი: დიახ; მათზე, ვინც კეთილგონიერნი არიან, იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ არ ძალუძთ მოაზროვნენი იყვნენ... ეს ლეგიონი შედარებით განათლებულია და გაპრიალებული დაგორებული რიყის ქვასავით. ამ არსებებს, უმრავლეს შემთხვევაში, საზოგადოებაში კარგი ადგილი უჭირავთ და არც თუ იშვიათად ძალიან მნიშვნელოვანი თანამდებობებიც, და მაინც, საბოლოოდ, პირუტყვებივით ცხოვრობენ... *(თანდათან ერთობა პორტრეტით, რომელსაც ხატავს.)* ... რომლებიც მიდიან, მიიწევენ ცხოვრების გზაზე ნახევრად თვალდახუჭულნი, თვალზე ხილაბანდაფარებულნი, არასდროს გაუბედავთ ფიქრი, არასდროს გაუბედავთ რწმენის ბუნდოვანი ჭეშმარიტებების გადამოწმება, ბავშვობიდანვე რომ ამოაცვეს პირველ ნიფხავთან ერთად... რომლებიც მოკვდებიან, მორჩილნი და უსახურნი, ისე, რომ ეჭვიც არ შეეპარებათ თუ რამდენად უსახურნი არიან, ვერაფერს შეამჩნევენ იმისას, რასაც ცხოვრება ჰქვია: ინსტინქტს, სიყვარულს, სიკვდილს...

ზეჟერი *(ულმობელი)*: იჩქარეთ მათი გამასხარავება, პორტალ! ისინი ყელში ამოვიდნენ, გვწამლავენ! ჩქარა გადავლეკავთ გზიდან...

როლი *(მოღუშული)*: თავი სამშვიდობოს ჰგონიათ, როგორც ჭიებს თავიანთ დაფხავებულ კარკასში.

მათი მჭახე ტონი ვერ აპყვა პორტალის გულღია ირონიას. ცოტა შეწუხდა, ასეთი სიძულვილი რომ გააღვივა.

არბარუ: ისინი განწირულნი არიან. შეხედეთ, თაობიდან თაობაში ვხედავთ მათ დადებილებას, უფრო და უფრო ამორფულად გახდომას, დაუძლურებას, რაიმე სიახლეში მონაწილეობის მიღებაც კი აღარ შეუძლიათ!

ბარუა უეცრად ჩაერთვება კამათში.

ბარუა: დიახ, არბარუ, როდესაც შორიდან უცქერით, როდესაც ქუჩაში გხვდებიან! მაგრამ, მეგობრებო, როდესაც მათ წრეში ცხოვრობ, უჰ! მათი დამყაყებული ყოფა კიდევ მრავალ წელს გასტანს! *(მუშტს აღმართავს)* მავნეა, დამღუპველია!

ზეუერი *(ბოროტი ღიმილით)*: არა, ისინი არც ეგეთი სახიფათონი არიან. ჩვენ ისინი ყველაფრიდან გამოვრიცხეთ, იზოლაციაში მოვახვედრეთ, შევზღუდეთ. ტყეში ხანძრის დროს ცეცხლს ანაწევრებენ, განწირული ნაწილი ინვის; მაგრამ წვისას თავს შთანთქავს ისე, რომ დანარჩენს ვეღარ წვდება.

ბარუა *(მძიმედ)*: ეჰ, უნდა იყო მათთან ნაცხოვრები, რომ შეიცნო ეს უძრავი ჭაობი, ეს ინერტული ძალაუფლება, რომელიც ჯერ კიდევ აქვთ!

კრესტეი: ძალზე სწორია, რასაც ბარუა ამბობს!

ბარუა: მათი დაბზარული ნეკროპოლი ჯერ კიდევ მრავალ თაობას შეიფარებს, სანამ მათი მოდგმა არ გაჩანაგდება! ბედნიერება იქნება თუ ვერ მოახერხეს თავის ნამოყოფა და კიდევ ერთხელ საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა... ვინ იცის?

არბარუ *(თანმიმდევრული)*: არ ფიქრობთ, რომ საჭიროა ჩვენი პროექტების წერილობით ჩანიშვნა?

პასუხი არაა; თითქოს არც გაუგონიათ.

გვიანაა.

გაბედულ დუღილს გაურკვეველი მთვლემარება მოჰყვა; მოუხელთებელი მოწყენილობა და მინავლებული ენთუზიაზმის მწარე სუნი ტრიალებს ჰაერში.

კრესტეი: ჩვენი პირველი ნომერი ბუკივით დასჭექავს!

მისი ჩახლეჩილი ხმა თანდათან კარგავს ტრიუმფალურ ულერადობას; ის სიჩუმეში ინთქმება, იძირება, როგორც მკვდარ წყალში.

როლი *(დაღლილობისგან შესიებული თვალები)*: ნება მომეცით დაგტოვოთ... სახელოსნო, ხვალ, შვიდ საათზე...

არბარუ: იცით, ორი საათი სრულდება... *(კრესტეის)* ნახვამდის.

კრესტეი: ყველა გამოვდივართ...

მონყენილი წასვლა.

მარტოდდარჩენილი ბარუა ფანჯარას აღებს და გაყინული ღამის კიდეს ეყრდნობა იდაყვებით.

კიბეზე.

ჩუმი ჩასვლა. პორტალი წინ მიდის, ხელში სანათური უჭირავს. უეცრად მოტრიალდება, ღამის მთეველის მხიარულებით.

პორტალი: და ვოლდშმუტი? დაგვავიწყდა... რას მოგვცემს საინტერესოს? ვოლდშმუტ?!

მსვლელობა ჩერდება, გამხიარულებული. თავებს ვოლდშმუტისკენ ატრიალებენ, რომელიც ზემოთ კორტეჟის ბოლოსაა. სანათური ხელიდან ხელში გადადის და ვოლდშმუტამდე აღწევს.

მისი ხვეულთმიანი ესპანური მეძებრის მსგავსი სახე ჩნდება, ბინდ-ბუნდში, კიბის მოსახვევში, ერთი სართულით მაღლა, აბურძგნულ თმა-წვერს შორის მისი ცოცხალი და მშვიდი თვალები ხამხამებენ სათვალის უკან.

დუმს.

შემდეგ უეცრად, რადგან როგორც ჩანს, სხვებს მისი მოსმენა გადაუწყვეტიათ, სახე ეცვლება; უეცარი სინითლე გადაუვლის ყვრიმალებზე, თვალებს ხრის, ახამხამებს და შემდეგ მწველად და ბეჩავად გამოიხედავს.

ვოლდშმუტი *(მოულოდნელი სიმტკიცით)*: მე უბრალოდ გადავწერ ძალიან სამწუხარო ნერილს, რომელიც რუსეთიდან მივიღე... კიევის გარეუბნიდან გააძევეს ექვსასი ებრაული ოჯახი. რატომ? იმიტომ, რომ ქრისტიანი ბავშვი იპოვეს მკვდარი და ებრაელებს დააბრალეს მისი სიკვდილი... რომ მაცა გამოეცხოთ...

დიახ, იქ ასეა...

და ებრაელები გაძევებულნი აღმოჩნდნენ, ხოცვა-ჟლეტის შემდეგ... და ასოცდაექვსი ახალშობილი დაიღუპა, რადგან, ვისაც ჩვილი ბავშვი ჰყავდა ხელით სატარებელი უფრო ნელა მიდიოდა... იძულებული იყვნენ ორი ღამე ცის ქვეშ გაეთიათ, თოვლში...

ჰო, იქ ასეა... და ეს არ იციან საფრანგეთში.

ოტეიში.

დილის რვა საათი.

ფართო ნაგებობა ჭირხლით გადათეთრებულ ბაღში, სადაც ყირაზე გადადის, ასე, ექვსიოდე ბავშვი.

ლიუსი *(წირთხლზე გამოჩნდება)*: მოდით, პატარებო... დროა... მუშაობის დროა!

ბავშვები მხიარულად, თავპირისმტვრევით გამორბიან. ორი უფროსი – ცამეტი წლის გოგონა და თორმეტი წლის ბიჭუნა – პირველები მოვარდებიან. ცივ ჰაერში მათივე ამონასუნთქ ორთქლში ეხვევიან. სხვებიც ერთმანეთის მიყოლებით ეწევიან, სულ ბოლოს გუნდის უკანასკნელი ნევრი, ექვსი წლის გოგონა მოდის.

სასადილო ოთახის ღუმელი ღულუნებს. გრძელ მაგიდაზე სამელნეები, საქაღალდეები და სახელმძღვანელოებია ჩარიგებული.

კაბინეტის კარში ჩამდგარი მამა უყურებს. ერთმანეთს თავაზიანად, უხმაუროდ ეხმარებიან. შემდეგ სიჩუმე ისადგურებს. ლიუსი ოთახს გაივლის და მეორე სართულზე ადის. ბავშვების ოთახი. ფარდები ჩამონეულია. ბავშვის სასთუმალთან ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი ზის.

ლიუსი კითხვით შესცქერის. ქალი ანიშნებს, რომ პატარა იძინებს.

რამდენიმე წამი გადის.

დედა შეკრთება. ზარის ხმაა. ექიმია?

ლიუსი კარამდე მიდის.

მოსამსახურე ქალი: ახალგაზრდა მოვიდა, რომელსაც ბატონმა შეხვედრა დაუნიშნა... ბატონი ბარუა...

ბარუა მარტოა ლიუსის კაბინეტში.

მოუფარდაგებელი ოთახი; სანერ მაგიდაზე უცხოური ჟურნალები, ახალი ტომები, წერილებია დახროვილი. კედლებზე რეპროდუქციები, გეგმები, რუკები; წიგნებით სავსე ორი თარო.

მსოფლიოს ყველა ხმას აქ აქვს ექო.

ლიუსის შემოსვლა.

მარკ-ელი ლიუსი – მომცრო ტანის. სხეულთან ცუდად შეხამებული ძლიერი თავი. ორი ნათელი თვალი, უცნაურად ჩამჯდარი უზარმაზარ შუბლსა და მარაოსავით გაშლილ ქერა, შეჭაღარავებულ წვერს შორის, თვალები ღია ნაცრისფერი, ალერსიანი და სუფთა; ძალზე ფართო, ამობურცული შუბლი დაპატრონებია სახეს. ორმოცდაშვიდი წლის.

უეკლესიოდ დარჩენილი პასტორის შვილი. დაიწყო თეოლოგიის შესწავლა, მაგრამ სწავლა შეწყვიტა მოწოდების უქონლობის გამო და კიდევ იმიტომ, რომ ვერც ერთ კონფესიურ კრედოს ვერ დაეთანხმა, მაგრამ მორალური საკითხების თავგამოდებული ერთგულება შეინარჩუნა.

ძალიან ახალგაზრდამ გამოსცა სქელტანიანი ხუთტომეული: „სარწმუნოების წარსული და მომავალი“, მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელმაც კოლეჟ დე ფრანსში რელიგიის ისტორიის კათედრა მოაპოვებინა.

თავი გამოიჩინა ოტეიში სახალხო უნივერსიტეტის დაარსებით და მასში ერთგული მოღვაწეობით და აგრეთვე რეგიონის სოციალურ პრობლემებზე მუშაობით. დინებამ ჯერ გენერალურ საბჭომდე, შემდეგ კი სენატამდე მიიყვანა, სადაც ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა წევრი იყო. არც ერთ პარტიას არ მიმხრობია; რიგრიგობით ყველა მის ფრთებს ეფარება, ვისაც კი რაიმე კეთილშობილური აზრის გამარჯვების გარანტია სჭირდება.

ზედიზედ გამოაქვეყნა: „სოციალიზმის უმაღლესი სფეროები“, „სიცოცხლის არსი“ და „სიკვდილის არსი“.

ბარუასკენ მიემართება და ხელს უბრალო და დამაჯერებელი გულითადობით უწვდის.

ბარუა: თქვენმა წერილმა უსაზღვროდ გაგვახარა, ბატონო, და მე გამომგზავნეს, რომ ყველას მაგივრად მოგახსენოთ მადლობა...

ლიუსი *(აწყვეტინებს უცერემონიოდ)*: დაბრძანდით; ძალიან მოხარული ვარ თქვენი გაცნობისა.

დინჯი, მსუყე საუბარი, რომელშიც ფრანკ-კომტუაზური წარმომავლობა გამოსჭვივის.

ლიუსი: მე ნავიკითხე თქვენი „მთესველი“. *(ბარუას პირდაპირ*

სახეში შესცქერის და ილიმება მოჩვენებითი თავმდაბლობის გარეშე.) ძალზე სახიფათოა შენზე ახალგაზრდებისგან ქება-დიდების მიღება. ამაში ძალიან მგრძნობიარე ვარ...

დრო.

ილებს საწერი მაგიდიდან პირველ ნომერს, ფურცლავს, თან ლაპარაკობს.

ლიუსი: ძალიან კარგი სათაურია: „ადამიანთა თვისებების კულტურისათვის...!"

ჯდება, ფეხებგაშლილი, იდაყვებით მუხლებზე დაყრდნობილი, ხელში „მთესველის" ნომერი უჭირავს.

ბარუა შესცქერის ამ შუბლს, მაგარსა და ამობერილს, შინაურულად რომ დახრილა მათი ახალშობილი ნაშრომისკენ... სიამაყით ევსება გული.

ლიუსი კიდევ ერთხელ გადახედავს ჟურნალს და მინდორზე ფანქრით თავის მინაწერ შენიშვნებზე ჩერდება. ჩაფიქრებული ჩანს, თითქოს ხელით წონიდესო... ბოლოს სწორდება, უყურებს ბარუას და „მთესველს" მაგიდაზე დებს.

ლიუსი *(უბრალოდ)*: გამომიყენეთ, მე თქვენს განკარგულებაში ვარ.

კილო კიდევ უფრო სერიოზულ მნიშვნელობას აძლევს ამ ფაქტს.

ბარუა დუმს, მოულოდნელობისგან ენაჩავარდნილი. არ სურს ბანალური მადლობის გადახდა.

ერთმანეთს თვალმოუცილებლად უყურებენ, ხანგრძლივი, აღელვებული მზერა...

ბარუა *(მცირეხნიანი დუმილის შემდეგ)*: ჩემს ამხანაგებს რომ შეძლებოდათ ამ სიტყვების გაგონება, და განსაკუთრებით, თქვენი ხმის ტემბრისა!

ლიუსი დაინტერესებული, უირონიო ღიმილით აკვირდება, რომლითაც ის საერთოდ უყურებს სამყაროს. მის მზერაში არის ბავშვური გაოცება, საგანთა შეცნობის წყურვილი, ცნობისმოყვარეობა; მისთვის ყოველივე ჯერ არყოფილი, საუცხოო და ჩინებულია.

დრო.

ლიუსი: დიახ, მართალი ბრძანდებით. გვაკლდა ისეთი ორგანო,

როგორიც თქვენი „მთესველია“. მაგრამ თქვენ უზარმაზარ პასუხისმგებლობას კისრულობთ...

ბარუა: რატომ?

ლიუსი: სწორედ იმიტომ, რომ თქვენ ერთადერთნი იქნებით, ვინც ნამდვილ თანამედროვე პრობლემებს შეეხება. თქვენ ბევრი მკითხველი გეყოლებათ; მძიმე ტვირთია... იფიქრეთ, რომ თითოეულ თქვენს სიტყვას გამოძახილი ექნება, და რომ ეს გამოძახილი თქვენი კონტროლიდან გავა, ვერ შეძლებთ მის მართვას... მეტიც, უმეტეს შემთხვევაში ვერც კი გაიგებთ, რა გამოძახილი მოჰყვება!

(თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო.): აჰ, ყოველთვის ძალიან გვეჩქარება ნერა. თესვა, თესვა!... უნდა გადაარჩიო, გამონვლილვით უნდა გადაარჩიო თესლი, ცოტათი მაინც რომ იყო დარწმუნებული, რომ მხოლოდ კარგ თესლს თესავ...

ბარუა *(ამაყად)*: ეს პასუხისმგებლობა ჩვენ ავწონ-დავწონეთ და ჩვენს თავზე ავიღეთ.

ლიუსი *(პასუხის გაუცემლად)*: თქვენი მეგობრებიც თქვენი ასაკისანი არიან?

ბარუა: დაახლოებით.

ლიუსი *(ფურცლავს ჟურნალს)*: ვინაა ეს ბრეილ-ზეუერი? მოქანდაკის ნათესავი ხომ არაა?

ბარუა: შვილია.

ლიუსი: აჰ, მამაჩემი იცნობდა მამამისს; რენანის ახლობელი იყო... თქვენი მეგობარი ხომ არ აკეთებს სკულპტურებს?

ბარუა: არა, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატია. სორბონში ერთად ვსნავლობდით.

ლიუსი: მისი „შესავალი პოზიტიურ ფილოსოფიაში“ პიროვნულ ტემპერამენტს ამჟღავნებს.

(მკაცრად) მაგრამ ის სექტანტია.

ბარუა შეინძრევა. ლიუსი თავს ასწევს და ყურადღებით, თითქმის ალერსიანად უცქერის.

ლიუსი: ნებას დამრთავთ, რომ ჩემი აზრი სრულად მოგახსენოთ?

ბარუა: კი, ბატონო.

ლიუსი: მთელ თქვენს გუნდს გსაყვედურობთ... *(რბილად)* განსაკუთრებით კი, თქვენ.

ბარუა: კი, მაგრამ რატომ?

ლიუსი: პირველივე ნომერში ძალიან პირდაპირი, ძალიან მამაცუ-

რი – მაგრამ ცოტა არ იყოს, იაკობინური – პოზიცია დაიჭირეთ...

ბარუა: მებრძოლი პოზიცია.

ლიუსი: მე ის უსაზღვროდ მომეწონებოდა, მხოლოდ მებრძოლი რომ იყოს. მაგრამ ის... აგრესიულია. ასე არაა?

ბარუა: ჩვენ, ყველა, მგზნებარედ დარწმუნებულნი და მზად ვართ დავიცვათ ჩვენი იდეები. მომწონს და სულაც არ გავურბი პირდაპირობას... *(ლიუსი დუმს, ბარუა განაგრძობს.)* ვფიქრობ, რომ ყველა მძლავრი და ახალგაზრდა დოქტრინა, თავისი ბუნებით, შეუწყნარებელია. რწმენა, რომელიც იწყება მოწინააღმდეგე რწმენის ლეგიტიმურობის დაშვებით, განწირულია უმოქმედობისთვის. ის უძლურია, უეფექტოა.

ლიუსი *(მტკიცედ)*: მაგრამ, სწორედ შემწყნარებლური სულის დამკვიდრებას უნდა ვეცადოთ ადამიანთა შორის. ჩვენ სრული უფლება გვაქვს ისეთები ვიყოთ, როგორებიც ვართ, და ჩვენს მეზობელს არ უნდა შეეძლოს ამის ჩვენთვის აკრძალვა, თავისი პირადი პრინციპების სახელით!

ბარუა *(უნებურად უკმეხი)*: დიახ, შემწყნარებლობა, თავისუფლება ყველასთვის, პრინციპში შესანიშნავია... მაგრამ ხედავთ სად მივყავართ დილეტანტების სკეპტიკურ ღიმილს? განა ეკლესია იქნებოდა ის, რაც კიდევ არის ჩვენი თანამედროვე საზოგადოებისთვის, რომ არა...

ლიუსი *(ცოცხლად)*: თქვენ იცით, რომ მე მტრულად ვარ განწყობილი კლერიკალური სულისადმი! მე 48-ში, დეკემბრის შუა რიცხვებში დავიბადე; და ყოველთვის მსიამოვნებს იმაზე ფიქრი, რომ გაგანია ლიბერალური დუღილის დროს ჩავისახე. მძაგს ყველა ანაფორა, ყველა ყალბი სწავლება. და მაინც, რასაც ვერ ვეგუები ეკლესიისას, მისი შეცდომები კი არა, მისი შეუწყნარებლობაა. *(დრო, დინჯად)* არა, ვერასდროს ვერავის ეურჩევ ბოროტებას ბოროტება დაუპირისპიროს. საკმარისია ყველასთვის აზროვნების თავისუფლების მოთხოვნა, და პირადი მაგალითის მიცემა.

შეხედეთ კათოლიკურ ეკლესიას, მას საუკუნოვანი ბატონობა ჰქონდა; და, მაინც, ამ კოლოსალური ძალაუფლების შესარყევად მისი მოწინააღმდეგეებისათვის აზრის საჯაროდ გამოხატვის უფლების მიცემა აღმოჩნდა საკმარისი.

ბარუა უსმენს, მაგრამ ეს ყურადღებიანი სიჩუმე აშკარად ტვირთად აწევს.

ლიუსი *(შემრიგებლური)*: რომ შეცდომა დარჩეს თავისუფალი, მაგრამ ჭეშმარიტებაც იყოს თავისუფალი, სულ ესაა. და ნუღარ ვიდარდებთ შედეგებზე. დრო მოვა და ჭეშმარიტება გაიმარჯვებს...

(ცოტა ხნის შემდეგ) ასე არ გგონიათ?

ბარუა: აჰ, ეშმაკმა დალახვროს, კარგად ვიცი, მთლიანობაში, თქვენ მართალი ბრძანდებით! მაგრამ ჩვენ ვერ ვძლევთ ზოგიერთ ჩვენს გრძნობას, და ზოგჯერ ისინი შორს შეგვატოპინებენ ხოლმე...

დუმილის წამი.

ლიუსი, როგორც ჩანს, ახსნა-განმარტებას ელის.

ბარუა *(თითქმის გააფთრებით)*: კარგად ვიცი, რომ არა ვარ შემწყნარებელი! აღარა ვარ! *(ხმას უდაბლებს.)* უნდა იცოდეთ, როგორ გავიტანჯე, ეს რომ გაიგოთ...

გათავისუფლებული სული, რომელიც იძულებულია იცხოვროს მორწმუნე ადამიანებთან ინტიმურ გარემოში – რომელიც ყოველდღე ხედავს, რომ უფრო და უფრო მჭიდროდაა შეკოჭილი ამ ელასტიური და მტკიცე კათოლიკური რწმენის ქსოვილით – გრძნობს, რომ რელიგია აღწევს, იჭრება მის ცხოვრებაში, იმორჩილებს მათ, ვინც გარს ახვევია, შტამპავს მისიანების გონებასა და სულს, ყველგან თავის ანაბეჭდსა და ნაკვალევს ტოვებს... ამ ადამიანს, დიახაც, აქვს უფლება შემწყნარებლობაზე ილაპარაკოს! არა იმას, ვისაც სიყვარულის გამო რაღაც დათმობაზე წასვლა უხდება; არამედ იმას, რომლის ყოველდღიური ცხოვრება არის უწყვეტი დათმობა! იმას აქვს შემწყნარებლობაზე ლაპარაკის უფლება!... *(თავს იკავებს, შეხედავს ლიუსს და გაჭირვებით გაიღიმებს.)* და მაშ, თუ ამაზე ლაპარაკობს, ბატონო, ისე ლაპარაკობს, როგორც სრულყოფილ სათნოებაზე, იდეალზე ლაპარაკობენ, რომელიც ადამიანურად განუხორციელებელია!

ლიუსი *(ერთი წამის დუმილის შემდეგ დაყვავებით)*: თქვენ მარტო არ ცხოვრობთ?

ბარუას ენერგიული, მოგონებებით შეჭმუხნული სახე უეცრად ნათდება; მზერა ურბილდება.

ბარუა: კი, ახლა მე თავისუფალი ვარ! *(მომღიმარი)* მაგრამ სულ ცოტა ხანი გავიდა და ჯერ კვლავ ვერ გავხდი შემწყნარებელი...

(პაუზა) მაპატიეთ, რომ ეს კამათი ასე ახლოს მივიტანე გულთან...

ლიუსი: არა, ჩემი ბრალია, ჩემდაუნებურად, გაგიღვიძეთ უსიამოვნო მოგონებები...

თბილად უყურებენ ერთმანეთს.

ბარუა *(უშუალოდ)*: ეს ჩემთვის კარგია. რჩევა მჭირდება... ჩვენ შორის ბევრად მეტი სხვაობაა, ვიდრე ჩვენი ასაკობრივი სხვაობა, ბატონო... თქვენ ცხოვრობთ აგერ უკვე ოცდახუთი წელია. მე მხოლოდ ახლახან გავწყვიტე, მტკივნეული ნახტომის შემდეგ, ყველა ჯაჭვი... ყველა! *(ხელის მოძრაობით თავის ცხოვრებას ორად ჰყოფს; იქ წარსულია, აქ მომავალი. ის იწვდის ხელს.)* მაშ, გესმით, ჩემ წინაშე სრულიად ახალი ცხოვრების ასპარეზია გადაშლილი, უზარმაზარი, თავბრუდამხვევი... ჩემი პირველი ფიქრი, როდესაც ამ ჟურნალს ვაარსებდი, თქვენთან დაახლოება იყო, როგორც ერთადერთ საყრდენ წერტილთან, რომელიც თვალსაწიერზე შევნიშნე.

ლიუსი *(ყოყმანით)*: მე მხოლოდ ჩემი გამოცდილება შემიძლია გაგიზიაროთ... *(ილიმება და კედლებზე ჩამოკიდებული რუკებისკენ იშვერს თითს.)* ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ცხოვრება ამ ჩემთვის უცნობი ქვეყნების რუკებივითაა, რომ იარო, უნდა ბეჯითად წაიკითხო... ყურადღება, მოწესრიგებული აზროვნება, ზომიერება, სიმტკიცე... აი, სულ ესაა, ძალიან ადვილია.

(სანერი მაგიდიდან კვლავ იღებს „მთესველს".) ძალიან კარგად დაიწყეთ, ბევრი კოზირი გაქვთ ხელთ. გარს გახვევიათ გონებამახვილი და ორიგინალური ინტელიგენტები. ეს ყოველივე ძალიან კარგია... *(ჩაფიქრდება.)* თუ მაინცდამაინც რჩევა უნდა მოგცეთ, აი ისიც, ძალიან ნუ მოექცევით სხვათა გავლენის ქვეშ... დიახ, ეს ზოგჯერ სახიფათოა ასეთი დაჯგუფებებისგან, როგორიც თქვენია. ერთიანი სულისკვეთება, ცხადია, საჭიროა; თქვენ ეს გაქვთ. ერთიანმა მისწრაფებამ გაგაერთიანათ და წინსვლისკენ გიბიძგათ. მაგრამ საერთო ქვაბში ნუ მოიხარშებით. ჯიუტად შეინარჩუნეთ თავისთავადობა; თქვენში მხოლოდ ის განავითარეთ, რაც საკუთრივ თქვენია. ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი განსაკუთრებული თვისება – თუ გნებავთ, ნიჭი – რომლითაც ყოველთვის ვრჩებით სხვებისგან აბსოლუტურად განსხვავებულნი. და სწორედ ეს ნიჭი უნდა აღმოაჩინო შენში და განავითარო, ყველა დანარჩენის თვინიერ.

ბარუა: და არ მიმიყვანს ეს შეზღუდვამდე? განა, პირიქით არ უნდა ვეცადო, რაც შეიძლება მეტად გამოვიდე ჩემი „მე"-დან?

ლიუსი: არა მგონია...

(მოსამსახურე ქალი შემოაღებს კარს): ქალბატონმა შემოუთვალა ბატონს, რომ ექიმი აქაა.

ლიუსი: კარგი.

(ბარუას) ვფიქრობ, რომ საჭიროა იგივე დარჩე, ურყევად, – მაგრამ, ამავდროულად, გაიზარდო! გახდე ყველაზე სრულყოფილი მაგალითი კაცობრიობის იმ ტიპისა, რომელსაც წარმოადგენ.

ბარუა *(დგება)*: კი, მაგრამ საჭირო არაა ქმედება, ლაპარაკი, წერა, შენი ძალის გამოჩენა?

ლიუსი: ოჰ, ძლიერი პიროვნება ყოველთვის გამოხატავს თავს... ზედმეტ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ ნამოღვაწარს; განა მშვენიერი ცხოვრება არაა მშვენიერი ნაწარმოების ტოლფასი? მეც მეგონა, რომ შრომა იყო საჭირო. ნელ-ნელა აზრი შევიცვალე...

კარისკენ მიაცილებს ბარუას. ფანჯარასთან გავლისას თეთრი ტილოს ფარდას გადასწევს.

ლიუსი: შეხედეთ, ჩემს ბაღშიც იგივე ხდება, უნდა მოუარო ხეებს, გაამდიდრო წლიდან-წლამდე და შემდეგ, თუ ხემ უნდა მოიტანოს ნაყოფი, ნახავთ, რომ ორმაგს მოისხამს...

გაივლიან სასადილო ოთახს.

საშინაო დავალებებზე დახრილი პატარები თავებს ცნობისმოყვარედ სწევენ.

ლიუსი *(მაგიდას მზერას მოავლებს)*: ჩემი შვილები...

ბარუა მომღიმარი უკრავს თავს.

ლიუსი *(გამოიცნობს მის ფიქრს)*: კი, ბევრნი არიან... და კიდევ ორი მყავს... არის დღეები, როდესაც ყველა ერთად შემომცქერის და შიშის ზარი მცემს... *(თავს აქნევს)* ცხოვრების ლოგიკას უნდა მიენდო, ის, ალბათ, სამართლიანია.

(მაგიდას უახლოვდება.) ეს ჩემი უფროსი შვილია, უკვე დიდი გოგოა... ეს ყმაწვილი კი, ბატონო ბარუა, მათემატიკოსია...

(ის სიყვარულით უსვამს ხელს ამ თხელთმიან თავებს, უეცრად ბარუასკენ მობრუნდება)

ცხოვრება ისეთი მშვენიერია...

ქარიშხლის მომასწავებელი ქარი

მე ვგრძნობ ტალღებს, რომლებიც ზვირთდებიან,
მე ვგრძნობ განთიადს, რომელიც იბადება...
ჩემი გული მსოფლიოსავითაა...
იბსენი

I

1896 წლის ივნისი.

საღამოს ხუთი საათი.

ლუდის რესტორანი სენ-მიშელის ბულვარზე, ფართო და ბნელი მინისპირა სართული, ჰეიდელბერგის სტილის, მასიური მაგიდები, ტაბურეტები, გერბებით შემკული შუშები. უამრავი ხმაურიანი სტუდენტი და ქალი.

ანტრესოლზე დაბალი ოთახი, კვირაში ერთხელ „მთესველის" ჯგუფისთვის დაჯავშნილი.

კრესტეი, არბარუ და ბრეილ-ზეჟერი მაგიდასთან სხედან, ნახევრადწრიულ ფანჯარასთან ახლოს, რომელიც ზედ აქოთქოთებულ ბულვარზე გადის.

ბარუას შემოსვლა, მძიმე ჩანთით ხელში.

ხელის ჩამორთმევა.

ბარუა ჯდება და ჩანთიდან ფურცლებს იღებს.

ბარუა: პორტალი არ მოსულა?

ზეჟერი: არ გამოჩენილა.

ბარუა: არც ვოლდშმუტი?

არბარუ: აი, უკვე რამდენიმე დღეა ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დავდივარ და არ შემხვედრია.

ბარუა: ათიოდე სრულიად გასაოცარი გვერდი გადმომიგზავნა, „განათლების კანონთა“ შესახებ.

(ერთ შეკვრას კრესტეის უწვდის.) აი, თქვენი სასინჯი ანაბეჭდები, ცოტა მჭიდრო შრიფტია, მაგრამ ამჯერად იმდენი მასალა გვაქვს...

(არბარუს) აპა...

არბარუ: გმადლობ. როდისთვის გინდა?

ბარუა: როლი კვირის ბოლოსთვის ითხოვს.

(ბრეილ-ზეჟერს) აი, შენებიც. ამის თაობაზე მინდა რაღაც გითხრა. *(სხვებს)* ნებას დაგვრთავთ?

დგება და ბრეილ-ზეჟერი ოთახის სიღრმისკენ მიჰყავს.

ბარუა *(ხმას უდაბლებს; სიყვარულით)*: ეს შენს ეტიუდს ეხება „სასიცოცხლო დეტერმინიზმზე“... სხვათა შორის, ბრწყინვალეა; ვფიქრობ, რომ არაფერი დაგიწერია ამაზე უფრო სრული და ზომიერი. უტაქტო სითამამე გამოვიჩინე და გუშინ საღამოს ლიუსს მისი ერთი ნაწილი წავუკითხე; შენი ამონაბეჭდი მქონდა ჯიბეში. ძალიან მაგრად მიიჩნია.

ზეჟერი *(კმაყოფილი)*: პასტერის პასაჟი წაუკითხე?

ბარუა: არა, სწორედ ამაზე მინდა დაგელაპარაკო, ვიდრე გასწორებას დაიწყებდე...

ზეჟერი წარბებს იჭმუხნის.

ბარუა *(ცოტა უხერხულობაში ჩავარდნილი)*: გულწრფელად რომ გითხრა, ეს გვერდი ძალიან მძაფრადაა დაწერილი, ასე მეჩვენება...

ზეჟერი *(უხეში ჟესტით)*: მე მეცნიერს არ ვეხები; მე მეტაფიზიკოსი პასტერი მაინტერესებს.

ბარუა: კარგად მესმის, მაგრამ შენ განსჯი პასტერს, როგორც ერთ ჩვენს თანამედროვეთაგანს, როგორც ერთ-ერთ მის მოსწავლეს განსჯიდი.

მე არ ვამბობ, რომ მისი სამყაროს ფილოსოფიური კონცეფცია... მაგრამ სავსებით გავიწყდება, რომ ჩვენს მეცნიერულ მატერიალიზმს სწორედ ამ გამოუსწორებელ სპირიტუალისტს უნდა ვუმადლოდეთ!

ზეჟერი *(ხელის მოძრაობა, რომელიც თითქოს რაღაცას იშორებს)*: მეც შენსავით ვიცი, მას რასაც უნდა ვუმადლოდეთ – თუმცა ლაპარაკის ეს მანერა ჩემთვის არავითარი გრძნობისმიერი მადლიერების გამოხატვას არ შეესაბამება... *(ხანმოკლე სიცილი, რომელიც ამ ყვითელ სახეზე მბზინვარე კბილებს გამოაჩენს.)*

პასტერს ეგონა, რომ სახალხოდ უნდა მიეღო დადანაშაულებუ-

ლი მეტაფიზიკოსის პოზა. ჩვენ გვაქვს მისი განსჯის უფლება. დიდი მადლობა! ძალიან ხშირად გვიპირისპირებდნენ ხოლმე აკადემიაში მიღებისას წარმოთქმულ მის სიტყვას, რათა ამის თაობაზე ეჭვი შეგვპარვოდა!

ბარუა: პასტერი ისე იყო აღზრდილი და ისეთი მემკვიდრეობა ჰქონდა, რომელმაც ხელი შეუშალა თავისი აღმოჩენების ფილოსოფიურ გააზრებასა და დასკვნების გამოტანაში; ჩვენ ეს შევძელით, შემდეგ, მისი წყალობით; არ უნდა ვუსაყვედუროთ იმის გამო, რომ აღარ იყო ახალგაზრდა და ველარ გარდაიქმნებოდა.

ბარუა იცდის რამდენიმე წამს. ზეჟერი გაბრუნდება პასუხგაუცემლად.

ბარუა: შენი პირველი გვერდები უსამართლოა, ზეჟერ.

ზეჟერი: შენ ლიუსის გავლენის ქვეშ ხარ მოქცეული.

ბარუა: წინააღმდეგობაც არ გამინევია.

ზეჟერი: მით უარესი. ლიუსს შემწყნარებლობის მანიის გამო ხშირად აკლია სიმტკიცე და ზოგჯერ გამჭრიახობაც.

ბარუა: კარგი. *(დრო)* ნუღარ ვიფიქრებთ ამაზე, შენ თავისუფალი ხარ. *(ღიმილით)* თავისუფალი და პასუხისმგებელი...

ბრუნდებიან მაგიდასთან და სხდებიან.

ოფიციანტს მოაქვს სასმელი.

ბარუა: დარწმუნებულები ხართ, რომ პორტალი ამ საღამოს მოვა?

კრესტეი: მითხრა, მოვალო.

ზეჟერი: ნუ დაველოდებით.

ბარუა: კარგი ამბავი მაქვს თქვენთვის სათქმელი, მინდოდა მთელი ჯგუფი სრულად ყოფილიყო... დიახ, მეგობრებო, მატერიალური თვალსაზრისით, ჩვენი „მთესველი" ისევ საუკეთესო გზაზეა. მე ესესაა დავხურე ჩვენი ექვსთვიანი ანგარიში. *(უჩვენებს ქვითარს.)* ის თქვენს განკარგულებაშია.

ჩვენ ამ ექვსი თვის წინ ოცდათვრამეტი ხელმომწერით დავიწყეთ. ამ თვეში ხუთას სამოცდაორი გვყავს. მეტიც, წინა თვეში, რვაასი გამოშვება გაიყიდა, როგორც პარიზში, ისე პროვინციებში. ივნისის თხუთმეტი ათასი ნომერი უკვე გამოილია.

კრესტეი: ლიუსის თანამშრომლობა ჩვენთვის უეჭველად სოლიდური საყრდენი აღმოჩნდა.

ბარუა: ცხადია, პირველი სტატიიდანვე, რომელიც ამ ოთხი თვის წინ მოგვცა, ხელმომწერთა რაოდენობა მართლაც გაორმაგდა. ივლი-

სის „მთესველი“ 2000 ტირაჟით გამოვა. ასევე გთავაზობთ, ეს ნომერი 220 გვერდიანი იყოს, ნაცვლად 180 გვერდისა.

ზეჟერი: რატომ?

ბარუა: საქმე ასეა. ჟურნალის შესახებ მიღებული წერილები მნიშვნელოვნად იზრდება. დაახლოებით 300-მდე წავიკითხე მხოლოდ ამ თვეში! არბარუს დახმარებით დავალაგე იმ სტატიების მიხედვით, რომლებმაც მათი დაწერა გამოიწვია და შესაბამისად, თითოეულ თქვენგანს გადმოგცემთ. ნახავთ, ბევრი საინტერესოა. ვფიქრობ, მათ უნდა დავუთმოთ ადგილი ჟურნალის ნომრებში. ჩვენ სერიოზულად გვკითხულობენ და გვეკამათებიან; ეს წერილები ამის დასტურია; ამით უნდა ვიამაყოთ და უჯრებში არ უნდა ჩავკეტოთ საზოგადოების მონაწილეობა ჩვენი ძალისხმევისადმი. მაშ, გთავაზობთ ყოველთვე გამოვაქვეყნოთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამ ჩვენი კორესპონდენციებიდან და, როცა საჭირო იქნება, დავურთოთ... *(პორტალის შემოსვლა)* გამარჯობა... დავურთოთ სტატიის ავტორის შენიშვნა.

პორტალი უჩვეულოდ დაბნეული და სერიოზულია, ხელს ართმევს კრესტეის, ბარუას, შემდეგ ჯდება.

არბარუ: და მე, მე არ მესალმებით?

პორტალი *(წამოდგება)*: ბოდიშს გიხდით. *(ძლივს გაილიმებს და კვლავ ჯდება.)*

ზეჟერი: აღარ გელოდით.

პორტალი *(ნერვული)*: ჰო, ბევრი საქმე მაქვს ამ მომენტისთვის. მხოლოდ ეს წუთია გამოვედი სასახლის ბიბლიოთეკიდან. *(მზერა აღმართა და უტყვ შეკითხვას გადააწყდა.)* შესაძლოა იყოს ახალი...

ბარუა: ახალი?

პორტალი: დიახ, ამ დღეებში რაღაცებს მოვკარი ყური... უსიამოვნოს. მოგიყვებით. მგონი სასამართლოს შეცდომაა... კაცმა არ იცის...

ეს საკმაოდ მძიმე იქნება...

ჩუმდებიან დაინტრიგებულნი.

პორტალი *(ხმას უდაბლებს)*: საქმე ეხება დრეიფუსს...

კრესტეი: დრეიფუსი, უდანაშაულოა?

ბარუა: ეს სიგიჟეა!

არბარუ: ხუმრობა იქნება, ვნახოთ!

პორტალი: არაფერს ვამტკიცებ. იმ მცირედს გეუბნებით, რაც ვიცი და, სხვათა შორის, როგორც ჩანს, კაციშვილმა არ იცის ჩემზე მეტი. მაგრამ ღელავენ, რაღაცას ეძებენ... როგორც ჩანს, თვით გენე-

რალური შტაბი აწარმოებს გამოძიებას. ფოკე-ტალონი აქტიურადაა ჩართული. დაწვრილებითი ანგარიში მომთხოვა თვრამეტი თვის წინ ჩატარებულ პროცესზე.

სიჩუმე.

ზეჟერი *(დინჯად პორტალს)*: შესაძლოა შეცდომა გაიპაროს სამოქალაქო სასამართლოს განაჩენში, რომელიც ყოველდღე იმართება და რომლისთვისაც სასამართლო პროცესი ჩვეულებრივი სამუშაოს ნაწილია. მაგრამ სამხედრო საბჭო, რჩეულ ადამიანთა კრება, რომელნიც არ არიან სამართლის პროფესიონალები და აქედან გამომდინარე, ძალიან ფრთხილად არიან, საჭიროებისამებრ საქმეს უკიდურესი წინდახედულობით უდგებიან...

ბარუა: და განსაკუთრებით ასეთ მნიშვნელოვან საქმეს, სახელმწიფო ღალატის საქმეს... ჭორი იქნება.

კრესტეი: ეს? გეტყვით, ეს განზრახ მოწყობილი იქნება...

ვოლდშმუტი *(აღელვებული ხმით, მაგრამ გაბედულად)*: ებრაელების მიერ მოწყობილი, არა?

კრესტეი *(ცივად)*: ... დრეიფუსის ოჯახის მიერ...

ბარუა: უყურე, მაშ თქვენ აქ ხართ, ვოლდშმუტ? ვერ დაგინახეთ, როდის შემოხვედით.

არბარუ: არც მე დამინახავს.

ხელის ჩამორთმევა.

პორტალი *(ვოლდშმუტს)*: თქვენც იცით რამე ამ ამბის შესახებ?

ვოლდშმუტი პორტალისკენ ასწევს თავის გაბანჯგვლულ, გაურკვეველი ტანჯვით ჩაღამებულ სახეს. თავს თანხმობის ნიშნად ჩაიქნევს, ხრის ვარდისფერკიდეებიან ქუთუთოებს.

ბარუა *(ცოცხლად)*: მაგრამ თქვენ იზიარებთ აზრს, რომ შეცდომა წარმოუდგენელია?

ვოლდშმუტი უილაჯო და ეჭვის გამომხატველ ჟესტს აკეთებს, თითქოს ამბობდეს: ვინ იცის, ყველაფერი შესაძლებელიაო...

უხერხულობა, გამახვილებული სიჩუმის წუთით.

ბარუა: ნახეთ, ვოლდშმუტ, თქვენი ამონაბეჭდი მოგიტანეთ.

პორტალი *(ვოლდშმუტს)*: იცნობთ დრეიფუსს?

ვოლდშმუტი (სხვა დროზე მეტად მოხამხამე თვალებით): არა. *(დრო)* მაგრამ მე დავესწარი პატივის აყრას... და დავინახე.

ბარუა *(გაღიზიანებული)*: რა დაინახეთ?

ვოლდშმუტს თვალები ცრემლით ევსება. ის არ პასუხობს. ის

უყურებს ბარუას, არბარუს, კრესტეის, ზეუერს რიგრიგობით, ნელა, მშვიდად.

გრძნობს, რომ მარტოა, დამარცხებულის უილაჯო ღიმილი.

II

ბატონ ჟან ბარუას,
ჟაკობის ქ. 99, პარიზი.

20 ოქტომბერი 1896.

ძვირფასო მეგობარო,

შეუძლოდ ვარ და არ შემიძლია თქვენთან მოსვლა; (მცირე ინციდენტი შემემთხვა, არაფერი სერიოზული, მაგრამ რამდენიმე დღით კი მიმაჭაჯვა სანოლს). ძალიან მჭირდება თქვენი ნახვა. დიდად დამავალებთ, თუ ხვალ, ან ზეგ, ან უფრო მოგვიანებით ამოივლით ჩემს ექვს სართულს.

მაპატიეთ ჩემი უცერემონიობა. გადაუდებელი საქმეა.

თქვენი უერთგულესი

ულრიკ ვოლდშმუტი

მეორე დღეს.

ძველი სახლი, თითქმის სიტეზე, პერლის ქუჩა, შუა მარეში. სადარბაზო F, მეექვსე სართული, სახურავის ქვეშ, დერეფნის ბოლოში, პატარა ბინა, №14.

ბარუა რეკავს.

ახალგაზრდა ქალი უღებს.

სამი ოთახი ერთმანეთის მიყოლებით. პირველში, მოხუცი ჭაღარათმიანი ქალი სარეცხს ფენს თოკზე. მეორეში, ორი სანოლი, ორი ლეიბი იატაკზე; საწერი მანქანა ფანჯარასთან. მესამე კარი დაკეტილია.

ახალგაზრდა ქალი მიდის კართან, იხედება, შემობრუნდება ბარუასკენ.

ჟულია: სძინავს, ბატონო... თუ ძალიან არ გეჩქარებათ?

ბარუა *(ცოცხლად)*: ნუ გააღვიძებთ, მეწყინება... დავიცდი.

ჟულია: ეს მას იმდენ სიკეთეს მოუტანს!

ბარუა ცნობისმოყვარედ შესცქერის. არ იცოდა, ვოლდშმუტი თუ დაქორწინებული იყო.

ჟულია ვოლდშმუტი – ოცდახუთი წლის. აღმოსავლური ტიპი. ერთი შეხედვით ძალიან მაღალი და გამხდარი ჩანს. უკორსეტო ტორსი, შავ ნაჭერში, მოკლე და ხორციანია. მაგრამ ფეხები და განსაკუთრებით ხელები არანორმალურად გრძელი აქვს.

სახე წინაა წამახული სამართებელივით. ხვეული, შავი, უხეში თმა კეფაზე აქვს დაგრაგნილი, რაც კიდევ უფრო მეტად უგრძელებს თავის ფორმას. მკვეთრად გამოხატული ცხვირი აგრძელებს შუბლის დაქანებულ ხაზს. ძალიან დიდი, მაგრამ ოდნავ გახელილი თვალები საფეთქლებისკენ მისცურავენ. ზედა ტუჩი – მოკლე, უცნაური მოხაზულობის, თითქოს მარადიულად გაშეშებულა ღიმილის მდგომარეობაში, – ქვედას ვერ უერთდება.

მტკიცე ჟესტით ბარუას ერთადერთ სკამზე მიუთითებს, თვითონ კი, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე, ერთ-ერთ აშლილ საწოლზე ჩაცუცქდება.

ბარუა *(ფრთხილად)*: როგორ მოუვიდა... ქალბატონო?

ჟულია: ქალიშვილო.

ბარუა *(ღიმილით)*: ბოდიშს გიხდით.

ჟულია *(აუმღვრეველად)*: ვერ გავიგეთ. *(საწოლებზე მიუთითებს.)* შუაღამე გადასული იყო, მე და დედა ვიწექით... *(უთითებს ვოლდშმუტის ოთახს)* გავიგონეთ პატარა აფეთქების ხმა. მაგრამ არ შევშფოთებულვართ. პირიქით, მე კმაყოფილი ვიყავი იმის გაფიქრებით, რომ ბიძაჩემი კვლავ შეუდგა მუშაობას, რომ ცოტა გადაერთო ამ საქმიდან... და შემდეგ, დილით, დაგვიძახა; მთელი სახე დამწვარი ჰქონდა და შუშის ნამსხვრევებით დაჩეხილი...

ბარუა *(ძალიან ცნობისმოყვარედ)*: რა აფეთქდა?

ჟულია *(მშრალად)*: კოლბა ცეცხლზე.

ბარუას ახსენდება, რომ ვოლდშმუტი ქიმიკოსი ლაბორანტი იყო.

მსუბუქი დუმილი.

ბარუა: არ მინდა საქმეს მოგაცდინოთ, ქალიშვილო...

ლოგინის შუაში მოკალათებული, იდაყვებზე დაყრდნობილი,

ფეხმორთხმული, თავისუფლად, სიმპათიურად, ორაზროვნების გარეშე შეჰყურებს ბარუას.

ჟულია: სულაც არ მაცდენთ... ბედნიერი ვარ ამ შემთხვევით. დიდი ხანია ველოდი თქვენთან საუბარს. მე წავიკითხე თქვენი ნარკვევი და თქვენი ქრონიკები „მთესველში"...

(დრო. არც უყურებს, ისე ასკვნის ცოტა დისტანციური გულწრფელობით) მშვენიერი ცხოვრება გაქვთ.

მისი ხმაც ვოლდშმუტის ხმასავით ხორხისმიერია, მეტიც, გაუთლელი სითამამით სავსე.

ვაჟი არაფერს პასუხობს. უცნაური არსება...

ბარუა *(დუმილის შემდეგ)*: ვოლდშმუტს არ უთქვამს ჩემთვის, რომ ისევაა დაკავებული ქიმიით.

ჟულია სწრაფად ატრიალებს თავს; ცეცხლი გაიელვებს გაქცეულ თვალებში...

ჟულია: ის არაფერს ჰყვება, რადგან მუშაობს, ეძებს... თავის თავს ჩაუთქვა, როდესაც ვიპოვი, ვიტყვიო...

ბარუა კითხვას არ უსვამს, მაგრამ მისი პოზა გამოხატავს შეკითხვას.

ჟულია: თქვენთან დასამალი არაფერი აქვს, ბატონო ბარუა, თქვენ ხომ ბიოლოგი ხართ.

(უფრო თბილი ხმით) ბიძაჩემი ფიქრობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ადამიანი შეძლებს, გარკვეული პირობების თავმოყრით სავსებით შესაბამის გარემოში, სიცოცხლის შექმნას... *(ძალიან უბრალო ღიმილი)*

ბარუა: სიცოცხლის შექმნას?

ჟულია: არ გჯერათ?

ბარუა *(გაოცებული)*: ვიცი, რომ ეს ჰიპოთეზა არაა დაუჯერებელი, მაგრამ...

ჟულია *(მკვირცხლად)*: ბიძაჩემი ამაში დარწმუნებულია.

ბარუა: ეს მშვენიერი ოცნებაა, მადმუაზელ. საბოლოოდ, არ არსებობს არანაირი საფუძველი, რომ მისი განხორციელება შესაძლებელი იყოს...

(ხმამაღლა ფიქრობს.) დღეს ცნობილია, რომ ადრე დედამიწის ტემპერატურა ძალიან მაღალი იყო იმისთვის, რათა ცოცხალი სინთეზი მომხდარიყო. იყო მომენტი, როდესაც არ იყო სიცოცხლე, შემდეგ სიცოცხლე გაჩნდა.

ჟულია: აი, ზუსტად მაგ კონკრეტული წამის აღდგენაშია საქმე...

ბარუა *(აზუსტებს)*: ნება მიბოძეთ. მე მთლად ეგრე არ მითქვამს. წამი, როდესაც სიცოცხლე გაჩნდა... უფრო სწორად, წამი, როდესაც, – გარკვეულ პირობათა გავლენით, რომლებიც ჯერ კიდევ აღმოსაჩენია, – მოხდა ცოცხალი სინთეზი იმ ელემენტებს შორის, რომელნიც უკვე არსებობდნენ დაუსაბამო დროიდან.

ჟულია *(ყურადღებით)*: და რა განსხვავებას პოულობთ ამ ორ ფორმულირებაში?

ბარუა *(ცოტა უხერხულობაში ჩავარდნილი საუბრის ტექნიკურ რელსებზე გადაყვანით)*: ღმერთო ჩემო, მადმუაზელ, რადგან მიმაჩნია, რომ გავრცელებული გამოთქმა: „სიცოცხლე გაჩნდა", სახიფათოა... ის ძალიან შეესაბამება იმ აკვიატებულ აზრს, რომელიც ყოველთვის სვამს დასაბამის პრობლემას...

ქალიშვილმა ფეხები გადააჯვარედინა, ერთ მუხლზე იდაყვით დაეყრდნო და ნიკაპი ხელებში მოიქცია.

ჟულია: მაგრამ იმის გასააზრებლად, რომ ცოცხალი სუბსტანცია არსებობს, აუცილებელია, ვარაუდი, რომ მან დაინყო არსებობა, რომ დასაბამი ჰქონდა.

ბარუა *(მკვირცხლად)*: პირიქით. მე სწორედ დასაბამის, მაგ იდეის აღქმა მეჩვენება შეუძლებლად! მაშინ ძალდაუტანებლად ვთანხმდები სუბსტანციის იდეას, რომელიც არის, რომელიც იცვლება და რომელიც მარადიულად განვითარდება.

ჟულია: ...მთელ სამყაროს მოიცავს...

ბარუა: ...და ქმნის ერთ კოსმიურ სუბსტანციას, რომელიც გადასცემს სიცოცხლეს ყველაფერს, რაც კი მისგან წარმოიშობა...

(დრო) თქვენ, უეჭველია, ბიძათქვენთან ერთად მუშაობთ, არა, მადმუაზელ?

ჟულია: ცოტას.

ბარუა: რადიუმის სხივზე ატარებთ ექსპერიმენტს?

ჟულია: დიახ.

ბარუა *(მეოცნებე)*: უეჭველია, რომ ქიმიის აღმოჩენებმა ბევრი საარსებო წყარო აღარ დაუტოვეს უფსკრულს, რომელიც ადრე სიცოცხლესა და სიკვდილს ჰყოფდა...

სიჩუმე.

ჟულია *(უთითებს საბეჭდ მანქანაზე)*: ნებას დამრთავთ განვაგრძო სამუშაო? ვიმედოვნებ, დიდხანს აღარ მოგიწევთ ცდა...

ჯდება საბეჭდ მანქანასთან, კაკუნი ავსებს ოთახს.

მისი სილუეტი მუქად ისახება მქრქალ მინაზე. შუქი ალმაცერად ეცემა მის ხელებს, უცნაური ხელები, უფრო თეთრი შიგნიდან, მაიმუნის სიმარდით მოხტუნავე; წვრილი თითები ყვითელი, ბრტყელი და გრძელი ფრჩხილებით.

გადის ხუთი წუთი.

ვოლდშმუტის ხმა: ჟულია!

ჟულია კარს აღებს.

ჟულია: ბიძია, აი, ბატონი ბარუა, სწორედ...

გაიწევა, რომ ბარუა გაატაროს.

ჩარჩო ვიწროა. ჟულია თითქოს ვერ ამჩნევს. არავითარი ქალური მოძრაობა. პირიქით, თავს წინ წევს, ისე ახლოს, რომ ბარუა მის სუნთქვას გრძნობს ლოყაზე.

ჟულია *(ხმადაბლა)*: არ უთხრათ, რომ გალოდინეთ.

თანხმობა თვალებით.

ვოლდშმუტის ოთახი ფართოვდება შემინული მინაშენით, ძველი ფოტოატელიე გადაკეთებული ლაბორატორიად.

ბარუა ოთახის სილრმისკენ მიიწევს, რომელიც წალოს წარმოადგენს.

ბავშვის სხეული ძლივს მოსჩანს თეთრეულიდან; ისეთი პატარა, რომ დიდრონი თავი ბალიშზე თითქოს მას არ ეკუთვნისო.

ბარუა: ჩემო საბრალო მეგობარო... გტკივათ?

ვოლდშმუტი: არა. *(ხელს არ უშვებს მის ხელს.)* ჟულია სკამს მოგცემთ...

ბარუა დაასწრებს და სკამს საწოლთან დგამს.

ჟულია გადის.

ვოლდშმუტი *(ნაზი სიამაყე, რომელიც ცდილობს იყოს მამობრივი)*: ჩემი დისწული.

ეს მისი ხმის ტემბრია; მაგრამ თვითონ ვერ იცნობ. ბამბის სახვევი უფარავს თმას, ცხვირს, წვერს, მხოლოდ ნახევრადდაფარული ღიმილი მოუჩანს და ყავისფერი თვალები, გაბანჯგვლული წარბების ქვეშ.

ვოლდშმუტი: მადლობას გიხდით, ბარუა, რომ მობრძანდით...

ბარუა: სამადლობელი არაფერია, ჩემო ძვირფასო. აბა, რა ხდება?

ვოლდშმუტი *(შეცვლილი ხმით)*: აჰ, ბარუა! საჭიროა, რომ ყველა პატიოსანმა ადამიანმა გაიგოს, რაც მოხდა... ის იქაა, ის მოკვდება შეურაცხყოფისგან... ის უდანაშაულოა!

ბარუა *(ეღიმება ავადმყოფის ამ აკვიატებულ აზრზე)*: კიდევ ეგ დრეიფუსი?

ვოლდშმუტი *(წამოიწევს იდაყვებზე, აღგზნებული)*: გეხვეწებით, ბარუა, გემუდარებით, ყველაფერი კეთილშობილისა და სამართლიანის სახელით, განაგდეთ ყველა წინასწარ აკვიატებული აზრი, დაივიწყეთ ყველაფერი, რაც ამ ორი წლის განმავლობაში გაგიგონიათ ან გაზეთებიდან შეგიტყვიათ... გემუდარებით, ბარუა, მომისმინეთ!

(ეცემა ბალიშზე.) აჰ, ყოველთვის ამბობენ: კაცობრიობის სიკეთე... დიახ, ადვილია ზოგადად კაცობრიობით, ანონიმური მასით დაინტერესება, იმათით, ვის ტანჯვასაც ვერასოდეს დაინახავ! *(ნერვული სიცილი)* მაგრამ ეს, ეს არაფერია, არარაა. გიყვარდეს მოყვასი შენი, მართლა ახლობელი, ახლოს მყოფი, ის, ვისი ტანჯვა-წვალება ერთ დღეს, აქ, შენთან ახლოს მყოფი... სწორედ ესაა სიყვარული, სწორედ ესაა კარგი ადამიანობა!

(წამოიწევს.) ბარუა, გევედრებით, დაივიწყეთ ყველაფერი, რაც იცით და მისმინეთ!

ამ კაცის, სახვევების უფორმო კუნძის, მთელი სიცოცხლე მზერაშია შეფარებული, ერთადერთ შეუფუთავ, თავისუფალ ადგილში, მზერა მოძრავი და მგზნებარე, რომელიც გემუდარება, რომელიც სულში გიძვრება.

ბარუა, აღელვებული, ხელს ალერსით უწვდის.

ბარუა: გისმენთ! ნუ ნერვიულობთ...

ვოლდშმუტი ერთ წამს გონებას იკრებს.

შემდეგ ზენრის ქვეშიდან გამოაქვს ერთი ნაბეჭდი დასტა და ცდილობს გადაფურცლოს. მაგრამ, ახლა, სიბნელეა ჩამონოლილი ოთახის სიღრმეში.

ვოლდშმუტი *(ეძახის)*: ჟულია! ცოტა შუქი მომაშველე, გთხოვ... საბეჭდი მანქანის ხმა წყდება.

ჟულია გამოჩნდება, ხელში ნავთის სანათურით, რომელსაც მკვირცხლად დებს ღამის მაგიდაზე.

ვოლდშმუტი: გმადლობ.

ქალიშვილი ცივ ღიმილს გადმოუგდებს. კაცი ნაზად აყოლებს თვალს თავისი სახვევებიდან, სანამ კარს არ მიეფარება.

შემდეგ ბარუასკენ ატრიალებს თავს.

ვოლდშმუტი: სულ თავიდან უნდა დავიწყო, თითქოს თქვენ არასდროს არაფერი გაგეგონოთ...

(იცვლის ტონს.) მივუბრუნდეთ 1894 წლის დასაწყისს.

ჯერ ფაქტები, არა?

მაშ, სამხედრო სამინისტროში ადასტურებენ დოკუმენტების გაქრობას. შემდეგ ერთ დღეს, კონტრდაზვერვის სამსახურს სამინისტროში მიაქვს წერილი, რომელიც გერმანიის საელჩოს ქაღალდებში უპოვიათ. ხელნაწერი წერილი, რაღაც ანგარიშის ამონაწერის მაგვარი თუ დოკუმენტების ნუსხა, რომელთაც წერილის ავტორი გადასაცემად სთავაზობს თავის კორესპონდენტს.

აი, საწყისი წერტილი. კეთილი.

ეძებენ დამნაშავეს. ნუსხაში ჩამოთვლილი ხუთი დოკუმენტიდან სამს არტილერიის შტრიხები აქვს; ეძებენ არტილერიის შტაბში. ხელწერის მსგავსების მიხედვით, ეჭვი დრეიფუსზე მიაქვთ. ებრაელია, ნაკლებად საყვარელი. პირველი დაკითხვა შედეგს არ იძლევა.

ბარუა: თქვენ ამბობთ ამას.

ვოლდშმუტი: საბუთი, საბრალდებო ოქმი, ბრალდებამ ვერაფერი საეჭვო ვერ იპოვა ვერც დრეიფუსის პირად ცხოვრებაში და ვერც მის ურთიერთობებში. ვერაფერი გარდა ვარაუდებისა...

ბარუა: თქვენ საბრალდებო დასკვნა წაიკითხეთ?

ვოლდშმუტი *(აჩვენებს ფურცელს)*: ასლი მაქვს. მოგცემთ.

სიჩუმე.

ვოლდშმუტი: მაშინ ორ ექსპერტს რთავენ პროცესში. ერთი ფიქრობს, რომ ნუსხა არაა დრეიფუსის მიერ დაწერილი. მეორეს ჰგონია, რომ შესაძლოა ის იყოს მისი ხელით დაწერილი, მაგრამ მისი ოქმი იწყება ძირითადი შენიშვნით.

(ეძებს ქაღალდებში.) აი, ტექსტი: „...თუ გვერდზე გადავდებთ ჰიპოთეზას დიდი რუდუნებით დაწერილი ტექსტისას...“

რაც იმას ნიშნავს, არა? რომ ნაწერი ძალიან ჰგავს დრეიფუსისას, მაგრამ მე არ შემიძლია ვთქვა, ეს მისია თუ მიმბაძველისა.

მისმენთ, ბარუა?

ბარუა *(ძალიან ცივად)*: გისმენთ.

ვოლდშმუტი: ამ ორი წინააღმდეგობრივი ექსპერტიზის საფუძველზე გადაწყვიტეს დაპატიმრება... დიახ... არ დაუცადეს დამატებით დაკითხვას, თვალთვალიც კი არ დაუნიშნავთ, ეჭვმიტანილის წასვლა-მოსვლას რომ დაჰკვირვებოდნენ... მორალურად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ის იყო. ეს საკმარისი აღმოჩნდა, დააკავეს.

ახლა, დრამატული ინციდენტი, რომელიც მინდა მოგიყვეთ.

დრეიფუსი, ერთ დილას, სამინისტროში გამოიძახეს გენერალური ინსპექციისთვის. უბრძანეს, ყველა ნესის საწინააღმდეგოდ, სამოქალაქო ტანსაცმლით გამოცხადებულიყო. პირველი გაოცება. შენიშნეთ, რომ თუ ის დამნაშავე იყო, ფრთხილად იქნებოდა და დროც ჰქონდა გაქცეულიყო. მაგრამ არა. ის მშვიდად მივიდა, დათქმულ დროს, და ვერც ერთი ამხანაგი ვერ ნახა, რომელთაც ჩვეულებისამებრ მასთან ერთად იბარებდნენ ხოლმე. ახალი გაოცება.

ის ნაჩქარევად შეჰყავთ გენერალური შტაბის უფროსთან. გენერალი იქ არაა; მაგრამ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული უცნობები არიან ერთ კუთხეში მიმდგარნი და მას ათვალიერებენ. ერთი მეთაური, ისე, რომ გამოძიებაზე არც კი ელაპარაკება, ეუბნება: „თითი მაქვს ნატკენი, ჩემ მაგივრად წერილს ხომ არ დაწერთო“?

უცნაური მომენტია დაქვემდებარებულისთვის მეგობრული დახმარების სათხოვნელად... რაღაც საიდუმლო გეგმის სუნი ტრიალებს. სიტყვები, ქცევა, ყველაფერი უჩვეულოა...

დრეიფუსი ჯდება, შეცბუნებული.

მეთაური მაშინვე ინყებს კარნახს: იმ ნავსი დანართი ფურცლის ფრაზები. ბუნებრივია, დრეიფუსი ვერ ცნობს; მაგრამ ზემდგომი ოფიცრის მტრული ხმა და ის დრამატული ატმოსფერო, რომელიც მოსვლის წუთიდანვე ბოჭავს, აღიზიანებს, ეს მის ნაწერზეც ისახება. მეთაური მისკენ იხრება და უყვირის: „ცახცახებთ“! დრეიფუსი ვერ ხვდება ხასიათის ამ მოძრაობას და ბოდიშს იხდის: „თითებზე მცივა...“

კარნახი გრძელდება. დრეიფუსი ცდილობს უკეთ წეროს. იმედგაცრუებული მეთაური აწყვეტინებს: „ყურადღებით იყავით, ეს მნიშვნელოვანია“! და უეცრად: „კანონის სახელით დაპატიმრებული ხართ“!

ბარუა *(შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი)*: კი მაგრამ, საიდან მომითხრობთ ყოველივე ამას? „ეკლერი“ ფაქტებს სულ სხვაგვარად აღნერს.

(ის დგება და რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს ჩაბნელებულ ოთახში) რატომ დავიჯერო, რომ თქვენი მოყოლილი ამბავი სიმართლეა?

ვოლდშმუტი: მე ვიცი, საიდან მოდის „ეკლერის“ ცნობები. დაკავების სცენა დაამახინჯეს.

(ხმას უდაბლებს.) ბარუა, მე ხელთ მქონდა კარნახის ფოტოგრაფია... ჰო, კარგი! ემოცია, რომელსაც ის გამოხატავს, უმნიშვნელო და ძალიან ადვილად ასახსნელია. – ყოველ შემთხვევაში, მე გიმტკიცებთ, რომ მოღალატე, რომელმაც იცის, რომ აღმოაჩინეს, და რომელსაც

კარნახობენ იგივე სიტყვებს, რაც მან ღალატისთვის გამოიყენა, ასე ვერ დაძლევდა მღელვარებას, ეს შეუძლებელია!

ბარუა არ პასუხობს.

ვოლდშმუტი: და კიდევ, სხვა რამეც ვიცი. დაპატიმრების ორდერი კარნახამდე ერთი დღით ადრე იყო გამონერილი; და დაპატიმრება ისე მტკიცედ იყო გადაწყვეტილი, რომ იმ დილით რაც არ უნდა მომხდარიყო, ციხის საკანი მისთვის უკვე წინა ღამიდან იყო გამზადებული!

ბარუა ისევ არაფერს პასუხობს.

ჯდება საწოლის სასთუმალთან, გულზე ხელდაკრეფილი, გამართული, ოდნავ უკან თავგადაწეული, წარბებაზიდული, ნებისყოფიანი ნიკაპი გამომწვევად აქვს აწეული.

სიჩუმის წამი.

ვოლდშმუტი ათვალიერებს თავის ნაწერებს. შემდეგ თავს სწევს და ბარუასკენ გადმოიხრება.

ვოლდშმუტი: ასე და ამგვარად, დრეიფუსი დაპატიმრებულია. თხუთმეტი დღის განმავლობაში, ჭკუიდან შეშლის შიშით, არ უმხელენ დაკავების მიზეზს, არ ეუბნებიან, რაშია დადანაშაულებული.

ამ თხუთმეტი დღის განმავლობაში ატარებდნენ გამოძიებას. უტარებენ დაკითხვებს, ყველანაირი ხერხით ცდილობენ აღიარება მოიპოვონ, უშედეგოდ. მის სახლში ატარებენ ჩხრეკას. დაუნდობელი სისასტიკით კითხავენ მის ცოლს, არ უმხელენ, სადაა მისი ქმარი, არწმუნებენ, რომ ხელს მოაწერს მის სიკვდილზე, თუ ვინმეს შეატყობინებს მისი გაუჩინარების ამბავს.

ბოლოს, მეთხუთმეტე დღეს, დრეიფუსს აჩვენებენ ჩანაწერს. ის მტკიცედ, უიმედოდ უარყოფს; არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; წინასწარი გამოძიება დამთავრებულია.

სამხედრო საბჭოს პროკურატურა ერთვება საქმეში. ახალი გამოძიება იწყება. დრეიფუსს ხელახლა დაკითხავენ, ზეწოლას ახორციელებენ, ათასნაირ დარჯაკში ატარებენ; უსმენენ მოწმეებს; ეძებენ თანამზრახველებს. ამაოდ. გამოძიება ვერანაირ სერიოზულ შედეგამდე ვერ მიდის.

მაშინ, ბარუა, თვით ომის მინისტრი ერთვება საქმეში და პირველად აგდებს სასწორზე თავის სიტყვას. პრესასთან ინტერვიუში ის აცხადებს, რომ დრეიფუსის დანაშაული აბსოლუტურად გამოკვეთილია, და რომ მეტის თქმა არ შეუძლია.

რამდენიმე კვირის შემდეგ დრეიფუსს დახურულ სხდომაზე

ასამართლებენ, სასჯელს გამოუტანენ, სამხედრო წოდებას აპყრიან და გადაასახლებენ.

ბარუა: კეთილი, ჩემო კარგო, ვნახოთ, თქვენ შეძრული ხართ ამგვარი განაჩენის გამოტანით, არა? თუ, მართლა, არავითარი სერიოზული სამხილი არ იყო დრეიფუსის წინააღმდეგ, თქვენ ფიქრობთ, რომ ოფიცრებმა?...

ვოლდშმუტი *(წუხილით)*: დიახ, ვამბობ, ვამტკიცებ, რომ ოთხდღიანი სასამართლო განხილვისას უცილობლად დამტკიცდა, რომ დრეიფუსს არ ჰქონია არავითარი საეჭვო კავშირები, რომ მისი უცხოეთში მოგზაურობები, მისი ფინანსური გასაჭირი, მისი მავნე მიდრეკილება თამაშისადმი და სასიყვარულო კავშირები, ყველაფერი, რაც ანტისემიტურმა პრესამ გაავრცელა, რათა მის წინააღმდეგ აემხედრებინა საზოგადოებრივი აზრი, უსაფუძვლო მონაჩმახი იყო.

ბარუა *(მხრების ჩეჩვით)*: და, მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა ორი გენერალი, ორი მეთაური, ორი კაპიტანი, რომლებიც... ვნახოთ, ჩემო კარგო, კმარა!...

ავადმყოფის ანთებულ მზერაში კმაყოფილების სხივი გაკრთება. კარგია, რომ ვერ არწმუნებს, რაც უფრო დიდი იქნება წინააღმდეგობა, მით უფრო ძლიერი იქნება საბოლოო დაჯერება და ბარუას აღშფოთება.

ვოლდშმუტი *(მაღლა სწევს დაბეჭდილ ფურცლებს)*: აქაა მთელი სიმართლე.

ბარუა: ეგ რაღაა?

ვოლდშმუტი: სამახსოვრო ჩანაწერები, ბარუა, უბრალო ჩანაწერები... შედგენილი ერთი უცნობი, გულისხმიერი, ნათელი გონებისა და მტკიცე ლოგიკის მქონე კაცის მიერ.

ბარუა: და რა ჰქვია მაგ კაცს?

ვოლდშმუტი *(პატივისცემით)*: ბერნარ ლაზარი.

ბარუა ხელებს შლის, არ ვიცნობო.

ვოლდშმუტი: ბოლომდე უნდა მომისმინოთ. ჯერ არ დამიმთავრებია! ვიწყებ... მე თქვენ დაგიძახეთ, სწორედ თქვენ, რომ გცოდნოდათ, რა ხდება, მაგრამ კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს.

(მოულოდნელი, დაჟინებული ავტორიტეტულობით.) ბარუა, უნდა დავამარცხოთ ეს სიცრუის შეთქმულება, ეს გადაკრული სიტყვები და დუმილი, რომელიც პირში ბურთს სჩრის სიმართლეს. საჭიროა, რომ სანდო სიტყვა გაისმას... რომ ადამიანმა, ვისი პატიოსნება და პირდა-

პირობაც ყველასთვის ცნობილია, ყველაფერი შეიტყოს, ყველაფერი გაიგოს და ხმა აღიმაღლოს, ყველა ჩვენგანის სახელით!

ის ხელებზე წამოიწევს და ბარუას აკვირდება, უნდა გაიგოს, მიხვდა თუ არა მის სურვილს.

პატარა ლამპით განათებული ბარუას სახე მკაცრი და შეუვალი რჩება.

ვოლდშმუტი *(აზუსტებს სათქმელს მავედრებელი ხმით)*: ერთი სიტყვით, საჭიროა, რომ ლიუსმა მიიღოს ბერნარ ლაზარი. *(ბარუა შეინძრევა.)* საჭიროა დასთანხმდეს მის მოსმენას, წინასწარ აკვიატებული აზრის გარეშე, თავის კეთილ ნებასა და პატიოსნებას მიუგდოს ყური.

(აფრიალებს ფურცლებს.) ეს მოწოდება ასი ათასობით ეგზემპლარად უნდა დაიბეჭდოს!

ესაა სამართლიანობის მისია, რომელსაც ვერც მე, ვერც თქვენ და ვერც ის ვერსად გავექცევით!

ბარუა თითქოს ადგომას აპირებსო.

ვოლდშმუტი: მოიცადეთ, ბარუა, ნურაფერს იტყვით. არა, არა და არა, ნურაფერს მეტყვით... მოითმინეთ, მომისმინეთ... *(მავედრებელი)* გულს ნუ იქვავებთ, ბარუა... თქვენ თვითონ განსაჯეთ. ოღონდ მიუკერძოებელი იყავით... მინდა ფრაგმენტები წაგიკითხოთ, მინდა სამართლის ძიების ამ გოდებამ შეგძრათ...

(აღგზნებულად) ჯერ, ეს ვნახოთ:

„კაპიტანი დრეიფუსი დაკავებულ იქნა ორი ურთიერთგამომრიცხავი ექსპერტიზის საფუძველზე.

გამოძიება ჩატარდა უკიდურესად უკანონოდ. მან დაამტკიცა მხოლოდ კაპიტან დრეიფუსზე მოგონილი მონაჩმახების სრული უაზრობა და პოლიციელების ჩვენებათა სიცრუე, რომელნიც გაბათილებულნი იყვნენ მოწმეთა მიერ და რომელთა გამოყენებაც საბრალდებო მხარემ ველარ გაბედა.

ამგვარად, ბრალდების საფუძვლად რჩება ფარატინა ქაღალდი – რაღაც გასაგზავნი ამონაწერი, უცნაური სტილისა და ორთოგრაფიისა, – ოთხად გადახეული და შემდეგ რუდუნებით შეწებებული.

საიდან გაჩნდა ეს ფურცელი? ბ-ნი ბექსონ დ'ორმეშევილის პატაკის მიხედვით, გენერალმა უუმ, როდესაც ეს ქაღალდი სასამართლო პოლიციის ოფიცერს გადასცა, განაცხადა, რომ დოკუმენტი მინერილი იყო უცხო ქვეყნის მთავრობისადმი და რომ მასთან მოხვდა, მაგრამ

თუ რა გზებით ჩაუვარდა ხელთ, ამის თქმა სამხედრო სამინისტროს ოფიციალური ბრძანების თანახმად, არ შეუძლია.

მაშ, საბრალდებო მხარემ არ იცის, როგორ გააგზავნა ეს დაუთარიღებელი და ხელმოუწერელი დოკუმენტი ბრალდებულმა. დაცვამ არ იცის, თუ რა გზებით დაბრუნდა იგი საელჩოდან, რომელშიც იყო. ვინ იყო წერილის ადრესატი, ვინ მოიპარა თუ მოიტანა? ყველა ამ კითხვაზე, პასუხი არაა".[1]

(წყვეტს კითხვას) სხვაგანაც აქვს აღნიშნული ამ დოკუმენტის საეჭვოობა. (განაგრძობს კითხვას.) ნახეთ:

„თვით ეს დოკუმენტი ნამდვილია? არა.

განვიხილოთ მისი ნარმომავლობა, ან უფრო სნორად, ნარმომავლობა, რომელსაც მას მიანერენ. ბ-ნი მონვილის თანახმად (ჟურნალი, 16 სექტემბერი, 1896), იგი იპოვეს გერმანიის საელჩოში, ნვრილი მოხელის მიერ, რომელსაც ჩვევად ჰქონდა ფრანგი აგენტებისთვის გადაეცა გადაყრილი ქაღალდების ყუთის შიგთავსი. იყო კი ოდესმე გერმანიის საელჩოში ვინმე, ვინც ამგვარი საქმით იყო დაკავებული? დიახ. ეს შეუმჩნეველი დარჩა საელჩოს? არა, როდის შეიტყო საელჩომ ამის შესახებ? დრეიფუსის პროცესამდე ერთი ნლით ადრე. რა ვითარებაში? ახლავე გეტყვით".

(წყვეტს) გამოგიტოვებთ ქ-ნ მილკამპის პროცესის მონათხრობს გამოსასნორებელ პოლიციაში. თქვენ თვითონ ნაიკითხავთ...

(კვლავ იწყებს კითხვას)

მაშ ასე, დრეიფუსის პროცესამდე ერთი ნლით ადრე გერმანიის საელჩოში იცოდნენ, რომ ქაღალდების ნაგლეჯები გადაეცემოდა ფრანგ აგენტებს. მაგრამ ერთი ნლის შემდეგ არ იცოდნენ, ამ საქმით დაკავებული პირი ისევ მუშაობდა საელჩოში თუ არა. ამიტომ უსაფრთხოების ზომები უკიდურესად იყო გამკაცრებული და დიდ სიფრთხილესაც იჩენდნენ.

„განა დასაშვებია, რომ ასეთი ძვირფასი აგენტის მაკომპრომეტირებელი საბუთი ოთხად გადაეხიათ და ნაგვის ყუთში ჩაეგდოთ, იცოდნენ რა, რომ იგი უეჭველად მოხვდებოდა სამხედრო სამინისტროს დაზვერვის განყოფილებაში?

ამგვარად, ნარმომავლობა, რომელსაც ამ ამონაწერს თუ ჩამონათვალს მიანერენ, არაა სარწმუნო, თუ არ დავუშვებთ, რომ ეს ჩანაწერი

[1] ბერნარ ლაზარი: სიმართლე დრეიფუსის საქმეზე. ახალი გამოცემა, 1898 (80 და შემდეგი გვერდები).

გააკეთა ვილაც ფალსიფიკატორმა, რომელიც დაკავშირებული იყო გერმანიის საელჩოს რომელიღაც წვრილ მოხელესთან, რომელიც უკვე დიდი ხნის შეკრული იყო ფრანგებთან; ყალბი ჩანაწერი, რომელიც შეიცავდა სხვა დოკუმენტების ჩამონათვალს, არავისაც არ გადაგზავნია, ამ მოხელის მეშვეობით მოხვდა საელჩოში და შემდეგ ჩვეული გზით გამოვიდა იქიდან.

ახლა შევეხოთ დოკუმენტის ნამდვილობას. რა საჭიროებას წარმოადგენს მოღალატისთვის, დოკუმენტების გადაგზავნისას, ყოვლად უსარგებლო და მაკომპრომეტირებელი ჩამონათვალის დართვა? როგორც წესი, ჯაშუში ან მოღალატე, უპირველესად, ფრთხილობს, თავისი ნამოქმედარის არავითარი კვალი არ დატოვოს. თუ დოკუმენტები აქვს გადასაცემი, ის ამას სანდო პირთა მეშვეობით მოახერხებს და არავითარ შემთხვევაში არ დაწერს. სხვათა შორის, აღსანიშნავია ისიც, რომ საბრალდებო აქტში დიდი გაუგებრობაა იმის თაობაზე, თუ ამგვარი თანმდევი ნუსხა როგორ უნდა ყოფილიყო გადაცემული. ფოსტით? რა სიგიჟეა! ვინმე შუამავლის მეშვეობით? მაშინ რაღა საჭირო იყო თანმდევი ნუსხის გადაცემა? რატომ ჩამოწერდა გადასაცემი დოკუმენტების ჩამონათვალს, უმჯობესი არ იყო ხელიდან ხელში გადაეცა ისინი?

ამ ორივე ჰიპოთეზის აბსურდულობა იმდენად თვალსაჩინოა, რომ საბრალდებო აქტის შემდგენლებმა თავის არიდება ამჯობინეს".[1]

(წყვეტს კითხვას.) მისმენთ, ბარუა?

ბარუა არაფერს პასუხობს და უხეში მოძრაობით ანიშნებს, განაგრძეო.

ის აღარ ცდილობს გულგრილი პოზის შენარჩუნებას. იდაყვები მუხლებზე დაუყრდნია, ზურგში მოხრილა, ნიკაპი ხელებში აქვს ჩარგული, ჯიუტად მიჯაჭვია ამ მარმაშებით შებოჭილ თავს, რომლის არც ერთი მოძრაობა მხედველობიდან არ რჩება; ნესტოები უცახცახებს, ნერვიულად ამოძრავებს ულვაშებქვეშ შეფარებულ, ოდნავ გაღებულ ტუჩებს. უსმენს, გაგრძელებას ელოდება, წუხილით სავსე გული გამალებით უცემს, კიდევ აქვს იმედი, რომ ეს ყოველივე არაა სიმართლე.

ვოლდშმუტი *(დაკვირვებით შეთვალიერების შემდეგ)*: ვაგრძელებ...

„ორთვიანი დაკითხვებისა და გამოძიების შემდეგ დაადასტურეს, რომ კაპიტან დრეიფუსს საეჭვო კავშირები ჰქონდა? არა, მაგრამ ამ

[1] დას.ნაშრ. გვ. 74.

უცნაურ ბარათში წერია: შეტყობინების გარეშე, რომ თქვენ ჩემი ნახვა გსურთ. მაშ, ის ხვდებოდა იდუმალ ადრესატს? გამოიკვლიეს მისი ცხოვრება, ყველა ნაბიჯი გადაქექეს, შეისწავლეს მისი ყოველი ქმედება, ვერავითარი მაკომპრომეტირებელი შეხვედრა ვერ აღმოაჩინეს...

მბრალდებლებმა ვერ წარმოადგინეს ვერც ერთი ფაქტი, ვერც ერთი მტკიცებულება, რომ კაპიტან დრეიფუსს ჰქონდა რაიმენაირი ურთიერთობა უცხოელ აგენტთან, თუნდაც სამსახურეობრივი, გენერალური შტაბისგან დავალებული!

...რა მოტივით უნდა ჩაედინა კაპიტან დრეიფუსს ღალატი, რომელშიც ბრალს სდებენ? გაჭირვებული იყო? არა, მდიდარი იყო. ჰქონდა მავნე ვნებები და მიდრეკილებები? არა, ფულს დახარბებული და ძუნწი იყო? არა, ხელგაშლილად ცხოვრობდა და არ ზრუნავდა ქონების გაზრდაზე. იქნებ ავადმყოფი იყო, იმპულსური ადამიანი, გაუაზრებელი მოქმედებები ახასიათებდა? არა, მშვიდი, გაწონასწორებული, მამაცი და ენერგიული კაცი გახლდათ. რა ძლევამოსილ მიზეზებს უნდა აეძულებინათ ეს ბედნიერი კაცი, თავისი კეთილდღეობა საფრთხეში ჩაეგდო? არავითარს.

ამ კაცს, რომელსაც არაფერი უბიძგებს ბოროტებისკენ, ვისი სახელიც არაფრითაა შებღალული, ვინც, როგორც გამოძიებაც ადგენს, არის პატიოსანი, შრომისმოყვარე, ღირსეული და ნესიერი პირად ცხოვრებაშიც, – ამ კაცს წინ უდებენ უცნაურ, საეჭვო, კაცმა არ იცის, საიდან მოტანილ ქაღალდს და ეუბნებიან: „ეს შენი დაწერილია. სამი ექსპერტი ადასტურებს, ორი უარყოფსო." ეს კაცი, თავის წარსულზე დაყრდნობით, ამტკიცებს, რომ არასდროს ჩაუდენია მსგავსი ქმედება, აპროტესტებს, ამტკიცებს თავის უდანაშაულობას; მის ღირსეულ ცხოვრებას ცნობენ, მაგრამ ექსპერტთა ურთიერთგამომრიცხავ დასკვნებზე დაყრდნობით, მუდმივ გადასახლებას უსჯიან"![1]

სიჩუმე.

ვოლდშმუტი: და აი, კიდევ რას წერს ლაზარი საიდუმლო მიმოწერის შესახებ:

„ეს, რა თქმა უნდა, არ იყო საკმარისი.

მხოლოდ ამ მტკიცებულების ხელთ მქონე სამხედრო სასამართლო გადაიხარა გამამართლებელი განაჩენის გამოტანისკენ.

სნორედ მაშინ გენერალმა მერსიემ, საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი დადებული მტკიცე ფიცის მიუხედავად, გადაწყვიტა საიდუმ-

[1] დას.ნაშრ. გვ 81 და შემდეგი გვერდები.

ლოდ წარმოედგინა – ისე, რომ ადვოკატიც არ დასნრებია – სათათბირო ოთახში გასული სამხედრო სასამართლოს წევრებისთვის უმნიშვნელოვანესი საბრალდებო დოკუმენტი, რომელსაც აქამდე ინახავდა. რა დოკუმენტი იყო ეს?

ის შეეხებოდა, როგორც გაზეთი „ეკლერი" წერს, პარიზში მოქმედ ჯაშუშურ ორგანიზაციას და შეიცავდა შემდეგ წინადადებას: ეს პირუტყვი დრეიფუსი მეტისმეტად მომთხოვნი ხდება.

არსებობს ეს წერილი? დიახ, გადაეცა ის საიდუმლოდ მოსამართლეებს? დიახ.

„ეკლერის" მიერ ციტირებული ფრაზა არის ამ წერილში?

ვამტკიცებ, რომ არ არის.

ვამტკიცებ, რომ პირმა, რომელმაც გადასცა დოკუმენტი „ეკლერს", – რომლის გასაჯაროებასაც შესაძლო დიპლომატიური გართულებების შიშით იმდენად ერიდებოდნენ, რომ მხოლოდ ამის მიზეზით მოითხოვეს დახურული სასამართლო სხდომა, – რომ ეს პირი არ მოერიდა კიდევ ერთი უმსგავსობა მიემატებინა იმისთვის, რაც უკვე ჩადენილი იყო, ამ ძირითადი დოკუმენტის გაყალბება, რომლის პუბლიკაციასაც საბოლოოდ უნდა დაერწმუნებინა თითოეული ადამიანი ამ უბედურის ბრალეულობაში, რომელიც აგერ უკვე ორი წელია, უსამართლოდ ენამება.

მოსამართლეებისადმი გადაცემული წერილი არ შეიცავდა დრეიფუსის გვარს, არამედ მხოლოდ ინიციალ „დ"-ს.

1896 წლის პირველითნოემბრის „ეკლერი" არ უარყოფს ჩემს მტკიცებულებას, მაგრამ მაინც საჭიროდ მიმაჩნია დავაზუსტო:

წერილი, რომელიც ცხრაკლიტულში ინახებოდა და პირველად გამოსაქვეყნებლად გადაეცა „ეკლერს", სამხედრო სამინისტროში საგარეო საქმეთა სამინისტროდან მოვიდა დრეიფუსის პროცესამდე დაახლოებით რვა თვით ადრე.

სიმართლეა, რომ წერილი არ შეიცავს დრეიფუსის გვარს, რადგან გარკვეული ხნის განმავლობაში სამხედრო სამინისტროში ძიება მიდიოდა და უთვალთვალებდნენ ერთ-ერთ საბრალო რიგით მუშაკს, რომლის გვარიც ასო დ-ზე იწყებოდა. ეს თვალთვალი მალევე შეწყდა, როგორც კიდევ ერთი-ორი უფრო მოგვიანებით წამოწყებული, შემდეგ ეს ასო „დ" მივიწყებას მიეცა. არავითარი ეჭვი დრეიფუსზე არ აღძრულა *(კიდევ ერთი მტკიცებულება, რომ მასზე თავიდან ეჭვი არ ჰქონდათ)* და ეს წერილი მხოლოდ მას შემდეგ გაიხსენეს, რაც აღმოჩნდა და დრეიფუსს მიაწერეს თანდართული ნუსხა.

მაშასადამე, 1896 წლის 15 სექტემბრის „ეკლერის" მონათხრობი არაა ზუსტი.

საჭიროა ახლა ამ წერილის სანდოობის განხილვა?

დავუშვათ, რომ რომელიღაც უცხო სახელმწიფოს გაუმართლა და გადაიბირა გენერალური შტაბის ოფიცერი მისთვის კონფიდენციალური დოკუმენტების მიმწოდებლად. ეს სახელმწიფო ყოველგვარ ღონეს იხმარს მის შესანარჩუნებლად, თვალის ჩინივით გაუფრთხილდება, უკიდურეს სიფრთხილეს გამოიჩენს, რომ ყოველგვარი ეჭვი აარიდოს... მეორე მხრივ, ეს უცხო სახელმწიფო, ელემენტარული სიფრთხილის გამო, თავის ვალად ჩათვლის სხვები არ ჩართოს ამ საიდუმლოში და კომპრომეტირება არ გაუწიოს თავის ასეთ ძვირფას აგენტს და მით უფრო წერილში, რომელიც შესაძლოა სხვის ხელთ ჩავარდეს, რაღა თქმა უნდა, არ მოიხსენიებს იმ ოფიცრის ინიციალებს, რომელსაც მისთვის დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია.

ამგვარად, დადგენილი რჩება, – იქამდე, სანამ მთავრობა მოახერხებდეს უარყოფას, – რომ კაპიტან დრეიფუსს სასჯელი გამოუტანეს საკმარისი მტკიცებულებების გარეშე და მოსამართლეებს თვალწინ დაუდეს წერილი, რომელსაც საგულდაგულოდ უმალავდნენ ბრალდებულსაც და დაცვასაც.

პროცესის განმავლობაში მათ არაფერი იცოდნენ ამ წერილის შესახებ. ამდენად, არც შედავება შეეძლოთ, არც მის საეჭვო წარმომავლობაზე კამათი და არც განაჩენის გაპროტესტება, რომელიც მხოლოდ იმაზე იყო დაფუძნებული, რომ წერილში მოხსენიებული ადამიანის გვარი ასო დონ-ზე იწყებოდა, სხვა მინიშნება კი მის პიროვნებაზე არ არსებობდა.

განა დასაშვებია ვინმესთვის განაჩენის გამოტანა ისე, რომ ელემენტარული თავდაცვის საშუალება არ მიეცეს? განა შემზარავი არაა სასამართლოს სხდომათა დარბაზის გარეთ რომ შესაძლოა მოსამართლეების გადაწყვეტილებაზე, აზრზე, განაჩენზე ზეწოლის მოხდენა? ნებადართულია სათათბირო ოთახში ვინმეს, ვინც არ უნდა იყოს იგი, შესვლა და მოსამართლისთვის თქმა: „დაივიწყე ყოველი, რაც იმ კაცის სასარგებლოდ გაიგონე, ვისაც ასამართლებ". ჩვენ ხელთ გვაქვს დოკუმენტები, რომელიც, სახელმწიფო თუ დიდი პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე, მას დავუმალეთ და შენგან კი მოვითხოვთ ეს საიდუმლოდ შეინახო. ჩვენ გარწმუნებთ, რომ ეს დოკუმენტები დედნები და ნამდვილიაო. და აი, ამის საფუძველზე სა-

სამართლოს გამოაქვს განაჩენი! არც ერთი მისი წევრი არ წამოდგა და არ თქვა: „აქ ჩვენგან ითხოვენ სამართლიანობის საწინააღმდეგო ქმედებას, ჩვენ არ უნდა დავთანხმდეთ!"

საზოგადოებრივი აზრი იმდენად იყო გზაკვალარეული, მას ისე წარუდგინეს კაცი, რომელსაც განაჩენი გამოუტანეს, როგორც უკანასკნელ სალახანას, რომ ყოველგვარი შებრალება წარმოუდგენელი გახდა. საზოგადოებრივ აზრს შეშფოთებაც არ უფიქრია იმის შესახებ, თუ რა მეთოდებით მოხდა ბრალის გამოტანა იმ ადამიანისთვის, ვინც მდაბალ, საძაგელ მოღალატედ იყო დახატული. თვით მათაც კი, ვისი პატრიოტიზმიც აღშფოთებულია, ნებისმიერ მომენტში, თუ საქმე ოფიცრის ღირსების შელახვას ეხება, ამ შემთხვევაში ყურადღება აღარ მიაქციეს გამოყენებულ ხრიკებს, რადგან ისინი წინასწარვე დაარწმუნეს, შეურაცხყოფილი სამშობლოს სახელით, რომ აუცილებელი იყო, ყველა ღონის ხმარებით, უმკაცრესი სასჯელის გამოტანა.

ასე რომ არ ყოფილიყო, ათასობით ადამიანი ხმას აღიმაღლებდა – ალბათ, ხვალ აღიმაღლებს, როდესაც წინასწარი შეგონებანი გაიფანტება, – და პროტესტს გამოთქვამდა სამართლიანობის სახელით. იტყოდნენ: თუ შევეგუებით ხელისუფლების მსგავს ბოროტად გამოყენებას, თვითნებურ, უკანონო ქმედებებს, თითოეული ჩვენგანის თავისუფლება ხელყოფილი იქნება და ის პროკურორის ნების სამადლოდ შეიქნება და ყველა ბრალდებული მოქალაქე მოკლებული იქნება დაცვის ელემენტარულ გარანტიებს".[1]

ბარუა შუბლს ხელებით ისრესს. უძრავად ზის. სახე შერყეული აქვს წუხილისა და სიბრალულისგან, უიმედოდ დასცქერის, თავის ფეხებთან, ორად გაბზარულ და ჭუჭყით შენებებულ ფილას.

ვოლდშუტი *(მისი დაბალი ხმა გატეხილია დაღლილობითა და მღელვარებით, ღრმად დამწუხრებული განაგრძობს კითხვას)*:

„ჯერ კიდევაა დრო გონზე მოსვლის. რომ შემდგომ ვერავინ შეძლოს იმის თქმა, რომ დაივიწყეს სამართლიანობა, რადგან მათ წინ ებრაელი იდგაო. სწორედ ამ სამართლიანობის სახელით გამოვთქვამ პროტესტს, სამართლიანობისა, რომელსაც ზურგი აქციეს.

კაპიტანი დრეიფუსი უდანაშაულოა, მისი დადანაშაულება მოხდა არალეგალური საშუალებებით. საჭიროა მისი საქმის ხელახალი განხილვა.

...ამჯერად სასამართლო უნდა გაიმართოს არა დახურულ სივრცეში, არამედ მთელი საფრანგეთის თვალწინ.

---

[1] დას.ნაშრ.გვ. 83-89.

მაშ, მე ვგმობ სამხედრო სასამართლოს განაჩენს.

ახალი ფაქტები წარედგინება სასამართლოს. ისინი იურიდიულად საკმარისი არიან განაჩენის დასარღვევად. მაგრამ არსებობს იურიდიულ წვრილმანებზე მაღლა მდგომი რამ, ესაა ადამიანის უფლება, შეინარჩუნოს თავისუფლება და დაიცვას თავისი უდანაშაულობა, როდესაც უსამართლოდ სდებენ ბრალს"![1]

ვოლდშმუტი ძალაგამოცლილი ბალიშებზე ეცემა. თვალებს ხრის; და, უეცრად, ამ ხილაბანდიან პანანინა კაცში სიცოცხლის ნიშანი მხოლოდ თეთრეულზე დაწყობილ, მოცახცახე ხელებშილა მოსჩანს.

ბარუა დგება და მძიმედ რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს.

შემდეგ საწოლს უახლოვდება და ჩერდება, განზე ფეხებგადგმული, აკანკალებული გულმკერდით, ხელებგაშლილი.

მძლავრად ამოისუნთქავს, სანამ ლაპარაკს შეძლებდეს.

ბარუა: ყოველ შემთხვევაში, უნდა მოვიძიოთ, გავერკვეთ სიმართლეში! ეჭვი საშინელებაა...

გპირდებით, ლიუსი ხვალვე მიიღებს თქვენს მეგობარს.

22 ოქტომბერი, 1896 წელი.

ჩემო ძვირფასო ბარუა,

ბატონმა ბერნარ ლაზარმა მთელი ნაშუადღევი ჩემს კაბინეტში გაატარა. თქვენ იცით, როგორ სულიერ განწყობაზე ვიყავი გუშინ საღამოს. უეცრად აზრის შეცვლა არ მჩვევია, მაგრამ ვაღიარებ, რომ მისმა საუბარმა შემძრა.

ყოველივე ეს იმდენად მნიშვნელოვნად, იმდენად უბედურების შემცველად მეჩვენება, რომ ნაჩქარევად პოზიციის დაკავება ან ჰაიჰარად გადაწყვეტილების მიღება დანაშაულად მიმაჩნია. უარი ვუთხარი, ამ მომენტისთვის, ბატონ ლაზარს ჩემი სახელის გამოყენებაზე, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ის, მაგრამ დავუდასტურე ჩემი სრული სიმპათია. მასში შეიძლება ამოიცნო კაცი, ვისთვისაც ყოველგვარ სახელისუფლებო აპარატს, სახელმწიფო ინტერესს, დროებით ხელისუფლებას, პოლიტიკურ ძალაუფლებას, ყველა რანგის ავტორიტეტს, თვით გონებრივსა და ინტელექტუალურსაც ჩალის ფასი აქვს წმინდა სინდისის

[1] დას. ნაშრ. გვ. 89-იდან 91-მდე.

წინაშე.[1] მეტიც, ესაა ნათელი გონების ადამიანი, რომლის არგუმენტებიც შემაშფოთებელია.

შეუძლებელია წუხილის გარეშე იფიქრო, რომ ასეთი შემაძრწუნებელი უსამართლობის განხორციელება შესაძლებელი გამხდარა ჩვენ თვალწინ. მე დიდხანს ვერ ვიცხოვრებ მსგავსი შემაშფოთებელი ეჭვით.

მინდა ვიცოდე.

მინდა მშვიდად ვიყო. დარწმუნებული ვარ, რომ სიმართლე სხვაა, რომ არის რაღაც, რაც ჩვენ არ ვიცით და რისი გაგებაც გვიხსნის ამ საშინელი ეჭვისგან. ასევე, პირადად შევუდგები სერიოზულ კვლევაძიებას, რომლის შედეგებსაც გაცნობებთ.

დღეიდან მოყოლებული იქამდე, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ნულარ დამელაპარაკებით ამ მძიმე საქმეზე; მომეცით საშუალება ნათელი გონებით, მშვიდად გამოვიკვლიო. დაბეჯითებით გთხოვთ. თუ რჩევის ნებას დამრთავთ, ბევრს ნუ ილაპარაკებთ ამის შესახებ; საზოგადოებრივი აზრი ამ ამბით ისედაც ძალიან აღელვებულია და არაფერი სასიკეთო არ გამოვა საზოგადოების დაბალი ფენების წამოყელყელავებით.

ჩემი უფროსი ვაჟი თავს უკვე ძალიან კარგად გრძნობს. მაგრამ პატარა ანტუანეტის ჯანმრთელობის მდგომარეობამ კვლავ შეგვაშფოთა; ვფიქრობ ოპერაციის გაკეთება მოგვიწევს. ეს დიდი საწუხარია, ჩემო ძვირფასო ბარუა, ჩემთვისაც და ჩემი საბრალო ლუსისთვისაც. მშვიდი, უღრუბლო ბედნიერება თითქმის შეუძლებელია მრავალრიცხოვან ოჯახში...

მთელი გულით და სულით თქვენთან ვარ, ძვირფასო ბარუა, გემუდარებით, სიტყვაც აღარ მითხრათ ამ ყველაფერზე.

მარკ-ემანუელ ლიუსი

---

[1] ეს უკანასკნელი ფრაზა, მოყოლებული: „ვისთვისაც..." ნასესხებია პეგისგან, „ჩვენი ახალგაზრდობა", გვ. 96.

III

ოტეიში, 1897 წლის ივლისის ერთი დილა.

ლიუსის კაბინეტი.

მზიანი დღის თბილი დილა; ღია ფანჯრებიდან შემოსული ნიავი ატოკებს ქათქათა ტილოს ფარდებს, თვალისმომჭრელ, მზით გასხივოსნებულ მწვანე ბაღში ბეღურები და ბავშვები ყღურტულებენ.

ბარუა ზის, ყურადღებიანი და მდუმარე.

ლიუსი თავისი საწერი მაგიდის კიდეებს ხელებით დაყრდნობია, ბიუსტი უკან აქვს გადაწეული, თავი ოდნავ აქვს დახრილი, თითქოს სიმძიმემ დასძალაო. შუბლის ჩრდილს შეფარებული მეოცნებე, გაბრწყინებული თვალები ბარუასკენაა მიპყრობილი.

ლიუსი *(თავშეკავებული ხმით)*: თქვენ გესმით, ბარუა, რომ მე არ წარმოვთქვამდი ასეთ მძიმე სიტყვებს, აბსოლუტურად დარწმუნებული რომ არ ვიყო.

როდესაც თქვენ მოხვედით ჩემთან, რვა თვის წინ, და როდესაც ბერნარ ლაზარი გამომიგზავნეთ, უკვე ვგრძნობდი, თუ რამდენად სახიფათო იყო ეს საქმე. „ეკლერის" სტატიიდან ვიცოდი, სავარაუდო საიდუმლო დოკუმენტის არსებობის შესახებ... *(მკვახედ)* მაგრამ არ მინდოდა დამეჯერებინა! ლაზარის ზუსტმა ცნობებმა შემაშინა. მომინდა, კიდევ უფრო დაზუსტებით მცოდნოდა.

(ტკივილით) და ახლა ვიცი.

დრო.

(ხმას უმაღლებს.) რვა თვის წინ, ვერც კი გავბედავდი მევარაუდა, რომ სამხედრო მოსამართლეები, რომელთაც გააზრებული ჰქონდათ თავიანთი პასუხისმგებლობა, დაუშვებდნენ მათ მიერ წარმოებულ სასამართლო პროცესში მათი მინისტრის ჩარევას; და მით უფრო, დათანხმდებოდნენ, რომ მას, ბრალდებულისა და დაცვისგან მალულად, წარმოედგინა საიდუმლო დოკუმენტები.

მას შემდეგ, ჩემო კარგო, კიდევ მეტი შევიტყვე... შევიტყვე არა მარტო ის, რომ საიდუმლო დოსიე არსებობდა და შეგნებულად იყო დამალული დაცვისთვის სამხედრო სასამართლოს მოსამართლეების მიერ, არამედ მეტიც, ეს დოსიე არ შეიცავდა იმ ყბადაღებულ,

ვითომდა უეჭველ სამხილს, რომელიც დიდად ვერ მოწმენდდა ნამუსს მოსამართლეებს, მაგრამ ჩვენ ცოტათი მაინც დაგვიმშვიდებდა სინდისს! რომ ის არ შეიცავდა არც ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს ბრალდებულის წინააღმდეგ. არაფერს, გარდა რაღაც ალბათობაზე დამყარებული ვარაუდებისა, რომლებიც იოლად შეიძლება გამოყენებულიყო როგორც მის დასაცავად, ისე საწინააღმდეგოდ!

თითებს ხის მაგიდაზე აკაკუნებს, თითქოს თითოეულ ნათქვამ სიტყვას განამტკიცებსო.

(სერიოზულად) გეფიცებით, ეს სიმართლეა.

ბარუა არ იძვრის. ფეხებგაშლილი, მუხლებზე ხელდაწყობილი უსმენს. მის ენერგიულ სახეზე, მის მწველ მზერაში ჟინიანი ცნობისმოყვარეობაა, მაგრამ არა გაოცება.

ლიუსი *(ხელს ადებს შეკრული ქაღალდების დასტას)*: დაწვრილებით ვერ მოგიყვებით ჩემ მიერ ჩატარებული ძიების შედეგებს. აი, უკვე რვა თვეა, მხოლოდ ამით ვარ დაკავებული. *(უცებ ღიმილი)* თქვენ ეს იცით, რადგან სტატიებსაც კი ვერ გაწვდიდით „მთესველისთვის" შეპირებისამებრ ყოველკვირა...

სენატორის მანდატი და ძველი ნაცნობობა ყველგან შეღწევაში მეხმარებოდა, რომ პირადად გადამემოწმებინა ყველა ინფორმაცია. ლაზარმა მომანოდა ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტების ფოტოასლები. მე ისინი შევისწავლე, წყნარად, მარტომ, ამ მაგიდასთან. ამას გარდა, ევროპის საუკეთესო სპეციალისტებს ჩავატარებინე ნანერის ექსპერტიზა. *(ხელს უთათუნებს დოსიეს.)* ყველაფერი აქაა. ახლა ეს საქმე ძირისძირობამდე ვიცი. *(წონის სიტყვებს.)* ეჭვი აღარ დამრჩა... არანაირი!

ბარუა *(დგება)*: ეს ხალხმა უნდა გაიგოს! ეს უნდა ითქვას! უპირველესად სამინისტრომ უნდა გაიგოს.

ლიუსი ერთ ნამს ჩუმადაა. შემდეგ ბარუას შეხედავს დაკვირვებით, კეთილი, სევდიანი და მშვიდი ღიმილი იკარგება მის ნვერ-ულვაშში.

ის წინ გადმოიხრება და გულღიად ამბობს.

ლიუსი: გასულ ორშაბათს, ზუსტად ამ დროს, სამხედრო სამინისტროში ვიყავი, პირისპირ ერთ ჩემს ძველ მეგობართან, ოფიცერთან, რომელიც დღეს ყოვლისშემძლე ფიგურაა გენერალურ შტაბში.

ასე, ორი წელია, არ მინახავს. ძალიან მეგობრულად, სიხარულით მიმიღო. მხოლოდ დრეიფუსის გვარის ხსენებამ იკმარა, რომ ფეხზე

ნამომხტარიყო, უხეში და გაღიზიანებული გამხდარიყო, სიტყვის თქმაც აღარ დაეცლია, უარი ეთქვა საუბარზე და საერთოდაც ისე მოქცეულიყო, თითქოს პირადად გვქონოდა რამე საჩხუბარი და ამისთვის ვყოფილიყავი მისული. ამან ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე; მაგრამ სალაპარაკოდ ვიყავი მისული და ყველაფერი ვუთხარი, რისი თქმაც მინდოდა, ყველაფერი, რაც რუდუნებით მქონდა მოგროვებული, გადამოწმებული, რაშიც დარწმუნებული ვიყავი. ის ოთახში მიდი-მოდიოდა გულზე ხელდაკრეფილი, ლაქის ჩექმების ბაკუნით, დადუმებული, განიარაღებული ჩემ მიერ მოპოვებული ცნობების სიზუსტით. ბოლოს დაჯდა და, რაც შეეძლო მშვიდად, მკითხა, თუ როგორი განწყობა იყო სენატში, სამეცნიერო წრეებში, პროფესურაში, მოკლედ, ჩემ გარშემო. ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს ყოყმანობდა, მტრების რაოდენობას ითვლიდა, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა. ხელზე ხელი წავავლე და ჩვენი მეგობრობის სახელით, სამართლიანობის სახელით ვთხოვე: „ჯერ კიდევ არის დრო... სკანდალი გარდაუვალია, მაგრამ ჯერ არ ამტყდარა. თქვენ შეგიძლიათ მისი თავიდან აცილება, თუ დაასწრებთ და საქმის გადახედვის ინიციატივა არმიიდან წამოვა, ყველაფერი გადარჩება. შეუმცდარი არავინაა, ოღონდ უნდა ალიარო შენი შეცდომა, უნდა გამოასწორო...“ მე ვეჯახებოდი გაურკვეველ და შემაშფოთებელ, ჯიუტ, გაყინულ სიჩუმეს. უეცრად ადგა, თითქოს ვილაც მესამე ჩაყენა ჩვენ შორის; თავაზიანად გამომაცილა: არავითარი ახსნა-განმარტება, არავითარი საიმედო სიტყვა...

სახე შეეჭმუხნა. დრო.

ლიუსი: შემდეგ, ბარუა, ნელა, ფეხით გამოვუყევი სენის სანაპიროს. *(ჭმუნვით)* და დიდხანს ვფიქრობდი, ჩემო კარგო... ვაი თუ ისაა მართალი-მეთქი...

ბარუას გაკვირვებული მოძრაობა.

ლიუსი *(ხელს სწევს და მერე უშვებს უილაჯოდ)*: ისე ცხადად ვხედავ, რა მოჰყვება ამ საქმის გასაჯაროებას, იმას, რომ ჩვენი ეჭვი დრეიფუსის დამნაშავეობის თაობაზე სახალხო ამბად იქცევა!

ბარუა *(მკვირცხლად)*: მისი რეაბილიტაცია მოჰყვება!

ლიუსი: მოჰყვება და მოჰყვეს, მაგრამ თავს ნუ მოვიტყუებთ, სხვა რამეც მოჰყვება და ის სხვა რამე იქნება, რაც იქნება.

(მძიმედ) ეს იქნება, ჩემო მეგობარო, სამართლიანობის ბრძოლა ფრანგული საზოგადოების წინააღმდეგ... დაუნდობელი ბრძოლა, და, შესაძლოა, ერთი მხრივ, დანაშაულებრივიც... არა?

ბარუა *(მძვინვარედ)*: ოჰ, ამას როგორ ამბობთ!...

ლიუსი *(აწყვეტინებს)*: მისმინეთ... თუ დრეიფუსი უდანაშაულოა, რაც უდავოა... *(აზუსტებს)* ან დაახლოებით უდავოა... მაშინ ვის კისერზეა დანაშაული? ვინ დაიჭერს დამნაშავის ადგილს? საფრანგეთის არმიის გენერალური შტაბი.

ბარუა: მერე რა?

ლიუსი: და გენერალური შტაბის უკან ვინაა? საფრანგეთის დღევანდელი მთავრობა, რომელიც აგერ უკვე ოცდახუთი ნელია ჩვენი ნაციონალური ცხოვრების წესრიგს უზრუნველყოფს...

ბარუა დუმს. დრო.

ლიუსი: ბარუა, არასდროს დამავიწყდება ეს დღე, სანაპიროს მოვუყვებოდი... ჩემს წინ ეს საშინელი დილემა იყო: სიმართლის ცოდნა და თვალის დახუჭვა; უსამართლო განაჩენისადმი ქედის მოხრა მხოლოდ იმიტომ, რომ ის საზეიმოდ იყო გამოტანილი არმიისა და ხელისუფლების მიერ, საზოგადოებრივი აზრის – ესეც უნდა ითქვას – მხურვალე მხარდაჭერით; ან იურიდიულ შეცდომაზე იერიშის მიტანა სამხილებით ხელში, სკანდალის აგორება და გაბედულად, რევოლუციონერივით, შეტევაზე გადასვლა წმინდათა წმინდას წინააღმდეგ, დადგენილი სახელმწიფო წესრიგის წინააღმდეგ!

ბარუა რამდენიმე წუთს ფიქრობს; მერე უეცრად მხრებს აჰყრის:

ბარუა: არაფერია საჭოჭმანო!

ლიუსი *(უბრალოდ)*: მაინც ვჭოჭმანობ. ასე უცბად არ მეთმობა შედარებითი სიმშვიდე, რომელშიც უკვე ამდენი ნელია ვცხოვრობთ.

(ყურადღებით შესცქერის ბარუას.) მე მესმის თქვენი ამბოხი, რომელიც მხედველობაში სხვას არაფერს იღებს, გარდა სამართლიანობისა. და მაინც, ნება მიბოძეთ, ბარუა, გითხრათ, რომ მე და თქვენ არ შეიძლება დამოკიდებულება გვქონდეს ამ საკითხისადმი. თქვენს თავგამოდებულ სურვილში მონაწილეობა მიიღოთ ამ საქმეში, არის რაღაც... პირადი გრძნობის მსგავსი... არა მგონია, ვცდებოდე... რაღაც პირადი თავმოყვარეობის დაკმაყოფილების მსგავსი, თუ გნებავთ, რევანშის მსგავსი...

ბარუა *(მომღიმარი)*: მართალი ბრძანდებით... დიახ, აშკარად დიდი სიამოვნება მომანიჭა ბარიკადების მეორე მხარეს დგომამ... *(სერიოზული)* რადგან, და ეს უეჭველია, ჩვენი დღევანდელი მოწინააღმდეგე, ჩემი უნინდელი მოწინააღმდეგეა, რუტინა, ავტოკრატიზმი, გულგრი-

ლობა ყოველივე იმის მიმართ, რაც ამაღლებული და გულწრფელია! ჩვენი რწმენა, რეალური თუ წარმოსახვითი, უფრო დიდებულია!

ლიუსი: კარგად მესმის თქვენი, მაგრამ ნუ მისაყვედურებთ ჭოჭმანსა და შეყოვნებას იმ მომენტში, როცა ამდენი სიმახინჯე უნდა გამოიფინოს ყველას თვალწინ, უცხოელთა თვალწინ...

ბარუა არაფერს პასუხობს; მისი მზერა და ღიმილი კი თითქოს ამბობს: გაღმერთებთ, მთელი სულით და გულით; რა საყვედურზე ლაპარაკობთ?...

ლიუსი *(თავაუწევლად)*: ბარუა, ეს კვირა საშინელ სინდისის ქენჯნაში გავატარე... ათას ურთიერთგამომრიცხავ გრძნობას შორის ვმერყეობდი... *(ტკივილით)* იქამდეც მივედი, რომ საკუთარი, პირადი ინტერესებით აღელვების უფლება მივეცი თავს... ჰო, ჩემო კარგო, გამოვითვალე, რას ვაგდებდი სასწორზე, როგორც პიროვნება, თუ ხმას ამოვიღებდი და ამ უზარმაზარ ინიციატივას ხელში ავიღებდი... და საძაგლად გამაჟრჟოლა...

ბარუა: აზვიადებთ.

ლიუსი: არა, თუ საზოგადოების აზრის მდგომარეობას გავითვალისწინებ, დიდია ალბათობა, რომ რამდენიმე თვეში საბოლოოდ დამღუპავენ.

მე კი ცხრა შვილი მყავს, ჩემო კარგო...

ბარუა არ აპროტესტებს.

ლიუსი: ხედავთ, თქვენც ჩემს აზრს იზიარებთ... *(თბილი ხმით)* და, მაინც გარემოებები ისეთია, რომ გვერდზე ისე ვერ გავდგები, თუ თვით ჩემი ცხოვრების გეზს არ ვუღალატე. ყველაფერზე მეტად ჭეშმარიტება მიყვარდა, და მასთან ერთად სამართლიანობა, რომელიც მისი პრაქტიკული გამოვლინებაა. ყოველთვის მქონდა რწმენა, ათასჯერ გადამოწმებული ფაქტებით, რომ ადამიანის უცილობელი ვალდებულება და ერთადერთი ბედნიერება, რომელიც არ უმტყუნებს, არის მთელი არსებით სიმართლისკენ ლტოლვა და თავისი ქმედების მასთან უპირობოდ მისადაგება. ადრე თუ გვიან, მიუხედავად ყველაფრისა, შეამჩნევ, რომ ესაა ერთადერთი სწორი გზა.

(ნელა) თითოეული ჩვენგანი თავისი ცხოვრების გზას უნდა მიჰყვეს. ჩემი განვლილი გზა გაჩუმებას მიკრძალავს. აჰ, არასდროს ასე ნათლად არ შემიგნია, რომ უმრავლესობის მუშაობა წყნარად ცხოვრებისა და გონებრივი შრომის ფუფუნებას აძლევს ერთეულებს, და ეს განკერძოებული ძალისხმევაც აუცილებელია, რადგან ერთობ-

ლივად ისინი პროგრესს ქმნიან. სამაგიეროდ, ეს პრივილეგია გაკისრებს მოვალეობებს, რომელთაც სხვებს ვერ გადაულოცავ. და აი, ეს წუთი დადგა!

ბარუა, უბრალოდ, თავის დაკვრით ეთანხმება.

ლიუსი დგება.

ლიუსი: მე არ მინდა სამართლიანობის აღმდგენის როლში გამოსვლა. მხოლოდ ის მინდა, რომ ჩემი განგაშის ხმამ ხელისუფლება გააფრთხილოს, საზოგადოებრივი აზრი გამოაფხიზლოს და სინდისიერებისკენ შემოატრიალოს, რისი ნიშნებიც უკვე ჩანს. ამის შემდგომ გავასაჯაროებ ჩემი კვლევის შედეგებს, რომელიც შემდგომი ძიების გასაღებად გამოდგება, მე კი გვერდზე გავდგები. გესმით ჩემი? *(ნამდვილი ტანჯვის გამოხატულებით)* ერთი ეს მახრჩობელა ეჭვი მომაცილებინა თავიდან!

თუ დრეიფუსი დამნაშავეა – და ჯერ კიდევ მთელი სულით და გულით მინდა, რომ იყოს – დაამტკიცონ ღია სასამართლო პროცესზე და ჩვენ ქედს მოვიხრით. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, განმუხტონ ეს ატმოსფერო, სადაც სუნთქვა შეუძლებელია!

მძიმედ მიდის ღია ფანჯარასთან და გაჰყურებს ბაღის ნორჩ სიმწვანეს.

რამდენიმე წუთი გადის.

ბარუასკენ ტრიალდება, თითქოს ახლაღა გაახსენდა, რისთვის ჰყავდა დაბარებული და შინაურულად ადებს მხარზე ხელს.

ლიუსი: ბარუა, ბეჭდვითი ორგანო მჭირდება, სადაც ამ ლოიალობის მოწოდებას გამოვაქვეყნებ... *(მოყოყმანე)* დათანხმდებით, რომ თქვენი „მთესველი" ამ ხელჩართულ ბრძოლაში ჩართოთ?

ისეთი სიამაყე გამოეხატა ბარუას სახეზე, რომ ლიუსმა სასწრაფოდ გააგრძელა ლაპარაკი.

ლიუსი: არა, არა, ჩემო მეგობარო, მისმინეთ. უნდა დაფიქრდეთ.

აი, უკვე ორი ნელია, თქვენ თავდაუზოგავად შრომობდით, რომ ეს გაზეთი შეგექმნათ. თქვენი „მთესველი" ახლა აყვავების ხანაშია. თუ ის ჩემი აზრის გამომხატველი გახდება, ყველაფერი საფრთხის ქვეშ დადგება; შესაძლოა მთელი თქვენი შრომა წყალში ჩაგეყაროთ...

ბარუა იმართება, ძალიან აღელვებულია, რომ რამე უპასუხოს. უცაბედი სიხარული, უზარმაზარი სიამაყე...

ერთმანეთს შეჰყურებენ. ლიუსმა გაიგო. მათ გარშემო ატმოსფერო იძაბება, სიჩუმეში მხოლოდ მათი გულის ძგერა მოისმის, ხელებს შლიან და ერთმანეთს გულში იკრავენ.

ეს ზეადამიანური აღფრთოვანების დასაწყისია...

რვა დღის შემდეგ.

ჟაკობის ქუჩაზე, ბარუას სახლის ეზოში.

ეტლების ღია ფარდულის სიღრმეში ვოლდშმუტი და რამდენიმე დამხმარე სხედან მაგიდასთან, ბრეილ-ზეჟერი, არბარუ, კრესტეი, პორტალი მიდი-მოდიან.

მათ უკან, „მთესველის" 80 000 ნომრის ქათქათა გროვაა. ახალი ნაბეჭდის ნესტიანი სუნი.

სხვა შეკვრები მზადაა პროვინციაში გასაგზავნად.

კედლის გასწვრივ ასიოდე გაზეთის გამსაღებელი რიგში დგას, როგორც უფასო სასადილოს შესასვლელში.

სამი საათი.

დისტრიბუცია იწყება.

ბარუა აღნუსხავს ციფრებს.

გამსაღებლები ამოიიღლიავებენ 300 ეგზემპლარიან დასტებს და დაღრეცილი ფეხსაცმელების ბაკუნით ქუჩაში გარბიან.

მათგან პირველებმა უკვე გადაკვეთეს ზონა, სადაც ჩუმად უნდა ყოფილიყვნენ, და, აი, სენ-ჟერმენის ბულვარზე, სენ-პერის ქუჩაზე, სანაპიროზე ისმის ასობით აქოშინებული, ჩახლეჩილი ხმა:

– სპეციალური გამოშვება!... „მთესველი"!... დრეიფუსის საქმის მხილება!... „სინდისი", სენატორ ერიკ-ემანუელ ლიუსის, ფრანგული ინსტიტუტის წევრის, კოლეჟ დე ფრანსის პროფესორის წერილი ფრანგ ხალხს!...

გამვლელები თავს აბრუნებენ, ჩერდებიან. მაღაზიებიდან თვალებს აცეცებენ. ბავშვები მორბიან. ხელები გამოწვდილია.

თითქოს ქარიშხალი ფანტავს ფურცლებს. ორ საათში თეთრი პეპლები თავს დაატყდა გარეუბნებსაც, მოედო შოსეებს, მაგიდებს, აღმოჩნდა ადამიანების ჯიბეებში.

ყვირილით ხმაჩახლეჩილი გამყიდველები უკან ბრუნდებიან, ყელგამშრალნი, ხელდაცლილნი. ეზო კვლავ ივსება ხალხით. ღვინო მოედინება. უკანასკნელი დასტები დატაცებულია, წაღებულია.

ზუზუნა გუნდი კვლავ ედება ქუჩებს, და ზაფხულის თბილ საღამოს, ანჯღრევს სიცხისგან დათენთილ ქალაქს.

ხალხი აღელვებულია. ბულვარები ფუთფუთებენ.

ომის წინა ღამე...

უკვე ათასგან გმირული ტალღით ფეხზე წამომდგარი ფრანგული აზრი ერთმანეთს ეჯახება. ვნებათა უძლეველი ამოხეთქვა არყევს პარიზის ღამეულ გულს.

ქარიშხალი

I

„მთესველის“ ახალი რედაქცია, უნივერსიტეტის ქუჩაზე.

ოთხი ფანჯარა ბელეტაჟზე, რომლებზეც თუნუქის ფართო აბრებია, შავი, მსხვილი ასოებით თეთრ ფონზე, წარწერილი: „მთესველი“.

პატარა ხუთოთახიანი ბინა.

პირველ ორ სართულზე კანცელარიის მუშაკები, მოხელეები, კომერციული მისვლა-მოსვლა. მესამეზე უფრო ფართო სარედაქციო განყოფილებაა. ეზოს მხარეს ბარუას კაბინეტი და ოთახი, სადაც სტენოგრაფი მუშაობს.

1898 წლის 17 იანვარი. საღამოს ხუთი საათი.

რედაქციის ოთახი; დიდი სამელნეებით, საშრობებითა და ფურცლებით სავსე მაგიდა; კედელზე 13 რიცხვის „ორორია“ წერილით „ბრალს ვდებ...“ და როლის მიერ გადაბეჭდილი ზოლას წერილის ბოლო ნაწილის ორი, მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი აფიშა.

ხმაურიანი საუბარი, ბარუა, არბარუ, კრესტეი, ბრეილ-ზეუერი, პორტალი და სხვა თანამშრომლები.

– კავენიაკი ამტკიცებს, რომ დრეიფუსმა აღიარა დანაშაული იმ დილით, როდესაც პატივი აპყარეს.

– სიცრუეა!

– მაინც დარწმუნებული ვარ, რომ წესიერი ადამიანია...

– ის დაარწმუნეს, რომ არის იმდროინდელი ჩვენება.

– სხვათა შორის, ის არ ამბობს, რომ დოკუმენტები ნანახი აქვს!

ბარუა: როგორ? 1894 წლიდან არსებობდა ასეთი უტყუარი, ბრალდებულის დამადანაშაულებელი ჩვენება, რომლის გასაჯაროებაც

ერთბაშად მოსპობდა ამ ალიაქოთს და, ოთხი წლის განმავლობაში არავის მოსვლია აზრად მისი სასამართლოზე წარდგენა?

კრესტეი: ეს თვალშისაცემია!

ბარუა: აი, როგორ მოხდა ეს ყოველივე...

მაშინვე სიჩუმე ისადგურებს.

ბარუა: მე ვეყრდნობი ლიუსს, რომლის კვლევაც სერიოზულია. ნახავთ, როგორი მარტივია ყოველივე.

იმ დილას, როდესაც პატივი აპყარეს, დრეიფუსი მთელი საათის განმავლობაში რესპუბლიკური გვარდიის კაპიტან ლებრან-რენოსთან ერთად აღმოჩნდა. ენერგიის უკანასკნელ წვეთამდე ის აპროტესტებდა, იცავდა თავის უდანაშაულობას. ისიც კი განაცხადა, რომ სახალხოდ იყვირებდა; ეს ისეთი დაბეჯითებით თქვა, რომ შესაძლებელი სკანდალით შეშინებულმა კაპიტანმა გენერლის გაფრთხილებაც კი იფიქრა.

შემდეგ დრეიფუსი მას მოუყვა ახალი, რვა დღის წინანდელი, აი იმ კარნახის მსგავსი განსაცდელის შესახებ. მინისტრმა, რომელსაც ჯერ კიდევ ჰქონდა თავისი პირადი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი აღიარების მოპოვების იმედი, საკანში მაიორი დიუ პატი დე კლამი მიუგზავნა კითხვით: „პატრიოტიზმის გამო ხომ არ გადასცა გერმანელებს დოკუმენტები"? რათა მათგან უფრო მეტად საინტერესო მასალები მიეღო, – და შეუთვალა, რომ მხოლოდ ესეც საკმარისი იქნებოდა მისი შეცდომის შესარბილებლად და სასჯელის შესამსუბუქებლად. ლებრან-რენომ, ბუნებრივია, არაფერი იცოდა ამ ნაბიჯის თაობაზე. დრეიფუსი, რომელიც წუთი წუთზე მოელოდა სასჯელის აღსრულების დაწყებას, გასაგებია, რომ ძალიან აღელვებული იყო და უთავბოლოდ და აღგზნებულად ლაპარაკობდა. ადვილი მისახვედრია, რომ შეეძლოთ მისი სიტყვების უკუღმა გაგება, არასწორად გადაცემა და გადაკეთება, და როგორ წარმოიშვა ამბავი უცხოელებთან საბუთების გაცვლის შესახებ.

ლებრან-რენოს რაც შეეხება, მას, იმ პერიოდში, არც კი უხსენებია ალიარებითი ჩვენებები. გენერალმა დარასმა, იმ დილითვე, პატივის აყრის შემდეგ, იკითხა, ხომ არ მომხდარა რაიმე განსაკუთრებული ინცინდენტი; უპასუხეს, რომ არა, და მან მაშინვე მოახსენა მინისტრს. ასევე, ლებრან-რენოს მოხსენებაზე, რომელიც მან პარიზის გუბერნატორს წარუდგინა, არის მინაწერი – რომელიც ლიუსმა თვითონ ნახა – „არაფერი არსებითი".

როგორ ფიქრობთ, რომ მოეპოვებინა რაიმე ფორმის აღიარება, იმ-ნამსვე არ განაცხადებდა? და, როდესაც მეორე დღეს სამხედრო მინისტრი გაიგებდა იმ გაურკვეველ ხმებს, პრესაში რომ გაჟონა, თუკი მათ რაიმე საფუძველი ჰქონდა, განა არ შეშფოთდებოდა? ნუთუ იმ წუთშივე არ ბრძანებდა ახალი გამოძიების დანყებას, რათა ჰქონოდათ ეს გადამწყვეტი ჩვენება? ნუთუ კვლავ არ შეეცდებოდნენ დრეიფუსზე ზემოქმედებას დამატებითი დეტალების მოსაპოვებლად და იმის გაგებას, ზუსტად რა დოკუმენტები იყო გადაცემული უცხოური სახელმნიფოსთვის – ეს ხომ ეროვნული უსაფრთხოებისთვის ასე მნიშვნელოვანი საკითხია?

არა, მართლა, რაც მეტს ვფიქრობ, უფრო და უფრო ირეალური მეჩვენება ჩვენებების ეს ამბავი!

კრესტეი: უნდა გამოაქვეყნოთ ინტერვიუ ლიუსთან ამ საკითხზე.

ბარუა: ის მიიჩნევს, რომ ჯერ არაა ამის დრო. კაზიმირ-პერიეს ჩვენებას ელოდება ზოლას პროცესზე.

ჟულია ვოლდშმუტი *(კარში გამოჩნდა)*: ბატონ ბარუას სთხოვენ ტელეფონთან.

ის დგება და გადის.

ზეჟერი: რაც არ უნდა იყოს, ვფიქრობ, კავენიაკის პოზიცია ჩვენ ხელს გვაძლევს.

პორტალი: ხელს გვაძლევს?

ზეჟერი: ცხადია. აი, ყოფილი სამხედრო მინისტრი გამოდის დეპუტატთა პალატაში და ტრიბუნიდან, საზეიმოდ ამტკიცებს, რომ არსებობს გადამწყვეტი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დრეიფუსის დამნაშავეობა უეჭველია. და იმ დღეს, როდესაც საჯაროდ აეხდება ფარდა, რომ ეს სიცრუეა, რომ ეს ყბადაღებული დოკუმენტი არ არსებობს ან თუ არსებობს, გაყალბებულია, წინა თარიღითაა გადაცემული ბრალმდებელთა ინტერესებიდან გამომდინარე – იმ დღეს ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი შეირყევა! ამაზე თავს ვდებ. თუ არადა, საფრანგეთი შეუცვლიათ და ეგაა!

კრესტეი *(მონყენილად)*: შეუცვლიათ... ასეთი სიმართლე ჯერ არასდროს გითქვამთ...

პორტალი: ეს ყველაფერი ზოლას პროცესზე იქნება განხილული.

ბარუა ბრუნდება.

ბარუა *(საკმაოდ აღელვებული)*: ვოლდშმუტმა დამირეკა... მას ეს-ესაა გაუგია, რომ ზოლას მხოლოდ იმ ბრალდების გამო გაასა-

მართლებენ, რაც მან 1894 წლის სამხედრო საბჭოს შესახებ გამოთქვა; სხვა ბრალდებებს გვერდს უვლიან. ვერ გამიგია, რა მიზნით...

პორტალი *(დგება)*: ეს ძალიან მნიშვნელოვანია!

კრესტეი: კი მაგრამ, ამის უფლება არა აქვთ!

პორტალი: ბოდიშს გიხდით.

კრესტეი: ამით რისი მიღწევა სურთ?...

ბარუა: აცალეთ პორტალს აზრის გამოთქმა.

პორტალი: ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მთავრობა, ყველანაირი საშუალებით, ცდილობს ამ საქმის განხილვისთვის ხელის შეშლას. არის კანონის ერთი სტატია, რომლის მიხედვითაც დადანაშაულებულს არ შეუძლია ისეთი ჩვენებების მიცემა, რომელიც გადის გამოცხადებული პროცესის ფარგლებიდან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაიყვანეს რა ზოლასთვის ბრალის წაყენება მხოლოდ ამ საკითხამდე, ამით თვითნებურად ზღუდავენ დავის წარმოებას სასამართლო გარჩევისას.

კრესტეი: ამგვარი ქმედებებით შეუძლიათ ნულამდე დაიყვანონ ზოლას დაცვა!

პორტალი: რა თქმა უნდა!

ბარუა: ეს საზიზღრობაა... ეს პროცესის ყელის გამოღადვრაა.

კრესტეი *(აღშფოთებული)*: ეს პროკურორის ყალთაბანდობაა!

პორტალი: ეს კანონია.

ყველა გულდამძიმებულია.

ზეჟერი *(დინჯად)*: მე ეს არ მჯერა. ზოლას მიერ წარმოდგენილი ბრალდებები ძალიან შეურაცხმყოფელია, რომ მიჩუმათებული იყოს. წარმოუდგენელია, სარჩელი არ წარედგინოს იმ პირს, ვინც ეს დაწერა და გამოაქვეყნა!

ის უახლოვდება დაფას, სადაც მსხვილი ასოებით დაბეჭდილი ზოლას წერილია გამოფენილი.

(კითხულობს.) „ბრალს ვდებ პოდპოლკოვნიკ დიუ პატი დე კლამს იმაში, რომ ის იურიდიული შეცდომის სატანური სულისჩამდგმელია...!"

...ბრალს ვდებ გენერალ მერსიეს მის თანამზრახველობაში...!

...ბრალს ვდებ გენერალ ბიიოს იმაში, რომ ხელთ ჰქონდა დრეიფუსის უდანაშაულობის უტყუარი საბუთები და დამალა ისინი...!

...ბრალს ვდებ გენერალ დე ბუადეფრს...!

...ბრალს ვდებ გენერალ დე პელიეს!

...ავაზაკურ გამოძიებას!

...გამოძიების მიკერძოებულობას...

...ბრალს ვდებ სამხედრო უწყებებს იმაში, რომ ანარმოებდნენ აღვირახსნილ კამპანიას პრესაში, რათა გზა-კვალი აერია საზოგადოებრივი აზრისთვის და დაემალათ თავისი დანაშაული...!"

კრესტეი: დაბოლოს, ეს გამონვევა:

„...წარმოვადგენ რა ამ ბრალდებებს, მე ვიაზრებ, რომ დავექვემდებარები კანონის 30 და 31 სტატიებს და ა. შ.

მე ერთი მიზანი მაქვს, კაცობრიობის სახელით სინათლისკენ სწრაფვა, კაცობრიობისა, რომელმაც ძალიან ბევრი იტანჯა და უფლება აქვს ბედნიერებისა. ჩემი მხურვალე პროტესტი მხოლოდ ჩემი სულის კივილია. გაბედონ და წარმადგინონ სასამართლოს წინაშე და ძიება ჩაატარონ სახალხოდ!

ველოდები"!

ბარუა: და თქვენ გგონიათ, რომ რომელიმე მთავრობას შეუძლია ასეთი რამის გადაყლაპვა თვალის დაუხამხამებლად?

პორტალი: ყველა ვარიანტში, ბარუა, საინტერესო იქნებოდა ზოლას სასამართლო სხდომის გამართვამდე მომხდარიყო თაღლითობის მხილება.

ზეჟერი: საჭიროა, რომ შენი სტატია ხვალ დილითვე ბომბივით აფეთქდეს.

ბარუა: ახლავე შევუდგები... პორტალ, შეგიძლიათ იმ კანონის ზუსტი ტექსტი მომიძებნოთ, რომელიც ახსენეთ?

პორტალი: შეიძლება, სასახლის ბიბლიოთეკაში დავრეკო?

ბარუა *(აღებს კარს)*: მადმუაზელ ჟულია!

პორტალი: მადმუაზელ, მე გაწუხებთ. შეგიძლიათ ამიკრიფოთ ნომერი 889-21?

ბარუა *(მიემართება თავისი კაბინეტისკენ)*: გტოვებთ... ამ საღამოს სენ-მიშელის ბულვარზე იქნებით?

სხვადასხვა ხმა: დიახ.

ბარუა: მოგიტანთ ჩემს ნაშრომს, სანამ როლს წავუღებდე. ერთად გადავხედოთ. აბა, ჯერჯერობით...

ერთი საათის შემდეგ.

რედაქციის დარბაზი ცარიელია. თანამშრომლები წავიდნენ. ბიუროს მოსამსახურე ბიჭი გვის და დაკეტვის დროს ელოდება.

ბარუა თავის კაბინეტში მუშაობს.

უეცრად კარი იღება. ჟულია ფერმკრთალი და შემკრთალი შემოდის კაბინეტში, ღია კარიდან უცნაური გუგუნი მოისმის.

ჟულია: ბატონო ბარუა... ამბოხია... გესმით?..

გაოცებული ბარუა გადის ქუჩის მხარეს მდებარე ოთახში. აღებს ფანჯარას და სიბნელეში იყურება.

ბუნდოვანი ზუზუნი.

სულ ახლოს მყოფი ფარანის ყვითელი შუქი თვალს ჭრის და აბრმავებს. ნელ-ნელა ეჩვევა სიბნელეს. მის წინ შოსე ჯერ კიდევ ცარიელია; მაგრამ იქით, ჩაბნელებულ ფასადებს შორის შავი მოგუგუნე მასა მოედინება.

ბარუა მზადაა ჩავიდეს, ცნობისმოყვარეობის გამო. ღრიანცელი ახლოვდება. მოისმის სიმღერა, ყვირილი:

დრეიფუსი!..

გამოკვეთილი ჯგუფი, კოლონას რომ მოუძღვის, უკვე სახლიდან ორმოცდაათიოდე მეტრშია. ბარუა ხედავს მისკენ აღმართულ სახეებსა და ხელებს.

– ძირს „მთესველი"! ძირს ბარუა! ძირს!

სწრაფად იხევს უკან.

ბარუა: დარაბები! ჩქარა!

გადარეული ეხმარება მომსახურე ბიჭს.

იმ წუთს, როდესაც ბოლო დარაბას ხურავს, გამოსროლილი ჯოხი ამსხვრევს მინას და ნამსხვრევები ეყრება.

ბრბო ფანჯრებთანაა, მისგან ოთხ-ხუთ მეტრში. არჩევს ხმათა სხვადასხვა ტემბრს.

– „მთესველი"! მიყიდულია! გამყიდველია! სიკვდილი!

ქვები, ჯოხები ამსხვრევენ მინებს და ხის დარაბებს ეჯახებიან.

ბარუა მიყურადებული შუა ოთახში დგას.

– სიკვდილი ზოლას! სიკვდილი დრეიფუსს!

ბინდბუნდში ჟულიას სილუეტს არჩევს და კაბინეტისკენ უბიძგებს.

ბარუა: კომისარიატში დარეკეთ...

ეტყობა, სასროლი მასალა შემოელიათ. ღრიალი გაორმაგებული ძალით გაისმა, რიტმს ფეხების ბრახუნსაც აყოლებენ:

– სიკვდილი ლიუსს! სიკვდილი მოღალატეებს!

– სიკვდილი ბარუას! გაყიდულებს!

ბარუა *(ძალიან ფერმკრთალი მომსახურე ბიჭს)*: კარი ჩაკეტეთ და ვესტიბული დაიცავით!

მიდის კაბინეტისკენ, უჯრიდან იღებს რევოლვერს.

მერე ქვედა სართულზე ჩადის.

ბარუა *(გაცოფებული, გაყინული ხმით)*: პირველივეს, ვინც შემოსვლას გაბედავს, ძაღლივით მოვკლავ.

ტელეფონის ზარი.

ბარუა *(ტელეფონზე)*: ალო? კომისარი? კეთილი... „მთესველის" დირექტორი გახლავართ. ამბოხია, უნივერსიტეტის ქუჩაზე, ჩემს ფანჯრებთან. აჰ, უკვე? კარგი, გმადლობთ...

არ ვიცი, ათასი, შეიძლება ათას ხუთასი...

ხმაური გრძელდება... ფეხების რიტმული ბრახუნი ქვაფენილზე, რომელსაც თან ღმუილი ახლავს, საიდანაც უფრო მახვილი ნოტით ამოიჭრება ყვირილი:

– სიკვდილი დრეიფუსს! სიკვდილი ზოლას! სიკვდილი გამყიდველებს!

მოულოდნელად ყვირილი შეჩერდება, მერე წყდება. რამდენიმე ხანს ისმის არეულ-დარეული აურზაური: ჩანს, პოლიცია ჩაერია.

შემდეგ აქა-იქ გაისმის წამოყვირებები, უფრო და უფრო ძნელად გასარჩევი.

ფეხების ბაკუნი უკვე შორს გაისმის.

ბრბო გაფანტულია.

ბარუა ჩამრთველს ატრიალებს და ჟულიას ამჩნევს, ფეხზე მდგარს, მასთან სულ ახლოს, მაგიდაზე დაყრდნობილს.

იმდენად დამახინჯებულია ნერვიულობისგან, რომ კაცი ერთი წუთი აკვირდება, რომ იცნოს, განაცრისფერებული სახის ნაკვთები დაკრუნჩხულ-დანაოჭებულან, სახე დაბერებული, გაუხეშებულია, რაღაც ცხოველური, გაშმაგებული გამომეტყველებით... შიშველი ინსტინქტი... რაღაც გრძნობისმიერი, საშინლად გრძნობისმიერი... .

კაცი ფიქრობს: აი, მისი სახე სიყვარულისას...

მზერა, რომლსაც ის ჟულიას შეავლებს, უხეში და პირდაპირია, როგორც ძალადობა. ჟულია მორჩილი ძუკნასავით იღებს ამ მზერას.

შემდეგ ნერვული განტვირთვა, ქალი სკამზე ეცემა ქვითინით.

ვაუი სიტყვის უთქმელად ტოვებს ოთახს. ხელები ნერვიულობისგან უცახცახებს.

აღებს დარაბებს.

ქუჩა მშვიდია, ჩვეულებრივზე ოდნავ გამოცოცხლებული, ფანჯრებსა და აივნებზე ცნობისმოყვარეები შეჯგუფულან.

დამტვრეული ფარნების ქვეშ, რომელთა ალსაც ქარი აპარპალებს და აქრობს, პოლიციელები მიდი-მოდიან.

მსახური ბიჭი: ბატონო ბარუა, კონსიერჟი მოვიდა კომისართან ერთად, ოქმის შესადგენად...

II

1898 წელი, 17 იანვარი.

იუსტიციის სასახლე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ზოლას პროცესის მეათე დღე.

სხდომა შეწყვეტილია.

დარბაზი გადაჭედილია. მიჯრით მჯდარი საზოგადოება ფუთფუთებს, ჭორაობს, ხელებს იქნევს. ქალთა მოხდენილ კაბებს შორის მიმოფანტული სამხედრო მოოქრულეპოლეტებიანი მუნდირები. უთითებენ ცნობილ სახეებს: გენერალური შტაბის მაღალჩინოსნებს, ვარსკვლავებს, ჟურნალისტებს, მსახიობებს, დეპუტატებს. ადვოკატთა შავი ჯეგირი ჰყოფს ამ ჭრელ მღელვარე მასას მოსამართლის ცარიელი ტრიბუნისგან, რომლის ზემოთაც ბონას მელოდრამატული ქრისტეა.

დამახრჩობელი გესლიანი ატმოსფერო, რომელსაც ხანდახან სიმპათიისა თუ სიძულვილის უეცარი, მძლავრი ტალღა გადაუვლის და არყევს ელექტროდარტყმასავით.

აუდიტორიის პირველ რიგში ყურადღებიანი, ხმადაბლა მოლაპარაკე ჯგუფი: არბარუ, ბარუა, ბრეილ-ზეჟერი, კრესტეი დ'აზილი, ვოლდშმუტი და ამ მამაკაცთა შორის ჟულიას იდუმალი სილუეტი.

სამი საათი.

კარებთან ატეხილი აყალმაყალი ბრბოს უკმაყოფილებას ინვევს. ახალმოსულთა ტალღა ეჭეჭყება ისედაც გადაჭედილ პუბლიკაში; ბერეტიანი სტუდენტები, მანტიიანი ადვოკატები მიძვრებიან ამაღლებულ ესტრადაზე, რომელიც მოსამართლეებს დარბაზისგან ჰყოფს, სხდებიან შვერილებზე, ფანჯრის რაფებზე.

ლიუსი ჯიუტად დგას ამ ზედახორაში, ესმის, მის სახელს მტრულად რომ ჩურჩულებენ; ბოლოს მიაღწევს იმ ადგილამდე, ბარუამ რომ დაუკავა თავის გვერდით.

ლიუსი *(ხმადაბლა ბარუას)*: იქიდან მოვდივარ... ძალიან ძნელი იქნება... ნაფიც მსაჯულთა უმრავლესობა ზოლას გამართლებისკენ იხრება. გენერალურ შტაბში ეს იციან, ანგარიშს უწევენ და ძალიან არიან შეფუცხუნებულები... დღეს ან ხვალ დიდი დარტყმის მოყენებას შეეცდებიან...

მოულოდნელი სიჩუმე დიდხანს არ გრძელდება, სასამართლოს შემოსვლა.

ამფითეატრი ხალხით ივსება, შემოდიან მოსამართლეები წითელი მანტიებით; ნაფიცი მსაჯულები წყვილ-წყვილად, მუნიციპალური კორტეჟის საზეიმო სერიოზულობა.

ემილ ზოლა მსჯავრდებულის სკამზე, „ორორის" მმართველის გვერდით ჯდება; მათ უკან, თავიანთი მდივნებით გარსშემოხვეული ადვოკატები: მეტრი ლაბორი, ალბერ და ჟორჟ კლემანსოები.

ყრუ გუგუნი არყევს დარბაზს.

ზოლა და ლაბორი მარჯვნივ იხედებიან, საიდანაც სტვენა გაისმა. ზოლა ორივე ხელით ხელჯოხს დაყრდნობია, ფეხები გადაჯვარედინებული და შეწეული აქვს; ნაოჭებით დაღარული, ზღარბისებური სახე შეფიქრიანებულია. ყოველ მოძრაობაზე პენსნეს შუშა ბრწყინავს და ხაზს უსვამს მზერის სიცხოველეს. ნელა ათვალიერებს ამ უამრავ, მის მოძულე ადამიანს და თვალს თითქოს „მთესველის" ჯგუფზე ასვენებს.

ცენტრალურ გასასვლელში უნიფორმიანი კაცი მოდის. დარბაზს ჩურჩული გადაუვლის: პელიე... პელიე...

მტკიცე ნაბიჯით გენერალი მოწმის ადგილისკენ მიემართება და მხედრულად შედგება.

ბარუა *(ლიუსს)*: აი... პელიე გამოუშვეს შეტევაზე!

დარბაზის ემოცია იმდენად ხმაურიანია, რომ გენერალი მოუთმენელი მოძრაობით ტრიალდება და თვალს ავლებს. დარბაზში მისი მეომრული სახის, დიდი ბატონის წარმოსადეგობის, მთელი მისი პერსონის ურყევი ავტორიტეტის წყალობით სიჩუმე უეცრად მყარდება, თუმცა, ცოტა ხნით.

თავმჯდომარე, მსუქანი პირმრგვალი კაცი, ქილვაშებს შორის მოქცეული ნვრილი მოკუმული ტუჩებით, გაბრაზებულ მოძრაობას აკეთებს, მაგრამ სიჩუმის დამყარება მას არ შეუძლია.

ღრიანცელში, რომელიც ნელ-ნელა იკლებს, გაისმის გენერლის მკვეთრი ხმა, ნათლად გაირჩევა ზოგიერთი სიტყვა:

– ... კანონიერების მკაცრი ნესების თანახმად... დრეიფუსის საქმე... სიტყვას ვითხოვ.[1]

ხმები: ჩუ! ჩუ!

ბ-ნი გენერალი დე პელიე: ...მე გავიმეორებ გენერალ ანრის საყვარელ სიტყვებს: „სიმართლე გსურთ? კი, ბატონო"!

გამომწვევი, ლითონისებური ხმის ტემბრი ავსებს დარბაზს, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, დადუმებული შეშდება.

ბ-ნი გენერალი დე პელიე: კასტელინის ინტერპელაციის დროს მოხდა ფაქტი, რომელზეც ყურადღების გამახვილება მსურს. სამხედრო სამინისტროში, – მიაქციეთ ყურადღება, რომ მე არ ვლაპარაკობ დრეიფუსის საქმეზე, – ჰქონდათ დრეიფუსის ბრალეულობის უტყუარი დამამტკიცებელი საბუთი, უტყუარი! და ეს დამამტკიცებელი საბუთი მე ვნახე!

ის ტრიალდება ნაფიცი მსაჯულებისკენ, შემდეგ დაცვის მხარისკენ, შემდეგ დამსწრე საზოგადოებისკენ. გამომწვევი ღიმილი აცოცხლებს მის, მოფარიკავის, სახეს.

ბ-ნი გენერალი დე პელიე: ამ ინტერპელაციის დროს, სამხედრო სამინისტროში მოვიდა ქაღალდი, რომლის წარმომავლობაც არ შეიძლება სადავო იყოს, და რომელიც იტყობინებოდა – გეტყვით, რაც

---

[1] დებატების გაგრძელება გამოწვლილვითაა აღდგენილი მეათე სხდომის ანგარიშის სტენოგრაფიული ჩანაწერიდან. ზოლას პროცესი. სტენ.ჩანაწერი, ინ ექსტენსო, პარიზი, 1898, II ტომი, გვ. 118-იდან 125-მდე.

ეწერა შიგ: – „იქნება ინტერპელაცია დრეიფუსის საქმესთან დაკავშირებით. არასდროს გათქვათ ის ურთიერთობები, რომელიც ამ ებრაელთან გვქონდა“.

და, ბატონებო, ეს ქაღალდი ხელმოწერილი იყო! ის ხელმოწერილი არ იყო ცნობილი გვარით, მაგრამ სავიზიტო ბარათი ახლდა, რომლის უკანა მხარეს რაღაც უმნიშვნელო შეხვედრის შესახებ იყო მინაწერი და ხელმოწერილი ისევ იმ გამოგონებული გვარით, სავიზიტო ბარათი კი ეკუთვნოდა...

მცირე პაუზა.

დარბაზს თრთოლა გადაუვლის და მერე მომლოდინედ ყუჩდება, რიგ-რიგობით შესცქერის მოსამართლეს, მოწმეს, ზოლას, რომელიც თავს ვერ იკავებს და ჟესტიკულაციით აღშფოთებას გამოხატავს, და ნაფიც მსაჯულებს, რომელთა ბანალურ განცხრომაში მყოფ სახეებზე კმაყოფილებაა გამოხატული.

ბ-ნი გენერალი დე პელიე *(ტრიუმფალური ხმით, რომელიც ბუკივით ყღერს)*: კეთილი! ბატონებო, უკულმართი გზებით ცდილობდნენ პროცესის გადახედვას. მე მოვედი და ეს ფაქტი წარმოგიდგინეთ; თავს ვდებ მის ჭეშმარიტებაზე! და ვინვეე ბ-ნ გენერალ დე ბუადეფრს ჩემი ჩვენების დასადასტურებლად.

აი, სულ ეს იყო, რისი თქმაც მსურდა!

ფეხების ხანგრძლივი ბრახუნი და მქუხარე ტაში.

ლიუსი გულზე ხელდაკრეფილი რჩება, ძალიან გაფითრებული, ფართო შუბლიანი თავი წინ გადაუხრია და მონყენილი თვალებით მოსამართლეს უყურებს. მისი მეგობრები ერთმანეთს უცქერენ მშფოთვარე ამბოხით სავსე მზერით. მაგრამ დათრგუნულნი და გაშეშებულნი არიან ამ თავზე მეხის დაცემით, რომელსაც არაფერი არ მოასნავებდა.

ბრეილ-ზეჟერი *(ხმადაბლა)*: სიყალბეა!

ბარუა *(სხეულის მკვეთრი მოძრაობით)*: ეშმაკმა დალახვროს! *(მიუთითებს გამონკეპილ ოფიცერთა ჯგუფზე, თეთრხელთათმანებიანი ხელები რომ მაღლა აუწევიათ და გაშმაგებით უკრავენ ტაშს.)* მიდი ახლა და სცადე, მაგათ ეგ დაუმტკიცო!

ლაბორი წამოიმართება მთელი თავისი ათლეტური აღნაგობით და მოჭიდავის გულმკერდს დარტყმებს მიუშვერს. არ

ისმის, რას ამბობს. თითქოს თავის დაბალ შუბლს კედელს ურტყამსო. პირი ძალიან დიდად აქვს დაღებული. მგზნებარე მოძრაობებით მიმართავს თავმჯდომარეს, რომელიც, როგორც ჩანს, ცდილობს სიტყვა შეაწყვეტინოს.

ბოლოს, ოდნავ მინყნარებულ დარბაზში შესაძლოა თავმჯდომარის მჭახე ხმის გაგონება, რომელიც აწყვეტინებს ლაბორის.

თავმჯდომარე: კი მაგრამ, ბატონო ლაბორი...

ბ-ნი ლაბორი *(მოთმინებიდან გამოსული)*: ოჰ, ბატონო თავმჯდომარევ...

ბ-ნი თავმჯდომარე *(ქედმაღლურად)*: მოწმემ ეს-ესაა ილაპარაკა. კითხვა გაქვთ მასთან?

ბ-ნი ლაბორი: ნება მიბოძეთ, ბატონო თავმჯდომარევ, აქ...

გენერალ დე პელიეს ლითონისებური ხმა, მათრახის გადაკვრასავით შხუის და ახშობს მათ საუბარს.

ბ-ნი გენერალი დე პელიე: ვითხოვ გენერალ დე ბუადეფრის გამოძახებას!

ბ-ნი ლაბორი *(მქუხარე ხმით, ბოლოს და ბოლოს იპყრობს ყურადღებას და ამყარებს სიჩუმეს)*: ბატონო თავმჯდომარევ, დღეს აქ მომხდარი ინციდენტი იმდენად სერიოზულ ხასიათს ატარებს, რომ შეუძლებელია დაცვამ კატეგორიულად არ მოითხოვოს სიტყვა, არა იმდენად გენერალ დე პელიესთვის პასუხის გასაცემად, – რადგან შეუძლებელია პასუხი გაეცეს დაუსაბუთებელ მტკიცებას, – არამედ, უპირველესად იმისთვის, რომ დაუყოვნებლივ გამოვიტანოთ აუცილებელი დასკვნა, რომელიც საქმის ინტერესებს ეხება და გენერალ დე პელიეს ნათქვამიდან მჟღავნდება. ამიტომ ვითხოვ სიტყვას. ბატონო თავმჯდომარევ, მომეცით ორი სიტყვის თქმის საშუალება.

ბ-ნი თავმჯდომარე *(უკმეხად)*: მხოლოდ ორი სიტყვა...

ბ-ნი ლაბორი: მხოლოდ ორი.

ბ-ნი თავმჯდომარე: კითხვა გაქვთ დასასმელი?

ბ-ნი ლაბორი *(გაცხარებული)*: როგორ უნდა მქონდეს კითხვა დასასმელი, როდესაც შევეჩეხეთ სრულიად ახალ ფაქტს, რომელიც საქმის განხილვაში შემოვიდა? თუმცა ერთი კითხვა მაქვს და მაგ კითხვამდეც მივალ.

ბ-ნი გენერალი დე პელიე: ეს თქვენ შემოიტანეთ ახალი ფაქტი განხილვაში, როდესაც მაიორი დ'ორმშევილის მიერ დახურულ სხდომაზე ნაკითხული საბრალდებო დასკვნა გაახმიანეთ.

ბ-ნი ლაბორი *(მოზეიმე)*: წინ მივიწევთ! წინ მივიწევთ! განაგრძეთ, გენერალო!

გენერალი გონსი: სიტყვას ვითხოვ.

ბ-ნი თავმჯდომარე: ახლავე, გენერალო.

ბ-ნი ლაბორი: მე უბრალოდ ამას ვამბობ: ეს-ესაა მოვისმინეთ ძალზე დიდი მნიშვნელობის ჩვენება; ამ პუნქტში ყველანი ვთანხმდებით. ბატონ გენერალ დე პელიეს არ ულაპარაკია დრეიფუსის საქმეზე, მან ილაპარაკა დრეიფუსის პროცესის შემდგომდროინდელ ფაქტზე; დაუშვებელია, რომ ეს ფაქტი ან აქ, ან სხვა სასამართლოში არ იყოს განხილული. ყოველივე ამის შემდეგ, ლაპარაკიც ზედმეტია სასამართლო განხილვის შეზღუდვასა და შევიწროებაზე. ნება მიბოძოს გენერალმა დე პელიემ, დიდი პატივისცემის დადასტურებით, განვუმარტო, რომ არც ერთი დოკუმენტი, როგორი მეცნიერულიც უნდა იყოს ის, არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს და ვერ გამოდგება სამხილად, სანამ ორივე მხრიდან არ იქნება განხილული. ასევე ნება მიბოძოს დავუმატო, რომ დრეიფუსის საქმეში – რომელიც, რაც უნდა მოიმოქმედოთ და თქვათ, იძენს სახელმწიფო მნიშვნელობას, – არის ორი დოკუმენტი, ან უფრო სწორად, ორი თანაბარი მნიშვნელობის დოსიე, რადგან ორივენი საიდუმლო გრიფით არის, ერთი საიდუმლო დოსიე გამოიყენეს 1894 წელს დრეიფუსისთვის მსჯავრის გამოსატანად, დისკუსიისა და დაცვის გარეშე; მეორე კი, აგერ უკვე რამდენიმე კვირაა, ნებას აძლევს ხალხს გამოვიდნენ აქ ცარიელი სიტყვებით და არა დამამტკიცებელი საბუთებით.

პაუზა.

როგორ პატივსაც უნდა ვცემდე გენერალ დე პელიეს მხედრულ სიტყვას, ამ დოკუმენტს უმცირეს მნიშვნელობასაც კი ვერ მივანიჭებ.

გაშმაგებულმა საყოველთაო აღშფოთებამ იფეთქა დარბაზში; სასაცილოდ იგდებენ, შეურაცხყოფენ ადვოკატს.

ბ-ნი ლაბორი *(მედგრად ხვდება ამ გრიგალს, და მჭექარე ხმით, უდრეკად, თითოეულ სიტყვას ჭედავს)*: სანამ ჩვენ მას არ გავეცნობით, სანამ არ ვიმსჯელებთ, სანამ არ განსაჯაროვდება, ის არაფრად ჩაითვლება! და ამას ვაცხადებ მარადიული სამართლიანობის სახელით, იმ პრინციპების სახელით, რომელთაც თაყვანს სცემენ უძველესი დროიდან, იმ დროიდან, რაც ცივილიზაცია არსებობს!

დამსწრე საზოგადოების მერყეობა. საზოგადოებრივი აზრის გადახრა ორატორისკენ. მრავალგზის გაისმის: მართალია, სწორია!

ბ-ნი ლაბორი *(უფრო მშვიდი)*: ასე და ამგვარად, მივედი ისეთ დაზუსტებულ პუნქტამდე, რომ ჩემი სიმშვიდე ყოველგვარი თვალსაზრისით იზრდება. რაც შემეხება მე, ამ საქმეში მხოლოდ ერთი რამ მაღელვებს: მუდმივი ბუნდოვანება, საზოგადოებრივი ღელვა, რომელიც დღითი დღე მატულობს იმ წყვდიადის წყალობით, რომელიც ყოველდღიურად უფრო და უფრო გაუმჭვირვალე ხდება, არ ვიტყოდი ტყუილის გამო, მაგრამ ვიტყვი ორაზროვნების გამო.

დამნაშავეა თუ არა დრეიფუსი, დამნაშავეა თუ არა ესტერჰაზი, სწორედ ესაა უდავოდ ძალიან დიდი მნიშვნელობის კითხვები. ყოველ ჩვენგანს, ბ-ნ გენერალ პელიეს, ბ-ნ სამხედრო მინისტრს, ბ-ნ გენერალ გონსს, თვით მეც, შეგვიძლია ამ საკითხის თაობაზე გვქონდეს ჩვენი მოსაზრებები და მარადიულად უტეხად ვიდგეთ ჩვენს აზრზე, სანამ ყველაფერს ნათელი არ მოეფინება, სანამ არ გაირკვევა სრული სიმართლე.

მაგრამ აუცილებლად თავიდანაა ასაცილებელი ქვეყანაში მღელვარების მატება და მისი უსაზღვროდ გახანგრძლივება.

კეთილი! ახლა ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ სიცხადეს, თუნდაც ნანილობრივ სიცხადეს და ვერც დახურული სასამართლო, ვერც ნაფიც მსაჯულთა განაჩენები ამაში ხელს ვერ შეგვიშლის...

(მგრგვინავი ხმით) რადგან დრეიფუსის პროცესის ხელახალი განხილვა გარდაუვალი აუცილებლობაა!

მძაფრი გულისწყრომის დემონსტრირება. გაისმის ყვირილი: არა! არა! სამშობლო, უპირველეს ყოვლისა!

ლაბორი ერთბაშად ყალყზე დგება, პუბლიკას მოუტრიალდება. მისი მკაცრი მზერა ზიზღითაა აღვსილი. უზარმაზარ მუშტს ახეთქებს თავის წინ გადაშლილ საქაღალდეებს.

ბ-ნი ლაბორი: ბრბოს პროტესტი იმის მანიშნებელია, რომ კარგად ვერ შეუგნია ამ დავის მნიშვნელობა ცივილიზაციისა და ჰუმანურობის მარადიულობის თვალსაზრისით!

ხმაური.

აქა-იქ თავდაჭერილი, ხანგრძლივი აპლოდისმენტები.

ლაბორი ტრიალდება და გულზე ხელდაკრეფილი ელოდება სიჩუმის დამყარებას.

ბ-ნი ლაბორი *(განაგრძობს)*: თუ დრეიფუსი დამნაშავეა, და თუ ამ გენერალთა სიტყვები, რომელთა გულწრფელობაშიც ეჭვი არ მეპარება, საფუძვლიანია და ფაქტობრივად და იურიდიულად სამართლიანი,

მაშინ ისინი მტკიცებულებად გამოდგება სასამართლოზე მსჯელობისთვის. თუ, პირიქით, გენერლები ცდებიან, მაშინ, რაღას იზამ, სხვები გამოიყენებენ მათ სიტყვებს მტკიცებულებებად. და ნახავთ, როდესაც ყველაფერი აბსოლუტურად ნათელი გახდება, როცა ყოველგვარი წყვდიადი გაიფანტება, შესაძლოა საფრანგეთში აღმოჩნდეს ერთი-ორი დამნაშავე, ვინც პასუხს აგებს ყოველგვარ ბოროტებაზე. სულ ერთია რომელ მხარეზე მდგომნი აღმოჩნდებიან ისინი, მათ სახელებს ხალხი გაიგებს და შეაჩვენებს! და შემდეგ, ჩვენ მშვიდად მივუბრუნდებით ჩვენს საერო თუ სამხედრო საქმიანობას, ბატონო გენერალო; რადგან ომი ის კი არაა, *(არა ბატონო გენერალო?)*, როდესაც გენერლები მონმეებად გამოდიან, არამედ ის, როდესაც გენერლებს უფლება აქვთ იმ არმიის სახელით ილაპარაკონ, რომელსაც მეთაურობენ. ამ მომენტში არავის არ ეშინია ომის. ომის მუქარით, რომელიც ახლო მომავალში არ მოჩანს, რაც არ უნდა თქვათ, ბატონ ნაფიც მსაჯულებს ვერ დააფრთხობთ!

მე დავამთავრებ კითხვით. ხედავთ, ბატონო თავმჯდომარევ, მე ზუსტად განსაზღვრული მიზანი მქონდა, და აქვე მადლობას მოგახსენებთ, რომ მომეცით სიტყვის თქმის საშუალება; ჯეროვან პატივისცემას გიდასტურებთ თქვენი კეთილგანწყობის, თავაზიანობის, და კიდევ იმის გამო, რომ გაგებით ეკიდებით შექმნილი ვითარების მნიშვნელობას.

ბატონო თავმჯდომარევ, ჩემი კითხვა შემდეგში მდგომარეობს, ბატონმა გენერალმა დე პელიემ სრულად, დაუფარავად მოგვცეს ახსნა-განმარტება და აქ წარმოგვიდგინოს მის მიერ ხსენებული დოკუმენტი!

დაძაბული სიჩუმე. ნაფიცი მსაჯულები სკამებს ნერვიულად აჭრიალებენ და გენერალ დე პელიეს უყურებენ.

ხანმოკლე სიჩუმე.

ბ-ნი თავმჯდომარე: ბატონო გენერალო გონს, რა გაქვთ სათქმელი?

გენერალი გონსი დგება და გენერალ დე პელიეს უახლოვდება, რომელიც მას მოწმის ადგილს უთმობს.

შეშფოთებული გამომეტყველება; უფერული, მაგრამ აგრესიული გამოხედვა; ხმა, რომელიც უცნაურად დუნედ გაისმის, განსაკუთრებით გენერალ დე პელიესა და ლაბორის ხმების შემდეგ.

ბ-ნი გენერალი გონსი: ბატონო თავმჯდომარევ, მე სრულად

ვადასტურებ გენერალ დე პელიეს მიერ ახლახან წარმოდგენილ ჩვენებას.

გენერალმა დე პელიემ პირველმა აიღო ინიციატივა და კარგადაც მოიქცა; მეც ასე მოვიქცეოდი მის ადგილას, რათა თავიდან აგვეცილებინა ყოველგვარი ბუნდოვანება. არმიას სულაც არ ეშინია სიცხადის, სულაც არ ეშინია სიმართლის თქმისა, თავის ღირსების გადასარჩენად.

ლაბორი თავს იქნევს მოწონებისა და ნდობის ნიშნად.

ტაში.

ბ-ნი გენერალი გონსი *(ტკივილით)*: მაგრამ სიფრთხილეა საჭირო, და არა მგონია, შესაძლებელი იყოს აქ, სახალხოდ, საჩვენებლად მოტანა ამ ხასიათის დოკუმენტებისა, რომლებიც ნამდვილად არსებობენ და აბსოლუტურად უტყუარნი არიან.

ეს მოულოდნელი დამატებითი შენიშვნა მღელვარე აღშფოთებას ინვევს. აქა-იქ გაისმის გამკიცხავი ბუზღუნი. უმრავლესობა ყოყმანობს; ელოდება, საიდან დაუბერავს ქარი.

კლემანსო დინჯად დგება.

ბ-ნი კლემანსო: ბატონო თავმჯდომარეე, სიტყვას ვითხოვ.

მაგრამ გენერალი დე პელიე მივარდება მოწმისთვის გამოყოფილ ადგილთან, აცახცახებული, ორივე ხელით ეჭიდება მოაჯირს და მისი მყიფე ხმა ყველაფერს ფარავს.

ბ-ნი გენერალი დე პელიე: ბატონებო, სიტყვის დამატებას ვითხოვ!

თავმჯდომარე ხელის მოძრაობით აძლევს თანხმობას.

ბ-ნი კლემანსო ჯდება.

ბ-ნი გენერალი დე პელიე: ბატონმა ლაბორიმ ახლახან ილაპარაკა საქმის გადახედვაზე, ეყრდნობა რა იმას, რომ ეს საიდუმლო დოკუმენტი წარდგენილი იყო სამხედრო სასამართლოზე, მაგრამ ამის მტკიცებულება არ არსებობს...

ამჯერად მტკიცება იმდენად უნიათოა, განსაკუთრებით სასამართლო დარბაზში ბ-ნი სალის ამაღელვებელი გამოჩენის შემდეგ, რომელსაც თავმჯდომარემ არ მისცა საშუალება ბოლომდე ეთქვა ის, რაც იცოდა, და ბ-ნი დემანჟის ზუსტი ჩვენების შემდეგ, რომ დარბაზი ვეღარ ბედავს გენერლისთვის მხარდაჭერის გამოხატვას და თავის მოჭოჭმანე დუმილით ხელს უწყობს დრეიფუსის მომხრეების მქუხარე პროტესტს.

ასეთი შეხვედრით გაოცებული გენერალი დე პელიე შეყოყმანდება.

ბ-ნი გენერალი დე პელიე: არ ვიცი...

დამცინავი ნამოძახილები ანყვეტინებენ სიტყვას. მთელი ტანით, სწრაფად ტრიალდება საზოგადოებისკენ, ღირსეული, მკაცრი სახით, ღრმად ჩამჯდარი თვალებით, პირდაპირ და ქედმაღალ მზერას ავლებს დარბაზს, მზერას, რომელიც სხვა ჰორიზონტებსაა მიჩვეული.

ურყევი ხმით, ხმით ოფიცრისა, რომელმაც კარგად იცის, როგორ უნდა ჩაახშოს ბრბოს ამბოხი, სიტყვებს მათრახივით ურტყამს მომღიმარ სახეებს.

ბ-ნი გენერალი დე პელიე: ვითხოვ, სიტყვა არ შემაწყვეტინონ ქირქილით!

რამდენიმე წამს უშფოთველად იყურება და თავისი მზერით აშეშებს ბრბოს.

შემდეგ ცივად ტრიალდება ტრიბუნალისკენ.

ბ-ნი გენერალი დე პელიე: არ ვიცი, საკმარისი ყურადღებით მოისმინეთ თუ არა პოლკოვნიკი ანრის ამასწინანდელი ჩვენება. პოლკოვნიკმა ანრიმ აღნიშნა, რომ პოლკოვნიკმა სანდერმა მას გადასცა საიდუმლო დოსიე; რომ ეს დოსიე დაილუქა სამხედრო სასამართლო სხდომის დაწყებამდე და მას შემდეგ არც არასდროს გახსნილა. ვთხოვ, ბატონ ნაფიც მსაჯულებს ამ ფაქტს ყურადღება მიაქციონ.

ახლა, რაც შეეხება დრეიფუსის საქმის გადახედვას ამის საფუძველზე, რა არის საჭირო? მტკიცებულება...

ბ-ნი თავმჯდომარე: ჩვენ არ ვართ ამ საქმის გადახედვით დაკავებულნი. აქ ამის გაკეთება შეუძლებელია.

ბ-ნი გენერალი დე პელიე: მხოლოდ ამაზე კი ლაპარაკობენ...

ბ-ნი თავმჯდომარე: ვიცი, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არ ძალუძს ამ საკითხის განხილვა.

ბ-ნი გენერალი დე პელიე: ქედს ვიხრი. ქედს ვიხრი, და ვჩუმდები.

ბ-ნი თავმჯდომარე *(მიმართავს გენერალ გონსს)*: აღარაფერი გაქვთ სათქმელი, გენერალო?

ბ-ნი გენერალი გონსი: არა, ბატონო თავმჯდომარევ.

ბ-ნი გენერალი დე პელიე: ვითხოვ, გენერალი დე ბუადეფრის გამოძახებას, ჩემი სიტყვების დასამოწმებლად.

ბ-ნი თავმჯდომარე: იქნებ გადასცეთ, რომ ხვალ გამოცხადდეს?

გენერალი პასუხგაუცემლად თავს დარბაზისკენ შეაბრუნებს და თავის ადიუტანტს სიტყვას გადაუგდებს იმ კაცის იერით, ვი-

საც ყოველ წამს ყველას თავის სამსახურში ყოფნა ხელეწიფება.

ბ-ნი გენერალი დე პელიე: მაიორო დიუკასე! დაუყოვნებლივ მოიყვანეთ, ავტომობილით, გენერალი დე ბუადეფრი, გეთაყვა!

ის თავად არმია გახლავთ. მისი შეუვალი პოზა ყველას იმორჩილებს, მის მოწინააღმდეგეებს, მოსამართლეებს. მოთვინიერებული ბრბო სიხარულით ღმუის ახლახან გალახული ძაღლივით.

ბ-ნი კლემანსო *(დგება)*: ბატონო თავმჯდომარე, მსურს რამდენიმე სიტყვით შეევეპასუხო ბატონი გენერლის მიერ წარმოდგენილ დაკვირვებებს.

კლემანსო ჩერდება, გენერალი კიდევ ერთხელ აწყვეტინებს. და ფეხზე მდგარი, ცოცხალი და ოდნავ შესამჩნევად ირონიული მზერით, რომელიც აცოცხლებს მის გლუვ, აღმოსავლურ სახეს, თვალყურს ადევნებს გენერლისა და ლაბორის მოკლე შეტაკებას 1894 წლის საბრალდებო აქტის გამოქვეყნების თაობაზე.

მანტიით შემოსილ ლაბორის ხელები მაღლა აუწევია და იდაყვებამდე მოუჩანს პერანგი, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ვიღაცას ანათემას გადასცემსო.

ბ-ნი ლაბორი: ბატონმა გენერალმა დე პელიემ აქ გენერალ დე ბუადეფრს მოუხმო. სწორადაც მოიქცა!

მაგრამ კარგად უნდა იცოდეთ, რომ ორმოცდარვა საათიც კი არ გავა, რომ ჩემი ნაწინასწარმეტყველები სიტყვები ახდება. დებატები ვერ შეწყდება ბატონი გენერალი დე პელიეს თუ ბატონი გენერალი დე ბუადეფრის წარმოთქმული სიტყვებით. ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვები, ვინც არ უნდა იყოს იგი, ვერ შემატებს მნიშვნელობას ამ საიდუმლო დოკუმენტებს. ეს დოკუმენტები ან წარმოდგენილნი უნდა იქნენ, ან მათზე ლაპარაკი უნდა შეწყდეს; სწორედ ამიტომ მივმართავ ბატონ გენერალ დე პელიეს. წარმოადგინეთ დოკუმენტები, ან შეწყვიტეთ მათზე აპელირება!

ბატონმა კლემანსომ მშვიდად ასწია ხელი თავმჯდომარისკენ.

ბ-ნი კლემანსო: ბატონო თავმჯდომარე, პატივი მაქვს ვითხოვო სიტყვა...

მისი თავდაჭერილი თავდაჯერებულობა მისი თანამოძმის ბობოქრობისგან განსხვავებით პატივისცემას ინვევს.

ბ-ნი კლემანსო: ...ბატონმა დე პელიემ მოგვახსენა, რომ კასტელენის დაკითხვისას წარმოდგენილი იყო უდავო სამხილები... მაშ, მანამდე მხოლოდ სადავო სამხილები ყოფილა წარმოდგენილი?

მოკლე პაუზა.

აღუშფოთებელ იერს ინარჩუნებს, მაგრამ ირიბად აჭრილი ქუთუთოები ცელქი ჩრდილით ეკეცება.

ზოლა, კვლავ თავის ხელჯოხზე დაყრდნობილი, თავს მისკენ აბრუნებს და მონონებით იღიმება.

ლიუსი *(ხმადაბლა ბარუას)*: დანამდვილებით იცის, რომ საბუთი ყალბია...

ბ-ნი კლემანსო *(მშვიდი ხმით)*: მე ვეკითხები ბ-ნ დე პელიეს, როგორ მოხდა – რადგან ეს კითხვა უკვე ყველგან დაისმის – რომ ასეთი სერიოზული განცხადება გაკეთდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე? როგორ მოხდა, რომ ბ-ნმა გენერალმა ბიიომ, კასტელენის დაკითხვისას, არაფერი თქვა ამ საიდუმლო დოკუმენტების შესახებ დეპუტატთა პალატაში და არ დაიმუქრა ომით და მხოლოდ აქ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე გააკეთა ეს მნიშვნელოვანი განცხადება, რომელიც გუშინ ამ დარბაზში მოისმინეთ და რომელმაც ფარდა ახადა საიდუმლო დოკუმენტების არსებობას?

ბ-ნი გენერალი დე პელიე *(გაღიზიანებული)*: მე არ დავმუქრებივარ ქვეყანას ომით; ეს ყველაფერი მხოლოდ სიტყვების თამაშია. თუ გენერალმა ბიიომ, კასტელენის დაკითხვისას, არ ილაპარაკა ამ ან სხვა დოკუმენტებზე, რადგან სხვა დოკუმენტებიც არსებობს და გენერალი ბუადეფრი მოგახსენებთ მათ შესახებ, ეს მე არ მეხება; გენერალი ბიიო თავის თავზე აგებს პასუხს.

(მიმართავს ნაფიც მსაჯულებს.) სიმართლე ისაა, რომ გენერალმა ბიიომ მრავალჯერ გაიმეორა დეპუტატთა პალატაში: „დრეიფუსი სამართლიანად და კანონიერად არის დასჯილი“!

ბ-ნი ლაბორი *(წამოიწევს, გადასახტომად შემართული)*: აქ უნდა ჩავერიო იმის სათქმელად, რომ ამ ორი სიტყვიდან ერთი მაინც ყალბია! და ეს სიტყვაა: კანონიერად!

ბ-ნი გენერალი დე პელიე *(გამომწვევად)*: დაამტკიცეთ!

ბ-ნი ლაბორი *(უხეშად)*: ეს დამტკიცებულია!

ბ-ნი კლემანსო *(უფრო შემრიგებლური კილოთი)*: ჩვენ სულ ამის დამტკიცებას ვცდილობთ, მაგრამ სულ ხელს გვიშლიან; და თუ ბატონ გენერალს სურს ამის თაობაზე ჩემი აზრი მოისმინოს, მე მზად ვარ.

ბ-ნი თავმჯდომარე *(სასწრაფოდ, ხელის მკვეთრი მოძრაობით)*: არაა საჭირო.

ბ-ნი ლაბორი *(თავს ველარ იკავებს)*: ეს დამტკიცებულია ბ-ნი სა-

ლის, ბ-ნი დემანჟის მიერ! ეს დამტკიცებულია გაზეთების პუბლიკაციებით, რომლებიც არავის გაუბათილებია! დამტკიცებულია ბ-ნი გენერალი მერსიეს მიერ, რომელმაც ვერ გაბედა, ჩემს წინაშე, საწინააღმდეგოს მტკიცება. მე მას, წინა დღით, გაზეთებით გამოწვევა გავუგზავნე, რომელზეც ჯერ დუმილით, შემდეგ კი ისე გამორჩეული ფორმით მიპასუხა, რომ თვით ამგვარი პასუხი უკვე თავისთავად წარმოადგენს საუკეთესო მტკიცებულებას. რადგან, როდესაც მე ვთქვი: „გენერალმა მერსიემ გადასცა დოკუმენტი სამხედრო სასამართლოს და სახალხოდ თავს ინონებდა ამით", გენერალმა მერსიემ – ვერ ვიტყვი, მიზანმიმართულად თუ გაუცნობიერებლად – დებატებში კიდევ ერთხელ შემოიტანა გაუგებრობა, მიპასუხა: „ეს არაა სიმართლე". მე ვკითხე: „რა არაა სიმართლე? რომ თქვენ ამას ყველგან არ ამბობდით თუ, პირიქით, რომ თქვენ არ გადაგიციათ დოკუმენტი"? მან მიპასუხა: „რომ მე ამით ყველგან თავს არ ვინონებდი".

მე ვამბობ, რომ ყველა კეთილსინდისიერი ადამიანისთვის სამხილი სახეზეა. ამის დასტურია ის, რომ მიუხედავად ქვეყანაში ამ საქმით გამონვეული მღელვარებისა, კაციშვილმა არ თქვა ის, რისი წარმოთქმაც აქ ბატონმა დე პელიემ ვერ გაბედა. თავს ვდებ, არც წარმოთქვამს!

პაუზა.

(მომლიმარი) მაშ, კეთილი! მე ვამბობ, რომ ეს უკვე დამტკიცებულია!

ბ-ნი გენერალი დე პელიე *(ქედმაღალი)*: როგორ უნდა მელაპარაკა, თუ რა ხდებოდა დრეიფუსის პროცესზე, როცა მე ხომ იქ არ ვყოფილვარ!

ლაბორი უყურებს ნაფიც მსაჯულებს, შემდეგ მოსამართლეებს, ბოლოს აუდიტორიას, თითქოს ყველას ამ მიკიბულ-მოკიბული პასუხის მოწმედ ხდის.

შემდეგ გადაჭარბებული თავაზიანობით თავს უხრის გენერალს, ბაგეზე კი გამარჯვების ღიმილი დასთამაშებს.

ბ-ნი ლაბორი: კეთილი, გმადლობთ, გენერალო.

ბ-ნი კლემანსო *(ერთვება)*: ბატონო თავმჯდომარე, ჩვენ აქ მოვიყვანეთ მოწმე, რომელმაც სამხედრო სასამართლოს ერთ-ერთი წევრისგან მოისმინა, რომ რაღაც საიდუმლო დოკუმენტი გადაეცათ მოსამართლეებს. ჩვენ მისი დაკითხვის ნება არ მოგვცეს.

ბ-ნი ლაბორი: ჩემს საბუთებში ორი წერილი მაქვს, რომელიც იგივეს ადასტურებს. აგრეთვე, მაქვს წერილი რესპუბლიკის პრეზი-

დენტის მეგობრისა; ამ მოწმემ განაცხადა, რომ არ მოვიდოდა ჩვენების მისაცემად, რადგან გააფრთხილეს, რომ თუ ამ ფაქტს მოჰყვებოდა, ის უარყოფილი იქნებოდა, სასამართლოს წინაშე ეტყოდნენ, რომ მისი ცნობები არარსებულია.

ბ-ნი კლემანსო: გენერალმა ბიიომ რატომ არაფერი უთხრა ბ-ნ შერერ-კესტნერს, როდესაც ამ უკანასკნელმა კითხვა დაუსვა ამის თაობაზე? ყველაფერი ხომ იმავე დღეს გამოირკვეოდა!

ბ-ნი თავმჯდომარე *(ნერვული)*: ყოველივე ამას თქვენს დაცვით სიტყვაში იტყვით.

ბ-ნი გენერალი გონსი *(კვლავ გამოდის წინ)*: სიტყვა მაქვს სათქმელი იმ ახლახან წარმოთქმულ ჩვენების შესახებ, რომელიც გენერალური შტაბის საბუთებს ეხება.

მე ვთქვი, რომ გენერალური შტაბის საბუთები საიდუმლო დოკუმენტებია. ისინი საიდუმლონი არიან და ყოველთვის იქნებიან; ჩვენ გენერალურ შტაბში მიმოწერით ვურთიერთობთ, რომლებიც ყოველთვის საიდუმლო ხასიათისანი არიან. როდესაც საუბრობენ ამა თუ იმ დოკუმენტზე, ესე იგი, ლაპარაკია საიდუმლო დოკუმენტზე.

კიდევ, ცდებიან, როდესაც ამბობენ, რომ დრეიფუსმა არ იცოდა, თუ რა ხდებოდა გენერალურ შტაბში 1893 წლის სექტემბერში. დრეიფუსმა თავიდან ექვსი თვე გაატარა...

ბ-ნი თავმჯდომარე *(აწყვეტინებს არათავაზიანად)*: ჩვენ აქ დრეიფუსის საქმეზე სალაპარაკოდ არ ვართ შეკრებილნი...*(გენერალ დე პელიეს და გონსს)* თქვენ, ორივე, შეგიძლიათ დაბრძანდეთ.

გაოგნების მომენტი.

თავმჯდომარე ამით სარგებლობს.

ბ-ნი თავმჯდომარე *(სასამართლოს აღმასრულებელს შეუვალი ტონით)*: შემდეგი მოწმე შემოიყვანეთ!

სასამართლოს აღმასრულებელი ჭოჭმანობს.

ლაბორი წამოდგება, წინ იხრება, ხელებს იშვერს, თითქოს სასამართლო სხდომის გაგრძელების შეწინააღმდეგება უნდაო.

ბ-ნი ლაბორი: ბატონო თავმჯდომარეე, აბსოლუტურად შეუძლებელია, ამ მოვლენის შემდეგ...

ბ-ნი თავმჯდომარე *(მშრალად)*: განვაგრძოთ...

ბ-ნი ლაბორი *(აღშფოთებული)*: ოჰ, ბატონო თავმჯდომარეე, ეს შეუძლებელია! თქვენ ძალიან კარგად გრძნობთ, რომ მსგავსი ინციდენტი თუ არაა ამოწურული, აჩერებს სასამართლო დებატებს.

მაშასადამე, ჩვენ ვალდებულნი ვართ მოვუსმინოთ ბ-ნ გენერალ დე ბუადეფრს.

ბ-ნი თავმჯდომარე: დღესვე მოვუსმენთ. *(სასამართლოს აღმასრულებელს.)* შემოიყვანეთ შემდეგი მოწმე!

ბ-ნი ლაბორი (მტკიცე): ნება მიბოძეთ, ბატონო თავმჯდომარევ...

ბ-ნი თავმჯდომარე *(გააფთრებული, სასამართლოს აღმასრულებელს)*: დაუძახეთ შემდეგ მოწმეს!

სასამართლოს აღმასრულებელი გადის.

ბ-ნი ლაბორი: ბატონო თავმჯდომარევ, ბოდიშს გიხდით, დაცვის მხარის მოთხოვნით გადავადებას მოვითხოვ!

სასამართლოს აღმასრულებლს შემოჰყავს მაიორი ესტერჰაზი.

ბ-ნი თავმჯდომარე *(ლაბორის)*: გადაწყვეტილებას მას შემდეგ გამოვიტანთ, რაც მოწმეებს მოვუსმენთ!

ესტერჰაზი მიდის მოწმის ადგილისკენ. მხრებში მოხრილი კაცია, ტუბერკულიოზიანივით ჩამომხმარი, მოყვითალო ფერის პირისახის, აწითლებული ყვრიმალებით, მოძრავი და სიცხიანი მზერით. დარბაზში მქუხარე ტაში სჭექს.

თავმჯდომარე უკვე მისკენაა მიტრიალებული, როდესაც ლაბორი უკანასკნელად, სასოწარკვეთილი ენერგიით ერთვება.

ბ-ნი ლაბორი: კი მაგრამ, მე მოვითხოვ ყველა სხვა მოწმის მოსმენის გადადებას მანამდე, სანამ არ იქნება მოსმენილი ბ-ნი გენერალი დე ბუადეფრი. სასამართლომ უნდა გადადოს გადაწყვეტილების გამოტანა, სანამ ყველა სხვა მოწმე არ დაიკითხება!

თავმჯდომარე ყოყმანობს და განრისხებული თვალებს აბრიალებს.

ესტერჰაზი გულზე ხელდაკრეფილი, შეწუხებული იცდის, ვერ გაუგია, რა ხდება.

ლაბორი ჯდება და გამალებით წერს დაცვის მხარის მოთხოვნებს.

ბ-ნი თავმჯდომარე *(უხეშად და კადნიერად)*: დიდი ხანი დაგჭირდებათ თქვენი მოთხოვნების დასაწერად?

ბ-ნი ლაბორი *(თავაუწევლად, ქედმაღლურად)*: ათი წუთი.

სხდომა შეჩერებულია.

თავმჯდომარე ანიშნებს სასამართლოს აღმასრულებელს, გაიყვანოს ესტერჰაზი მოწმეთა დარბაზში.

ანერვიულებული, ახმაურებული აუდიტორია ხმამაღალი შეძახილებით კარამდე აცილებს ესტერჰაზის.

ვითომ ფეხების ბრახუნი არც კი ესმოდეთ, მოსამართლეები დგებიან და დინჯად ტოვებენ დარბაზს, მათ უკან ნაფიცი მსაჯულები, ბრალდებულები და ადვოკატები მიჰყვებიან.

გაღიზიანება, რომელიც დუღდა და სანახევროდ იყო შეკავებული მოსამართლეთა იქ ყოფნის გამო, ახლა თავისუფლად გადმოდუღს.

უკიდურესად გადახურებულ ჰაერში, მომწამვლელი რომ გამხდარა, ერთურთს ეჯახება გადაძახილები, ყინიანი შეძახილები, კივილი. გამაყრუებელი ღრიანცელი.

„მთესველის" რედაქციის თანამშრომლებს ლიუსის გარშემო მოუყრიათ თავი.

მანტიაში გამოწყობილი პორტალი მათ უერთდება. გულგატეხილი იერი დასდებია მის პატიოსან სახეს, უფრო ბუთქუნა და უფრო თეთრი რომ მოჩანს მოსამართლის ქუდის ქვეშ.

პორტალი *(ჯდება დაღლილი)*: კიდევ ერთი საიდუმლო დოკუმენტი!

ბარუა: რა დოკუმენტია?

ზეჟერი *(სეტყვასავით ხმით, ბოლოსკენ დამცინავი ინტონაციით)*: რამდენადაც ვიცი, მასზე აქამდე კაციშვილს არაფერი გაუგონია!

ლიუსი: კი, ვიცოდი მისი არსებობის შესახებ, მაგრამ არ მეგონა თუ მის გამოყენებას გაბედავდნენ.

ზეჟერი: ვის ეკუთვნის?

ლიუსი: ის ვითომ იტალიის სამხედრო ატაშეს დაწერილია და ვითომ გერმანიის ატაშეს წერილებში აღმოაჩინეს.

ბარუა *(ცოცხლად)*: სიყალბის სუნი ასდის!

ლიუსი: ოჰ, ეგ, რაღა თქმა უნდა, ყალბია. როგორ მოვიდა სამინისტროში, არ ვიცი, მაგრამ ძალიან უცნაურ დროს კი მოვიდა... ზუსტად იმის წინა დღეს, როდესაც მინისტრს დეპუტატთა პალატაში დრეიფუსის საქმესთან დაკავშირებით პირველად უნდა ეპასუხა კითხვებზე და როდესაც გენერალური შტაბი უკვე შეფუცხუნებული იყო ამ ინციდენტით!

ზეჟერი: და მერე, შინაარსი...

ჟულია: ზუსტად არ ვიცით, შიგ რა წერია. გენერალმა ზეპირად მოიყვანა ციტატა.

ლიუსი: მაგრამ ის ამტკიცებდა, რომ დრეიფუსის გვარი იქ სრულადაა მოხსენიებული. ესეც აბსოლუტურად დაუჯერებელია. მარტო ეს კმარა ეჭვის აღსაძვრელად! მაშინ, როდესაც პრესა უკვე აქტიურად იყო დაკავებული დრეიფუსის საქმით, ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ამ ორ სამხედრო ატაშეს თავისუფლად ესაუბრათ თავიანთ პირად მიმოწერაში დრეიფუსზე. თუ დავუშვებთ, რომ რეალურად ჰქონდათ კიდეც დრეიფუსთან ურთიერთობა, მით უფრო, არავითარ შემთხვევაში არ გამოიჩენდნენ ასეთ გაუფრთხილებლობას! განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათმა მთავრობებმა არაერთგზის ოფიციალურად უარყვეს ეს ფაქტი!

ბარუა: ეს თვალშისაცემად ცხადია!

პორტალი: კი, მაგრამ ვის შეუძლია ასეთი დოკუმენტების შეთითხვნა?

ზეჟერი *(დაუნდობელი ქირქილით)*: გენერალურ შტაბს, ეშმაკმა დალახვროს!

არბარუ: ესაა ფალსიფიკაციების ეროვნული სახელოსნო!

ლიუსი *(დინჯად)*: არა, მეგობრებო, არა... ამაში ვეღარ დაგეთანხმებით!

მისი პირდაპირი და მტკიცე გამომეტყველება პატივისცემას იწვევს. მხოლოდ ზეჟერი იჩეჩავს მხრებს.

ზეჟერი: მაგრამ მაინც, ნება მომეცით, ფაქტები...

ლიუსი *(ძალზე მტკიცედ მიმართავს ყველას)*: არა, მეგობრებო, არა... ფრთხილად ვიყოთ... გენერალური შტაბი არაა ყალთაბანდების ბანდა, ისევე, როგორც ჩვენ არ ვართ გამყიდველთა ბანდა... ვერასდროს დამაჯერებთ, რომ ისეთ ადამიანებს, როგორებიც არიან გენერლები ბუადეფრი, გონსი, ბიიო, და სხვანი, შეუძლიათ პირი შეკრან და დოკუმენტები გააყალბონ!

კრესტეი დ'ალიზი ცეცხლოვანი მზერით, მწარე ღიმილით, გატანჯული სახით ყურს უგდებდა კამათს და მოუთმენლად ისვამდა ხელს გრძელ ულვაშებზე.

კრესტეი: კეთილი. მე ადრე ვიცნობდი გენერალ დე პელიეს. ის თვით პატიოსნების განსახიერებაა.

ლიუსი: სხვათა შორის, საკმარისია ნახო და მოუსმინო, რათა დარწმუნდე, რომ სჯერა, რასაც ამტკიცებს: მისი მჭევრმეტყველება უდავოდ გულწრფელია. და სანამ საწინააღმდეგოს არ დამიმტკიცებენ, სხვა გენერალთა გულწრფელობისაც მჯერა.

კრესტეი: მათ ატყუებენ. ისინი სიცრუის პირველი მსხვერპლნი არიან, რომლებიც წინ გამოიგდეს.

ზეჟერი *(გაყინული ღიმილით)*: თქვენ მათ მიიჩნევთ ბრმებად, რაც არ შეესაბამება სიმართლეს.

კრესტეი *(ცოცხლად)*: პირიქით, შეესაბამება! აპ, ჩემო ძვირფასო, თქვენ რომ უფრო ახლოს იცნობდეთ ოფიცრებს...

შეხედეთ იმ ჯგუფს, იქ, ჩვენ უკან... შეხედეთ წინასწარ აკვიატებული აზრის გარეშე!

მათ ცოტა შეზღუდული, თვითდაჯერებული გამომეტყველება აქვთ, ასეა; ჩვეულებად აქვთ ქცეული მუდამ მართლნი იყვნენ ადამიანთა წინაშე... მაგრამ ეს ღრმად პატიოსანი სახეებია!

ლიუსი: დიახ, ცოტა დარბაზსაც გადახედეთ, ზეჟერ, ეს ჭკუის სასწავლებელია.

რა გინდათ? ეს ხალხი არაა შეჩვეული სწრაფად გადაწყვეტილებების მიღებას... და უეცრად, მათ წინაშე დგება საშინელი დილემა, არის დამნაშავე და სად არის ის? იქნებ დამნაშავე ხელისუფლებაა, არმიაა, ყველა ეს გენერალია, რომელიც საზეიმოდ დებს ფიცს, პატიოსან სიტყვას იძლევა, რომ დრეიფუსის დასჯა სამართლიანია? ან იქნებ ეს პატარა, უცნობი, შვიდი ოფიცრის მიერ მსჯავრდადებული ებრაელია დამნაშავე, რომელზეც, აგერ უკვე სამი წელია, ამდენი ცუდი ითქვა? და მოგეხსენებათ, რომ ცილისწამების ნაწილი მაინც ილექება გონებაში.

ზეჟერი *(ქედმაღალი)*: ძნელი არაა იმის შენიშვნა, რომ გენერალური შტაბი, ყოველ ჯერზე, როგორც კი ზუსტი საბუთების წარმოდგენას მოსთხოვდნენ ხოლმე, უკან იხევდა.

ყველა, ოფიცრებიც კი უნდა ჩააფიქროს ამან.

ჟულია: და კიდევ, რა ფასი აქვს ამ პატიოსან სიტყვას, წამდაუწუმ რომ წამოისვრიან, ისეთი კარგი არგუმენტაციის საპირწონედ, როგორიცაა ლაზარის ჩანაწერები, ან დიუკლოს ბროშურა ან თუნდაც თქვენი წერილი, ბატონო ლიუს?!

ზეჟერი: ან, პოეტურობის მიუხედავად, თვით ზოლას წერილი!

ბარუა: მოითმინეთ! ჩვენ მიზანს ვუახლოვდებით. *(ლიუსს)*. დღეს, ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ!

ლიუსი არ პასუხობს.

პორტალი: თქვენ არ ხართ მომთხოვნი, ბარუა...

ბარუა: კი მაგრამ, ეს ძალიან ნათელია. მისმინეთ, გენერალი

ბუადეფრი ახლავე მოვა, რადგან მის მოსაყვანად საჩქაროდ წავიდნენ. პირველი სიტყვებიდანვე ლაბორი ჩიხში მოიმწყვდევს. ის ვერ შეძლებს სასამართლოსთვის დოკუმენტის წარდგენაზე უარის თქმას.

ამის შემდეგ, დოკუმენტზე იმსჯელებენ, დიდი ხანი არ დასჭირდება მის ღრმა შესწავლასა და განხილვას. მაშინ გენერალურ შტაბს ყალბი დოკუმენტის წარდგენაში ამხელენ, ეს კი საზოგადოებრივი აზრის დაუყოვნებლივ შემობრუნებას გამოინვევს! საქმეც სამ თვეზე ადრე გადაიხედება.

ის ლაპარაკობს მკვახედ, მკვეთრი ჟესტიკულაციით. მისი მზერა ამაყი გამონვევით ბრწყინავს. მთელი მისი არსება იმედითაა ატაცებული.

ლიუსი *(ამ აღმაფრენით მოჯადოებული)*: შესაძლოა.

ბარუა *(გულღია, ნათელი სიცილით)*: არა, არა, ნუ იტყვით შესაძლოა. ამჯერად, დარწმუნებული ვარ, ჩვენ მივაღწევთ საქმის გადახედვას!

ზეჟერი *(ცინიკურად ბარუას)*: და თუ გენერალი ბუადეფრი იპოვის გამოსავალს? პირველად ხომ არ იქნება... ბევრჯერ უპოვია...

ბარუა: იმის მერე, რაც მოხდა? ეს აღარაა შესაძლებელი... თქვენ კარგად დაინახეთ, რომ გენერალი გონსი გადაეფარა გენერალ დე პელიეს!

ვოლდშმუტი *(რომელმაც სასამართლოს სხდომის შენყვეტისას შეძლო დარბაზიდან გასვლა და კვლავ ბრუნდება თავის ადგილას)*: აი, ახალი ამბები... სხდომა განახლდება. გენერალი დე ბუადეფრი ეს-ესაა მოვიდა მანქანით.

ბარუა: ნახეთ?

ვოლდშმუტი: კი, როგორც თქვენ გიყურებთ. სამოქალაქო ტანსაცმელში იყო. სასამართლოს აღმასრულებელი კიბეზე ელოდა. პირდაპირ მოწმეთა დარბაზში შევიდა.

ჟულია *(ტაშს შემოპკრავს. ბარუას)*: ხედავთ?

ბარუა *(გამარჯვებული)*: ამჯერად, მეგობრებო, უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვთ! ეს ღია ბრძოლაა და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

ხალხისა და ადვოკატების ხმაურიანი შემოსვლა, რომელთაც დატოვეს დარბაზი.

შუა ღრიანცელში შემოდის სასამართლო; მოსამართლეები, ნაფიცი მსაჯულები იკავებენ თავიანთ ადგილს.

შემოჰყავთ ბრალდებულები.

ლაბორი მხიარულად მიდის თავის სკამამდე და ცოტა ხანს ფეხზე რჩება, დოინჯშემოყრილი, ზოლასკენ გადახრილი, რომელიც მას მომღიმარი ესაუბრება.

სიჩუმე თავისთავად მყარდება.

ნერვები უკიდურესადაა დაჭიმული. იგრძნობა, რომ ამჯერად მართლა გადამწყვეტი ბრძოლაა.

თავმჯდომარე დგება.

ბ-ნი თავმჯდომარე: სხდომა განახლებულია! *(შემდეგ სწრაფად, დაუჯდომლად.)* ბატონი გენერალ დე ბუადეფრის არყოფნის გამო სხდომა ხვალისთვისაა გადადებული.

(დრო) სხდომა დახურულად ცხადდება.

ჯერ საყოველთაო გაურკვევლობა. გაოგნების წამი, რითაც მოსამართლეები სარგებლობენ და ღირსეულად ქრებიან დარბაზიდან.

ნაფიცი მსაჯულები არ იძვრიან. გაოცებული ზოლა ლაბორისკენ ტრიალდება, რომელიც სკამს მიყრდნობია, ამაო მუქარის პოზაში გაშეშებული.

ბოლოს ყველა ხვდება; ბრძოლა გადადებულია, ბრძოლა აღარ იქნება.

იმედგაცრუების ღმუილი ენით აუწერელი აურზაურის ნიშანი ხდება. საზოგადოება ფეხზეა წამოჭრილი, ფეხებს აბრახუნებს, ყიჟინას სცემს, უსტვენს, კივის.

შემდეგ, როგორც კი ტრიბუნალი იცლება, კარს მიაწყდება. რამდენიმე წუთში გასასვლელი გაჭედილია; ჭედვაში მოყოლილ ქალებს გული მისდით; სახეები გაოფლილია; თვალები ველური და დაბნეული. პანიკის ნამდვილი სცენა.

„მთესველი" თავის ადგილზე რჩება, განცვიფრებული.

ჟულია: ლაჩრები!

ზეჟერი: ეშმაკმა დალახვროს! განკარგულებებს ელიან!

ლიუსი *(მოწყენილი, ბარუას)*: ხედავთ? უფრო ძლიერნი არიან...

ბარუა *(გაცოფების ზღვარზე)*: ოჰ, ამჯერად ეს სკანდალის გარეშე არ ჩაივლის! ხვალ გამოვაქვეყნებ სტატიას. ეს ცინიზმია! ვის ამასხარავებენ? როდესაც დეპუტატთა პალატა აღშფოთებულია, როდესაც ის

მოითხოვს პასუხისმგებელი მინისტრებისგან ლია ახსნა-განმარტებას, მას უბრალოდ პასუხობენ: „აქ არა, იუსტიციის სასახლეში გაიგებთ ყველაფერს". – შემდეგ, სასახლეში, ყოველ ჯერზე, როდესაც სურთ ამ ბნელი სასამართლო გარჩევების ძირის შეჯანჯღარება, ყოველ ჯერზე, როდესაც სიმართლე სადაცაა ზედაპირზე უნდა ამოტივტივდეს და, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდეს, ნიხლით იგერიებენ და ისევ ჭაობში ტენიან: „საკითხი არ განიხილება!"

აჰ, არა! ეს უნდა დამთავრდეს! ქვეყანამ უნდა შეიგნოს, რა დონემდე ჰკიდიათ ფეხზე!

ვესტიბიულიდან ყრუ გუგუნი მოისმის.

ვოლდშუტი: იქ, ეტყობა, ჩხუბია. ნავიდეთ!

კრესტეი: საიდან გავიდეთ?

ბარუა: აქედან! *(ჟულიას)* მომყევით!..

ზეჟერი *(ახტება საფეხურებს)*: არა, აქეთ...

როგორც შეუძლიათ, ისე აღწევენ თავს სხდომათა დარბაზს.

რევოლუციური შფოთვა აზანზარებს იუსტიციის სასახლის კამარებს და ცუდად განათებულ, ხალხით აფუთფუთებულ დერეფნებში ექოდ გრძელდება.

მუნიციპალური დაცვის დაბნეული, შეშინებულთვალებიანი ჯარისკაცები ამაოდ ცდილობენ დაცვის ხაზის შენარჩუნებას. ორი ჯგრო ერთმანეთს ეხლება და სიბნელეში ერთმანეთში ირევა.

ათასნაირი ყვირილი:

– ნაძირალებო! ყაჩაღებო! მოღალატეებო!

– გაუმარჯოს პელიეს!

– გაუმარჯოს არმიას!

– ძირს ურიები!

იმ მომენტში, როცა ბარუა და ლიუსი უერთდებიან ზოლასა და მისი დამცველების ჯგუფს, შორიდან მოვარდნილი ხალხის ნაკადი წყვეტს პოლიციის კორდონს და მათ კედელზე ასრესს.

ბარუა ჟულიას დაცვას ცდილობს. პორტალი, რომელიც სასახლის ყველა კუთხე-კუნჭულს კარგად იცნობს, სასწრაფოდ აღებს ერთ-ერთი გასასვლელის კარს. ზოლა და მისი ერთგულნი იქ აფარებენ თავს.

ზოლა ბოძს მიყრდნობილი დგას, თავშიშველი, ძალიან ფერმკრთალი, უსათვალოდ, ახლომხედველი თვალები ნახევრად

მოჭუტული აქვს, ტუჩები მოკუმული. აქეთ-იქით იყურება. შეამჩნევს ლიუსს, შემდეგ ბარუას; და უეცრად უსიტყვოდ უნვდის ხელს.

ბოლოს და ბოლოს, პოლიციელებმა გააკეთეს დერეფანი.

პოლიციის პრეფექტი პირადად მოდის ნესრიგის დასამყარებლად.

პატარა ფალანგა გზას მიიკვლევს. ზეჟერი, არბარუ, ვოლდშმუტი, კრესტეი მას უერთდებიან.

მჭიდრო ბრბოს დაპყრობილი აქვს ეზო, ქუჩები, მთელი უბანი, ოტელ-დიეს კედლებამდე, მანიფესტანტების ხელშია; ნაცრისფერი მოძრავი მასა, ზამთრის დღის მიწურულს, რომელსაც აქა-იქ უკვე ყვითლად ანათებენ ფარნები.

ყვირილი, ღრიანცელი, გაურკვეველი გინება დრო და დრო ყურისნამღები სტვენით იკვეთება. განუწყვეტელ გუგუნს უროს დარტყმასავით რეფრენად გასდევს: სიკვდილი!... სიკვდილი!... კიბის თავზე დაკრუნჩხულ, გაღიზიანებულ სახიანი ზოლა თავისიანებისკენ იხრება.

ზოლა: *კაციჭამიები...*

შემდეგ გულშენუხებული, მაგრამ მყარი ნაბიჯით მეგობრის ხელზე დაყრდნობილი კიბეს ჩაუყვება.

კიბის დასაწყისთან პატარა თავისუფალი სივრცის გაკეთება მოხერხდა. თავისი ეტლი უცდის, ცხენოსანი პოლიციით გარშემორტყმული.

სურს შემოტრიალდეს, რამდენიმე ადამიანს ხელი ჩამოართვას, მაგრამ ღრიალი მატულობს...

– ნყალში!... სიკვდილი მოღალატეს!... სენაში!...

– სიკვდილი ზოლას!

ანერვიულებული პრეფექტი აჩქარებს გამგზავრებას.

ეტლი ნელა იძვრება. ნასროლი ქვები ამსხვრევენ ფანჯრებს.

კვალზე მიშვებული ძაღლების ხროვის მსგავსი მჭახე, სისხლსმოწყურებული ყვირილი მიაცილებს ლანდოს, რომელიც მწუხრში იკარგება.

ლიუსი *(თითქოს ყელში ბურთი აქვს გაჩხერილიო, ბარუას)*: ცოტაც და ხოცვა-ულეტა დაიწყება...

მაიორი ესტერჰაზი გამოჩნდა, უკან ვიღაც გენერალი მოჰყვება; ოვაციით აცილებენ მანქანამდე.

მალე პოლიციის კორდონი წყდება. ბარუა ცდილობს ჟულია და ლიუსი გაიყვანოს, მაგრამ ბრბო მჭიდროა.

ზოლას მეგობრებს ცნობენ და ლანძღავენ:

– რეინახ!.. ლიუს!... ბრიუნო!... სიკვდილი მოღალატეებს!... გაუმარჯოს არმიას!...

ბრბო ჯგუფებად მოედინება. ცნობისმოყვარეთა ტალღას, სტუდენტებს, მანანწალებსა და ქურდბაცაცებს წინ გარეუბნის ბიჭბუჭობა მოუძღვის.

ყველას, ქუდის წინა მხარეზე, ფურცელი აქვს მიმაგრებული რეკრუტის ნომერივით, რომელთაც ათასობით არიგებენ ქუჩებში.

ყველა ფრანგის პასუხი
ემილ ზოლას:
ნეხვო!

ფორმიანი ოფიცრები გზას იკაფავენ აპლოდისმენტებს შორის.

მარტო მიმავალ ებრაულცხვირიან ადამიანებს თავაშვებული ბიჭბუჭები გზას არ აძლევენ, გარს ერტყმიან, დასცინიან და მათ გარშემო ველურების ფერხულს მართავენ ხელში დახვეული „ორორის“ ჩირაღდნებით; ეფექტი საშინელია ღამის დადგომასთან ერთად.

სანაპიროს კუთხესთან ჟულია, ბარუა და ლიუსი ჩერდებიან, სხვებს ელოდებიან.

უეცრად ელეგანტურად ჩაცმული ახალგაზრდა ქალი მათკენ თავქუდმოგლეჯილი მირბის. მათ ჰგონიათ, რომ მოსდევენ და გაიწევიან, მზად არიან დაეხმარონ. მაგრამ, თვალის დახამხამებაში, ის ლიუსს ეცემა, ტანსაცმელზე ებღაუჭება და ორდენის ბაბთას აგლეჯს.

ქალი *(მირბის)*: ბებერო გაიძვერავ!

ლიუსი დამწუხრებული ღიმილით აყოლებს თვალს.

ერთი საათის შემდეგ.

ლიუსი, ბარუა, ჟულია, ბრეილ-ზეჟერი და კრესტეი პატარა ნაბიჯებით მიუყვებიან ინფანტის ბაღის გისოსებს.

უკვე მთლად დაღამდა. წვიმიანი ნისლი უსველებთ მხრებს.

ბარუა მეგობრულად უყრის ხელკავს ლიუსს, რომელიც უხმოდ მიდის.

ბარუა: რა მოგივიდათ? გამხნევდით... ჯერ არაფერია დაკარგული. იცინის.

ლიუსი დაკვირვებით შეცქერის გაზის ფარნის შუქზე. ბარუას ნაკვთები სიცოცხლის სიხარულს, რწმენას, უსაზღვრო აქტიურობას ასხივებენ. მასში თავმოყრილია მთელი სასიცოცხლო ძალა.

ლიუსი *(ზეჟერს და ჟულიას)*: ერთი შეხედეთ! ნაპერწკლებს ისვრის... *(მოქანცულად)* აჰ, თქვენი მშურს, ბარუა. მე მეტი აღარ შემიძლია, მეყო. საფრანგეთი მთვრალი ქალივითაა: ნათლად ვეღარ ხედავს, აღარ იცის, რაა სიმართლე, სადაა სამართალი. არა, ძალიან დაბლა დაეცა. ეს გულს მიტეხს...

ბარუა *(მჭექარე ხმით, რომელიც ენერგიას აღვივებს)*: არა და არა! ხომ გაიგონეთ ეს ყვირილი? ხომ ნახეთ ეს გაშმაგებული ბრბო? ერი, რომელსაც ჯერ კიდევ შეუძლია იდეისთვის ამგვარი აღგზნება, არაა დაცემული.

კრესტეი: მართალია ეს ყმაწვილკაცი!

ზეჟერი: მართალია, ეშმაკმა დალახვროს! გასაგებია, იქნება გაწამაწია, მაგრამ ვის გაუკვირდება? მგონი პირველადაა, რომ მორალი ერთვება პოლიტიკაში. ეს არაა იოლი!

ბარუა: ეს სახელმწიფო გადატრიალების მაგვარია...

ლიუსი *(სერიოზული)*: კი, პირველივე დღიდან ასეთი შეგრძნება მაქვს, რევოლუციას ვესწრებით.

ზეჟერი *(უსნორებს)*: კი არ ვესწრებით, რევოლუციას ვახდენთ!

ბარუა *(ამაყად)*: და, როგორც ყველა რევოლუციისას, ახლაც უმცირესობა იღებს თავის თავზე ინიციატივას და მარტოდმარტო, აღასრულებს მას, საკუთარი ნებისა და სიმტკიცის ძალით!

აჰ, ეშმაკმა დალახვროს, რა მშვენიერია ამგვარად, ბრძოლით ცხოვრება!

ლიუსი უარყოფის ნიშნად გაიქნევს თავს.

ჟულია სპონტანურად უახლოვდება ბარუას და მკლავზე ეკიდება; ის კი თითქოს ვერც ამჩნევს.

ბარუა *(გულიანად ხარხარებს, ახალგაზრდა და გულადი)*: დიახ, ვაღიარებ, რეალობა, განსაკუთრებით ამ მომენტში, მახინჯი, დაუნდობელი, უსამართლო და უთავბოლოა. მერე რა! სწორედ მისგან

ამოიფრქვევა საბოლოოდ ერთ დღეს მშვენიერება! *(ლიუსს)* ათასჯერ მიმეორებდით: ადრე თუ გვიან სიცრუე თვით ცხოვრებით დაისჯებაო. ასეა, მე მჯერა ჭეშმარიტების გარდაუვალი ძალისა! და თუ ამ საღამოს კიდევ ერთხელ ნავაგეთ ბრძოლა, ეგ არაფერია! მხნეობა, გამბედაობა მოვიკრიფოთ და ხვალ, ალბათ, მოვიგებთ!

III

31 აგვისტო 1898 წელი.

პარიზი, ჩაძინებული და უკაცრიელი.

სენ-მიშელის ბულვარის კაფე. საღამოს ცხრა საათი.

„მთესველის" ჯგუფი შეკრებილია ანტრესოლზე. ცხელ ღამეში შელებული ფანჯრების წინ, პირველ პლანზე მოსჩანს კაფეს ტერასას დამრეცი, შუქით განათებული ჩარდახები, მოშორებით კი ღამეული და უკაცრიელი ლათინური კვარტალი.

განათებული და ცარიელი ტრამვაიები ღრჭიალით ამოუყვებიან ბულვარს.

ბარუამ დატენილი ჩანთიდან ამოალაგა ქაღალდები. მის გარშემო წრიულად მსხდარი მეგობრები იღებენ და ფურცლავენ ბროშურებს, გაზეთებს.

პორტალი *(კრესტეის)*: ლიუსის ამბისა რა იცით?

პორტალი ლოტარინგიიდან დაბრუნდა, სადაც ის ყოველწლიურად მიდის ხოლმე.

კრესტეი: კვირას ვნახე, შემეცოდა. ამ სამ თვეში ძალიან მოტყდა, დაბერდა.

ბარუა: იცით, რომ მას სთხოვეს – ოჰ, ძალიან თავაზიანად – უარი ეთქვა ახალი სასწავლო წლიდან კოლეჟ დე ფრანსში ლექციების წაკითხვაზე? ივნისის ბოლოს დიდი აურზაური იყო გამართული მისი ლექციების გამო. სხვათა შორის, ყველამ ზურგი აქცია. სენატის ბოლო სხდომებზე ათიოდე კაცმა თუ ჩამოართვა ხელი.

პორტალი: რა გაუგონარი, საყოველთაო სიბნელეა!

არბარუ *(სიძულვილით იჭყანება)*: ყველაფერში ნაციონალისტური

პრესაა დამნაშავე. ეს ხალხი ამოსუნთქვის, აზრზე მოსვლის საშუალებას არ უტოვებს საზოგადოებრივ აზრს!

ბარუა: პირიქით, ისინი სისტემატურად ფეხქვეშ თელავენ ჩვენი რასისთვის დამახასიათებელ კეთილშობილებას, ყველაფერს, რაც დღემდე საფრანგეთს დიდებისა თუ საფრთხის ეპოქებში ცივილიზაციის სათავეში აყენებდა; და ამას სჩადიან ანარქიზმთან და ანტიმილიტარიზმთან ბრძოლის პრეტექსტით, რომელთაც საგანგებოდ ურევენ სიკეთისა და სამართლიანობის ელემენტარულ ცნებებში!

ხელსაც არავინ უშლით.

ვოლდშუტი *(აქნევს პუდელისმაგვარ თავს, ალერსიანი თვალებით)*: ხალხისგან ყოველთვის იმას იღებენ, რაც სურთ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ებრაელების წინააღმდეგ დაგეშავენ...

კრესტეი: რაც მათ საყოველთაო მოწონებაში მაკვირვებს, ისაა, რომ მათი თეზა სრულიად სულელურია. სულ ცოტაოდენი საღი გონებით შეხედვაა საჭირო მის გასაცამტვერებლად: „დრეიფუსის საქმე არის ებრაელებისგან წამოწეული უზარმაზარი მაქინაცია“.

ბარუა: თითქოს შესაძლებელი იყოს ასეთი ვეება ავანტიურის თავიდან ბოლომდე გათვლა და ორგანიზება...

კრესტეი: მათ ედავებიან: „და თუ ესტერჰაზია ამ ანგარიშის ამონაწერის ავტორი?“ ისინი არ კრთებიან ასე მცირედის გამო: „კეთილი, ესე იგი, ებრაელებმა წინასწარვე მოისყიდეს და აიძულეს დრეიფუსის ხელწერისთვის მიებაძა...“

ასეთი სისულელე კრიტიკას ვერ უძლებს...

ზეჟერი: უბედურება იქიდანაც მოდის, რომ პროცესი უსაშველოდ გაართულეს. დაკითხვების და კონტრდაკითხვების ამ სიგიჟემ სრულიად დაამახინჯა მისი ნამდვილი მიზეზი და არსი. თავდავიწყებით დაადგნენ ათასი, ურთიერთსაწინააღმდეგო კვალის ძიებას... ახლა ერთი კვანძის გახსნა იქნებოდა კარგი, რომელიც შეარყევდა საზოგადოებრივ აზრს და ყველაფერში გარკვევას შეაძლებინებდა.

კრესტეი: ჰო, ერთი კარგი კვანძის გახსნა...

ბარუა: იქნებ ვუახლოვდებით კიდეც, უმაღლესი სასამართლოს ამ ამბით... (ჯიბიდან ქაღალდი ამოაქვს.) ნახეთ, ამ დილით, კიდევ ეს მივიღე... (მომღიმარი) ყურადღებით სავსე ანონიმი...

არბარუ *(რომელმაც გამოართვა ფურცელი, კითხულობს)*: „სანდო წყაროდან ჩემთვის ცნობილია, რომ ომის მინისტრმა, დღეს დილით, შესთავაზა მთავრობის წევრებს, უმაღლესი სასამართლოს სამართალ-

ში მისცენ საქმის ხელახალი განხილვის ჯგუფის თავკაცები.

„თქვენი გვარი არის სიაში, ბატონი ლიუსის გვარის გვერდით...“

ბარუა: ოჰ, ეს ძალიან სასიამოვნოა.

არბარუ *(კითხულობს)*: „თქვენი დაკავება 2 სექტემბერს, დილით ადრეა გადაწყვეტილი“.

თქვენ კიდევ გაქვთ დრო, თვალს მიეფაროთ.

ხელმოწერა: „მეგობარი“.

ბარუა *(გულიანად იცინის)*: ჰა? ამგვარი ფარატინა ქაღალდები გაფხიზლებენ, სისხლს გიჩუხჩუხებენ, არა?

ზეჟერი: შაბათის სტატიის საფასურია.

პორტალი: მე არ ნამიკითხავს...

(კრესტეის.) რას ეხებოდა?

კრესტეი: დეპუტატთა პალატის სახელოვან სხდომას, სადაც ომის მინისტრს გულუბრყვილოდ ეგონა, რომ პორტფელიდან ხუთი მამხილებელი დოკუმენტი ამოჰქონდა და სინამდვილეში, ხუთი გაყალბებული დოკუმენტი ამოიღო! ბარუამ ჩინებულად დაასაბუთა, თუ რატომ არ შეიძლება ეს დოკუმენტები ნამდვილი იყოს...

ადმინისტრატორი შემოაღებს კარს.

ადმინისტრატორი: ბატონო ბარუა, აქ ერთი კაცია, თქვენთან სურს საუბარი.

ბარუა მიჰყვება.

კიბის ქვემოთ ლიუსს ხედავს.

ბარუა: თქვენ? აქ, ამ დროს? რა ხდება?

ლიუსი: ახალი ამბებია.

ბარუა: უმაღლესი სასამართლო?

ლიუსი: არა... ზემოთ ვინ ხართ?

ბარუა: არავინ „მთესველების“ გარდა.

ლიუსი: მაშინ, ავიდეთ.

ლიუსის დანახვისას ყველა, ერთბაშად, შეწუხებული წამოდგა.

ლიუსმა უხმოდ ჩამოართვა ყველას ხელი და დაქანცული დაჯდა; გამხდარ, დაძაბულ სახეზე კიდევ უფრო შთამბეჭდავად იკვეთება დიდი შუბლი.

ლიუსი: ეს-ესაა შევიტყვე მძიმე და სერიოზული ახალი ამბები.

გარს შემოეჯარებიან.

ლიუსი: გუშინ თუ გუშინწინ, ომის სამინისტროში გაუთვალისწინებელი დრამა გათამაშდა, პოდპოლკოვნიკი ანრი, თავისი უფროსების მიერ, ეჭვმიტანილ იქნა პროცესის დოკუმენტების გაყალბებაში!

ღრმა გაოგნება.

ლიუსი: მინისტრმა სასწრაფოდ დაკითხა ანრი. აღიარა? არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ის გუშინ საღამოდან... მონ-ვალერიანის ციხეში ზის.

ბარუა: ანრი? ციხეში?

სიხარულის ყრუ ამოხეთქვა; დამათრობელი აღფრთოვანების რამდენიმე წამი.

ზეჟერი *(მოგუდული ხმით)*: ახალი გამოძიება! ახალი სასამართლო პროცესი!

ბარუა: ეს საქმის გადახედვაა!

არბარუ *(ზუსტი)*: მაგრამ... რომელი დოკუმენტები გააყალბა?

ლიუსი: იტალიის სამხედრო ატაშეს წერილი, რომელშიც დრეიფუსის გვარი მთლიანადაა მოხსენიებული.

ბარუა: რა? გენერალი დე პელიეს ყბადაღებული სამხილი?!

ზეჟერი: სწორედ ის, მინისტრმა რომ ნაიკითხა ტრიბუნიდან ამ ექვსი თვის წინ!

ლიუსი: მთლიანად ნაყალბევია – გარდა თავისა და ხელმოწერისა, რომლებიც ეტყობა, რომელიღაც უმნიშვნელო წერილიდანაა გადატანილი.

ბარუა *(ლხენით)*: აჰ, ეს ძალიან კარგი იქნებოდა!

ვოლდშმუტი *(ექოსავით)*: ჰოო... ძალიან კარგი! არ მჯერა.

ლიუსი: ეს ჯერ ყველაფერი არაა. თუ საქმე ამ გზით წავა, ბევრ სხვა რამესაც აეხდება ფარდა!

ვინ მოიფიქრა დრეიფუსის აღიარებითი ჩვენების ამბავი? რატომ არასდროს დამდგარა ამის შესახებ საკითხი ოთხმოცდათექვსმეტ წლამდე, ესე იგი თითქმის ორი წელი პატივის აყრის შემდეგ?

ვინ ნაშალა და კვლავ დაწერა ესტერჰაზის მისამართი მაკომპრომეტირებელ პატარა წერილზე, რათა შესაძლებელი გამხდარიყო მტკიცება იმისა, რომ პიკარი ცდილობდა დრეიფუსის უდანაშაულობის დამტკიცებას და ესტერჰაზის დადანაშაულებას, თვითონ პიკარის მიერ ჩასწორებული წერილით?

ვოლდშმუტი *(ცრემლით სავსე თვალებით)*: ეს ძალიან კარგი იქნებოდა... ვერ ვიჯერებ...

ლიუსი: ყოველ შემთხვევაში, დაკავებას უკვე მოჰყვა ძალიან მნიშვნელოვანი შედეგები, ბუადერფრი, პელიე, ზიურლენდანი გადადგნენ. და ისე ჩანს, რომ თვით მინისტრიც დათმობს თავის პორტფელს.

სხვათა შორის, მისი მესმის, მას შემდეგ, რაც მან ტრიბუნიდან წაიკითხა ყალბი დოკუმენტი, თუმცა კი არ იცოდა...

ბარუა *(სიცილით)*: ჩვენ კი არა, მათ უნდა იბარებდნენ უმაღლეს სასამართლოში!

ლიუსი: მეორე მხრივ, ბრისონი მთლიანად შემობრუნდა.

პორტალი: აპ, როგორც იქნა!

ბარუა: ყოველთვის ვამბობდი, როდესაც ბრისონის მსგავს, ძველი ყაიდის რესპუბლიკელს თვალი აეხილება, თვითონვე მოინდომებს საქმის ხელახლა გადახედვას!

ვოლდშმუტი: სინდისის ქენჯნა უნდა უხრავდეს გულს, რომ მილიონ ეგზემპლარად დაბეჭდა ანრის ნაყალბევი და მთელ საფრანგეთში, ყველა კედელზე გამოფინა...

არბარუ *(ქირქილით)*: აპ, აპ, აპ! მართალია! „დოკუმენტი" ყველა მერიაზე იყო გაკრული! ყველას მახსოვრობაში ჩაიბეჭდა! მას ყოველდღე გულაჩვილებულად ციტირებდა მთელი ნაციონალური პრესა! აპ, აპ!

და ერთბაშად ყველაფერი ჩამოიქცა – დოკუმენტი ყალბია!

პორტალი: არიქა! თავს უშველეთ, ვისაც როგორ შეგიძლიათ!

ვოლდშმუტი *(უეცრად სიტყვაძვირი)*: ფრთხილად იყავით. რაღაც არ მჯერა...

ბარუა *(სიცილით)*: არა, არა, ვოლდშმუტ, ამჯერად მეტისმეტი მოგდით; ასეთი პესიმიზმიც არ შეიძლება! მთავრობა, ცხადია, ჰაიჰარად არ გადაწყვეტდა ანრის დაპატიმრებას, რადგან ვერ მიჩქმალეს საქმე, სიმართლე უცილობლად მართლა მთელი ძალით ამოიფრქვევა.

ვოლდშმუტი *(წყნარად)*: კი, მაგრამ ანრი ციხეშიც კი არაა...

ბარუა: როგორ?

ლიუსი: გეუბნებით, რომ მონ-ვალერიანშია!

კრესტეი (უეცრად დაძაბული ნაკვთებით): კი მაგრამ, ეშმაკმა წაიღოს, ვოლდშმუტი მართალია! ანრი ჯერჯერობით მხოლოდ დაკავებულია, ასე რომ არა, შერშ-მიდიში იქნებოდა!

ერთმანეთს შესცქერიან, თავზარდაცემულნი.

- ნერვები უკიდურესად დაძაბული აქვთ, უეცარი სულიერი დაცემა მოჰყვება მათ ტრიუმფს.

ლიუსი *(გულდამძიმებული)*: შესაძლოა, დროის მოგება სურთ გამოსავლის მოსაძებნად...

კრესტეი: ...რომ შესაძლებელი გახდეს ფალსიფიკაციის განხილვა უბრალო დისციპლინარულ გადაცდომად...

პორტალი: კიდევ ერთხელ დაგვიძვრებიან ხელიდან, აგერ ნახავთ!...

ვოლდშმუტი *(თავის ქნევით)*: ჰო, ჰო, არ მჯერა...

ბარუა *(ნერვული)*: ბოლოს და ბოლოს, გაჩუმდით, ვოლდშმუტ.

(ენერგიული) ახლა ჩვენი ჯერია, ჩვენ ისეთი ხმაური უნდა ავტეხოთ ამ ინციდენტის გამო, რომ მისი ჩაფარცხვა ვერ შეძლონ...

ლიუსი: აჰ, ნეტავი ანრი მონმეების წინაშე აღიარებდეს!

ბულვარიდან გაურკვეველი გუგუნი მოისმის. გაზეთის გამყიდველები ხომ არ გაჰყვირიან „უკანასკნელ ამბებს?" მიუხედავად დაცარიელებული ქუჩების სიჩუმისა, მათი ყვირილი ერთმანეთში ირევა, შორიდან მოისმის და ბუნდოვანია.

პორტალი: ჩუ! თითქოს ისმის: „პოლკოვნიკი ანრი..."

ლიუსი: ნუთუ ახალი ამბავი უკვე გავრცელდა?

ყველა ერთბაშად დგება, ღია ფანჯრებს მიაშურებს და შეშფოთებულები, რაფებზე გადახრილები ყურს უგდებენ.

ზეჟერი *(კარების მიმართულებით)*: ბიჭო! გაზეთები... ჩქარა!

მაგრამ ვოლდშმუტი უკვე გარეთაა გავარდნილი.

ყვირილი შორდებათ, გადამკვეთ ქუჩაზე გადადის.

რამდენიმე წუთი გადის.

ბოლოს აქოშინებული, გაჩეჩილი, თვალებანთებული ვოლდშმუტი კიბის თავში ჩნდება, ხელში გაზეთს აფრიალებს, სადაც უზარმაზარი ასოებით დაბეჭდილი სათაური ჩანს:

პოლკოვნიკი ანრის თვითმკვლელობა

მონ-ვალერიანში

ბარუა *(წამოწითლდება)*: აჰა, აღიარებაც!

ის ლიუსისკენ ტრიალდება, და ორივე გულაჩქარებულნი, სიტყვის უთქმელად ეხვევიან ერთმანეთს.

პორტალი, ზეჟერი, კრესტეი (ხელს იწვდიან ვოლდშმუტისკენ): მოიტა!

მაგრამ ყველა ჩუმდება.

ვოლდშმუტი გაზეთს ლიუსს უწვდის, რომელიც ძალიან

გაფითრებული, აკანკალებული ხელით ისწორებს სათვალეს და ჭაღის ქვეშ მიდის. ემოცია უმძიმებს ხმას.

ლიუსი *(კითხულობს)*: „გუშინ საღამოს, ომის მინისტრის კაბინეტში... დადგინდა, რომ პოლკოვნიკი ანრი არის ავტორი 1896 წლის ოქტომბრით დათარიღებული წერილისა... სადაც დრეიფუსის გვარი სრულად არის მოხსენიებული.

მინისტრმა დაუყოვნებლივ ბრძანა პოდპოლკოვნიკი ანრის დაკავება... რომელიც გუშინ საღამოდან გადაიყვანეს... მონ-ვალერიანის ციხესიმაგრეში...

დღეს, ზედამხედველმა, რომელიც ემსახურებოდა პოლკოვნიკს... შევიდა რა საკანში... საღამოს ექვს საათზე... იპოვა სანოლზე დანოლილი... სისხლის გუბეში... სამართებლით ხელში... ყელგამოჭრილი... ორ ადგილას... მისი შესვლის დროს პოლკოვნიკი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო...

ყალბისმქმნელმა თავს განაჩენი გამოუტანა...“

გაზეთი ხელიდან უვარდება. ერთმანეთს ხელიდან სტაცებენ; ხელიდან ხელში გადადის. ყველას უნდა თავისი თვალით ნახოს.

გამარჯვების ველური ყიჟინა, ღმუილი, ნამდვილი აღტაცება...

ლიუსი *(ყელში რაღაც ეჩრება)*: ანრი მკვდარია, ყველაფერი მორჩა. არის საქმეში დეტალები, რომელსაც ვერასდროს ვეღარავინ გაიგებს.

მისი სიტყვები საყოველთაო თავბრუდახვეულ მხიარულებაში იკარგება.

მხოლოდ ზეჟერი, რომელმაც გაიგონა მისი სიტყვები, თავს მონყენილად უქნევს.

ვოლდშმუტი, გვერდზე გამდგარი, ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი ჩუმად ტირის სიხარულისგან, თბილი ღამისკენ პირმიქცეული.

IV

ერთი ნლის შემდეგ. 1899 ნლის 6 აგვისტო, რენში სასამართლო განხილვის გახსნის წინა დღე.

კვირა, ნაშუადღევი.

„მთესველის“ რედაქცია.

ბარუა პერანგისამარა, ჯიბეებში ხელჩაწყობილი ბოლთას სცემს თავის კაბინეტში, ფიქრობს დასაწერ სტატიაზე.

აღელვებულია. სახე აღგზნებული, ნაკვთები ათამაშებული, მოძრავი მზერა, მხიარული ღიმილი, მთელი მისი პიროვნება გასხივოსნებულია გამარჯვებულის თავდაჯერებულობით. ცუდი დღეები ჩავლილია.

ბარუა: მობრძანდით!... აჰ, ვოლდშმუტ? შემოდით...შემოდით...

ვოლდშმუტი შემოდის, სულ დაპატარავებული მოსჩანს ლაბადაში, მხარზე ჩანთა აქვს გადაკიდებული, ხელში დიდი პორტფელი უჭირავს.

ბარუა: სად გაქრით იმ დღის შემდეგ, რაც ბოლოჯერ გნახეთ?

ვოლდშმუტი *(პირველივე სკამზე ჯდება)*: ეს წუთია გერმანიიდან ჩამოვედი.

ბარუა *(არ გაკვირვებია)*: მართლა?

(დრო) ამ საღამოს მქონდა თქვენი ნახვის იმედი, როგორც შევთანხმდით, ჟურნალის მართვა უნდა გადმოგაბაროთ.

ვოლდშმუტი: ყველა ღამის ჩქარი მატარებლით მიდიხართ?

ბარუა: არა, მარტო მე. სხვები უკვე დილიდან რენში არიან... ლიუსს ჰქონდა იქ საქმე, სხვებიც გაჰყვნენ.

ვოლდშმუტი: როდის წარადგენს საკითხს?

ბარუა: მეხუთე ან მეექვსე სხდომაზე ადრე არა.

მე დავრჩი, რომ თქვენთვის საქმეები გადმომებარებინა და ბოლო სტატია დამეწერა, რომელიც ხვალინდელ ნომერში წავა.

ვოლდშმუტი *(ცოცხლად)*: აჰ, ხვალაც გამოდის ნომერი?

ბარუა ამ ცნობისმოყვარეობას თავისი სტატიისადმი ინტერესად მიიჩნევს და მაგიდაზე მიმოყრილ ფურცლებს ააგროვებს.

ბარუა: დიდი არაფერია, რამდენიმე ბწკარი დებატების დაწყების მისასალმებლად, რომელიც ეს-ესაა დავწერე:

„ჩვენ მიზანს ვუახლოვდებით. კოშმარი მთავრდება. კვანძის გახსნა, ვერდიქტი აღარავის აინტერესებს; ის წინასწარვეა განსაზღვრული, ისეთივე გარდაუვალია, როგორც სამართლიანობის ზეიმი.

დღეს ის შეგრძნებაღა დაგვრჩა, რომ ჩვენ ვიყავით ისტორიული დრამის მოწმენი, რომლის მსგავსიც არსად არასდროს ყოფილა; მსოფლიო სცენაზე გათამაშებული ათასობით ადამიანის დრამა, რომლისადმიც ინტერესი ასე პათეტიკური და საყოველთაო გახდა,

რომლის გარშემო შეიკრიბა და აქტიური მონაწილეობა მიიღო ჯერ მთელმა ფრანგმა ერმა, მერე კი მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ. იმედია, უკანასკნელად გაიყო კაცობრიობა ორ არათანაბარ ნაწილად და შუბლით შეეჯახა ერთურთს, ერთი მხრივ ხელისუფლება, რომელიც არავითარ გონივრულ კონტროლს არ სცნობს; მეორე მხრივ, თავისუფალი კრიტიკა, რომელიც ამაყადაა ამაღლებული ყოველგვარ სოციალურ ინტერესზე.

ერთი მხრივ, წარსული; – მეორე მხრივ, მომავალი!

მომავალი თაობები ისევე იტყვიან სიტყვას „საქმე", როგორც ჩვენ ვამბობთ „რევოლუციას"; და ისინი საუცხოო დამთხვევასავით მიესალმებიან ამ შემთხვევას, რომელმაც ახალი საუკუნე, ახალი ერა დაიწყო.

რა საოცარი საუკუნე იქნება ის საუკუნე, რომელიც ამგვარი გამარჯვების დაგვირგვინებით იწყება!"

.....

ბარუა: როგორც ხედავთ, უბრალოდ საზეიმოდ ბუკის შემოკვრაა...

ვოლდშმუტი გაოცებული აკვირდება. გადის რამდენიმე წამი. შემდეგ წყნარად უახლოვდება ბარუას სკამს.

ვოლდშმუტი: მითხარით, ბარუა... მაშ, სრულიად დარწმუნებული ხართ?

ბარუა *(მომღიმარი)*: დიახ, სრულიად!

ვოლდშმუტი *(ხმას სიმტკიცეს მატებს)*: მე არა! არ მჯერა.

ბარუა, რომელიც კმაყოფილი იერით მიდი-მოდის ოთახში, გაოცებული ჩერდება.

ბარუა *(მხრებს იჩეჩავს)*: თქვენ ყოველთვის ამას გვიმეორებთ.

ვოლდშმუტი *(ცოცხლად)*: აქამდე, მე მგონი...

ბარუა: კი, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა! აი, ახალი მთავრობაა სრულიად დარწმუნებული მის უდანაშაულობაში, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ყველაფერს ნათელი მოჰფინოს. სასამართლო პროცესი, ამჯერად, საჯარო იქნება, შეუძლებელი იქნება რამის მიჩქმალვა. ვნახოთ!... ამგვარ პირობებში ვერდიქტში ეჭვის შეტანა დრეიფუსის დამნაშავეობის ვარაუდს ნიშნავს!

იცინის. ენერგიული, გულღია სიცილით; თავის თავში დარწმუნებული, საღადმოაზროვნე ადამიანის სიცილით.

ვოლდშმუტი უხმოდ შესცქერის.

მის გაბურძგნულ, დამტვერილ სახეზე მომთმენი და ჯიუტი

თვალები ბრწყინავს.

ვოლდშმუტი *(ნაზად, სიყვარულით)*: დაჯექით, ბოლოს და ბოლოს, ბარუა... სერიოზულად გელაპარაკებით. იცით, ბევრ ხალხს ვხვდები... *(ნახევრად დახუჭული თვალები, გაწელილი, გაურკვევლად შეფარული ტონი:)* ... ამბებს ვგებულობ...

ბარუა *(უხეში)*: მეც.

ვოლდშმუტი *(შემრიგებლურად)*: მაშ კარგი, თქვენც შეამჩნევდით... ჰა? მათი პრესა! ყველა სიყალბე ნიღაბჩამოხსნილია, ყველა არალეგალური ქმედება გამოტანილია სააშკარაოზე... მაგრამ სულ არ ენაღვლებათ, ფარ-ხმალს არ ყრიან! აუცილებლად საჭიროა, რომ უარი თქვან თავიანთ მტკიცებულებებზე, მაგრამ არა, შურისძიებაზე არიან გადასულნი. ყველა მოწინააღმდეგეს აშავებენ... ბალო-ბოპრეს მოხსენება, რომელიც ასე ლოიალურად მოგვითხრობს დრეიფუსის მთელ საქმეს, გგონიათ გამოაქვეყნეს მათმა ჟურნალებმა? ეს გამყიდველის ანგარიშიაო, ამბობენ ისინი, ებრაელების მილიონები რომ აიღო, დიუკლოს, ანატოლ ფრანსისა და ზოლას მსგავსადო...

ბარუა: და მერე რა? რომელი მკითხველი დაუჯერებს მათ?

პასუხის მაგიერ, ვოლდშმუტი ჯიბიდან ნაციონალისტური გაზეთების დასტას იღებს და მაგიდაზე ყრის.

ბარუა *(გაღიზიანებული)*: ეს არაფერს ამტკიცებს. მე შეგეკამათებით, რომ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში „მთესველის“ ხელმომწერთა რიცხვი 3000-ით გაიზარდა; და ეს თქვენ ჩემზე უკეთ იცით.

სიკეთისა და სამართლიანობის მძლავრმა ნიავმა, ბოლოს და ბოლოს, დაპბერა საფრანგეთში.

ვოლდშმუტი *(მოწყენილად აქნევს თავს)*: ეს ნიავი არ შეხებია სამხედრო სასამართლოს...

ბარუა *(ჩაფიქრების შემდეგ)*: იყოს ასე. ვუშვებ, რომ მოსამართლეები, – როგორც კარგი, პატიოსანი სამხედრო პირები – თავიდანვე საქმის გადახედვის მომხრეთა წინააღმდეგნი იყვნენ. მაგრამ ამაზე დაფიქრდით: მთელი ევროპის მზერა რენისკენაა მიმართული. მთელი ცივილიზირებული მსოფლიოა მსაჯული. *(დგება)* და კიდევ, არის სიტუაციები, რომლებიც გაიძულებენ და გავალდებულებენ; ეს ბატონები იძულებულნი გახდებიან აღიარონ, რომ დრეიფუსის მხრებზე დაწოლილი ყველა ძველი ბრალი კრიტიკას ვერ უძლებს... *(იცინის)* – ახალი კი არაა!

ვოლდშმუტი: გააჩნია.

ბარუა ჯიბეში ხელს იწყობს და ისევ ბოლთის ცემას შეუდგება, მხრებს იჩეჩავს, მაგრამ ვოლდშმუტის დინჯი ტონი აცბუნებს. მის წინ ჩერდება.

ბარუა: რას გააჩნია?

ვოლდშმუტი ძალისძალად იღიმება.

ვოლდშმუტი: დაჯექით, ბარუა; გალიაში გამოკეტილ მხეცს ჰგავხართ...

წარბშეჭმუხნული ბარუა სანერ მაგიდასთან ბრუნდება.

ვოლდშმუტი: გახსოვთ ულტრასაიდუმლო დოკუმენტების ამბავი? *(ბარუას მოძრაობა)* მაცალეთ, აგიხსნათ...

ვერსია შემდეგია: ვიღაცამ, ვითომდა, მოიპარა კაიზერის წერილები დრეიფუსისადმი და დრეიფუსის წერილები კაიზერისადმი... *(მომღიმარი)* მე ვერ დავიჟინებ, რომ ეს ვარაუდი სერიოზულია...

თუ ამ ლეგენდას დავუჯერებთ, ეს ყბადაღებული ნუსხა სწორედ დრეიფუსის მიერ დაწერილი ერთ-ერთი წერილია, ჩვეულებრივ ფურცელზე, რომლის მინდორზეც იმპერატორს თავისი ხელით შენიშვნები მიუწერია. გიიომ მეორეს შეუნიშნავს რა წერილების მოპარვა, მსწრაფლ მათი დაბრუნება მოუთხოვია, თუ არა და ომით დამუქრებია. მაშინ დოკუმენტების დაბრუნებამდე, სამინისტროში აჩქარებულან და ნუსხა გადაუღიათ გამჭვირვალე ქაღალდით, რათა დრეიფუსის დანაშაულის მატერიალური სამხილი ჰქონოდათ; რა თქმა უნდა, არ გადაუღიათ იმპერატორის განცხადებები... და მთელი პროცესი ამ გადაწერილ დოკუმენტზე აიგო – თუ გნებავთ, ყალბ დოკუმენტზე, – მაგრამ რომელიც გადაწერილი იყო ღალატის დამადასტურებელი ავთენტური დოკუმენტიდან.

ბარუა: ეს ჰიპოთეზა იმდენად მყიფეა, რომ არასდროს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ის წინ არავის წამოუწევია არც ოფიციალურად და არც ოფიციოზურად.

ვოლდშმუტი: ვიცი, მაგრამ ეს ჰიპოთეზა ტრიალებს სალონებში, ვრცელდება; ოფიცრები, სასამართლოს ჩინოვნიკები, ადვოკატები, მაღალი საზოგადოების წევრები ერთმანეთს გადასცემენ... არც ერთი მათგანი რაიმეს ნათლად არ ამტკიცებს, მაგრამ ერთმა საქმეში ჩახედულმა მეგობარმა, მიანიშნა... ეს პოლიშინელის გრანდიოზული საიდუმლოა, რომელსაც თან სულ ყოვლისმცოდნე დადუმება, გადაკრული სიტყვა, იდუმალი ღიმილი ახლავს... ყველაფერი ეს ნელ-ნელა ამზადებს ნიადაგს. ხვალ, რენში სასამართლო პროცესის დროს,

როდესაც დაცვა შეეცდება გენერალური შტაბის ბატონებს სიმართლე ბოლომდე ათქმევინოს, ისინი გაჩუმდებიან... საკმარისი იქნება რამდენიმე უნებლიე შეყოყმანება, რამდენიმე ტანჯული ღიმილი და ყველა ამას ამგვარად გაიგებს: „თქვენ რაც გინდათ, ის იფიქრეთ. სჯობს დოკუმენტების გამყალბებლის სახელი ვატარო, ვიდრე ომი ატყდეს ევროპაში...“

ბარუა: ომი! მაგრამ დღეს აღარ დგას ეროვნული უსაფრთხოების საკითხი!... იმის შემდეგ, რაც ამ სამი წლის განმავლობაში ითქვა და დაიწერა უცხოელი სამხედრო ატაშეების, გერმანული დაზვერვისა და კონტრდაზვერვის შესახებ, ვინღა იქნება ის გულუბრყვილო, ვინც დაიჯერებს, რომ კიდევ არსებობს თუნდაც ერთი დიპლომატიური დოკუმენტი, რომლის გახმაურებაც ნამდვილად სახიფათოა? არავინ! მაშ, თუ დამადანაშაულებელი დოკუმენტი მართლა არსებობდა, ცხადია, გენერალური შტაბი, უკვე დიდი ხნის წინ წარმოადგენდა მას და ამით საქმეც მორჩებოდა!

ვოლდშმუტი *(მოლუშული)*: დამიჯერეთ, თქვენ ძალიან მარტივად უყურებთ ყველაფერს. მე სულ მაწუხებს დიპლომატიური საკითხი; ეს საქმის საიდუმლო ძარღვია. ძარღვი, რომელიც არსად ჩანს, მაგრამ, რომელსაც ყველა მოვლენა უკავშირდება; აი, ესაა საშინელი ხიფათი!

ბარუა ყოყმანობს, მერე დუმილს არჩევს.

ვოლდშმუტი: კეთილი, ჩემო ძვირფასო, კიდევაა დრო დარტყმის შესაჩერებლად. მე ნელ-ნელა დოსიე შევადგინე. მხოლოდ ზუსტი ფაქტები, მათზე პასუხს ვაგებ, რომლებიც მეეჭვებოდა, იქ გადავამოწმე, გერმანიაში...

ბარუა: აჰ, მაგიტომ იყავით...

ვოლდშმუტი: დიახ. *(ხსნის ჩანთას)* მაშ ასე, მე აქ მაქვს ის, რითიც წინასწარვე გავანადგურებთ „სახელმწიფო საიდუმლოს“ შემოტევას. მაგრამ სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ.

მოგიტანეთ ჩემი დოსიე. ხვალვე გამოაქვეყნეთ!

ბარუა *(ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ სერიოზულად)*: მადლობას გიხდით, ვოლდშმუტ... მაგრამ ვფიქრობ, რომ დღეს ამგვარი პუბლიკაცია ძირეული შეცდომა იქნებოდა.

ვოლდშმუტი უიმედოდ ჩაიქნევს ხელს.

ბარუა: ის ყურადღებას მიაქცევინებდა იმაზე, რაც თქვენი მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ჩრდილშია მიმალული... შეპასუხების სურვილი გაუჩნდებათ და ვაითუ გადაწყვიტონ ამ საკითხისკენ მობრუნება;

ყველაფერი ეს კი საზოგადოებრივ აზრს ააღელვებს და ეს არასახარბიელო იქნება...

გამართლება გარდაუვალია. მაშ, ვიზეიმოთ ლამაზად, წვრილმანი პოლემიკის წამოუჭრელად...

მხრებჩამოყრილი ვოლდშმუტი ჩანთას წყნარად ხურავს.

ბარუა: არა, დამიტოვეთ თქვენი ჩანაწერები.

ვოლდშმუტი: კი, მაგრამ რისთვის? ეს წინასწარ უნდა გამოქვეყნებულიყო.

ბარუა: რენში წავიღებ, ლიუსს ვაჩვენებ და თუ ისიც თქვენს აზრზე იქნება, გპირდებით...

ვოლდშმუტი *(იმედის სხივით)*: დიახ, აჩვენეთ ლიუსს და სიტყვასიტყვით გაუმეორეთ, რაც გითხარით...

(ჩაფიქრებული) მაგრამ შეუძლებელია, ამ საღამოს წაიღოთ, ასე... გადათეთრების დრო არ მქონდა... ეს ნამდვილი ნაჯღაბნია... ვფიქრობდი, თქვენთან ერთად მომება თავი, ხვალინდელი ნომრისთვის...

ბარუა: თქვენი დისშვილი აქაა, გინდათ უკარნახოთ? ერთ წუთში გააკეთებს...

ვოლდშმუტი *(სახე უეცრად უნათდება)*: აჰ, ჟულია აქაა?

ბარუა დგება, კარს აღებს.

ბარუა: ჟულია!

ჟულია *(მეზობელი ოთახიდან, გამოსვლით თავს არ იწუხებს)*: რა?

მისი კილოს ფამილარობა იმდენად ცხადია, რომ ბარუა წითლდება და სწრაფად ტრიალდება ვოლდშმუტისკენ, რომელიც თავის ჩანაწერებისკენ დახრილა და თავს არ სწევს.

ბარუა *(თავს ხელში იყვანს)*: შეგიძლიათ მოხვიდეთ? სტენოგრაფირება გვჭირდება...

ჟულია შემოდის. ხედავს ვოლდშმუტს. უბრალოდ ახამხამებს წამწამებს. მისი გამომწვევი იერი ნიშნავს: მე თავისუფალი ვარ, ასე არაა?

ჟულია *(უხეშად)*: გამარჯობა, იულრიკ ბიძია. კარგად მოიარეთ?

ვოლდშმუტი თავს სწევს, მაგრამ არ უყურებს. ჟულია აწყდება მის ძალდატანებულ, არაგულწრფელ ღიმილს, ტანჯვით მობრეცილ სახეს და ქალი ხვდება იმას, რაც ადრე არასდროს ეჭვადაც კი არ გაუვლია...

ახლა ჟულიამ დახარა თვალი, სწორედ იმ მომენტში, როცა ვოლდშმუტმა შეხედა, ბოლოს და ბოლოს, პასუხის გასაცემად.

ვოლდშმუტი: აპ, გამარჯობა ჟულია... კარგად ხარ? დედა როგორაა?...

ჟულია *(გაჭირვებით)*: ძალიან კარგად.

ვოლდშმუტი: მაშ, მომეხმარები?... ეს ფურცლებია... ბარუასთვის...

ბარუა *(რომელსაც არაფერი შეუმჩნევია)*: შედით, ვოლდშმუტ, მის კაბინეტში, იქ უკეთ იქნებით, ვიდრე აქ... მე კი ჩემს სტატიას დავამთავრებ...

რენი, 1899 წლის 13 ოქტომბერი.

ჩემო ძვირფასო ვოლდშმუტ,

წაიკითხეთ სხდომების გუშინდელი და გუშინწინდელი სტენოგრაფიული ჩანაწერები? თქვენ მართალი ყოფილხართ, ძვირფასო მეგობარო, ათასჯერ მართალი. ვინ იფიქრებდა?

მთელი ეს დღეები ჩვენი მოწინააღმდეგეები მოუთმენლად ელოდებოდნენ დრეიფუსის სანინააღმდეგო ამ არგუმენტს, რომელსაც მათ დიდი ხანია შეპირდნენ. გენერლებმა ილაპარაკეს. სრული იმედგაცრუება! მაგრამ რადგან საზოგადოებრივ აზრს ჯიუტად არ სჯერა, რომ ასეთი არგუმენტი არ არსებობს, ის გენერალური შტაბის ზოგიერთ ქარაგმულად ნახევრად ნათქვამს, სწორედ ისე გებულობს, როგორც თქვენ წინასწარვე გაითვალისწინეთ და თავის დასაძვრენიც იშოვეს. დღეს, იქამდეც მივიდნენ, რომ ჭორი გაავრცელეს, თითქოს გერმანიამ, უკანასკნელ მომენტში, ჩვენი ოფიცრები აიძულა გმირულად დადუმებულიყვნენ!

ნაჩქარევად გიგზავნით იმ ფურცლებს, ჟულიას რომ უკარნახეთ ჩემი ნამოსვლის წინ. ისინი, ვაგლახ, ძალიან საჭირონი შეიქნენ. ბრეილ-ზეჟერი პარიზს ბრუნდება თქვენ შესაცვლელად და მათ ამ საღამოს გადმოგცემთ ამ ბარათთან ერთად.

სასწრაფოდ მოელაპარაკეთ როლს, რომ, თუ შესაძლებელია, ხვალ დილით პირველ გვერდზე დაბეჭდოთ, და უზრუნველყავით მისი ფართო გავრცელება, სანამ პარიზს დატოვებდეთ.

რენში ორი ათასი ნომერი ჩამოიტანეთ, საკმარისი იქნება.

თქვენი დალონებული მეგობარი,

ბარუა

გიიომ II
და დრეიფუსის საქმე

ჩვენდა გასაოცრად ამ ბოლო ხანს კვლავ თვალთმაქცურად წამოტივტივდა ოსტატურად მოფიქრებული ჰიპოთეზა, რომელიც ზოგიერთ მარტივი გონების ადამიანს უხსნის და უმარტავს დრეიფუსის საქმის ყველა ბნელ მხარეს. ამ ჰიპოთეზის თანახმად, თითქოს არსებობდა სქელ ქაღალდზე დანერილი დოკუმენტი, არეებზე გიიომ II შენიშვნებით, რომელიც ფრანგმა აგენტმა საიმპერიო საწერი მაგიდიდან აიღო და რომლის დაბრუნებაც სასწრაფოდ გახდა საჭირო, რადგან იმპერატორი ომით იმუქრებოდა; და ამიტომ 1894 წლის პროცესზე წარმოდგენილი დოკუმენტი იყო გამჭვირვალე ქაღალდზე ომის სამინისტროში გადაღებული ასლი.

ჩვენ თავს არ შევიწუხებთ ამ ავანტიურული, ბავშვური, დაუჯერებელი, რომანისთვის შესაფერი ამბის მხილებით.

მხოლოდ სამი კითხვის დასმით შემოვიფარგლებით:

1. – თუ ჩამონათვალი არის ზუსტი ასლი დრეიფუსის ავთენტური ნაწერიდან, რატომ ჰგავს იგი უფრო მეტად ესტერჰაზის ხელწერას და არა დრეიფუსისას?

2. – თუ ანრის ნაყალბევი მართლაც იმ აუცილებლობით იყო გამოწვეული, რომ უვნები ასლებით შეეცვალათ იმპერატორის ავტოგრაფი, რომლის წარდგენაც სასამართლოზე შეუძლებელი იყო, მაშინ დაკავებამდე, ომის მინისტრის მიერ დაკითხულმა ანრიმ რატომ არ გაამხილა ამ გაყალბებული დოკუმენტების ლეგიტიმურობა, თუნდაც იმიტომ, რომ თავი ემართლებინა? გენერლები ესწრებოდნენ დაკითხვას. გენერალმა როუემ გააკეთა სტენოგრაფიული ჩანაწერი! ანრის დოკუმენტების გაყალბების არავითარი მსგავსი მოტივი არც კი მიუნიშნებია.

3. – თუ იმპერატორის შენიშვნებიანი დოკუმენტი მართლაც არსებობს, მაშინ, როდესაც ანრის თვითმკვლელობით შეძრულმა ბრისონმა განიზრახა სახალხოდ ეღიარებინა თავისი შეცდომა და შედგომოდა საქმის ხელახლა გადახედვას, ომის მინისტრმა, რომელიც ათასგვარი ხერხით შეეცადა მის შეჩერებას, რატომ უბრალოდ არ აცნობა ბრისონს იმპერატორის ჩართულობის შესახებ, რათა ამით თავიდან აეცილებინა საზოგადოებრივი აზრის შემობრუნება, აგრერიგად სახიფათო ანტირევიზიონისტებისთვის?

მას შემდეგ რაც დავსვით ეს კითხვები, ახლა ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ფაქტის ქრონოლოგიური მიმდევრობითი წარმოდგენით შემოვიფარგლებით, რომელთა მნიშვნელობაც, ჩვენი აზრით, იმდენად ცხადია, რომ ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს:

I. – 1894 წლის პირველ ნოემბერს დრეიფუსის გვარი, როგორც იტალიელი თუ გერმანელი ჯაშუშისა, პირველად გამოჩნდა გაზეთების ფურცლებზე. იტალიელი და გერმანელი სამხედრო ატაშეები გაოცდნენ, ეს გვარი მათთვის უცნობი იყო. და აი, ამის დასტური: 1899 წლის 5 ივნისს იტალიის ელჩი საგარეო საქმეთა სამინისტროს საკასაციო სასამართლოსთვის გადასაცემად უგზავნის იტალიის ატაშეს 1894 წლით დათარიღებულ დაშიფრულ დეპეშას; იტალიის სამხედრო ატაშე გერმანელ ატაშესთან სრულიად შეთანხმებულად მუშაობდა. იგი ამ დეპეშაში საიდუმლოდ აცნობებს თავის მთავრობას, რომ არც ერთ მათგანს არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია მავან დრეიფუსთან.

ამავე დროს გერმანიის, იტალიისა და ავსტრიის გენერალურმა შტაბებმა აწარმოეს გამოძიება ყველა ჯაშუშურ ცენტრში, მაგრამ ვერავითარი ცნობა ვერ მოიპოვეს ამ დასახელებულ დრეიფუსზე.

II. – 1894 წლის 9 ნოემბრის ერთი გაზეთი გერმანელ ატაშეს საქმესთან დაკავშირებულად ასახელებს. ახალი ინფორმაციის შემდეგ გერმანიის საელჩო პირველად უარყოფს ამ ვერსიას პრესაში გამოქვეყნებული განცხადებით. უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი უარყოფა არ ხდება ნაუცბადევად და მოუფიქრებლად, გერმანია არ შეაგდებდა სასწორზე თავის ავტორიტეტს და არ გამოაქვეყნებდა უარყოფას, თუ ის საფუძველს მოკლებული იყო, რადგან შემდეგ სამხედრო სასამართლოს სხდომაზე შესაძლებელი გახდებოდა მისი ტყუილში მხილება.

ამას გარდა, იმავე დროს, გერმანიის იმპერიის კანცლერმა დაავალა თავის ელჩს პარიზში, საგარეო საქმეთა მინისტრისთვის გაეკეთებინა ოფიციალური და უშუალო დეკლარაცია.

III. – 28 ნოემბერს „ფიგარომ" დაბეჭდა ინტერვიუ გენერალ მერსიესთან. გამოძიების დასრულებამდე, – რომლის დასკვნის საფუძველზეც დრეიფუსი სამხედრო სასამართლოს გადაეცა, – ხუთი დღით ადრე მინისტრი ამტკიცებს, რომ ბრალდებული დრეიფუსი დამნაშავეა, რომ მას აქვს „უტყუარი მტკიცებულებები"; დრეიფუსს არ შეუთავაზებია თავისი დოკუმენტები არც იტალიისთვის და არც ავსტრიისთვის...

პირდაპირ ნიშანში ამოღებული გერმანია ამჯერად კვლავ, ძალიან ენერგიულად, დიპლომატიური არხებით გამოთქვამს პროტესტს.

ფრანგული პრესა ანგარიშს არ უწევს ამ პროტესტს; იმპერატორი, გერმანიის გენერალური შტაბი, პრესა გაღიზიანებულია, რომ მათი ოფიციალურად ნათქვამი სიტყვების სანდოობა სადავო ხდება. იმპერატორის ბრძანებით კვლავ დგება შეხვედრა ელჩსა და ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრს შორის. გადაცემულია ოფიციალური ნოტა, რომელიც დაბეჯითებით აპროტესტებს იმის მტკიცებას, რომ გერმანიის საელჩო ჩარეულია დრეიფუსის საქმეში.

IV. – პროცესი შედგა.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ როდესაც საიდუმლო დოსიე, ბრალდებულთან და დაცვასთან შეუთანხმებლად, გადაეცა მოსამართლეებს, მასში არაფერი იყო ისეთი, რაც დაადასტურებდა იმპერატორის შენიშვნებიანი დოკუმენტის არსებობის ვერსიას.

ამაში დარწმუნება ადვილია, ამის თაობაზე უნდა დაიკითხონ 1894 წლის სამხედრო საბჭოს წევრები, რომლებიც ამჟამად რენში არიან.

V. – 1894 წლის დეკემბრის მიწურულს, ვერდიქტის შემდეგ, მთელი პრესა დაუფარავად ადანაშაულებდა გერმანიას იმაში, ვითომდა მას მოეთხოვოს პროცესის დახურულ კარს მიღმა ჩატარება, რადგან დრეიფუსის დანაშაული უშუალოდ ეხებოდა გერმანიას. კიდევ ერთხელ არად ჩააგდეს ელჩის სიტყვა. ამ უკანასკნელმა 25 დეკემბერს, ბრალის გამოტანის მეორე დღესვე, გააკეთა ხელახალი ოფიციალური განცხადება პრესისთვის.

მაგრამ გაზეთები კვლავ განაგრძობდნენ კამპანიას, ისევ ლაპარაკობდნენ ომის საფრთხის შიშით დაბრუნებულ დოკუმენტზე და ა.შ.

VI. – 1895 წლის 5 იანვარს, დრეიფუსის პატივის აყრის დღეს, გერმანიის ელჩმა იმპერიის კანცლერისგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დეპეშა მიიღო. ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის არყოფნის გამო, მან დეპეშა პირდაპირ მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტს მიუტანა.

აი, დღემდე გამოუქვეყნებელი ეს ტექსტი:

> მისი საიმპერატორო უდიდებულესობა, დარწმუნებულია რა რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის ლოიალობაში, სთხოვს თქვენს უმაღლესობას გადასცეთ ბ-ნ კაზიმირ-პერიეს შემდეგი: თუ დამტკიცდება, რომ გერმანიის საელჩო არასდროს ყოფილა ჩართული დრეიფუსის საქმეში, მისი უდიდებულესობა იმედოვნებს, რომ რესპუბლიკის მთავრობა არ დააყოვნებს ამის განცხადებას.

> თუ ასეთი ოფიციალური განაცხადი არ გაკეთდება და გაზეთები კვლავ გააგრძელებენ სიცრუის გავრცელებას გერმანიის საელჩოზე, ეს გამოიწვევს საელჩოს, იმპერატორის წარმომადგენლის, კომპრომეტირებას.
>
> დე ოპენლოპი

ამგვარად, მოთმინებიდან გამოსული იმპერატორი თვით რესპუბლიკის პრეზიდენტს მიმართავს.

ელჩი ელისეს სასახლეში მეორე დღეს, 6 იანვარს, მიიღეს. ჩვენ ვიცით და ვამტკიცებთ, რომ ბ-ნი კაზიმირ-პერიე ცდილობდა ინციდენტი პერსონალურ და არა დიპლომატიურ რანგში განეხილა, რამეთუ იმპერატორმა პირდაპირი ჩარევა სთხოვა. მოგვიანებით თვითონვე თქვა, რომ მის, როგორც კერძო პირის ლოიალობას მიმართეს... (კასაციის ოქმები, I. 319)

ამის თაობაზე შეგახსენებთ ბ-ნ კაზიმირ-პერიეს ჩვენებას საკასაციო სასამართლოზე. თავიდან ის დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ დასამალი არაფერი ჰქონდა:

> „ვადასტურებ, რომ ჩემმა დუმილმა *(ზოლას პროცესის შესახებ)* გააჩინა აზრი, რომ მხოლოდ და მხოლოდ მე ვიცოდი ის ინციდენტები, ფაქტები და დოკუმენტები, რომელთაც შეეძლოთ სასამართლოში გადამწყვეტი როლი ეთამაშათ.
>
> განხეთქილება და ვნებათაღელვა, რომელსაც ჩემს ქვეყანაში ვხედავ, მავალდებულებს წარვსდგე უმაღლესი სასამართლოს წინაშე, როდესაც ამას საჭიროდ მიიჩნევს..."

ეს სიტყვები ეჭვს აღარ ტოვებს, რომ ბ-ნ კაზიმირ-პერიეს რაიმე მიცემული სიტყვა უკრავდა ხელ-ფეხს, როგორც ამას ამბობდნენ. ამ ძალზე პატიოსანი ადამიანის მიერ გაკეთებულ განცხადებას აბსოლუტურად ნათელი, არაორაზროვანი მნიშვნელობა აქვს. შემდეგ ის გადმოგვცემს დიპლომატიური მოლაპარაკებების, რომელსაც ადგილი ჰქონდა და რომელმაც განსაზღვრა ჰავასის სააგენტოს ოფიციალური ნოტა, სადაც ერთხელ და სამუდამოდ იყო განცხადებული, რომ პარიზში მყოფ საელჩოებს არავითარი კავშირი არ ჰქონდათ დრეიფუსის საქმესთან. ორი დღის შემდეგ კაიზერმა სრული კმაყოფილება გამოთქვა.

გავიხსენოთ ასევე ბ-ნი ანოტოს ჩვენება საკასაციო სასამართლოზე, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ 1894 წლის პროცესის დროს. კითხვაზე: „ცნობილია თუ არა თქვენთვის რაიმე წერილების თაობაზე, რომელიც უცხო სახელმწიფოს სუვერენმა დაწერა დრეიფუსის პროცესის განმავლობაში და რომელთაგანაც მტკიცდება ბრალდებულის ბრალეულობა?" – მან ნათლად უპასუხა:

„ჩემთვის ამის შესახებ არაფერია ცნობილი. მე არასდროს მსგავსი არაფერი მინახავს. არაფერი მსგავსი ჩემთვის არ წარმოუდგენიათ. ჩემთან არასოდეს გაუვლიათ კონსულტაცია ამგვარი დოკუმენტების არსებობისა თუ ღირებულების შესახებ. ერთი სიტყვით, მთელი ეს ამბავი მოგონილია; და, სხვათა შორის, იგი უკვე რამდენჯერმეა უარყოფილი სხვადასხვა გაზეთებში დაბეჭდილი განცხადებებით".

ბოლოს გავიხსენოთ, და ამით მოვრჩეთ, ბ-ნი პალეოლოგის ჩვენება საკასაციო სასამართლოს წინაშე, რომელიც დრეიფუსის პროცესის დროს შუამავალი გახლდათ საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ომის სამინისტროს შორის:

„არც დრეიფუსის პროცესამდე და არც შემდეგ ჩემთვის არ უცნობებიათ არც გერმანიის იმპერატორის წერილის შესახებ და არც დრეიფუსის მიერ ამ სუვერენისადმი მიწერილი წერილების თაობაზე. მტკიცებულებები, რომელზეც ბ-ნი თავმჯდომარე მიანიშნებს, მე სრულიად მცდარად მიმაჩნია. ჩემი სამსახურეობრივი უფლება-მოვალეობანი ნებას მაძლევს მტკიცედ განვაცხადო, რომ თუ ამგვარი დოკუმენტები არსებობდა, მე უეჭველად მეცოდინებოდა მათ შესახებ".

VII. – 1897 წლის 17 ნოემბერს, გერმანიის ელჩი უცხადებს ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ გერმანიის სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი დე შვარცკოპენი პატიოსან სიტყვას იძლევა, რომ არასდროს არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არავითარი შეხება არ ჰქონია დრეიფუსთან.

VIII. – 1898 წელს, ზოლას პროცესამდე, მოთმინებადაკარგულმა იმპერატორმა მოისურვა პირადად გაეკეთებინა გადამწყვეტი განცხადება.

მას ამაში ხელი გარემოცვამ შეუშალა, იცოდა რა საფრანგეთის საზოგადოების განწყობა, და ფრთხილობდა, რომ შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ თვით სუვერენის პიროვნებისთვის, რასაც შემაშფოთებელი გართულებები მოჰყვებოდა. იმპერატორმა მაინც დაჟინებით მოითხოვა, რომ ოფიციალური, საჯარო განცხადება გაკეთებულიყო რეიხსტაგში.

აი, 1898 წლის 24 იანვარს, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის მიერ სხდომაზე გაკეთებული განცხადების ტექსტი:

„თქვენ გესმით, რომ მე ამ საკითხს ძალიან ფრთხილად ვეკიდები. სხვაგვარი ქმედება ჩვენი მხრიდან საფრანგეთის შინაურ საქმეებში ჩარევად ჩაითვლებოდა... ასევე მიმაჩნია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებულ, საფრანგეთში განვითარებულ პროცესებს სრული სიმშვიდის შენარჩუნებით უნდა დავაკვირდეთ. იმედია, სასამართლო პროცესი ნათელს მოჰფენს საქმეს.

მხოლოდ იმის ხაზგასმით და კატეგორიულად განცხადებით შემოვისაზღვრები, რომ ექს-კაპიტან დრეიფუსსა, რომელიც ამჟამად დიაბლის კუნძულზე იმყოფება პატიმრობაში, და რომელიმე გერმანელ აგენტს შორის არასდროს არავითარი ურთიერთობა და კავშირი არ ყოფილა."

IX. – ხუთი დღის შემდეგ, იმპერატორი თავად ეწვია ჩვენს ელჩს ბერლინში, რათა მისთვის მიეტანა თავისი პირადი განცხადება და ეთხოვა მისი ოფიციალურად გადაცემა ჩვენი მთავრობისთვის.

X. – ბოლოს, ამჟამად იმპერატორის კარის განწყობა იგივე რჩება. იმპერატორს მოუთმენლად სურს პირადად გამოვიდეს; მაგრამ აკავებენ, და შეაკავებენ ბოლომდე, რადგან შიშობენ, რომ საფრანგეთი საქმის მეორე განხილვისასაც უარყოფს კაიზერის ნათქვამს და ასეთი შეურაცხყოფა მას დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტას აიძულებს. მაგრამ გერმანია მზადაა ოფიციალური ნოტებით გაიმეოროს ყველა ადრე გამოქვეყნებული განცხადება.

თუ ერთი წამით დავუშვებთ, რომ იმპერატორი მართლაც იყო ჩართული ჯაშუშობის საქმეში, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკური მოსაზრებების გამო იძულებული გახდა უარეყო სიმართლე ოფიციალურ განცხადებაში.

მაგრამ თუ მან ეს ცრუ დიპლომატიური განცხადება გააკეთა, რომელიც საყოველთაოდ გახდა ცნობილი, მაშინ რატომლა იმეორებს და

აპროტესტებს ყოველი ახალი შემთხვევის დროს, ასეთი დაჟინებით და კატეგორიულობით?

თუნდაც გვერდზე რომ გადავდოთ გიიომ II-ის პიროვნება და მისი ძალზე გამახვილებული ღირსების გრძნობა, განა ოდესმე რომელიმე სუვერენი გაბედავდა ასეთი ცხადი და მგზნებარე განცხადებების გაკეთებას, თუ მთელი მსოფლიოს წინაშე მისი მხილების უმცირესი უტყუარი საბუთიც კი იარსებებდა?

ვინ ვერ ხედავს კაიზერის ქცევაში სახელის დაცვის ძალიან მძიმე და ჩვეულებრივ ქმედებას?

იმპერატორმა სხვებზე უკეთ უწყის, რომ დრეიფუსი უდანაშაულოა; და მიუხედავად დიპლომატიური გართულებების საფრთხისა, იგი ყოველ შესაძლო შემთხვევაში, მთელი ძალ-ღონით ცდილობს ამის ხმამაღლა განცხადებას.

ყრუზე უფრო ყრუა ის, ვისაც არაფრის გაგონება სურს.

მთესველი

ბატონ მარკ-ელი ლიუსს,

ოტეი,

რენი, 5 სექტემბერი, 1899 წელი.

ძვირფასო მეგობარო,

ჩვენი სასოწარკვეთილება უსაზღვროა. საქმე პრაქტიკულად წაგებულია. ორმა გასულმა კვირამ გადაწყვიტა საქმის ბედი. მსაჯულთა აზრი ჩამოყალიბდა. უმრავლესობა მათ მხარეზეა და ისინი ამას კარგად გრძნობენ.

ვოლდშმუტი მსაყვედურობს მისი სტატიის დაბეჭდვის დაგვიანებას. მეც ვსაყვედურობ ჩემს თავს, თუმცა სკეპტიკური ვრჩები მისი შესაძლებელი ეფექტიანობისადმი. როგორ უნდა შეებრძოლო არაკს, რომელიც არც არასოდეს არავისგან ყოფილა ნათლად ფორმულირებული და რომ ყოფილიყო, მაინც მოუხელთებლად დარჩებოდა, რადგან ყველა აღიარებს, რომ არავითარი მატერიალური კვალი იმპერატორის ყბადაღებული ავტოგრაფისა არ შეიძლებოდა შემორჩენილიყო. ეს მუქთა მტკიცებების სფეროა. ამ უცეცხლო კვამლის წინაშე განიარაღებულნი ვართ; ბრძოლა შეუძლებელია.

საზოგადოებრივი აზრი თუ უნდა შეცვლილიყო, ის სწორედ თქვენი წამოსვლის მეორე დღეს შეიცვლებოდა, კაზიმირ-პერიეს პოზიციით, რომელმაც ყველაზე უკეთ უწყის საფრანგეთში, კაიზერი იყო თუ არა დაკავშირებული ამ საქმესთან; კაზიმირ-პერიე, შეუბღალავი რეპუტაციის მქონე ადამიანი, მოვიდა სხდომაზე, თვალებში უყურებდა სასამართლოს თავმჯდომარე-პოლკოვნიკს და ამბობდა:

„თქვენ სიმართლის თქმას მთხოვთ, სრული სიმართლის; მე ფიცი დავდე და ყოველივეს ვიტყვი, რაც ვიცი, ვიტყვი ბოლომდე და დაუფარავად. მიუხედავად იმისა, რომ ადრე უკვე ვთქვი, ისევ განაგრძობენ იმის ფიქრს და მტკიცებას, – და ეს, სამწუხაროდ, ყოველთვის ერთი და იგივე არაა – რომ მხოლოდ მე ვიცი ის ფაქტები თუ მოვლენები, რომელთაც საქმეზე ნათელის მოფენა შეუძლიათ და, რომ მე აქამდე ბოლომდე არ მითქვამს ყველაფერი, რაც გამოძიების ინტერესშია და უნდა მეთქვა. ეს სიცრუეა... მე არ მსურს ამ დარბაზის ისე დატოვება, რომ ურყევი რწმენა არ დაგიტოვოთ იმისა, რომ არ ვიცი არაფერი ისეთი, რისი დაფარვაც საჭირო იყო, და რომ უკვე ვთქვი ყველაფერი, რაც ვიცი!“

მე ეჭვქვეშ არ ვაყენებ სამხედრო საბჭოს მოსამართლეთა კეთილსინდისიერებას. დარწმუნებული ვარ, ისინი მიუკერძოებელნი იქნებიან, რამდენადაც შესძლებენ. მაგრამ ისინი ჯარისკაცები არიან.

როგორც მთელმა არმიამ, მათაც მათივე გაზეთების წყალობით აბსოლუტურად არ იციან, რეალურად რას წარმოადგენს დრეიფუსის საქმე. მათ წინაშე დანაშაულებრივი უბრალოებით დასვეს კითხვა: ან დრეიფუსის დამნაშავეობა ან გენერალური შტაბის შერცხვენა. აი, როგორ სულელურ დილემაში ჩაკეტეს ეს ოფიცრები.

და კიდევ, მათზე გავლენას რომ არაფერი ახდენდეს, მარტო თავის სინდისს რომ იყვნენ მინდობილნი! არა, ყოველ სალამოს, სასამართლო სხდომების შემდეგ, ისინი განაგრძობენ ცხოვრებას იმ გარემოში, სადაც ბრალდებულის ღალატი ურყევი აქსიომაა.

მე არ ვამბობ, რომ ისინი წინასწარვე იყვნენ განწყობილნი, დრეიფუსი დამნაშავედ ეცნოთ; მაგრამ დღეს შემიძლია ვამტკიცო, რომ ისინი მას დამნაშავედ მიიჩნევენ. სხვაგვარ რამეს არც უნდა მოველოდეთ იმ ადამიანებისგან, ვისი პიროვნება და მუნდირი განუყოფელია; რომელთაც ოცდახუთწლიანმა მსახურებამ მუნდირი კანზე შეუწებათ; რომლებიც მეოთხედმა საუკუნემ გამოჭედა დისციპლინით, იერარქიის პატივისცემით, რომელნიც იმ არმიის ფანატიკოსები არიან,

რომლის ცოცხალი ემბლემა აქაა მათ წინაშე წარდგენილ გენერალთა სახით. როგორ შეძლებენ ასეთი მსაჯულები გენერალური შტაბის სანინააღმდეგოდ, ებრაელის სასარგებლოდ რაიმეს თქმას? ხანდახან თუ თავიანთი შეშფოთებული სინდისი უბიძგებთ კიდეც ამ საბრალოს გამართლებისკენ, მათ ეს ფიზიკურად არ შეუძლიათ. და განა ეს უნდა ვუსაყვედუროთ?

ამასთანავე, უნდა ვაღიარო, რომ ბრალდებულის ქცევაში არაფერია ისეთი, რაც გადასწონიდა უნიფორმის პრესტიჟს. მან ბევრ თავის მეგობარსაც კი გაუცრუა იმედი. ჩემი აზრით, ტყუილუბრალოდ. აგერ უკვე ოთხი წელია ვიბრძვით იდეების გამო, რომლის განხორციელებულ სახეს, საბოლოოდ, ეს ჩვენთვის უცნობი ადამიანი წარმოადგენს. თითოეულმა ჩვენგანმა თვითონვე შეიქმნა ამ უცნობის ზოგადი და თან კონკრეტული ხატება. და აი, როდესაც ის გემიდან ჩამოვიდა და ჩვენ წინაშე წარსდგა, როგორც მოსალოდნელი იყო, რეალობა არ დაემთხვა ჩვენს წარმოსახვას.

ბევრმა ჩვენგანმა სწორედ ეს ვერ აპატია.

უბრალო ადამიანია, ვისი ბუნებრივი ენერგია მთლიანად შინაგანია. ის ჩამოვიდა პატიმრობისგან, ამაო მღელვარებისგან გადაღლილი და დასუსტებული; ის ავადაა, ცხელებისგან აკანკალებს, ძლივს ინელებს ცოტაოდენ რძეს. როგორ შეუწყოს ხმა ამ გაშმაგებულ აუდიტორიას, რომლის სამ მეოთხედს სძულს, ერთ მეოთხედს კი გაუღმერთებია და სიმბოლოდ უქცევია? ეს როლი აღემატება ადამიანის ძალას, არა? მას აღარ შესწევს ძალა, იყვიროს და ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, როგორც ამას სამხედრო სკოლის ეზოში აკეთებდა. ცოტაოდენ ენერგიას, რომელიც შემორჩენია, სხვების კი არა, თავის თავის წინააღმდეგ მიმართავს. ნეტავ არ დაეცეს, ნეტავ ბოლომდე კაცურად იდგეს; არ უნდა, რომ მტირალი ნახონ.

თავმდაბალი, შეუმჩნეველი გმირობის ამგვარი გაგება სცდება პოპულარულ ესთეტიკას. ის, ალბათ, უფრო თეატრალური ქცევით დაიპყრობდა მასებს, მაგრამ თავის ფლობა, რომელსაც უკიდურესი ძალისხმევით ინარჩუნებს, ინდიფერენტობად მიიჩნიეს და ისინი, ვინც ამ ოთხი წლის განმავლობაში მისთვის წვალობდა, სწორედ ამას აყვედრიან.

მე მას არ ვიცნობდი, და უნდა ვაღიარო, რომ როდესაც პირველ სასამართლო სხდომაზე დავინახე, მიუხედავად ჩვენი მეგობრების ენთუზიაზმისა, მიუხედავად უსაფუძვლო იმედისა, რომელიც ასე

ტრიუმფალურად გავაუღერე „მთესველში“ იმ დილით, მისი დანახვის მომენტში ვიგრძენი მარცხის საშიშროება, თითქოს რაღაც ზამბარა ჩანყდა... მე ეს დავმალე, თქვენც კი არ გითხარით. მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ იმ დღეს უეცრად ვიგრძენი ურყევი დაჯერებულობით, რომ საქმე წაგებულია, უიმედოდ წაგებული და რომ ამ საქმით ანთებულ მგზნებარე სულებს მხოლოდ გულისამრევი ნაცარი წაეყრება. იმ დღიდან ეს მნარე შეშფოთება აღარ მტოვებს.

კარგი ჰქენით, რომ წახვედით. თქვენი ადგილი არაა ამ აურზაურში. ჩვენი წინააღმდეგობა ძალისგან იცლება. წარმოიდგინეთ, ბევრი ჩვენგანი უკვე მეორე თაკარა ზაფხულს ატარებს დაუსვენებლად ამ პირქუშ დრამაზე ფიქრსა და ზრუნვაში! წარმოიდგინეთ ის დაძაბული დღეები, სასამართლოს აუტანელ ატმოსფეროში, სადაც ათობით მოწმე გესლს ანთხევდა! და დღეზე უფრო უარესი საღამოები, ქუჩებში, კაფეებში, სადაც სასტუმროს დახუთული ოთახებიდან თავდაღწეულნი ვხვდებოდით, სასტუმროსი, სადაც ძილი შეუძლებელი იყო; უსასრულო კამათში გატარებული საღამოები, თითქმის მთელი ღამეები, მეათასეჯერ გადასინჯული გამარჯვებისა თუ დამარცხების შანსი! აქამდეც მხოლოდ იმიტომ ვუძლებდით, რომ ჩვენი სიმართლის რწმენა გვკვებავდა და ჯავშნად გვეკრა... მაგრამ აი, კიდევ ერთი მტკივნეული ეტაპი და დასვენებაც არსად მოსჩანს! კიდევ რამდენს უნდა გავუძლოთ?

ძალიან ძნელია ჩვენი მშვენიერი ქვეყნის ასეთი მორალური და ინტელექტუალური დაცემის ყურება! ხედავთ, რა ხდება?! ამ მომენტში მთელი მსოფლიოს სინდისი აღშფოთებულია და, პირველად საუკუნეთა განმავლობაში, ფრანგულ სინდისს სძინავს!

ნახვამდის, ჩემო დიდო მეგობარო.

თუ შეიძლება, გადაეცით ბრეილ-ზეჟერს: თუ აქ ჩამოსვლა სურს, არბარუ მზადაა შეენაცვლოს „მთესველის“ რედაქციაში.

ბარუა

P.S. – ამ საღამოს გავიგე, რომ ლაბორი ფიქრობს პირდაპირ მიმართოს კაიზერს, რომ სასამართლოს დამთავრებამდე მოიპოვოს დრეიფუსის უდანაშაულობის დამადასტურებელი განცხადება იმპერატორისგან.

რაღად? უკვე ძალიან გვიანაა...

უ. ბ.

ბარუა. 103 ლიცეუმი. რენი.

პარიზი, 8 სექტემბერი, 11:30.

ტელეგრაფით მაცნობეს გერმანიის მთავრობის ახალი პროტესტი, რომელიც ამ დილით ოფიციალური ნოტის სახით გამოქვეყნდა „მონიტერ ამპირში", ლაბორის მიმართვის საპასუხოდ.

აი, ტექსტი:

> მითითებული გვაქვს განვაახლოთ განცხადება, რომელიც იმპერატორის მთავრობამ გააკეთა, რათა შეენარჩუნებინა თავისი ღირსება და ვალი მოეხადა ჰუმანურობის წინაშე.
>
> იმპერატორის ბრძანებით ელჩმა 1894 წლის და 1895 წლის იანვარში გადასცა საგარეო საქმეთა მინისტრს, დიუპუის, მინისტრთა კაბინეტს და რესპუბლიკის პრეზიდენტს კაზიმირ-პერიეს განმეორებითი განცხადებები იმის თაობაზე, რომ გერმანიის საელჩოს საფრანგეთში არასდროს ჰქონია ურთიერთობა, არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი, კაპიტან დრეიფუსთან.
>
> სახელმწიფო მდივანმა დე ბიულოვმა რეიხსტაგის კომისიის წინაშე 1898 წლის 24 იანვარს თქვა შემდეგი: მე ოფიციალურად და მტკიცედ ვაცხადებ, რომ ექსკაპიტან დრეიფუსსა და არც ერთ გერმანულ ორგანოს შორის არასდროს არავითარი ურთიერთობა და კავშირი არ ყოფილა.

საგარეო საქმეთა მინისტრმა პირობა დადო, რომ ოფიციალურად აცნობებდა ამ პროტესტს სასამართლოს, განაჩენის გამოტანამდე. კიდევ ვიმედოვნებთ, გაავრცელეთ ეს ახალი ამბავი ყველა ადგილობრივ გაზეთში.

ლიუსი

ლიუსს ოტეიში,

რენი, 9 სექტემბერი, საღამოს 6 საათი.

სასჯელი შემამსუბუქებელი გარემოებებით. ათწლიანი პატიმრობა. ურთიერთგამომრიცხავი და გაუგებარი.

მაინც გაუმარჯოს მართლმსაჯულებას!

საქმე გრძელდება!

ბარუა

V

1899 წლის 9 სექტემბერი. ვერდიქტის საღამო.

რენის სადგურში სამი მატარებელი ერთმანეთის მიყოლებით იერიშით აიღეს. მეოთხე, ძველი დეპოში დაყენებული ვაგონებით შედგენილი, ძლივს დაიძრა აფორიაქებული ბრბოს აურზაურში, რომელიც ბაქანზე ბობოქრობდა.

ბარუა, კრესტეი და ვოლდშმუტი, „მთესველის" ნამსხვრევები, ძველი მოდელის მესამე ვაგონში არიან შეკუჭულნი. ვაგონი დაბალი კედლებითაა გადაყოფილი ვიწრო კუპეებად; ორი ლამპაა მთელ ვაგონზე.

გაღებული ფანჯრები ჩაძინებულ მინდვრებს გაჰყურებს. სიო არ იძვრის. მატარებელი ნელა მიდის, მიიზლაზნება ზაფხულის სქელ ღამეში, საიდანაც საარჩევნო სხდომის ღრიანცელი მოისმის.

კუპეს აქოთებულ ჰაერში ყვირილი ამოიჭრება ხოლმე:

– ეს სულ იეზუიტების ხრიკებია!

– გაჩუმდით, ერთი! და ჯარის ღირსება!

– ჰო, ეს სინდიკატის მარცხია...

– სწორად მოიქცნენ! შვიდი ამხანაგის მიერ მსჯავრდებული ოფიცრის რეაბილიტაცია, რომელსაც არმიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ დამნაშავედ მიიჩნია, მეტ ზიანს მიაყენებდა ქვეყანას, ვიდრე სასამართლოს შეცდომა...

– ეშმაკმა დალახვროს! მეტსაც გეტყვით! მე რომ საბჭოს წევრი ვყოფილიყავი, და მცოდნოდა, რომ დრეიფუსი უდანაშაულოა... დიახ, ბატონო, უყოყმანოდ, სამშობლოს საკეთილდღეოდ, საზოგადოებრივი წესრიგისთვის ძაღლივით დავხვრეტდი!

კრესტეი დ'აზილი *(თავს ველარ იკავებს, წამოიჭრება და მისი ჩახლეჩილი ხმა ჩააჩუმებს ხმაურს)*: არის ერთი ფრანგი მეცნიერი დიუკლო, რომელმაც მაგ არგუმენტს, ნაციონალური უსაფრთხოების არგუმენტს, უკვე გასცა პასუხი. მან დაახლოებით ასე თქვა: ვერავითარი მოსაზრება სახელმწიფოს სასარგებლოდ ვერ შეუშლის ხელს სასამართლოს, რომ იყოს სამართლიანი!

– გამყიდველი! ლაჩარი! გაიძვერა! ბინძური ურია!

კრესტეი *(კადნიერად)*: ბატონებო, თქვენს განკარგულებაში ვარ!

ლანძღვა-გინება ორმაგდება. კრესტეი ფეხზე დგას.

ბარუა: შეეშვით, კრესტეი...

ნელ-ნელა სულისშემხუთავი სიცხით, დამთრგუნველი სიბნელით, დანჯღრეული ვაგონის ჯაყჯაყით გამოწვეული მძიმე გაშტერება იპყრობს ყველას.

ხმაური ნელ-ნელა იკლებს.

კუთხეში მიკუნჭული ბარუა, კრესტეი და ვოლდშმუტი ხმადაბლა საუბრობენ.

ვოლდშმუტი: უფრო საწყენი ისაა, რომ ქვეყნის სამსახურზე ფიქრი იყო ბევრი ჩვენი მოწინააღმდეგის მთავარი მოტივი, დარწმუნებული ვარ...

კრესტეი: არა! ვოლდშმუტ, თქვენ სულ ფიქრობთ, რომ სხვებსაც მხოლოდ მაღალი იდეები და გრძნობები ამოძრავებთ... ისინი, უფრო ხშირად, შეგნებულად თუ შეუგნებლად თავიანთი ინტერესებისთვის მოქმედებენ, და თუ ანგარებით არ მოქმედებენ, უბრალო სოციალური ჩვეულების...

ბარუა: მოიცადეთ, ჩვეულების თაობაზე ერთი სცენა გამახსენდა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მესამე თუ მეოთხე სხდომაზე.

ვაგვიანებდი. პრესის დერეფნით მივდიოდი, სწორედ იმ მომენტში, როდესაც მოსამართლეები შედიოდნენ. თითქმის იმავე დროს, ოდნავ მათ უკან, ოთხი მოწმე გამოჩნდა, ოთხი, სააღლუმო მუნდირში გამოწყობილი, გენერალი. და იცით, რა მოხდა? შვიდივე ოფიცერი-მოსამართლე ისე, რომ არ მოულაპარაკიათ, როგორც ერთი, შეჩერდა, კედელზე ზურგაკრული და გაჯგიმული. ეს მათ ოცდაათწლიანი მსახურებით სისხლში აქვთ გამჯდარი. და გენერლებმა, უბრალო მოწმეებმა, ისე ჩაიარეს მათ წინ, თითქოს ჯარის დათვალიერება ყოფილიყოს და მოსამართლე-ოფიცრებმაც მათ სამხედრო სალამი მისცეს...

კრესტეი *(სპონტანურად)*: ამას აქვს თავისი სილამაზე!

ბარუა: არა, ჩემო კარგო, არა... შენში სენ-სირის კურსდამთავრებული ალაპარაკდა და არა დღევანდელი კრესტეი.

კრესტეი *(სევდიანად)*: მართალი ხართ... მაგრამ ამის ახსნა ადვილია, ნახეთ... ამაყი და ენერგიული ადამიანებისგან დისციპლინა, ყოველ წამს, ისეთ მსხვერპლს მოითხოვს, რომლის უპატივცემულობა შეუძლებელია, ისე ძვირი უჯდებათ მათ...

ბარუა *(აგრძელებს თავის იდეას)*: სხვათა შორის, ახლახანს გამო-

ტანილი ვერდიქტი იმეორებს დერეფნის იმ სცენას... მოღალატისთვის მსჯავრის გამოტანა შემამსუბუქებელი გარემოებებით უგუნურად, კოჭლად გამოიყურება... მაგრამ, დაფიქრდით! დასჯა არის სამხედროებისადმი პატივისცემის გამოხატვა, რომელსაც ისინი სამხედრო წესრიგმა მიაჩვია, ისე, რომ მათ ეს არც კი გაუაზრებიათ, შემამსუბუქებელი გარემოებანი კი მათი, როგორც ადამიანების, სინდისის ქენჯნის გამოხატულებაა...

პარიზში ჩასვლა განთიადისას.

პირქუში მდუმარებით ავსილი ვაგონი ბაქანზე ცლის მოცახცახე და ფერმკრთალ ნახირს.

ლიუსი აქაა, ფემკრთალი; კეთილი მზერით ეძებს მეგობრებს.

მდუმარე გადახვევა. უზარმაზარი სინაზე და სევდა. თვალები ცრემლითაა სავსე.

მტირალი ვოლდშმუტი ლიუსს ხელზე კოცნის.

ბარუა *(ყოყმანით)*: ულია არაა თქვენთან ერთად?

ბრეილ-ზეუერი თავს სწევს.

ზეუერი: არა.

რამდენიმე ნაბიჯს მდუმარედ დგამენ ჯგუფად შეკრულნი.

ბარუა *(მშვიდად ლიუსს)*: ახალი რაა? *(შეწუხებული მისი დუმილით)* კასაცია?

ლიუსი: არა, როგორც ჩანს, ეს შეუძლებელია, იურიდიულად...

ბარუა: მაშ?

ლიუსი მაშინვე არ პასუხობს.

ლიუსი: შეწყალება...

კრესტეი და ბარუა *(ერთად)*: უარს იტყვის.

ლიუსი *(მტკიცედ)*: არა!

უკანასკნელი სილის გაწვნა სახეში.

გაუნძრევლად დგანან ტროტუარზე, პირდაღებულნი, ყელში ბურთგაჩრილნი, ვერაფერს ხედავენ. მხრებში იხრებიან...

ვოლდშმუტი: შეიცოდეთ... კვლავ იქ დაბრუნება? კვლავ წამების განახლება? კი მაგრამ რისთვის?

კრესტეი *(პათეტიკური)*: სიმბოლოდ დარჩენისთვის!

ვოლდშმუტი *(მომთმენი)*: მოკვდება. და მერე?

ლიუსი *(უსაზღვრო მიმტევებლობით)*: ვოლდშმუტი მართალია...

სხვას თუ ვერაფერს მოვახერხებთ, იქნებ ცოცხალის რეაბილიტაციას მივაღწიოთ...

იმავე საღამოს.

ბარუამ ადრე დატოვა გაზეთის რედაქცია და უაზროდ გაუყვა ქუჩებს, ჯიბეში ჟულიას ბარათს ჭმუჭნის, ამ დილით რომ იპოვა თავის სანერ მაგიდაზე:

რენიდან რომ დაბრუნდები, გაგიკვირდება, „მთესველში" აღარ დაგხვდები.

არ მინდა გატყუებდე.

მე ჩემი ნებით, თავისუფლად, გავხდი შენი და ასევე თავისუფლად მსურს წასვლა.

სანამ მიყვარდი, განუყოფლად შენ გეკუთვნოდი. მაგრამ მას მერე, რაც სხვა შემიყვარდა, პირდაპირ გეუბნები, ჩემთვის აღარ არსებობ. ამას პირდაპირ გეუბნები და ეს ჩემი შენდამი, ჩემებურად პატივისცემის გამოხატვაა.

როდესაც ამ სიტყვებს წაიკითხავ, მე უკვე ჩემი თავის ბატონ-პატრონი ვიქნები. შენ საკმაოდ ენერგიული და გონიერი ხარ, რომ გამიგო და თავი ამაო, დამამცირებელი მწუხარებით არ დაიტანჯო.

ყოველთვის შენს მეგობრად მიგულე,

ჟულია

ჟანი ჟაკობის ქუჩაზე ბრუნდება და საწოლზე გაუხდელად მიეგდება. მწვავე, პირადი, დამამცირებელი ტკივილი ემატება, უზარმაზარ უიმედობას, რომელმაც ის გადაქანცა. საფეთქლები უხურს და ეწვის.

ანაზდად ამ ოთახში ათასგვარი გრძნობისმიერი მოგონება იღვიძებს... ზოგიერთი წუთის ხელახლა განცდის დაუძლეველი სურვილი აიტაცებს, რა ფასადაც არ უნდა დაუჯდეს... წამოდგება, გაშმაგებული, ტუჩებს იკვნეტს, ხელებს იგრეხს; მერე ისევ ეცემა საწოლზე, აქვითინებული.

რამდენიმე წამს კიდევ ფართხალებს ნყალნაღებულივით...

შემდეგ ღრმა ძილში იძირება.

ზარის ხმა აღვიძებს და თავგზააბნეულს სრულ უიმედობაში აბრუნებს.

გათენებულა, ათი საათია...

აღებს კარს, ზღურბლზე ვოლდშმუტია.

ვოლდშმუტი *(შეწუხებული ბარუას დასიებული და განადგურებული სახის ხილვით)*: ხელი შეგიშალეთ...

ბარუა *(გალიზიანებული)*: შემოდით, შემოდით!

ხურავს კარს.

ვოლდშმუტი *(თვალს არიდებს)*: რედაქციაში გეძებდით... იმ დამატებითი ინფორმაციისთვის, თქვენ რომ მთხოვეთ... *(შეხედავს)* მოვახერხე რეინახის ნახვა... *(ბუტბუტებს)* მე ვარ... მე მაქვს...

ერთმანეთს უყურებენ. ვოლდშმუტი ველარ აგრძელებს. და ბარუა ხვდება, რომ ვოლდშმუტმა ყველაფერი იცის; უეცრად გულზე მოეშვება და ორივე ხელს უწვდის.

ვოლდშმუტი *(გულუბრყვილოდ)*: აჰ... და ზეუერიც მეგობარია!

ბარუა ფითრდება, სუნთქვა ეკვრის.

ბარუა *(კბილებში ცრის)*: ზეუერი?

ვოლდშმუტი *(დამფრთხალი)*: არ ვიცი... ისე ვთქვი...

ბარუა ზის, გაქვავებული, მუშტებშეკრული, უკანთავგადაგდებული; გამოცარიელებული თავით.

ვოლდშმუტი *(რომელსაც ეს სიჩუმე გულს უხეთქავს)*: ჩემო საბრალო მეგობარო... იმაში ვერევი, რაც მე არ მეხება... დამნაშავე ვარ... მაგრამ, სწორედ იმ დროს მოვედი... მინდოდა თქვენთვის წუხილი გამეზიარებინა...

ბარუა პასუხს არ სცემს, ხელს ჯიბეში იყოფს და ჟულიას ნერილს უწვდის.

ვოლდშმუტი ხარბად კითხულობს, სუნთქვა სტვენად ექცევა; ნვერში ჩამალული ტუჩები დონდლოდ უცახცახებს.

შემდეგ კეცავს ფურცელს და ბარუას გვერდით უჯდება; მოუხერხებლად ხვევს თავის ძალიან პატარა ხელს.

ვოლდშმუტი: ოჰ, ეს ჟულია... ვიცი... იტანჯები, იტანჯები... მზად ხარ მოკლა!

(მწარე ღიმილით) და მერე გადაგივლის...

და უეცრად, გაუნძრევლად ტირილს იწყებს; ტირის უხმოდ, მშვიდად სდის ცრემლი, ასე საკუთარ თავს დასტირიან ხოლმე.

ბარუა დაკვირვებით უყურებს. ეს სიტყვები, ეს ინტონაცია,

ეს ცრემლები... ბარუას ეჭვი უჩნდება და, თითქმის იმავე წამს, ხვდება სიმართლეს.

და მაშინვე, ყოველგვარ შეცოდებამდე, პირქუში კმაყოფილება მოიცავს და თავის ტკივილს ავიწყებს. მარტო აღარაა. მგრძნობიარე სიკეთის ცრემლი ადგება თვალზე.

აჰ, სიცოცხლე ძალიან დაუნდობელია...

ბარუა *(მოკრძალებით, თითქოს სიტყვებს ეძებსო)*: ჩემო კარგო ვოლდშმუტ, რა ტკივილი მომიყენებია თქვენთვის!...

VI

მსოფლიო გამოფენაზე.
1900 წლის 30 მაისი.

სენის სანაპიროზე, ერთ-ერთ სახელდახელოდ გამართულ, დროშებითა და ყვავილებით შემკულ რესტორანში.

ოცდაათამდე ახალგაზრდა კაცი გაშლილ მაგიდასთან.

ოფიციანტებმა ეს-ესაა აანთეს კანდელაბრები და მწუხრში პატარა აბაჟურების მქრალი, ყვითელი შუქი ეფინება ბროლსა და მომჭკნარ ყვავილებს, ქმნის ქეიფის დასასრულის შესაფერის გაჭიანურებულ და მოთენთილ გარემოს.

მსუბუქი დუმილი.

მარკ-ელი ლიუსი, რომელიც სუფრას უძღვება, დგება.

დიდი შუბლის ჩრდილში ჩამჯდარი მისი ნათელი თვალები სერიოზულ და გამჭოლ მზერას ავლებს სტუმრებს.

შემდეგ ილიმება, თითქოს ბოდიშს იხდიდეს იმ ფურცლების გამო, ხელში რომ უჭირავს.

მისი ფრანკ-კომტუაზური კილო უცხოდ აჟღერებს წინადადებებს და მის სიტყვას პროვინციალურ უბრალოებასა და დამაჯერებლობას აძლევს.

ლიუსი: ძვირფასო მეგობრებო,

ერთი წლის წინ ჩვენ დიდი სიხარული განვიცადეთ. ბ-ნმა ბალობოპრემ საჯაროდ ნაიკითხა თავისი მოხსენება. მთელი საქმე გაცოცხლდა ჩვენ თვალწინ. ისეთი შემჭიდროებული სტილით და, ამავე

დროს, სიზუსტით იყო შედგენილი ეს მოხსენება, რომ ის საუკეთესო სამაგალითო მოდელად დარჩება. სიმპათიით გაჟღენთილმა დუმილმა დაგვარწმუნა, რომ საზოგადოებას, წინა წელს ზოლას რომ ღრიანცელით ისტუმრებდა, აზრი შეეცვალა. გული უზარმაზარი რწმენით აღგვევსო იმის დანახვისას, რომ, ბოლოს და ბოლოს, ოფიციალური ხელით აინია ის ტვირთი, რომელიც აგერ უკვე სამი წელი გვსრესდა. ყველას ბაგეზე იმედის ის სიტყვები გვეკერა, რომლითაც ბ-ნმა მორნარმა სასამართლოს მიმართა: „განთიადის დადგომასავით ველი თქვენს განაჩენს, რომელიც თანხმობისა და სიმართლის შუქით გააბრწყინებს სამშობლოს“.

ჩვენ დღეს ამ წმინდა საათების აღსანიშნავად შევიკრიბეთ, რომლებიც უკანასკნელ, უჩრდილო საათებად დარჩნენ დრეიფუსის საქმეში, ასე არაა?

მე აღარ მივუბრუნდები ამ ზაფხულის მტკივნეულ დრამას. სიმწვავემ უკვე გადაიარა. მთავრობის დიდსულოვანი მზრუნველობის წყალობით, რეალურად არაეფექტურად გამხდარი სამხედრო საბჭოს მიერ გამოტანილი მერყევი განაჩენი ნებას გვაძლევს, ჩვენთვის აქამდე უჩვეულო მოთმინებით, დაველოდოთ იმ წამს, როდესაც მოვლენათა ბუნებრივი განვითარებით სიმართლე უსამართლობის უმცირეს კვალსაც კი წარხოცავს; რადგან სიმართლის ძალა უდრეკია და ყველა მოვლენას თავის კანონს უმორჩილებს.

რეალურად კრიზისი უკვე გადალახულია. განა ერთი ჩვენთაგანი არ წერდა ამას წინათ: „ძალადობა ადამიანებში, ბუნებაში ქარიშხალს ჰგავს; ის აგორდება, აზვირთდება, შემდეგ ჩაცხრება და გაქრება, უტოვებს რა თესლს თავის აქტივობას...“

დაბნეულობის მძიმე დრო დადგა იმათთვის, ვინც მრავალი წლის განმავლობაში აქტიური, ინტენსიური ცხოვრებით ცხოვრობდა. ისინი შეჩერდნენ, როგორც აქოშინებული ძაღლები ნადირობის დღის ბოლოს; მძიმე დღე იყო; მათი როლი შესრულებულია. და აი, სევდა შემოაწვებათ ამ ნანგრევების, ამ მკვდრებით გადატენილი ბრძოლის ველის შემხედვარეთ... მგონი, გამოვხატე ის, რასაც ყველა შევიგრძნობთ, არა? სევდა და ნაღველი იმ გატანჯულ საფრანგეთზე, სადაც ღვარძლი და განხეთქილება მეფობს.

გაცხარებული ბრძოლის დროს ჩვენ არ ვფიქრობდით შედეგებზე. ეს ჩვენი მოწინააღმდეგეების არგუმენტია. ჩვენ მათ სრულიად საფუძვლიანად ვპასუხობდით, რომ ერის ღირსება უფრო მაღლა დგას, ვიდ-

რე საზოგადოებრივი წესრიგი და რომ აშკარად ჩადენილი უსამართ-ლობა, თუნდაც სახელმწიფოს უსაფრთხოების სახელით ჩადენილი, თუ ოფიციალურად ყველასგანაა მხარდაჭერილი, ბევრად მეტ ზიანს მოიტანს, ვიდრე ხალხის დროებითი არეულობა. ის სახელს უტეხს ერთადერთ მონაპოვარს, რითაც ხალხი ამაყობს, საკრალურ თავისუფ-ლებებს, რომელთათვისაც ფრანგმა ხალხმა სისხლი გაიღო და ყველა ერი გაამდიდრა; კერძოდ კი, ის სახელს უტეხს და საფრთხეში აგდებს სამართლიანობასა და სამართალს მთელ ცივილიზებულ სამყაროში.

(ტაში)

მაგრამ ახლა, როდესაც გავიმარჯვეთ, უნდა გავიაზროთ, რა მდგო-მარეობაში ჩააყენა ქვეყანა საზოგადოებრივი აზრის უდრეკობამ. ჩვენ რევოლუცია გადავიტანეთ.

არეულობის დროს, კვანძის გახსნის წინ, ბოლო ბრძოლის დროს, ბევრი ახალი მომხრე, ჩვენგან დამოუკიდებლად, შემოუერთდა აქ-ტიურ მოაზროვნეთა იმ ჯგუფს, რომელსაც ჩვენ ვქმნიდით. მათ ხე-ლიდან გამოგვტაცეს ჩვენი მორიდებული, მაგრამ მტკიცე და ამაყი დროშა და აშკარად ააფრიალეს ჩვენ მაგივრად. მათ დაიპყრეს ის თავისუფალი ადგილები, რომელიც ჩვენი ბეჯითი შრომის წყალობით გაჩნდა საზოგადოებრივი გამოჯანმრთელების კვალდაკვალ. და დღეს, გამარჯვების მეორე დღეს, მათ უკავიათ გაბატონებული პოზიციები. ნება მომეცით ხაზი გავავლო, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ დრეიფუსისტების პატარა მუშტი ვიყავით; ახლა ისინი დრეიფუ-სარების მთელი არმიაა...

ვინ არიან ისინი? რას წარმოადგენენ? არაფერი ვიცი. ისინი იმას ურევენ ერთმანეთში, რაზეც ჩვენ მკაცრად ვთქვით უარი: არმიასა და მილიტარიზმს, ნაციონალიზმსა და საფრანგეთს. რას გააკეთებენ ისინი? რის აშენებას შეძლებენ იმ ნანგრევებზე, ჩვენ რომ გვინდოდა? არაფერი ვიცი. დადგება კი მათთან ერთად ის ნათელი ერა, რომლის დადგომასაც ჩვენ ვოცნებობდით?

ვაგლახ! ისინი ძალიან ბევრი რამით ჰგვანან იმათ, ვინც ჩვენ და-ვამხეთ, მაგრამ არა მგონია, მათზე უარესნი იყვნენ.

რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენი მისია შესრულებულია; ჩვენ წილად არ გვხვდა იმის აღსრულება, რაზეც ასე გატაცებით ვოცნებობდით. ბძო-ლას, რომელიც შეგნებულად პირველებმა წამოვიწყეთ, თითოეულმა ჩვენგანმა შესწირა პირადი სიმშვიდე და ბედნიერება.

ძვირფასო მეგობრებო, ეს მძიმეა, ძალიან მძიმეა. მეც თქვენსავით

ვიცი ეს. მე დავკარგე ჩემი აუდიტორია კოლეჟ დე ფრანსში; და თუმცა სენატში ხელახლა ამირჩიეს, თავს ოცნებებით არ მოვიტყუებ, არც ერთ კომისიას არ მივუწვევივარ სამუშაოდ; მთელი სამუშაო უჩემოდ ტარდება. ისინი კი, ვინც დღეს ჩვენი ძალისხმევის ნაყოფით აშკარად სარგებლობენ, უმეტეს შემთხვევაში შეშფოთებული უნდობლობით ზურგს გვაქცევენ... არც ცდებიან: მათ, ვისაც ხელები სუფთა არა აქვს, ჩვენ საფრთხეს წარმოვადგენთ და ჩვენი მეზობლობა აშინებთ...

(ღიმილი)

ყველაზე ნაკლებ ჩვენ შორის ყველაზე ახალგაზრდებმა უნდა იწუწუნონ, რომელთაც კიდევ აქვთ ცხოვრების შეცვლის დრო. რა მშვენიერი ნათლობა მიიღეს ცეცხლით შეგნებული ცხოვრების დასაწყისში! ცეცხლის ალმა დანთქა ყველაფერი მოჩვენებითი, ხელოვნური, ყალბი, რაც კი მათ ხასიათში იყო. მხოლოდ ძირეული, მთავარი დარჩა – კლდე! და რა სასიკეთო გარდაუვალობა იყო მათთვის ის, რომ ერთხელ და სამუდამოდ აირჩიეს თავისი გზა და მეგობრები!

მე ვიცნობ ბევრს, ვინც, საბოლოოდ, თავს გაართმევს...

(ღიმება, ერთი წამით თვალს მონყვეტს ფურცლებს და ბარუასკენ იხრება, რომელიც მის გვერდით დაუსვამთ.)

...მაგალითად, ჩვენი მეგობარი ბარუა, მისთვის არასდროს უღალატია გაბედულ თვითდაჯერებულობასა და კეთილშობილებას; ვინც თითოეული ჩვენგანისთვის, თავიდანვე, მუდმივი საყრდენი იყო მძიმე დღეებში!

(განაგრძობს კითხვას.) ბარუა ცენტრალურ ფიგურად რჩება ჩვენ შორის. ისაა ჩვენი წმინდა ცეცხლის მცველი, მისი შექმნილია ჩვენი ცენტრალური კერა „მთესველი", რომლის გარშემო შემოკრებილნიც უნდა დავრჩეთ. შეხედეთ როგორ იღვწის, მისი მაგალითი გადაგვარჩენს! უკვე წლებია, რაც მთელ ძალ-ღონეს გაზეთს სწირავს, არ სპეკულირებს, ქვეგაუხედავად, უშურველად ხამამაღლა ამბობს თავის იდეებს, პროექტებს და არ ეშინია, რომ სხვანი გამოიყენებენ და მასზე ადრე განახორციელებენ, ყველაფერს სწირავს, გარდა საკუთარი სინდისისა! მისი წყალობით, მის გვერდით ყოველთვის მოინახება საქმე კეთილი ნების ადამიანებისთვის. „მთესველი" გაუგონარი ტირაჟის შემდეგ, რომელიც ისტორიას შემორჩება, ისევ ინარჩუნებს მისი დანიშნულების შესაფერ გავრცელებას. ის მიმართავს ინტელექტუალურ უმცირესობას, რომელიც მასზე მიჯაჭვული, მისი ერთგული დარჩა. მოდით, ბატონებო, დავეხმაროთ მას, მივანოდოთ ჩვენი გამოცდილე-

ბა, რომელიც ყველაზე ახალგაზრდებსაც კი ჩვენ შორის უხვად აქვთ, რადგან ეს არეული ნლები მთელ ცხოვრებას უდრიდა. დაე, ბარუამ განაგრძოს ჩვენი ძალისხმევის გაერთიანება, მოუძებნოს მას ფართო გამოყენება, რაც გაამხნევებს და გაამართლებს ამ ძალისხმევას!

და განსაკუთრებით, მეგობრებო, ნუ დავემორჩილებით უნაყოფო უიმედობას, რომელიც უკვე დაეხეტება ჩვენ გარშემო და გვითვალთვალებს. მე, ისევე როგორც თქვენ, ვიცი თუ რამდენად დიდია ცდუნება. *(მწუხარე ხმით)* რომელ ჩვენგანს არ განუცდია შიში და არ უგრძნია მძიმე პასუხისმგებლობა იმ სირთულეთა წინაშე, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ თავის თავს გაუმზადა? სხვაგვარად როგორ უნდა მომხდარიყო? როგორ უნდა დაგვეცვა თავი და არ დაგვტყობოდა ნარუშლელი პესიმიზმის კვალი? ჩვენ ხომ ამდენი ილუზია დავკარგეთ გზადაგზა!

(თავს სწევს.) მაგრამ მსგავსმა სისუსტემ, რა ლეგიტიმურიც არ უნდა იყოს, ხელი არ უნდა დაგვრიოს, გონება არ უნდა დაგვიბინდოს. ჩვენ ყველაფერი შევწირეთ დიდ საქმეს და მხოლოდ ესაა მნიშვნელოვანი! მეგობრებო, რაც გავაკეთეთ, უნდა გაგვეკეთებინა და კვლავ რომ იყოს გასაკეთებელი, ისევ უყოყმანოდ გავაკეთებდით! ეს უნდა გვახსოვდეს ჭმუნვისა და სისუსტის წამს!

საფრანგეთი გაყოფილია. ეს მძიმე, მაგრამ გამოსწორება შესაძლებელია; უარესი, რაც ამას შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნისთვის, არის მატერიალური და წარმავალი ზარალი; ჩვენ კი მას პრინციპების შეუვალობა შევუნარჩუნეთ, ურომლისოდაც არ არსებობს ერის სიცოცხლე.

ვიფიქროთ, რომ სულ რაღაც ორმოცდაათიოდე ნლის შემდეგ დრეიფუსის საქმე მხოლოდ მცირე ეპიზოდი იქნება ადამიანის გონის ბრძოლისა მისი დამაბრმავებელი ვნებების წინააღმდეგ; არც მეტი, არც ნაკლები, მხოლოდ ერთი მომენტი კაცობრიობის ნელი და მშვენიერი მსვლელობისა სიკეთისაკენ.

მომავალი თაობები აუცილებლად გადააჭარბებენ სიმართლისა და სამართლიანობის ჩვენეულ გააზრებას; ეს ჩვენ ვიცით; და შორს ვართ ხელის ჩაქნევისგან; ეს რწმენა, ეს იმედი არის ყველაზე ეფექტური სტიმული ჩვენი დღევანდელი აღმაფრენისა. თითოეული თაობის ვალია ჭეშმარიტებისკენ სწრაფვა, რაც შეიძლება, ამ გზაზე უფრო ნინ წასვლა და შემდეგ, მიღწეულზე ისე ჩაჭიდება, თითქოს აბსოლუტური ჭეშმარიტებისთვის მიეგნოს. მხოლოდ ამ საფასურითაა შესაძლებელი კაცობრიობის პროგრესი.

ერთი თაობის ცხოვრება მხოლოდ ერთი ძალისხმევაა, რომელიც სხვათა ძალისხმევას მოსდევს და შემდგომი თაობის ძალისხმევას უსწრებს წინ. მაშ ასე, მეგობრებო, ჩვენმა თაობამ მოიხადა თავისი ვალი.

მშვიდობა იყოს ჩვენს ზედა.

ჯდება.

დიდი უსიტყვო ემოცია.

სიმშვიდე

I

უნივერსიტეტის ქუჩა, მრავალი წლის შემდეგ.

მთელი შენობა „მთესველს“ აქვს დაკავებული. შესასვლელი გადავსებულია რულონებით და შეკვრებით. პირველ და მეორე სართულებზე ტიპოგრაფიაა განლაგებული. დანარჩენი სართულები კი ჟურნალის რედაქციის გამომცემლობის სამუშაო კაბინეტებს აქვს დათმობილი.

მესამე სართულზე რედაქციაა.

თანამშრომელი (შემოდის): ბატონი ანრი ტელეფონთან გთხოვთ.

მდივანი: არ ვიცნობ.

თანამშრომელი: ნიუ-იორკ-ჰერალდიდანაა.

მდივანი: აჰ, ჰარი? შემაერთეთ...

იღებს ყურმილს.

მდივანი: ალო! კარგად... ველაპარაკე ამის შესახებ ბ-ნ ბარუას. კი, სურს, მაგრამ არავითარი ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები, ქებათა-ქებანი. ფაქტები, მისი ცხოვრება... თქვენს განკარგულებაში ვარ; მკითხეთ...

დრეიფუსის საქმიდან მოყოლებული? (იცინის) და რატომ 70-იანი წლებიდან არა?

დიახ, დღევანდელი მოღვაწეობა. უმჯობესი იქნებოდა... კი ბატონო... უპირველესად საღამოს ლექციები ბელვილის, ვოჟირარდისა და პანთეონის მერიებში. მსმენელთა შორის ბევრი მუშაა. პანთეონში, სტუდენტები სჭარბობს... დიახ, გაუსვით ხაზი. მისი მთავარი მიზანი თავისუფლად მოაზროვნეობის იდეის აღზრდა და გავრცელებაა ფართო მასებში.

ამჟამად კითხულობს ლექციებს სოციალურ მეცნიერებათა საზოგა-

დოებაში, კვირაში ორჯერ...

ნელს? „რელიგიის საყოველთაო კრიზისზე". თითო წიგნი ყოველ-ნლიურად.

დაბოლოს, არის „მთესველი"... ეს დიდი შრომაა... ორასი გვერდი ყოველ თხუთმეტ დღეში.

ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ორმოცდაათიოდე სტატია ნელიწადში კი უეჭველია. და კიდევ „მთესველის" ყველა ნომერში, რეგულარულად აქვეყნებს ქრონიკებს, სადაც მისი ყველა ახალი იდეა პოვებს ასახვას...

არა! „მთესველის საუბრები" სხვა რამაა. ყოველ კვირას აქ ჩვენთან იმართება შეკრებები; მოაქვთ სტატიები, იმართება მსჯელობა, დგება მომავალი ნომრები. ბარუას ჰქონდა იდეა ამ მსჯელობების სტენოგრაფირებისა და შემდგომ გამოქვეყნებისა „შენიშვნების" ფორმით. ხელმომწერებმაც მიიღეს ამაში მონაწილეობა. თავიანთ წერილებში ითხოვდნენ ამა თუ იმ თემის განხილვას. ძალიან კარგი აზრია, საზოგადოებასთან მჭიდრო კონტაქტი მყარდება. ჩანს მკითხველთა ინტერესთა სფერო... მოკლედ, „შენიშვნები" „მთესველის საუბრებად" იქცა, თითქმის ყოველ სამ თვეში ერთი ტომი გამოდის...

ალო? კარგი, მაგრამ ამ სიის ნახვა ყველგან შეგეძლოთ... უპირველესად დრეიფუსის საქმისადმი მიძღვნილ წიგნებში: „სიმართლისათვის" (I, II, III ტომებში), კიდევ ბროშურებში... აღარ ჩამოგითვლით. ასევე ყოველი ნლის ბოლოს გამოქვეყნებულ ლექციათა კრებულებში: „ბრძოლის სიტყვები", ექვსი ტომია გამოცემული, მეშვიდე ახლა იბეჭდება. და კიდევ, ოთხი მომცრო წიგნი, რომელიც სოციალურ მეცნიერებათა საზოგადოებაში ნაკითხული ლექციებისგან შედგება: „სახალხო განათლების პროგრესი", „თავისუფალმოაზროვნეობა საფრანგეთს გარეთ", „ესსე დეტერმინიზმის შესახებ, „მატერიის გაყოფა".

ალო? კარგი იქნება იმის აღნიშვნა, რომ კვირის ლექცია ტროკადეროში სრულიად განსხვავებულია, არაა ბატონი ბარუას ჩვეულებრივ სტილში, ხაზი გაუსვით... არასდროს ჰქონია ამდენი ხალხის წინაშე გამოსვლის სურვილი...

რაო? არ ვიცი, მგონი, სამი ათასი ადგილი; და, როგორც ჩანს, ბილეთების ნახევარი უკვე გაყიდულია...

დიახ, რა თქმა უნდა, სახელი იზიდავთ, შემდეგ თემა: „ურწმუნოების მომავალი".

გმადლობთ... თქვენს განკარგულებაში მიგულეთ... ნახვამდის!

ტროკადეროში.

შემდეგი კვირა; ნაშუადღევი.

დიდი გამოცოცხლება. ეტლები მოდიან და მოდიან, ჩერდებიან კიბესთან. პოლიციელთა კორდონი წესრიგს თვალყურს ადევნებს.

უეცრად ტროტუარზე გაჩერებულ ახალგაზრდათა შორის მოძრაობა შეინიშნება. სამსახურის შესასვლელთან ეტლი ჩერდება.

ბარუა ჩამოდის ლიუსის თანხლებით.

ხალხი ქუდს იხდის.

ორივე სწრაფი ნაბიჯით შედის სასახლეში, რამდენიმე მეგობარი მიჰყვებათ.

სამ საათზე დარბაზი გადაჭედილია; გასასვლელებში ხალხი ფეხზე დგას.

ფარდა ნელა იწევა, მოჩანს ცარიელი სცენა, სადაც მაშინვე ჩნდება ბარუა. მძლავრი ოვაცია გრგვინვასავით გადაუვლის დარბაზს, აგორდება, ჩანავლდება, ისევ მქუხარედ გაისმის, ტალღასავით მიმოდის, ფრინველთა გუნდივით მიმოიქცევა, რომელიც გაფრენას ფიქრობს და მერე სრულ მდუმარებაში ჩაიწრიტება.

ბარუა დინჯად ადის ესტრადის საფეხურებზე.

ჯუჯასავით მოჩანს უზარმაზარი ამფითეატრის ცენტრში. მის ნაკვთებს ვერ არჩევენ; მაგრამ მისი სწრაფი შემოსვლა, მტკიცე მისალმება, მშვიდი და ხანგრძლივი მზერა, რომელსაც მის გარშემო და მის ზემოთ მსხდარ ათასობით ადამიანის შიშველ თავს მოავლებს, მეტყველებს იმ კაცზე, რომელსაც მუდამ ზურგის ქარი ახლავს.

დარბაზს თვალს არ აშორებს, ისე ჯდება.

ბარუა: ქალბატონებო და ბატონებო...

ნამით ჭმუნვა შემოანვება, გული ეკუმშება.

მაგრამ ამ ყურადღებადქცეულ ადამიანთა დუმილი, მისკენ

მიმართული ნდობით მომზირალი ურიცხვი თვალი დაძაბულობას უხსნის. უეცარ აღმაფრენას ემორჩილება. უარს ამბობს ნინასწარ მომზადებულ პრეამბულაზე, გვერდზე გადადებს ჩანაწერებს და მომღიმარი გულითადი საუბრის კილოთი ინყებს:

ძვირფასო მეგობრებო,

თქვენ აქ ორი თუ სამი ათასი შეკრებილხართ... მიგიტოვებიათ თქვენი საკვირაო საზრუნავი იმისთვის, რომ „ურწმუნოების მომავალზე" საუბარი მოისმინოთ. მარტოოდენ ამ სათაურმა მოგიზიდათ.

სახასიათო სიმპტომია და თანაც რაოდენ ამაღელვებელი!

დღეს ყველა ცივილიზებული ერი განიცდის იმავე რელიგიურ კრიზისს. მსოფლიოს ყველა კუთხეში, სადაც კულტურას, აზროვნებას მცირე ავტორიტეტი მაინც გააჩნია, ერთი და იგივე პროცესი ამოძრავებს ადამიანთა შეგნებას, ერთი და იგივე აზრთა მდინარება და უნდობლობა უარყოფს საეკლესიო იგავებს, ერთი და იგივე ჟესტი გათავისუფლებისა იშორებს ყველა ღმერთის დოგმატურ მეურვეობას. საფრანგეთი, თავისი ინტელექტუალური განონასწორებულობით, თავისუფლების წყურვილით, პოზიტიური გადამოწმების აუცილებლობით, აგერ უკვე ორასი წელია თავისუფალმოაზროვნეობის ნამდვილი კერაა მთელ მსოფლიოში; საფრანგეთმა თითქოს ბიძგი მისცა ამ რყევას. იტალიამ, ესპანეთმა, სამხრეთ ამერიკამ, ყველა ლათინურმა ქვეყანამ, სადაც კათოლიციზმი ბატონობს, მის მაგალითს მიბაძა. მსგავსი ცვლილებები მიდის პროტესტანტულ ქვეყნებშიც: ინგლისში, ჩრდილო ამერიკასა და სამხრეთ აფრიკაში. და ეს მოძრაობა იმდენად საყოველთაოა, რომ მან, დღეს, მოიცვა ისლამისა და ბუდიზმის განათლებული ცენტრები, აფრიკის ცივილიზებული ნაწილი, ინდოეთი და შორეული აღმოსავლეთი. ეკლესიას ყველგან შეერყა გავლენა სამოქალაქო ცხოვრებაზე, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ჰქონდა და რომელიც მოხერხებულად აძლიერებდა მის ძალაუფლებას. მას თითო-თითოდ უზღუდავდნენ პრივილეგიებს და დაუნდობლად გამორიცხავდნენ საერო ცხოვრებიდან. ფაქტიურად აღარ არსებობს ე. წ. ეროვნული რელიგიები. სახელმწიფო ყველგან საერო გახდა, ის უზრუნველყოფს ნეიტრალიტეტს სხვადასხვა რწმენებს შორის და სხვადასხვა კულტების შემწყნარებელია.

იდეათა ეს მძლავრი იერიში რელიგიათა მონოლითურ კლდეზე მრავალგვაროვანია და გამოწვლილვით განხილვა შორს წაგვიყვანდა, მსურს მხოლოდ ის შეგახსენოთ, რაც საყოველთაოა, რათა არ გაგიჩ-

ნდეთ ცდუნება იმის ფიქრისა, რომ ჩვენი ქვეყნის არარელიგიურობის ევოლუცია ადგილობრივი მოვლენაა და მას არა აქვს გამოხმაურება სხვა ქვეყნებში; მას მჭიდრო კავშირი აქვს ყველა ხალხის მსგავს სულისკვეთებასთან.

> ის ჩერდება. მის წინაშე იყო კაცებით, ქალებით, ახალგაზრდებით სავსე დარბაზი; ახლა კი მის წინაშე აუდიტორია. ერთი მთლიანობა. მისი თვალები, ხმა, ფიქრი ახლა უშუალო კონტაქტშია ერთი ფიქრითა და გრძნობით აღვსილ ერთიან მასასთან და თვითონაც მასთან განუყოფელია, ისაა ამ ერთობის ცენტრი და მამოძრავებელი.

კათოლიკური ეკლესია თავის თავს ადამიანურ კანონებზე მაღლა აყენებდა, ცხოველ წინააღმდეგობას უწევდა და არ ემორჩილებოდა საზოგადოებრივ მოთხოვნებს. მაგრამ მაინც მოუწია კაპიტულირება და შემორჩენილი გავლენა სულიერ სფეროში – უკანასკნელ სიმაგრეში – გადაიტანა, რომლის საძირკველსაც, მიუხედავად რაღაც გარეგნული სიმტკიცისა, მაინც ხრავს მზარდი ტალღა... რადგან თეოდიცები უუნარონი არიან და ვეღარ აკმაყოფილებენ თანამედროვე ადამიანთა გონების მზარდ მოთხოვნებს. ეს ცხადი ხდება თაობათა ცვლის კვალდაკვალ. ყოველი ახალი აღმოჩენა კიდევ ერთი დასტური ხდება რელიგიის დოგმატური მტკიცებულებების წინააღმდეგ, რომელიც, პირიქით, უკვე კარგა ხანია, აღარავითარ გამამყარებელ დახმარებას აღარ იღებს თანამედროვე მეცნიერებისგან.

ამ წამლეკავი დინების პირისპირ მყოფ ეკლესიას გადარჩენის ერთადერთი შანსი რჩება, ევოლუცია, რათა მისი სწავლებანი მისაღები გახდეს თანამედროვე გონებისთვის. ეს მისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. თუ ის არ გარდაიქმნა, რამდენიმე თაობაში, უცილობლად, მისგან ყველა ერთხელ და სამუდამოდ მიიბრუნებს პირს.

მე სწორედ იმის ჩვენება მინდა თქვენთვის, თუ რაოდენ შეუძლებელია მისი დოგმების რაიმენაირი ცვლილება. მინდა გაჩვენოთ, რომ კათოლიკური ეკლესია განწირულია. რაც არ უნდა გააკეთოს, იგი ფატალურადაა განწირული დაშლისა და განადგურებისთვის; დღესვე მეტ-ნაკლები სიზუსტით შეიძლება ითქვას, თუ როდის მოხდება ეს!

ფილოსოფიური დოქტრინა, შესაძლოა, განვითარდეს; ის შედგება ადამიანთა აზრებისგან, რომელნიც თვითნებურად არიან დაჯგუფებულნი და ბუნებით დროებითნი არიან. რელიგია კი გამოცხადებებზეა დაფუძნებული, რომლის საწყისი პუნქტი არ ექვემდებარება შესწორე-

ბას, დასაბამიდანვე უნაკლოა, უცვლელია განმარტებებით, აბსოლუტურია, – ამგვარი რელიგია ვერ შეძლებს სახის შეცვლას ისე, რომ თვითნგრევა არ განიცადოს. რადგან ცვლილებათა საჭიროების აღიარება ნიშნავს იმის აღიარებას, რომ მისი წინარე ფორმა არ იყო სრულყოფილი, ესე იგი იმის აღიარებასაც, რომ მისი წყარო არ იყო ღმერთისგან გადმოცემული და რომ მისი დასაბამი არ იყო გამოცხადებები. ეს იმდენად ცხადია, რომ ეკლესია არ წყვეტს თავისი უცვლელობის, როგორც ღვთიური წარმომავლობის დადასტურების მტკიცებას; ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ, 1870 წლის კრებამ არ დააყოვნა განეცხადებინა: „რელიგიურ კანონთა დოქტრინა, განცხადებული ღმერთის მიერ, არ უნდა მიეცეს ადამიანთა განსჯას, ფილოსოფიური მსჯელობების მსგავსად; ის გადმოგვეცა როგორც ღვთის საბოძვარი".

მაშ, კათოლიციზმი არის თავისივე ძირეული პრინციპის ტყვე.

უფრო შორსაც წავიდეთ. კათოლიციზმისთვის კიდეც რომ ყოფილიყო შესაძლებელი რაღაც რეფორმების ოპერირება თავის დოქტრინებში ისე, რომ თავის თავთან წინააღმდეგობაში არ ჩავარდნილიყო, ეს მხოლოდ დროებით გადავადებას მოუტანდა.

და აი, რატომ:

რელიგიების განვითარების ისტორიაზე თვალის გადავლებაც კი ნათლად გვაჩვენებს, რომ ყველა რელიგია წარმოიშვა ადამიანის ცნობისწადილისგან შეეცნო სამყარო, მათი პირველადი არსი ერთი და იგივეა – ბუნების მოვლენების ახსნა, რომელიც ადამიანმა პრიმიტიულად და გულუბრყვილოდ შეძლო. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, პირველყოფილი რელიგიები არ არსებობდა; ადამიანთა მოდგმის ტიტინიდან დღემდე, ჩვენამდე, მხოლოდ ერთი ძაფი მოდის. აზროვნების, შემეცნების განვითარების ძაფი; დასაწყისში რუდიმენტული, შემდეგ ნელ-ნელა ვითარდება. და ის, რასაც ჩვენ რელიგიას ვუწოდებთ, არის კაცობრიობის შემეცნების ერთ-ერთი ეტაპი, დეიზმის ეტაპი; იგი მეცნიერული განვითარების უბრალო წუთია, ბრიყვულად შეჩერებული და ჩვენამდე განგრძობილი ზებუნებრივის შიშით; ერთი სიტყვით, ადამიანი იმ მისტიკური ჰიპოთეზების მსხვერპლი გახდა, რომელიც თვითონვე გამოიგონა გარესამყაროს შესაცნობად და ასახსნელად. ამ პრიმიტიული აზროვნების შემთხვევითმა გამყარებამ მრავალი საუკუნის განმავლობაში შეაფერხა მეცნიერების განვითარება და, მას შემდეგ, მეცნიერებისა და რელიგიის გზები სამუდამოდ გაიმიჯნა.

ახლა იმას მივუბრუნდები, რისი თქმაც მინდოდა. რელიგია ძველი დროის მეცნიერებაა, გამომშრალი, დოგმად ქცეული; იგი მხოლოდ გარსია დიდი ხნის წინ ვადაგასული სამეცნიერო ახსნა-განმარტებებისა. თავის პირველდაწყებით ფორმაში გაქვავებულმა დაკარგა სიცოცხლისუნარიანობა; ის მკვდარია. და თუ შეუძლებელს დავუშვებთ, რომ დღეს რელიგია შეიცვლება და შეეცდება სამეცნიერო პროგრესს აჰყვეს – როგორც ყველა მეცნიერებას ეგების – ... კეთილი, ვერ შეძლებს! მან ამდენი საუკუნე მხოლოდ იმიტომ გაძლო, რომ თავისი ტყუილებით ანანავებდა ადამიანთა შეშინებულ სულს, დაპირებებით ურბილებდა სიკვდილის შიშს და ფუყე ლაპარაკით და მტკიცებებით უდუნებდა ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას. იმ დღეს, როდესაც რელიგია უარს იტყვის ამ სიყალბეზე, ამ მოჩვენებითობაზე, რომელიც მას ხალხურ წარმოსახვებს ამსგავსებს, აღარაფერი დარჩება იმ შენობიდან, რომელსაც ზოგიერთთათვის კიდევ აქვს მყარად ცოცხალი შესახედაობა. რადგან ნამდვილი თანამედროვე ადამიანის გონებაში აღარ არსებობს იმ რელიგიური გრძნობების შესაბამისი გრძნობა, რომლითაც სპეკულირებდა რელიგია დღიდან მისი დაარსებისა. დიდი შეცდომა იქნებოდა ჩვენი წინაპრების მისტიკური წარმოდგენების გადმონაშთად მიგვეჩნია შემეცნების და ახსნის ადამიანთა თანდაყოლილი სურვილი, რომელიც წინმსწრებია ყოველგვარი რელიგიური გრძნობებისა და რომელმაც ჩვენი დროის სამეცნიერო განვითარებაში ჰპოვა სრული დაკმაყოფილება.

უეჭველად ჩანს, რომ ისეთი დოგმატური რელიგია, როგორიც კათოლიციზმია, უკანმოუხედავად განწირულია. მისი ფორმულების ფუნდამენტალური სიმყარე კიდევ უფრო მეტ უნდობლობას ინვევს იმ ადამიანებში, რომლებმაც საკუთარი გამოცდილებით იციან თავიანთი ცოდნის შეფარდებითობა იმ დოქტრინის მისაღებად, რომელიც თავს უცდომლად და ურყევად წარმოგვიდგენს.

სხვათა შორის, უბედურება, რომელიც მას ანგრევს, მარტო გარედან არ მოდის. იგი პროგრესულმა დამბლამ შეიპყრო და გამოუსადეგარი გახადა ჩვენ შორის ცხოვრებისთვის.

არა, დღევანდელი განვითარება, უკამათოდ, ორიენტირებულია უღმერთო საზოგადოებისკენ, სამყაროს წმინდად მეცნიერული კონცეფციისკენ!

ნამსვე შენიშნავს, რომ ეს უკანასკნელი ფრაზა რაღაც სხვაგვარ რეაქციას ინვევს. დარბაზის დაძაბული მზერა, უეცრად

კიდევ უფრო მახვილდება. კოლექტიური პრესის ქვეშ მოყოლილად გრძნობს თავს.

ხვდება. მის დესტრუქციულ აზრს ბოლომდე მიყოლილთ, რაღაც სასწაულის წყურვილი კლავთ, პატარა ბავშვებივით ფერიების ზღაპარს ელიან.

მას არაფერი მოუმზადებია, მაგრამ ემორჩილება მათ სურვილს. მისი მზერა გასხივოსნებული ხდება, ბაგეზე მეოცნებე ღიმილი დასთამაშებს.

როგორი იქნება ეს ურელიგიო მომავალი? რომელ ჩვენგანს შეუძლია მისი განჭვრეტა და აღწერა? დარწმუნებით მხოლოდ ერთი შეგვიძლია ვთქვათ, ის არანაირ დონეზე არ იქნება მეცნიერული რელიგია! განუწყვეტლივ იმეორებენ, რომ მეცნიერები არიან ახალი კულტის ქურუმები და რომ ისინი ერთ რელიგიას მეორეთი ცვლიან... შესაძლოა, ზოგიერთ ჩვენგანს, დღევანდელ არეულ გარემოში, იმ მეცნიერებაში, რომელსაც ემსახურებიან, შემოაქვს მემკვიდრეობით მიღებული და ახლა უქმად დარჩენილი რელიგიურობის ნაშთი. ნუ მივანიჭებთ ამას დიდ მნიშვნელობას. რეალურად, აღარაა ადგილი კერპებისთვის, მეცნიერება ვერ იქნება კერპი; რადგან ინტელექტი უარმყოფელია, კრიტიკულია, და ეს უნდა გაითვალისწინონ ყველაზე ეგზალტირებული წარმოსახვის ადამიანებმა.

ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ დაბნეულობაში მყოფი გულები და გონებანი არ დაახანებენ და შემოგვიერთდებიან; ეს მოხდება, ერთი მხრივ, სოციალური თანადგომის, და, მეორე მხრივ, სამეცნიერო ცოდნის საფუძველზე. წინასწარ ვხედავ ინდივიდისა და მისი გარემოსთან პირადი ურთიერთობის ანალიზზე დაფუძნებული ახალი მორალური კანონების შემუშავების შესაძლებლობას. გული იქ იპოვის თავის ადგილს, რადგან ამგვარი ორიენტაცია სრული განვითარების საშუალებას მისცემს ალტრუიზმს. ბუნების ინდიფერენტული სახის პირისპირ, რომელიც მიუწვდომელია კაცის გონებისთვის, ადამიანებს გაერთიანების აუცილებელი სურვილი უჩნდებათ; და ამ აუცილებლობიდან იშვება მორალური ვალდებულებანი. იოლად წარმომიდგენია, რომ ურთიერთდამოკიდებულებებით რეგულირებულ ამ ვალდებულებებს, გარკვეული ვადით, შეუძლიათ სოციალური წონასწორობის დამყარება.

ბუნდოვანი წინასწარმეტყველებანი, წარმოსახვის უბრალო თამაშები... ვიცი, კარგად ვიცი! *(მომღიმარი)* მაგრამ ახალ დროში აღარ არიან წინასწარმეტყველები... ერთი რამ უეჭველია, მომავალი ერთიანობის

საფუძველი არ იქნება მეტაფიზიკური. ახლა, ჩვენ ყველაფრის საექსპერიმენტო ბაზა გვჭირდება. რელიგიებს, რომელნიც ამტკიცებენ რომ შეიცნეს სამყაროს არსი, ჩაანაცვლებს პოზიტიური და ნეიტრალური ფილოსოფია, რომლის მუდმივი წყარო სამეცნიერო აღმოჩენები იქნება; ფილოსოფია, რომელიც არსებითად მობილური, მოძრავი და ადამიანის აზროვნების განვითარებაზე მორგებული იქნება. ამდენად, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ იგი არ შეწყვეტს თავისი ჰორიზონტის გაფართოებას და გადალახავს იმ შეზღუდულ შეხედულებებს, რომლებიც დღეს გვიზღუდავენ თვალსაწიერს. შეამჩნევდით, როგორ არასრულყოფილად და წვრილმანად მოჩანს სენტიმენტალური მატერიალიზმი, რომელიც ასე პოპულარული გახლდათ ამ ორმოცდაათი წლის წინ! ჩვენი მატერიალიზმი უფრო მეცნიერულია, იგი ამაღლდა იმ წარმოდგენებზე, რაც ჩვენს მამებს აკმაყოფილებდათ; შემდეგი მატერიალიზმი კიდევ უფრო დაშორდება მას. აზროვნება უცნობის შეცნობისკენ მიილტვის; ვფიქრობ, რომ უკვე გვაქვს რამდენიმე კარგი მეთოდი... მაგრამ ჯერ ძალიან შორს ვართ იმის ამოცნობისგან, თუ რეალობის რა ახალ ასპექტებამდე მიგვიყვანს ჩვენი სწრაფვა!

მოკლე პაუზა.

გამომეტყველება ეცვლება. მზერა კვლავ ბუნებრივ სიმტკიცეს იღებს. ხმა კვლავ უკმეხი უხდება.

თავს ხრის და მის წინ დადებულ ფურცლებს ეხება.

– გამიტაცა ამ ჰიპოთეტურმა ხილვებმა... დრო გადის და არ მინდა ისე დაგშორდეთ, რომ ჩემი საუბრის მეორე პუნქტს არ შევეხო:

რა უნდა მოიმოქმედოს თითოეულმა ჩვენგანმა ამ იმედების ასე თუ ისე სწრაფი განხორციელებისთვის?

უზარმაზარი საქმეა გასაკეთებელი! რამდენადაც უსარგებლოდ უნდა გვეჩვენებოდეს დღევანდელ დღეს ადამიანის როლი, მას მერე, რაც ცოტათი შევიჭყიტეთ მომავალში, ის მაინც ძალიან დიდია, არსობრივია და ჩვენ უნდა შევძლოთ ამის მტკიცედ გათვალისწინება.

ჩვენ ერთ-ერთი რგოლი ვართ თაობათა იმ წყებაში, რომელსაც ტვირთად დააწვა სამეცნიერო ევოლუციის მოხდენის საზრუნავი; ჩვენ ერთი ტრაგიკული წუთი ვართ წარსულის მტკივნეული აგონიისა.

მეგობრებო, თუ წარმოიდგენთ, როგორი მორალური ტანჯვის უფსკრული რგებია წილად თითოეულ თაობას, ჩვენსავით რომ გაგლეჯილა წარსულისა და მომავლის წინააღმდეგობათა შორის, თუ გაიაზრებთ, რომ ჩვენ მიერ გაკეთებულ არჩევანს შეუძლია ათასობით

ადამიანის ტანჯვის ან შემსუბუქება ან განგრძობა, მაშინ მიხვდებით, რა მძიმე პასუხისმგებლობა გვანევს კისერზე!

ჩვენ მოქმედების ორი გზა გვაქვს – ჩვენი, პირადი მაგალითის ჩვენება და შვილების აღზრდა...

მოდით, თუ გსურთ ერთად კრიტიკულად გადავავლოთ თვალი ჩვენს ქმედებებს.

რამდენი ჩვენგანი, ვისი მრწამსიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება რელიგიურ შეხედულებებს, მაინც იტანს და ემორჩილება რელიგიის ჩარევას მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებში, ქორწინებიდან დაწყებული და სიკვდილით დამთავრებული?!

(მოღუშული) დიახ, ეს კარგად ვიცი... – შესაძლოა, თქვენზე უკეთაც! – ყველაფერი, რაც ამ სისუსტის გასამართლებლად შეიძლება ითქვას... და რა შავბნელი, საშინელი ტანჯვა უმძიმებს სულს თავისუფალ ადამიანს, რომელიც იძულებულია დაემორჩილოს რელიგიურ რიტუალებს... რა გულისგლეჯა, რა სიძულვილი, რა ჩუმი ბრძოლაა ადამიანის სინდისი, რომელსაც უნდა, რომ მტკიცე იყოს, და ყოვლისმომცველ, გამთქვეფ ძალებს შორის, როგორიცაა სიყვარული და სხვათა პატივისცემა და ანგარიშის გაწევა!... მაგრამ საჭირო არაა თავის მოტყუება. ამგვარ დათმობასა და მორჩილებაში ისეთი ამორალობაა, რომ ვერაფერი, ვერაფერი გაამართლებს! დღევანდელ არეულ დროებაში არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე საკუთარი რწმენის სახალხოდ განცხადება, არა მარტო მისი აღმსარებლის პირადი ღირსების გადასარჩენად, არამედ იმ დიდი გავლენის გამო, რაც მას შესაძლოა ჰქონდეს მერყეობაში მყოფ სხვა ადამიანებზე. პატიოსნება საკუთარი თავის მიმართ, ისევე, როგორც მათ მიმართ, ვინც ჩვენს ცხოვრებას შემოსცქერის, აი, ჩვენი დროის ყველაზე უთუო და ურყევი მორალური წესი. და ვინც თავის სინდისს ღალატობს, ვინც არათანმიმდევრული ქცევით ამუხრუჭებს ევოლუციას თავის წრეში, ათასჯერ უფრო დიდ დანაშაულს სჩადის თავის გარშემომყოფთა მიმართ, ვიდრე მათთვის სულიერი ტკივილის მიყენება იქნებოდა!

კიდევ მეტად უპატიებელ შეცდომას შვილების აღზრდისას სჩადიან.

ბავშვის გონება დაუცველია. ეჭვის ცნება მხოლოდ ხანგრძლივი ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგია; ის შეცდომების გამოცდილებას ეყრდნობა, საკუთარი თავის, გრძნობების ეჭვის თვალით შეხედვის და სხვათა მიუნდობლობის გამოცდილებას. ბავშვი მიმნდო-

ბია, როგორც ყველა პრიმიტიული არსება; რეალობის გრძნობა უცხოა მისთვის და სასნაულიც არ აოცებს.

მღვდელი, რომელსაც თქვენ მიანდობთ ამ ხელუხლებ გონებას, მასზე იოლად დატოვებს წარუშლელ კვალს. ის მას ჯერ ღმერთის თვითნებურ შიშს შთააგონებს, შემდეგ გააცნობს თავისი კულტის საიდუმლოებას, როგორც განცხადებულ ჭეშმარიტებებს, რომელიც მიუწვდომელია და უნდა იყოს კიდეც მიუწვდომელი ადამიანის გონებისთვის. მღვდელი უფრო იოლად ადასტურებს, ვიდრე ამტკიცებს; ბავშვი უფრო იოლად იჯერებს, ვიდრე განსჯის. სრული თანხმობაა... განსჯა ეწინააღმდეგება რწმენას; რწმენით გამოძერწილი გონება დიდხანს, თუ სამუდამოდ არა, კრიტიკული აზროვნებისთვის გამოუსადეგარი რჩება.

და ბავშვის დაუცველი გონება, რომელიც ადრეული ასაკიდანვე რელიგიის გავლენას მიანდეთ?

> ბარუა წამოდგება აღშფოთებით ატანილი, პირადი სინდისის ქენჯნაც არ ასვენებს.
>
> ის მოქმედების კაცია. ყოველდღიურმა პოლემიკამ თავის ძლევამოსილებაში დაარწმუნა; მას უყვარს ბრძოლა. მისი მისწრაფება იმდენად ძლიერია, რომ ხანდახან წინასწარვე, გამოჩენამდე, ამსხვრევს წინააღმდეგობებს; გადამლეკავი ძალა...

კმარა! ეკლესია გვწყევლის, ანათემას გადასცემს ჩვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს; და მას ვანდობთ ჩვენს შვილებს? რით აიხსნება ამგვარი შეცდომა? იქნებ იდუმალად გულში იმედი გვიჭიატებს, რომ ისინი ადვილად შეძლებენ ამ ცრურწმენებისგან გათავისუფლებას? მაშ, როგორ ავხსნათ ეს პირმოთნეობა?

და კიდევ, რა დიდი და უხეში შეცდომაა იმის ფიქრი, რომ მომწიფებული გონება იოლად შეძლებს ამ ბანგისგან თავის დახსნას! არ გახსოვთ, როგორი მტკიცეა ბავშვის რწმენა?... ვაგლახ, ადამიანი, რომლის სულზეც რელიგიამ ბეჭედი ბავშვობიდანვე დაასვა, ერთი ხელის აქნევით ვერ გათავისუფლდება მისგან, როგორც ძველი, გაცვეთილი, დავიწროებული ტანსაცმლისგან! თვრამეტსაუკუნოვანი ნებაყოფლობითი მონობა პოხიერ ნიადაგად ხვდება რელიგიურ გრძნობას ბავშვებში. სხვა გრძნობებთან გადაწნული, იგი აყალიბებს ბავშვის მორალურ და ინტელექტუალურ სახეს. რელიგიისგან გათიშვა, როდესაც ის შესაძლებელია, არის ხანგრძლივი, არათანმიმდევრული, ხშირად არასრული და ყოველთვის მტკივნეული პროცესი. და რამდენ

ადამიანს აქვს, დღევანდელი ცხოვრების პირობებში, მოცალეობა და გაბედულება თავისი პიროვნების ძირფესვიანად შეცვლისა?

მე აქამდე მხოლოდ საკითხის ერთ მხარეს შევეხე. განვიხილე რელიგიური აღზრდის საფრთხე მხოლოდ ინდივიდთან მიმართებაში. მაგრამ ის პირდაპირ ემუქრება საზოგადოებას. ჩვენს დროში, როდესაც რელიგიური რწმენა ყველგან შერყეულია, ძალიან დიდი უბედურების მომტანი იქნება იმის დაშვება და უყურადღებოდ დატოვება, რომ ბავშვთა სულებში მორალური კანონები და რელიგიური დოგმატები ერთმანეთს შერწყმულნი დარჩნენ. რადგან თუ ბავშვები შეეჩვევიან საზოგადოებრივი ცხოვრების წესების განხილვას მხოლოდ როგორც ღვთიური წესრიგისას, იმ სავარაუდო დღეს, როდესაც მათ სულში ღვთის რწმენა შეირყევა, ყველაფერი ერთბაშად ჩამოენგრევათ და იმ მორალურ მიმართულებასაც დაკარგავენ, რომელსაც მისდევდნენ.

აი, მოკლედ, რა რისკის წინაშე ვდგებით, როდესაც დაუდევარი ან უნებისყოფო მამებივით ვიქცევით. და, რა ხმამაღალი პრინციპებით შეგვიძლია შევნიღბოთ ჩვენი აპათია?

გისმენთ... ჩვენ სულგრძელად გამოვაცხადებთ ნეიტრალიტეტს!

აჰ! ვიცი, ძნელია ჩვენი ვალის აღსრულება, მაგრამ სიტყვებით თავს ნუ მოვიტყუებთ... ჩვენი მოწინააღმდეგენი ხშირად გვსაყვედურობენ ნეიტრალიტეტის დარღვევას, – განა სნავლება შესაძლოა იყოს ნეიტრალური? – ეს მხოლოდ ჩვენთვის ხელის შეშლაა. ნეიტრალიტეტი, დღეს, ეკლესიის გაცხარებული პროპაგანდის წინაშე ქედის მოხრას ნიშნავს.

კეთილი, ეს ყალბი მდგომარეობა უკვე დიდი ხანია გრძელდება. ალალად უნდა ვაღიაროთ ბრძოლის გარდაუვალობა, ჩვენი დროის უდიდესი ბრძოლისა; და მალულად ბრძოლის მაგიერ, აშკარად ბრძოლაში უნდა ჩავერთოთ, თანასწორი იარაღით. მივცეთ თავისუფლება მღვდლებს გახსნან სკოლები და ასწავლონ იქ, რომ ღმერთმა არაფრისგან შვიდ დღეში შექმნა სამყარო; რომ იესო-ქრისტე არის ძე ღვთისა და ქალწულისა; რომ მისი ცხედარი თვითონვე აღდგა და თავი დაალწია საფლავს, დასაფლავებიდან სამი დღის შემდეგ, რომ ის ცად ამაღლდა და მას შემდეგ მჯდომარეა მარჯვნივ ღვთისა! მაგრამ ჩვენც ვიყოთ თავისუფალნი, ჩვენც გავხსნათ სკოლები, სადაც უფლება გვექნება, განსჯასა და მეცნიერებაზე დაყრდნობით დავამტკიცოთ, თუ როგორ უსუსურ ცრურწმენებზეა დღემდე დაყრდნობილი კათოლიკური სარწმუნოება! როდესაც ჭეშმარიტება და სიცრუე თავისუფალია, სიცრუე

ვერ იქნება გამარჯვებული! დიახ, თავისუფლება, მაგრამ არა მარტო კატეხიზმოს აბატების თავისუფლება, არამედ გონის თავისუფლება და ბავშვების თავისუფლება!

ის ესტრადის კიდესთან მიდის, თავაწეული, თვალანთებული, ხელგაწვდილი.

აჰ, მეგობრებო, მინდა ამ მოწოდებით დავამთავრო – თავისუფლება ბავშვებს!

მინდა შევძრა თქვენი სინდისი, მინდა თქვენს მზერაში ახალი გადაწყვეტილების ცეცხლი ვიხილო!

გავიხსენოთ, რამდენი ტანჯვა გადავიტანეთ, რომ ჩვენში ძველი ადამიანი აღმოგვეფხვრა... გავიხსენოთ ის ხანძარი, ჩვენ რომ გვანადგურებდა... გავიხსენოთ ჩვენი ღამეული შიში, ჩვენი ამბოხი, ჩვენი უიმედო აღსარებანი... გავიხსენოთ ჩვენი კაეშანი და ჩვენი მუხლმოდრეკით ყოფნა...

შევიბრალოთ ჩვენი შვილები!

III

იმავე ნელს, რამდენიმე თვის შემდეგ.

მადლენის მოედანზე ბარუა ეტლს უხმობს.

ბარუა: „მთესველში", უნივერსიტეტის ქუჩაზე.

ჯდება. კარს აჯახუნებს.

ეტლი არ იძვრის. მათრახის დარტყმა; ცხენი ტლინკებს ჰყრის.

ბარუა: წავედით! მეჩქარება...

ისევ მათრახის დარტყმა. ახალგაზრდა, ოჩანი ცხენი ყოყმანობს, ყალყზე დგება, დრუნჩს აიშვერს და ისარივით გავარდება.

ჩაიქროლებს რუაიალის ქუჩაზე, ელვის სისწრაფით კვეთს კონკორდის მოედანს და სენ-ჟერმენის ბულვარზე გაჭენდება.

დღის ოთხი საათია, მოძრაობა ინტენსიური.

დამჯდარი, ნელში მოხრილი მეეტლე ვეღარ იმორჩილებს პირუტყვს და დიდი გაჭირვებით მართავს ეტლს.

ღრჭიალით მომავალი ტრამვაი გზას კეტავს.

მის გადასასწრებად მეეტლე მარცხნივ უხვევს, ცარიელი რელსებისკენ. ვერ ხედავს მეორე მხრიდან მომავალ ტრამვაის...

სვლის შეჩერება შეუძლებელია... ორ ტრამვაის შორის გაძრომაც შეუძლებელია...

მკვდარივით გაფითრებული ბარუა უკან გადავარდება, ბალიშებზე. ამ ყუთში გამოკეტილს თავისი უძლურების დანახვა და საფრთხის გარდაუვალობა მეხივით ეცემა.

ბუტბუტებს: ღვთისმშობელო ქალწულო, მიმადლებულო მარიამ...

დამსხვრეული მინების ჯოჯოხეთური ჯახი...

სასიკვდილო შოკი.

სიბნელე.

მრავალი დღის შემდეგ.

ბარუასთან, საღამოხანს.

ფანჯარასთან მიმჯდარი ვოლდშმუტი გაუნძრევლად კითხულობს.

ბარუა საწოლზე წევს, ორივე ფეხი თეძოებამდე თაბაშირში აქვს ჩასმული.

სულ რამდენიმე საათის წინ მოეგო სრულად გონს; და მეათეჯერ მაინც ცდილობს აღიდგინოს თავს გადამხდარი ამბავი:

– იყო ადგილი, იმ მეორეს, მარჯვენას, რომ არ აეჩქარებინა... ვიგრძენი კი სიკვდილის შეხება? არ ვიცი... შემეშინდა, საშინლად შემეშინდა... და მერე შეჩერებული მუხრუჭების ღრჭიალი...

უნებლიედ ეღიმება. სიკვდილსა და მას შორის მთელი მისი მდუღარე ცხოვრებაა, ხელახლა შეძენილი!

– უცნაურია, სიკვდილის ეს შიში... რატომ გვეშინია ყოველგვარი ფიქრის, გრძნობის, ტანჯვის სრული გაქრობისა?

იქნებ მხოლოდ უცნობი, იდუმალი გვაშინებს? სიკვდილის შეგრძნება ჩვენთვის, რასაკვირველია, სრულიად ახალია. კაციშვილს არა აქვს მისი მცირედი გამოცდილებაც კი...

და მაინც მეცნიერი კაცი, რომელსაც ფიქრისთვის რამდენიმე წამი კიდევ დარჩენია, დიდი გაჭირვების გარეშე უნდა დამორჩილდეს. როდესაც კარგად გაქვს გააზრებული, რომ

ცხოვრება მხოლოდ ტრანსფორმაციების თანმიმდევრულობაა, რატომღა უნდა შეგეშინდეს ამ ცვლილებისა? ის არც პირველია... და, აშკარად, არც უკანასკნელი...

და კიდევ, როდესაც შესძელი ამქვეყნად შენი არსებობის გამოყენება, როდესაც იბრძოლე, როდესაც შენ შემდეგ რაღაცას ტოვებ, რაღა უნდა ინანო?

მე, მტკიცედ მწამს, რომ ძალიან მშვიდად წავალ...

უეცრად სახე მოებრიცება. შეძრწუნებული, განადგურებულია. გაახსენდა ის ტრაგიკული წუთი და ის სიტყვები, რომელიც მის ბაგეს დასცდა: „ღვთისმშობელო ქალწულო, მიმადლებულო მარიამ..."

ერთი საათი გადის.

ვოლდშუტი გაუნძრევლად კითხულობს.

პასკალს შემოაქვს ლამპა; ხურავს დარაბებს და თავის პატრონს უახლოვდება; მისი ფართო, ბრტყელი შვეიცარული სახე, გაპარსული წვერით, ფართო, ნათელი თვალებით, სასიამოვნო სანახავია. მაგრამ ბარუა მას ვერ ამჩნევს; მზერა გაშტერებული აქვს; ტვინი მოუწესრიგებლად მუშაობს; მისი ფიქრი არაჩვეულებრივად ნათელი და დანმენდილი, როგორც მთების ჰაერი ჭექა-ქუხილის შემდეგ.

ბოლოს გონების დაძაბვით შეჭმუხნული სახე ნელ-ნელა უმშვიდდება.

ბარუა: ვოლდშუტ...

ვოლდშუტი *(წამოხტება)*: გტკივათ?

ბარუა *(ნაწყვეტ-ნაწყვეტად)*: არა, მისმინეთ, აქ ჩამოჯექით!

ვოლდშუტი *(მაჯას უსინჯავს)*: თქვენ სიცხე გაქვთ... მშვიდად ინექით, არ ილაპარაკოთ.

ბარუა *(ხელს ითავისუფლებს)*: დაჯექით, დაჯექით და მისმინეთ! *(გაბრაზებული)* არა, არა, ლაპარაკი მინდა! ყველაფერი არ მახსოვდა... ყველაზე მთავარი დამავიწყდა...

ვოლდშუტ! იმ წამს, როდესაც მივხვდი, რომ ვიღუპებოდი, იცით რა ვქენი?

ღვთისმშობლის ლოცვა წარმოვთქვი!

ვოლდშუტი *(შემრიგებლური)*: ნულარ იფიქრებთ ამაზე... უნდა დაისვენოთ...

ბარუა: არა, არ ვბოდავ. სერიოზულად გელაპარაკებით, მინდა მომისმინოთ. მანამდე არ დავწყნარდები, სანამ იმას არ გავაკეთებ, რაც გასაკეთებელი მაქვს...

ვოლდშმუტი ჯდება.

ბარუა *(თვალანთებული, ღაწვებაფაკლული)*: იმ დროს, მე, ჟან ბარუა, სხვაზე აღარაფერზე ვფიქრობდი, გიჟურმა იმედმა ამიტაცა და მთელი ჩემი არსებით ვეკედრებოდი, შევთხოვდი წმინდა ქალწულს სასწაული მოეხდინა!... *(ძალდატანებით იცინის.)* აჰ, ჩემო ძვირფასო, ამის შემდეგ, რითლა უნდა ვიამაყო!

(ის წამოწევს ბიუსტს, რომელიც არა აქვს თაბაშირში.) და, გესმით, ახლა აზრი ამეკვიატა, რომ ეს შეიძლება განმეორდეს... ამ საღამოს, ამ ღამეს, ახლა აღარაფერი ვიცი, რა ვიცი, რას ვიზამ?... მინდა რაღაც დავწერო, წინასწარ გავაპროტესტო. მანამდე ვერ დავწყნარდები.

ვოლდშმუტი: კარგი, ხვალ, გპირდებით. ხვალ მიკარნახეთ...

ბარუა *(შეუვალი სიმკაცრით)*: ახლავე, ვოლდშმუტ, ამ წამსვე, გესმით! დღესვე, მე თვითონ მინდა ყველაფრის დაწერა! ვერ დავიძინებ... *(შუბლზე ხელს ისვამს.)* სხვათა შორის, ყველაფერი აქაა, მზადაა, არ დავიღლები... ყველაზე ძნელი უკვე გაკეთებულია...

ვოლდშმუტი უთმობს. ბარუას ორ ბალიშზე წამოაჯენს, თავის სტილოგრაფსა და ფურცელს აძლევს. შემდეგ სანოლთან რჩება ფეხზე მდგარი.

ბარუა წერს, ყოყმანის გარეშე, თვალაუწევლად, სწორი და მტკიცე ხელწერით:

– ეს ჩემი ანდერძია.

იმას, რასაც დღეს ვწერ ორმოცს მიტანებული, სრულ ფიზიკურ და ინტელექტუალურ ფორმაში მყოფი, იმედია, მეტი მნიშვნელობა უნდა ექნეს, ვიდრე იმას, რასაც სიცოცხლის მინურულს ვიფიქრებ ან დავწერ, როდესაც ფიზიკურად და მორალურად დაქვეითებული ვიქნები ასაკის თუ ავადმყოფობის გამო. ჩემთვის ყველაზე გულშემზარავი იმ მოხუცის ქცევაა, მთელი თავის სიცოცხლე იდეისთვის ბრძოლას რომ შესწირა, და საბოლოო დაუძლურების ჟამს გმობს იმას, რაც მისი ცხოვრების აზრს წარმოადგენდა და საბრალობლად უარყოფს თავის წარსულს.

იმის გაფიქრებისას, რომ ჩემი ცხოვრების მთელი ძალისხმევა შესაძლოა მსგავსი ღალატით დამთავრდეს, იმის გაფიქრებისას, თუ

როგორი სარგებელი უნდა ნახონ ამ ბოროტი გამარჯვებისგან მათ, ვისი სიცრუისა და ადამიანის პიროვნულ თავისუფლებაში ჩარევის წინააღმდეგ ასე გაცხარებით ვიბრძოდი, მთელი ჩემი არსება ჯანყდება და წინასწარ მთელი ველური ძალით აპროტესტებს, – იმ ენერგიით, რომელიც მაშინ მქონდა, როდესაც ცოცხალი კაცი ვიყავი, – იდეალების უსაფუძვლო უარყოფას, ან თუნდაც ლოცვას, რომელიც შეიძლება წამოცდეს სიკვდილის წინ იმ ნარჩენს ადამიანისას, რომელიც შესაძლოა მე გავხდე. მე დავიმსახურე ფეხზე მდგარი მოვკვდე ისე, როგორც ვცხოვრობდი, დაუმარცხებლად მოვკვდე, ფუჭი იმედების გარეშე, არ მეშინოდეს საყოველთაო და მარადიული მორევის ნელ პროცესში დაბრუნებისა.

არ მწამს ადამიანის სულის სუბსტანციურობა და უკვდავება.

არ მწამს, რომ მატერია და სული ერთმანეთს ოპოზიციაში უდგანან. სული არის ფსიქიკური ფენომენების ჯამი, როგორც სხეული ორგანული ფენომენებისა. სული არის სიცოცხლის შემთხვევითი გამოვლინება, ცოცხალი მატერიის თვისება; მე ვერ ვხედავ ვერავითარ საფუძველს, რომ უნივერსალური ენერგია, რომელიც წარმოშობს მოძრაობას, სითბოსა და სინათლეს, ვერ წარმოშობდეს ფიქრსაც. ფიზიოლოგიური და ფსიქიკური ფუნქციები ერთსულოვანია; და ფიქრი ორგანული სიცოცხლის გამოვლინებაა, ისევე, როგორც ნერვული სისტემის სხვა ფუნქციები. მე არასდროს განმიხილავს ფიქრი მატერიის თვინიერ, ცოცხალი სხეულის თვინიერ; მე არასდროს შემხვედრია არსებობა თვინიერ ცოცხალი სუბსტანციის არსებობისა.

რაც არ უნდა ვუწოდოთ მას, მატერია თუ სიცოცხლე, მე იგი მარადიული მგონია. სიცოცხლე ყოველთვის იყო და მარად წარმოშობს სიცოცხლეს. მაგრამ ვიცი, რომ ჩემი პიროვნება მხოლოდ მატერიალური ნანილაკების თავმოყრაა, რომელთა დაშლასაც ჩემი სრული სიკვდილი მოჰყვება.

მე მწამს უნივერსალური დეტერმინიზმისა და რომ ჩვენ აბსოლუტურად ვემორჩილებით მას.

ყველაფერი ვითარდება, ყველაფერი მოქმედებს! ქვაც, ადამიანიც. არ არსებობს ინერტული მატერია. მაშ, მე არ მაქვს არავითარი საფუძველი უფრო მეტი თავისუფლება მივანიჭო ჩემს მოქმედებებს, ვიდრე რომელიმე კრისტალის ნელ გარდაქმნას.

ჩემი სიცოცხლე შედეგია ჩემი სხეულის და იმ გარემოს უწყვეტი

ბრძოლისა, რომელშიც ის არის. მაშ, მე ვმოქმედებ, ყოველ წამს, ჩემი საკუთარი რეაქციებით, ესე იგი, ვმოქმედებ იმ მოსაზრებებით, რომლებიც მხოლოდ მე მეკუთვნიან, რაც სხვებს უჩენს ილუზიას, რომ მე თავისუფალი ვარ ჩემს ქმედებებში. მაგრამ მე არასდროს არ ვმოქმედებ თავისუფლად. არც ერთი ჩემი გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს იმისგან განსხვავებული, რაც არის. თავისუფალი ნება სასნაულის მოხდენის თანაფარდი იქნებოდა, მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობის შეცვლის თანაფარდი. ამგვარი მეტაფიზიკური კონცეფცია ადასტურებს, თუ რაოდენ უმეცარნი ვიყავით და ახლაც ვართ იმ კანონებისა, რომელიც ჩვენს სიცოცხლეს წარმართავს.

მე ვუარყოფ, რომ ადამიანს რამენაირად შეუძლია თავის ბედზე გავლენის მოხდენა.

კეთილი და ბოროტი თვითნებური გამიჯვნაა. ვაღიარებ ამ გამიჯვნის პრაქტიკულ სარგებლიანობას, სანამ პასუხისმგებლობის ცნება, რომელიც არაფერ რეალურს არ ეყრდნობა, ჩვენი საზოგადოებრივი წესრიგის აუცილებელ პირობად დარჩება.

მჯერა, რომ სიცოცხლის ჯერ კიდევ შეუსწავლელი მოვლენები, ერთ მშვენიერ დღეს, შესწავლილი იქნება.

რაც შეეხება ამ მოვლენათა პირველმიზეზებს, ვფიქრობ, ისინი ჩვენი თვალთახედვის არეს გარეთ არიან და მიუწვდომელნი ჩვენი კვლევებისთვის. ადამიანი შეზღუდულია სივრცესა და დროში, ამდენად, მას არ შეუძლია მარადიულისა და აბსოლუტურის შეცნობა; მან გამოიგონა, გამოჭედა სიტყვები, რათა ის გამოეხატა, რაც მას არ ჰგავს, მაგრამ ამან საქმე წინ ვერ წასწია. ის თავისი სამეტყველო ენის ტყვე გახდა; ეს სიტყვები მხოლოდ მის წარმოსახვაში არსებობენ და არავითარ კონკრეტულ რეალობას არ შეესაბამებიან, თავად მთელის ნაწილია და, ბუნებრივია, მთელი მისთვის მიუწვდომელია.

ამ გარდაუვალობის წინააღმდეგ ამბოხი ამ სამყაროს ცხოვრების პირობების წინააღმდეგ აჯანყებას ნიშნავს.

აი, რატომ მიმაჩნია უნაყოფოდ შეუცნობელის ასახსნელად იმგვარი ჰიპოთეზების მოგონება, რომელნიც არავითარ ექსპერიმენტალურ საფუძველს არ ეყრდნობა. დროა, განვიკურნოთ ჩვენი მეტაფიზიკური ბოდვისაგან და საბოლოოდ ვთქვათ უარი ისეთი კითხვების დასმაზე, რომელთაც პასუხი არა აქვთ და რომელთა დასმასაც ჩვენი მეტაფიზიკური მემკვიდრეობა კიდევ გვიბიძგებს ხოლმე.

ადამიანს თვალწინ გადაშლილი აქვს დაკვირვების პრაქტიკუ-

ლად უსაზღვრო ველი. ნელ-ნელა მეცნიერება ისე შორს გადასწევს დაუდასტურებლის მიჯნებს, რომ თუ ადამიანი გაიგებს და გამოიყენებს ყველაფერ რეალურს, რაც მისთვის ხელმისაწვდომია, აღარ დარჩება დრო იმაზე საწუწუნოდ, რისი ჩაწვდომაც არ შეუძლია.

დარწმუნებული ვარ, რომ მეცნიერება, ასწავლის რა ადამიანებს იმის იგნორირებას, რაც შეუცნობელია, მიანიჭებს მათ გონებას ისეთ განონასწორებულობას, რომლის მსგავსიც არც ერთ რელიგიას არასდროს არ შეუთავაზებია.

ჟან ბარუა

დამძიმებული ხელით ნელა გამოჰყავს თავისი ხელმოწერა.

შემდეგ მისი დაძაბული ნებისყოფა ეშვება.

აჭარხლებული პირისახე უეცრად მკვდრისფერი უხდება. ვოლდშმუტის ხელებზე გადავარდება.

ფურცლები მიმოიფანტებიან თეთრეულზე.

ვოლდშმუტი შეშინებული ხმით ეძახის პასკალს. მაგრამ ბარუა წამსვე ახელს თვალს და მათ უღიმის.

რამდენიმე წამის შემდეგ თანაბარი სუნთქვა ღრმა და მშვიდი ძილის მაუწყებელია.

მესამე ნაწილი

ბზარი

I

ხუთი წლის შემდეგ.
პარიზში.

დილა.

ბარუა ამთავრებს საუზმეს.

პასკალი: ვიღაც აბატია, თქვენი ნახვა სურს, ბატონო.

ბარუა: აბატი?

პასკალი: სახელის თქმა არ ისურვა.

ბარუა შედის კაბინეტში. ხნიერი მღვდელი დგას ზურგით სინათლისკენ – აბატი ჟოზიე.

აბატი: ჩემი სახელი არ ვთქვი, დარწმუნებული არ ვიყავი, რომ მიმიღებდით... *(ბარუას გახარებულ მზერას აწყდება და თავს ხრის.)* გამარჯობა, ჟან.

უკვე ათი წელია, არავის მეგობრული ხმით არ უთქვამს: „ჟან“... თვალები ცრემლით ევსება; ხელს უწვდის. აბატი ართმევს ხელს.

ერთ წამს ერთმანეთის პირისპირ დგანან, სიტყვის უთქმელად.

აბატი ჟოზიე – სამოციოდე წლის. გამხდარი, მაღალი სხე-

ული, ისევ ძველებურად მოძრავი. სახე კი მოხუცის. მთლად გაჭაღარავებული თმა; გაყვითლებული კანი; ტუჩის კუთხეებთან ორი ღრმა ნაოჭი, ჩაცვენილი, ხორცისგან დაცლილი ლოყები.

ბარუა შინაურულად მიუწევს სკამს. აბატი თავშეკავებულად ჯდება.

ბარუაც შეიცვალა. გახდა, აწეწილი თმა შუბლზე სცემს; მზერა უფრო ჩაფიქრებული აქვს; შავი შეჭაღარავებული ულვაში ახლა ფარავს მეამბოხე ბაგეს.

აბატი: მეგობარივით არ მოვსულვარ, ამას, ალბათ, კარგად ხვდებით... მოვედი, რადგან მთხოვეს და სხვა ვერავინ შეასრულებდა ამ მისიას... ალბათ, ხვდებით, რატომ მოვედი?

ბარუა თავს გააქნევს; მისი ალალმართლობა თვალსაჩინოა.

აბატი გაღიზიანებული მოვიდა, მაგრამ მისი გულწრფელი მზერის შეხედვისას, უფრო მიტევებისკენ იხრება. უპასუხისმგებლოა... მაგრამ მაშინვე განაგრძობს თავისი როლის შესრულებას და ძველ სიყვარულსა და მეგობრობას გულში იმარხავს.

აბატი *(აგრესიული)*: თქვენ ამას წინათ, არ ვიცი, რა შემთხვევასთან დაკავშირებით, საჯარო ლექცია წაიკითხეთ სათაურით: „ფსიქოლოგიური დოკუმენტები თანამედროვე რწმენის ევოლუციისთვის".

ბარუა: დიახ.

აბატი: თქვენ შეგნებულად გამოხვედით ზოგადი იდეების სფეროდან და კონკრეტულ მაგალითებზე გადახვედით... რომელთა ავტობიოგრაფიული ხასიათი აშკარაა. ფრაგმენტები, რომელთა ნაკითხვაც მომიხდა, მიანიშნებს თქვენი ახალგაზრდობის ზოგიერთ გარემოებაზე, თქვენს ქორწინებაზე... რომელიც იქ გადმოფინეთ... ყოვლად... მოურიდებლად...

ბარუა *(მშრალად)*: თქვენ, ცოტა არ იყოს, აჭარბებთ. დეტალები, რომელზეც თქვენ საუბრობთ, მოვიყვანე სახელების დაუსახელებლად წმინდა სამეცნიერო თვალსაზრისით; და ეს შლის ყველანაირ სხვაგვარ ინტერპრეტაციას. მე შევისწავლე მრავალი ფსიქოლოგიური შემთხვევა, რომელთა ნაწილი წერილობით მომაწოდეს პროვინციელმა ექიმებმა, ნაწილი კი, ვაღიარებ, ჩემი პირადი გამოცდილებიდან ავიღე...

აბატი *(ხმას უწევს.)*: სწორედ მაგაში ცდებით, ჟან! ეს დეტალები მარტო თქვენ არ გეხებათ. *(გამწარებით)* გულისტკივილით ვამბობ,

თქვენზე უკვე დიდიხანია ხელი ჩავიქნიე. მაგრამ არ მეგონა თუ ერთ დღეს თქვენთვის ელემენტარული მამაკაცური ღირსების შეხსენება დამჭირდებოდა. თქვენს მოხსენებაში არის ანალიზი ინტიმური ცხოვრებისა, რომლის საიდუმლოც ხელშეუხებელია. ცნობისმოყვარე საზოგადოების წინაშე არ უნდა გამოგეტანათ, რა მოტივითაც არ უნდა ყოფილიყო, ქალის გრძნობები, რომელიც იყო და არის თქვენი მეუღლე და თქვენი შვილის დედა!

ბარუა იღებს პირში მიხლილ სიმართლეს, არ აპროტესტებს.

ჭარხალივით წითლდება.

მოგონებები გრიგალივით ატყდება თავს. წარსული, გულის სიღრმეში მკვდარი რომ ეგონა, მკვდრეთით აღდგება...

აბატი: უაზის დეპარტამენტის ფრანკ-მასონურმა გაზეთმა თქვენი ლექციიდან ყველაფერი ამოკრიბა და დაბეჭდა, რაც კი გულს მოუკლავდა ქ-ნ ბარუას, და...

ბარუა არ უსმენს. შეპყურებს აბატს დაჟინებული და შორეული მზერით.

გული მოუკლა თავის ცოლს? ერთხელაც კი, მას შემდეგ, რაც დაშორდნენ, თავში აზრად არ მოსვლია, რომ კიდევ რამით შეეძლო მისთვის გულის ტკენა!

გონის მოკრება სჭირდება. მიდის სამუშაო მაგიდასთან, როგორც თავშესაფართან, და ჩვეულ ადგილას მძიმედ ჯდება, ხელებს სავარძლის სახელურებს ჩასჭიდებს.

ბარუა: ჰო, ახლა ვხვდები... უნებურად მომივიდა!

აბატის მზერა უნდოა.

ბარუა *(ცოცხლად)*: არ გჯერათ? თვითონ განსაჯეთ, ვცხოვრობ აქ, მარტო, უკვე ათი წელია; არავის ვხვდები, რამდენიმე მეგობრის და თანამშრომლის გარდა... საშინლად დაკავებული ვარ... უკან მოხედვის დრო არ მაქვს; და, გარდა ამისა, ეს არც ჩემს ხასიათშია... არასდროს არავითარი ამბავი არ მომდის ბიუიდან. მხოლოდ წელიწადში ერთხელ ნოტარიუსის კლერკი მატყობინებს, რომ პენსია გადაცემულია. სულ ესაა.

აბატი გაოგნებული აკვირდება.

ბარუა: გაკვირვებთ? ეს სრული სიმართლეა... წარსული წარსულია; მე იქიდან გამოვედი; ის შორსაა, ის მოკვდა ჩემთვის; არასდროს, არასდროს ვფიქრობ წარსულზე.

როდესაც ამ ლექციისთვის ვემზადებოდი, უპირველესად ზუსტ,

ავთენტურ ფაქტებს ვეძებდი და უყოყმანოდ ავიღე საკუთარი გამოცდილებიდან, ცხოვრებიდან. როგორც ჩანს, ეს მოგონებები მთლიანად მარტო მე არ მეკუთვნის... ეს მართალია...

(თავის თავს ეკითხება.) სალახანასავით ხომ არ მოვიქეცი...

იატაკს ჩაჰყურებს.

ხელები ოდნავ უცახცახებს.

ოჰ, ძალიან ვწუხვარ, რომ, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ, გავხდი მიზეზი... *(უეცრად)* აუხსენით, უთხარით უველაფერი, რაც მე...

აბატი *(განიარაღებული ასეთი შეუგნებლობით)*: არა, ჟან, უმჯობესია არ გავიმეორო, რაც თქვენგან აქ მოვისმინე...

სიჩუმე. აბატი იღებს თავის ქუდს.

ბარუა: მიბრძანდებით? გეჩქარებათ?... *(ყოყმანობს)* მომიყევით, რა ხდება იქ... სესილი... ისევ დედასთან ცხოვრობს?

აბატის სახე კუშტია; თავს თანხმობის ნიშნად იქნევს.

ბარუა: და ისევ ისე ცხოვრობენ? მიუსაფრებზე ზრუნვა, ქველმოქმედება?

აბატი *(უკმაყოფილოდ)*: ქ-ნი ბარუა ამ საქმეებს იმ დროს უთმობს, რაც შვილზე ზრუნვის შემდეგ რჩება.

ბარუა: აჰ, ჰო, ბავშვი... რამდენისაა?... მოიცათ... ცამეტის?... არა? *(გულუბრყვილოდ)* როგორია, ეგ პაწაწინა? კარგი ჯანმრთელობა აქვს?

მისი მზერა აბატისას ხვდება; წინადადება უწყდება, უხერხული ღიმილი.

ბარუა: ურჩხული გგონივართ? რა გსურთ... *(უხეში ჟესტი)* მე გადავხაზე ეს ყოველივე! ეს წარსულია, ის დამთავრდა! ჩემი ცხოვრება ახლა სულ სხვაგვარია, ის მთლიანად მშთანთქავს. რატომ უნდა ვითვალთმაქცო? გახსოვთ, ბავშვი მაშინ დაიბადა, როდესაც მე უკვე ინგლისში ვიყავი წასული... მე ის არანაირად არ მაინტერესებს, მას არაფერი აქვს ჩემი...

აბატი *(დაკვირვებით უყურებს)*: აქვს. ამ დილითაც გავოცდი, ძალიან გგავთ.

ბარუა *(ხმაშეცვლილი)*: მგავს?

აბატი: იგივე გამომეტყველება... მზერა... ნიკაპი...

ისევ სიჩუმე.

აბატი დგება. მიდის უკმაყოფილო ბარუათი, თავისი თავით, რადგან ვერ უთხრა ის, რისი თქმაც უნდოდა, ამ შეხვედრიდან თან მიაქვს ახალი მწარე გრძნობა.

ბარუა *(მიაცილებს კარამდე)*: და... კვლავ ბიუიში ცხოვრობთ?

აბატი: ეპისკოპოსმა მანდო ბიუის სამწყსო, უკვე ოთხი წელია ფეტ-დიეში ვარ...

ბარუა: არ ვიცოდი.

გადიან ვესტიბულში.

აბატი *(უეცარი ღვარძლით)*: აჰ, ჩვენ იქ ძალიან გვვნებს თქვენი ახალი კანონი ეკლესიის გამოყოფის შესახებ.

ბარუა *(ღიმილით)*: ის, რომ მე განვაგრძობ აზროვნების თავისუფ-ლების მოთხოვნას და ვიბრძვი უსამართლობის წინააღმდეგ, არ ნიშ-ნავს იმას, რომ ყველაფერს ვეთანხმები, რაც საფრანგეთში ხდება...

აბატი, რომელსაც უკვე გაეღო გასასვლელი კარი, წყნარად ხურავს და შემობრუნდება.

ბარუა: ხანდახან, შორიდან მაინც რომ ადევნებდეთ თვალს იმ ჟურნალს, რომელსაც ვხელმძღვანელობ... *(აბატს ზიზღიანი ჟესტი დასცდა, რამაც ბარუას ხელახალი ღიმილი გამოიწვია.)* ... გაიგებ-დით, რომ ეკლესიასაც იმ პრინციპებს ვუსადაგებ, რაც დრეიფუსის პროცესისას გვასულდგმულებდა. ზუსტად იმავე პრინციპებს. *(მელან-ქოლიურად)* ამის გამო, სხვათა შორის, ბევრი ხელმომწერი დავკარ-გეთ... ეგ არაფერი. მე მთელი ძალ-ღონით გავაპროტესტე, როდესაც დრეიფუსარების ახალ ფენაზე დაყრდნობით ხელისუფლება შეეცადა ჩაეშალა ხმის მიცემა პალატაში და სრულიად სხვა სულისკვეთების კანონი გაეტანა, ვიდრე პირველ ვარიანტში იყო.

აბატი *(ცივად)*: დიდი კმაყოფილებით დავიმახსოვრებ, რაც აქ მითხარით... მაგრამ თუ ამჩნევთ რაოდენ საძაგელია ის, რაც დღეს საფრანგეთში ხდება, ძალზე სავალალოა თუ ვერ ხვდებით რატომ ხდება და რაოდენ მძიმე პასუხისმგებლობა განევთ თქვენ და თქვენ მეგობრებს...

(მნიშვნელოვნად) ნახვამდის.

ბარუა *(ხელს ართმევს)*: ეს შეხვედრა ჩემთვის ძალზე სასიამოვნო იყო, ვაღიარებ... ღრმად ვწუხვარ იმ მიზეზის გამო, რამაც აქ ჩამოგიყ-ვანათ. გადაეცით ეს... ბიუიში...

(ნაძალადევი ღიმილით) სხვათა შორის, მომავლისთვის მშვიდად ბრძანდებოდეთ... დიახ, როგორც ჩანს, რაღაც მომეშალა... *(გულზე იდებს ხელს.)* ... აქ... ამიკრძალეს საჯარო გამოსვლები, ფრთხილად ყოფნას მირჩევენ... უამრავი უსიამოვნებაა...

აბატი *(გულითადად)*: მართლა? სერიოზული ხომ არაფერია?

ბარუა: არა, თუ ჭკვიანად მოვიქცევი.

აბატი *(მხურვალედ)*: უნდა მოიქცეთ! თქვენ ცხოვრება ჯერ არ დაგიმთავრებიათ, ასე ვერ დამთავრდება...

ბარუა *(მოკლედ უჭრის)*: ახლა, როგორც არასდროს, ვარ დარწმუნებული, რომ სწორი გზა ავირჩიე და მას ისე მივყვები, როგორც უნდა მივსდიო!

აბატი *(თავს იქნევს)*: ნახვამდის, ჟან.

II

ოტეიში.
გაზაფხულის დღე.

ლიუსი ზის თავის ბაღში, წაბლის ხის ჩრდილში. მზის ათინათები შუბლსა და თეთრ წვერზე უთამაშებს. მშვიდი და მოწყენილი იყურება. მუხლებზე გადაშლილი ჟურნალი უდევს.

მსხვილი ასოებით წერია:

ზოლას ცხედარი პანთეონში

ოფიციალური კორტეჟი
რესპუბლიკის პრეზიდენტი და მინისტრები
პოლიციის მიერ წესრიგის უზრუნველყოფა,
შეტაკება.

უეცრად სახე უნათდება; ხედავს მისკენ ბუჩქების გავლით მომავალ ბარუას. ერთმანეთს ხელს გულითადად ართმევენ. სიტყვები ზედმეტია...

სხდებიან, დუმან; გადაწყვიტეს გრძნობებს აღარ აჰყვნენ. მაგრამ ერთი და იგივე აზრი გამოსჭვივის მათ მზერაში. შეურაცხმყოფელია ეს თეატრალიზებული მსვლელობა, რომელშიც მონაწილეობა არ მიაღებინეს, ეს ბაზრობის შესაფერი მათი აღლუმი, ზოლას განსადიდებლად მოწყობილი, ამ სახელის მიტაცება, რომელიც ლოიალობისა და სამართლიანობის სიმბოლოა, ანგარებიანი პოლიტიკოსების მიერ!

ლიუსი *(ღრმად დამწუხრებული)*: კარგი მზეა, არა?

ბარუა თანხმობის ნიშნად დიდხანს იქნევს თავს.

ლაპარაკი უაზრობაა...

რამდენიმე წუთი გადის. ლიუსი ისევ ცდილობს საუბრის გაბმას.

ლიუსი: და თქვენ, მეგობარო, როგორ ხართ?

ბარუა: არა მიშავს. რაც ლექციები შევწყვიტე, კარგადაც კი ვარ.

ლიუსი: და „მთესველი?"

ბარუა ლიუსს უყურებს; ჩუმად იცინის.

ბარუა: გახსოვთ, როგორ გაგიკვირდათ ხელმომწერთა შემცირება, როდესაც გადაჭარბებული ანტიმილიტარიზმის წინააღმდეგ წამოვიწყე კამპანია?

ლიუსი: მერე?

ბარუა: მერე, ექსპერიმენტი ჩავატარე... *(კვლავ იცინის, და უეცრად ჩერდება, თითქოს ეშინია სიცილი ტირილში არ გადაეზარდოს.)* მე ოცი ჩვენიანი ავირჩიე, ოცი ადამიანი, ვინც პირველი წუთებიდანვე ჩვენთან ერთად იყო; უკვე სამი თვეა მათ „მთესველს" აღარ ვუგზავნი. *(ხაზგასმით ამბობს.)* ვერც ერთმა ვერ შენიშნა, არც ერთი საპროტესტო წერილი არ მიმილია! *(პაუზა)* აი, ნახეთ სია.

მაგრამ ლიუსი ხელით იშორებს ფურცელს.

ბარუა *(მიდი-მოდის ხის ჩრდილქვეშ)*: ეჰ, ეს არაფერი იქნებოდა, ძველებურად მებრძოლი შემართებით, ძველებურად ახალგაზრდები რომ ვიყოთ...

ლიუსი *(სპონტანურად)*: თქვენ, ბარუა?

ბარუა *(უნებური სიამაყით; მომღიმარი)*: მადლი მომიხსენებია...

მაგრამ ასეა. უკვე რამდენიმე თვეა, შემაშფოთებელ სიმპტომებს ვამჩნევ... დაღლილობას ვგრძნობ, სკეპტიკური გავხდი, ძალიან შემნდობი... *(დაღლილად)* საღამოობით საშინლად მარტო ვგრძნობ თავს...

ლიუსი *(მოხერხებულად)*: თქვენ მარტო არ ხართ სანერ მაგიდასთან!

ბარუა *(წელში იმართება)*: მართალია! კიდევ იმდენი მაქვს გასაკეთებელი!

ის ხელს თმაზე ისვამს. რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს. მისი მზერა შეშდება, ქრება.

ბარუა: კი, ცუდად მენიშნება. ახლა, როცა ჩემი კაბინეტის დატოვების მიზეზი გამომიჩნდება ხოლმე, – საყიდლებზე გასვლა ან რაღაც უმნიშვნელო საქმე, – იმის მაგიერ, რომ აღვშფოთდე, როგორც ადრე... უფრო... ჰა? თქვენ ჯერ მსგავსი რამ არ განგიცდიათ?...

ლიუსი *(თავშექცევით)*: არა.

ბარუა: და კიდევ, ხანდახან ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ წარსული შთაბეჭდილებების მოგონებები უფრო ძვირფასია ჩემთვის, ვიდრე ახლის შეძენა... ვეწინააღმდეგები ამ გრძნობას, თავს ვაძალებ ყველაფერი წავიკითხო, რაც კი იბეჭდება. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, თავს ნაკლებ მოქნილად ვგრძნობ, თითქოს დაბუჟებულ-დაჩლუნგებული ვარ უზარმაზარი სიმძიმით...

ლიუსი: გამოცდილებით!

ბარუა *(სერიოზული)*: შესაძლოა... გრძნობა, რომ ჯერ კიდევ ყველაფრის გაგება ძალგიძს, მაგრამ მაინც შებორკილი ხარ, ფიზიკურად... ორგანიზმის რაღაც დაუმორჩილებლობა... ძალზე მძიმეა.

ლიუსის მიუნდობელი ღიმილი.

ბარუა *(არ იმჩნევს ამ ღიმილს)*: დიდხანს ფიქრობ, რომ ცხოვრება სწორი ხაზია, რომლის ბოლოებიც თვალთახედვიდან გეკარგება ჰორიზონტში. შემდეგ, ნელ-ნელა, აღმოაჩენ, რომ ხაზი გადაჭრილია, მოღუნულია და მისი ბოლოები ერთმანეთს უახლოვდება, უერთდება... წრე იკვრება...

(ახლა ის ღიმება.) ბერდები და მხოლოდ ამ წრეზე ტრიალიღა იცი!

ლიუსი: ოჰ, ოჰ, ოჰ...

(უეცრად წამოდგება.) აჰ, აი, ყოჩაღი გულის ხალხი, ყველა ერთად!

ეზოს სიღრმეში სამი კაცი გამოჩნდა ჭიშკრის თაღის ჩრდილქვეშ: ბრეილ-ზეჟერი, კრესტეი დ'აზილი და ვოლდშმუტი.

ლიუსი *(ცოცხლად, ხმადაბლა)*: კრესტეის ვინმე ახლობელი გარდაეცვალა?

ბარუა *(ასევე ხმადაბლა)*: არავინ იცის. აგერ უკვე ორი კვირაა, ძაძებითაა.

უხმო, მხურვალე ხელის ჩამორთმევა.

ლიუსი *(მოკლე უხერხული დუმილის შემდეგ, უბრალოდ)*: რომელიმე იყავით იქ?

ზეჟერი: არა.

კრესტეი *(ჩახლეჩილი ხმით)*: კარგად გაიაზრეს, რომ უნდა აერჩიათ: ან ისინი ან ჩვენ!

ასე გამხდარი არასდროს ყოფილა, ხორცი აღარ აბია. შუბლი გამელოტებია, რაც კიდევ მეტად უსვამს ხაზს მისი თავის ამაყ მოყვანილობას. მომწვანო, ბზისფერი კანი ყვრიმალებსა და ცხვირის კეხზე აქვს გადაჭიმული.

ვოლდშმუტი *(ყველას აზრს გამოხატავს)*: როცა ზოლას დაკრძალვას იხსენებ, ნამდვილ დაკრძალვას!...

ლიუსი: მაშინ იმ ცხედრის გარშემო მხოლოდ წმინდა გულის ხალხი ვიყავით...

ზეუერი *(ქირქილებს)*: და პოლიცია არ გვჭირდებოდა მინისტრების დასაცავად!

მისი შავი თვალები გიშერივით ბზინავს. ღვიძლის დაავადება ხრავს, მაგრამ ვერ სჯობნის. გვერდზე მიკრულს ბარძიმივით ატარებს.

ბარუა: ანატოლ ფრანსი რომ წამოდგა, გახსოვთ, როგორ დაგვიარა ჟრუანტელმა, როგორ შეგვიპყრო სიმამაცის გრძნობამ? როდესაც თქვა: „მე არ ვიტყვი იმას, რაც საჭიროა რომ ვთქვა, არამედ ვიტყვი ყველაფერს, რაც უნდა ვთქვა...“ და დაამატა, რომ საფრანგეთი იყო სამართლიანობის სამშობლო...

ვოლდშმუტი *(მოგონებებს უყრის თავს)*: მოიცადეთ...

„მხოლოდ ერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც დიდებული საქმეები შეიძლება აღსრულდეს... რა მშვენიერია საფრანგეთის ეს სული, რომელმაც, გასულ საუკუნეებში ასნავლა ევროპასა და მთელ მსოფლიოს სამართალი!...“

უსმენენ, შესცქერიან გაჭაღარავებულ გაბურძგნულ თმაწვერს, საიდანაც შებოლილი მინის ორი დისკო ბრწყინავს.

კრესტეი განდევნის ხიბლს.

კრესტეი *(მწარედ იცინის)*: აჰ, დიახ, ყველაფერი მშვენიერი იყო, ყველაფერი კრისტალური! და რა გამოვიდა ამისგან? ა? ჩვენ ჩირქგროვა გავკვეთეთ, გვეგონა გამოჯანმრთელება დაიწყებოდა და, ახლა, განგრენა დაიწყო!

ლიუსი ხელის მოძრაობით აპროტესტებს.

ბრეილ-ზეუერი მხრებს იჩეჩავს.

კრესტეი: რას აღარ შევესნარით... პოლიტიკურ არეულ-დარეულობას, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას, მერკანტილიზმს ყველგან და ყველაფერში! საეკლესიო ქონების ხელყოფას, სისულელემდე მისულ ანტიმილიტარიზმს... ბოლოს კი – სრულ კრახს!

ზეუერი *(მშრალად)*: დღევანდელ პოლიტიკას არ ვიცავ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ის არაა იმაზე უარესი, რაც პროცესამდე იყო!

ბარუა *(ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ)*: გეფიცებით, არ ვიცი...

ლიუსი *(ცოცხლად)*: აჰ, ბარუა, ნუ მივტირით წარსულს, ნუ მივტირით!

ზეუერი: მაშინდელი ხელისუფლება სათანადო სიმაღლეზე რომ ყოფილიყო, ჩვენ კი არა, მას უნდა ეძია ჭეშმარიტება!

ლიუსი: თქვენ მხოლოდ უარყოფით მხარეებს ამჩნევთ, ჩემო კრესტეი. თქვენ ვერ ხედავთ სიკეთეს, რომელიც მზადდება. რესპუბლიკა თავის არსში შეიცავს უძვირფასეს თვისებას, ის ერთადერთი წყობაა, რომლის დახვეწაც ბუნებრივადაა შესაძლებელი. აცალეთ დემოკრატიას კვლავ სწორ გზაზე დადგომა...

კრესტეი: მაინც მიულებელია, რომ ისინი, ვის პოლიტიკასაც ჩვენს მისწრაფებებთან არაფერი ჰქონდა საერთო, უტიფრად ეპატრონებიან ჩვენს მონაპოვარს! გაიხსენეთ ანკეტების ამბავი! ისინი, ვინც თავს უფლება მისცა არმიაში დაბეზღების სისტემა შემოეღო, არ შეჭოჭმანდნენ ჩვენს პრინციპებს ამოფარებოდნენ დეპუტატთა პალატის წინაშე წარმდგარნი!

ზეჟერი: საპარლამენტო ლაყბობა!

ბარუა *(მონყენით)*: და კიდევ, ეს ისტორიის კანონია, გამარჯვებულები დაუყოვნებლივ ითვისებენ დამარცხებულთა ცოდვებს. კაცი იფიქრებს, რომ უშუალოდ ხელისუფლებიდან მოდის ეს თავისებური, გადამდები ამორალობა.

კრესტეი *(მოღუშული)*: არა, სიმართლე ისაა, რომ რაც კი ამ პროცესს შეეხო, რაც კი მისგან იშვა, მოწამლულია...

ლიუსი *(საყვედურით)*: კრესტეი...

კრესტეი: რატომ დავხუჭოთ თვალი? 94 წლის საიდუმლო დოკუმენტებიდან მოყოლებული სასამართლოს კრიმინალური განყოფილების უარამდე განეხილა საქმე, თავი რომ დავანებოთ ესტერგაზისა და ზოლას პროცესებს, ყველაფერი კანონდარღვევებით მიდიოდა!

(მოთმინებიდან გამოსული) და ეს კიდევ არაა ყველაზე უარესი! როდესაც ველოდით რენში სასამართლოს განაჩენს, და შემდეგ შეწყალებას... *(ისე ჩანს, რომ ძველი იარების გახსნა მოსწონს.)* ...ჩვენ, ვინც ფარ-ხმალს არ ვყრიდით, და მიუხედავად ყველაფრისა, საბოლოო გამარჯვების იმედი გვქონდა, მაგრამ ისევ ბედუკულმართობამ დაგვრია ხელი! საჭირო იყო, რომ სასტიკად ეღალატათ! საქმის მთელი არსი, – ყველაფერი, რასაც ჩვენ შევწირეთ მთელი ჩვენი ენერგია, სიმშვიდე, – ყველაფერს ჩრდილი მიადგა იმით, რომ შეევგუეთ საბოლოო უსამართლობას. განაჩენის ტრიბუნალში საკასაციოდ გადაცემის აკრძალვის გადაწყვეტილება გამოიტანა სასამართლომ, რომელსაც ამის უფლება არ ჰქონდა, უკან არ დაიხია სამართლის აღსასრულებლად და უხეშად დაარღვია კანონი! ჰა... ჰა...

ლიუსი: კრესტეი...

ზეუერი *(უფერული და სარკასტული ხმით)*: თქვენ მიგაჩნიათ, რომ შვიდი ახლადგამომცხვარი ოფიცრისგან იმპროვიზებული სასამართლო უფრო კვალიფიცირებული აღმოჩნდებოდა, ვიდრე საკასაციო სასამართლო – უმაღლესი სამოქალაქო იურისდიქცია?

ბარუას მზერა ლიუსისას გადაანყდება, თვალს აარიდებს და არაფერს ამბობს.

კრესტეი: საკითხი სხვაგვარად უნდა დაისვას, ზეუერ. ამბობდნენ, რომ უკვე ორი წელი ამზადებდნენ საკასაციო სასამართლოს, და დადებითია, რომ ამ ორი ნლის განმავლობაში, სასამართლოს შემადგენლობა ძალიან შეიცვალა... მაგრამ ამაზე არ მსურს შეჩერება.

(დახვენილი ქედმაღლობით) მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ უფრო ღირსეულად შეიძლებოდა საქმის დამთავრება, ისე, რომ არ მიგვემართა სამოქალაქო მოსამართლეთა თანხმობისთვის და აგვეცილებინა 445-ე სტატიის გარშემო ატეხილი იურისტთა და მწერალთა უთავბოლო დავიდარაბა. ვამბობ, რომ რენის უსამართლო გადაწყვეტილების გასაუქმებლად საჭირო იყო სხვა სამხედრო იურისდიქციის მქუხარე ვერდიქტი. და კიდევ ვამბობ, რომ ეს საქმე დარჩა, სამარადჟამოდ, ჩირქოვან ჭრილობად, რომელიც არასოდეს მოშუშდება!

ბარუა *(დაურწმუნებლად)*: ეს ყველაფრის თავიდან დაწყებას ნიშნავდა.

კრესტეი: მით უარესი!

ბარუა: ადამიანის გამძლეობასაც აქვს საზღვარი.

კრესტეი: თქვენც ჩემსავით ფიქრობთ ამ საკითხზე. საკმაოდ ხშირად იმეორებდით ამას თქვენს „მთესველში".

ბარუა ილიმება და თავს ხრის.

კრესტეი: მეტადრე, რომ ახალი სამხედრო სასამართლოსთვის საქმის გადაცემის შესანიშნავი საშუალება არსებობდა... გენერლები, რომელთა გაუბედაობას 99 ნლის მსჯავრის გამოტანა მოჰყვა, კატეგორიულად უარყოფდნენ კაიზერის შენიშვნებიანი დოკუმენტის არსებობას კრიმინალური განყოფილების მიერ წარმოებული დაკითხვისას! საკმარისი იყო სამხედრო სასამართლოს წინაშე მათთვის მათივე ჩვენებები წაეკითხათ და განაჩენის გაბათილება გარანტირებული იქნებოდა!

ლიუსი: რას გვაძლევს ეს ურთიერთსაყვედურები? თქვენი პესიმიზმი გადაჭარბებულია, კრესტეი, დღესაც კი!

ბარუა *(დგება)*: თითქოს მხოლოდ იმისთვის შევიკრიბეთ აქ, რომ

ჩვენი, ორმოცდაათ წელს მიტანებული ხალხის, უიმედობა გამოვფინოთ...

ზეჟერი *(მიუთითებს მიწაზე დაგდებულ გაზეთზე, ჩაიცინებს)*: დღეს ჩვენი დაფერფვლის დღეა...

ყველა ილიმება.

ბარუა ლიუსს უახლოვდება გამოსამშვიდობებლად.

კრესტეი *(უეცრად ბარუას)*: ბულონის ტყით გაბრუნდებით? მეც ნამოგყვებით...

ლიუსი: იცით, მთელი უბედურება ისაა, რომ ფრანგი ხალხი არაა მორალური ხალხი; და იცით რატომ? იმიტომ, რომ უკვე საუკუნეებია პოლიტიკა და ანგარება სამართალზე უპირატესია. ახლებურად აღზრდას უნდა მოვკიდოთ ხელი... მართალია, ჩვენს მიზანს ვერ მივაღწიეთ, მაგრამ ჯერ საქმე ნაგებული არაა. ის განხორციელების გზაზეა შემდგარი. *(ხელს ართმევს კრესტეის.)* რაც არ უნდა თქვათ, კრესტეი, საუკუნე, რომელიც რევოლუციით დაიწყო და დრეიფუსის საქმით დამთავრდა, მშვენიერი საუკუნეა!

კრესტეი *(კუშტი მოურიდებლობით)*: ის ასევე ციებ-ცხელების, უტოპიისა და ეჭვიანი მერყეობის საუკუნეცაა, ნაჩქარევი წამოწყებებისა და დაუდევრობის საუკუნე. არ ვიცით. შესაძლოა მას უმაქნისი საუკუნე უწოდონ!

ბულონის ტყის ხეივანი.

ძალზე მშვიდი მიმწუხრი.

ანერვიულებული კრესტეი ჩქარი ნაბიჯით მიდის.

კრესტეი *(განსხვავებული, კონფიდენციალური კილოთი)*: როდესაც სხვებთან ერთად ვარ, ნახეთ, ვცხარდები, დარწმუნებით ვლაპარაკობ... მაგრამ, როცა მარტო ვრჩები, უჰ! არა, ჩემო კარგო, მორჩა. მარტო ლაპარაკი არაფრის მაქნისია... მე ძალიან ბევრის მნახველი ვარ უკვე და ვიცი, რა არის ცხოვრება – ცხოვრება ბაზარია!... სიკეთე, მოვალეობა, სათნოება... მოიცა ერთი! ჩვენი ეგოისტური ინსტინქტების შენიღბვა – აი, რით ვართ სინამდვილეში დაკავებულნი. მარიონეტები!

ბარუა *(აღელვებული)*: გეყოთ, გეყოთ. საცოდაობაა, რასაც მელაპარაკებით!

კრესტეი *(უხეშად)*: ადამიანი ისეთია, როგორიც არის. ესეც სულ ცოტა ხნის წინ გავიაზრე. მე არ მითხოვია სიცოცხლე, მეტადრე ისეთი სიცოცხლე, როგორითაც ვიცოცხლე...

ბარუა *(ბოლო იმედსლა ეპოტინება)*: აღარ მუშაობთ?

კრესტეი *(გადაიხარხარებს)*: ჰოო, ჩემი წიგნები! ხელმოცარულის მშვენიერი ხატება ვარ, არა?... ხელოვნება! ეს მხოლოდ ფუჭი სიტყვაა, როგორც სამართლიანობა ან ჭეშმარიტება, ერთ-ერთი იმ სიტყვათა-განია, რომელიც არაფერს გამოხატავს, უფრო ფუყე, ვიდრე ჭიანი კაკალი, და ამ სიტყვებისთვის თავგანწირვამდე მივდიოდი! ადამიანი, ეს უბადრუკი ხეიბარი, ცდილობს ბუნებას რაღაც შემატოს, ცდილობს შექმნას! შექმნას! გესმით! ეს გროტესკულია!...

ბარუა გულშეკუმშული უსმენს, როგორც გრიგალს, ხის ტკაცანს ან ქარიშხლის ზუზუნს უსმენენ...

კრესტეი: იცით, ჩემო კარგო, თავიდან რომ ვინყებდე ცხოვრებას, ჩემში ყოველგვარ ამბიციას ჩავკლავდი, თავს იმდენხანს დავცინებ-დი, სანამ ყოველგვარ რწმენას, რისი ან ვისიც უნდა ყოფილიყო, არ მოვეშვებოდი! ცხოვრების ნვრილმანების შეყვარებას შეეცდებოდი. მხოლოდ მათი გადატანა შეუძლია ადამიანს დიდი სიმწარის გარეშე... ბედნიერების ნამცეც-ნამცეც შეგროვება... მხოლოდ ამით შეუძლია ცოტაოდენი ბედნიერების მოპოვება... სიკვდილამდე... რადგან სა-ბოლოოდ მაინც იქამდე მივდივართ... ამოთხრილ ორმომდე...

ბოლო სიტყვები გულშემზარავი ნაღველით წარმოთქვა. ბა-რუა განცვიფრებული აკვირდება.

კრესტეი დადუმდა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უეცრად, თითქოს სუნთქვა აღარ პყოფნისო, ხელს პერპენდიკულარული ხეივნისკენ იშვერს.

კრესტეი: დაგტოვებთ, იქით წავალ...

ბარუა უყურებს, როგორ შორდება სნრაფი ნაბიჯით მოშვე-ბული, ზურგში მოხრილი, ძაძებს ქარი უფრიალებს.

შვილი

I

ბატონ აბატ ჟოზიეს,
ბიუი-ლა-დამის კიურეს (უაზი).

26 დეკემბერი.

ჩემო ძვირფასო მეგობარო,

ნოტარიუსმა მუჟენმა, ქალბატონ ბარუას დავალებით, შემახსენა, რომ, ჩვენი შეთანხმების თანახმად, უფლება მაქვს მოვითხოვო, რომ ჩემმა ქალიშვილმა ჩემთან იცხოვროს ერთი წლის განმავლობაში, რამეთუ რამდენიმე კვირაში თვრამეტი წლის ხდება. არ მინდა ჩემი პასუხი ნოტარიუსის პირით გადავცე. ხომ არ შევცდი, თქვენი დახმარების იმედი რომ მაქვს? უარს ხომ არ მეტყვით შუამავლის როლზე?

თქვენი მადლიერი დავრჩები, თუ ჩემი სახელით მადლობას გადაუხდით ქალბატონ ბარუას იმ ინიციატივისთვის, რაც თავის თავზე აიღო და აუხსნით, – იმ ფორმით, რა ფორმითაც თქვენ მიიჩნევთ საჭიროდ, – იმ მოსაზრებებს, რომელთა გამოც მე უარს ვამბობ ამ შემოთავაზებაზე.

ამ მოსაზრებებს მე ჩემი ჩვეული გულახდილობით მოგახსენებთ.

ჩვენი გაშორებისას, მე მსურდა დამეტოვებინა შესაძლებლობა, რაღაც მომენტში ჩავრეულიყავი ჩემი ქალიშვილის აღზრდაში. მაგრამ გარემოებები ძალზე შეიცვალა. როგორც თქვენთვის ცნობილია, თვრამეტი წლის განმავლობაში მე არც ჩემი ცოლი

მინახავს და არც შვილი. ჩემი მხრიდან დღეს მის ცხოვრებაში ჩარევის რაიმე პრეტენზია ნამდვილად ჩემი უფლების ბოროტად გამოყენება იქნებოდა; ცხოვრებაში, რომელშიც არასდროს არანაირი ადგილი არ მეკავა და ვერც დავიკავებ. და კიდევ, ბოლომდე რომ გაგანდოთ ჩემი ფიქრი, ვიტყვი, რომ გრძნობები, რომელიც უეჭველად ექნება ჩემს ქალიშვილს ამ უცნობი მამის მიმართ, ამ დაახლოებას მისთვის, და ჩემთვისაც, აუტანელს გახდის.

აი, რატომ არა აქვს აზრი არსებული მდგომარეობის არანაირ შეცვლას; თქვენი იმედი მაქვს, გადაეცით ჩემს მეუღლეს, რომ ის თავისუფალია ამ საკითხთან დაკავშირებული ყოველგვარი ვალდებულებებისგან.

თქვენი მადლიერი და ერთგული

ბარუა

რამდენიმე დღის შემდეგ. დილის ცხრა საათი.

ბარუა გვიან ადგა, აუჩქარებლად ამთავრებს მოწესრიგებას. საქმე არაფერი აქვს. პირველი იანვარია.

პასკალს სავიზიტო ბარათები და წერილები შემოაქვს.

პასკალი: ბატონი აქ ისადილებს?

ბარუა მაგიდას უახლოვდება და არჩევს ფოსტას.

ბარუა: არა, არა... საღამოს თავისუფალი ხართ. *(ჭოჭმანით)* ოჯახი, მეგობრები ხომ გყავთ?

პასკალი *(უშფოთველად)*: არა, თუ ბატონი შინ არ იქნება, ადრე ვისადილებ და მერე კინოში წავალ.

ბარუა *(აჩერებს)*: კეთილი, პასკალ, მაშინ მომიმზადეთ სადილი... კარგი? სულ ერთია, რაც გინდათ ის მოამზადეთ და რომელი საათისთვისაც გინდათ. დღეს სახლიდან არ გავალ. ასეთ დღეებში რესტორნები ისე სულელური და მოსაბეზრებელია...

ხსნის რამდენიმე წერილს. შემდეგ ამჩნევს ბიუის მარკას და აუჩქარებლად ხევს კონვერტს.

ბუი-ლა-დამის მღვდლის სახლი.

31 დეკემბერი.

ჩემო ძვირფასო ჟან,

წარსულ მოგონებათა გამო, მე ყოველთვის მზად ვარ თქვენ სამსახურად.

თქვენი დავალების შესრულებას დიდი გულმოდგინებით შევუდექით, რადგან ყოველგვარი სხვა გადაწყვეტილება სრულიად არასასურველად მეჩვენება. თქვენი გადაწყვეტილება ქალბატონ ბარუას იხსნის ახალი განსაცდელისგან, და ეს სამართლიანია, საბრალო ქალი იმსახურებს ამას თავისი თავგანწირული ცხოვრების საკომპენსაციოდ.

მაგრამ მთლად პატიოსნად არ მოვიქცეოდი თქვენ მიმართ, თუ დაგიმალავდით, რომ სნორედ მარიმ აიძულა დედამისი თქვენთვის მეტრ მუუენის ხელით მოეწერა. თქვენ ხედავთ, შვილის გრძნობები, რომელთაც მარის მიაწერდით, სრულიად განსხვავდება იმ გრძნობებისგან, რომელიც მას ღრმად ქრისტიანულმა აღზრდამ შთაუნერგა.

გართმევთ ხელს.

მ. ლ. ჟოზიე, მღვდლ.

ბარუა ფეხზე დგას ფანჯარასთან; დრო სჭირდება გონის მოსაკრებად. უყურებს კონვერტს, მერე ოთახს, მერე ქუჩას.

დინჯად, ხელახლა კითხულობს წერილს, ცდილობს ყურადღების სრულ დაძაბვას:

– რატომ ამბობს ჟოზიე: მთლად პატიოსნად არ მოვიქცეოდი თქვენ მიმართ?... ესე იგი, მიაჩნია, რომ ამ ბოლო გარემოებამ შესაძლოა შეცვალოს ჩემი გადაწყვეტილება...

საქმე ჩემი მხრიდან დაჟინებას, ახირებას რომ ეხებოდეს, უარს ვიტყოდი... ან კიდევ, მასზე იდუმალად გავლენის მოხდენა რომ მინდოდეს... მაგრამ ამ შემთხვევაში, თვითონ მარი მოითხოვს...

მაშ, რატომღა ვთქვა უარი?

ილიმება.

– მაინც უცნაურია, რომ მან შემახსენა ვადები. და თან დედამისის სურვილის სანინააღმდეგოდ; ჩემმა უარმა ხომ იხსნა სესილი ახალი განსაცდელისგან? სესილის, ეტყობა, ძალიან ეშინოდა, რომ შეთანხმების შესრულება არ მომეთხოვა; და

პატარამ, ალბათ, მტკიცედ იბრძოლა... ეტყობა, ძალიან უნდა ჩამოსვლა!

მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, რატომ! ცნობისმოყვარეობის გამო? დაუჯერებელია... ძალიან უნდა ეშინოდეს ბიუის, დედამისის, ბებიამისის, ჩვეული გარემოს დატოვება; მეტადრე აქ ჩამოსასვლელად! ნეტავ რა ტრიალებს ამ თვრამეტი წლის თავში? ყოველ შემთხვევაში, არაჩვეულებრივი ნებისყოფაა საჭირო სესილის თანხმობის მოსაპოვებლად. ეს ნიშნავს, რომ ენერგიული, თავის აზრის მქონე გოგოა... ძალიან უცნაურია... ადრე ჟოზიემ სიტყვა გადამიკრა, რომ ცოტათი მგავს... იქნებ ხასიათითაც ვგავართ ერთმანეთს? სიჯიუტით? ვინ იცის? იქნებ ერთნაირი აზრებიც გვაქვს?... იქნებ ძიების პროცესშია? სურს გადაამოწმოს, რასაც ასწავლიდნენ?... იქნებ იბრძვის იქ, როგორც მე ვიბრძოდი ოდესლაც?... იქნებ ჩემკენ იმისთვის მოილტვის, რომ თავისუფლად ამოისუნთქოს, გათავისუფლდეს?

ამ ფიქრებში სიამოვნებით იძირება; ეჭვადაც კი არ ჰქონდა, რომ თავის თავში ჯერაც დაუხარჯავი სინაზისა და სიყვარულის კერას აღმოაჩენდა...

მერე მხრებს იჩეჩავს.

– არა... გრძნობები, რომელიც მას ჭეშმარიტად ქრისტიანულმა აღზრდამ შთაუნერგა... აჰ, ვბოდავ, ის მათ მაგრად ჰყავთ ხელში ჩაჭერილი!

ხელს მოუთმენლად ჩაიქნევს.

– კარგი... მე უკვე ის აზრი მტანჯავს, რომ ეს ჩემთვის უცხო გოგონა ბარიკადების მეორე მხარესაა! და ათიოდე წუთის ნინ მისი ღვთისმოსაობა სულაც არ მაინტერესებდა!... გამოვსულელდი... *(ეღიმება)* მხოლოდ ათიოდე წუთია, რაც მან ჩემთვის არსებობა შეიძინა, რაც თავისი არსებობა შემახსენა, რაც მხოლოდ სახელი, მარი, აღარაა...

მესამეჯერ გადაშლის წერილს.

და კითხვისას მისთვის ცხადი ხდება, რომ ურყევი გადაწყვეტილება სძლევს მის მერყეობას და ამ წერილის ყოველი სიტყვა ბეჭედს ასვამს მის გადაწყვეტილებას.

II

თებერვლის ერთი ნაშუადღევი.

პასკალს ესმის, რომ ვიღაც გასაღებს ატრიალებს კლიტეში და კარისკენ მიდის.

ბარუა: აი, მეც მოვედი, პასკალ, ყველაფერი მზადაა?

პასკალი შინაურულად იღიმება.

ბარუა ისე უვლის თავის კაბინეტს, თითქოს ინსპექციას ატარებდეს. ყველაფერი მილაგებულია; მხოლოდ საწერი მაგიდაა არეული. ბუხარზე მიქელანჯელოს „ამბოხებული მონა" ისევ ამაოდ ცდილობს ხუნდებისგან გათავისუფლებას.

ჩქარი ნაბიჯით მიემართება ბინის მეორე ბოლოსკენ. ორი ოთახი, შუაში საერთო ტუალეტით; უფრო დიდი ღია ფერის ტილოთია გაწყობილი და ახალი ავეჯით მოწყობილი.

ერთდროულად მზრუნველი და კმაყოფილი მზერა.

ასწორებს აბაჟურს, ხელს ავლებს რადიატორს, დახედავს საათს და თავის კაბინეტში ბრუნდება.

ბარუა: პასკალ, რალაც დაგვავიწყდა!... გაიქეცით... თეთრი ყვავილების ლამაზი თაიგული... *(ხელით თაიგულის ზომას უჩვენებს.)* თეთრი, გესმით?

ხუთი წუთის შემდეგ. რეკავენ.

ბარუა, რომელიც ბოლთას სცემს, ფითრდება.

– და ის იმბეცილი არ დაბრუნებულა!

მიდის ვესტიბიულისკენ, ყოვნდება და აღებს კარს.

პირველი აბატი ჟოზიე შემოდის, მას ქალიშვილი და ორმოცდაათიოდე წლის, უბრალოდ ჩაცმული ქალი მოჰყვებიან.

ბარუა: ჩემი მსახური სწორედ ახლა... *(ხელს კრავს თავისი კაბინეტის კარს.)* მობრძანდით...

ჯერ აბატი შედის, შემდეგ ქალიშვილი.

ბარუას სურს მათ მიჰყვეს, მაგრამ მოსამსახურე ქალი მტკიცე ნაბიჯით მიჰყვება თავის ქალბატონს, გზას არ უთმობს ბარუას და ოდნავ მხარსაც კი გაჰკრავს.

აბატი *(დინჯად)*: გამარჯობა, ჟან. თქვენი ქალიშვილი ჩამოგიყვანეთ... და ჟიული, ერთგული ჟიული... *(საეკლესიო ჟესტი)* ორივე ჩემი საუკეთესო მრევლთაგანია...

ბარუა მარისკენ წაიწევს, რომელიც გამართული, სახეალეწილი დგას. მომცრო ტანისაა, შავგვრემანი, ჯანსაღი პირისფერი... ბარუას თვალწინ მკაფიო სახება უდგება. სესილი ოცი წლის ასაკში!

მარი ხელს უწვდის, ბარუა ართმევს.

შემდეგ ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდება.

კარი იღება. შემოდის პასკალი თაიგულით. ჩერდება და მშვიდად იღიმება.

ბარუა: ყვავილებზე გავგზავნე... *(მარის)* მარტოკაცის ბინა ისეთი მოღუშულია.

ფეხზე დგანან, ერთმანეთის პირისპირ, ინერტულები. მარის თვალი დაუხრია. ჟიული თვალს არ აცილებს ბარუას. აბატი უკმაყოფილო იერით ათვალიერებს ოთახს.

ბარუა ხვდება, რომ ყოველგვარი მთელი ძალ-ღონის მოკრებით უნდა დაამსხვრიოს ეს დუმილი.

ბარუა *(მარის)*: გსურთ... თქვენი ოთახი გაჩვენოთ? *(ნაბიჯს გადადგამს კარისკენ და აბატს მოუტრიალდება.)* თქვენც ნამობრძანდით.

მისი მზერა ნიშნავს: ნამოდით, ნახეთ, სად იცხოვრებს, და იქაც გადაეცით...

აბატი მათ მიჰყვება.

ამ ნათელ ოთახში კიდევ უფრო უხერხულად გრძნობენ თავს, ვიდრე ნეიტრალური ფერებით გაწყობილ კაბინეტში; კვლავ ოთახის შუაგულში დგანან.

ბარუა უთავბოლოდ ლაპარაკობს.

ბარუა: აქ თქვენი ტუალეტია. აქ კი ოთახია... ჟიულისთვის. ხედავთ, არც ისე შორს იქნებით ერთმანეთისგან... *(პასკალს, რომელსაც ჩემოდნები შემოაქვს.)* ფანჯარასთან...

მისი სიხარული გაქრა, მეტი აღარ შეუძლია. მწარე გრძნობა იპყრობს... უნდა მორჩეს ეს ყველაფერი.

ბარუა *(მარის, რომელიც თვალს არიდებს)*: კეთილი, ახლა დაგტოვებთ... არა?... ალბათ, ბარგის ამოლაგება გენდომებათ...

აბატი: სხვათა შორის, მატარებელზე მაგვიანდება. ჩემო პატარავ, გემშვიდობებით.

კილო ნაზი და მტკიცეა. იგრძნობა განურჩევლობა ყოველდღიური ცხოვრებისადმი იმ კაცისა, ვინც სხვა ცხოვრებით

ცხოვრობს. თითქოს ამბობდეს: „მებრალებით, მაგრამ თქვენ თვითონ უხმეთ ამ განსაცდელს; და განა ღმერთი თქვენთან არაა?"

ბარუას აბატი თავის კაბინეტში შეჰყავს.

ხელები უცახცახებს; უკიდურესად დაძაბულია. ძალისძალად იღიმება.

ბარუა: რომელ საათზეა თქვენი...

აღარ შეუძლია დამთავრება. მძიმედ ჯდება მაგიდასთან, თავს ხელებში რგავს და მთელი სხეულით აკანკალებული ქვითინებს. ახალგაზრდა სესილის ეს აკვიატებული სახე... მისი ბავშვური თვალები, სავსე შიში... უეცრად უსაზღვრო სინაზე მოიცავს... ოჰ, თურმე რამხელა პასუხისმგებლობაა სხვა, ტანჯვისთვის განწირული, სხეულის შექმნა!

აბატი უდრტვინველად უყურებს, ხელებგადაჯვარედინებული, თითები ანაფორაში აქვს შეყოფილი. ის მოსეს მიერ დამსხვრეულ კლდეზე ფიქრობს; მაგრამ მისი თანაგრძნობა შეგნებულად თავდაჭერილია.

ბარუა დგება, თვალებს იმშრალებს.

ბარუა: მაპატიეთ... ყველაფერმა, ამან, შემძრა. ახლა ისეთი ნერვიული გავხდი... *(აბატი იღებს თავის ლოცვანს და ქუდს.)* მაშ, რომელ საათზეა თქვენი მატარებელი?

ორი საათის შემდეგ.

ბარუა არ წყვეტს ბოლთის ცემას ფანჯრიდან კარამდე და სახლის ყოველ გაფაჩუნებას აყურადებს.

მეტი აღარ შეუძლია. სწრაფი ნაბიჯით მარის ოთახისკენ მიდის.

სიჩუმე. აკაკუნებს.

რაღაც შეშინებული მოძრაობა კარს მიღმა.

მარი: მობრძანდით.

ბინდბუნდში ორი ფეხზე მდგარი ჩრდილი იხატება ფანჯრიდან შემოსულ ფერმკრთალ შუქზე. მათი სკამები იქვეა, შუა ოთახში, მიტოვებული უპატრონო ნივთები.

ბარუას გული ეკუმშება.

ბარუა: უშუქოდ რატომ ხართ?

ჩამრთველს ატრიალებს, და სახეზე ჟიულის მზერა ეხეთქება; ფსკვნილი ჰკიდია მკლავზე. მარი, თვალებდანითლებული, მზერას არიდებს და ხელით რაღაც ოდნავ შესამჩნევ მოძრაობას აკეთებს.

ბარუა: უკვე ამოალაგეთ ჩემოდნები? რამე ხომ არ გაკლიათ? *(ჟიულის)* პასკალი ყოჩაღი ბიჭია, სთხოვეთ ყველაფერი, რაც კი დაგჭირდებათ... ყველაფერს გააკეთებს, მოგემსახურებათ... *(მარის)* ჩემს კაბინეტში ხომ არ გავიდეთ სადილის დაწყებამდე? წამომყვებით?

მარი მორჩილად მიჰყვება.

ბარუა მოხედავს.

ბარუა: ისეთი განცდა მაქვს, თითქოს გილიოტინაზე მიმყავდეთ...

მარი გაღიმებას ცდილობს, მაგრამ ამ მოსიყვარულე ხმის გაგონებისას ტირილი მოუნდა.

კაბინეტში ბარუა ყველა შუქს ანთებს და მხიარულად მიუნევს სავარძელს მარის, რომელიც კიდეზე ჩამოჯდება.

ბარუაც მასავით უხერხულად გრძნობს თავს, – და სასაცილოდაც თავისი ასაკის გამო.

მარი – ვინრო, ოდნავ ამობურცული შუბლი. შავგვრემანებისთვის დამახასიათებელი კანის ფერი, გამჭვირვალე ვარდისფერი, უეცარი წამონითლება, ყვავილის სიცინცხალე. ღია ფერის თვალები, მკაცრი გამოხედვით, მონაცრისფრო-ცისფერი თვალები მოულოდნელია შავ წარბებს ქვეშ, წარბებს იგივე მორკალული ფორმა აქვთ, როგორიც მამამისისას. ნიკაპი მამაკაცურ ძლიერ ნებისყოფას ამჟღავნებს, მაგრამ დახვეწილი ცხვირი და მხიარული ბაგეები არბილებენ სახის მკაცრ გამომეტყველებას.

ჯანმრთელი და ამაყი ახალგაზრდობის ხიბლი.

ბარუა: კი, კარგად მესმის. ძნელი, ძალიან ძნელი უნდა იყოს ეს განშორება, პარიზი, ეს უცხო ბინა... და მეც... *(მარი გაუბედავი მოძრაობით გამოხატავს შეშფოთებულ პროტესტს.)* კი, კი, კარგად ვიაზრებ... აი, მეც თქვენ წინ ვდგავარ და აღარ ვიცი, როგორ გამოვთქვა, რასაც ვფიქრობ... *(მარი თავაზიანად ღიმება. ამხნევებს.)* და მაინც, თქვენ მოგივიდათ აზრად აქ ორი თვის გატარება... მე ვერასდროს გავბედავდი ამის მოთხოვნას... კეთილი, აი, თქვენ აქ ხართ და ხელს არაფერი გვიშლის კარგად და მეგობრულად ვიცხოვროთ... ასეა, არა?

მარი აშკარად თავს ძალას ატანს.

მარი: დიახ, დიახ, მამა.

ბარუა გაღიზიანებულად გაიფიქრებს: ისე მპასუხობს, როგორც აღსარებისას.

სახე სერიოზული უხდება.

ბარუა: არ ვიცი, საერთოდ არ ვიცი, რას გიყვებოდნენ ჩემზე...

ქალიშვილი ანაზდად წითლდება და ხელის მოძრაობით აპროტესტებს. ბარუა ეჯახება მზერას, რომელიც წინააღმდეგობას უწევს. განაგრძობს მეგობრული კილოთი.

ბარუა: ყოველ შემთხვევაში, რადგან მოინადინეთ... *(მის ხმაში კითხვა გაისმის.)* ...ჩემი გაცნობა, მე გადავწყვიტე ყველაფერი გულახდილად აგიხსნათ. მე, შესაძლოა, გამოუსწორებელ დამნაშავედ ვჩანვარ დედათქვენის და თქვენ წინაშე. მე თვითონაც მაქვს სასაყვედურო ჩემს თავთან, მაგრამ არის გასამართლებელი საბუთებიც და პირიქითაც ბევრია... თქვენ ძალიან ახალგაზრდა ხართ, მარი, ამ საკითხებში ჩასარევად. შეეცდები ყველაფერი დიდი სიფრთხილით და პატიოსნად მოგიყვეთ.

სიტყვაზე „პატიოსნად", მარიმ თავი ასწია.

პასკალი *(საზეიმო ხმით)*: მადმუაზელ, სადილი მზადაა.

მარი გაკვირვებული მოიხედავს.

ბარუა *(მომღიმარი)*: ხედავთ? მე აღარ ვითვლები... თქვენ ხართ ამ სახლის დიასახლისი. *(წამოდგება)* აბა, მაგიდასთან. ამ საღამოს, თუ ძალიან დაღლილი არ იქნებით, ამ ყოველივეზე ვისაუბროთ.

სადილის შემდეგ. ყინული გატყდა.

მარი პირველი შედის კაბინეტში და გახვეულ ყვავილებს ამჩნევს.

მარი: ოჰ, წყალში უნდა ჩაგვედო...

ბარუა *(პასკალს, რომელსაც ყავა შემოაქვს)*: პასკალ, მიეცით ყვავილები ჟიულს, ის მიხედავს...

მარი *(ცოცხლად)*: არა, არა, მომეცით... გაქვთ ასეთი დიდი ლარნაკი?

პასკალს შემოაქვს დიდი ლარნაკი; უყურებს, როგორ აწყობს თაიგულს და მომღიმარი ტოვებს ოთახს.

ბარუა: მარი, თქვენ პასკალი დაიპყარით.

მარი იცინის.

ბარუა: ყავა?

მარი: არა, არ ვსვამ.

ბარუა: კეთილი, მე დამისხამთ? თქვენ ხომ დიასახლისი ბრძანდებით. ნახევარი ფინჯანი... მხოლოდ ამდენის ნებას მაძლევენ ახლა... გმადლობთ.

ისე იცინიან, როგორც ორი ბავშვი დიდობანას თამაშისას.

ბარუა *(მეგობრული პირდაპირობით)*: იცით, მარი, რაც აქ ხართ, სულ ერთი და იგივე კითხვა მიტრიალებს: რატომ მოინდომა ჩამოსვლა?

სიჩუმე.

ბარუა *(თბილი ხმით)*: ჰო, რატომ მოინდომეთ?

მარი აღარ იღიმება. წარბშეუხრელად უძლებს ბარუას მზერას; შემდეგ თავს გაიქნევს. თითქოს ამბობდეს: „არა, ალბათ, უფრო მოგვიანებით... დღეს, არა..."

III

ექვსი კვირის შემდეგ.

„მთესველის" რედაქციაში, დირექტორის კაბინეტში.

რედაქციის მდივანი: ბ-ნი ბრეილ-ზეჟერის სტატია მასნავლებლებზე?

ბარუა *(საათს უყურებს)*: რამე სხვა გაუშვით.

დგება.

მდივანი: კი მაგრამ, უკვე ოთხი თვეა...

ბარუა *(ფეხზე მდგარი)*: წინააღმდეგი არ ვარ. მაგრამ ამ სახით ვერ გამოვაქვეყნებ... ბრეილ-ზეჟერი უნდა ვნახო...

მდივანი: კეთილი, ბერნანდენის სტატია?

ბარუა: იყოს, თუ გსურთ.

მდივანი: და კიდევ, მინდოდა მეთხოვა, მერლეს უნდა გავცეთ პასუხი.

ბარუა: ეგ არაა საჩქარო, ჩემო მეგობარო. ამ საღამოს დრო არ მაქვს. ხვალ შევხვდეთ.

იღებს ქუდსა და ლაბადას.

ორსეის სადგურთან გავლისას საათს ახედავს:

– ოთხს აკლია თხუთმეტი... ყოველდღე უფრო და უფრო ადრე ვბრუნდები... ბოლოს სახლიდანაც აღარ გამოვალ...

აღარ გამოვალ... არა! რადგან სამ კვირაში გაემგზავრება...

გულგამგმირავი წუხილი. ნაბიჯს უჩქარებს. წარმოიდგენს თავისი კაბინეტის კუთხეს, ლამპის შუქი ეფერება კეფას, შუბლი ჩრდილშია.

ელიმება მიმავალს.

– ისეა იქ მოკალათებული, როგორც საკუთარ სახლში! როგორი მტკიცე, თვითდაჯერებული და, ამავე დროს, მოკრძალებულია ეს პაწაწინა. და ყოველთვის იცის, რა უნდა... ჩემს პატივისცემას იმსახურებს. აქვს რაღაც საოცრად ჯანსაღი, არაჩვეულებრივად განონასწორებული; ბეჭედივით შეკრული, მთლიანი ბუნება აქვს.

არა, არ მაქვს მამის გრძნობა, მაგრამ მამობრივი გრძნობა მაქვს და ეს არაა ერთი და იგივე... მამა მიიჩნევს, რომ მას აქვს ავტორიტეტი, უფლება. არაფერი მსგავსი არ მაქვს. მე ორმოცდაათს გადავცდი, ის თვრამეტისაა. აი, სულ ესაა მამაშვილური ჩვენ შორის. რასაც მის მიმართ განვიცდი, არსებითად, სისულელეა, მაგრამ უფრო გრძნობისმიერი მისწრაფებაა, სიმპათიაა... შეყვარებულობაა... ჰო, რატომ უნდა გვეშინოდეს სიტყვების?...

კიბეზე მსუბუქად არბის. კმაყოფილი იმეორებს:

– სიმპათია... შეყვარებულობა...

პასკალის მრგვალი სახე.

ბარუა: პატარა ქალბატონი შინაა?

პასკალი: არა, პატარა ქალბატონი არ დაბრუნებულა.

იმედგაცრუება; შემდეგ მწვავე მწუხარება – სამ კვირაში ყველა დღე ასეთი იქნება.

მარი: გამარჯობა, მამა.

შემოდის მუქ ფერებში ჩაცმული, ავარდისფერებული ლოყებით, თვალანთებული.

ბარუა *(სიამოვნებით იღიმება)*: ასე გვიან დაბრუნდით დღეს...

უკვე ნანობს თავის ნათქვამს. შეამჩნევს ლოცვანის მოოქრულ ყდას, რომელსაც მარი ბუხარზე დებს, ქუდი რომ მოიხადოს.

მარი *(უბრალოდ)*: დღეს პირველი დღეა, რაც მზადებას შევუდექი...

რამდენიმე წუთის შემდეგ მარი შემოდის, ორი წლის „მთესველის“ შეკვრა შემოაქვს და სანერ მაგიდაზე დებს.

მარი: აი, დავამთავრე. ახლა რას მომცემთ, მამა?

ბარუა: არ ვიცი, რისი წაკითხვა გსურთ?

კილო მიანიშნებს: „კარგად იცით, რომ თქვენი კითხვისა არაფერი გამეგება“.

მარი *(მხიარულად)*: შემდეგი წლის ნომრები მომეცით.

ბარუა: ეს ნომრები გასული წლის დეკემბრამდეა. შემდეგ კი სულ რვა ნომერი გამოვიდა. *(თაროსკენ მიბრუნდება.)* აქ აწყვია. მაგრამ თუ მარტო ჩემი სტატიების წაკითხვას აპირებთ, ნუ აიღებთ, იანვრიდან აღარაფერი გამომიქვეყნებია. *(იცინის)* ხომ ხედებით, რატომაც?

მარი: მართლა გიშლით ხელს მუშაობაში?

ბარუა *(ღიმილით)*: არა, თქვენ არ მიშლით ხელს, ასე არაა... უბრალოდ, რაც აქ ხართ, ნაკლებს ვმუშაობ, სულ ესაა... სურვილი აღარ მაქვს...

უყურებს ქალიშვილს. მარი თითქოს სინდისის ქენჯნას განიცდის. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს მისთვის, წერს მამამისი თუ არ წერს? პირიქით, ბედნიერი უნდა იყოს, რომ ხელს უშლის ამ დაწყევლილი პროდუქციის შექმნას...

ბარუა *(მის გამგზავრებაზე ფიქრი კვლავ აეკვიატება)*: უნდა გითხრათ, თქვენ ჩემს ცხოვრებაში რაღაც ისეთი შემოიტანეთ, რაც ადრე არ მქონდა, რისი ფასიც არ ვიცოდი... ახლობელი ადამიანის გვერდით ყოფნის განცდა, სითბო და სიყვარული... მე იმ სიყვარულსა და სითბოზე ვლაპარაკობ, თქვენ მიმართ რომ ვგრძნობ... *(მარის რაღაცის თქმა სურს და წითლდება.)* იმას თქმა აღარ უნდა, თუ რამდენად მძიმეა ჩემთვის იმის გაფიქრება, რომ მალე უნდა დამტოვოთ, რამდენად მძიმე...

მარი *(თავაზიანად)*: დავბრუნდები...

ბარუა მადლობას უხდის დახანებული ღიმილით.

სიჩუმე.

ბარუა: მოგეჩვიეთ, მარი... მაგრამ მაინც გამოცანა ხართ ჩემთვის, ამოუხსნელი!

მარი წარბებს ჭმუხნის. თავდაცვისთვის მზადაა.

ბარუა *(ლოცვანზე მიუთითებს)*: ვგრძნობ, რომ აქაა ჩვენ შორის უფსკრული; ვგრძნობ ყოველ დილით, მესიდან დაბრუნებულს როცა გხედავთ... და, სხვა დროს, როდესაც აქ ხართ, ჩემ გვერდით, ეძებთ

„მთესველში" ყველაფერს, რაც კი დამიწერია, კითხულობთ ჩემს ნიგნებს, მთხოვთ ახსნა-განმარტებებს და წარბშეუხრელად მისმენთ, თითქოს გაინტერესებდეთ თავისუფალმოაზროვნეობა – მეჩვენება, რომ არც ისე შორს ხართ!... აჰ, მართალია, მართალი, მე თქვენი არ მესმის...

მარი ფეხზეა, ცალი მუხლით სავარძელს დაყრდნობია, ხელები ქვედაბოლოზე აქვს გადაჯვარედინებული, უსულოსავით დგას. მხოლოდ მზერა აქვს ცოცხალი. გადახედავს „მთესველის" ნომრებს, რომელიც ეს-ესაა შემოიტანა და უეცრად, თითქოს გადაწყვეტილება მიიღოო, სავარძელში ჯდება.

მარი: თავიდან ყველაფრის წაკითხვა მინდოდა...

ჩერდება. დამძიმებული ხმა გასცემს ამ ნორჩი, გამოუცდელი სულის მღელვარებას იმ საუბრის ნამოწყებისას, რომელსაც ასე გაურბოდა.

ბარუა მის ცისფერ თვალთა მზერას ეჯახება; ინტუიციურად გრძნობს, რომ სიტყვა იმიტომ შეწყვიტა, ღმერთისთვის შემნეობა ეთხოვა.

ცდილობს დაეხმაროს.

ბარუა: ის მაინც რომ გამაგებინა, რატომ გადაწყვიტეთ ჩამოსვლა?

მარი შეჰყურებს ფიქრიანი მზერით.

მარი: განსაცდელისთვის.

ბარუა არ მალავს იმედგაცრუებას. მარი წითლდება და თავს ხრის. მისი შუბლი ფარივითაა მომრგვალებული.

მარი *(სწრაფად)*: მამა, მონაზვნობა მინდა...

ბარუა შეხტება. მარი თავს სწევს.

მარი: მე ვიცოდი, რომ თქვენ დაკარგეთ რწმენა. მსურდა თქვენი გაცნობა, თქვენი ცხოვრებით ცხოვრება, თქვენი ნაშრომების შესწავლა, თქვენი გავლენის ზემოქმედება ჩემზე. ეს იყო საბოლოო გამოცდა ჩემი მოწოდების გზაზე... *(ამაყად)* და კმაყოფილი ვარ, რომ ჩამოვედი!

ხანგრძლივი დუმილი.

ბარუა *(პირქუში)*: მარი, მონაზონი გინდათ გახდეთ?

სახტად რჩება მისი უცნაური ლიმილით. სიხარულისგან განძარცვულ ბაგეთა შეთრთოლება; და, ამავდროულად, თვითდაჯერებული, უძრავი, ოდნავ ირონიული და თან ჩამქრალი და უსიცოცხლო მზერა.

ბარუა *(დაქანცული წევს ხელებს, მარის არ უყურებს)*: ამას ნამდვილად აღარ ველოდი... ვფიქრობდი: რატომ ჩამოვიდა-მეთქი; ათასნაირი აზრი მიტრიალებდა. ბოლოს ვთქვი: ჩემ მოსაქცევად ჩამოვიდა-თქო...

მარის კისკისი უტყდება, ნერვული, ბავშვური, ძალიან ცოცხალი.

ბარუა *(გაღიზიანებული)*: და ეს არც თუ ცუდი იქნებოდა მომავალი მონაზონისთვის!

მარი კვლავ სერიოზული ხდება. იღებს ლოცვანს, გადაფურცლავს და მამამისს უწვდის.

ბარუა *(კითხულობს)*: მე მსურდა ჩემნაირები ყოფილიყავით; მაგრამ თითოეულს განსაკუთრებული ნიჭი აქვს ღმერთისგან ბოძებული.

მარი *(მომღიმარი)*: ძალიან ამპარტავანი გგონივართ! ღმერთს თქვენი მოქცევა რომ სურდეს, დამხმარედ მე დავჭირდებოდი? ესე იგი, თქვენ მიმართ სხვა ჩანაფიქრი აქვს... *(თავს აქნევს.)* არა, არა, თითოეული ადამიანი იქ ეძიებს თავის საქმეს, სადაც შეუძლია. მე ბედნიერება მხვდა წილად იოლად და მარტივად მეპოვა. თქვენ, არა. მეცოდებით... *(ყოყმანობს.)* მე მხოლოდ თქვენი შებრალება შემიძლია, მამა... მაგრამ მცდელობა, რომ თქვენ მოგაქციოთ, თქვენ, არა!

ბარუა: და არ გეშინოდათ, თქვენი რწმენა რომ ჩემი გავლენის ქვეშ მოქცეულიყო?...

მარი თავს გაიქნევს.

მარი: უპირველესად, ვიცოდი, რომ თქვენი იდეები, როგორ ვთქვა... ამაღლებული იყო... ამის გამო ვერავინ გისაყვედურებთ...

ბარუა: საიდან იცოდით?

მარი: ვიცოდი.

ბარუა *(უცნაური ცნობისმოყვარეობით ატანილი)*: დედათქვენმა გითხრათ?...

მარი ანაზდად წითლდება და ოდნავ შესამჩნევად უქნევს თავს.

ბარუა აღარ აყინდება.

მიდის წიგნების კარადასთან, აღებს და ჩაფიქრებული რაღაც წიგნებს არჩევს.

ბარუა: მარი, წაკითხული გაქვთ ეს რვა სტატია: „რატომ არ უნდა გწამდეთ?“

მარი: დიახ.

ბარუა: და ეს: „დოგმა მეცნიერების პირისპირ?" ეს: „რელიგიათა წარმოშობის შედარებითი ანალიზი?"

მარი: დიახ.

ბარუა *(ხურავს კარადის შემინულ კარს)*: თქვენ ეს ყველაფერი ყურადღებით წაიკითხეთ – და გწამთ, რაც მანამდე გწამდათ და საჭიროდ არ მიიჩნიეთ, რომ...

უნდა თქვას: ... დაგერწმუნებინეთ, რომ მთელი ჩემი ცხოვრება და მოღვაწეობა, ყველა ჩემი ნაშრომი, მიმართული რელიგიის დასამარცხებლად უზუსტესი არგუმენტებით, უძლური აღმოჩნდა თქვენი ბავშვური რწმენის შესარყევად!

მაგრამ ჩერდება. მის მზერასა და ღიმილში სესილის ჯიუტ მზერასა და ღიმილს შეიცნობს.

მარი *(ცდილობს თავისი ფიქრი ჩამოაყალიბოს)*: კი მაგრამ, მამა, ჩემი რწმენის შერყევა სამეცნიერო მოსაზრებებს რომ შეძლებოდათ, მაშინ ის ნამდვილი რწმენა არ იქნებოდა...

მარი ილიმება, ამჯერად გულუბრყვილოდ. ბარუა ჩაწვდება მის ჭეშმარიტ ფსიქოლოგიურ ტიპს. ის ფიქრობს:

– რწმენა, რომელსაც სამეცნიერო მოსაზრებები ვერ არყევს... რისი თქმა სურს? რომ რელიგიური სირთულეები არ არსებობს მისთვის, რადგან რწმენა აპრიორი აქვს? ეს იმას ნიშნავს, რომ მან თავიდანვე თავისი რწმენა ყოველგვარ გონზე, მსჯელობაზე მაღლა დააყენა; და, თუნდაც მსჯელობები მის გონებას შეეხონ, მისი რწმენა ამაზე მაღლაა, მიუწვდომელია!

ეს ბავშვობაა... და შეუვალია!

ბარუა *(ტკბილად)*: და ეს რწმენა, მარი, რაზე ხართ ასე მტკიცედ დაყრდნობილი?

მარი მთლიანად იკუმშება, მაგრამ პასუხს თავს არ არიდებს.

მარი: მამა, როცა იმას განიცდი, რაც მე განვიცადე... არ ვიცი, როგორ გითხრათ... თვით ღმერთის თანაყოფას... ღმერთისა, რომელიც სულში გეჭრება, რომელიც სიყვარულით, ბედნიერებით გავსებს... აჰ, როცა ამას განიცდი, თუნდაც ერთხელ სიცოცხლეში, ყოველგვარი მსჯელობები, რომლებიც თქვენ იმისთვის ააგეთ, რომ თქვენი სული არაა უკვდავი, რომ ის არაა ღმერთის ნაწილი – ყველა თქვენი მსჯელობა, მამა... *(სუვერენის ღიმილი...)*

ბარუა არ პასუხობს.

ფიქრობს:

– რაც მე განვიცადე... ამაზე ვერაფერს ეტყვი, ვერაფერს გაანყობ, ვერასდროს ვერაფერს გააწყობ!

რამენაირად რომ შემეძლოს ეს გამოუსწორებელი გადაწყვეტილება შევაცვლევინო...

ბარუა: დედათქვენი გამხნევებთ ამ გზაზე შემდგარს?

მარი ჯიუტი და გულნატკენი გამომეტყველებით ხრის თავს.

ბარუა *(გაოგნებული)*: როგორ? ჯერ მისთვის არაფერი გითქვამთ?

მარი არ პასუხობს.

ბარუა: კი მაგრამ, რატომ? გგონიათ, შეგეწინააღმდეგებათ?

სიჩუმე.

ბარუა: აი, საუკეთესო გაფრთხილება, განცხადება, ის თვით თქვენშია... როგორ ძლიერიც უნდა იყოს თქვენი შემონაზვნების სურვილი, თქვენვე ხვდებით, რაოდენ წუხილს მიაყენებთ თქვენი გადაწყვეტილებით და ვერც კი ბედავთ...

მარი *(მზადაა იტიროს)*: რაღა ახლა უნდა მივაყენო ეს ტკივილი? მებრალება დედა. არასდროს ყოფილა ბედნიერი...

სწრაფად ლაპარაკობს, დაუფიქრებლად. წითლდება. ბარუა, მგონი, ვერ ხვდება. მისკენ იხრება.

ბარუა: მარი, მისმინეთ... თქვენთან კამათი არ მინდა; საერთოდ თქვენს რწმენას არ ეხება. თქვენ ჩემს სტატიებში ყველა არგუმენტი ამოიკითხეთ, რაც კი შემეძლო წარმომედგინა; მათ თქვენ ვერ [illegible] მუნეს – ნულარ ვილაპარაკებთ ამაზე...

(ღრმა ამოოხვრა) ხედავთ, როგორც თავისუფლადმოაზროვნე არ გელაპარაკებით... მხოლოდ ორმოცდაათი წლის კაცივით გელაპარაკებით, საღად მოაზროვნე კაცივით, რომელსაც ბევრჯერ უნახავს, როგორ იცვლება იდეები ერთი ცხოვრების განმავლობაში! ოცი წლის ასაკში, სამუდამოდ რაიმეში ჩართვა, სამუდამოდ შებოჭვა... რა სიგიჟეა! მარადიული ფიცი! დაფიქრდით ყველაფერზე, რაც კიდევ შეიძლება თქვენში მოხდეს და რაზეც ახლა წარმოდგენაც კი არ გაქვთ, ყველაფერზე, რაც ასაკმა, განსჯამ, გარემოებებმა შესაძლოა შეცვალოს...

მარის ჟესტი, რომელიც ამბობს: ოჰ, მე ჩემს თავში დარწმუნებული ვარ!

ბარუა: სხვამ რომ არაფერმა, მარტო თქვენმა მემკვიდრეობამ უნდა შეგაშფოთოთ! ყველა ინსტინქტი, რომელმაც მე გამათავისუფლა, თქვენი ასაკის რომ ვიყავი, თქვენშია დაბუდებული, და რაც

უნდა გააკეთოთ, ისინი თქვენში არიან მიძინებულნი, მიმქრალნი და ერთ დღეს შეიძლება უეცრად ზედაპირზე ამოტივტივდნენ და თქვენი ცხოვრება დაანგრიონ, გადააბრუნონ!

ხედავთ მარი, როგორ შეგიძლიათ ამტკიცოთ, რომ ეჭვი არასოდეს შეგეპარებათ? შეგიძლიათ თქვათ, რომ არასდროს გაგჩენიათ ეჭვი? ჩაიხედეთ თქვენს სულში... შეუძლებელია, რომ აქამდე... *(„მთესველის" შეკვრებზე მიუთითებს.)* არავითარი, არავითარი ეჭვი არ შეგპარვიათ?

მარი: არავითარი, გეფიცებით... არასდროს.

თვალები გულწრფელად უბრწყინავს. ბარუა მდუმარედ აკვირდება.

დუმილი.

მარი: არა, ეს ქვეყანა ძალიან ცარიელია... არაფერია დიადი, არაფერია მარადიული...

ბარუა: ფიქრობთ, რომ ამ ქვეყნად არაა ადგილი იმ გულისთვის, ვინც სიდიადეს ესწრაფვის?

მარი დიდხანს შესცქერის პატივისცემით, თანაგრძნობით.

მარი: დიახ, მამა, მე ხშირად მიფიქრია თქვენზე, მას შემდეგ, რაც აქ ვარ... თქვენ არ გერგოთ ღვთის წყალობის შეცნობის ბედნიერება... თქვენ ვერ შეიგრძენით, რა არის ღვთის თვალი, და მაინც, თქვენ კეთილი და სამართლიანი ხართ. მაგრამ რამდენი ტანჯვა-წვალება უნდა გადაგეტანათ ამისთვის! რამდენად უფრო იოლია იყო კეთილი ღვთის სიყვარულის გამო!

ბარუა: ნუთუ გჯერათ, რომ ყველა ამქვეყნიურ ვალდებულებაზე, შრომაზე უარის თქმა და ერთხელ და სამუდამოდ სამონასტრო წესებს დაქვემდებარება უფრო მეტია, ვიდრე ვაჟკაცურად იმ ტვირთის ზიდვა და დაკისრებული ვალის აღსრულება, იმ გზით სიარული, რომლითაც ყველა მიდის? რაც თქვენ გსურთ, ეგ ფიქრისა და ქმედების მკვლელობაა!

მარი *(ულიმის თავის ოცნებას)*: თავის შეწირვა...

ბარუა: აჰ, რა არის ეგ თავის შეწირვა, – იმ ცხოვრების ზღურბლზე, რომელიც ყველა ადამიანის ცხოვრებასავით მძიმე იქნებოდა, – თუ არა გაქცევა ელემენტარული მოვალეობებისაგან? და ნუ დაიქადნით მორჩილებით! ეს ტკივილგამაყუჩებელივითაა, რომელიც იმ ტკივილს აყუჩებს, თვითონვე რომ გამოიწვია. თქვენ ახალგაზრდა, გულმხურვალე, ჭკვიანი ხართ, და თქვენ ჭვრეტით ცხოვრებას მიელტვით, რომელიც არარსებობას ჰგავს? ნუთუ ეს თქვენთვის ღირსეულია?

მარი: თქვენც სხვებივით ლაპარაკობთ; თქვენ ვერ ხვდებით... *(მოგონებები ეგზალტაციაში ვარდება)* მე რჩეული ვარ. და ეს ვალდებულებებს მაკისრებს... ყველა არაა მონოდებული, მაგრამ ვინც ღმერთმა ამოირჩია, უკანმოუხედავად უნდა შეუდგნენ მის გზას. ისინი ყველას ცოდვას გამოისყიდიან, ვინც ისე ცხოვრობს, რომ ღმერთს უმცირეს ნაწილს უძღვნის... და იმათ ცოდვებსაც, ვინც ღმერთს არაფერს უძღვნის...

ბარუა *(მკვახედ)*: ჩემი ცოდვების გამოსყიდვა გსურთ?

მარი: მე არ გთხოვთ გამიგოთ, მამა...

დიახ, ეს აღთქმა გამოისყიდის ჩვენი ოჯახის გარკვეულ შეცოდებებს, ცოტათი გამოასწორებს... იმას, რაც თქვენი ნიგნებით ჩაიდინეთ... *(ნაზად)* და, ვინ უწყის, რომ ღმერთმა არ ისურვა ეს მოწოდება, მსხვერპლი იმ სულის სანაცვლოდ, რომელიც მშვენიერია, ძალზე მშვენიერი, და რომელიც, უამისოდ, დაწყეველილი იქნებოდა?

მისი მზერა პიტალო, მტკიცე ხდება, სადაც სხვისი მზერა, კითხვა თუ ეჭვი ვეღარ შეაღწევს.

ბარუა ფიქრობს:

– რა რელიგიაა ასეთი, რომელსაც ძალუძს ადამიანთა გონება ასე განაშოროს რეალობას და იმ არარეალურში ჰყავდეს!

და თან არაფერს ეყრდნობა... უბრალო საღი გონებაც კი შეძლებდა მასზე უპირატესობის მოპოვებას, ადამიანთა სულები საუკუნეების განმავლობაში რომ არ ყოფილიყვნენ წინასწარვე მომზადებულნი ამ უდრტვინველი მსახურებისთვის...

ის ნელ-ნელა მზადდება ბავშვის სულში, ნელ ცეცხლზე შემოდგმული აღეგზნება კატეხიზმოს კითხვით, აინთება მწველი ზიარებით... და ხელოვნური სითბო იმ ხარისხამდე ადის, რომ შეიძლება მთელი ცხოვრება გაათბოს!

და აქ იპოვა მარიმ ის სულიერი წონასწორობა, რომელსაც აღფრთოვანებაში მოვყავარ, მას შემდეგ, რაც გავიცანი?

რამდენი წლის, რამდენი მოჭოჭმანე თაობის შემდეგ მოიტანს სამეცნიერო ჭეშმარიტება ამგვარ, სრულ სიმშვიდეს?

ალბათ, არასდროს...

IV

ბატონ მარკ-ელი ლიუსს,

ოტეი.

ჩემო ძვირფასო მეგობარო,

დღეს კრებაზე ვფიქრობდი თქვენთან შეხვედრას და თქმას, რომ სააღდგომო შვებულებით სარგებლობას და თხუთმეტი დღით გამგზავრებას ვაპირებ. იმდენი საქმე მაქვს მოსაგვარებელი პარიზიდან გამგზავრებამდე, რომ ვეჭვობ თქვენთან გამომშვიდობება მოვახერხო.

მაგრამ იმდენი სათქმელი მაქვს თქვენთვის. ამ ბოლო კვირებში მოულოდნელი და ძალიან უსიამოვნო ემოციები გადავიტანე.

ჩემს ქალიშვილს შემონაზვნება სურს...

იოლად წარმოიდგენთ, რა განვიცადე. ვერაფერ საეჭვოს ვერ ვამჩნევდი. პირიქით, ინტერესმა, რომელსაც ის ჩამოსვლიდანვე იჩენდა ყველაფრის წაკითხვისადმი, რაც კი კათოლიციზმს აკრიტიკებს, ცრუ იმედები გამიჩინა. ამაზე უკვე გესაუბრეთ. ძალიან ვცდებოდი. რელიგიურმა გრძნობებმა მასში ისეთი ფორმა მიიღო, რომელიც მას მოუნყვლადს ქმნის ჩვენი მსჯელობებისთვის. ვფიქრობ, მისი მტკიცე, გაბედული და ინტუიციური ბუნება იტანჯებოდა პროვინციული ცხოვრებით და ამისგან თავი დაიცვა ღრმა შინაგანი ცხოვრებისთვის თავის მიძღვნით. ეკლესიის დოგმატური რელიგია მისთვის მხოლოდ ჩარჩოა, განსაზღვრული, მაგრამ საკმაოდ ფართო ჩარჩო, რომელშიც მისი პირადი გრძნობები გადაჭარბებულად განვითარდა; და დღეს მის გრძნობაზე დოგმა კი არ ბატონობს, არამედ მისი ნორჩი სულის სპონტანური სწრაფვა დაუსაბამოსადმი – და ილუზია, რომ ის მასთან წილნაყარია!

უეჭველია, რომ სულიერი სიჯანსაღე და ნათელი გონება, რომელიც მას აქვს, შეძლებდა მისი ბავშვური რწმენის განვითარებას, მას რომ დოგმებისთვის იგივე მნიშვნელობა მიენიჭებინა, რასაც რელიგიურ გრძნობებს ანიჭებს. მაგრამ ეს ასე არაა. მისტიკური მდგომარეობა, რომელსაც მან დღეს მიაღწია, არის იმდენად ავტორიტარული, რომ უნერგავს სულიერი სამყაროს აბსოლუტურად ურყევ რწმენას.

ჩვენთვის, ვინც მიჩვეულნი ვართ ჩვენი გრძნობების გონებისთვის დაქვემდებარებას, მიუწვდომელია ამგვარი რწმენა. მარიმ შეიგრძნო

ღმერთთან შეხება და თანაზიარობა, და ჩვენ განიარაღებულნი ვართ ამ ტიპის თვითშთაგონების წინაშე ისევე, როგორც უძლურნი ვართ ხოლმე ავადმყოფის წინაშე, რომელსაც ვერ ვარწმუნებთ მისი ჰალუცინაციების არარეალურობაში. ვერაფერი დაარწმუნებს მარის, რომ ის ზებუნებრივი სამყარო, რომელსაც იგი თავის საუკეთესო ნაწილს უძღვნის (მისი ექსტატიური ბუნება რეალურად აღაქმევინებს ამ სამყაროს), მხოლოდ მირაჟია, მისი მგრძნობიარე წარმოსახვის ცრუ ნაყოფია, ჯადოსნური ზღაპარია, რომელსაც უკვე წლებია თავის თავს უმეორებს.

ძვირფასო მეგობარო, ვიცი საქციელს არ მომიწონებთ, მაგრამ ამ გამოუვალი მდგომარეობის პირისპირ დარჩენილს, თქვენ მიერ მოცემული რჩევა, – რომ ბავშვის მცდარი შეხედულებები ნელ-ნელა ჩამენაცვლებინა ჭეშმარიტების უხვი მტკიცებულებებით, – უნაყოფოდ მეჩვენა. ორი რამ დავინახე – არ შემიძლია მისი გადარწმუნება და თან რამხელა ძალას იღებს ის ამ თავის მოტყუებით. დავრწმუნდი, რომ ის რელიგიისგანაა გამოძერწილი რელიგიისთვის... ასეთი ძლიერი ერთობლიობის წინაშე უკან დავიხიე... ამგვარი რწმენა, ცხადია, სიცრუეა, მაგრამ ადამიანური ბედნიერებაცაა. მისი ბედნიერება! თქვენ მამა ხართ, – უფრო მეტად, ვიდრე მე – და, ალბათ, გამიგებთ. ადრე ვიტყოდი: ჭეშმარიტება უპირველეს ყოვლისა, თუნდაც ტანჯვის ხარჯად! დღეს არ ვიცი, დღეს იგივეს თქმა აღარ შემიძლია. ვდუმვარ, და მგონია, რომ დუმილით, ჩემი დარდისა და ვარამის მიუხედავად, მეტ სიყვარულსა და სითბოს ვაძლევ, ვიდრე მაშინ მივცემდი მისი ცხოვრების ძვირფასი და იდუმალი მიზნის დანგრევა რომ მეცადა.

სააღდგომო არდადეგების მასთან ერთად გატარების უფლება მოვიპოვე. მისი მოულოდნელი გამოჩენა ჩემს ცხოვრებაში, მისი ჩემთან ჩამოსვლა, ჩემთვის ძალიან საამური და უცხო რამაა და მინდა ის ლამაზი ოცნებასავით დავასრულო ყვავილებისა და სინათლის ქვეყანაში მოგზაურობით.

ზეგ იტალიის ტბებზე მივემგზავრებით.

წინასწარვე ვიცი, თუ დაბრუნებისას რა მწარე იქნება მარტოობა. ამაზე ფიქრი არ მინდა. მაშინ დამჭირდება თქვენი თანადგომა და ვიმედოვნებ უარს არ მეტყვით. მხოლოდ ეს ფიქრი მიმსუბუქებს უკან მარტო დაბრუნების სიმძიმეს.

ნახვამდის, ჩემო დიდო და ძვირფასო მეგობარო. გულთბილად გართმევთ ხელს.

ბარუა

V

პალანცაში.

აპრილი. საღამოს ექვსი საათი.

ბრტყელძირა ნავი წყალზე.

მარი და ბარუა უკან სხედან ქალაქს ზურგშექცეულები, რომლის ხმაურიც მათ ვეღარ წვდება.

მათ გარშემო ტბა ოდნავ ირხევა. ნავი ნელა და რბილად მიცურავს ერთდროულად ძლიერ და შეფარულ ნაცრისფერ შუქში. მთვარე ისე მაღლაა ცაზე, რომ მის დასანახად უკან უნდა გადააგდო თავი; მისი ბურუსიანი სხივი ანათებს მდუმარე, მქრქალ სივრცეში ჩაკარგულ ნავს.

წინ მენიჩბის ტორსი იხრება და იმართება; მისი პერანგი და შარვალი ორ გადღაბნილ, მჭახე ფერის ლაქას ქმნის; სახე, ხელები და შიშველი ფეხები ჩამუქებულია, როგორც ნმინდანებისა ხატებზე.

ბარუას ფიქრი მომავალ განშორებას ვერ სცილდება...

უკანთავგადაგდებული მარი, დროსა და სივრცეს მოწყვეტილი, თავის სულს ცისა და წყლის დინებაში ადნობს, თითქოს აღარაფერი იყოს მასსა და ღმერთს შორის.

უეცრად, სან ჯიოვანის კუნძულიდან ამოსუნთქვასავით მოვარდება ვარდის, ლევკოიონის, ირისის, ლიმონის, ევკალიპტის სურნელი. ბარუას ხელი მარის ხელს ეძებს; უკანგადაწოლილ მარის შიშველი ხელი წყალში აქვს ჩაშვებული და ტალღებს აყოლებს; გრილი წყალი გარს ევლება მათ ხელებს.

შვიდჯერ ჩამოჰკრავს სამრეკლოს ზარი, მეორე ნაპირზე ექო მძიმედ, უროს დარტყმასავით იმეორებს მას.

პალანცასკენ ბრუნდებიან.

ჟიული სახლის ზღურბლთან ელოდებათ ორი დეპეშით ხელში.

ქ-ნი პასკელენი გარდაიცვალა.

იმავე საღამოს ცხრა საათი.

ბარუას ბარგი უკვე შეუკრავს, თავის ოთახის აივნის მოაჯირზეა იდაყვებით დაყრდნობილი.

მის წინ მარგალიტისფერი ტბა გადაშლილა. ქვემოთ – მოედანი. უწესრიგო ცხოვრება, სიმღერა, ორკესტრი, ტრამვაის საყვირი, ბაზრობის ხმაური.

დიდი განათებული ორთქლმავლიდან ჭიანჭველებივით გადმოდიან მგზავრები.

– საბრალო პატარა... თხუთმეტი დღე, რომელიც მე მომიძღვნა... აჰ! რა მარტოდმარტო ვრჩები...

ორთქლმავალი ერთბაშად ჩაქრება. ის იყო ბნელი და აქაიქ შუქი გამოსჭვიოდა; ახლა მოთეთროა და შავი ხვრელებით დასვრეტილი, როგორც მიტოვებული კარკასი. მძიმედ ირხევა პატარა ტალღებზე და მცირეოდენი შემორჩენილი სიცოცხლე საკვამურიდან ხამუშ-ხამუშ ამოსული კვამლითღა ეტყობა.

ბიუიში.

მიცვალებულისთვის ღამის თევა. ორი სანთელი; საწოლი; მონაზვნების თავსაბურავები. დიდხანს დაჩოქილი ყოფნით გასავათებული სესილი სავარძელში მიწოლილა. დაწითლებული ქუთუთოები ნახევრად მოუხუჭავს, ფიქრი მარისკენ გაურბის:

– დილით აქ იქნება, მარტო აღარ ვიქნები...

მაგრამ, სულის კუნჭულში მისი ფიქრი ასეთია: დილით აქ იქნებიან...

და ახსენდება ყველაფერი, რაც ჟანზე გაიგო თავისი ქალიშვილისგან, ჟიულისგან. სახეზე ხელს გადაისვამს.

– შეცვლილი მოვეჩვენები...

თვრამეტი წელია აღარ უნახავს და ანაზდად, ოცდაათი წლის, გაფურჩქვნის ასაკში მყოფი, ჟანის სახე ამოუტივტივდება გონებაში...

სწრაფად წამოდგება; და გარდაცვლილის საწოლთან დასაჩოქად ბრუნდება, სხვა რამეზე რომ აღარ იფიქროს.

ბიუიში ჩამოსვლის შემდეგ ბარუა სასტუმროს ოთახიდან არ გამოსულა.

ნესტი, მხრებზე რომ აწვება, თითქოს კედლებიდან ნისლივით მოჟონავს.

მთელი დღე ბუხართან ზის, აციებს, ლოყები ახურებული აქვს, ხელში მარის ბარათს ატრიალებს:

ძვირფასო მამა,

წესის აგება ხვალ დილით იქნება, მაგრამ დედამ გთხოვათ არ დაეს-წროთ. დედა მადლიერია, რომ მის მწუხარებას იზიარებთ და მთხოვა თქვენთვის გადმომეცა, თუ ხვალ კიდევ იქნებით ბიუიში, მოხარული იქნება პირადად გადაგიხადოთ მადლობა იმისთვის, რაც ჩემთვის გაა-კეთეთ. ექვს საათზე მობრძანდით, სხვა აღარავინ იქნება.

გკოცნით მწუხარედ,

მარი

მოსაღამოვდა, ბარუა ვეღარ ძლებს და გარეთ გადის.

ჯერ ქალაქის ქვედა ნაწილისკენ მიდის, თითქოს იმ ადგი-ლებს გაურბოდეს, საითაც გული მიუწევს. ქუჩებში საღამოს მშვიდი ცხოვრებაა; იგივე დახლები, ნახევარი საუკუნის წინაც რომ შეხვდებოდით; მოჯაყჯაყე ომნიბუსის იგივე ღრჭიალი; იმავე აბრებს იმავე კუთხეებში ახეთქებს ქარი... არაფერი შეცვლილა!...

ახლა ეკლესიისკენ ადის. არ ახსოვდა, თუ ასეთი დამრე-ცი აღმართი იყო. აქოშინებული, გულაძგერებული ჩაუვლის მღვდლის სახლს, თავის ქუჩაზეა...

ქუჩა ცარიელია. ცივი ქარი უბერავს, როგორც ყოველთვის. ბარუას ბებიის სახლი... ერთი მეორის მიყოლებით ოთახის ფან-ჯრები. აი, მისი საძინებლის ფანჯარა; აი, იმ ოთახის ფანჯარა, სადაც მამა გარდაიცვალა... ჭიშკარი. წარნერა ჭიშკარზე: „ქი-რავდება." და, გვერდით აღმართული ჩაშავებული სამრეკლო.

შემდეგ, რამდენიმე ნაბიჯში, პასკელენების სახლი.

სესილი იქაა მარისთან ერთად... მარიმ ახლა აქ უნდა იცხოვ-როს!

დარაბებიდან სინათლე გამოკრთის: მიცვალებულთან სან-თელი ანთია, ალბათ...

შეშდება ბავშვობის მოგონებებით ატანილი...

სამრეკლოს საათი... ეღიმება; თვალზე ცრემლი ადგება.

შეუბრალებელი ჩრდილოეთის ქარი უბერავს; აცახცახებუ-ლი იწევს იტალიური ლაბადის საყელოს.

შემდეგ აძაგძაგებული ბრუნდება სასტუმროში. ბუხარი ჩამქრალია. უნთებენ. ბარუა ფეხებს უძლური ცეცხლისკენ ჭიმავს. წარსული ცეკვავს ცეცხლის ალში, აბატი ჟოზიე, სესილი, ნიშნობა...

– სულელივით დავქორწინდი!...

სიცივისგან, კაეშნისგან კანკალებს. მოგონებები თრგუნავს.

– ძნელია ცხოვრება...

მეორე დღეს, საღამოს ექვს საათზე.

ბარუას სიცხე აქვს, ახველებს და მაინც მიდის პასკელენების სახლის დახურულ კართან.

იგივე ზარი, მოსამსახურის იგივე ხის ქოშები ქვაფენილზე. პროვინციული სიტყვა ადგება ენის წვერზე, სახლის წესჩვეულება...

პატარა სასტუმრო ოთახში შავით მოსილი სესილი ზის ლამპის ჭაღის ქვეშ; წინ სამძიმრის დეპეშები უდევს.

ბარუამ ძლივს იცნო, ამიტომაც გრძნობს თავს აქ ასე უცხოდ.

ბარუა: მონანილე ვარ თქვენი მწუხარების...

სესილი დგება, უყურებს. ასეთ გამხდარს არ მოელოდა და კიდევ რაღაც უცხო აბნევს მის გარეგნობაში.

სესილი: გმადლობთ, ჟან.

სესილი ხელს უწვდის. ჟანი თავაზიანად ართმევს, როგორც პანაშვიდისას.

ჟანი გაოცებულია, რომ სესილი ასე ძლიერ შეცვლილა; არც დაფიქრებულა, რომ სესილიმაც იგივე თვრამეტი წელი, დღე დღე მიყოლებით მასავით გაიარა. მაგრამ მაინც ისაა, სესილია – ამობურცული შუბლი, ოდნავ გაელმებული მზერა, ოდნავ შესამჩნევი ჩლიფინი... სულ ცოტა ხნის წინ ვერც კი წარმოედგინა, როგორი იქნებოდა სესილი, ახლა კი ეჩვენება, რომ სხვაგვარად ვერ დაჭკნებოდა.

მარი დუმილს არღვევს.

მარი: ამ სავარძელში დაბრძანდით, მამა.

სესილი *(ჯდება)*: მადლობას გიხდით მარის მიღებისთვის, არაჩვეულებრივად დახვდით და ძალიან დიდი ყურადღება გამოიჩინეთ მის მიმართ... გმადლობთ.

ბარუა *(დაუფიქრებლად)*: სამადლობელი არაფერია. ეს აბსოლუტურად ბუნებრივი იყო.

ნამსვე წითლდება.

ბარუა: დედათქვენი გარდაცვალებისას საღ გონებაზე იყო?

სესილი: არა. პირველი შეტევის შემდეგ იმდენჯერ ეზიარა... მაგრამ ბოლო დღეს, აღარაფერი გაეგებოდა, დამბლამ დარია ხელი. *(ტირის)* ვეღარავის ცნობდა.

ეს მტირალი ხმა კაცში მოულოდნელ გამოძახილს პოულობს.

მარი: დედიკო, მამას ბებიას უკანასკნელი ფოტო უნდა ვაჩვენოთ?

სესილი ჟანს გადახედავს, რომელსაც თავი ჩაუხრია.

სესილი *(ყოყმანით)*: კი, თუ გინდა, შვილო.

მარტო რჩებიან.

ეს პირისპირ დარჩენა ამ სიტუაციაში... მათი მზერა ერთმანეთს ხვდება, ერთმანეთს გაურბის. ორივე, ქვეშეცნეულად, ელის სიტყვას – მობოდიშების, მეგობრობის სიტყვას...

მაგრამ კარი იღება. მარი კვლავ მათ შორისაა.

წუთი გავიდა, ჩაიარა.

ახლა შეუძლიათ ერთმანეთს დაშორდნენ. აღარაფერი აქვთ ერთმანეთისთვის სათქმელი.

VI

პარიზი, 25 აპრილი.

მე ვწერ მადმუაზელს, რათა ვაცნობო, რომ დაბრუნების შემდეგ ბატონი ძლიერ ავადაა პნევმონიით. იმდენად დასუსტებულია, რომ თითქმის აღარ ლაპარაკობს. დღეს დილით ექიმი კვლავ მოვიდა და კიდევ ორი სხვა ექიმი მოიყოლა თან; დიდხანს დაყოვნდნენ ბატონთან; მითხრეს, რომ სანიტარს გამოგზავნიან ღამის სათევად და მკითხეს, ბატონს თუ ჰყავს ოჯახი.

მგონია მართებულად ვიქცევი, ამის შესახებ მადმუაზელს რომ ვატყობინებ,

თქვენი ერთგული მსახური,
პასკალი

ორი დღის შემდეგ. საღამოს.

მარი ექიმთან ერთად ბარუას საძინებელ ოთახშია.

სესილი შემოსასვლელში სკამზე ზის. აღარაფერი აკავებდა ბიუიში, მოინდომა შვილს პარიზში გამოპყოლოდა. მაგრამ ავადმყოფობის მძიმე მდგომარეობის შემხედვარე მარი მამამისთან გადმოსახლდა. და დაბნეული სესილი ახლომდებარე პანსიონის ოთახში აღმოჩნდა გამოკეტილი, საიდანაც მხოლოდ ავადმყოფის ამბების მოსაკითხად გამოდის.

ექიმი გამოდის ავადმყოფის ოთახიდან, უკან მარი მოჰყვება.

მარი: მალე დაბრუნდით, ექიმო, მარტო ნუ დაგვტოვებთ...

სახე მწუხარებისგან აქვს შეშლილი. დედას ეხუტება ქვითინით.

სესილი კითხვის დასმას ვერ უბედავს.

მარი: შუადღის შემდეგ საშინლად შეიცვალა. ექიმი ვეღარაფერზე იღებს პასუხისმგებლობას. კიდევ ერთი კონსილიუმის მოწვევას ითხოვს, ამ საღამოსთვის. სხვათა თანხმობის გარეშე კიდევ ერთი ფუნქციის გაკეთებას ვერ ბედავს...

სესილი *(განადგურებული ხმით)*: წვალობს?

მარი: ცოტა ნაკლებად. *(ქვითინით)* სანიტარი ამბობს, რომ ეს ცუდი ნიშანია... აჰ, მომეშვით, უკეთ ვარ, როცა ვტირი! საშინელებაა... ახლახან ორჯერ დამიძახა... თქვენი სახელიც წარმოთქვა, ორჯერ...

დუმილი.

მარი *(უცაბედად)*: დედა, შედით, ნახეთ...

სესილი არ ეწინააღმდეგება; ეს ხომ ბოლოჯერ იქნება, სიკვდილი უკვე სახლშია შემოსული. გულგახეთქილია იმ გარდაუვალობის წინაშე, რომელიც მათ მარადიულ განშორებას დაასვამს ბეჭედს.

არასდროს ასე მტკივნეულად არ განუცდია თავისი დანაშაული. კვეთს კაბინეტს, ცდილობს არაფერს შეხედოს; შედის საძინებელში; ხედავს საწოლს, მომაკვდავ სახეს.

ჟანი თვალს ახელს, ცნობს და სულაც არ უკვირს მისი აქ ყოფნა. სესილი მის ხელს იღებს, სურს ეამბოროს. მაგრამ ჟანი მიიზიდავს, წამოიწევს, თვალებში ღრმად ჩასქერის, უიმედოდ.

ბარუა: სესილი, იცი, ვკვდები...

სესილი თავს აქნევს, მთელ ნებისყოფას იკრებს, რომ არ აქვითინდეს.

სანიტარი უახლოვდებათ პატარა ქილებით ხელში.

პასკალს ავადმყოფის სხეული უჭირავს. მარი ბამბის საფენებს გადასწევს. სამივე დახრილია ავადმყოფისკენ. სესილი თვალს მოჰკრავს ფერგამკრთალ სხეულს.

უკან იხევს. ის აქ მხოლოდ სტუმარია, სამგლოვიარო პირბადით, შავი ხელთათმანებით. უსაზღვრო სევდა იპყრობს, ითრგუნება...

კართან მიდის, უკანასკნელად მოხედავს საწოლს და ქვითინით გარეთ გავარდება.

სამი კვირის შემდეგ.

ბარუა თავის კაბინეტშია, წევს საბანგადაფარებული. შეშფოთებით უყურებს მის წინ მდგარ ბრეილ-ზეჟერს.

ზეჟერი: ... ჩვენ, ყველა, იქ ვიყავით...

ბარუა: ვინ ხელმძღვანელობდა სამგლოვიარო რიტუალს?

ზეჟერი: კრესტეის მამა, პოლკოვნიკი.

ბარუა: აჰ, მამა ჰყავს კიდევ ცოცხალი? არასდროს უთქვამს...

ზეჟერი: მის ცხოვრებაში ყველაფერი საიდუმლო იყო.

ბარუა: და ვერ გაიგე, რა უნდოდა ჟენევაში?

ზეჟერი: ვერა, ვფიქრობ, უბრალოდ თავის მოსაკლავად წავიდა. ლოგიკურად აქამდე უნდა მისულიყო... *(პაუზა)* გულშემზარავი დეტალები. ყველაფერი დაწვა, რაც კი მისი ამოცნობისთვის შეიძლებოდა გამომდგარიყო, ულვაშიც კი მოიპარსა, ვაგონში! პოლიცია ოთხ დღეს მოუნდა მისი პიროვნების დადგენას... ჰა, როგორია? ეს აკვიატებული აზრი, არა მარტო სიკვდილისა, არამედ უკვალოდ გაქრობისაც...

ბარუა *(ცრემლით სავსე თვალებით)*: ეჰ, ჩემო საბრალო მეგობარო, ცხოვრება რომ...

არ ამთავრებს წინადადებას. ბრეილ-ზეჟერი არაფერს პასუხობს; თავისი ყვითელი თვალებით პლევრიტის გამანადგურებელ შედეგებს წონის.

ბარუას შავი გრუზა თმა ჰქონდა, რამდენიმე დღეში ბევრი დასცვივდა, გაუჭაღარავდა. თვალები ჩასცვივდა, გამოხედვა დაღლილი, ქუთუთოები დამძიმებული აქვს; სხეული შეზლონგზე დევს. ხელები უღონოდ უდევს.

ბარუა *(სევდიანი ღიმილით)*: გამოცვლილი გეჩვენები?

ზეჟერი *(ხმადაბლა, კუშტად)*: ჰო.

დუმილი.

ბარუა: ძალიან, ძალიან დამაგდო ავადმყოფობამ...

ბრეილ-ზეჟერი ცივად შესცქერის, არაფერს პასუხობს. შემდეგ წასასვლელად დგება.

ზეჟერი: ვოლდშმუტმა ითავა ნეკროლოგის დაწერა. ვეტყვი, მოგიტანოს.

ბარუა: არა, ჯერ არაფრის თავი არ მაქვს. შენ თვითონ გადანყვიტე... წასვლამდე „მთესველის" ტომს ხომ ვერ მომაწვდი?... 1900 წლის მეორე სემესტრისას... გმადლობ.

მარტოდ დარჩენილი ავადმყოფური რუდუნებით ფურცლავს გაზეთის შეკვრას. ბოლოს პოულობს სტატიას, რომელზე ფიქრიც აკვიატებია; თვალს ავლებს; შემდეგ ნელა კითხულობს ბოლო გვერდს:

„რატომ უნდა გვეშინოდეს სიკვდილის? განა ის ასე განსხვავდება სიცოცხლისაგან? ჩვენი არსებობა მუდმივი გადასვლაა ერთი მდგომარეობიდან მეორეში. სიკვდილი, მხოლოდ ერთ-ერთი ტრანსფორმაციაა. რატომ უნდა გვეშინოდეს მისი? რა არის საშინელი იმ ნამიერი შეკავშირების გაწყვეტაში, ჩვენ რომ ვართ? რატომ უნდა გვეშინოდეს ჩვენი ელემენტების არაორგანულ გარემოში დაბრუნებისა, რადგან იმავდროულად ჩვენი არაცნობიერში დაბრუნებაც გარანტირებულია?

პირადად ჩემთვის, – მას შემდეგ, რაც გავიაზრე, რომ არარა მელის, – სიკვდილის პრობლემა აღარ არსებობს. მეტიც... მსიამოვნებს... ფიქრი, რომ ჩემი პიროვნება არაა მარადიული... და რწმენა იმისა, რომ ჩემი ცხოვრება ზღვარდადებულია... საშუალებას მაძლევს განსაკუთრებული გემო ჩავატანო მას"...

წიგნს ხელიდან მუხლებზე იგდებს. განადგურებულია იმით, რისი დაწერაც გაუბედავს, ადრე, როდესაც არ იცოდა...

პასკალი კარს აღებს.

სესილი შემოდის, უკან მარი მოჰყვება.

მარი: დღეს როგორ ხართ, მამა?

ბარუა: უკეთ, უკეთ... გამარჯობა, სესილი. გმადლობთ, ჩემს სანახავად რომ მოხვედით.

მარი მისკენ იხრება. ბარუა კოცნის, ულიმის და ეუბნება.

ბარუა: ავადმყოფობა გვასწავლის, თუ რაოდენ გვჭირდება სხვები...

სესილი სავარძლის კიდეზეა ჩამომჯდარი. დღის შუქი ძალუმად სცემს. ბარუა ამჩნევს მის აღელვებულ სახეს.

მარი ფეხზეა, ფანჯარასთან; მასაც ნამტირალევი სახე აქვს.

მარი *(პასუხობს ბარუას შეკითხვიან გამოხედვას)*: მამა, დედას ველაპარაკე ჩემს რელიგიურ მოწოდებაზე... ვუთხარი, რომ თქვენ დამთანხმდით...

ბარუა *(ცოცხლად)*: მე, მარი?... კი მაგრამ, მე რა მქონდა დასათანხმებელი!

სესილი მოტრიალდება.

სესილი: თქვენ მარის გეგმები ჩემზე ადრე შეიტყვეთ, ჟან, როგორ მოხდა, რომ არ გადაათქმევინეთ?

მარი *(დაჟინებით უყურებს ბარუას)*: თქვით, მამა, ყველაფერი, რასაც ფიქრობთ!

ბარუა თავს ძალას ატანს აზრის მოსაკრებად.

ბარუა *(სესილის)*: მე მას ჩემი მოსაზრებები ვუთხარი. ასეთი მოწოდება ჩემთვის ძალიან უცხო და გაუგებარია... მაგრამ დავრწმუნდი, რომ მარი ისეა თავდაჯერებული თავის არჩევანში... და, უპირველესად, ისე ბედნიერია...

მეტის თქმა აღარ შეუძლია ძველი ჭრილობების გაუხსნელად, რომელთა ნაიარევებსაც ახლა პატივს სცემს; და სევდით შეჰყურებს ცოლსა და ქალიშვილს, რომელნიც ერთმანეთის გამო იტანჯებიან.

მარი ისევ ფეხზეა; მზერადაბინდული; შუბლდაძაბული, როგორც ჩანს, თავში ერთი სურვილით გაქვავებული ფიქრი აქვს.

ბარუას თვალწინ სახე უდგება, სესილი მათი გაშორების წელს...

და ახლაღა შენიშნავს, რაოდენ შეცვლილა სესილი. სადღაა მისი სიჯიუტე, სადღაა მისი გულქვაობა. ტკივილი მაჯისცემასავით ფეთქავს... ცრემლი მოედინება მის ღაწვებზე. საზარელი ბრძოლა გლეჯს მის სულს. დედობრივი ინსტინქტი ამბოხებულა რწმენის წინააღმდეგ. მას უმძიმს შვილის დათმობა, თუნდაც ღმერთისთვის.

სესილი *(გულზე გახეთქილი)*: აჰ! თქვენ დაუთმეთ, თქვენ რა გენაღვლებათ, თქვენთვის ეს არ იქნებოდა ძნელი! თქვენთვის სულერთი არაა ჩემთან ერთად იქნება ბიუიში თუ მონასტერში?... *(ენას*

უკიდებს.) კი მაგრამ მე?! ასე მარტო დარჩენილმა რა უნდა ვქნა, ის თუ ნავიდა?...

მარის უნებურად აღშფოთებული ხელის მოძრაობა დასცდება; ხან დედას შეჰყურებს, ხან მამას...

ორივე მიხვდა და ორივემ პირი იბრუნა.

დუმილი.

კრიტიკული ასაკი

Nostra vita a che val?
ლეოპარდი.[1]

I

თვრამეტი თვის შემდეგ.

„მთესველის“ რედაქციაში, ხუთშაბათი, დირექტორის მიღების დღე.

ბარუა თავის კაბინეტშია პორტალთან ერთად.

პორტალი: თქვენ სულ უფრო და უფრო ცოტას წერთ, თითქმის აღარაფერი ქვეყნდება თქვენი.

ბარუა: მართალია, მაგრამ არც ისე თვითდაჯერებული ვარ, რომ ეს ნამდვილი მიზეზი მეგონოს... მით უფრო, რომ „მთესველი“ განახლდა და რამდენიმე ახალგაზრდა, პირველი კლასის ჟურნალისტი გვყავს.

პორტალი: ეშმაკმა დალახვროს, თქვენ წინააღმდეგაა ახლა დარაზმული ახალი რეაქცია. ყველა სფეროში ერთნაირი უკანდახევაა.

ბარუა შემცივნული უახლოვდება ბუხარს და ჯდება აგიზგიზებულ ცეცხლთან მხრებჩამოყრილი, მუხლებზე იდაყვდაყრდნობილი.

ბარუა: მოდაში აღარ ვართ; ყველაფერი იცვლება, ეს ბუნების კანონია. ჩვენი დრო მოვჭამეთ... *(ცეცხლს ხელებს უშვერს.)* მე თვითონაც, ახლა რომ ვწერ, ძველებური უშუალობა აღარ მაქვს! იგივე რწმენას ვდებ ნაწერში, მაგრამ, როგორ გითხრა... ჩემდაუნებურად, გულწრფელობა, ჩავლილი დროის გავლენით, რაღაც ნასწავლ, შეჩვეულ ხერხად, რაღაც იარაღად იქცა...

[1] ჩვენი ცხოვრება მიედინება ამ ხეობაში? – ჟაკომო ლეოპარდი (1798 – 1837). იტალიელი პოეტი

პაუზა.

პორტალი *(გამხიარულებული)*: და თქვენი გამოკვლევა ახალგაზრდობაზე? იმედი მაქვს, არ მიგიტოვებიათ.

ბარუა: არა, დღესაც მყავს ერთი მოწვეული ამ საკითხთან დაკავშირებით. *(დაღლილი)* მაგრამ, ალალად რომ გითხრათ, არ უნდა წამომეწყო ეს საქმე. ახალგაზრდები გამოცანები არიან ჩემთვის. აი, თვეზე მეტია ხელი არ მიხლია ამ სტატიისთვის...

ისიც მართალია, რომ ახალ ბინაში გადასვლის გამო ბევრი საქმე მივუშვი.

პორტალი: დალაგდით უკვე?

ბარუა *(მოღუშული)*: თითქმის...

(მიდის ფანჯრისკენ.) ხედავთ, იქ ზემოთ, სამ ფანჯარას?... დიდი არაა, მაგრამ მივეჩვევი. ჩემი ძველი ბინა მართლა ძალიან დიდ ტვირთად მექცა. *(ღიმილით)* ვერ მიდის საქმეები ბრნყინვალედ...

(მოჩვენებითი კმაყოფილებით განაგრძობს თავისი პირადი ცხოვრების დეტალების მოსაუბრისთვის გაზიარებას.) მაგრამ, საბოლოოდ, ბედი მქონია, რომ ეს ვიპოვე ამ სახლში. წვიმიან ან თუნდაც ნესტიან დღეებში იძულებული ვიყავი სახლში გამოკეტილი დავრჩენილიყავი. ახლა კი ზემოდან, ხომ გესმით... თუ თბილად ჩავიცვამ... ყველანაირ ამინდში შემეძლება აქამდე ჩამოსვლა...

პორტალი *(კარისკენ მიდის)*: კარგი, ერთ საღამოს შემოგირბენთ; ვიმუსაიფოთ...

ბარუა: ჰო, კარგი იქნება, როგორც ძველად...

მარტოდდარჩენილი ცეცხლს უყურებს. შემდეგ დგება, ეძებს ფურცლებს საქაღალდეში და მაგიდას მიუჯდება.

რამდენიმე წუთი.

რაღაცას ჩხაპნის არეებზე. უეცრად დებს ფურცლებს და რეკავს.

ბარუა *(ბიჭს)*: ნახეთ, თუ შეიძლება, ბ-ნი დალიე თუა რედაქციაში?

ცოტა ხნის შემდეგ შემოდის ოცდახუთი წლის ახალგაზრდა.

დალიე – დაბალი, მოკლეფეხება, მაგრამ მხარბეჭიანი; ძლიერი თავით. თეთრი და გამხდარი პირისახე, სუფთად გაპარსული. თხელი, ოდნავ დამცინავი ტუჩები. პენსნე.

ბარუა ერთს შეხედავს და სავარძელზე მსუბუქად გადაწვება.

ბარუა: ეს-ესაა თქვენს სტატიას გადავხედე, ჩემო მეგობარო. არ ვარგა, მაგრამ სულ... *(დალიეს მოძრაობა)* მე არ ვამბობ, რომ ცუდადაა დაწერილი, მაგრამ ამგვარად ვერ დაიბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

დალიე ფეხზე დგას. გაოცებული, თავშეკავებული.

ბარუა რამდენიმე ფურცელს არჩევს და უწვდის.

ბარუა: აი, აიღეთ... თუ ეს თქვენი პირადი რელიგიური გრძნობის კონცეფციაა, მით უარესი თქვენთვის. „მთესველი" ამას ვერ დაბეჭდავს.

დალიე: მაგრამ, ბატონო, ვერ გავიგე; ბატონმა ბრეილ-ზეჟერმა მითხრა, სწორედ ამ სტილში დამეწერა...

ბარუა *(მოულოდნელად უხეშად)*: ბ-ნ ბრეილ-ზეჟერს უფლება აქვს, როგორც უნდა ისე განიხილოს ეს საკითხი! მაგრამ ჟურნალის დირექტორი მე ვარ. და, ახალი წესების დამყარებამდე, არ დავუშვებ, რომ ჟურნალში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ასე შეზღუდული... სექტანტური სტატია დაიბეჭდოს!

სახე წამოუჭარხლდება, შემდეგ გაუფითრდება.

სიჩუმე.

დალიე უკან გადადგამს ნაბიჯს წასასვლელად.

ბარუა შუბლზე გადაისვამს ხელს და ანიშნებს, დაჯექიო.

ბარუა *(სასაუბროდ განწყობილი ხმით)*: იცით, დალიე, თქვენ აფუჩეჩებთ რეალობას, რეალობის რაღაც ნაწილს... ეს ძალზე ხელსაყრელია.

მეც, მთელი ცხოვრება, გავყვიროდი რელიგიების მარცხის შესახებ, და, ვფიქრობ, რომ კიდეც მივიღე ამაში მონაწილეობა ჩემი სფეროდან... მაგრამ ვაცხადებდი დოგმატური რელიგიების კრახს და არა რელიგიური გრძნობებისას. *(ყოყმანობს)* და თუ ვურევდი ხოლმე ამ ორ ცნებას ერთმანეთში, რაც სავსებით შესაძლებელია, მხოლოდ იმის გამო, რომ მაშინ არ მესმოდა რელიგიური გრძნობების თვისობრივი ხასიათი, რომ თავისი ბუნებით ის არ ექვემდებარება კრიტიკული აზროვნების ქმედებას. *(თვალებში შეჰყურებს დალიეს.)* რელიგიათა დოგმატური ფორმა, აი რა არის არად ჩასაგდები; მაგრამ რელიგიური გრძნობები არსებობს, და მისი უარყოფა დიდი სისულელეა, დამიჯერეთ, ჩემო მეგობარო. მე ამის თქმის უფლება მაქვს, რადგან მე ჩამიდენია... როდესაც ხელოვნების რომელიმე ფორმა ქრება, ამის გამო თვით ხელოვნება ხომ არ ქრება, არა? და აქაც ზუსტად ასეა.

დალიე დუმს, მაგრამ მისი გამომეტყველება ამბობს, რომ

სრულიად საპირისპირო აზრი აქვს ამ საკითხის შესახებ.

ბარუა: ჯერ ერთი, თქვენ ძალიან ახალგაზრდა ხართ ამგვარი საკითხების განსახილველად. თქვენ ეს-ესაა გადაიტანეთ პირველი კრიზისი და შეაბიჯეთ სრულ, შეუზღუდავ თავისუფლებაში...

დალიე: არავითარი რელიგიური კრიზისი არ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში აქამდე და ვფიქრობ, შემიძლია მქონდეს პრეტენზია, რომ არც იქნება.

ბარუა უნდობლად იღიმება.

დალიე *(უკმაყოფილო)*: გარწმუნებთ, ბატონო, არ მესმის, რისი თქმა გსურთ. მე დაბადებიდანვე ათეისტი ვარ. ჩემი მამა-პაპანი ათეისტები იყვნენ. ჩემს გონებას არასდროს უბრძოლია ჩემს გრძნობებთან. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ცა ცარიელია; როგორც კი ფიქრისა და განსჯის ასაკი დამიდგა, მივხვდი, რომ მიზეზები და შედეგები ერთმანეთისგან ბრმად, უმიზნოდ იბადებიან და სამყაროში არაფერს შეუძლია გვავარაუდებინოს, რომ არსებობს რაღაც წარმმართველი ძალა, არც პროგრესი... ეს მხოლოდ მოძრაობის სახეებია. სულ ესაა.

ბარუა *(ყურადღებით შეხედავს)*: შესაძლოა, მართლა არსებობდნენ რელიგიურ გრძნობებს სრულიად მოკლებული ადამიანები, როგორც მაგალითად, დალტონიკები... მაგრამ, ცხადია, ისინი გამონაკლისები არიან. მათ მაგალითზე განზოგადებას ვერ მოვახდენთ. და, თუ თქვენ უარყოფთ ყოველგვარ რელიგიურ გრძნობას, მაშ რატომღა ლაპარაკობთ მასზე? რის თქმას შეძლებთ? თქვენს ლოგიკას მიჰყავხართ გადაწყვეტილებებამდე, რომლებიც მარტივი, რაციონალური და საბოლოო გეჩვენებათ; და მაინც, გარწმუნებთ, რომ ყველა რელიგიური გრძნობით დაჯილდოებული ადამიანი მათ უკუაგდებს, როგორც აბსოლუტურად არასაკმარისს შინაგანი ცხოვრების ასახსნელად!

დალიე: მაგრამ, ბატონო, თქვენ ოცჯერ მაინც ჩემი თანდასწრებით ამტკიცებდით...

ბარუა *(შეფიქრიანებული)*: კარგი, კარგი, შესაძლებელია. მაგრამ დღეს, გეუბნებით, დოგმები ძირფესვიანადაც რომ ამოიძირკვოს, რელიგიური გრძნობები გადარჩება. სხვა ფორმას მიიღებს. მიმოიხედეთ თქვენ გარშემო. ვერანაირმა განსჯითმა ძალისხმევამ ვერ შეარყია იგი, პირიქით! რელიგიური გრძნობა ერში გავიდა, ახლა ის ყველგანაა! ადამიანთა უფლებების დაცვის, უკეთესი სოციალური მდგომარეობის შექმნის, ქონებისა და ადამიანთა შორის უფლება-მოვალეობების

უფრო განონასწორებული გადანაწილების ყველა მცდელობაში, მთელ მსოფლიოში ერთი კიდიდან მეორემდე! გულმოწყალება, იმედი და რწმენა... და ეს სწორედ ისაა, რისკენაც მივილტვი მას შემდეგ, რაც რელიგიისგან გავთავისუფლდი, თუმცა იგივე ტერმინებს არ ვიყენებ. და რა? სიტყვებში ხომ არაა საქმე? რა მიმიძღვის მალულად მე სიკეთისკენ, თუ არა ჩემში შემორჩენილი რელიგიური გრძნობა, რომელიც რწმენაზე ძლიერი აღმოჩნდა? და საიდან მოდის თითოეულ ჩვენგანში თვითდახვენის ერთი და იგივე პრინციპი?

არა, არა, ადამიანის ცნობიერება რელიგიურია თავისი არსით. ეს ფაქტად უნდა მივიღოთ... რაიმეს რწმენის მოთხოვნილება! ეს მოთხოვნილება ისეთივეა, როგორც სუნთქვის მოთხოვნილება.

(ამჩნევს, რომ დალიე მზადაა შეაწყვეტინოს.) **თქვით!**

დალიე: სწორედ მაგ მოთხოვნილების სახელით ხდებოდა ყოველთვის ცრურწმენა, შეცდომა, ლეგიტიმური!

ბარუა კარგა ხანს უყურებს, თითქოს ჭოჭმანობს.

ბარუა: და თუ ზოგიერთი შეცდომა... სასარგებლოა, სულ მცირე, ადამიანთა საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობისთვის... განა ეს შეცდომები... ჩვენი, ადამიანური, გადმოსახედიდან... განსაკუთრებით არ დაემსგავსებიან ჭეშმარიტებას?...

დალიე *(ოდნავ შესამჩნევი ღიმილით)*: ვაღიარებ, ბატონო, გაოცებული ვარ, რომ თქვენ იცავთ ადამიანის შეცდომაში ყოფნის უფლებას.

ბარუა მაშინვე არ პასუხობს.

ბარუა *(წინ იხრება, დალიეს არ უყურებს)*: იმიტომ, ჩემო მეგობარო, რომ შევიგნე, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ, რომელთაც უყვართ და რომელნიც უყვართ და მათთვის შეცდომა ჭეშმარიტებაზე ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ეს შეცდომა მათი ნაწილი ხდება, ცხოვრების ძალას აძლევს, მაშინ, როცა ჭეშმარიტებას მათი მოკვლა შეეძლო, ხმელეთზე ამოგდებული თევზივით... და, ჩვენ არ გვაქვს უფლება, ამ ადამიანებს... არა, არ გვაქვს უფლება...

ის თავს სწევს და დალიეს მზერას აწყდება.

მიყურებთ? მიყურებთ და ფიქრობთ: „ჰოო, პატრონის საქმე ნამდვილად წასულია..." *(გულგრილი ღიმილი)* რა ვიცი, შეიძლება მართალიც ხართ.

ჭეშმარიტება, დიახ... მაინც ჭეშმარიტება! გონების დიდი მობილურობა მაშინაა, როდესაც გონება ახალგაზრდაა. მოგვიანებით თვით-

დაჯერებულობას კარგავ. უშვებ დროებითი, ინდივიდუალური შეცდომების შესაძლებლობას; მკაცრ სამართლიანობას მოთმინებასა და პატიებას არჩევ...

დრო.

რას იზამ? დაბერებისას გარემოებანი ძველი შეხედულებების გადახედვას გაიძულებენ... ოცდაათი წელი მიყოლებით იშრომებ, ილვაწებ, ცხოვრება უფრო სრულყოფილი, უფრო ჰარმონიული რომ გახადო და მერე შეამჩნევ, რომ საბოლოოდ დიდი ვერაფერი გაგიუმჯობესებია და დაგიხვეწია... ხანდახან კითხვაც კი გიჩნდება: პრაქტიკაში ახალი განა ყოველთვის სჯობს ძველს?... ჰოდა, აღარ იცი... და აი, ასე ვარდები წინააღმდეგობაში შენს ნათქვამთან. როდესაც გულწრფელი ხარ, როდესაც ამ წლების განმავლობაში რეალობის გრძნობა შეითვისე, შეუძლებელია მხოლოდ ლოგიკური იყო...

დალიე *(მკაცრად)*: იმის თქმა ხომ არ გსურთ, რომ ადამიანს არ შეუძლია ბოლომდე მარტოოდენ გონებას რომ დაეყრდნოს?!

ბარუა კარგა ხანს უყურებს, მდუმარედ.

ბარუა *(უყურადღებოდ)*: მეც ვყოფილვარ ახალგაზრდა... ახალგაზრდობაში სულ მოძრაობ, წინ მიიწევ, რაღაცისკენ მიილტვი... იმ მომენტამდე, როდესაც მიხვდები, რომ ყოველივეს დასასრული ექნება... ამ წუთიდან! ოჰ, წინასწარი გაფრთხილება დასასრულამდე ბევრად ადრე მოდის, უამრავი დრო გაქვს შესაჩვევად... თავიდან ვერ ხვდები, რა არის ეს; შემდეგ თვითდაჯერებულობა იკლებს, გატაცება დუნდება და თავს ეკითხები: „რა მჭირს"? და მერე, წყნარად, ნელ-ნელა გრძნობ, რომ უკან და უკან იხევ... და წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელია!

ამ წუთიდან, თქვენ ნახავთ, ჩემო კარგო, რა სხვანაირად შეხედავთ ბევრ რამეს...

ძალით ილიმება...

დალიე გრძნობს, როგორ უჩუხჩუხებს ახალგაზრდული სისხლი. სპორტული სურვილი იპყრობს, ამ მოცახცახე ხელებს გამოსტაცოს ჩირაღდანი!

დალიე *(ცოცხლად)*: რაც უნდა მითხრათ, თქვენი დღევანდელი შეხედულებების მიხედვით ჩემი სტატიის შეცვლის ვერავითარ საშუალებას ვერ ვხედავ.

მოსამსახურე ბიჭი ბარუას ვიღაცის სავიზიტო ბარათს გადასცემს.

ბარუა: დამელოდოს, დავრეკავ.

დრო.

დალიე: მთელი სამუშაო თავიდან მექნება გასაკეთებელი. *(მტკიცედ.)* ვეღარ შევძლებ.

ბარუა, დაბნეული, თითებით სავიზიტო ბარათს ათამაშებს. შემდეგ დალიეს მოუტრიალდება, დაღლილი.

ბარუა: კეთილი, როგორც გინდათ, ისე მოიქეცით.

დალიე გადის. ბარუა ბუხარს უახლოვდება, ნაკვერჩხლებს მისწევ-მოსწევს და რეკავს.

უეცრად მხრებს იჩეჩავს – რა სისულელეა... მტკიცედ უნდა შევწინააღმდეგებოდი.

ბიჭს ორი ოციოდე წლის ახალგაზრდა შემოჰყავს.

ბარუა: ბატონი დე გრენვილი?

გრენვილი: მე გახლავართ, ბატონო. ნება მიბოძეთ, ჩემი ამხანაგი მორის ტიიე, ეკოლ ნორმალის სტუდენტი, წარმოგიდგინოთ.

დე გრენვილი – გამხდარი, საშუალო ტანი, ელეგანტური უბრალოება. თხელი, არაფრით გამორჩეული სახე. ტიპური ფრანგი. პატარა ქერა ულვაში. გულწრფელი, მტკიცე მზერა. ბაგეებზე – თვითკმაყოფილი ირონია. მთლიანობაში, რელიგიური სასწავლებლის კარგი მოსწავლისთვის დამახასიათებელი თავშეკავებულობისა და თვითდაჯერებულობის ნარევი პირველ ავანტიურამდე.

ტიიე – მაღალი, ჩაფსკვნილი, ცოტა მოუხეშავი.

ფართო სახე, ყავისფერი, ცოცხალი, გამჭოლი თვალები; დიდი ცხვირი, მსხვილი ტუჩები, შავი მეჩხერი წვერი. ლაპარაკის დაწყებამდე ღონიერ ხელებს ჯიბეში იწყობს, როგორც კი ლაპარაკს იწყებს, ხელები გაუცნობიერებლად ამოაქვს იქიდან.

გრენვილი: წერილი, რომელიც თქვენი გამოკითხვის პასუხად მიიღეთ, ერთად დავწერეთ.

ბარუა: დაბრძანდით, ბატონებო. მადლობას გიხდით, რომ შეწუხდით და მობრძანდით. *(გრენვილს)* როგორც მოგწერეთ, განზრახული მაქვს თქვენი ნაშრომი in extenso დავბეჭდო. ის ყველაზე უფრო საინტერესოა, რაც კი აქამდე მივიღეთ. მაგრამ, რადგან მე უნდა დავურთო

კომენტარი... *(მომლიმარი)* ... კრიტიკული კომენტარი, ძალზე მოხარული ვარ, რომ თქვენთან გასაუბრების შესაძლებლობა მეძლევა.

(ტიიეს) მაშ, ეკოლ ნორმალში სწავლობთ?

ტიიე: დიახ, ბატონო. მეორე კურსზე გადავედი.

ბარუა: ბუნებრივია, ფილოლოგიის ფაკულტეტზე ხართ. არა?

ტიიე: მეცნიერების ფაკულტეტზე.

ბარუა *(გრენვილს)*: და თქვენ, ბატონო, თუ არ ვცდები, ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ემზადებით?

გრენვილი: არა, ბატონო. მხოლოდ ლიცენციანტი ვარ. ახლა სამართალს ვსწავლობ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ბოლო კურსს გავდივარ.

ბარუა საწერი მაგიდიდან საქაღალდეს იღებს და ფურცლავს. თავს ძალას ატანს, ყურადღება რომ მოიკრიბოს.

ბარუა: უპირველესად, არის თქვენს პასუხში რაღაც, რამაც, ვაღიარებ, უსაშველოდ გამაოცა. აშკარად გამოხატული ზიზღი უფროსი თაობის ადამიანებისადმი, რაც უნდა ჰქონდეთ ნაღვაწი და გაკეთებული. დამიჯერეთ, ამ ჩემს შენიშვნაში არაფერია პირადული, უბრალოდ თქვენმა მიდგომამ გამაოგნა. რადგან ეს მხოლოდ ახალგაზრდული უზრუნველობა არაა. თქვენს ქედმაღლობაში არის რაღაც კარგად მოფიქრებული, გადაწყვეტილი, წინასწარ განზრახული. *(მომლიმარი)* ჩვენც ვიყავით ჩვენს სიმართლეში დარწმუნებულნი, მაგრამ, მგონი, უფრო მეტად ვცემდით პატივს ჩვენს წინამორბედებს. ჩვენ გვქონდა, – როგორ ვთქვა? – რაღაც რიდი, თავმდაბლობა; ან, უფრო სწორად, იმის შეგნება, რომ, შესაძლოა, შევმცდარიყავით... თქვენ კი, პირიქით, დარწმუნებულნი ჩანხართ, რომ მხოლოდ და მხოლოდ თქვენ წარმოადგენთ საღად მოაზროვნე ახალგაზრდობის ნაწილს...

და მაინც, სათქმელი და საკამათო ბევრია! რადგან, სხვა თუ არაფერი, ნაციონალიზმი, რომელსაც თქვენ ქადაგებთ, არსებითად ანომალიაა; ეს არაა ხალხის ბუნებრივი მდგომარეობა; ეს საბრძოლო მზადყოფნაა, თავდაცვის დემონსტრირებაა!

გრენვილი *(ახალგაზრდული, ცოტა ჩახრენნილი ხმა)*: სრული სიმართლეა! სამწუხარო ისაა, რომ საფრანგეთი ახლა იძულებულია იმ თესლის თავიდან მოსაშორებლად დაძაბოს ძალები, რომელიც მისთვის, შესაძლოა, მომაკვდინებელი შეიქნას; სწორედ ასე იქცევა ძლიერი ორგანიზმი, რომელშიც უცხო სხეული იჭრება.

ბარუა: და რა თესლია ასეთი?

გრენვილი *(შემტევი)*: ანარქია.

ჩუმდება, მაგრამ ყოველგვარი შეტევის მოსაგერიებლად მზადაა.

ბარუა უდრტვინველად შესქერის.

გრენვილი *(ოდნავ ილიმება)*: თქვენ ხომ ვერ უარყოფთ, ბატონო, რომ ჩვენი ქვეყანა ნამდვილი ანარქიის მსხვერპლია? მოზომილი, უხმაურო, მაგრამ განზოგადებული და პროგრესულად დესტრუქციული ანარქიისა... ამის მიზეზი არაა საიდუმლო: როდესაც ქვეყანამ ტრადიციული რწმენა დაკარგა, მოსახლეობის უმრავლესობამ ამავე დროს დაკარგა შეფასების საზომი, თავისი წონასწორობის აუცილებელელი ელემენტი.

ბარუა: მაგრამ თქვენ რასაც ანარქიას უწოდებთ, უბრალოდ ერის ინტელექტუალური სიცოცხლის ნიშანია! აღარაა დოგმები არც რელიგიაში და არც მორალში. მორალური კანონი მხოლოდ სოციალური ჩვევებისა და ადათების ერთობლიობაა; ეს ერთობლიობა თავისი ბუნებით წარმავალია, იმისთვის, რომ შენარჩუნდეს მისი პრაქტიკული ღირებულება, ის საზოგადოების განვითარებასთან ერთად უნდა ვითარდებოდეს, მაგრამ ეს განვითარება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ საზოგადოებაში არის მარცვალი – საფუარი, რომელსაც თქვენ ანარქიას უწოდებთ, ურომლისოდაც ვერავითარი პროგრესი ვერ აფუვდება.

ტიიე: თუ თქვენ პროგრესად უთავბოლო ნახტომების თანმიმდევრობა მიგაჩნიათ!

ბარუა: ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლები უეცარი და უხეში იმიტომ არის, რომ რომ მათმა სიხშირემ იმატა! ადრე მორალის ცვლილებას ერთი საუკუნე სჭირდებოდა; ახლა ერთი თაობა ჰყოფნის. ეს ფაქტია და ამას უნდა შევეგუოთ.

მცირე დუმილი.

ახალგაზრდები ერთმანეთს თვალს უყოფენ.

ტიიე: ჩვენ ნაკლებად გვიკვირს, რომ თქვენში ანარქიის დამცველი აღმოვაჩინეთ. თქვენ, თქვენი თაობის დარად, რევოლუციონერ მწერალთა ნაწარმოებებზე ხართ აღზრდილი, რომლებიც ყოველგვარი სტაბილურობის წინააღმდეგ იყვნენ ამხედრებულნი...

ბარუა *(ხუმრობით)*: ტენი?

ტიიე: დიახაც! გოეთედან მოყოლებული, რენანით, ფლობერით, ტოლსტოით, იბსენით დამთავრებული!... ყველა!

ბარუა ილიმება და მხრებს იჩეჩავს.

გრენვილი *(შემბრალებლური სიმშვიდით)*: მთელი XIX საუკუნე, 89 წლის დეკლარაციიდან ჟორესამდე, ლამარტინისა და გამბეტას ჩათვლით, რომანტიზმითაა მოწამლული. მთელი საუკუნე, თავიდან ბოლომდე, ერთი და იგივე ფუჭსიტყვაობა, შესაძლოა, ლამაზი და წარმტაცი, მაგრამ ყოველგვარ აზრს მოკლებული...

ტიიე: ... ან, უფრო სწორად, დიდსულოვანი, რეალური ცხოვრებიდან სრულიად მოწყვეტილი, აზრებით გაბერილი. არავითარი ლოგიკა. საპნის ბუშტებია. არავითარი შესაბამისობა სიტყვებსა და სოციალურ ჭეშმარიტებას შორის.

ბარუა *(შემრიგებლური კილოთი)*: და ხომ არ ფიქრობთ, რომ სიტყვები, როგორი კარგნიც უნდა იყვნენ, უცილობლად გაცვდებიან და დაკარგავენ თავიანთ მნიშვნელობას, თუ ერთი საუკუნის განმავლობაში ყველა გზაჯვარედინსა და ორღობეში გაისმებიან? ეს სიტყვები, რომელთაც დღეს თქვენ ცარიელი ნაჭუჭივით მოისვრით, თქვენდაუნებურად შეთვისებული გაქვთ...

ორივე ერთად საპროტესტო მოძრაობას აკეთებს.

ბარუა: და თქვენ? არ გგონიათ, რომ თქვენც თვრებით ფუჭი სიტყვებით?

(საწერი მაგიდიდან იღებს საქაღალდეს და მაღლა სწევს.) დისციპლინა, გმირობა, აღორძინება, ეროვნული სული!... არ გგონიათ, რომ თხუთმეტიოდე წელიწადში სიტყვების ეს რახარუხი ხალხს სრულიად აზრისგან დაცლილად მოეჩვენება?

გრენვილი: ეს ტერმინები, შესაძლოა, გავიდნენ მოდიდან, მაგრამ მძლავრი რეალობა, რომელთაც ისინი ასახავენ, მარადიულად დარჩება. ნაციონალიზმი და კლასიციზმი არ არის და არც იქნება გაურკვეველი ფორმულები. ისინი ნათელ აზრს გამოხატავენ; ჩვენი ცივილიზაციის ყველაზე ნათელ და ყველაზე მდიდარ აზრსაც კი!

ტიიე *(აზუსტებს)*: ჩვენ ერთმანეთს, შესაძლოა, იმიტომ ვერ ვუგებთ, რომ ჩვენ სიტყვა აზრს სხვა მნიშვნელობით ვხმარობთ, ვიდრე თქვენ. ჩვენთვის ყველა აზრი, რომელიც თანხვედრაში არ მოდის აქტიურ ცხოვრებასთან, არ ერწყმის მას, არაა აზრი; ის არაფერია, არ არსებობს. გეთანხმებით, შესაძლოა ითქვას, რომ აზრი წარმართავს ცხოვრებას; მაგრამ ეს გეზის მიმცემი აზრი ცხოვრებისგან უნდა იყოს ნაშობი, მისგან ნასაზრდოები, მისგან მართული.

გრენვილი: თქვენი თაობა, ჩვენისგან განსხვავებით, აბსტრაქ-

ტული თეორიებით კმაყოფილდებოდა, რომელიც არათუ ავითარებდა მასში ქმედების სურვილს, არამედ სრულ უნაყოფობამდე მიჰყავდა. *(თვითკმაყოფილი იერით)* ყოვლისმცოდნეთა ეს თამაში, რომელსაც სრულ უმოქმედობამდე მიჰყავხარ, დღეს უარყოფილია ახალი საფრანგეთის მიერ, გერმანიის თავდასხმის საშიშროების ქვეშ მყოფი საფრანგეთის, აგადირის საფრანგეთის მიერ...

ბარუა *(ბოლოს და ბოლოს, გამოდის მოთმინებიდან)*: კი, მაგრამ თქვენ სულ მუდამ განიხილავთ თქვენზე უფროს ადამიანებს, როგორც მეოცნებე უმაქნისებს, რომელთაც რაიმეს კეთების სურვილიც კი არა აქვთ! ეს საშინელი უსამართლობაა, ლამის იყო, საშინელი უმადურობა ვთქვი!

ნუთუ თაობა, რომელმაც დრეიფუსის საქმის გასაჯაროებას მიაღწია, ღირსია უმოქმედობის კვალიფიკაცია მიენიჭოს? არც ერთ თაობას, რევოლუციის შემდეგ, არ უბრძოლია და თავი არ გაუწირავს, როგორც ჩვენს თაობას! ბევრი ჩვენგანი გმირი იყო! თუ არ იცით, მიდით და ისწავლეთ თანამედროვე ისტორია! ჩვენი სწრაფვა ანალიზისკენ არ იყო უნაყოფო დილეტანტობა და ჩვენი ვნებიანი სიყვარული ზოგიერთი სიტყვისადმი, რომელიც დღეს თქვენ ცარიელ ჟღარუნად გეჩვენებათ, როგორიცაა: ჭეშმარიტება და სამართლიანობა, თავის დროზე ქმედების სულის შთამბერავი სიტყვები იყო!

ხანმოკლე პაუზა.

გრენვილი *(პატივისცემით, მაგრამ ცივად)*: თქვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ ამ ხანმოკლე პერიოდს, როდესაც ზოგიერთი თქვენგანი დათანხმდა – და რა მიზნით! – არენაზე გამოსვლას. მაგრამ მიაქციეთ ყურადღება, რაოდენ ხანმოკლე იყო ეს აფეთქება და რა სწრაფად მოჰყვა მას საყოველთაოდ ცნობილი უიმედობა...

ბარუა არ პასუხობს.

გრენვილი *(რბილად)*: არა, ბატონო, ეგ თაობა არ იყო ბრძოლისთვის გაჩენილი. მან ხანგრძლივ ბრძოლას ვერ გაუძლო.

ტიიე: ამის დასტური ისაა, რომ დრეიფუსის საქმის არეულ დროს მისი საქმიანობა რაღაც შემთხვევით ხასიათს ატარებდა. იმ დონემდე, რომ დღეს, – იმ ხალხისთვის, ვინც მისი მოწმე არ ვყოფილვართ, – დრეიფუსის მთელი საქმე განიწმატებული ადამიანების უთავბოლო ჩხუბად გვეჩვენება, რომლებიც ერთმანეთს პირში მაღალფარდოვან სიტყვებს ახლიდნენ და არც დოქტრინა ჰქონდათ და არც მეთაური ჰყავდათ!

გრენვილი *(პოზიციებს არ თმობს)*: ერთი შედეგებსაც შევხედოთ! რა მოუვიდა ჩვენს საპარლამენტო რეჟიმს? თქვენ თვითონ აღიარეთ „მთესველში“ თქვენი იმედგაცრუება და რომ თქვენი მეგობრების პრაქტიკულმა მოღვაწეობამ უღალატა თქვენს იდეალებს!

ბარუა გაურკვევლად გაიქნევს ხელს.

რა უნდა უთხრას? ისინი იმავე იარაღს იყენებენ, მან რომ გამოჭედა. და კიდევ, განა შეუძლია ხელი შეუშალოს ამ მარტივი გონების ადამიანებს, რომ ხე მხოლოდ მისი ნაყოფით არ განსაჯონ?

ტიიე *(დასკვნას აკეთებს)*: თანამედროვე პოლიტიკური ზნე-ჩვეულებანი, აი, სადამდე მიგვიყვანეს იმათ, ვინც უკვე მრავალი წელია სათანადოდ ვერ აფასებს ჩვენს ნაციონალურ გენიას. უკვე დიდი ხანია დადგა დრო მკაცრ დისციპლინას დავემორჩილოთ.

ჩვენ გვჭირდება რესპუბლიკა, სადაც უფლებები და მოვალეობები სრულიად სხვაგვარად იქნება გადანაწილებული.

ბარუა: თქვენ რესპუბლიკელები ხართ?

ტიიე: რა თქმა უნდა!

ბარუა: მაგას კი ველარ ვიფიქრებდი.

ტიიე *(ცოცხლად)*: მიუხედავად აზრთა სერიოზული სხვადასხვაობისა, მიუხედავად მონარქისტული პარტიის უცილობელი განვითარებისა, ახალგაზრდობის უმრავლესობა გულმხურვალე დემოკრატად რჩება.

ბარუა: მით უკეთესი.

გრენვილი: სხვათა შორის, ეს ჩვენი ერის შინაგანი მოთხოვნილებაა, თვისობრივი გრძნობაა.

ბარუა: მიკვირს, რომ მმართველობის რესპუბლიკური ფორმა არ მიგაჩნიათ თქვენ იერარქიულ და ავტორიტარულ პრინციპებთან შეუთავსებლად.

გრენვილი: არა, რატომ? საქმე მხოლოდ მის გაუმჯობესებას ეხება.

ტიიე: პარლამენტარული მმართველობის რეფორმის გატარება იქნება საჭირო პოლიტიკური ზნეობის დასახვეწად; ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპები, რომლებიც რეალურად არაფერს შეესაბამება, უნდა გადავხაროთ პროფესიული კავშირების ან სხვა კანონით დაშვებული ორგანიზაციების სუვერენიტეტისკენ. საბოლოოდ ეს ერთი და იგივე იქნება, – მეტი წესრიგითა და ზომიერების გრძნობით.

ბარუა *(მომლიმარი)*: ეს სწორედ ის პუნქტებია, რომელთა თაო-

ბაზეც ჩვენ ყველაზე იოლად შეგვიძლია შეთანხმება. ახალგაზრდა თაობას ვუსურვებ ჩვენი რეჟიმის რეგლამენტირებას და სოციალური საკითხების პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლაზე მაღლა დაყენებას...

გრენვილი *(თავდაჯერებით)*: ჩვენ ამ მიზანს ადვილად მივაღწევთ, როდესაც ქვეყანაში ჩვენს ტრადიციულ მორალს აღვადგენთ და განვამტკიცებთ.

ბარუა *(ისევ იღიმება)*: და რას უწოდებთ თქვენ „ჩვენს ტრადიციულ მორალს"?

გრენვილი: კათოლიკურ მორალს.

ბარუა აღარ იღიმება; ყურადღებით შესცქერის ახალგაზრდებს.

ბარუა: რადგან ორივენი კათოლიკეები ხართ? პრაქტიკოსი კათოლიკეები?

გრენვილი: დიახ.

ბარუა: აჰ...

პაუზა...

ბარუა *(უცაბედი გამწარებით)*: გულახდილად მიპასუხეთ, ბატონებო. განა დღეს ახალგაზრდათა უმრავლესობა კათოლიკეა?

გრენვილი *(მცირე ყოყმანის შემდეგ)*: არ ვიცი; ის კი ვიცი, რომ ჩვენ ძალიან ბევრნი ვართ. სულ ახალგაზრდათა შორის, იმათ შორის, ვინც კოლეჯს ამთავრებს, ვფიქრობ, უმრავლესობა უდავოდ პრაქტიკოსია. ჩვენ შორის, მათზე ოთხი-ხუთი წლით უფროსებს შორის, მგონი, შემიძლია მტკიცედ ვთქვა, იმდენივე მორწმუნეა, რამდენიც ურწმუნო; მაგრამ ისინი, ვისაც აღარა აქვთ რწმენა, უმეტეს შემთხვევაში ნანობენ და ცხოვრების სხვადასხვა გარემოებებში მორწმუნეებივით იქცევიან.

ბარუა: ასეთ შემთხვევაში, შემიძლია გითხრათ, რომ თქვენი თაობის ნახევარს არ ჰქონია საკმარისი ავტორიტეტი კათოლიკობის პროპაგანდისთვის!

ტიიე: ასე იმიტომ ფიქრობთ, რომ არ გესმით მათი გრძნობები. თუ ისინი იცავენ რწმენას, რომელსაც არ იზიარებენ – მაგრამ, რომლის გაზიარებაც სურთ – ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მის სათნო ზემოქმედებას სცნობენ; მათ თვითონაც განიცადეს ეს ზემოქმედება; ეკლესიის დამცველთა რიგებში ჩადგომისას, იგრძნეს სასიცოცხლო ენერგიის მოზღვავება და, სრულიად ბუნებრივად, სრული შეგნებით შეაქვთ წვლილი იმ მორალური ერთობლიობის განვითარებასა და აყვავებაში, რომელიც საუკეთესოდ ცნეს.

ბარუა *(ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ)*: არა, ვერ დაგეთანხმებით, რომ ურწმუნო ადამიანის მიერ რელიგიის დაცვას რაიმე აზრი შეიძლება ჰქონდეს. თქვენი ახსნა-განმარტებები საპატიო და ყურადსაღებია, მაგრამ ვერ შეარბილებს ჩემს დამოკიდებულებას თქვენი ზოგიერთი სულიერი ხელმძღვანელის მიმართ... ისინი არც კი მალავენ არისტოკრატულ ზიზღს მასებისადმი. ყოველ ჯერზე, როცა კი მათ კედელთან მიაყენებენ, თავის დაძვრენას სხვადასხვა ფრაზებით ცდილობენ, რომლებიც დაახლოებით ამგვარია: „რელიგია ხალხისთვის შეიქმნა, ისევე, როგორც კურტანი ვირისთვის; მაგრამ ჩვენ ხომ დასაპალნებული პირუტყვები არ ვართ". ეს გადაუმეტებლად ნიშნავს, რომ ისინი კათოლიციზმს საუკეთესო სოციალურ გარანტიად განიხილავენ. მაგრამ თავისთვის ურჩევნიათ ჭეშმარიტების პრივილეგია შემოინახონ.

(გამოცოცხლებული) მე კი ყოველთვის დიამეტრალურად საწინააღმდეგო პრინციპს ვემორჩილებოდი. მიმაჩნია, რომ ჭეშმარიტება, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს გავრცელებული, რომ ადამიანები, რაც შეიძლება სრულად უნდა იყვნენ გათავისუფლებულნი და არ უნდა შეგვაფიქრიანოს იმან, შეძლებენ თუ არა ისინი თავიდანვე თავიანთი თავისუფლების ჯეროვნად გამოყენებას; დაბოლოს, თავისუფლება ისეთი სიკეთეა, რომლის გამოყენებასაც ადამიანი ნელ-ნელა სწავლობს და ისიც მაშინ, თუ შეუზღუდავად ეძლევა და იყენებს!

თავაზიანი და ურჩი დუმილი.

ბარუა *(მხრებს იჩეჩავს)*: ბოდიშს გიხდით ამ უსარგებლო ქადაგებისთვის... საქმე მხოლოდ თქვენ გეხებათ. *(დრო)*

თქვენი წერილიდან საკმაოდ კარგად ჩანს, რამ შეიძლება მიგიზიდოთ კათოლიციზმში; მაგრამ ვერ ხსნის, რა გზებით მიხვედით მასთან. უეჭველია, ბავშვობიდანვე გწამდათ და ეს თქვენი ბავშვური რწმენა არასოდეს შერყეულა, არა?

გრენვილი: მართლაც ასეა. მე კათოლიკური განათლება მივიღე; ბავშვობაში გულმხურვალე მორწმუნე ვიყავი. ასე, თხუთმეტი წლის რომ გავხდი, მოწადინება ცოტა შემინელდა... მაგრამ რწმენა ჩემს გულში იყო და ხელახლა თავი მძლავრად იჩინა, როდესაც სორბონში ფილოსოფიის სალიცენციანტო კურსს გავდიოდი.

ბარუა: როდესაც სორბონში ფილოსოფიის კურსს გადიოდით?

გრენვილი *(სრულიად ბუნებრივად)*: დიახ, ბატონო.

ბარუა აღარ აუინდება, ტიიესკენ მიბრუნდება.

ბარუა: თქვენც ყოველთვის პრაქტიკოსი კათოლიკე იყავით, ბატონო?

ტიიე: არა. მამაჩემი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მასწავლებელი იყო პროვინციაში და ჩვენ აბსოლუტურ თავისუფალმოაზროვნეობაში გაგვზარდა. კათოლიციზმთან ძალიან გვიან მივედი, როდესაც ეკოლ ნორმალში შესასვლელად ვემზადებოდი...

ბარუა: მაშ, ეს იყო ნამდვილი მოქცევა ქრისტიანად?

ტიიე: ოჰ, არა, არაფერი უეცარი, არავითარი ეგზალტაცია. მე ბევრი ძიების შემდეგ, ბუნებრივად ჩავუშვი ღუზა ამ ნაპირთან... და შემდეგ გავიაზრე, რომ თავიდანვე, მხოლოდ ლოგიკაზე დაყრდნობითაც, შემეძლო თავიდან ამეცილებინა ხელის ცეცებით სიარული; ისე აშკარაა, რომ მხოლოდ კათოლიციზმს შეუძლია მოუტანოს ჩვენს თაობას ის, რაც სჭირდება!

ბარუა: აი, აქ კი რაღაცას ველარ ვგებულობ...

ტიიე: და მაინც, არაფერია ასე მარტივად გასაგები. ჩვენი ქმედების სურვილის წასაქეზებლად აუცილებლად გვჭირდება მორალური დისციპლინა. გვჭირდება მზა და ურყევი ჩარჩო, რათა საბოლოოდ გავთავისუფლდეთ ინტელექტუალური ციებ-ცხელების ნარჩენებისგან, რომელიც თქვენგან გადმოგვეცა და, რომლის კვალიც, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენს სისხლშიცაა. კათოლიკური რელიგია კი ჩვენ ყოველივე ამას გვთავაზობს. ის განამტკიცებს ჩვენს პასუხისმგებლობას თავისი ოცსაუკუნოვანი, გამობრძმედილი გამოცდილებითა და გავლენით. ის აღაფრთოვანებს ჩვენი ქმედების აზრს, რადგან მიესადაგება ადამიანის მგრძნობელობის ყველა ნიუანსს და დამატებით სასწაულებრივ სასიცოცხლო ძალას უბოძებს მათ, ვინც მას უყოყმანოდ იღებს. სულ ესაა. ჩვენ დღეს ისეთი რწმენა გვჭირდება, რომელიც აქტიური ქმედებისკენ გვიბიძგებს.

ბარუა *(რომელიც ყურადღებით უსმენდა)*: ეგრე იყოს, მაგრამ ყოველგვარი სამეცნიერო აზროვნების მუდმივი ათვალწუნება თქვენ მიერ, იქამდე ხომ არ მიდის, რომ ამ დოგმატური რელიგიის საფუძვლების დამანგრეველი თანამედროვე მეცნიერების ზოგიერთი მიღწევების უცოდინარი დაგტოვოთ?

მაშ როგორღა ღებულობთ მას მთლიანად? როგორ შეიძლება ერთმანეთს შეუთანხმოთ, მაგალითად...

ტიიე *(ცოცხლად)*: ჩვენ არაფრის შეთანხმებასა და შეთავსებას არ ვცდილობთ, ბატონო... რელიგია ერთ სიბრტყეზეა, მეცნიერება მეორეზე. მეცნიერები ვერასდროს დააზიანებენ რელიგიას, მისი ფესვებიც მათთვის არაა ხელმისაწვდომი.

ბარუა: მაგრამ ეგზეგეტიკოსები პირდაპირ უტევენ, თვით მის ფესვებსაც...

გრენვილი *(მშვიდი ღიმილი)*: არა, ერთმანეთს ვერ ვუგებთ... ის სირთულეები, რომელზეც თქვენ მიგვანიშნებთ, ჩვენთვის არ არსებობს. რა ფასი აქვს ბერძნულის მავანი მასნავლებლის დავასა და დასკვნებს, რომელიც ძველი ტექსტების ერთმანეთთან შედარებით მოიპოვებს არგუმენტებს, ჩვენი შინაგანი რწმენისა და უეჭველობის პირისპირ? *(იცინის)* გარწმუნებთ, გაოცებული ვარ, რომ ამგვარი ხარისხის მტკიცებებს შეეძლო ჩვენი უფროსი თაობის რწმენაზე გადამწყვეტი გავლენის მოხდენა!

ტიიე: არსებითად, მთელი ეს ისტორიული და ფილოლოგიური მსჯელობანი მხოლოდ მოჩვენებითადაა ლოგიკური. ისინი არაფრად ღირან გულის ძახილის პირისპირ. როდესაც პირადად გამოცდი რწმენის პრაქტიკულ ეფექტურობას...

ბარუა: ნება მიბოძეთ. ეფექტურობა, რომელსაც მუდმივად ახსენებთ, ასევე დამახასიათებელია მრავალი ფილოსოფიური მოძღვრებისთვის, რომელიც...

ტიიე: კი, ჩვენ გავეცანით ყველა თქვენს სისტემას! თქვენ მიერ გაფეტიშებული ევოლუციის სისტემიდან დაწყებულსა და თქვენი ათეისტი-ფილოსოფოსების რომანტიკული მისტიციზმით დამთავრებულს! არა! ჩვენი აღორძინებული სასიცოცხლო ენერგია სხვა დასაყრდენებს მოითხოვს! ჩვენ გვსურს გატაცებულნი ვიყოთ, მაგრამ რაღაც ღირებულით! თქვენს თაობას არაფერი უანდერძებია ჩვენთვის, რაც პრაქტიკულ ცხოვრებაში წესად გამოგვადგებოდა!

ბარუა: მუდამ ერთსა და იმავეს მღერით. პრაქტიკული ცხოვრება! თქვენ, ეტყობა, ვერ იაზრებთ, რომ სწრაფვას ხელშესახები და დაუყოვნებლივი შედეგებისკენ ზიანი მოაქვს თქვენი ინტელექტუალური კეთილშობილებისთვის!

ჩვენ ნაკლებ ანგარებიანნი ვიყავით!

გრენვილი: ბოდიში, ბატონო, ბოდიში... არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში ქმედითი ცხოვრება და პრაქტიკული ცხოვრება... *(ღიმილი)* გარწმუნებთ, რომ ჩვენ განვაგრძობთ ფიქრს და ჩვენი ფიქრები საკმაოდ ამაღლებულია. მაგრამ ღრუბლებში აღარ დავფრინავთ, და ესაა უცილობელი პროგრესი. ჩვენ მას ვუმორჩილებთ კონკრეტულ საჭიროებებს. ყოველგვარი უნაყოფო, აბსტრაქციული მსჯელობა აღგვაშფოთებს და ის მიგვაჩნია ცხოვრების პირისპირ გამოჩენილ

სიმხდალედ, ჩვენზე დაკისრებული ვალდებულებების წინაშე კი ლაჩრობად.

ბარუა: ეს ინტელექტის მარცხია.

ტიიე: უფრო მეტად ინტელექტუალიზმის...

ბარუა: მით უარესი თქვენთვის, თუ არასდროს განგიცდიათ გონითი და წმინდა აზროვნებითი თრობა...

ტიიე: ჩვენ შეგნებულად შევცვალეთ ეგ გაურკვეველი მედიტაციები, რომელიც მხოლოდ სკეპტიკოსებსა და პესიმისტებს წარმოშობს, დღევანდელი ამოცანების გადაწყვეტითა და ჩვენი ვალდებულებების შეგნებით.

ჩვენ ჩვენი თავის რწმენა გვაქვს.

ბარუა: კი, ამას კარგად ვხედავ. ჩვენც გვქონდა ჩვენი თავის რწმენა!

ტიიე: ეს ერთი და იგივე რანგის რწმენა არაა, რადგან ხელი არ შეგიშალათ ეჭვის მორევში ჩაძირულიყავით...

ბარუა: მაგრამ ეჭვი მხოლოდ უარყოფითი მოვლენა არაა, როგორც თქვენ გგონიათ! იმედია არ გვისაყვედურებთ, რომ სამყაროს იდუმალება ვერ ამოვხსენით? ამ ბოლო ორმოცდაათი წლის გამოკვლევებმა დაადგინა, რომ დოგმატურ მტკიცებულებათაგან უმრავლესი, რომლებიც ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა, არ შეესაბამებოდა სიმართლეს. ეს უკვე რაღაცას ნიშნავს, ვერ ვიპოვეთ ჭეშმარიტება, მაგრამ მტკიცედ მივუთითეთ, სად არ უნდა ვეძებოთ იგი!

გრენვილი: თქვენ გადააწყდით შეუცნობელს და ვერ შეძელით მისთვის სათანადო ადგილი მიგეჩინათ თქვენს ცხოვრებაში, აღმოგეჩინათ მასში მძლავრი პრინციპი. თქვენ გამოდიოდით აპრიორული შეხედულებიდან, რომ ურწმუნოება მორწმუნეობაზე მაღლა დგას, და თქვენ...

ბარუა: თქვენ უბრალოდ შეგნებული არ გაქვთ, რას ამბობთ, როდესაც ჩვენს აპრიორულ შეხედულებებზე ლაპარაკობთ! თქვენ ხომ პირველივე მზა, შემოთავაზებული თეორიის მსხვერპლნი ხართ! თქვენ მე კიბო-განდეგილს მაგონებთ, პირველივე ცარიელ ნიჟარას რომ აფარებს თავს... მასავით შეხვედით კათოლიკობაში! და ისე კარგად მოირგეთ ეს გარსი, რომ ახლა გეჩვენებათ და სხვებსაც არწმუნებთ, რომ იგი თქვენთვის ბუნებრივია!

გრენვილი *(ღიმილი)*: ეს არის გზა, რომელსაც დიდი უპირატესობა შეიძლება ჰქონდეს... მის გასამართლებლად საკმარისია ითქვას, რომ მან ვაუკაცობით აღგვავსო.

ტიიე: რომ იცხოვრო, სწორი გეზი უნდა გქონდეს. მთავარია, ისეთი ვინმე გაიხადო მაგალითად, ვინც კარგი სახელი მოიპოვა და მტკიცედ დაიცვა იგი!

ბარუა. *(დაფიქრებული)*: ჯერ კიდევ ვერ გავიგე, რას იგებთ ამით...

გრენვილი: ამით სიმტკიცეს ვიგებთ, რომელიც თქვენ სულ გაკლდათ!

ბარუა: ასევე არ მესმის, რა მოგაქვთ ახალი ან სასარგებლო. იმას კი კარგად ვხედავ, საზიანო რა მოგაქვთ. თქვენ მიზანმიმართულად ურევთ ხალხს გონებას, აბიაბრუებთ და სახელს უტეხთ თქვენს წინამორბედთა ნაღვაწს და ყოვლად უსარგებლოდ იმუქრებით მათგან წამონყებული საქმეების შენყვეტით...

გრენვილი: ჩვენ ქმედების ჩვენი ხელწერა მოგვაქვს, რომელსაც ფრანგული სულის განახლების უნარი შესწევს!

ბარუა *(კარგავს მოთმინებას)*: სულ ქმედებაზე, სიცოცხლეზე ლაპარაკობთ, თითქოს მონოპოლია გაქვთ მასზე! კაციშვილს ჩემსავით გატაცებით არ ყვარებია სიცოცხლე! და სწორედ ამ სიყვარულმა თქვენგან სრულიად საპირისპირო არჩევანამდე მიმიყვანა. თქვენ მან რელიგიის ნოსტალგია გაგიჩინათ, მე კი საბოლოოდ დამაშორა მას!

ხანგრძლივი დუმილი.

ბარუა *(დაღლილი)*: შესაძლოა, ადამიანებს არ შეუძლიათ, რამდენიმე თაობის მანძილზე უწყვეტად ყური უგდონ გონების ხმას...

ჩერდება. ის ამ ფრაზას მექანიკურად ამბობს და იაზრებს, რომ ეს სწორედ ის ფრაზაა, რომელსაც ერთი საათის წინ დალიე ეუბნებოდა... დალიე!... ნუთუ ახლა საკმარისია ვინმე შეეკამათოს, ერთი ან მეორე მხრიდან, რომ მასში ერთნაირი ამბოხი გამოიწვიოს?... ნუთუ ჭეშმარიტება ისევ მოუხელთებელია?...

შუბლზე ხელს გადაისვამს. შეამჩნევს ამ ორ, თავის სიმართლეში ურყევად დარწმუნებულ ბავშვს...

აჰ, არა, რასაკვირველია, აქ, მათ მხარეს, არაა სიმართლე!

ბარუა: ყველაფერი ტრიალებს, იცვლება... მე შეიძლება თქვენი მამა ვყოფილიყავი, ჩვენ კი ერთმანეთის აღარ გვესმის. ეს კანონია...

ახალგაზრდები ერთმანეთს გადახედავენ და გაიღიმებენ, რაც მას გულს ტკენს.

თვალებში შესცქერის და, ბოლოს და ბოლოს, შეიცნობს, როგორები არიან.

ბარუა: მაგრამ გადაჭარბებულად ნუ წარმოიდგენთ, ბატონებო,

თქვენს როლს... თქვენ მხოლოდ რეაქცია ხართ. და ეს რეაქცია იმდენად გარდაუვალი იყო, რომ უფლებაც არ გაქვთ იამპარტავნოთ, თითქოსდა ის თქვენ გამოიწვიეთ. ეს საათის ქანქარის მოძრაობაა, მექანიკური მოქცევა-მიქცევის შემდეგ... ერთი წუთი დავიცადოთ და ზღვა მაინც აღელდება!

გრენვილი *(აგრესიული)*: თუ ჩვენ არ დავდგებით ევოლუციის სათავესთან, რომლის შედეგებზეც თქვენ ახლა წარმოდგენაც კი არ გაქვთ!

ბარუა *(მშრალად)*: არა, ევოლუციას არ შეიძლება ჰქონდეს უეცარი, თვითნებური, დავდაცვითი ხასიათი...

ფეხზე მდგარი ლაპარაკობს, გრძნობს, როგორ იღვიძებს მასში ძველებური საბრძოლო განწყობა და ეცინება. ოთახში ბოლთას სცემს ჯიბეში ხელჩანყობილი; მზერა ცოცხალი და პირდაპირი, ბაგეზე დამცინავი ღიმილი.

ბარუა: თქვენ წარმოადგენთ გარკვეულ სოციალურ მოძრაობას, ეს უდავოა, მაგრამ ეს მოძრაობა იზოლირებულია, უსაფუძვლო და უშედეგო. თქვენ მხოლოდ დოკუმენტალისტებისთვის ხართ საინტერესო. ხმამაღლა ლაპარაკობთ; თქვენ სამყაროს ხელახლა შექმნა გსურთ; თქვენ მსოფლიოს გულუბრყვილოდ ახალი წელთაღრიცხვის დაწყებას აუწყებთ, რომელიც მაშინ დაიწყო, ოცი წლის რომ გახდით... თქვენ რაღაცას ამტკიცებთ ისე, რომ ჯერ არც სწავლის და არც განსჯის დრო არ გქონიათ.

ნებას მომცემთ, უფრო შორს წავიდე?

თქვენი ქცევის სათავე არის გრძნობა, რომელსაც თქვენ არ აღიარებთ, თავსაც არ უმხელთ – შესაძლოა იმიტომ, რომ არაა მაინცადამაინც სასახელო – ან კიდევ, ვფიქრობ იმიტომ, რომ არ გაქვთ გააზრებული. ესაა შიშის გაურკვეველი გრძნობა...

ახალგაზრდები ამოძრავდებიან.

ბარუა: დიახ... ეროვნული გამბედაობის ეს ხმამაღალი მოწოდებები, – იმის გარდა, რასაც თქვენ ამ ცნებაში დებთ – შეიცავს სხვა რამესაც, თვითგადარჩენის საკმაოდ ვულგარულ ინსტინქტს!

თქვენ დაბადებიდანვე შეიგრძენით, რომ XIX საუკუნის მამაცი აღმოჩენები შეარყევენ იმ საფუძვლებს, რომელზეც ჯერ კიდევ ეფუძნება სოციალური წონასწორობა; თქვენ იგრძენით, რომ გამხმარი ხის მოჭრით, რომელზეც თქვენი ბუდეა, უფროსი თაობის ადამიანები – ეს ფიქრთა მპყრობელნი, ეს დილეტანტები, ეს უმაქნისები! – გაიძულე-

ბენ, ცოტა არ იყოს, უეცარი ნახტომი გააკეთოთ მომავლისკენ... და თქვენ ინსტინქტურად ებღაუჭებით ყველაფერს, რასაც კიდევ შეუძლია თქვენი მორყეული სტაბილურობის ცოტა ხნით შეკავება. მაშ, ბატონებო, გაუმარჯოს ძალას, ძალაუფლებას, პოლიციას, რელიგიას! ესენია მხოლოდ სხვათა თავისუფლების დამაბრკოლებელნი; და თქვენ მშვენივრად გაქვთ გააზრებული, რომ სხვათა თავისუფლება თქვენი პირადი კეთილდღეობის საზიანოა! პროგრესი, ცოტა არ იყოს, სწრაფად მიდიოდა. თქვენ მუხრუჭები აამოქმედეთ... თქვენ საკმარისად მაგარი გული არ აღმოგაჩნდათ, თავბრუ დაგეხვათ...

თქვენი მოწოდებები ქმედებისკენ ნიღბავს ფრანგული აზროვნების დაქვეითებას, რომელსაც დასვენება სჭირდება, ეტყობა იმიტომ, რომ ძალიან დიდხანს დაჟინებით ცდილობდა ამოუცნობის შეცნობას. იყოს ასე; ეს, სხვათა შორის, ძველთაძველი ისტორიაა, არსებობდა პრივილეგირებულთა სხვა საზოგადოება, რომელმაც ვერ გაბედა რევოლუციის მოხდენა და ამის გამო ზოგიერთს კისერზე თავი არ შერჩა.

ახალგაზრდები წამოდგნენ; მათ თავაზიან და, ამავე დროს, მტრულ გამომეტყველებას მოთმინებიდან გამოჰყავს ბარუა. მთელი მისი მგზნებარე შემართება იმსხვრევა ამ ორი ლაწირაკის უტიფარ ღიმილს გადამწყდარი.

სიჩუმე.

გრენვილი: გვაპატიეთ, მაგრამ კამათში ვერ გამოგყვებით... ვფიქრობ, რაც სათქმელი გვქონდა, ყველაფერი ვთქვით.

ბარუა ხელს უნვდის.

ბარუა: მადლობას გიხდით მობრძანებისთვის. თქვენი წერილი შეუკვეცავად დაიბეჭდება. მკითხველმა განსაჯოს.

გრენვილი *(კართან მისული)*: თქვენ დარწმუნებული ბრძანდებით, ბატონო, რომ თქვენი თაობა „ცდილობდა ამოუცნობის შეცნობას“? *(იღიმება)* ძალზე საბედნიეროა, უამისოდ თქვენი მეგობრების სიბერე ძალიან მწარე იქნებოდა... მხოლოდ შევნიშნავ, რომ ამ ვითომდა განმათავისუფლებელმა ჭეშმარიტებებმა თქვენს თანამედროვეთა უმრავლესობას ვერ მოუტანა თავისუფლება!

ბარუა *(მშვიდი)*: შესაძლოა. მაგრამ ისინი სრულიად გაათავისუფლებენ ჩვენს შთამომავლებს... *(მომღიმარი)* ... და თქვენსასაც, ბატონებო!..

„მთესველის" კიბეზე.

ზემოთ ამავალი მარი ხვდება პატარა მოხუცს.

მარი: გამარჯობათ, ექიმო.

ექიმი *(თავაზიანად იხდის ქუდს)*: მადმუაზელ...

მარი: მე ბ-ნ ბარუას ქალიშვილი გახლავართ.

ექიმი *(მომღიმარი ხელს ართმევს)*: მაპატიეთ, მადმუაზელ.

მარი: ძალიან მიხარია, რომ შეგხვდით, ექიმო. მამაჩემის ჯანმრთელობაზე მსურს გაგესაუბროთ. *(ცარიელი კაბინეტის კარს შეაღებს)* შეგიძლიათ ერთი წუთი დამითმოთ?

ექიმი *(შეჰყვება)*: მაგრამ, მადმუაზელ, მგონია ამაოდ ნერვიულობთ. ჩვენი ავადმყოფი დღეს ბევრად უკეთ გრძნობს თავს. რამდენიმე დღეში...

მარი შეაჩერებს და პირდაპირ თვალებში უყურებს, თავისი მამაკაცური მზერით.

მარი: ექიმო, შეგიძლიათ მითხრათ სიმართლე. მე განსაკუთრებულ მდგომარეობაში ვიმყოფები. სულ ცოტა ხანში მონაზვნად აღვიკვეცები, ბელგიაში. რამდენიმე თვეში უკანასკნელად ვნახავ მამაჩემს... *(თავს სძლევს)* ამ წვრილმანებს იმიტომ გეუბნებით, რომ გაიგოთ... მისი ეს ახლანდელი შეტევა არ მაწუხებს. მე ვგრძნობ, რომ მამა ძლიერ ავადაა, ძლიერ; ისე შეიცვალა ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში!

ექიმი: ღმერთო ჩემო, მადმუაზელ, ეს ცხადია... ბ-ნი ბარუა თავის ჩვეულებრივ მდგომარეობას დაუბრუნდა... *(მაშინვე მოდის გონს, რომ ზედმეტი წამოსცდა.)* მაგრამ ეს ავადმყოფობა ხელს არ შეუშლის, კიდევ დიდხანს იცოცხლოს, თუ ფრთხილად იქნება და შესაბამის ჰიგიენას დაიცავს... ბ-ნი ბარუას ასაკში რაღაცის წამოტკივებებს უნდა ელოდეს კაცი...

მარი *(დაუინებით, მკაცრი სახით)*: ვერ გამოჯანმრთელდება, არა?

ექიმი ყოყმანობს, მაგრამ მარის მზერა გულახდილობას აიძულებს; თავს გაიქნევს.

მოკლე დუმილი.

ექიმი: გიმეორებთ, მადმუაზელ, ეს დაავადება ძალიან ხანგრძლივია... გადაღლილობა, განსაკუთრებით საჯარო გამოსვლები ნელ-ნელა უტევენ გულს. მეორე მხრივ, მამათქვენს ბავშვობისას ჰქონდა... ანე-

მიის ნიშნები. მას ძალიან ენერგიულად უმკურნალეს და დაავადების შეჩერება შესაძლებელი გახდა; თითქმის ორმოცი წელი მას თავი ცუდად აღარ უგრძვნია! საუბედუროდ, პლევრიტი შეეყარა, რომელსაც ერთად ვმკურნალობთ უკვე...

მარი: ორი წელია.

ექიმი: ...აი, მოხდა ის, რაც ზოგჯერ ხდება. ბრონქების ანთება აადვილებს ორგანიზმში მიკრობის შელწევას, რომელიც ინვევს მიძინებული ტუბერკულოზის აფეთქებას... *(მარის მოძრაობა)* დიახ, თვით ორმოცწლიანი შეჩერების შემდეგ, ეს საკმაოდ ხშირად ხდება; ძველი დაავადებები თავს იჩენენ ხოლმე... მაგრამ გიმეორებთ, ეს დაავადებები ძალზე ხანგრძლივად მიმდინარეობენ შერბილებული სიმპტომებით, ხან შეჩერდებიან, ხან ისევ წამოყოფენ თავს...

მარი *(თვალებში შეჰყურებს ექიმს)*: და ახლა, რაც მოხდა, ავადმყოფობის გართულებაა?

ექიმი: ოჰ, ძალიან უმნიშვნელო... რამდენიმე დღის წინ მამათქვენი გაცივდა და ეს საკმარისი აღმოჩნდა მისი ზოგადი მდგომარეობის მცირედ გასაუარესებლად.

მარი: გმადლობთ, ექიმო. ეს მინდოდა მცოდნოდა.

ბარუას ბინა – ორი დაბალჭერიანი ოთახი, სამზარეულო.

ბარუა ფანჯარასთან წევს და ინტერესით გადაჰყურებს ეზოში ხალხის მიმოსვლას.

მარი ხელებდაკაპინებული, წინსაფარაფარებული ალაგებს ოთახს.

ბარუა: გემუდარებით, მარი... ხვალ დილით მოვა მოსამსახურე ქალი და დაალაგებს.

მარი: საღამოობით არ მოდის?

ბარუა *(მომღიმარი)*: არა.

მარი: და სადილს ვინ გიკეთებთ?

ბარუა: კონსიერჟი. *(მხიარულად)* იცით, როცა მარტო ხარ, სადილობა არაა ხანგრძლივი...

მარი *(პაუზის შემდეგ)*: გამოტყდით, მამა, რომ პასკალი გაკლიათ. რამდენჯერ გითხარით...

ბარუა *(უხერხულად)*: არა, არა. კარგად მივლიან, არაფერი მაკლია... და კიდევ, აქ არ მაქვს მოსამსახურის მოსათავსებელი ადგილი.

სიჩუმე.

მარი განაგრძობს ლაგებას. ბარუა თვალს ადევნებს.

მის ახლოს ჩაივლის. ბარუა ხელზე წაავლებს ხელს და კოცნის. მარი ილიმება; მაგრამ ორივეს თვალებში მძიმე, გამოუთქმელი სევდაა.

ბარუა *(ეფერება მის ხელს)*: მე ზეიმის მოწყობას ვაპირებდი თქვენს მორჩილად გახდომამდე, პარიზში თქვენი ამ რვადღიანი ყოფნით! ისე კი გამოვიდა, რომ ჩემი მომვლელობა მოგიწიათ!

მარი: ჩამოხვალთ ვასინიში ჩემ სანახავად...

მონასტრის ხსენებაზე, ყვრიმალები ეფაკლება.

ბარუა: მაშ მორჩილები ჩაკეტილები არ არიან? აქვთ სხვათა ნახვის უფლება?

მარი: კი, მაგრამ შემონაზვნების წინა დღეს შეიძლება გამოსამშვიდობებლად მოსვლა...

ცრემლი მოგორავს მის ღიმილზე. ბარუა ხელს უშვებს.

ბარუა: დედათქვენისთვის უსიამოვნო იქნება იქ ჩემთან შეხვედრა...

მისი ხმა ინდიფერენტულია, ოდნავ მოისმის კითხვის ინტონაცია, მაგრამ პასუხს მალულად მშფოთვარედ ელოდება.

მარი პროტესტის ნიშნად ხელს გაიქნევს.

ბარუა *(მსუბუქი ტონით, სადაც სიამოვნება გამოსჭვივის)*: და კიდევ, ჩემო საბრალო მარი, გამიჭირდება, ველარ შევძლებ მგზავრობას...

III

უბრალო ბინა პასის ქუჩაზე.

ლიუსი სამუშაო მაგიდასთან.

შემოსულ ბარუას რომ ხედავს, სასწრაფოდ იხსნის სათვალეს და ეგებება.

ლიუსი: შეშფოთებული ვარ, ჩემო კარგო... რა მოხდა?

სამი სართულის ამოვლით აქოშინებული ბარუა მძიმედ ჯდება, ხელს გულზე იჭერს, ილიმება, თითქოს სულის მოთქმას ითხოვდეს.

ლიუსი *(ცოტა ხნის შემდეგ)*: თქვენს წერილში ვერავითარი სარწმუნო მოტივი ვერ ვნახე...

ბარუა: გეხვეწებით, ჩემო ძველო მეგობარო, ნუ შეეცდებით ჩემს გადარნმუნებას. გადანყვეტილება მიღებული მაქვს.

ლიუსი გაოცებული იჩეჩავს მხრებს და საწერ მაგიდასთან ბრუნდება.

ბარუა: უკვე დიდი ხანია ვფიქრობ, ეს არაა ნაუცბადევი გადანყვეტილება.

ლიუსი *(ყურადღებიანი)*: წამოიწყეთ რაიმე ახალი სამუშაო და ნახავთ, განონასწორდებით!

ბარუა: არაფრის გაკეთება არ შემიძლია. *(შეფიქრიანებული)* სხვათა შორის, მალე უნდა გავემგზავრო... იცით, ცერემონიალზე, ბელგიაში... ჩემი ქალიშვილი...

ლიუსი *(ცოცხლად)*: აჰ... კეთილი, მისმინეთ, დამიჯერეთ, ჩამოსვლამდე ნურაფერს მოიმოქმედებთ.

ბარუა ხვდება მის ჩანაფიქრს და ძლივძლივობით ეღიმება.

ბარუა: არა, ეგ არაა საქმე... მე აღარც ფიზიკურად, აღარც მორალურად აღარ ვარ ის ხელმძღვანელი, რომელიც „მთესველს" სჭირდება. ის მხნეობა და სისხარტე აღარ მაქვს. და მკითხველი ამას გრძნობს. და თანამშრომლები! სინამდვილეში მართვა დღითიდღე ხელიდან მისხლტება. ახლა, ახალმოსული ახალგაზრდები იძლევიან ტონს. მე ბებერი ვარ, კალაპოტიდან ამოვარდნილი, გადაქანცული და საეჭვო... *(გამწარებული ღიმილი)* და კიდევ, ბრეილ-ზეჟერი დიდი ხანია ელოდება ამ ადგილს...

ჯიბიდან ხელნაწერს იღებს და საწერ მაგიდაზე დებს.

ბარუა: ნახეთ, ამის ჩვენება მინდოდა თქვენთვის. რაღაც აღსარებისა და ანდერძის მაგვარია... განზრახული მაქვს ამას მივუძღვნა „მთესველის" ბოლო ნომერი, რომ დამარცხებულივით არ წამოვიდე. ხომ გესმით? ბოლო ნომერი მთლიანად მხოლოდ ჩემი იქნება. მერე დავდუმდები.

ლიუსი: ვერ შეძლებთ!

ბარუა: ვითომ რატომ? ექიმებმა სწორედ დასვენება გამომინერეს; სურთ, რომ პარიზი დავტოვო, ქალაქგარეთ დავსახლდე, სუფთა ჰაერზე...

ლიუსი: თქვენნაირი კაცი თავს თავის ნებით დუმილით ვერ დაისჯის!

ბარუა: ოჰ, როგორ არა!... არის ცხოვრებაში ეტაპები, სადაც შეჩერება უნდა შეძლო, თავს უნდა ჩაულრმავდე და სამომავლო გადაწყვეტილება მიიღო.

ლიუსი *(გადმოხრილი)*: ერთი წამით როლები გავცვალოთ; წარმოიდგინეთ, რომ თქვენთან მოვედი და გეუბნებით: „ყველაფერი მივატოვე, უარს ვამბობ ცხოვრებაზე...“

ბარუა: აჰ, თქვენ ამის უფლება არ გაქვთ! თქვენი საქმე სხვაა, მე... ეს არაა ერთი და იგივე.

ლიუსი: არაფრით არ განვსხვავდები თქვენგან...

ბარუა: თქვენ გაქვთ სიბრძნე, რომელიც გშველით ყოველივე იმის გადატანაში, რაც გარშემო ხდება... სწორედ ესაა განსხვავება ბედნიერებას და უბედურებას შორის.

ლიუსი *(ღიმილით)*: ისე ადვილია კმაყოფილებისა და ბედნიერების ძიება მხოლოდ გონებრივ შრომაში!

ბარუა *(გააფთრებული)*: მე ის აღარ მაკმაყოფილებს!

პაუზა.

ბარუა: მეყო ამაო ფართხალი ამ ცხოვრებაში, რომლის აზრიც ვერ გავიგე...

ლიუსი ზის, გულზე ხელგადაჯვარედინებული, თვალდახრილი. ბოლო სიტყვებზე ფიქრიანად ახედავს ბარუას და პასუხს ახანებს.

ლიუსი: აი, მტკივნეული წერტილი... კი მაგრამ, რატომ უნდა ჩავწვდეთ მაინცდამაინც ცხოვრების აზრს? რატომ უნდა დავსვათ ყოველთვის ეს გადაუჭრელი პრობლემები?

ბარუა *(უცაბედი გაცხარებით)*: რატომ? იმიტომ, რომ თუ მანამდე გავქრი, ვიდრე მის ამოსაცნობ გასაღებს არ ვიპოვი, მთელი ჩემი ნამოღვაწარი ამაო გამოდგება! და რას მშველის მე, ბარუას, იმაზე ფიქრი, რომ შესაძლოა ორი ათას წელს ადამიანებმა მეტი იცოდნენ ამის შესახებ, ვიდრე ჩვენ ვიცით? ეს გამოცანა მე ახლა მაწუხებს, სწორედ ახლა!

ლიუსი: გავიხსენოთ, მოსე არ შესულა აღთქმულ მიწაზე...

ბარუა *(უნებური ღვარძლით)*: ოჰ, მართლა არ ვიცი, რკინის ხართ?! კაცს ეგონება, რომ არასდროს შეჯახებიხართ პირისპირ სიკვდილს! მაგრამ მაინც ხომ დარდობდით, ხომ იყავით მგლოვიარე. თქვენი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ...

ლიუსი *(უეცრად მოგუდული ხმით)*: დიახ, მაშინ სრულ უიმედობაში ჩავვარდი... მრავალი კვირის განმავლობაში. *(თავს ასწევს)* და მერე, ერთ დილას, ბაღში, – ჯერ კიდევ ოტეიში ვცხოვრობდით – მახსოვს, კვლავ დავინახე ხეები, მზე, პატარები... ნელ-ნელა დავძლიე აღმართი.

ბარუა: მე კი, იცით, ერთი წუთიც აღარ მაქვს მოსვენება, რაც ჩემი აღსასრულის მოახლოება ვიგრძენი! ადრე ვამბობდი: „მოვა სიკვდილი, სხვებივით წამიყვანს...“ *(გულზე ხელს იჭერს.)* მაგრამ ახლა მე ვიცი საიდან მოვა, და ყველაფერი შეიცვალა! ვგრძნობ მის კლანჭებს, ავადმყოფ, მოფამფალებულ სხეულში რომ ჩამსობია და მღუპავს, ღუპავს ჩემს ნამოღვაწარს, მინადგურებს სიცოცხლის სიხარულს, რომელიც მქონდა...

აჰ, არ შემიძლია ამ არამყოფობასთან შეგუება!

დუმილი.

ლიუსი: ჩვენ სხვადასხვაგვარად ვუყურებთ მოვლენებს. ჩემთვის სიცოცხლე და სიკვდილი მუდამ ერთმანეთში იყო არეული. ეს ერთი მისტერიის გაგრძელებებია... და მე ასე განვიხილავ ამ პრობლემას უკვე იმდენი წელია, რომ ამბოხების უმცირესი წადილიც კი აღარ მაქვს.

ბარუა: თქვენეული შემგუებლობა ჩემს ძალ-ღონეს აღემატება.

ლიუსი: არაფერს არ ვეგუები! მაგრამ აღარც ვჯანყდები. ისე პაწაწუნა მგონია თავი, როდესაც სამყაროს კანონების მოწესრიგებულობაში... შევეჩვიე, რომ სამყაროს მხოლოდ ერთი მცირე ნაწილაკი ვარ, რომელიც აღასრულებს თავის ბედს; მე წარსულის და აწმყოს კავშირი ვარ; წინასწარვე ვხვდები, რომ ჩემი სიცოცხლე იმ ადამიანებში გაგრძელდება, ვინც იმავე საქმეს გააკეთებს ჩემ შემდეგ, რასაც მე ვაკეთებდი. *(მომლიმარი)* გიმეორებთ, რომ კმაყოფილებას, რომელიც მოაქვს გონებრივ შრომას, ჩემთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. სიკვდილს აქვს რაციონალური მარცვალი, თუ მას გონიერად განვიხილავთ, და ეს მეხმარება მის ისევე ბუნებრივად მიღებაში, როგორც სიცოცხლეს ვიღებ.

ბარუა: მშურს თქვენი.

ლიუსი: ამგვარი სიმშვიდე ყველასთვის ხელმისაწვდომია!

ბარუა თავს იქნევს.

ლიუსი *(მოსაყვედურე კილოთი)*: თქვენსავით პარალიზებული რომ ვიყო სიკვდილზე ფიქრით, გარწმუნებთ, თავს მოქმედებას ვაიძულებდი. ჩვენ უნივერსალური სიცოცხლის ნატეხები ვართ – შესაძლოა ერთადერთი, ვისაც შეგნება აქვს, ვინც აღიქვამს თავის არსებობას და სწორედ ეს შეგნება გვავალდებულებს რაც შეიძლება ქმედითად ვიცხოვროთ. თქვენ, ბარუა, თქვენ ისე გიყვარდათ სიცოცხლე!

ბარუა *(ნირწამხდარი)*: ახლა მეტად მიყვარს, ჩემო მეგობარო, ვი-

დრე ოდესმე მყვარებია, და სწორედ ეგ მიშლის ხელს, რომ მის დასასრულს შევეგუო! რაც მეტად მიყვარს სიცოცხლე, მით მეტად ვერ ვეგუები იმ პირობებს, რომელშიც უნდა ვიცხოვროთ. რა საჭიროა ცნობიერება, თუ მხოლოდ არმყოფობას უნდა ვუყუროთ?

ლიუსი უყურებს და პასუხს არ სცემს.

ბარუა: არმყოფობა, არარა... რამდენიც არ უნდა ვირწმუნო თავი, აქედან ვეღარ გამოვდივარ!

ლიუსი: თქვენზე თქვენი „მე" ძალიანაა გაბატონებული. ეს ხშირია, როცა კაცი ბერდება. პიროვნული „მე" უფრო მკვეთრი, უფრო მძიმე, მნიშვნელოვანი ხდება; გარემო ნაკლებ გავლენას ახდენს მასზე, თავის თვისებებზეა კონცენტრირებული... უნდა ებრძოლო ამ გაქვავებას!

ბარუა *(ხელჩაქნეული)*: აჰ, ძვირფასო ლიუს, როგორ არ უნდა იყო ყველაფრისგან უიმედობაში ჩავარდნილი? ვნახოთ! რა შედეგი მოიტანა მთელმა ჩვენმა ძალისხმევამ? გადავხედოთ ჩვენს განხიბვლას დრეიფუსის საქმის შემდეგ! ყველგან სიცრუე, ანგარება, სოციალური უსამართლობაა, როგორც მანამდე იყო! სადაა პროგრესი? ჩვენ მიერ წარმოდგენილი ერთი რწმენა მაინც თუ დამკვიდრდა? პირიქით, მე უკანდახევას ვადასტურებ, რადგან ახალგაზრდები უარგვყოფენ და ყველაფერს უპირისპირდებიან, რაც ჩვენ საბოლოო ჭეშმარიტება გვეგონა! რა დასანანია! ბევრი მათგანი სრულიად დაექვემდებარა კათოლიციზმს! იციან რამე რელიგიაზე ჩვენი შეტევების თაობაზე? კი, მაგრამ მათში იპოვეს თავისი ტემპერამენტის შესაფერი პასუხები და ისევე დარწმუნებულნი არიან თავის სიმართლეში, როგორც ჩვენ ვიყავით! მარჯვედ მოიფიქრეს თავის დასაძვრენი ხრიკები, რათა თავისუფალი ნება თავის უფლებებში აღედგინათ და თავიანთი ქმედების გამართლება მასზე დაეფუძნებინათ! ეს ფაქტია, ჩემო ძვირფასო...

ჩვენ თავდადებით ვშრომობდით სხვათა ბედის გასაუმჯობესებლად, სხვათა გასათავისუფლებლად, ყველაფერი უკან უმადურად დაგვიბრუნდა, თვით ბუნება მუშაობს ჩვენ საწინააღმდეგოდ. ყველა უსამართლობა, ყველა შეცდომა ხელახლა იბადება ყოველ ახალ თაობასთან ერთად და ეს იგივე ბრძოლაა, იგივე გამარჯვებაა ძლიერისა სუსტზე, ახალგაზრდისა მოხუცზე, მუდმივად!

ლიუსი *(ძალზე მტკიცედ)*: არა, მე ვერ დაგეთანხმებით, ვერ დავინახავ სამყაროს ისე ცუდს, როგორსაც თქვენ ხატავთ... პირიქით, მე ვხედავ, რომ საბოლოოდ, მიუხედავად გადაცდომებისა, რომლებიც მე თქვენსავით უიმედობაში მაგდებს, მაინც წესრიგი და პროგრესი

გაიმარჯვებს, ნელ-ნელა... კაცობრიობა, საზოგადოდ, წინ მიიწევს. ეს უდავოა. და ვერც ერთი კეთილსინდისიერი ადამიანი ამას ვერ უარყოფს.

ბარუა სიცილს იწყებს.

ბარუა: აღიარეთ, რომ რწმენა პროგრესში არის ოპტიმისტური პოსტულატი, რომელიც პირადი სულიერი წონასწორობისთვის გჭირდებათ!

პროგრესი? კი, აპარატურა, მეთოდები, ყველაფერი, რაც სამეცნიერო დაკვირვებასა და პრაქტიკაზეა დამოკიდებული, წინ წავიდა... მაგრამ სილრმისეულად რა არის ახალი ბერძენი ფილოსოფოსების შემდეგ? სიცოცხლეზე, სიკვდილზე ჩვენ მათზე მეტი არა ვიცით რა... ვარაუდები! დარწმუნებით შეუძლებელია სულის, თავისუფალი ნების, არსებობის დადასტურება ან უარყოფა...

ლიუსი: უკვე უდავოდაა დამტკიცებული, რომ ყველაფერი ისე ხდება, თითქოს სული და თავისუფალი ნება არც არსებულიყოს. ეს უკვე რაღაცას ნიშნავს.

ბარუა: ეგ ნეგატიური და ნარმავალი მტკიცებულებები მე აღარ მაკმაყოფილებს!

ლიუსი *(სევდით)*: თქვენც ბარუა, თქვენც შეგეყარათ ეგ გადამდები დაავადება? აჰ, ვაღიარებ, რომ არეულ დროში ვცხოვრობთ... მაგრამ როგორ ვერ გრძნობთ, რომ ამ ტანჯვაში მომავლის ნიშატია ჩადებული! „ტანჯვით ჰშვნე შვილნი"...

თქვენ არ წამოთქვამთ სიტყვებს, რომელიც დღეს მრავალთ აერთიანებს და რომელიც ენის წვერზე გადგათ: მეცნიერების მარცხი... მოხერხებული ფორმულა! უმეცართა კლასი, აგერ უკვე ათეული წელია, ამას იმეორებს და ახალგაზრდა თაობამაც გადაუმოწმებლად სტაცა ხელი; რადგან მტკიცება უფრო ადვილია, ვიდრე გადამოწმება... *(სიამაყით)* ამ ხნის განმავლობაში კი განაგრძობს მუშაობას ეს დამარცხებული, ბანკროტად ქცეული მეცნიერება და მისი წვლილი თანდათანობით იზრდება. თეორიები, რომლებიც ადრე სავარაუდოდ მოხაზა, ყოველდღიურად მუშავდება და სიმყარეს იძენს ახალი აღმოჩენებით... მეცნიერება უჩუმრად მიიწევს წინ – და საბოლოო სიტყვა მას დარჩება!

დგება და რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს ზურგზე ხელდაწყობილი.

ლიუსი: ეს გარდაუვალი რეაქციაა... სიბრიყვეა მეცნიერებას იმაზე

მეტი მოსთხოვო, რისი მიცემაც თავის განვითარების დასაწყის ეტაპზე შეუძლია და შესაძლოა მეტისაც, ვიდრე საერთოდ შეუძლია რომ გასცეს. ყოვლისშემძლედ მიიჩნიეს. და ახლა თქვენნაირი მეცნიერებისადმი მიდრეკილი გონების ხალხი ექცევა თავიანთი ინდივიდუალისტური მსოფლმხედველობის გავლენის ქვეშ. სამოც წელს მიღწეულნი გულუბრყვილოდ ამბობენ: „აი, უკვე ოცდაათი წელია, რაც ვშრომობ. ჩემი არსებობის ეს ოცდაათი წელი სავსე იყო მოვლენებით... და რა აკეთა ამასობაში მეცნიერებამ? მე ვერავითარ წინსვლას ვერ ვატყობ".

მეცნიერების კრახი, ჩემო კარგო, უბრალოდ იმ დისპროპორციის შედეგია, რომელიც ჩვენი, ადამიანთა, სიცოცხლის ხანმოკლეობასა და შემეცნების დინჯ განვითარებას შორის არსებობს. თქვენ და სხვებიც მოჩვენებითობის მსხვერპლნი ხართ. ჩვენი წინაპრებივით ხართ, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ამტკიცებდნენ მინერალური სამყაროს უცვლელობას, რადგან მათი ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში ვერ აკვირდებოდნენ და ვერ ხედავდნენ ქვის შემადგენლობის შესამჩნევ და საგრძნობ ცვლილებას!

ბარუა შეუვალი ინდიფერენტულობით უსმენს.

ბარუა: *კი...* ოდესღაც ეგეთი მსჯელობები მაკმაყოფილებდა. ახლა აღარ მაკმაყოფილებს. მათში ვხედავ ლოგიკურ თანმიმდევრობას, მაგრამ ეს არ მიიოლებს წვალებას...

დუმილი.

ბარუა *(თვალზე ცრემლმომდგარი)*: უჰ! საშინელებაა დაბერება...

ლიუსი *(მკვირცხლად)*: კი მაგრამ, თქვენ ჩემზე ახალგაზრდა ხართ!

ბარუა *(სერიოზული)*: ისე ბებერი მგონია თავი, ჩემო ძვირფასო. გაცვეთილი მანქანა ვარ. ბერკეტები აღარ მემორჩილება. გული განგაშის ზარს სცემს. აქ... *(გულმკერდზე იდებს ხელს.)* ... დახვრეტილი საბერველი მაქვს. უმცირესი გაციება საწოლს გამაკრავს ხოლმე, სიცხიანს... გათავებულია ჩემი საქმე, კიდევ ერთი ეტაპის გადალახვის ძალა აღარ შემწევს...

ლიუსი *(გაუბედავად)*: დეპრესიის პერიოდი გაქვთ, გაივლის...

ბარუა *(ღვარძლიანად)*: მაშ, თქვენ არ გრძნობთ წლების სიმძიმეს! ტვინი ქვეითდება, ჩვეულებები შეშდება... მარტოობა, გრძნობებისგან დაცლა, ვეღარაფერი მიგაქვს გულთან... აჰ, ეშმაკმა დალახვროს, ამ ყველაფერს ვგრძნობ! ჩემი ცხოვრება გაჩერებულია; გულშემზარავი გრძნობაა. უძლური ვარ, რაიმე მოვიმოქმედო. მხოლოდ ერთი სანუკვარი ნატვრა მაქვს... ქმედების სურვილი მქონდეს!

და თუ წარსულისკენ მივიხედავ, რას ვიპოვი იქ? რა გავაკეთე ჩემს ცხოვრებაში?

ლიუსი შეიშმუშნება.

ბარუა *(არ აძლევს სიტყვის თქმის საშუალებას).* –ცხადია, ვწერდი, სიტყვებს ვამწკრივებდი, არგუმენტაციებს ვაგროვებდი... ვტოვებ წიგნებს, სტატიებს, რომლებიც თავის დროზე აქტუალური იყო... მაგრამ ბრიყვი გგონივართ? გგონიათ არ მესმის, რა უმნიშვნელო და საბრალობელია ეს ჩემი ნაღვაწი?

ლიუსი: თქვენ სათანადოდ ვერ აფასებთ თქვენ განვლილ ცხოვრებას, ბარუა; ეს არაა ღირსეული საქციელი. თქვენ ეძიებდით, თქვენ პოულობდით ჭეშმარიტების მარცვალს, უშურველად ასაჯაროებდით; თქვენ იმდენი ცდომილების ამოძირკვას შეუწყვეთ ხელი და იმდენი მერყევი დაარწმუნეთ; თქვენ სამართლიანობას იცავდით ისეთი მგზნებარებით, რომ მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში საზოგადოებრივი მოძრაობის გული და სული იყავით...

(უბრალოდ) მე თქვენი ცხოვრება წარმტაცად მიმაჩნია.

ბარუას თვალებში სიამაყე გაკრთება. იღიმება და ხელს უწვდის.

ბარუა: გმადლობთ, მეგობარო... ადრე ეს სიტყვები თვითდაჯერებულობით ამავსებდა... დაკრძალვისას უკეთეს გამოსამშვიდობებელ სიტყვაზე ვერც კი ვიოცნებებდი...

მაგრამ, ახლა...

სიჩუმე.

ბარუა: რაზე ფიქრობთ?

ლიუსი: ახლა თქვენი ყურებისას ეს აზრი გამიჩნდა, ალბათ, ბევრ ჩვენს წინამორბედსაც შემოსწოლია ასეთი სევდა... ეს ადამიანები – რომელთაც უნდა ვუმადლოდეთ ყველაფერს, რაც კი გაგვიკეთებია – ალბათ, ვარდებოდნენ უიმედობაში, ალბათ წარმოიდგენდნენ ხოლმე, რომ მათი ძალისხმევა ამაო იყო... *(დრო)* მოდით დაიჯერეთ, ბარუა, ეს ჭეშმარიტება. არც ერთი კეთილი თესლი არ დაიკარგება, არც ერთი იდეა არაა, ერთ დღეს ნაყოფი რომ არ გამოიღოს, არც ერთი ნამცეცი მიღწეული ცოდნისა არ გაქრება. ვიცით კი, რომ ჩვენ მიერ გამოთქმული ესა თუ ის აზრი, ერთ დღეს, დიდი აღმოჩენების საწყის წერტილად არ გამოდგება, რომელიც მეტ თავისუფლებას მოიტანს მომავალში? რამე ღირებული რომ შექმნა, საკმარისია მთელი შენი ცხოვრება მიუძღვნა შენს საქმეს. თუ შენ დათესე კარგად, რისი დათესვაც შეგეძლო,

შეგიძლია მშვიდად ნახვიდე და სხვებს დაუთმო ადგილი...

ბარუა *(მოღუშული)*: მაგრამ მე თქვენსავით არ ვარ დარწმუნებული, რომ მხოლოდ კარგი თესლი ვთესე...

ლიუსი უსაზღვრი სასონარკვეთით შეჰყურებს.

ბარუა: მე სრულიად შევცვალე ჩემი დამოკიდებულება სამყაროს მიმართ. აღარც კი ვიცი, სადამდე შევტოპე, აი, ესაა სიმართლე...

ზოგჯერ, მაგალითად, როგორც დღეს, აღარ შემიძლია სიმართლედ მივიღო ის, რასაც აქამდე ვიცავდი. კარგად ვგრძნობ, რომ არ შემიძლია ლოგიკურად დავამტკიცო ჩემი ადრინდელი შეხედულებების უშინაარსობა; მაგრამ – არ ვიცი, როგორ გამოვთქვა – თითქმის ფიზიკურად უკუვაგდებ მათ. უკუვაგდებ, რადგან მხოლოდ იმედგაცრუება მომიტანეს!

ლიუსი: თქვენ განსჯის უნარი გაქვთ დაკარგული...

ბარუა: განსჯის უნარი ოცდაათი წლისას გაქვს, როდესაც წინ მთელი ცხოვრება გელოდება, როდესაც ჯერ კიდევ გაქვს დრო აზრის შეცვლისა, როდესაც სისხლი გიდუღს და ბედნიერებით ხარ აღვსილი! მაგრამ როდესაც აღსასრული ახლოსაა, ისეთი საბრალო და პაწაწუნა ხარ უსასრულობის პირისპირ...

(ძალიან ნელა, მზერადაკარგული თვალებით) ყველაფრის მიუხედავად, გაქვს რაღაც გაურკვეველი სურვილი... სურვილი, არც კი იცი, რისა...რომელიც ყოველგვარი შიშის წამალი იქნებოდა...

ცოტაოდენი სიმშვიდის, ცოტაოდენი ნდობის... რაღაცის, რასაც დაეყრდნობი... რომ ასე უბედური არ იყო იმ დროის განმავლობაში, რაც ჯერ კიდევ დაგრჩენია...

თავს ასწევს.

მელანქოლიურად მომღიმარი ლიუსი შეეჯახება თუ არა ბარუას მზერას, ღიმილი უქრება.

ერთი წამის შემდეგ ბარუას თავი ხელში აჰყავს და ლიუსს თავის ხელნაწერს უწვდის.

ბარუა: აი, ეს წაიკითხეთ, კარგი?

გადის ოცი წუთი.

საღამოვდება.

ლიუსი დგება და ფანჯარასთან მიდის. სითეთრის სიმფონია – მქრქალი მინები, ქათქათა გამჭვირვალე ფარდები, მისი ფერმკრთალი შუბლი, თეთრი წვერი, ფურცლები...

ოთახის კუთხეები მნუხრით ივსება.

თვალგაშტერებული ბარუა იცდის.

ლიუსი უკანასკნელ გვერდს გადაფურცლავს. ბოლომდე, ყურადღებით კითხულობს; ხელნაწერიანი ხელი ეშვება; იხსნის სათვალეს; თვალებს ჭუტავს და ბინდში ბარუას ეძებს.

ლიუსი: ჩემო საბრალო მეგობარო, რა გინდათ, რომ გითხრათ? მე აღარაფრით შემიძლია დაგეხმაროთ, ახლა...

(პაუზის შემდეგ) არა, მე აღარაფრით შემიძლია დაგეხმაროთ...

IV

ვასინი-სურ-ლისი, განთან.

ბარუას ეტლი მიუყვება მონასტრის კედელს და ჭიშკართან ჩერდება, რომელიც იმწამსვე იღება. კვეთს უკაცრიელ ეზოს, ყოყმანობს, შემდეგ ცენტრალური შესასვლელისკენ იღებს გეზს; ბოლო საფეხურზე რომ ადის, მის წინ კარი იღება.

ფილაქნიანი ვესტიბიული. დარაბები დახურულია. ლანდი უახლოვდება, სახე შავი პირბადით აქვს დაფარული.

ბარუა მას მიჰყვება.

მონაზონი სწრაფად მიდის, გაუჩერებლად ამოძრავებს ხელში ხის სატკაცუნოს. დერეფნები. მონაზონი ბოლო კარს შეაღებს, გვერდზე გადგება, შეუშვებს და მის უკან კარს გასაღებით კეტავს.

მოსაცდელი ოთახი. დიდი დარბაზი, გაპრიალებულ ფილებიანი იატაკი; დარბაზი მთელ სიმაღლეზე ორადაა გადაყოფილი ხის ცხაურით.

ქალია იქ, შავებში ჩაცმული, უძრავი, სკამზე მიგდებული. სესილის შეიცნობს. უახლოვდება. ქალი შეკრთება, ხელს გამოუნვდის, სიტყვის თქმის თავი არა აქვს.

კაცი მის გვერდით ჯდება.

რამდენიმე წუთი.

ეზოში პატარა სამრეკლოზე ოთხ საათს ჩამოჰკრავენ.

მაშინვე ცხაურის იქითა მხარეს სამი მონაზონი გამოჩნდე-

ბა, ერთი სიმაღლის, შავი პირბადით სახემობურული. ორი ღვთისმშობლის გამოსახულებასთან იჩოქებს. მესამე ცხაურთან მოდის და გასაღებით აღებს და გადასწევს ტიხრის ერთ ნაწილს; შემდეგ გაბრუნდება და სხვებთან ერთად ხმამაღლა ამბობს ლოცვას ფსკვნილით ხელში.

სესილი და ბარუა ფეხზე დგანან, ნერვებდაჭიმულნი.

სესილი ისე აღებს პირს, თითქოს კვდებაო.

ფსკვნილიანი ლოცვა თავდება.

ერთ-ერთი მონაზონი პირჯვარს გადაიწერს და მათკენ მოეშურება; პირბადეს იწევს...

სესილი მოგუდულად ნამოიკივლებს და ცახცახით ჩაიხუტებს; შემდეგ უეცრად გასწევს, კარგად შეათვალიერებს, ხომ არ მომატყუეს, ხომ ჩემი შვილიაო. ისევ ჩაიკრავს გულში და საბრალოდ ებუტბუტება საალერსო სიტყვებს.

მარი თავს აბრუნებს და ისე, რომ დედას არ შორდება, მამას უწვდის ხელს; ჟანი კოცნის მტირალი. მათი თვალები ხვდება ერთმანეთს. ბარუა ცნობს მის კიდევ უფრო გამკაცრებულ, ნაღვლიან მზერას, მისთვის დამახასიათებელ იმავე მოცახცახე ღიმილს, რომელიც მისი რწმენის უმაღლესი გამოხატულებაა; მაგრამ მისი ადრინდელი გამომეტყველება ასეთი ნათელი არ ყოფილა.

მარი: შემიბრალეთ, დედიკო, ნუ ტირით... უფალი მოგცემთ ძალას, ნუგეშს... *(ხმა სიმტკიცეს კარგავს, და თავისდაუნებურად ამატებს)* რომ იცოდეთ, რა ბედნიერი ვარ!

მის მხარზე დაყრდნობილი სესილი ნაწყვეტ-ნაწყვეტ რაღაცას გაურკვევლად წუწუნებს.

სესილი: მე რა უნდა ვქნა, მარი, მე რა მეშველება?

მარის ნაზად მიუხუტებია დედა და შუბლზე ეფერება.

მარი *(ბარუას მიუტრიალდება)*: მამა, თქვენი მანიფესტი წავიკითხე... ეს უკანასკნელი წყალობა იყო, ასე რომ ვითხოვდი... *(თვალებში შეჰყურებს. და ხმაში უეცარი იმედი გაიელვებს.)* მამა, ეს ფურცლები ღმერთს უხმობენ!..

ბარუა უარის ნიშნად თავს გაიქნევს.

სესილი ისევ ქვითინებს, არაფერს უსმენს, ბუტბუტებს: – მე რა უნდა ვქნა... მე რა მეშველება?...

მარი ხან დედას შესცქერის, ხან მამას. გული ბოლოჯერ

ეწურება ადამიანური სიბრალულით. იხრება, მამამისის ხელს სნვდება და ნაზად დედის ხელისკენ მისწევს.

მარი *(ხმადაბლა)*: აჰ, იმდენი ვილოცე... *(ძლივს გასაგონად)* ნუღარ განშორდებით ერთმანეთს, ახლა...

ოთახის სილრმეში მონაზვნები წამოდგებიან.

მათ უახლოვდებიან.

მარის ზურგსუკან ესმის მათი ნაბიჯების ხმა; სხეული უთრთის; სახეზე შეძრწუნება ეხატება. სესილის მკლავებიდან თავს გამოიხსნის და მამას ჩაეხუტება. ჟანი ძლივსღა ასწრებს მისი ამობურცული შუბლის აბრეშუმისებური კანის შეგრძნებას თავის ბაგეზე... მარი მოსცილდება, დაბნეული სახით კიდევ ერთხელ დედას მოეხვევა, რომელიც გაგიჟებული თვალებით უყურებს...

შემდეგ სწრაფად უკან-უკან მიდის. პირბადე კვლავ ეშვება.

მონაზონი მზრუნველად კეტავს ცხაურს.

ველარავინ ნახავს ამ სახეს ცოცხალს.

სესილი მეხდაცემულივით დგას, ხელგაწვდილი, პირდაღებული. უეცრად შექანდება და ბარუა რომ არა, ძირს დაენარცხებოდა.

სესილი მას ჩაებღაუჭება.

სესილი *(ერთი ამოსუნთქვით)*: არ მიმატოვო, ჟან... არ მიმატოვო...

კარი იღება.

მეკარის საჩხაკუნოს ხმა ისმის.

ბარუას სესილი გასასვლელისკენ მიჰყავს.

ერთი საათის შემდეგ.

ფუნდუკის უკანა ოთახი. ღუმელთან ორი საავარძელია მიწეული. ხელუხლებელ ვახშამს ჩამოკიდებული ლამპის შუქი ანათებს.

მოშორებით მჯდარი ბარუა სესილის ზურგიდან უყურებს, ხედავს მის მოკუზულ ტანს, ჩამოშლილ თმაზე ჩამოცურებულ დაკუჭულ ქუდს; დრო და დრო სესილი მოხედავს და შესიებულ ტუჩებზე ცხვირსახოცს იჭერს, რომ ქვითინი შეაჩეროს.

ჟანს სიცხე აქვს; ყოველი გულის ცემა ტკივილს აყენებს; გრძნობა გაშიშვლებული აქვს. ამ ცრემლთა ხმაური მასში

შორეულ მოგონებებს აცოცხლებს.

ფიქრობს წარსულზე, გაუმწარებლად. გუშინდელი მარტოობა, ის, რაც ხვალ ელოდება, ბევრად უარესია, ვიდრე წარსული უთანხმოებანი.

– მან თქვა: ნუ მიმატოვებ... იქნებ ეს მხოლოდ სასოწარკვეთილის უიმედო ძახილი იყო?

აჰ, და თუ მართლა ასე უნდა...

მაგრამ პრაქტიკულად ეს ძნელი განსახორციელებელია...

ჩემთან რომ გადმოვიდეს გარეუბანში? ვერ შეეგუება; მისი აქტიური მოღვაწეობა, საქველმოქმედო საქმეები...

მაშ? მე ხომ ვერ გადავალ ქალბატონი პასკელენის სახლში...

უნებურად ნაფიქრი წინადადების ბოლოს ხმამაღლა ამბობს:

ბარუა: ეს შეუძლებელი იქნება, თუ თქვენ არ დათანხმდებით თქვენი სახლის დატოვებას... და ბებიაჩემის სახლში გადმოსვლას...

სესილი შემობრუნდება.

ბარუა წითლდება.

სესილი ყოყმანობს, კარგად გააზრებისთვის დრო სჭირდება. ემოციისგან თვალებიც კი გაუელამდა. შემდეგ სავარძლიდან აუდგომლად, მადლიერი ხელს გაუწვდის ჟანს.

მნუხრი

... მსგავსი იმისა, ვინც მიჰყვებოდა სინათლეს,
რომელიც თვითონვე ეჭირა ხელში...

ანდრე ჟიდი

... ნუ ჩააქრობ აბოლებულ პატრუქს...
მისი სუნიც კი მეგზურობას გვიწევს...

იბსენი

I

.....

ბიუიში, ბარუების ძველ სახლში.
ზაფხულის პირველი დღეები.

დილის ათი საათი.

სესილის ოთახი.

მან აქ თავი მოუყარა ქ-ნი პასკელენის პატარა მისაღები ოთახის მთელ ავეჯს.

ზის თავის საწერ მაგიდასთან. შავი კაბა. თმა უბრალო ვარცხნილობით. ანგარიშების წიგნი აქვს წინ გადაშლილი. გვერდით რვეულები ეტიკეტებით: „შემოწირულობა", „საგარდეროობ".

სესილი: შემოდით...

ჟანია.

სესილი ასრულებს ანგარიშს, საშრობს ადებს და თავს აბრუნებს. გულთბილი ღიმილი.

სესილი: ამ დილას როგორ ხართ, ჟან?

ჟანი: არა მიშავს.

სესილი: მშვენიერი ამინდია...

ჟანი ფანჯარასთან მიდის. რაფა თბილია. ეზო შუქითაა სავსე.

ჟანი: მზის გულზე ახლა, ალბათ, კარგი იქნება...

სესილი მოხერხებული მოძრაობით ალაგებს რვეულებს. შემდეგ თავზე ქუდს იმაგრებს და ერთ-ერთ რვეულს იღლიაში ამოიდებს.

სესილი: ეს აბატ ლევის უნდა წავუღო.

სესილი კიბეზე ჩადის, ჟანი უკან მიჰყვება. ვესტიბიულის კარი ღიაა; ბაქანი თვალისმომჭრელად ბრწყინავს.

რამდენიმე ბრმად გადადგმული ნაბიჯი. მზე მხრებს ათბობს.

პირველი პიონები, პირველი მარწყვი; ვაზის ტალავერის მწვანე ფოთლები.

სამრეკლოს საათი რეკავს.

ჟანი აიხედავს; მზერას ააყოლებს მოყვითალოდ შეღებილ კედელს და ცის სილურჯეში ჩაკარგავს; ცის სილურჯეში, რომელიც შორიდან მოდის, გადაივლის და მსოფლიოს შემოივლის.

ნელა უახლოვდება ტალავერში მდგარ სკამს, ჯდება, ხელებს გადადებს სკამის თბილ ზურგზე და სხეულს მადლიან მზეს მიუშვერს. ხელები უვარდისფრდება მზეზე. დამშვიდება.

ფიქრობს:

– აქ ვარ, ამ გაზაფხულზე... მისი ვერა გამიგია რა, მაგრამ ის მე მიპყრობს, მიმორჩილებს.

ეტყობა, არსებობს იდეათა უზარმაზარი ციკლი, რომელსაც ჯერ ჩვენი აზრი ვერ სწვდება... იდეები, რომლებიც სცდება ჩვენს წარმოდგენებს სულის, ღმერთის შესახებ; იდეები, რომლებსაც შეეძლო ჩვენი წინააღმდეგობების შეთანხმება... აჰ!...

რამდენიმე წუთის შემდეგ.

ჟანი ნელა ბრუნდება სახლში.

ჭიშკრიდან ზარის ხმა ისმის.

აბატი შემოდის ეზოში, ხედავს ჟანს და უახლოვდება.

ჟანი: ქალბატონი ბარუა ეს-ესაა გავიდა, ბატონო.

მღვდელი ყოყმანობს.

აბატი: ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ, აბატი ლევი.

ჟანი *(კარის წირთხლიდან)*: ქალბატონ ბარუას დასწყდება გული. მგონი, სწორედ თქვენთან წამოვიდა.

აბატი *(ხელს ისე აიქნევს, რომ ქ-ნი ბარუა და მისი საქველმოქმედო საქმეები ამ წამს ნაკლებად აინტერესებს)*: ამ შემთხვევით რომ არ მესარგებლა, ბატონო, თავს ვერ ვაპატიებდი... მე ახლახან ჩამოვედი ბიუიში. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ ქალაქში დავსახლდი, თქვენი გაცნობა მსურს.

ჟანი თავს უკრავს.

აბატი: ვიცი, რომ ძალიან ჩაკეტილად ცხოვრობთ. მაგრამ ის გარემოება, რომ თორმეტი წლის განმავლობაში ვიყავი თქვენი ხელმომწერი, თუ არა... *(მიუთითებს თავის ანაფორაზე)* ერთ-ერთი თქვენი მკითხველი, რალაც უპირატესობას მაძლევს...

ჟანი *(განცვიფრებული)*: „მთესველს" კითხულობდით?

აბატი: რეგულარულად. *(თვალებს ხრის.)* ვთანამშრომლობდი კიდეც, თუ შეიძლება, ასე ითქვას, ხელმოუწერელი წერილებით, რომლებიც თქვენ არაერთხელ...

ჟანი *(საფეხურებზე ჩამოდის)*: მართლა? ეჭვიც არ შემპარვია...

უჰ, მზეში დაგაყენეთ... ცოტა ხნით ხომ არ შემობრძანდებით? ქალბატონი ბარუა მალე დაბრუნდება.

აბატი კაბინეტად ქცეულ ძველ მისაღებ ოთახში შეჰყავს, რომელიც მისი აქტიური ცხოვრების დროინდელი ნარჩენებითაა მოწყობილი: წიგნების კარადა, საწერი მაგიდა და ბუხარზე მარტოდმარტო მიქელანჯელოს „ამბოხებული მონა", გაქვავებული თავის ძალისხმევაში.

აბატი ლევი, გრძელი, გამხდარი. სწორი სახის ნაკვთები, დროდადრო ნერვული ტიკით ეღარება. მოყვითალო, დაჭმუჭნული კანი. მზერა ხან დაბნეული, ხან დაჟინებული. მოძრავი ტუჩები, რომლებიც ღიმილისას საბრალობლად ემანჭება.

ჟანი *(დაინტერესებული)*: ისეთი გაკვირვებული ვარ, ჩვენს კორესპონდენტთა შორის მღვდელი რომ გვყოლია!... რა განწყობით კითხულობდით ჩვენს „მთესველს"?

აბატი: ძალიან ხშირად სერიოზული შენიშვნები მქონდა, მაგრამ ყოველთვის ინტერესით და ზოგჯერ თანაგრძნობითაც ვკითხულობდი.

ჟანი გაოცებას ვერ მალავს.

აბატი: არ გგონიათ, რომ აზროვნების გარკვეულ დონემდე მისულ ადამიანს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ჭეშმარიტება სერიოზულად შეიცნოს და თავისი სინდისის ხმასაც მისდიოს, უჭირს მხოლოდ თავის პოზიციაზე დარჩენა, თუ ცოტათი მაინც არ გაითვალისწინა... სხვისიც?...

ჟანი პასუხის გაუცემლად აკვირდება.

აბატი *(მცირე დუმილის შემდეგ)*: ბრეილ-ზეჟერმა გადაიბარა თქვენი თანამდებობა?

ჟანი: არა, ახალგაზრდა კაცმა, გვარად დალიემ. ნამდვილი სექტანტია. ზეჟერს კულისებში ყოფნა ურჩევნია და მის სახელს ამოეფარა.

აბატი: და თქვენ სულ აღარ იღებთ მონაწილეობას ჟურნალის გამოცემაში?

ჟანი *(უხეშად)*: აჰ, არა, არავითარ მონაწილეობას აღარ ვიღებ! და მერწმუნეთ, კატეგორიულად არ მომწონს ის უფრო და უფრო ანარქისტული მიმართულება, რომელსაც ჟურნალს აძლევენ!

აბატი დუმს.

ჟანი: სხვათა შორის, არავითარი ურთიერთობა აღარ მაქვს მათთან. საბოლოოდ გავწყვიტე კავშირი. *(იღებს ერთ-ერთ ბროშურას თაროდან.)* ჩვეულებისამებრ, მიგზავნიან ახალ ნომრებს, მაგრამ, ხედავთ, ბოლო გამოშვებები არც კი გამიხსნია... რატომ გავხსნა? იქ მხოლოდ და მხოლოდ გამალიზიანებელ თემებს გადავაწყდები!

(წარბებს ჭმუხნის და ჟურნალებს მაგიდაზე ყრის; შემდეგ საუბრის გეზის შეცვლას ცდილობს.) მიმონერა მხოლოდ მარკ-ელი ლიუსთან და ძველ, ჩემი გაჭირვებული ახალგაზრდობის დროინდელ, მეგობართან იულრიკ ვოლდშუდტთან მაქვს.

აბატი: ქიმიკოსთან?

ჟანი: იცნობთ?

აბატი: მისი წიგნი მაქვს წაკითხული.

მოხიბლული ჟანი იღიმება.

ჟანი: აჰ, არაჩვეულებრივი ხასიათის ადამიანია! ოცდაათი წელია, სიცოცხლის წარმოშობაზე მუშაობს... ოცდაათი წელი, მუხლჩაუხრელად...

აბატი *(გარშემო მიმოიხედავს)*: და... თქვენ? თქვენც განაგრძობთ მუშაობას?

ჟანი *(მხრებს იჩეჩავს)*: არა, მე დაკავებული ვარ... ამ წუთში მე ვთარგმნი ერთი ინგლისელი მისტიკოსის დღიურს, ჩემთვის...

(სევდიანი ღიმილი) დრო დამჭირდა, ამ მოლუსკურ ცხოვრებას რომ შევგუებოდი... მაგრამ ჯანმრთელობაც აღარ მაძლევს მეტის კეთების საშუალებას, ასე უმიზნოდ ვლევ ჩემს ცხოვრებას, ჯანმრთელობას ვუფრთხილდები, ზამთარში ბუხართან ვზივარ, ზაფხულში მზეზე ვთბები... *(თვალებში გაკვესებული ცეცხლი ეწინააღმდეგება ბედთან შეგუების ამ სიტყვებს.)* რას იზამთ, ბატონო აბატო, ეს ყოფილა ცხოვრება...

იღებს „მთესველის" ნომრებს და თითო-თითოდ ყრის მაგიდაზე.

ჟანი: ეჰ, ახალგაზრდები მალე გვისვრიან სანაგვეზე!

პაუზა.

ჟანი *(თავდახრილი)*: ხედავთ, ძალიან მკაცრნი არიან ხელმოცარულების მიმართ... მართალია, მათმა ძალისხმევამ პირდაპირი შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ განა ამის გამო უნდა დავსაჯოთ... ჰა?... არც ერთი ძალისხმევა არ ქრება უკვალოდ...

აბატი *(გაკვირვებული)*: იმედი მაქვს, პირადად თქვენს ცხოვრებას არ გულისხმობთ?

ჟანი ღიმილით უხდის მადლობას.

აბატი ცნობისმოყვარედ შესცქერის ამ უცნობ ბარუას.

ჟანი *(რამდენიმე წუთით ჩაფიქრების შემდეგ, ისევ მოუვიდა თავში აკვიატებული აზრი.)*: მე ძალიან დიდხანს მეგონა, რომ მეცნიერებას, მარტოოდენ მეცნიერებას შეუძლია ადამიანთა შორის მშვიდობის, ერთობის დამყარება... ეს კი ასე არაა.

აბატი *(ფრთხილად)*: მაგრამ მაინც... თუ ამ საკითხს ხალხთა დაახლოების კუთხით განვიხილავთ, მეცნიერებამ ას წელიწადზე ნაკლებ დროში დაახლოებით ის შეძლო, რასაც ქრისტიანობა ოც საუკუნეს მოუნდა!

ჟანი: დიდი ამბავი! პრაქტიკული შედეგები ნახეთ. რა მოიგო ხალხმა ამით? მიწაზე განრთხმული, მართლა სილამაზეს მოკლებული და, რაც მთავარია, უნაყოფო მატერიალიზმი...

აბატი ჭოჭმანობს. ბოლოს და ბოლოს თვითონ ხომ არ დაიწყებს მეცნიერების დაცვას...

ჟანი *(დაბნეული)*: ... როგორც ჩანს, ეს ამტკიცებს, რომ ადამიანი მხოლოდ შრომისთვის, მხოლოდ ჭეშმარიტების ძიებისთვის არ ცხოვრობს. მას უქმეებიც, დღესასწაულებიც სჭირდება, და დიდი მნიშვნელობა არა აქვს ფორმულირებას...

აბატი *(უეცარი გატაცებით)*: დიახ, ფორმულირებებს არა აქვთ დიდი მნიშვნელობა, რადგან ვერც ერთი მათგანი სრულად ვერ

მოიცავს და გამოხატავს სრულყოფილებას, დაუსაბამობას, ღმერთს... საბოლოოდ, ეს მხოლოდ სხვადასხვა დასახელებაა იმისა, რაც ყველა ადამიანისთვის ერთია!

ჟანი ყურადღებით უყურებს.

ჟანი: მაშ, თუ სნორად გაგიგეთ, თქვენ, კათოლიკე მღვდელი, უმოწყალოდ არ განსჯით ადამიანს, ვისაც მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში თავისი ფორმულირება ერჩია თქვენსას?...

აბატი *(ინსტინქტურად)*: არა.

მიუხედავად ბარუას ნეიტრალური ტონისა, აბატმა იგრძნო შეშფოთებული კითხვა, მის ხმაში რომ გამოსჭვიოდა.

სიჩუმე.

აბატი: ერთი სკანდინავიური პიესის პერსონაჟის ნათქვამი მახსენდება...

ფეხზე დგება, სესილი შემოვიდა. ცდილობს, გაოცება არ შეამჩნიონ.

აბატი: მინდოდა არ შემეწუხებინეთ ქალბატონო და თვითონ მოვედი, მაგრამ დამაგვიანდა.

სესილი *(გადასცემს ანგარიშების რვეულს)*: დავიანგარიშე ჩვენი ხარჯები.

უხერხულობას გრძნობს, ჟანის თანდასწრებით რომ ლაპარაკობს ამ არასტუმართმოყვარე ოთახში, სადაც ფეხი არასდროს დაუდგამს.

სესილი: ასევე თქვენთან ერთად მინდოდა განმეხილა სკოლის შემოწირულობების სხვადასხვა გადანყვეტილება... ერთი წუთით ჩემთან ხომ არ ამობრძანდებით?

აბატი: რა თქმა უნდა. *(ჟანს)* ბოდიშს გიხდით, ბატონო, რომ ბოროტად გამოვიყენე...

ჟანი *(უშუალოდ)*: თქვენმა სტუმრობამ ძალიან მასიამოვნა.

სესილი გავიდა და კარი ღია დატოვა.

ჟანი *(შეცვლილი კილოთი)*: თქვენ ვერ დაამთავრეთ, რას ამბობდა თქვენი სკანდინავიელი?

აბატი: რაც შეეხება რწმენას, ეს უფლის საქმეა. ჩვენი ვალი კი გულწრფელობაა.[1]

ჟანი: მშვენიერი სიტყვებია...

---

[1] ბერნსტეინ ბერნსონი: „თავს ზემოთ ძალა არაა".

II

.....

12 ოქტომბერი (ბატონ ბარუასთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ).

მასთან სიმპათიით განწყობილი მივდიოდი, სიმპათიითა, რომელიც ჩემთვის დანაშაულებრივი იყო, მივდიოდი პოლემისტთან, ვისი სახელიც ჩემთვის თავისუფლადმოაზროვნეობის სიმბოლო გახლდათ. მივდიოდი აქ მყოფ ერთადერთ კაცთან, ვისთვისაც ჩემი შიშის, ნუხილის გაზიარება შემეძლო.

და დამხვდა საცოდავი, ჩემზე უფრო უბედური, უფრო გაწამებული, უფრო საბრალო ადამიანი!

მაშინვე ვერ მივხვდი, როგორი იყო.

მერიდებოდა და ხანგამოშვებით ვეწვეოდი ხოლმე; თუ სტუმრობას დავუგვიანებდი, თვითონ გზავნიდა ვინმეს ჩემს მისაწვევად; ისე, უბრალოდ, სამუსაიფოდ, ჩემ სანახავად. შევამჩნიე, რომ რელიგიის თემაზე ცდილობდა საუბარი წარემართა. მეც არ ვიხევდი უკან; ვაგრძნობინებდი, თუ რა მძიმე სულიერ მდგომარეობაში ვიყავი. მაგრამ, მგონი, ჩემში ის კაცს მღვდლისგან ვერ არჩევდა. უფრო რელიგიის კულტის მსახური იზიდავდა. მაგრამ კათოლიციზმთან თავის აგრესიულ დამოკიდებულებაზე უარი არ უთქვამს. ჩემს არგუმენტებს მუდამ სამეცნიერო ხასიათის არგუმენტებს უპირისპირებდა, რომელთა მნიშვნელობაც ჩემთვის კარგად იყო ცნობილი და სწორედ ეს მტანჯავდა; მაგრამ ეს მოსაზრებები რაღაცნაირად არასრულად მოჰყავდა, თითქოს შეკამათებას ელისო და მეც ინსტინქტურად ვეკამათებოდი.

ნელ-ნელა მივხვდი. ფიზიკურად მას ფილტვის ტუბერკულოზის ხანდაზმულებისთვის ტიპური ფორმა ხრავს. ლანდადაა ქცეული, თვალები ავადმყოფურად უბზინავს, ყოველდღე სიცხე აცლის ქანცს, აძაბუნებს; პერიოდულად კი ავადმყოფობა კიდევ მეტად უმძაფრდება ანთებებით. მორალურად კიდევ უარესი მდგომარეობა აქვს. იმის ეჭვი ხრავს, რაც ჭეშმარიტება ეგონა და კიდევ – სიკვდილის შიში. ის თავის ძველ მრწამსს ჩაბღაუჭებია, მაგრამ ახლა ის მხოლოდ სიმწრით უვსებს გულს.

მე ამ კაცში მრჩევლის, მშველელის პოვნას ვფიქრობდი, თვითონ გამიხდა საშველი!

მე არ ვფიქრობ ამ მოულოდნელი ვალდებულების თავიდან მოშორებას, მაგრამ ეს სიტუაცია ისეთი ტრაგიკულია... რატომ ინება ღმერთმა, რომ ამ ათეისტის მოქცევა დაკისრებოდა მღვდელს, საბრალო გზაარეულს, რომელიც აგერ უკვე ათი წელია თვითონვე ეჭვებითაა გატანჯული?

იქნებ ასე უნდა ყოფილიყო, იქნებ მე უკეთ ვარ მომზადებული მისი ჭრილობების განსაკურნავად?

ძალ-ღონეს არ დავიშურებ, მთელი სულით და გულით შევუდგები საქმეს და ყველაფერს გავაკეთებ, რომ მას ეჭვიც კი არ შეეპაროს, თუ როგორი დაურწმუნებელი, აკანკალებული ხელებით მივართმევ იმ ღმერთს, რომელსაც ასე ეძიებს!

2 ნოემბერი

თუ რამდენიმე დღე სიცხე არ აქვს, მის გონებას არაჩვეულებრივი სიცხადე უბრუნდება.

დღეს უცნაური მზერით შემაწყვეტინა ლაპარაკი და მითხრა: დრო და დრო, მაგალითად ამ წუთში, გაორებას განვიცდი, ჩემი არსების ერთი ნაწილი განსჯის იმას, ვინც ახლა ვარ, ისევე, როგორც მე განვსჯიდი თხუთმეტი წლის წინათ... და ვეკითხები ჩემს თავს, ხომ არ ვიყავი სამარდჟამოდ მონობისთვის მოწოდებული?

ლაპარაკისას ხელი მიქელანჯელოს თაბაშირის ფიგურისკენ გაიწოდა, ბუხარზე რომ უდგას: შეხედეთ ამას! მას არ შეუძლია ხელი გამოითავისუფლოს!... იქნებ მეც მასავით ამაოდ ვწვალობდი წლების განმავლობაში, იქნებ ჩემი ძალისხმევაც მხოლოდ მოჩვენებითი გათავისუფლება იყო..."

10 ნოემბერი

ამ დილით თქვა:

– ყელში ამომივიდა მეცნიერული უარყოფები! მათი უარყოფა ნაკლებ დამაჯერებელია, ვიდრე სხვების მტკიცება. მაგრამ თქვენი რელიგიური დოგმატიზმი არა ნაკლებ მეზიზღება. ვიცი მისი ფასი. საკმაოდ დიდხანს ვყავდი ჩაჭერილი!

16 იანვარი

საწოლში დამხვდა, იმედგადაწურული.

მის საწოლზე „მთესველის“ ახლადმიღებული ნომერი ეგდო. გაუხსნია. ბოლო გვერდზე, გამოხმაურების რუბრიკაში მოთავსებული იყო შენიშვნა სათაურით: „ახლადმოქცეული“ და რამდენიმე გესლიანი ბწკარი მისი მისამართით, რომელთაც დაჰყურებდა. მხრები აიჩეჩა, მაგრამ ვიგრძენი, რომ უაღრესად გულმოკლული იყო.

საუბრის თემა შეცვალა. რაიმე კონკრეტულზე არ გვისაუბრია.

როცა ცოტა ხნის შემდეგ წამოსვლა დავაპირე, შემომხედა და მცირე დუმილის შემდეგ მითხრა: „გულის სიღრმეში მე მისტიკოსი ვარ... და მაინც არაფერი მწამს...“

ვუპასუხე: – თქვენ არ გწამთ არაფერი? ყოველთვის სწამთ რაღაცა. თითოეულ ადამიანს ჰყავს გულის სიღრმეში თავისი დამალული ღმერთი, რომელთანაც მუდამ მოწიწებით ბრუნდება და რომელსაც მთელ ცხოვრებას სწირავს.

მაგრამ მოღუშულმა თავი გაიქნია: „არა, გეუბნებით, არაფერი მწამს... სიბნელეში ხელის ცეცებით დავდივარ, მინდოდა...“ ჩურჩული დაიწყო, მაგრამ, მგონი, გავიგონე: „...სულიერი სიმშვიდე... სიკვდილისთვის...“

25 იანვარი

შევძელი იმავე თემას მივბრუნებოდი. კვლავ ვიკამათეთ ღმერთის არსებობის მტკიცებულებებზე.

მითხრა: თქვენი მტკიცებულებები ვერაფერს ვერ ამტკიცებენ იმის გარდა, რომ თქვენ, ლევის, გწამთ ღმერთი. სხვას ვერაფერს ამტკიცებენ. როგორ გგონიათ, ამ მტკიცებულებებს რაიმე წონა რომ ჰქონოდა, ათეისტები იარსებებდნენ?

შევეპასუხე: კი მაგრამ, ნამდვილი ათეისტები არ არსებობენ! თქვენც კი მუდამ მორწმუნე იყავით! თქვენი რწმენა პროგრესისადმი, მეცნიერების მომავლისადმი, თვით თქვენი რწმენა ათეიზმის გამარჯვებისადმი განა სხვა რამ იყო, თუ არა თავისებური რელიგიური პრინციპი?

თქვენ გწამთ, რომ ბუნებისთვის თვისობრივია რაღაც მიზანი, გწამთ მისი კანონების მუდმივი წესრიგი; სწორედ ამ წესრიგმა შექმნა ადამიანის ცნობიერება, თქვენი ცნობიერება, და ამით სამყაროს შესძინა სამართლიანობის იდეა, ეს წესრიგია ღმერთი!

რამდენიმე წამით ჩაფიქრდა, შემდეგ მითხრა: „დიახ. მაგრამ დაუსაბამო, განუსაზღვრელი ღმერთი. თქვენი კი განსაზღვრულია. და აი, სნორედ აქ იწყება ცრუმორწმუნეობა“.

რა უნდა მეპასუხა?

7 მარტი

ყოველ ჯერზე, როცა მას ვტოვებ, თავს ვსაყვედურობ, რომ ჩემს შერყეულ რწმენაში ვერ შევძელი საჭირო სიტყვის, საჭირო ტონის მოძებნა. ყოველ ჯერზე, როდესაც ხელახლა ვხვდები, განცვიფრებული ვრჩები, თუ როგორ გავლენას ახდენენ მასზე ჩემი უფერული სიტყვები.

არა, ჩემი მსჯელობანი კი არ არწმუნებენ, მაგრამ მის წინაშე წამოჭრილი კითხვების პასუხები არის. შევნიშნე, რომ გაჩუმება უარესია, ყველა მის შემოტევას უნდა დაახვედრო საწინააღმდეგო აზრი, თუნდაც მერყევი. მას, უპირველეს ყოვლისა, სჭირდება გადაწყვეტილება, უბრალო, გარკვეული და, რაც მთავარია, კატეგორიული.

ვერაფერი ასე კარგად ვერ გამააზრებინებდა, რომ რწმენა მხოლოდ გონების, დარწმუნების აქტი კი არაა, არამედ მგრძნობელობისა და ნების აქტიც, მისწრაფება ნდობისა და სურვილი მორჩილებისა.

19 მარტი

სახარება დიდ მნიშვნელობას იძენს მისი სულიერი ცხოვრებისთვის. ხშირად მოჰყავს ციტატები. ყოველდღიურ ჩვევად ექცა სახარების კითხვა, როგორც ერთადერთი პოეტური წყაროსი, მის სულიერ მოთხოვნებს რომ აკმაყოფილებს.

სხვათა შორის, ცოტას კითხულობს, დღითი დღე ნაკლებს და ნაკლებს. როგორც წესი, მარტოა ხოლმე თავის კაბინეტში ბუხართან მიმჯდარი, მუხლებზე გაუშლელი გაზეთი უდევს.

3 ივნისი

აქამდე რწმენის გრძნობისმიერი საბუთები მომქონდა მისთვის. ნუგეშის საჭიროება; საბოლოო სამართლიანობის აუცილებლობა, ტანჯვა-წვალების საზღაური; ცხოვრების გეზის სურვილი.

ის განსაკუთრებით მგრძნობიარეა ქრისტიანული ცხოვრების მშვენიერების მიმართ; სულ უფრო და უფრო მეტი მაგალითები მომყავს. მიყურებს შურით გაშეშებული თვალებით. იმ დღეს მითხრა: „ეს მშვენიერება, მხოლოდ ესეც საკმარისი იქნებოდა რწმენის გასამართლებლად, მარტო ნაყოფი რომ იყოს საკმარისი ხის გასამართლებლად... და იქნებ, ყველაფრის მიუხედავად, მისი გამართლება შეიძლება?"..

დღეს ძალიან ცოცხალი საუბარი გამოგვივიდა. ამ თბილი დღეების დადგომასთან ერთად, გარეთ გასვლის შესაძლებლობას რომ აძლევს, კვლავ მხნედ გრძნობს თავს. გავისეირნეთ მზეზე, ვიმუსაიფეთ. მთხოვა რამდენიმე დოგმის დაზუსტება. ძალზე განცვიფრებული ჩანდა იმის გაგებით, რომ თეოლოგია სხვადასხვა ელემენტებისგან შედგება, რომელთა ღირებულებაც არათანაბარია; რომ არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში რელიგიის შედარებით მცირერიცხოვანი ძირითადი დოგმები და საყოველთაოდ მიღებული დოქტრინები; რომ არსებობს მრავალი კითხვა *(როგორიცაა, მაგალითად, ინდულგენციების ეფექტურობა)*, რომელზეც ნებისმიერ კათოლიკეს შეუძლია თავისი განსხვავებული აზრი გააჩნდეს. ასევე ვუთხარი, თუ რაოდენ ბუნდოვანი და ნაკლებ კატეგორიულია შეხედულება განსაწმენდელსა და ჯოჯოხეთზე, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია და რამდენი საკამათო რჩება თვით ყველაზე ორთოდოქსი კათოლიკესთვისაც ამ დოგმების ინტერპრეტაციისას.

შესაძლოა, ჩემდა უნებურად ვაჭარბებ კიდეც, რადგან ვგრძნობ, როგორ სალბუნად ედება მას ჩემი სიტყვები. *(სხვათა შორის, ვფიქრობ, იმ ზღვარს არ გადავსულვარ, რაც დღევანდელ აპოლოგეტებს აქვთ დადგენილი.)*

28 ივნისი

გულმოწურული ვბრუნდები. დღეს ენით გამოუთქმელად შემებრალა.

ძალიან დასუსტებული იწვა წინა ღამინდელი მაღალი სიცხის გამო. ამ კვირის წვიმიანმა და მავნე ამინდმა ხველება განუახლა, რაც ძალიან აშინებს.

ქალბატონმა ბარუამ მითხრა, რომ ექიმი ამაზე მაინც და მაინც არ ღელავს და იმედი აქვს, რომ ზაფხულში ხველა შეუწყდება. მაგრამ თვით ბარუას განადგურებული სახე ადევს. აკანკალებულმა მითხრა:

– აჰ, მგონი ამაღამ მოვკვდები; შემდეგ გამწარებული ხმით გამომიტყდა: – მეშინია სიკვდილის...

აქამდე არასდროს უშუალოდ არ შეხებია ამ საკითხს.

ვუყურებდი, ვგრძნობდი, როგორ გადმომედო ეს უსაშველო შიში, ვცდილობდი, არ შეემჩნია. ფეხზე ვიდექი საწოლთან. ჩემი ხელი ხელში ეჭირა.

– იცით, პირველად მისი აქ, ამ ეზოში შემეშინდა... ბებიას კუბოსთან. თერთმეტი თუ თორმეტი წლისა ვიყავი, სულ ახალი გამოჯანმრთელებული მძიმე დაავადებისგან. კატაფალკის წინ ვიდექი, შევცქეროდი ყვავილებს, სანთლებს და უეცრად ჩემს თავს ვუთხარი: და თუ ის საერთოდ, საერთოდ აღარაა?...

უცნაური ხმით დაამატა: რა არის სიკვდილი? იმ არსების დაშლა-დანაწევრება, მე რომ ვარ, რომელსაც ჩემი გონება კრავს ერთ მთლიანობად?... მაშ, გონების, სულის გაქრობა ყოფილა?..

ამას ამბობდა და შემომყურებდა. ვგრძნობდი, სულიერი სისუსტის იმ დონემდე იყო მისული, როდესაც ადამიანი მხოლოდ მანუგეშებელ ჰიპოთეზებსღა თუ აიტანს.

მანამდე არასდროს განმიცდია ასე მწვავედ სამღვდელო ძლევამოსილება, რომლითაც მე უღირსი ვიყავი შემოსილი... თითქმის მძვინვარედ ვუთხარი: აჰ, მეც რომ არ ვიყო აბსოლუტურად დარწმუნებული საიქიო ცხოვრებაში, როგორც არ უნდა მეცადა, სიკვდილზე ფიქრი თავ-გზას ამიბნევდა და მთელი ჩემი ენერგიის პარალიზებას მოახდენდა! მაგრამ სულიერი უკვდავების რწმენა ჩემი ცნობიერების ნაწილია და ყველაზე საშინელი არგუმენტიც, რაც კი შეიძლება მას დაუპირისპირონ, ადვილადაა გასანადგურებელი!

ხელს არ მიშვებდა. ისეთი ძრწოლვით მისმენდა, გული მოგიკვდებოდა. მე განვაგრძობდი:

– საიდან მოდის ჩემი ცნობიერება? ჩემი ტვინის უბრალო ნერვული სისტემიდან? ტვინი, ნერვები, სიცოცხლე, სიკვდილი, კი, მაგრამ ვერ ხედავთ, ყველა ეს სიტყვა ერთსა და იმავე საიდუმლოს შეიცავს? ისინი მხოლოდ ეტიკეტებია და არა ახსნა-განმარტება!

მე ვგრძნობ ჩემში ღვთიურ არსს, სრულყოფილების შეგრძნებას, რაც არ შეიძლება მხოლოდ ჩემი არასრულყოფილი და მოკვდავი ტვინის სეკრეციის შედეგი იყოს. ჩემში ვგრძნობ იდეალური სიცოცხლის არსებობას, რომლის წარმოშობის ადგილადაც ჩემი სხეულის ვერც ერთ ნაწილს ვერ მივიჩნევ. ჩემში ორი სახის დამოკიდებულებას ვხედავ,

ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულს, ერთი მატერიალურ სამყაროსთან მაკავშირებს ჩემი ორგანოების საშუალებით და მეორე სულიერ სამყაროსთან. სიკვდილი, თიშავს რა მატერიალურ ელემენტებს, სრულიად ანგრევს პირველი სახის ურთიერთობებს; მაგრამ ვერ სპობს მეორე სახისას. და სწორედ ამაზე ვამყარებ ჩემს რწმენას ჩემი პიროვნების სულიერი სიცოცხლის გაგრძელების თაობაზე!"

და მაშინ, აი, რა მითხრა ნელა, მუდარით სავსე მზერით მიყურებდა და ელოდა გადამწყვეტ პასუხს: მაგრამ... ცნობიერება მხოლოდ მაგ ორმაგი ურთიერთობის ფორმით არსებობს... რა ცნობიერებაა ის ცნობიერება, თუ მატერიალურ სამყაროსთან აღარა აქვს კავშირი?

მე წავიბუტბუტე: საიქიო ცხოვრებაზე ზუსტი ნარმოდგენის ქონას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა; მთავარია გჯეროდეს, რომ ეს მომავალი ცხოვრება უსათუოდ არსებობს!

ხელი გამიშვა.

მივხვდი, რომ საშინლად გავუცრუე იმედი. სიბრალულმა მაიძულა კიდევ მეცადა ბედი.

მისკენ დავიხარე და უფრო მის ფიქრს, ვიდრე ნათქვამს ვუპასუხე: თქვენ მტკიცე, ურყევი რწმენა გწყურიათ. რადგან ჩვენი ინტელექტის უსუსურობამ ვერ გაპოვნინათ უცილობელი ჭეშმარიტება, რატომ არ მიმართავთ და სთხოვთ ამას ღმერთს?

უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

მე განვაგრძე: მე, მღვდელს, მხოლოდ მსჯელობა შემიძლია შემოგთავაზოთ. ღმერთს კი თქვენთვის წყალობის კალთის გადაფარება შეუძლია!.. (და შემდეგ მთელი ჩემი დამარწმუნებელი ავტორიტეტით დავამატე) იმედი, იმედი გქონდეთ... ნუ შეეწინააღმდეგებით რწმენას... გახსენით გული, ნუ ჩაკეტავთ გულის კარს, შემოუშვით დაუსაბამო სიყვარულის ნუგეშინის ცემა...

შემდეგ ავიღე მაგიდაზე დადებული სახარება და წმინდა მარკოზის პასაჟი მოვძებნე: „ესრეთ არს სასუფეველი ღმრთისა, ვითარცა იგი კაცმან დათესის თესლი ქვეყანასა. და დაიძინის, და აღდგის ღამე და დღე და თესლი იგი აღმოსცენდის და განორძდებინ, ვითარ-იგი მან არ უწყინ".

ვლაპარაკობდი და ვხედავდი, როგორ უმშვიდდებოდა სახე, როგორ უკვალოდ უქრებოდა შიში. თავი უკან გადაიგდო და ატირდა.

თვალს ვერ ვაცილებდი ამ სახეს. აი, სადამდე მიიყვანა ამგვარი ცხოვრების სწრაფვამ! ნაღალატევი დარჩა ამ დაძაბუნებული სხეუ-

ლისგან, ცხოვრების შუა გზაზე... ნაღალატევი თავისი ფიქრისგან, რომელიც მიუწვდომელი მიზნისკენ მიაქროლებდა... აჰ, ღალატი, ყოვლისმომცველი ღალატი!

იმავე საღამოს

რა მშვენიერია რელიგია, რომელსაც სალბუნი მოაქვს ამგვარი ტანჯვის დროს! მხოლოდ მას ძალუძს სიცოცხლისა და სიკვდილის მხნე ძალის მოცემა. მხოლოდ ის გადააქცევს გამოუცნობის შიშს ამაღლებული მიზიდულობის ძალად... უმრავლეს ჩვენგანს ჭეშმარიტებაზე მეტად შინაგანი სიმშვიდე ესაჭიროება; რელიგია სხვა საკვებს გვაწვდის, ვიდრე მეცნიერება. და რა დიდებულია მისია იმედის მახარობლად ყოფნისა!

არა, მე არ მივატოვებ ეკლესიას. მე მას არ დავკარგავ... მე არ შემიძლია მისი დაკარგვა... როგორ უნდა უგულებელყო ტრადიცია, რომელმაც შექმნა კაცობრიობა ისეთი, როგორიც ის დღეს არის?

უგუნური ვიყავი! განვშორებოდი რელიგიას მხოლოდ იმიტომ, რომ მეცნიერებას ფეხს ვერ უწყობს და ჩამორჩება? მე არად ვაგდებდი ამ გულისმიერ სიყვარულს, რომელსაც ვერავითარი ნებისყოფა ვერ გაწყვეტდა!

ცხადია, დოგმათა სიტყვასიტყვითი გაგება დღესაც ისევე ძნელია ჩემთვის, როგორც ერთი წლის წინ იყო. მაგრამ მხოლოდ მათ ჩრდილქვეშ ვგრძნობ თავს სრულ და განონასწორებულ ადამიანად.

ცხოვრება რომ შევძლო, რელიგიური სულიერება უნდა ვიკმარო და უნდა მოვეშვა მის კანონთა სიტყვასიტყვით მიყოლას. რწმენის მორალური ქმედითობა ჩემთვის ხელშეუხებელია.

ოჰ, მე ბევრი სულიერი ძალა შევალიე ეკლესიას, ძალიან ხშირად გადამდენია სახეზე ზეთისხილის ბაღის აგონიის სიმწრის ოფლი! ეკლესიამ იმდენი მტანჯა და მანვალა, იმდენი ცრემლი მაღვრევინა და იმდენი სიკეთე მომიტანა...

ისე განუყრელად ვართ გადაჯაჭვულნი ერთმანეთთან...

III

ივლისის ბოლო.

დილა.

აბატი ლევი სწრაფად კვეთს ეზოს. სახეზე მღელვარება ანერია.

მას სესილი ელოდება. ორივე ხელს დაუჭერს, სიტყვას ვერ ამბობს, თვალები ცრემლით ევსება.

აბატი სწრაფად ადის კიბეზე. ჟანი იმ ოთახში ცხოვრობს, რომელშიც მამამისი გარდაიცვალა. ის წევს, მკლავები დაჭიმული აქვს, სახის ნაკვთები დამშვიდებული.

აბატის დანახვაზე იღიმება.

ჟანი: გმადლობთ, ასე მალე რომ მოხვედით, აღარ შემეძლო მეტი ლოდინი.

მხიარულად იღიმება, ნდობით სავსე, უცნაური ღიმილით.

დღეს ღვთიური მადლი აცისკროვნებს მის ბაგეს და მზერას...

აბატი ხვდება ამას, გული ძალუმად უძგერს, ხელები უკანკალებს; მისი ყოველგვარი ორჭოფობა თავის რწმენის მიმართ ქრება, ერთ წამში, ერთი წამით, კვლავ ისეთივე გულმხურვალე მოძღვარი ხდება, როგორიც ადრე იყო.

აბატი უახლოვდება ჟანს, მის ხელს იღებს.

აბატი: მითხარით... ყველაფერი მითხარით...

ჟანის მზერა ხანდება ღია ფანჯარაში, მერე ძალზე შორიდან ბრუნდება და აბატზე შეჩერდება.

ჟანი: რა მოხდა? *(თავს ძალას ატანს, რომ სიზმარი გაიხსენოს.)* მაცალეთ, გავიხსენო... გუშინ საღამოს ჩვენ მღვდლის სახლში შევხვდით, არა? მაგრამ თქვენ არაფერი შეგიმჩნევიათ და მეც ვერაფერი გითხარით...

იმ საბრალო აბატ ჟოზიეს ცხედართან... *(უცბად თვალები უნათდება)* ...მთელი სიცხადით შევიგრძენი, რომ ადამიანს აქვს სული!

აბატი შეკრთება.

ჟანი: მის წინ ვიჯექი, თვალს ვერ ვაშორებდი მის გაქვავებულ ნაკვთებს; ვცდილობდი ძველ ჟოზიესთან მსგავსება მენახა, მაგრამ განსხვავება უფრო არსებითი იყო, რის მიზეზსაც ვერ შევიცნობდი. ვფიქრობდი, რას შეიძლება რომ შევადარო: ეს სხეული აქ ცარიელი

კოლოფივითაა!... ცარიელი! ეს იყო აღმოჩენა, ზეშთაგონება. სხეული აქ იყო და უკვე არარად ქცეულიყო. რატომ? იმიტომ, რომ მან ის დაკარგა, რაც აცოცხლებდა, რაც სულიერს ხდიდა... გათიშვის საშინელი ნამი დამდგარიყო; პიროვნულობა, ის, რაც ქმნის ადამიანს, წასულიყო, სხვაგან იყო! და რამდენადაც ადრე სულიერი უკვდავება მიმაჩნდა უაზრობად, ახლა იმდენადვე აბსურდულად მიმაჩნია მისი საწინააღმდეგო იდეა.

დიახ, სული არსებობს! საკმარისი აღმოჩნდა იმ სანოლისთვის თვალი შემევლო, დავრწმუნებულიყავი მის გაქრობაში, რომ განცვიფრებული დავრჩენილიყავი ელემენტარული და უცხადესი ჭეშმარიტებით!

აბატი აღგზნებულად ართმევს ხელს.

ჟანი: შეუძლოდ შევიქენი, მაგრამ თავს ძალას ვატანდი, რომ არ შემეწყვიტა ეს პირისპირ ყოფნა მიცვალებულთან, რომელმაც მარადიული სიცოცხლის კარი შემიღო...

ბოლოს მსახურმა აქ წამომიყვანა. მაშინვე დამანვინა; საშინელი შეტევა დამეწყო... ხუთვა, გულის გაჩერება, გაგუდვა... მეგონა, ვკვდებოდი.

მაშინ მთელი ძალ-ღონე მოვიკრიბე და ღმერთს შევღაღადე, მაგრამ ვიგრძენი, რომ ყურად არ იღებდა ჩემს ვედრებას... მარტო მსურდა დარჩენა. მაგრამ ჩემს ცოლს არ უნდოდა მარტო დავეტოვებინე; ვემუდარე ცოტათი გამშორებოდა. კვლავ ვცადე ლოცვა, მაგრამ ვერ შევძელი... ბოლოს ტკივილები დამიამდა, თავი საგრძნობლად უკეთ ვიგრძენი, მაგრამ სუსტად, ძალიან სუსტად ვიყავი... უღონო, უძრავ არარაობად ვგრძნობდი თავს, მხოლოდ სუნთქვაღა... დარწმუნებული ვიყავი, რომ ვკვდებოდი...

უჰ, საშინელი ღამე გამოვიარე! თითქოს თავი ცეცხლში მქონდა, გული კი მთლად გაცივებული, მთლად მოწურული, თითქოს წყვდიადი აწვებოდა, გასრესას უპირებდა... ტვინი მუშაობდა, უქმად... ორ ურთიერთსაპირისპირო დინებაში აღმოვჩნდი, ლოცვა მინდოდა და მთელი ძალ-ღონით, უიმედოდ ღვთის ყურადღების მიპყრობას ვცდილობდი; ყოველი აღტკინების შემდეგ შინაგანი ხმა მეუბნებოდა: არა, არა, არა... არავინ გიპასუხებს! არავინ... ხომ ხედავ, აქ არავინაა...

ის ნელა ლაპარაკობს, სიმწრის გარეშე, მისი ხელი მღვდელს უჭირავს, მზერას არ აცილებს დილის ცას.

ისე სუსტად ვიყავი, გონება დავკარგე და, ეტყობა, ჩამეძინა. მაგ-

რამ ძილშიც ვგრძნობდი, რომ ჩემში ბრძოლა გრძელდებოდა და მქონდა ბუნდოვანი რწმენა, რომ უფლის ნება გაიმარჯვებდა.

შემდეგ მომეჩვენა, რომ ვიღაც ლაპარაკობდა და თვალები გავახილე, ისე მკაფიოდ გავიგონე ჩემი სახელი, რომ შევეპასუხე: რა? ვიფიქრე, ჩემი ცოლია-მეთქი... მაგრამ მარტო ვიყავი.

დიდხანს მეძინა. ირიჟრაჟა, მოსამსახურის სუნთქვა მოისმოდა კაბინეტიდან. ამ ბოლო ხანს ძალიან ღრმა ძილით მძინავს ხოლმე და ძნელად მეღვიძება; ახლა კი უეცრად გამოვფხიზლდი, არაჩვეულებრივად ნათელი გონებით, სასწაულებრივი შვება ვიგრძენი.

კვლავ ვცადე ლოცვა.

ის ხმა, რომელიც ჩამძახოდა „არა, არას..." გაჩუმებულიყო. უსუსურობის, იმ შემზარავი არმყოფობის გრძნობის ნაცვლად რაღაც ბუნდოვანი დარწმუნებულობის გრძნობა დამეუფლა, რწმენა რომ... ვიღაც მედგა მხარში... ვიღაცას ვუყვარდი...

(გაბრწყინებული ღიმილი) არ ვიცი, როგორ აგიხსნათ... შევიგრძნობდი, რომ მრავალწლიანი ლეთარგიული ძილიდან გამოვდიოდი... გვირაბიდან გამოვდიოდი, სინათლისკენ მივისწრაფვოდი, ახალ ცხოვრებას ვიწყებდი!... უზარმაზარ შინაგან ბედნიერებას განვიცდიდი, სიმშვიდეს, გასაოცარ დამშვიდებას... სიწყნარეს...

ვგრძნობდი, რომ აღარაფერი მქონდა საძებნი, რომ ჩემი ნება გალღვა, რომ სიამოვნებით ვიქნებოდი დამორჩილებული, რომ ყოველივე ნათელია, წმინდაა...

ყოველივეს მიეცა აზრი!...

მან თავი მოაბრუნა. მისი მზერა აბატის მზერას შეხვდა, რომლის აღელვებული სახე მისკენ იყო დახრილი.

ჟანი *(ხელებს უწვდის)*: ჰოდა, ამიტომ დაგიძახეთ, ჩემო მეგობარო, აღსარების სათქმელად...

IV

მარკ-ელი ლიუსი შემოჰყავთ ბიუის სალონში, სადაც აბატი ლევია.

აბატი *(ეგებება)*: ქ-ნი ბარუასგან მაქვს დავალებული შეგატყობინოთ, რომ ჩვენი ავადმყოფი ძლივს გამოვიდა ავადმყოფობის ბოლო მძიმე შეტევიდან და დიდი სიფრთხილეა საჭირო...

ლიუსი *(მღელვარედ)*: მე მხოლოდ მონახულება და ხელის ჩამორთმევა მსურს. თუ მიგაჩნიათ, რომ საუბარი...

აბატი *(შეცბუნებული)*: არა, ბატონო, არა მგონია, რომ საუბარი... ზოგიერთ საკითხზე... მოკლედ, არაფერმა უნდა გამოიწვიოს გონების გადატვირთვა...

ლიუსი ილიმება. შემწყნარებლური, სიმწარეშერეული ღიმილი.

ლიუსი: შეგიძლიათ ქ-ნი ბარუა დაამშვიდოთ, ბატონო აბატო... ბარუამ შემატყობინა, რომ კვლავ კათოლიკედ მოექცა, აქ მასთან საკამათოდ არ ჩამოვსულვარ...

აბატი წითლდება. ნერვული ტიკი.

ლიუსი *(ცივად)*: თანაც ძალიან ცოტა დრო მაქვს, სამსაათიანი მატარებლით ვაპირებ გაბრუნებას.

აბატი *(ცოცხლად)*: სადგური ძალიან ახლოსაა, მოკლე გზით... თუ ინებებთ, მე თვითონ გაგიძღვებით...

ჟანმა ადგომა ისურვა. ჩაიცვა და თავის საწერ მაგიდას მიუჯდა, რომელიც ახლა მის საძინებელში დგას – რადგან ქვემოთ უკვე ველარ ჩადის.

შავი, ყველა ღილზე შეკრული სამოსი საბრალობლად ჩამოჰკიდებია სხეულზე. დასაკრძალადაა გამოწყობილი. კისერი საცოდავად ამოშვერილა ზედმეტად ფართო საყელოში, კანი გადაკვრია თავისქალას, ჩაცვენილი ლოყები მეჩხერ წვერს ამოუვსია, მოკუმული ტუჩები კბილებს მიჰკვრია, გაყვითლებული ფრჩხილები გარქოვანებულია.

ლიუსის შემოსვლისას ბარუა ცდილობს მის გამომეტყველებაში გამოიცნოს, თუ რამდენადაა განადგურებული ავადმყოფობისგან, მაგრამ ლიუსი უშფოთველი ღიმილით უახლოვდება.

ჟანი *(მაშინვე)*: თქვენ, ალბათ, თქვენს თავს ეკითხებით, როგორ მოხდა ეს, არა?

ლიუსი ვერ ხვდება შეკითხვას. ეს ჩამქრალი, ხრინწიანი ხმა...

ჟანი პატარა ჯვარცმას იღებს ხელში, რომელიც პატარა მაგიდაზე მისი ცხვირსახოცის გვერდით დევს.

უხერხულობა ისადგურებს.

ჟანი *(ჯიუტად)*: როგორ მოხდა? არ ვიცი... ეს ხომ პირველი „როგორ" ან „რატომ" არაა, ჩვენ რომ გვისხლტება ხელიდან! *(უცნაურად*

ილიმება.) Invocavi et venit in me spiritus sapientiae[1]. უკვე კარგა ხანია, იდეების აღარ მჯერა.

ლიუსი *(ორჭოფულად)*: დიახ, გულს მივყავართ რწმენისკენ...

ჟანი: ოჰ, რა კარგია, ჩემო მეგობარო... გრძნობ, რომ, ბოლოს და ბოლოს, შეაღწიე ცხოვრების შუაგულში, რომ შიგნიდან ხედავ სამყაროს...

(სწრაფად, თითქოს შემოპასუხების ეშინიაო.) და კიდევ, სწორედ პრაქტიკული გადანყვეტილება გჭირდება...

ლიუსი თბილი ღიმილით ეთანხმება.

ჟანი კიდევ უფრო ღრმად ეფლობა სავარძელში. მისი თვალების უძრაობა ცვილის ნიღაბში ჩასმულ შუშის თვალებს წააგავს.

ლიუსს ძველი ბარუა ახსენდება, კამათისას ფეხებს განზე რომ დგამდა, თავს ალმაცერად იჭერდა, წარბებს აზიდავდა...

ჟანი მას უყურებს და უცაბედად ჩუმად ჩაეცინება.

ჟანი: მეცოდებით, საბრალო მეგობარო, თქვენ კიდევ სწევთ წინააღმდეგობას, კიდევ იბრძვით...

გაოცებული ლიუსი მშვიდად აპროტესტებს, მაგრამ ჟანის ღიმილი ჯიუტია.

ჟანი: თქვენ ისე იბრძვით, როგორც მე ვიბრძოდი... ჩემთვის ეს ნაცნობია... *(მხრებს იჩეჩავს.)* რისთვის? თქვენ მშვენივრად იცით, რომ თქვენც აქამდე მიხვალთ...

ის იღებს პატარა ჯვარს და კვლავ მაღლა აღმართავს.

ჟანი: ხედავთ, როგორ დავმორჩილდი სიკვდილს, რომ შემდეგ მის გვერდით გავაგრძელო სიცოცხლე!

ინტონაცია სევდიანია.

ლიუსი მას თანაგრძნობით უყურებს. თვითონაც მდგარა უფსკრულის პირას, ამიტომ აღარ ეზიზღება ისინი, ვისაც თავბრუ ესხმის. სათქმელი არაფერი აქვს.

გადის რამდენიმე წუთი.

ლიუსი დგება.

ჟანი ხედავს, რომ ის მიდის, გულიც კი არ წყდება. მის ახლანდელ გაწონასწორებულობასა, მის რწმენასა და წარსულს შორის ახალი შთაბეჭდილებების ფენა გაწოლილა. გამოწვდილ ხელს ხელს აგებებს. ლიუსი ძალიან ფერმკრთალია.

---

[1] „მოვუწოდე და მოვიდა ჩემთან სიბრძნის სული".

ჟანი: ჩვენ ორივე ეჭვს ვთესავდით, ჩემო ძველო მეგობარო. ვეეედროთ უფალს გვაპატიოს...

გულდამძიმებული ლიუსი კიბეს ჩაუყვება.

მისაღებ ოთახში შედის. მეორე კარიდან კაბის შრიალი გაასწრებს.

ლიუსი *(მიმართავს აბატს)*: შეიძლება ქ-ნ ბარუას მივესალმო?

აბატი: არა მგონია, ქალბატონი ბარუა დაბრუნებული იყოს... თანაც, თუ სადგურში ფეხით მივდივართ, უკვე დროა...

ლიუსი არ აჟინდება.

გარეთ მშრალი და გამჭოლი სიცივეა.

როგორც კი ზღურბლს გადავლენ, აბატი მოუბრუნდება.

აბატი: აბა, როგორ გგონიათ, როგორაა?

ლიუსი ოდნავ უნელებს ნაბიჯს, აბატს შეხედავს და გზას განაგრძობს. მას არ მიაჩნია საჭიროდ ამ მღვდელთანაც ითვალთმაქცოს, როგორც ჟანთან ითვალთმაქცა.

ლიუსი: ძალიან არის შეცვლილი, ვერ იცნობს კაცი... მისი ინტელექტიდან აღარაფერია დარჩენილი. ის ახლა მხოლოდ მგრძნობელობის მკრთალი სხივითღა არსებობს...

აბატი *(თავს იცავს)*: ცდებით. დამიჯერეთ, მან დიდხანს იკამათა თავის თავთან, სანამ თავისი გზა იპოვა!

ლიუსი *(მწარედ)*: იკამათა? მას უკვე აღარ შეეძლო კამათი, პარიზს რომ ტოვებდა!

(დარბაისლურად): არა, საბრალო ბარუა, ისე, როგორც ბევრი სხვა, ჩვენი დროის მსხვერპლია. მისი ცხოვრება ბევრი ჩემი თანამედროვის ცხოვრების მსგავსია – ტრაგიკულია...

ის აბატისკენ შემოტრიალდება, მის სამღვდელო ხარისხს ივიწყებს; უყურებს მოსიყვარულე შორსმჭვრეტელი ცნობისწადილით, რაც მისი ცხოვრების დამახასიათებელი პოეზია იყო ყოველთვის.

ლიუსი: ერთ დღეს მისი კათოლიკური აღზრდა სრულიად დაიმსხვრა მეცნიერებასთან შეჯახებისას. ყველა განათლებული ახალგაზრდა გადის ამ გზას. სამწუხაროდ, ჩვენი შინაგანი მორალური სამყარო, რომლითაც ასე ვიკვეხნით, მემკვიდრეობით გადმოგვეცა ათასობით მისტიკურად განწყობილი თაობის მეშვეობით. როგორ უნდა მოიშორო ამგვარი მემკვიდრეობა? ეს ძალიან ძნელია... ყვე-

ლას არ შეუძლია თავისი აზროვნების ისე ძალუმად გამოწრთობა, რომ ბოლომდე გამარჯვებული დარჩეს. ქარიშხლიან დღეებში იმდენი ინსტინქტი შემოგეჯარება, იმდენი მოგონება! ადამიანის გრძნობისმიერი ყველა სისუსტე...

ადამიანთა უმრავლესობა სიცოცხლის გაფურჩქვნის წლებში ისე იქცევა, როგორც ბარუა, ძალისხმევას არ იშურებს, რომ გათავისუფლდეს ამ ტვირთისგან, მაგრამ შემდეგ მოდის იმედგაცრუება, ავადმყოფობა და დასასრულის მოახლოების შიში, რაც თავგზას უბნევთ და, ხედავთ, როგორ სწრაფად აფარებენ თავს ჯადოსნურ, დამამშვიდებელ ზღაპრებს...

წამოსასხამში ნიკაპჩარგული აბატი ფეხს უჩქარებს.

ლიუსი *(მოწყენილი)*: თქვენ საიქიო, მარადიული ცხოვრება შესთავაზეთ, ისიც იმედგადაწურული ჩაეჭიდა, როგორც ყველა, ვისაც თავისი თავის იმედი აღარა აქვს, ვისაც აღარ აკმაყოფილებს რეალური ცხოვრება...

აბატი იშმუშნება.

ვიცი, კარგად ვიცი, ეს თქვენი მისიაა, ისიც მინდა ვაღიარო, რომ ეკლესიამ ამ სფეროში შეუდარებელი გამოცდილება შეიძინა! ეს თქვენი საიქიო ცხოვრება შესანიშნავი გამოგონებაა. ეს დაპირება ისეთი შორეულია, რომ გონებას არ ძალუძს გულს დაუშალოს, თუ გულს სურს მისი დაჯერება, რადგან თავისი ბუნებით ამგვარი დანაპირები ყოველგვარ კონტროლს უსხლტება ხელიდან...

დიახ, ბატონო აბატო, ეს თქვენი რელიგიის დიდი მონაპოვარია, დაარწმუნოს ადამიანი, რომ აღარ უნდა ეძებოს, ეცადოს რაიმეს გაგება!

აბატი *(აწევს თავს)*: ეს თვით იესო ქრისტეს კანონია, ბატონო. ის არაფერს გვიმტკიცებს, არ განსჯის, უბრალოდ გვეუბნება: „ირწმუნეთ ჩემი" კიდევ უფრო მარტივად კი გვეუბნება: „უკუეთუ ვისმე სწყუროდის, მოვიდინ ჩემდა და სუემდინ..."

დრო.

ლიუსი (მისდა უნებურად): ქრისტიანად მოქცევის მშვენიერი მაგალითია! შეგიძლიათ იამაყოთ.

აბატი *(შეჩერდება)*: დიახ, ნამდვილად ვამაყობ!

ქუჩის მოსახვევში უეცრად ამოვარდნილი ჩრდილოეთის ქარი აბატს ლაბადას უფრიალებს. მოღუშული და ორაზროვანი გამომეტყველებით უყურებს ლიუსს.

აბატი: თქვენ შეძლებდით მის ნუგეშის ცემას? მე მას სიმშვიდე დავუბრუნე; ნათელი ჰორიზონტები გადავუშალე თვალწინ. თქვენ კი მხოლოდ უიმედო შეხედულებების შეთავაზება შეგეძლოთ!

ლიუსი *(თავშეკავებულად, მოზომილად)*: რატომ უიმედო? ჩემი იმედი იმ ურყევ რწმენას ემყარება, რომ ჩემი ძალისხმევა სიკეთის კეთებისა უკვალოდ არ გაქრება! და ეს იმედი, თქვენ მოგწონთ თუ არა, იმდენად ძლიერია, რომ ბოროტების ცალკეული გამარჯვება სიკეთეზე ფარ-ხმალს ვერ დამაყრევინებს...

ჩემი იმედი თქვენისაგან განსხვავებით არ ითხოვს უარის თქმას განსჯასა და აზროვნებაზე. პირიქით, ის განსჯასა და აზროვნებას ემყარება. ის მიმტკიცებს რწმენას, რომ ჩვენი ცხოვრება არც ამაო ფაფხურია, არც ტანჯვის მიზეზთა კრებულია და არც პირადი ბედნიერების დევნა; იგი მიდასტურებს, რომ ჩემი მოლვაწეობით წვლილი შემაქვს მთელი კაცობრიობის ძალისხმევაში; გონების წყალობით მე ყველგან ვხედავ იმედის საფუძველს! ყველგან ვხედავ, რომ სიკვდილი შობს სიცოცხლეს, ტკივილი შობს ენერგიას, შეცდომები შობს მეცნიერებას, ქაოსისგან იშვება ჰარმონია... თვით ჩემშიც ეს პროცესები ყოველდღიურად მიმდინარეობს.

დიახ, მეც ვაჩუქე მას რწმენა, რომელიც თქვენსაზე არანაკლებია, ბატონო აბატო.

აბატი: ფაქტია, ის არ აღმოჩნდა მისთვის საკმარისი!

(უცაბედი გაშმაგებით) და თუ მაინც ფიქრობთ, რომ ტყუილის რწმენა ვაიძულე, უნდა გიხაროდეთ, რომ რაღაცნაირად შევძელი მისთვის სულიერი სიმშვიდის დაბრუნება!

ლიუსი: მე არ ვცნობ ორმაგ მორალს. ბედნიერებას მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტებით უნდა მიაღწიო და არა ფუჭი წარმოსახვებით, თავის მოტყუებით.

დრო.

აჰ, შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერების განვითარების პათეტიკურ მომენტს განვიცდით, უეჭველია, ყველაზე მწვავეს, რაც კი რელიგიასთან ჭიდილში ჰქონია!

აბატი *(უეცარი მოუთმენლობით)*: თქვენ, ბატონო ლიუს, სხვა ხანას ეკუთვნით... იმ ხანას, როდესაც უგუნურად წვავდნენ ხიდებს, რომლებიც წარსულთან გვაკავშირებდა. თქვენ გჯერათ სოციალური განვითარების და ამიტომ უარს ამბობთ ლოცვაზე, სულის საიქიო ცხოვრებაზე... მაგრამ გარშემო კარგად ვერაფერს ამჩნევთ. თქვენი

დრო უკვე დიდი ხანია გავიდა! თქვენ ვერ შეამჩნიეთ, რომ საზოგადოებაში საყოველთაო გამოფხიზლებაა, რომ ადამიანებს ხელახლა გაუჩნდათ რელიგიის აუცილებლობის მოთხოვნა, რომ მათ ველარ აკმაყოფილებს თქვენი გამოფიტული თეორიები!

(ბრაზმორეული სიცილი) ათეისტი ვერასოდეს მიხვდება იმას, თუ რა ხდება მლოცველის სულში...

ლიუსი *(ღიმილით)*: ეს უცილობელი სისუსტის გამოხატულებაა. მაგრამ ის, გონიერებაზე დაფუძნებული ურწმუნოება, რომელიც დიდი ტანჯვა-წვალების ფასად მოვიპოვეთ, ვერ გაქრება. იგი ნელ-ნელა ღრმად აღიბეჭდება ჩვენი რასის ტვინში და თავისუფლებას მოუტანს მომავალ თაობებს!

აბატი *(დაღვრემილი)*: არა, ადამიანი ვერასოდეს იარსებებს ღმერთის გარეშე... სიცოცხლეზე სიკვდილი ბატონობს და მხოლოდ რელიგიას შეუძლია ასწავლოს ადამიანს მისი უდრტვინველად ლოდინი, მიღება – ზოგჯერ კი მისი სურვილიც!

ლიუსი *(სახე დამახინჯებული ღელვით)*: სიკვდილი სიცოცხლის ლოგიკური ნაწილია, მე მას ისევე ვიღებ, როგორც დაბადებას.

აბატი *(ულმობელი ღიმილი)*: ოჰ, დიახ, ამ მომენტისთვის! თქვენ საკმაოდ კარგად, ჯანმრთელად გრძნობთ თავს და იღებთ სიკვდილის იდეას!

მაგრამ გეუბნებით, ბატონო ლიუს, იმ დღეს, როცა მის მოახლოებას იგრძნობთ, როცა იგრძნობთ, რომ ის აქვეა, ოჰ, მაშინ დაინახავთ, რა უვარგისი საყრდენი აღმოჩნდება ეგ თქვენი უნაყოფო ღვთის უარყოფა!

სადგურის მოედანი, გადაჭედილი ეტლების და ფეხით მოსიარულეთა მისვლა-მოსვლით.

ლიუსი ჩერდება. მის ნაცრისფერი თვალებს ჩრდილი დაფენია.

ლიუსი *(მძიმე ხმით)*: ჩემს ასაკში, ასე ვთქვათ, სიკვდილის ზღურბლთან, ადამიანები გულახდილნი არიან, ასე არაა, ბატონო აბატო? აღარაა ფუჭსიტყვაობის დრო...

მაშ ასე, დამიჯერეთ, სიკვდილს ისეთი სიმშვიდით ველოდები, როგორი სიმშვიდითაც შეიძლება დაელოდოს ადამიანი, ისეთივეთი, როგორითაც თქვენ ელით!

აბატი სახეს მიიბრუნებს.

ლიუსი: რამ შეიძლება შეგიმსუბუქოს ეს ფატალური წამი? სიმშ-

ვიდემ, სუფთა სინდისის სიმშვიდემ... და ამ სიმშვიდის განცდა მეც თქვენსავით მომეცა...

აბატი *(მჭახე ტონით, ისე რომ ლიუსს არ უყურებს)*: მაგრამ თქვენი სასიკვდილო აგონიის დროს თქვენ გვერდით არ იქნება მღვდელი, ღვთის მოციქული, რომელიც დაიხრება თქვენკენ და, ცოდვათა მიტევების საიდუმლო უფლებით აღჭურვილი, ერთი ხელის მოსმით წარხოცავს ყველა იმ ცოდვას, რომელიც, შესაძლოა, თქვენი სიცოცხლის განმავლობაში ჩაგიდენიათ!

ლიუსი *(მშვიდად)*: მე ეს არ მჭირდება.

უეცრად ფითრდება. ამპარტავნული ღიმილი გადაჰკრავს სახეზე, ხელს უწვდის აბატს.

ლიუსი: ნახვამდის ბატონო აბატო... თქვენზე არ ვბრაზობ... მაგრამ გული კი მატკინეთ... ლამის იყო გადამავიწყდა, სასიკვდილოდ რომ ვარ განწირული, თქვენ კი შემახსენეთ, ულმობლად შემახსენეთ...

აბატის ჟესტი.

ლიუსი *(ისევ იღიმება)*: ვიცი, არაუმეტეს ორ, სამ ან ოთხ თვეში ოპერაციის გაკეთება მომიწევს... უიმედო ოპერაციისა... და ბარუას სანახავად ჩამოვედი, რადგან ვიცი, რომ მასზე მეტად ვარ განწირული...

აბატი *(შეშფოთებული)*: ხომ არ აჭარბებთ...

ლიუსი *(აღარ იღიმება)*: ოჰ, სიკვდილს თვალებში სულაც არ ვუმზერ უშიშრად... მაგრამ ვუმზერ! *(გააჟრჟოლებს)* მეც ყველასავით მეშინია მისი, რადგან ჩემი სხეული მხდალია, მაგრამ ეს ფიზიკური შიშია. მორალურად არ შევმდრკალვარ, ძალიან მტკიცე ვარ!

იგი მტკიცე ნაბიჯით გადაჭრის ქუჩას.

აბატი უყურებს, სანამ თვალს არ მიეფარება.

V

ჩემო ძვირფასო ბარუა,

მას შემდეგ, რაც ლიუსი გარდაიცვალა, სულ მინდოდა მომენერა, მაგრამ სხეულის მარჯვენა მხარე პარალიზებული მქონდა მცირე სისხლჩაქცევის გამო და წერილი დამიგვიანდა.

ექიმებმა ლიუსის ოპერირება გადაწყვიტეს, რაზეც ის ზედმეტი ილუზიების გარეშე დათანხმდა. ოლონდ თხუთმეტი დღე მოითხოვა, რომ ნაწერები წესრიგში მოეყვანა. მთხოვა დავხმარებოდი და მას მერე აღარ მოვშორებივარ.

ერთ დღეს, როცა დაუსრულებელი წიგნის ხელნაწერებს ვკრებდი, დამინახა, რომ ვტიროდი. მომიახლოვდა და ისეთი რამ მითხრა, რაც საუკეთესოდ გამოხატავს მის ხასიათს: – ტირით, ბატონო ვოლდშმუტ? რას იზამ? ეს ცხოვრებაა... ნუ დავაბრმავებინებთ თავს პირად გრძნობებს...

ოპერაცია ჩატარდა.

შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თვით ქირურგსაც კი თითქოს დაავიწყდა, და ჩვენც მასთან ერთად, რომ ეს მხოლოდ დროებითი რემისია იყო. ოპერაციიდან მეთვრამეტე დღეს ლიუსი უკვე ფეხზე იდგა და მას სახლში დაბრუნების უფლება მისცეს. ამბობდა: ისევ მუშაობას შევუდგები, იმდენი რამე მაქვს კიდევ გასაკეთებელი!

სწორედ ამ დღიდან უეცრად დაეწყო გაუარესება. მან ეს იგრძნო. სიმპტომები ერთმანეთის მიყოლებით იჩენდნენ თავს. ბოლო მომენტამდე არ გაუმხილა შვილებს სიმართლე; ისინი ხედავდნენ მისი მდგომარეობის გაუარესებას, მაგრამ არ იმჩნევდნენ, თვალთმაქცობდნენ, თითქოს სჯეროდათ მისი გამოჯანმრთელება.

ყოველდღე მივდიოდი მასთან. ჩემთან სულ სიკვდილზე ლაპარაკობდა.

მეუბნებოდა:

– ბედი მქონია, წინასწარვე რომ გავიგე მისი მოახლოება და დასახვედრად მომზადება მოვასწარიო. ეს უკანასკნელი აქტიღა მაქვს აღსასრულებელი, პირნათლად მოვიხადო ჩემი მოვალეობაო. მთელი ჩემი სიცოცხლე ისე ვმოქმედებდი, რომ ჩემი ცხოვრება ჩემი იდეების შესაბამისი ყოფილიყო, რათა გაემყარებინა ისინი. ახლა ისღა მრჩება, ისე მოვკვდე, რომ გზიდან არ გადავუხვიო, ვაჩვენო, რომ მისი არ მეშინია,

რომ ვხედავ მის მოახლოებას და ვღებულობ, როგორც გარდაუვალ ფაქტს და ჩემს თავში დარწმუნებული ვკვდები...

სიკვდილის მშვიდად, უშიშრად შეგებების გახმაურება დიდ გავლენას მოახდენს ამ ჩვენს ბრბოდქცეულ, გაგიჟებულ, სიკვდილმისჯილ ხალხზე! სოკრატემ ეს კარგად გაიგო. რაც უფრო ხშირად კითხულობ მისი უკანასკნელი დღეების ჩანაწერებს, მით უფრო ცხადი ხდება, რომ არ სურდა გაემართლებინათ. იგი სამოცდაათი წლის იყო, უკვე აღარ ასწავლიდა, უდიდესი სიბრძნე გამოამჟღავნა, კიდევ ერთხელ, თავისი სიკვდილით გაკვეთილი მოგვცა. გადაწყვიტა ისეთი სიკვდილით მომკვდარიყო, რომელიც არ იქნებოდა პასიური, რომელიც მისი სულის სიმტკიცის უკანასკნელი დადასტურება იქნებოდა. მეც ასეთ დასასრულს ვისურვებდი.

შემდეგ სახეზე დიდმა შეშფოთებამ გადაუარა.

– და მაინც, ამბობენ, რომ სწორედ ისინი, ვინც დიდი სიმშვიდით ელოდებიან სიკვდილს, უკანასკნელ წამს დიდ ამბოხს აწყობენ...

მერე სწრაფად დაამატა:

– ნერვულ ბუნტს ვგულისხმობ, რაღა თქმა უნდა...

არც ერთი იმ დღის განმავლობაში არ უღალატია თავისი დამოკიდებულებისადმი სიკვდილ-სიცოცხლის მიმართ. არადა, როგორ იტანჯებოდა!

თავისი ცხოვრების შეჯამებას ცდილობდა. ერთ დილას, უძილო ღამის შემდეგ მითხრა:

– დიდი ნუგეშია ჩემთვის იმის დანახვა, რომ ჩემი ცხოვრება ძალიან ჰარმონიული იყო. სანამ ცხოვრობ, სულ იმედგაცრუებული ხარ, რომ ვერ შეძელი შენი ქმედებებისთვის ერთიანი გეზის მიცემა. ახლა კი ვხვდები, რომ არაფერი მაქვს საწუწუნო. იმდენი გზაკვალარეული, უკმაყოფილო ადამიანი შემხვედრია, ხან აქეთ, ხან იქით რომ გადააქანებდა ცხოვრება თავისი დასახული მიზნისგან!

ჩემს არსებობას ასეთი რყევები არ ახსოვს. ამის ახსნა ერთი-ორი მარტივი და გასაგები სიტყვით შეიძლება. ეს კი სიმშვიდით მავსებს ამ ქვეყნიდან წასვლის წინ. მე საკუთარი თავის, ყოველდღიური შრომის აუცილებლობის, ადამიანთა მომავლის რწმენით დავიბადე. ყოველთვის იოლად ვინარჩუნებდი წონასწორობას. ჩემი ბედი ნოყიერ მიწაზე დარგული ვაშლის ხის ხვედრს ჰგავდა, ყოველ წელს რომ უხვად ისხამს ნაყოფს.

ბოლო კვირა განსაკუთრებით მძიმე იყო.

გარდაცვალების წინა დღეს ტკივილმა უკლო.

უფროსი შვილიშვილები ცოტა ხნით შემოვიდნენ მის ოთახში. თითქმის აღარ ლაპარაკობდა. როცა მოსულები დაინახა, უთხრა: „აბა, მოკურცხლეთ აქედან, ჩემო პაწაწინებო, მშვიდობით; ეს თქვენ არ უნდა ნახოთ...“

დაახლოებით ექვსი საათისათვის, როდესაც ლამპების ანთება დაიწყეს, მიმოიხედა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ შვილი იქ იყო. არაჩვეულებრივი მზერა ჰქონდა. თითქოს ყველაფერზე შეეძლო აბსოლუტური სიმართლის თქმა. თითქოს, კიდევ რომ შეძლებოდა მეტყველება, ილაპარაკებდა თავის თავზე, თავის სიცოცხლეზე, ყველა სხვა ადამიანის სიცოცხლეზეც და ეს იქნებოდა სეფე სიტყვა, რომელიც თავისუფლებას მოუტანდა ყველას... მაგრამ იდაყვებზე წამოინია და ესღა თქვა, მოგუდული, თითქოს ახლადგამოღვიძებულის ხმით:

– აჰ, ამჯერად კი, სიკვდილია...

მისმა ქალიშვილებმა თავი ველარ შეიკავეს და აქვითინდნენ. დაჩოქილნი იყვნენ მისი საწოლის გარშემო. მან ხელი თავზე დაადო თითოეულს და ჩურჩულით თავისთვის თქვა:

„რა ლამაზები არიან ჩემი შვილები!“

შემდეგ ბალიშზე დაეცა. საღამო ხანი იყო. დილას გარდაიცვალა ისე, რომ თვალი აღარ გაუხელია.

აი ყველაფერი, რისი მოწერაც მინდოდა თქვენთვის, ჩემო ძვირფასო ბარუა, რადგან ვიცი, რომ ასეთი სიკვდილი გაგამხნევებთ, ისევე როგორც მე გამამხნევა. ის გვამხნევებს, ნუგეშს გვცემს და გვავიწყებს ყოველივე ცუდს, რაც კი ცხოვრების გზაზე შეგვხვედრია.

მას მერე, რაც ვუყურე ლიუსის სიკვდილს, დავრწმუნდი, რომ არ შევმცდარვარ, ყოველთვის რომ მჯეროდა ადამიანის გონიერების.

თქვენი ერთგული
იულრიკ ვოლდშმუტი

P.S: ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, ძალიან დამიქვეითდა მხედველობა და ლაბორატორიაში ველარ ვმუშაობ. ვწერ, ვაჯამებ ჩემი კვლევა-ძიების შედეგებს სიცოცხლის წარმოშობის თაობაზე. მართალია, დასახულ მიზანს ვერ მივაღწიე, მაგრამ იმათ, ანდერძად ვუტოვებ იმ შედეგებს, რომელთაც მივაღწიე, ვინც ჩემ შემდეგ მოვლენ და გა-

ნაგრძობენ ჩემს დაწყებულ საქმეს. დრო პროგრესის უმთავრესი ფაქტორია. სრულიად შესაძლებელია, რომ ერთ დღეს ვინმე აღმოაჩენს იმას, რასაც ვეძებდი. და ეს ფიქრი ძალიან მამშვიდებს. – ი.ვ.

VI

ჟანი დილიდან ბოდავს.

საღამოს რვა საათი.

ელვიძება. უკიდურესი დაქანცულობა. ოთახი ჩაბნელებულია... საწოლის გარშემო გაცხოველებული მიმოსვლა კოშმარის გაგრძელება ჰგონია.

უეცრად სესილის გვერდით, რომელსაც ლამპა უჭირავს, აბატ ლევის ხედავს, ოლარი აქვს გადაცმული, ხელში ბარძიმი უჭირავს.

გიჟური შიში. რეალობა... მზერა სახიდან სახეზე გადააქვს.

ჟანი: ვკვდები? მითხარით, ვკვდები?!

პასუხი არ ესმის. ხველა უტყდება, ყელში უჭერს, ფილტვებს უხეთქავს, ახრჩობს.

სესილი მისკენ იხრება. ჟანი მკლავებში იქცევს, სიყვარულით.

სესილი აიძულებს კვლავ დაწვეს. ემორჩილება, ქანცგაწყვეტილი, თვალდახუჭული, ფილტვებიდან სტვენა ამოსდის. ოფლში ცურავს.

ბოდავს ლათინურ ფრაზებს... ზეთის სიგრილე ყურებზე, ქუთუთოებზე, ხელისგულებზე...

ჟანი: აჰ, მიხსენით!... ამაცილეთ ტანჯვა!...

ხელებს ჰაერში იქნევს. მისი ხელი აბატის სახელოს ხვდება და ეჭიდება, როგორც ღმერთს.

ჟანი: დარწმუნებული ხართ, რომ მაპატია? *(ზეადამიანური ძალით წამოიწევს.)* ჯოჯოხეთი!...

მისი პირი გულგასახეთქი ყვირილისთვის იღება. ჩახშობილი ხავილი...

აბატი ჯვარცმას უწვდის. ველურივით კრავს ხელს. შემდეგ ამჩნევს ქრისტეს, ხელს ჩაავლებს, უკან გადავარდება და გაშმაგებული კოცნის.

ჯვარი ძალზე მძიმეა, ხელიდან უსხლტება. კიდურები აღარ ემორჩილება, უვარდება. გული ძლივსღა ძგერს. ტვინი არეულად, აჩქარებულად მუშაობს. მთელი არსების უცაბედი დაძაბვა. სხეულის ყოველი წერტილი, ყოველი ცოცხალი უჯრედი ადამიანური ტანჯვის ზღვარზეა!

რამდენიმე გაძაგძაგება.

უძრაობა.

გამთენიისას.

სესილი და აბატი მარტონი არიან ოთახში.

სესილი ლოცულობს, ხელებში თავჩარგული. თვალწინ თავისი განვლილი ცხოვრება უდგას. ამავე ოთახში, ახალგაზრდობისას, ერთ დილას ის და ჟანი ეზიარნენ ექიმი ბარუას სასთუმალთან...

ნახევრად გაღებული დარაბებიდან ოთახში განთიადი იპარება. ბუხარში ცეცხლია გაჩაღებული, რომლის ალიც მიცვალებულის, – რომელიც აღარაა უდრეკი, – იქით კედელზე ცეკვავს.

აბატი ზის. უყურებს მიცვალებულს. სახის კუნთები გაქვავებული, კანი ლაბისებრი, ხეშეში, ჭაღარა თმა ქალაშია ჩარჭობილი; კისერი ისეა გაწვრილებული, რომ გაუგებარია, როგორ იჭერდა თავს. უბადლო სიმშვიდე.

სესილი ერთი მეორის მიყოლებით ხსნის საწერი მაგიდის უჯრებს. ეძებს მიცვალებულის ნება-სურვილის გამომხატველ რაიმე წერილს. ვერაფერს პოულობს.

მაგრამ თაროზე, საქაღალდეების ქვეშ კონვერტია:

„გაიხსნას ჩემი გარდაცვალების შემდეგ"

ხსნის ლუქს, თვალს ავლებს პირველ პნკარებს, ფითრდება.

მიდის აბატისკენ, უწვდის ფურცლებს.

აბატი ფანჯარას უახლოვდება.

მსხვილი, მომრგვალებული ასოებით, მტკიცე ხელწერით წერია:

ეს ჩემი ანდერძია.

იმას, რასაც დღეს ვნერ ორმოცს გადაცილებული, სრულ ფიზიკურ და ინტელექტუალურ ფორმაში მყოფი, იმედია, მეტი მნიშვნელობა უნდა ექნეს, ვიდრე იმას, რასაც სიცოცხლის მინურულს ვიფიქრებ ან დავწერ, როდესაც ფიზიკურად და მორალურად დაქვეითებული ვიქნები ასაკის თუ ავადმყოფობის გამო. ჩემთვის ყველაზე გულშემზარავი იმ მოხუცის ქცევაა, მთელი თავის სიცოცხლე იდეისთვის ბრძოლას რომ შესწირა, და საბოლოო დაუძლურების ჟამს გმობს იმას, რაც მისი ცხოვრების აზრს ნარმოადგენდა და საბრალობლად უარყოფს თავის ნარსულს.

იმის გაფიქრებისას, რომ ჩემი ცხოვრების მთელი ძალისხმევა შესაძლოა მსგავსი ღალატით დამთავრდეს, იმის გაფიქრებისას თუ როგორი სარგებელი უნდა ნახონ ამ ბოროტი გამარჯვებისგან მათ, ვისი სიცრუისა და ადამიანის პიროვნულ თავისუფლებაში ჩარევის წინააღმდეგ ასე გაცხარებით ვიბრძოდი, მთელი ჩემი არსება ჯანყდება და წინასწარ მთელი ველური ძალით აპროტესტებს, – იმ ენერგიით, რომელიც მაშინ მქონდა, როდესაც ცოცხალი კაცი ვიყავი, – იდეალების უსაფუძვლო უარყოფას, ან თუნდაც ლოცვას, რომელიც შეიძლება წამოცდეს სიკვდილის წინ იმ ნარჩენს ადამიანისას, რომელიც შესაძლოა მე გავხდე.

მე დავიმსახურე ფეხზე მდგარი მოვკვდე ისე, როგორც ვცხოვრობდი, დაუმარცხებლად მოვკვდე, ფუჭი იმედების გარეშე, არ მეშინოდეს საყოველთაო და მარადიული მორევის ნელ პროცესში დაბრუნებისა.. .

> აბატი შეკრთება. ეს ძახილი ისე ცხადია, ისე თავისუფალი... გადაშლის გვერდს:

„... არ მწამს ადამიანის სულის სუბსტანციურობა და უკვდავება...

... ვიცი, რომ ჩემი პიროვნება მხოლოდ მატერიალური ნაწილაკების თავმოყრაა, რომელთა დაშლასაც ჩემი სრული სიკვდილი მოჰყვება...

... მე მწამს უნივერსალური დეტერმინიზმისა...

... სიკეთე და ბოროტება თვითნებური გამიჯვნაა...“

> წყვეტს კითხვას. კეცავს ფურცლებს და სესილის უბრუნებს. გაურბის მის შეკითხვიან მზერას.
>
> სესილი შეუპოვრად მიდის ბუხართან. აბატს შეუძლია ხელი შეუშალოს, მაგრამ მიცვალებულზეა მიშტერებული და არ იძ-

ვრის. ფიქრობს, რომ ბარუას უკვე დიდი ხანია, დაკარგული ჰქონდა თავდაცვის უნარი... ფიქრობს ეკლესიაზე, რომელმაც შეძლო ბარუასთვის წასვლა შეემსუბუქებინა და რომელსაც აქვს უფლება... ალბათ, ეს მსხვერპლი მოითხოვოს...

ავარდნილი ალი ანათებს ოთახს.

ლე ვერჟე დ'ოგი
აპრილი 1910 – მაისი 1913

სარჩევი

რმგ და მისი რომანი „ჟან ბარუა“ 3

პირველი ნაწილი

სიცოცხლის გემო 15
სიმბოლისტური კომპრომისი 34
ბეჭედი 56
ჯაჭვი 69
ურთიერთობის განყვეტა 96

მეორე ნაწილი

„მთესველი“ 124
ქარიშხლის მომასწავებელი ქარი 153
ქარიშხალი 185
სიმშვიდე 252

მესამე ნაწილი

ბზარი 271
შვილი 284
კრიტიკული ასაკი 314
მწუხრი 349

საგამომცემლო ჯგუფი
თამარ ლონდარიძე
ვლადიმერ პერანიძე
ირმა ჩინჩალაძე
ალექსანდრე ჯიქურიძე

გარეკანის დიზაინი
ილია ხელაიასი

გამომცემლობა ინტელექტი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის №5
225-05-22, 291-22-83, 5(99) 55-66-54
www.intelekti.ge inteleqti@caucasus.net